

ნიკა ჩიტაძე

ნატო - ჩრდილოატლანტიკური ალიანსი
მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი
გარანტი

წიგნი გამოიცემა პროექტის - “ნატოს სწავლება” ფარგლებში.

პროექტს ფინანსურ დახმარებას უწევს აშშ-ის საელჩო საქართველოში, ამერიკის საელჩოს მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში

პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია – **“მარშალის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი, საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი”**

არასამთავრობო ორგანიზაცია – “მარშალის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი, საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი” დაფუძნდა 2002 წლის მარტში ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების საკითხთა შემსწავლელი ევროპული ცენტრის კურსდამთავრებულთა მიერ. ევროპული ცენტრი მდებარეობს ქალაქ გარმიშ-პარტენკირხენში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

ცენტრის ძირითად მიზნებს განეკუთვნება:

- ინტენსიური თანამშრომლობა ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების საკითხთა ევროპულ ცენტრთან და ამ ცენტრის კურსდამთავრებულთა საზღვარგარეთის ქვეყნებში მოქმედ ანალოგიურ ორგანიზაციებთან;
- კურსდამთავრებულთა მიერ ცენტრში მიღებული ცოდნის (საერთაშორისო ურთიერთობები, ეროვნული უსაფრთხოება, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, კრიზისების მართვა, თავდაცვის მენეჯმენტი, კონფლიქტების პრევენცია) პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვის ხელშეწყობა;
- საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური და სხვა მნიშვნელოვანი პროცესების შესწავლა და ანალიზი;
- საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მშვიდობიანი საშუალებებით რეგიონალური თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა;
- პოტენციური კონფლიქტური წყაროების აღმოსაფხვრელად პრევენტული მექანიზმების შემუშავება და კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტების დარეგულირების გზების ძიება/ანალიზი;

რედაქტორი: ნატალია ბერუაშვილი

ავტორის შესახებ

ნიკა ჩიტაძე დაიბადა 1969 წლის 22 იანვარს ქალაქ თბილისში.

1993 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის სპეციალობით, ხოლო 1998 წელს უნივერსიტეტის ასპირანტურა იმავე სპეციალობით.

1996-2000 წლებში სწავლობდა საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 2000 წელს საერთაშორისო ურთიერთობები/დიპლომატიის სპეციალობით.

1998 წელს გაიარა სასწავლო კურსები პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საზაფხულო ინსტიტუტში (ქ. კრაკოვი, პოლონეთი), სადაც სალექციო კურსები იკითხებოდა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორთა მიერ.

1999 წელს სწავლობდა გერმანიაში ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხების შემსწავლელ ევროპულ ცენტრში. ცენტრში სწავლების პერიოდში ასევე გაიარა სასწავლო კურსი ნატოს შტაბ-ბინაში ბრიუსელში (ბელგია).

2002 წელს გაიარა სამეცნიერო სტაჟირება ოქსფორდის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრაზე, ხოლო 2003 წელს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (ქ. ბუდაპეშტი, უნგრეთი) საერთაშორისო ურთიერთობების კათედრაზე. ბრიტანეთსა და უნგრეთში სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში მან დაასრულა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა და 2004 წლის მაისში დაიცვა დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე: “კასპის სანაუთობო პროექტები და საქართველოს სატრანზიტო როლი. ეკოპოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები”.

2000 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. კერძოდ, პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მას ჩატარებული აქვს სხვადასხვა სალექციო კურსი ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამერიკულ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში, თბილისის ეკონომიკისა და სამართლის აკადემიაში.

2003-2005 წლებში მიწვეული იყო ლექციების წასაკითხად ნატოს სკოლაში (ობერამერგაუ, გერმანია).

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად წიგნის ავტორი სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში - თავდაცვის მინისტრის მოადგილის მრჩეველად სამხედრო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიტიკისა და სტრატეგიული კვლევების მთავარ სამმართველოში, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოსა და ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საერთაშორისო უსაფრთხოების დეპარტამენტში.

2002 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაცია “მარშალის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი, საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრის” პრეზიდენტი. ამჟამად კითხულობს ლექციებს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით და ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართალი/დიპლომატია ფაკულტეტზე. არის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

სხვადასხვა პერიოდში მიწვეული იყო ექსპერტად სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებზე აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ნორვეგიაში, შვედეთში, პოლონეთში, უკრაინაში, თურქეთში, რუმინეთში, ბელგიაში, სერბეთში.

არის 40-მდე სტატიისა და სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის ორი წიგნის ავტორი.

	სარჩევი	
შესავალი		7
აღიანსები და კოალიციები		15
თავი I. ნატო “ცივი ომის” პერიოდში		20
<i>ნატოს შექმნის ძირითადი მიზეზები</i>		
<i>ჩრდილოატლანტიკური ალიანსი XX საუკუნის 50-იან წლებში</i>		23
<i>ნატო XX საუკუნის 60-იან წლებში</i>		25
<i>ნატო XX საუკუნის 70-იან წლებში</i>		27
<i>ნატო XX საუკუნის 80-იან წლებში</i>		28
ნატოს სტრატეგიული კონცეფციები “ცივი ომის” პერიოდში		31
აშშ-ის, როგორც ნატოს წამყვანი სახელმწიფოს როლი		
ცივი ომის პერიოდში		32
<i>აშშ-ის ურთიერთობა ნატოს დასავლეთ ევროპულ</i>		
<i>პარტნიორებთან ცივი ომის პერიოდში</i>		34
<i>აშშ-კანადის ურთიერთობები</i>		36
<i>აშშ-სსრკ-ის ურთიერთობა ცივი ომი პერიოდში</i>		38
<i>აშშ-ის ურთიერთობა კომუნისტურ ბლოკში</i>		
<i>შემავალ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან</i>		40
<i>ნატოს დასავლეთ ევროპელი მოკავშირეების როლი</i>		
<i>ცივი ომის პერიოდში</i>		41
<i>“ცივი ომში” ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გამარჯვების</i>		
<i>ძირითადი მიზეზები</i>		43
თავი II ნატო “ცივი ომის” დასრულების შემდგომ პერიოდში		52
<i>ომი სპარსეთის ყურეში</i>		54
<i>ნატოს საბჭოს შეხვედრა კოპენჰაგენში</i>		54
<i>ნატოს რომის სამიტი</i>		56
<i>ნატო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ</i>		59
<i>აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილ</i>		
<i>საბჭოთა რესპუბლიკებთან თანამშრომლობის ახალი ეტაპი</i>		61
<i>ნატო-ს მადრიდის სამიტი</i>		63
<i>მზადება ვაშინგტონის სამიტისათვის და ნატოს</i>		
<i>ახალი სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება</i>		64
<i>ნატოს ვაშინგტონის სამიტი</i>		67
<i>ნატოს ახალი გეოპოლიტიკური ამოცანები</i>		
<i>II სექტემბრის მოვლენების შემდეგ</i>		69
<i>ერაყის კრიზისი და ნატო</i>		70
<i>ნატოს პრადის სამიტი და ალიანსის რეფორმირება</i>		72
<i>სტამბულის სამიტი</i>		77
<i>რიგის სამიტი</i>		78
ნატოს მიერ “ცივი ომის” დასრულების შემდგომ პერიოდში		
მიღებული ძირითადი დოკუმენტები და ინიციატივები		
<i>ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია</i>		82
კვლევა გაფართოებაზე		87
<i>ნატოს “გაწვერიანების სამოქმედო გეგმა.”</i>		91
ნატოს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის”		97
ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (EAPC)		102
თავი III. ნატოს როლი მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში		103
<i>ბოსნია და ჰერცეგოვინა</i>		
<i>ნატოს სამხედრო ოპერაციები კოსოვოში</i>		108
<i>ავღანეთი</i>		113

თავი IV ნატოს გეოპოლიტიკური პრიორიტეტები	116
<i>ნატოს ამერიკული და ევროპული ხელვა</i>	
<i>ნატო – რუსეთი</i>	135
<i>ნატო-უკრაინა</i>	148
<i>ნატოს ინტერესები შავი ზღვის რეგიონში</i>	152
<i>ნატოს გეოსტრატეგია კავკასიის რეგიონში</i>	162
<i>ნატოს ინტერესები ხმელთაშუა ზღვის რეგიონში</i>	171
<i>ახლო აღმოსავლეთი და სპარსეთის ყურე</i>	172
<i>ნატო და ცენტრალური აზია</i>	174
<i>ბალკანეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა</i>	178
<i>ნატოს ურთიერთობა შორეული აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის დემოკრატიული სამყაროს წარმომადგენლებთან</i>	181
<i>ჩინეთი-ნატო</i>	183
<i>ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და ერაყი</i>	186
<i>ირანი და ნატო</i>	189
<i>ნატოს ურთიერთობა აფრიკასთან</i>	192
<i>ნატოს ურთიერთობა ლათინურ ამერიკასთან</i>	193
<i>ნატოს ენერჯოუსაფრთხოების პრობლემები</i>	194
თავი V ნატოს პოლიტიკა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი	196
<i>ჩრდილოატლანტიკური საბჭო</i>	
<i>სამხედრო დაგეგმვის კომიტეტი</i>	197
<i>ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი</i>	198
ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისა და კონსენსუსის პოლიტიკა	198
<i>კრიზისების დარეგულირება</i>	199
<i>თავდაცვითი ასპექტი</i>	199
<i>ბირთვული პოლიტიკა</i>	200
<i>ეკონომიკური სფერო</i>	201
<i>საზოგადოების ინფორმირება</i>	203
თავი VI. ნატოს ძირითადი სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურები	
სამოქალაქო სტრუქტურები	
<i>ნატოს შტაბ-ბინა</i>	205
<i>მუდმივი წარმომადგენლობები და ეროვნული დელეგაციები</i>	205
<i>გენერალური მდივანი</i>	205
<i>საერთაშორისო სამდივნო</i>	206
<i>პირადი კანცელარია</i>	207
<i>გენერალური მდივნის ოფისი</i>	207
<i>აღმასრულებელი სამდივნო</i>	207
<i>ინფორმაციის და პრესის ოფისი</i>	208
<i>ნატოს უშიშროების სამსახური</i>	209
<i>პოლიტიკურ საქმეთა განყოფილება</i>	209
<i>სამხედრო დაგეგმვისა და ოპერაციათა განყოფილება</i>	210
ნატოს სამხედრო ორგანიზაცია და სტრუქტურები	
<i>სამხედრო კომიტეტი</i>	212
<i>სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე</i>	214
<i>სტრატეგიული სარდლობის მეთაურები</i>	215
<i>საერთაშორისო სამხედრო შტაბი</i>	215
<i>პარტნიორი ქვეყნების წარმოდგენა</i>	217
<i>თავდაცვის უზრუნველყოფის განყოფილება</i>	218
<i>სამხედრო მართვის ორგანოების სტრუქტურა</i>	220
<i>სამხედრო სტრუქტურა</i>	220
<i>ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა</i>	221
<i>ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ატლანტიკის რეგიონში</i>	222
<i>ერთობლივი ფინანსირების რესურსები: ნატოს ბიუჯეტები და ფინანსური საქმიანობის მმართველობა</i>	224

ნატოს საგანმანათლებლო დაწესებულებები	226
საპარლამენტო და არასამთავრობო ორგანიზაციები	228
თავი VII. ნატოს ფართო საქმიანობა	234
ნაღმების აღჭურვილობისა და იარაღის განადგურება	234
“პარტნიორობა მშვიდობისათვის” ნდობის ფონდები	235
ძველი რაკეტების განადგურება	236
საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება	236
საგანგებო სიტუაციათა ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრი	236
მზადება ტერორისტული აქტების საწინააღმდეგო ქმედებებისათვის	239
უსაფრთხოება, მეცნიერება და ეკოლოგია	240
თავდაცვა ტერორიზმისაგან	240
ბრძოლა სხვა საფრთხეების წინააღმდეგ	241
ეკოლოგია და უსაფრთხოება	242
დახმარება მიწისძვრის დროს	242
ხალხების შეკავშირება	243
თავი VIII. ნატო-საქართველოს ურთიერთობების ძირითადი ასპექტები ისტორია	244
საქართველოს მიერ ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიღებული ოფიციალური დოკუმენტები	260
საქართველო-ნატოს სამხედრო თანამშრომლობა	262
ინტენსიური დიალოგის პროცესი	272
საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერა ნატოში ინტეგრაციის გზაზე	275
საფრთხეები საქართველოსთვის ნატოში ინტეგრაციის გზაზე	276
საქართველოს ნატოში ინტეგრაცია და კონფლიქტები	282
NATO-ს ინტერესები საქართველოს მიმართ	296
ალიანსის ინტერესები საქართველოს მონაწილეობით მოქმედ	301
სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით	
საქართველოს დაინტერესება ნატო-ში ინტეგრაციით	311
დასკვნა	313
გამოყენებული ლიტერატურის სია	318
შენიშვნები	321
დანართი	324

შესავალი

“ცივი ომის” დასრულების შემდგომ პერიოდში მსოფლიო პოლიტიკაში განვითარებულმა მოვლენებმა უდიდესი გავლენა მოახდინეს ტრადიციულ ღირებულებათა გადაფასების პროცესზე, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვანი დადი დაასვა თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. პლანეტის წამყვან სახელმწიფოთა პოლიტიკური გავლენისა და ეკონომიკური ძლიერების ზრდის პარალელურად ინტენსიურად მიმდინარეობს გლობალური მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ ძალთა ახალი გადანაწილება. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსოფლიოში არსებული რეალობების გათვალისწინებით, პლანეტის სხვადასხვა რეგიონში აქტიურად ვითარდება ქვეყნებს შორის პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის პროცესები.

21-ე საუკუნეში სახელმწიფოს უსაფრთხოების ცნება უკვე აღარ არის შემოფარგლული ერთი რომელიმე ცალკეული ქვეყნის საზღვრებით. თანამედროვე პერიოდში ამა თუ იმ სახელმწიფოს უსაფრთხოება და სტაბილურობა უკვე დიდწილადაა დამოკიდებული რეგიონალურ და გლობალურ დონეზე განვითარებულ ინტეგრაციულ პროცესებზე. აქედან გამომდინარე პოლიტიკური თუ ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა შეუძლიათ მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებსაც გარე სამყაროს ზუსტი აღქმისა და მასთან დაკავშირების უნარი გააჩნიათ.

მრავალრიცხოვან უნივერსალურ თუ რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას (NATO), ევროატლანტიკურ სივრცეში სტაბილური და უსაფრთხო გარემოს ახალი არქიტექტურის მშენებლობაში ცენტრალური როლი და მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება. უახლოეს წარსულში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად ცხადყო, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი 21-ე საუკუნეში წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციას უსაფრთხოების სფეროში. ნატოს წარმატების ძირითადი მიზეზები უნდა ვეძებოთ იმ პრინციპებსა და ფასეულობებში, რომელთა საფუძველზეც გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს შეიქმნა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე წარმატებული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი. ეს ძირითადი ღირებულებები და ფასეულობები გახლავთ კანონის უზენაესობა, დემოკრატია, ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვა. სწორედ ეს გახლავთ ის ძირითადი პრინციპები და ღირებულებები, რაც ნატოს წევრ სახელმწიფოებს აერთიანებთ.

თუკი ჩვენ საფუძვლიანად გავეცნობით მსოფლიო ისტორიას, შეიქმნება სრულიად ნათელი სურათი იმისა, რომ ნატო, როგორც ალიანსი და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა, სრულიად უპრეცედენტო მოვლენასა და ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენს. არსებობს იმის საკმარისი არგუმენტები, რომ თამამად განვაცხადოთ იმის შესახებ, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ნამდვილად წარმოადგენს წარმატებულ ორგანიზაციას, კერძოდ: დაარსების დღიდან დღევანდელ პერიოდამდე ნატომ რეალურად მოახერხა თავისი წევრი სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, რაც ნატოს მთავარ მიზანს წარმოადგენდა. ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ნატომ თავისი დაარსების დღიდან მნიშვნელოვანი გაფართოება განახორციელა - თუ ალიანსის შექმნის პერიოდში ნატოში 12 სახელმწიფო გაწევრიანდა, დღევანდელ ეტაპზე მის რიგებში 26 სახელმწიფოა გაერთიანებული და დღის წესრიგში დგას ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხიც. შესაძლოა დაისვას კითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ ყოველივე ზემოჩამოთვლილი ნებისმიერ ალიანსს მოეთხოვება და არაფერი ექსტრაორდინარული ამაში არ არის, მაგრამ ამავე

დროს, მსოფლიო ისტორიაში შეუძლებელია მოვიყვანოთ მსგავსი მაგალითი და ეს მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახელმწიფოთა ინიციატივით საერთო საფრთხესთან საბრძოლველად მუდამ იქმნებოდა კოალიციები და ალიანსები. ამ საფრთხეს ძირითად შემთხვევაში ძლიერი და აგრესიული სახელმწიფოები წარმოადგენდნენ, რომლებსაც მუდამ ჰქონდათ სხვა ქვეყნის ტერიტორიის მიტაცების მიზანი. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კი საერთო საფრთხე აღარ არსებობდა, რაც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ძლიერი და აგრესიული სახელმწიფოს დამარცხებით ან მასთან საზავო ხელშეკრულების გაფორმებით, კოალიცია საკუთარ ფუნქციას კარგავდა, ხოლო მისი წევრები-ყოფილი მოკავშირეები ძველ მიზნებს ივიწყებდნენ და ერთმანეთთან მეტოქეობდნენ, რაც ახალი ომების დაწყების საფუძველი ხდებოდა.

კაცობრიობის ისტორიაში არსებული ეს მძიმე გამოცდილება სახელმწიფოებს თითქოს უბიძგებდა, რომ მათ უარი ეთქვათ ახალ ექსპერიმენტებზე და გაეთვალისწინებინათ ის პოლიტიკური რეალობები, რომელიც არსებობდა საერთაშორისო ურთიერთობების მთელი ისტორიის მანძილზე. ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში დაწყებული “ცივი ომის” შემდეგ, კერძოდ კი 1949 წელს შექმნილი ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) დღევანდელ დღემდე ასეთი ძლიერი და ქმედუნარიანი გამოდგა, განსაკუთრებულ ახსნას საჭიროებს და ამის რამდენიმე ძირითადი მიზეზი არსებობს, კერძოდ:

- ნატოს მთავარი დასაყრდენი გახლდათ აშშ, რომელიც რეალურ სამხედრო და ეკონომიკურ ძალას წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ პირველი უნივერსალური ორგანიზაცია ერთა ლიგა აშშ-ის ინიციატივით შეიქმნა, მაგრამ კონგრესმა არ მოიწონა ამ იდეის ინიციატორის, პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის ეს ნაბიჯი და შესაბამისად აშშ ამ ორგანიზაციაში ვეღარ გაწევრიანდა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კი თავის მხრივ უპირველესად გაიგივებული იყო აშშ-ის სამხედრო პოტენციალთან თავისი ბირთვული არსენალით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ნებისმიერი პოტენციური აგრესორის დამარცხება;

- ნატოს წევრების გაერთიანების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა საერთო მტრის არსებობა, რომელიც უდიდეს საშიშროებას უქმნიდა იმდროინდელ მსოფლიოს. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ და მისი პოლიტიკური გავლენის გაფართოებამ პირველ რიგში აღმოსავლეთ ევროპაში ცხადყო, რომ კომუნიზმის გავრცელების საფრთხე მთელ პლანეტას დაემუქრა და მოითხოვდა მასთან ერთობლივი ბრძოლის საჭიროებას. ამ გლობალური მნიშვნელობის საფრთხემ ევროპის სახელმწიფოებს იქამდე არნახული სოლიდარობის გრძნობა ჩაუნერგა;

- ნატოს წევრ ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს აერთიანებდათ არა მხოლოდ საერთო მტერი და საფრთხე და ამ საფრთხესთან საერთო ბრძოლის აუცილებლობა, არამედ საერთო ღირებულებებიც. ეს ღირებულებები გახლდათ დემოკრატია, პიროვნების თავისუფლება, კანონის უზენაესობა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა. საბჭოთა ექსპანსიის, კომუნიზმისა და ტოტალიტარული იდეოლოგიის გავრცელების საფრთხემ კარგად ცხადყო და გამოკვეთა დემოკრატიულ ფასეულობათა უდიდესი მნიშვნელობა დასავლური ცივილიზაციისათვის;

- ნატოს შექმნას საფუძვლად დაედო აშშ-ის პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის დროს მიღებული ე. წ. შეკავების დოქტრინა, რომლის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ აშშ მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში დემოკრატიული და ანტისაბჭოთა ძალების მხარდაჭერის გზით წინ უნდა აღდგომოდა მოსალოდნელ კომუნისტურ ექსპანსიას. თითქოსდა ამ იდეის

განხორციელება მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენდა, მაგრამ მის უკან იდგა ურყევი ნება – აშშ და მასთან მთელი დასავლური სამყარო, რომელიც ყველანაირად მზად იყო დაეცვა თავისი უსაფრთხოება და ფასეულობები.

ნატოს შექმნას საფუძველი ჩაეყარა ვაშინგტონში, როდესაც თორმეტმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას, რომელიც ასევე ვაშინგტონის შეთანხმებით არის ცნობილი. ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს ბელგიამ, საფრანგეთმა, პორტუგალიამ, კანადამ, ამერიკის შეერთებული შტატებმა, ნიდერლანდებმა, იტალიამ, ნორვეგიამ, ლუქსემბურგმა, დანიამ, გაერთიანებულმა სამეფომ, ისლანდიამ. 1952 წელს ალიანში მიიღეს თურქეთი და საბერძნეთი - ქვეყნები, რომელთაც რეალურად ემუქრებოდათ კომუნისტური საფრთხე. 1955 წელს ალიანსის წევრი გახდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1982 წელს – ესპანეთი, სადაც უკვე აღარ იყო ფრანკო და მისი რეჟიმი.

ვაშინგტონის ხელშეკრულება წარმოადგენს ალიანსის დამფუძნებელ დოკუმენტს, რომლის უმთავრესი პრინციპია კოლექტიური უსაფრთხოება. ხელშეკრულება შედგება თოთხმეტი მუხლისაგან, აქედან ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია მე-5 მუხლი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ნებისმიერი სახის აგრესია ნატოს ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოზე განიხილება, როგორც თავდასხმა მთელ ალიანსზე და შესაბამისად, ნატოს წევრი ქვეყნები აგრესორის შესაკავებლად დაუყოვნებლივ გაუწევენ დახმარებას (მათ შორის სამხედრო სახის) თავდასხმის ობიექტს. ხელშეკრულებაში, რომელიც ჩამოყალიბებულია გაეროს წესდების 51-ე მუხლის საფუძველზე, ჩადებული გახლავთ მთელი რიგი პრინციპები, რომლებიც ხაზს უსვამს ალიანსის წევრების მტკიცე გადაწყვეტილებას, არ დაუშვან და ყველა შესაძლო გზით აღკვეთონ ნებისმიერი სახის აგრესია. საბჭოური და კომუნისტური აგრესიის შესაკავებლად იმ რეალურ ძალასთან ერთად, რასაც აშშ-სა და მისი ევროპელი მოკავშირეების შეიარაღებული ძალები და ეკონომიკური პოტენციალი წარმოადგენდა, და იმ ერთსულოვნებასთან ერთად, რამაც დემოკრატიული დასავლეთის ქვეყნები კომუნისტური აგრესიისგან თავდასაცავად ერთმანეთთან შეაკავშირა, ალბათ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ვაშინგტონის ხელშეკრულების მტკიცე ტონიც წარმოადგენდა. ალბათ სწორედ ესეც გახლავთ ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მთელი ცივი ომის განმავლობაში მე-5 მუხლის ამუშავება ერთხელაც არ გამხდარა საჭირო – საბჭოთა კავშირმა ვერ გაბედა რაიმე სახის აგრესიის განხორციელება არც ერთი ალიანსის წევრი ქვეყნის წინააღმდეგ.

ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ვაშინგტონის ხელშეკრულება ითვალისწინებს ამ დოკუმენტის ხელმომწერთა ერთგულებას საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისადმი. როგორც წინა პარაგრაფში იქნა აღნიშნული, ნატოს წესდება ეხმიანება გაერო-ს ქარტიაში გახმოვანებულ საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოების პრინციპებს და აღნიშნავს, რომ ვაშინგტონის ხელშეკრულება სწორედ ამ პრინციპებზე დგას. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხელშეკრულების მიხედვით, თუ შეიქმნა იმის საჭიროება, რომ უნდა ამოქმედებულ იქნეს წესდების მე-5 მუხლი, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს და თუკი ალიანსის, ან მისი რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის აღსაკვეთად საბჭოს მიერ მიღებული იქნება შესაბამისი ზომები, მაშინ ნატო მხედველობაში მიიღებს აღნიშნულ გარემოებას და მე-5 მუხლით გათვალისწინებული ზომების მიღება შეწყდება. აქედან ნათლად ჩანს ნატოს მშვიდობიანი და დემოკრატიული ხასიათი - მიუხედავად წესდებაში მტკიცედ გაცხადებული მზადყოფნისა, საჭიროების შემთხვევაში დაეცვა ალიანსის წევრი სახელმწიფოები ყველა შესაძლო საშუალებით, ნატო მაინც გაეროს, და

შესაბამისად საერთაშორისო სამართლის იდეალებში გაცხადებული ამერიკული ოცნებების ერთგული რჩებოდა, რომელიც მშვიდობიან, სამართლიან პრინციპებზე დაფუძნებულ მსოფლიოსა და კოლექტიურ უსაფრთხოებაში მდგომარეობს. მკაცრი ტონის პარალელურად, ვაშინგტონის ხელშეკრულებაში ფიქსირდება, რომ დოკუმენტის ხელმომწერები “კისრულობენ ვადლებულებას, როგორც ეს გადმოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიაში, მშვიდობიანი გზით მოავგარონ ნებისმიერი საერთაშორისო დავა, რომელშიც ისინი შესაძლოა, ჩართულნი აღმოჩნდნენ.” (1)

1950-იანი წლების პირველ ნახევარში ნატოს ფარგლებში ამერიკელ და ევროპელ მოკავშირეებს შორის ჩამოყალიბებული ტრანსატლანტიკურ სოლიდარობა დადგა პირველი სერიოზული გამოცდის წინაშე. საბჭოთა ხელისუფლება ნათლად აცნობიერებდა იმ ფაქტს, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ სახელმწიფოებს გააჩნდათ მტკიცე ერთიანობა, რადგანაც თითოეული ნატოს წევრი ქვეყანა გამოთქვამდა თავის მზადყოფნას საკუთარი წვლილი შეეტანა კომუნიზმის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომაც, მოსკოვმა განიზრახა გარკვეული ბზარი შეეტანა და გაეტეხა დასავლეთის ერთიანობა. მცდელობის იარაღად გერმანიის გაერთიანების იდეა იქცა. კრემლი თითქოსდა თანხმობას აცხადებდა დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის კვლავ გაერთიანებაზე იმ პირობით, თუკი გაერთიანებულ გერმანიას ექნებოდა ნეიტრალური სტატუსი და შესაბამისად იგი ნატოს გარეთ დარჩებოდა. ამ იდეასთან დაკავშირებით მწვავე დებატები გაიმართა აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში, რომ არაფერი ვთქვათ თავად გერმანიაზე. ბევრი გამორჩენილი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე იწონებდა რუსების მიერ წამოყენებულ წინადადებას, მაგრამ ამის მიუხედავად საბოლოო ჯამში გადამწყვეტი როლი ითამაშა ტრანსატლანტიკურმა სოლიდარობამ. თეთრი სახლის ადმინისტრაციაში სკეპტიკურად აღიქვამდნენ ტოტალიტარული რეჟიმის მქონე სახელმწიფოს მხრიდან რაიმე კეთილი ნების არსებობას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის მხრიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში დიდი როლი ითამაშა დასავლეთ გერმანიის იმდროინდელმა კანცლერმა კონრად ადენაუერმა. ნატომ და დასავლურმა სოლიდარობამ ცდუნებას გაუძლო და შესაბამისად ალიანსის წევრი ამერიკელი და ევროპელი მოკავშირეები ერთ საერთო აზრზე დარჩნენ. იმ დროს, როდესაც ალიანსი რამდენიმე წლის ჩამოყალიბებული იყო, მას თავისი მნიშვნელობა მისი არსებობიდან პირველივე ეტაპზე უნდა დაემტკიცებინა, სწორედ ეს იყო მთავარი.

“ცივი ომის” მთელი პერიოდის განმავლობაში ნატოს მიმართ საბჭოთა კავშირის მხრიდან უძლიერესი პროპაგანდა იყო ამოქმედებული. საბჭოთა პარტიული მოღვაწეები და პოლიტოლოგები ყველანაირი მორიდების გარეშე აბსურდულ ცილისწამებასა და კრიტიკას აფრქვევდნენ ალიანსის საქმიანობაზე. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგანაც საბჭოთა იმპერიისგან ესოდენ დიდი ყურადღების მიპყრობას ერთგვარი “დამსახურება” სჭირდებოდა და ნათლად მიანიშნებდა იმაზე რომ ნატო რეალურ ძალას წარმოადგენდა და ვერანაირად ვერ დაუშვებდა კომუნისტური ბლოკის მხრიდან რაიმე სახის აგრესიის განხორციელებას, რითაც იგი სსრკ-სა და მის სატელიტებს რეალურ პრობლემებს უქმნიდა. ეს პრობლემა, პირველ რიგში დაკავშირებული იყო ალიანსის მტკიცე ნებასთან დაეცვა დემოკრატიული ღირებულებები. ამ იდეის განხორციელების მიზნით ნატოს მხრიდან ერთგვარი წითელი ზოლი იქნა გავლებული, რომლის გადაკვეთასაც საბჭოთა შეიარაღებული ძალები ვერ ბედავდნენ.

ამის ნათელი დადასტურება გახლავთ ის ფაქტი, რომ “ცივი ომის” თითქმის ორმოცდაათწლიანი პერიოდის განმავლობაში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ერთხელაც არ დასჭირვებია აემოქმედებინა ნატოს წესდების მე-5 მუხლი, რისი

მიზეზიც გახლავთ ის, რომ ნატოს წევრ ქვეყანაზე და შესაბამისად მთელ ალიანსზე თავდასხმა არავის გაუბედავს და ნატოში გაერთიანება უსაფრთხოების მყარ გარანტიას იძლეოდა. ეს კი იმაზე მიუთითებდა, რომ ნატოს სახით ყველა ხედავდა ერთსულოვან ალიანსს, რომელსაც გააჩნდა მტკიცე ნება, დაეცვა ყველაფერი, რაც მისი წევრი ქვეყნებისათვის ესოდენ ძვირფასი იყო – თავისუფლება, დემოკრატია, კეთილდღეობა – და მათ დასაცავად ალიანსს საკმარისი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალიც გააჩნდა.

დღევანდელ პერიოდში ზოგიერთი რუსი პოლიტოლოგი, გაღიზიანებული იმით, რომ ნატო “ცივი ომში” გამოვიდა როგორც გამარჯვებული ალიანსი, იხსენებს რა აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის კონფრონტაციის პერიოდს, ამტკიცებს, რომ აშშ არანაკლები აგრესორი და ოკუპანტი იყო, ვიდრე საბჭოთა კავშირი, რადგან თუკი ამ უკანასკნელის პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთ ევროპაზე ვრცელდებოდა და მას ამ რეგიონში ჰყავდა დისლოცირებული თავისი შეიარაღებული ძალები, აშშ-ის სამხედრო ბაზები და სხვა სამხედრო ობიექტები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში იყო განთავსებული. თუმცა ასეთი ტიპის ექსპერტებსა და პოლიტოლოგებს ერთი უბრალო მომენტი “ავიწყდებათ”

საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით, ამერიკის სამხედრო ნაწილები ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე ამ ქვეყნის მოსახლეობის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების, ანუ ამ ქვეყნის ხალხის თანხმობით იმყოფებოდა. არავის დაუძალებია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის ნატოში გაწევრიანება, ხოლო “ცივი ომის” დასრულების შემდეგ არც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის დაუძალებია ვინმეს ნატოში შესვლა, როცა ნატომ, პირველ რიგში რუსეთის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებისათვის სამწუხაროდ არათუ შეწყვიტა არსებობა, არამედ აღმოსავლეთით გაფართოება და სხვა ახალი მიმართულებებით საქმიანობა დაიწყო.

ბევრი რუსი პოლიტოლოგისა და პოლიტიკური მოღვაწის მტკიცებით, დასავლეთმა ბოროტად გამოიყენა კომუნისტური ბლოკის დაშლა და რუსეთის ინტერესების სრული იგნორირებით “ცივი ომის” დასრულების შემდეგ ნატოს საზღვრები გააფართოვა. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოება დაკავშირებულია ცივი ომისდროინდელ აზროვნებასთან. თუმცა, რუსეთელთა ამ მოსაზრების გასაქარწყლებლად ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ ნატოს დამფუძნებელ დოკუმენტს-ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას. ამ დოკუმენტში ნათლად და მკაფიოდ არის განსაზღვრული, რომ ალიანსის გაფართოება გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის პრინციპებიდან, რომელიც ამ დოკუმენტშია გაცხადებული. “მხარეებს შეუძლიათ, ერთსულოვანი თანხმობით, ამ ხელშეკრულებასთან მისაერთებლად მოიწვიონ ნაბისმიერი სხვა ევროპული სახელმწიფო, რომელიც ხელს უწყობს ამ ხელშეკრულების პრინციპების განხორციელებას და წვლილი შეაქვს ჩრდილო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში“-კვითხულობთ ნატოს წესდების მე-10 მუხლში (2). ამიტომაც, ნატოს მესვეურებს არ შეეძლოთ უარი ეთქვათ პოლონეთის, ჩეხეთის, უნგრეთის (ისინი ნატოში გაწევრინდნენ 1999 წელს) და ბალტიისპირეთის ქვეყნებისათვის, ასევე სლოვენის, სლოვაკეთის, ბულგარეთისა და რუმინეთისათვის, რომლებიც ნატოში 2004 წელს გაწევრიანდნენ და რომლებმაც წარმატებით შეასრულეს ნატოს მიერ წამოყენებული პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური ხასიათის მოთხოვნები, რითაც თვალნათლივ დაამტკიცეს, რომ ისინი დასავლური ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ და იზიარებდნენ იმ ფასეულობებს, რომელსაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იცავდა. გარდა ამისა, ყოფილი აღმოსავლეთ ევროპის ნატოსკენ სწრაფვას განაპირობებდა რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკაც, და ამის გამო ეს ქვეყნები ჩვენს

ჩრდილოელ მეზობელს კვლავ პოტენციურ საფრთხედ აღიქვამდნენ. “ცივი ომის” შემდგომ პერიოდში გატარებული პოლიტიკით, ნატომ უბრალოდ მაქსიმალურად გამოიჩინა სამართლიანობა და კარი გაუღო მათ, ვინც დასავლურ ფასეულობებს იზიარებდა, ვისაც ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებაში წვლილის შეტანა შეეძლო და ვისაც, ამა თუ იმ სხვა მიზეზის გამო, ალიანსის წევრობა სურდა. სწორედ რომ პირიქით, ნატოს მიერ “დახურული კარის” პოლიტიკა იქნებოდა “ცივი ომის” აზროვნების გადმოტანა XXI საუკუნეში, რადგან ამ შემთხვევაში ალიანსი დარჩებოდა აღმოსავლეთთან კონფრონტაციის პერიოდში შექმნილი ფორმით და იქნებოდა ჩაკეტილი ქვეყნების ჯგუფი. მოკლედ, დემოკრატიულ მსოფლიოს არანაირად არ სურდა, რომ ნატოს - ამ უნიკალურ ალიანსს - ვარშავის ბლოკის დაშლის პარალელურად არსებობა შეეწყვიტა და თუკი მას “ცივი ომის” შემდეგ უნდა ეარსება, მასში ახალი დემოკრატიული ქვეყნები უნდა გაწევრიანებულიყო.

ალიანსის გაფართოების პროცესს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელ ეტაპზე, როდესაც ცივილიზებული სამყარო დადგა სრულიად ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე. 2001 წლის 12 სექტემბერს – აშშ-ს წინააღმდეგ განხორციელებული ტერაქტიდან რამდენიმე საათში ნატომ თავისი ისტორიის განმავლობაში პირველად მიმართა მე-5 მუხლს და განაცხადა, რომ თავდასხმა აშშ-ზე, როგორც ალიანსის წევრ სახელმწიფოზე განიხილება თავდასხმად მთელი ალიანსის წინააღმდეგ და მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის შეიარაღებულმა ძალებმა წარმატებული სამხედრო ოპერაცია ჩაატარეს ავღანეთში თალიბთა რეჟიმის წინააღმდეგ, მოგვიანებით, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორიზმის წინააღმდეგ საომარმა კომპანიამ ნატოს ეგიდით დაიწყო განხორციელება, რაც ალიანსის ისტორიაში კიდევ ერთი ახალი ეპოქის დასაწისად იქცა. თუ მანამდე ნატოს ძირითად მიზანს მე-5 მუხლზე დაყრდნობით წარმოადგენდა კოლექტიური თავდაცვა, რითაც ალიანსი უზრუნველყოფდა ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებას, ახალი რეალობების გათვალისწინებით ნატომ ამ სივრცის ფარგლებს გარეთ დაიწყო აქტიური მოქმედება, როდესაც მან თავის ისტორიაში პირველად დაიწყო სახმელეთო ოპერაციის ჩატარება ავღანეთის ტერიტორიაზე, რითაც მან მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ტერორიზმის ბუდეს. როგორც ვიცით, განსხვავებული ვითარება არსებობდა “ცივი ომის” პერიოდში, როდესაც ორი დაპირისპირებული ბლოკი – ნატო და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია თავიანთ კონკრეტულ სივრცეებში იყვნენ ჩაკეტილები და შესაბამისად ნატოს ევროატლანტიკური ზონის გარეთ იმ პერიოდში არავითარი პრეტენზია არ გააჩნდა. აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობაა თანამედროვე ეტაპზე, რადგანაც დღევანდელ პერიოდში ახალი მოწინააღმდეგე ყველგან შეიძლება იყოს, მას არ გააჩნია კონკრეტული სივრცე და აუცილებელია მასთან ბრძოლა ყველგან, გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად. “მოქმედება ყველგან და დაუყოვნებლივ, როცა საჭიროა ბრძოლა ტერორიზმთან, არანაირი გეოგრაფიული შეზღუდვა”(3) – ასეთი შინაარსის განცხადება გაკეთდა 2002 წლის ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრაზე რეიკიავიკში. ცხადია, ეს მოქმედება გაფართოებული ნატოს პირობებში კიდევ უფრო გაიოლდება, რადგანაც კიდევ უფრო მეტ ქვეყანას ექნება იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი წვლილი შეიტანოს ნატოს სამხედრო თუ სამშვიდობო ოპერაციების ჩატარების პროცესში.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ევროპაში ახალი პოლიტიკური რეალობების ჩამოყალიბების შედეგად, ნატოს მიეცა საშუალება მის ფარგლებს გარეთ მშვიდობის გამყარებაზე ზრუნვა 2001 წლის სექტემბრამდე გაცილებით ადრე დაეწყო – როდესაც ნატოს ფარგლებში ცხარე დებატები მიმდინარეობდა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე საომარი

მოქმედებების შეჩერების თაობაზე და ამ მიმართულებით ალიანსის შესაძლო როლზე. სევე, მშვიდობის განმტკიცებას ემსახურებოდა ნატოს ინიციატივით 1994 წელს შექმნილი ახალი პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის”. გარდა ამისა, “ცივი ომის” დამთავრების შემდეგ ნატოს ახალ სტრატეგიაში მნიშვნელოვანი როლი დაეთმო ისეთ სფეროს, როგორცაა სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვა. პარტნიორ და წევრ სახელმწიფოებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება ურთიერთდახმარების შესახებ საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში, რაც ითვალისწინებს კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრის მეშვეობით ქვეყნის შიდა რესურსების საზღვარგარეთ გამოყენებას. ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბების წყალობით შესაძლებელია დაზარალებული ქვეყნის ოპერატიულად დახმარება, რადგან ცენტრში 24 საათის განმავლობაში ხდება ინფორმაციის მიღება და დამუშავება. ეს კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ცივი ომის შემდგომ ალიანსი ტრანსპორტირების განიცდის. დღეს ნატო აღარ არის მხოლოდ ის ორგანიზაცია, რომლის მთავარ მიზანს მხოლოდ თავისი წევრი ქვეყნების სამხედრო თავდასხმისაგან მათსავე ტერიტორიაზე დაცვა წარმოადგენდა. დღეს ალიანსს მრავალი სხვა მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია. იგი დაკავებულია ახალ საფრთხეებთან ბრძოლისა და ჰუმანიტარული აქციების განხორციელებით, სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებით და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებით და ა.შ. ნატოს ეგიდით დღევანდელ დღეს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება, მათ შორის აღსანიშნავია საერთაშორისო ფორუმები და სპორტული შეჯიბრებები. უახლესი ტექნიკური მიღწევების წყალობით, რადარებით აღჭურვილი და ნატოს დაფინანსებით მოქმედი AWACS – ის ტიპის თვითმფრინავები დიდ საჰაერო სივრცეს ფარავენ და უსართხოებას სრულიად ახალ დონეზე უზრუნველყოფენ.

ნატო გაფართოების შემდგომაც აგრძელებს ღია კარის პოლიტიკის გატარებას. ამ მიზნით ნატოს ფარგლებში საფუძვლიანი კვლევა იქნა ჩატარებული გაწევრიანების თაობაზე, ამ დოკუმენტზე დაყრდნობითა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციიდან მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ალიანსმა ე.წ. გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (Membership Action Plan) ჩამოაყალიბა, რომლის წარმატებით განხორციელების შემდეგ ქვეყანა უკვე რეალურ ბერკეტებს ფლობს გაწევრიანდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. აღნიშნული გეგმა წარმატებით განახორციელებს ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა და სხვა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა და ამჟამად მას მაკედონია, ხორვატია და ალბანეთი ახორციელებენ. საქართველო როგორც ცნობილია ამ ეტაპზე ჯერჯერობით არ არის გადასული, მაგრამ ჩვენი ქვეყნისათვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე გადასვლა არ წარმოადგენს შეუძლებელ ამოცანას. ნატოში შესვლა საკმაოდ რთული პროცესია და ეს არც არის გასაკვირი. თვითონ ის ფაქტი, რომ ნატოში გასაწევრიანებლად ალიანსის სტანდარტების დაკმაყოფილება არ გახლავთ ერთი და ორი წლის ამოცანა, მოწმობს, რომ ნატო მეტად წარმატებული, შეიძლება ითქვას უნიკალური ალიანსია. მისი სიძლიერე მდგომარეობს მის უნარში შეიცვალოს, გარდაქმნას საკუთარი თავი ახალი ასიმეტრიული საფრთხეების, საერთაშორისო ტერორიზმისა და მასობრივი განდგურების იარაღის გავრცელების საპასუხოდ, იმ პრობლემების საპასუხოდ, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან მსოფლიო მშვიდობას. თავისი შემაკავებელი და დამცავი როლით ნატო არის მისი წევრების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული უსაფრთხოების გარანტია, ხოლო ღია კარის პოლიტიკის წარმოებით ალიანსი მაქსიმალურად ცდილობს მის ახალ წევრებთან ძალისხმევის გაერთიანებისკენ, იმ ქვეყნებთან რომლებიც იზიარებენ ევროატლანტიკური ორგანიზაციის

ფასეულობებს. ბოლო ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში ალიანსმა თავისი საქმიანობის გააქტიურება ევროატლანტიკური სივრცის ფარგლებს გარეთაც დაიწყო. დღევანდელ დღეს წარმატებული თანამშრომლობა ვითარდება ხმელთაშუა ზღვისპირეთის, კავკასიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიის და ფართო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ზემოაღნიშნული რეგიონების სახელმწიფოებთან პარტნიორულ ურთიერთობების გაღრმავება წარმოაჩენს ნატოს მზადყოფნას იმოქმედოს როგორც ორგანიზაციამ, რომელსაც უნარი შესწევს აიღოს პასუხისმგებლობა და არაწევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით მზად შეხვდეს თანამედროვე საფრთხეებს.

უსაფრთხოების ახალი გარემო ალიანსისაგან მოითხოვს: ტრანსფორმაციასა და ბალანსის ძიებას მის ტრადიციულ მისიებსა და ახალ გლობალურ საფრთხეებს შორის; ახალ საფრთხეებთან ბრძოლის მიზნით არსებული თავდაცვითი პოტენციალის გაძლიერებას; ადაპტაციას, რათა გამოეხმაუროს ალიანსის წევრთა და პარტნიორი ქვეყნების მოთხოვნილებას უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარების მიზნით, წარმატებული საქმიანობა განახორციელოს როგორც ევროატლანტიკურ სივრცეში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აქედან გამომდინარე, დღეს ნატოს შეიძლება ეწოდოს რეგიონული ორგანიზაცია გლობალური პასუხისმგებლობით.

წინამდებარე წიგნში განხილული და გაანალიზებულია კაცობრიობის ისტორიაში უძლიერესი პოლიტიკური და სამხედრო ალიანსის-ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ისტორიის, სტრუქტურისა და საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტები. ალიანსისა, რომლის დანიშნულებაც მსოფლიოში მშვიდობის დაცვაა. აქედან გამომდინარე ავტორი შეეცადა მკითხველისთვის წარმოეჩინა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის როლი “ცივი ომის” პერიოდში და ამ პერიოდის დასრულების შემდგომ პერიოდში, ასევე თუ რა როლი და ადგილი ენიჭება ნატოს 21-ე საუკუნეში. წიგნში მნიშვნელოვანი ყურადღებაა გამახვილებული საქართველო-ნატოს ურთიერთობებზე, იმაზე თუ მნიშვნელობა გააჩნია საქართველოსთვის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ურთიერთობას.

ალიანსები და კოალიციები

მსოფლიო ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ მათი ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების მიზნით მრავალი ალიანსი თუ კოალიცია იქნა შექმნილი. მსგავსი ტიპის კავშირები იქმნებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა და როცა მათ წინაშე საერთო საფრთხე არსებობდა. სხვადასხვა ალიანსებისა თუ კოალიციების შექმნით კავშირში შემავალი სახელმწიფოები ერთად აწონასწორებდნენ მეტოქის რეალურად თუ სუბიექტურად აღტქმულ ძლიერებას. კავშირის წევრები მიიჩნევდნენ, რომ პოტენციური აგრესორი საკმაოდ ძლიერი კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას მოერიდებოდა. კაცობრიობის ისტორიაში ასეთი ტიპის კავშირების მრავალი მაგალითი არსებობს. მაგალითად ანტიკურ საბერძნეთში ძველი წელთაღრიცხვით 280-146 წლებში არსებობდა “აქეელთა კავშირი”, რომელიც ძველი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების “ანტიმაკედონიურ ფედერაციას” წარმოადგენდა და რომლის მიზანსაც შესაბამისად ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ბერძნული სახელმწიფოს-მაკედონიის დანარჩენ ბერძნულ სახელმწიფოებზე შესაძლო პოლიტიკური და სამხედრო გავლენის შეკავებას ისახავდა მიზნად. ალიანსებისა და კოალიციების მაგალითები შუა საუკუნის განმავლობაშიც მრავლად მოიპოვება. ავიღოთ თუნდაც მე-17 საუკუნეში, კერძოდ 1618-1648 წლებში გამართული ოცდაათწლიანი ომის შემთხვევა, როდესაც იმ პერიოდის ევროპაში ერთ-ერთ უძლიერესი სახელმწიფოს, საფრანგეთის, აგრეთვე ამ უკანასკნელის მოკავშირეების მოსალოდნელი სამხედრო ექსპანსიის შეჩერების მიზნით ჩამოყალიბებულ იქნა “ჰაბსბურგთა ბლოკი”, რომელშიც შედიოდნენ ესპანელი და ავსტრიელი ჰაბსბურგები, კათოლიკე გერმანელი მთავრები, რომლებსაც მხარს თავის მხრივ რომის პაპი და რეჩ პოსპოლიტა (პოლონეთი) უმაგრებდა. იგივე შეიძლება ითქვას 1701-1714 წლებში გამართულ ომზე “ესპანეთის მემკვიდრეობისათვის”, სადაც ფრანგულ-ესპანური კოალიციის წინააღმდეგ დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, ავსტრიისა და პრუსიის კავშირი მოგვევლინა. ასევე, კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული კოალიცია ავსტრიის, პრუსიისა და რუსეთის შემადგენლობით. უახლეს ისტორიაში რა თქმა უნდა ცნობილია პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანიის წინააღმდეგ შექმნილი “ანტანტის” (შექმნა 1904-1907 წლებში, შედიოდნენ ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი) და “სამთა კავშირის” (შექმნა 1882 წელს და მასში შედიოდნენ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია) სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები. მსოფლიო ისტორიაში უდიდესი კოალიცია მეორე მსოფლიო ომის დროს იქნა დაფუძნებული, რომელიც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ იქნა ჩამოყალიბებული. მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ სტადიაზე “ანტიჰიტლერულ კოალიციაში” 50 სახელმწიფოზე მეტი იყო გაწევრიანებული. თუმცა, ყველაზე უფრო ჩამოყალიბებული სახე კავშირებმა უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო, როდესაც მოსალოდნელი საბჭოთა აგრესიისგან და ევროპაში კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების საფრთხისგან თავის დასაცავად შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია - ნატო ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ კომუნისტური იდეოლოგიების მოსაზრებით “დასავლური იმპერიალიზმისაგან” თავდაცვის მიზნით საბჭოთა ბლოკში შემავალი სახელმწიფოების ინიციატივით - ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია დაფუძნდა.

როდესაც ჩვენ სხვადასხვა ალიანსებსა და კოალიციებზე ვსაუბრობთ, უნდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ ტიპის კავშირებში მეოფი სახელმწიფოების ვალდებულებები და შესაძლებლობები ერთმანეთისაგან განსხვავდება, რისი ძირითადი მიზეზიც გახლავთ ის, რომ სახელმწიფოები

ერთმანეთისაგან განხვავდებიან სიდიდით, სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალით და ა. შ. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც წინა პარაგრაფში ნახსენები ანტიკონტინენტური კოალიცია, სადაც მიუხედავად იმისა რომ მასში 50-ზე მეტი სახელმწიფო შედიოდა, რა თქმა უნდა “ლომის წვლილი” გერმანიასთან, იაპონიასთან და იტალიასთან (1943 წლამდე) ბრძოლაში აშშ-ზე, სსრკ-ზე და დიდ ბრიტანეთზე მოდიოდა. რა თქმა უნდა ამ კონტექსტში უნდა მოვიხსენიოთ ნატოც, სადაც წამყვანი როლი აშშ-ს ეკისრება, თუმცა ისეთი დიდი ქვეყნები, როგორებიცაა საფრანგეთი, გერმანია, იტალია, დიდი ბრიტანეთი ან თუნდაც თურქეთი საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენენ ნატოს წევრი ევროპის პატარა (რა თქმა უნდა მხოლოდ ტერიტორიის ფართობი იგულისხმება) ქვეყნებთან შედარებით. ამავე დროს არის კავშირები, რომლებშიც მოკავშირეები თითქმის თანაბრად ინაწილებენ ვალდებულებებს და სარგებელს – მაგალითად, ამის ნათელი დადასტურებაა მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-დიდი ბრიტანეთი-სსრკ-ს კავშირი ერთის მხრივ, და გერმანია-იაპონია-იტალიის, ე.წ. “ღერძული სახელმწიფოების” ალიანსი მეორეს მხრივ. ამავე დროს არსებობენ ისეთი კავშირებიც, რომლებშიც ვალდებულების “ლომის წვლილი” ერთ მოკავშირეზე მოდის (4). ასეთ კავშირად გარკვეულწილად შეგვიძლია მივიჩნიოთ 1955-1991 წლებში არსებული ვარშავის ბლოკი, სადაც ვალდებულებათა უდიდეს ნაწილს თავის თავზე საბჭოთა კავშირი იღებდა, ხოლო ვალდებულებათა მცირე ნაწილი ბლოკის წევრ სახელმწიფოებზე ერთნაირად ვრცელდებოდა.

მეტად რთულია მოახდინო კავშირში შემავალი ქვეყნების მიზნებისა და ამოცანების ზუსტი შეფასება, მაგრამ მოკავშირეთა პოზიციების დაახლოების უმთავრეს მიზეზს მაინც საერთო საფრთხის შეგრძნება წარმოადგენს. ამ მიზეზის გამო ზოგიერთ შემთხვევაში ერთსა და იმავე კავშირში შესაძლოა სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური პრინციპების მქონე მოკავშირეები ვიხილოთ (5). ამის ნათელი დადასტურებაა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აზიაში შექმნილი ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი-სეატო და სენტო. მაგალითად “სენტოში” მისი ფუნქციონირების პერიოდში მასში გაწევრიანებულები იყვნენ ერთის მხრივ დემოკრატიული აშშ და დიდი ბრიტანეთი, ხოლო მეორეს მხრივ აზიის ავტორიტარული რეჟიმების წარმომადგენელი ქვეყნები ირანი და ერაყი, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მოკავშირეებს ბევრი რამ (პოლიტიკური, იდეოლოგიური, კულტურული ასპექტები) საერთო აქვთ. ამის ნათელი დადასტურებაა დღევანდელი ნატო, რომელიც ალიანსში გაწევრიანების უმთავრეს წინაპირობად ასპირანტ ქვეყანაში სრული დემოკრატიის არსებობას მიიჩნევს. ზოგ შემთხვევაში დიდი, უძლიერესი სახელმწიფოები არ თვლიან საჭიროდ რაიმე ტიპის ალიანსსა თუ კოალიციაში გაწევრიანებას, მაგალითად იგივე დღევანდელი ჩინეთი ან ინდოეთი. ეს უკანასკნელი ე.წ. “მიუმხრომლობის” პოლიტიკას ახორციელებს. რაც შეეხება საშუალო და პატარა ქვეყნებს, რომელთა სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობები შედარებით მოკრძალებულია, ეს სახელმწიფოები კავშირში შესვლით მნიშვნელოვან “მფარველს” პოულობენ თავიანთი უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით. ეს შეიძლება ითქვას ნატოს წევრ ევროპის - ტერიტორიითა და მოსახლეობით მცირე სახელმწიფოებზეც, მაგალითად ისეთებზე როგორც გახლავთ ისლანდია, ლუქსემბურგი, ბელგია და ა.შ.

ალიანსის ან კოალიციის სიცოცხლის ხანგრძლივობას განსაზღვრავს მოკავშირეთა ინტერესებისა და მიზნების ხასიათი. ეს ინტერესები და მიზნები არ გახლავთ მუდმივი და ყოველთვის სხვადასხვა კომბინაციების სახით გვევლინება. ძირითადი მიზნების და კავშირის ჩამოყალიბების მიზეზები ნათლად მხოლოდ ომის პერიოდში ვლინდება. მოკავშირეთა მიზნები და მისწრაფებებიც ყველაზე მეტად ამ დროს ემთხვევა ერთმანეთს. და მართლაც,

თუ ჩვენ ავიღებთ მეორე მსოფლიო ომის პერიოდს, აქ ერთმანეთის ძირითად მოკავშირეებს განსხვავებული იდეოლოგიის მქონე ქვეყნები წარმოადგენდნენ, ერთის მხრივ დემოკრატიული დიდი ბრიტანეთი და აშშ, ხოლო მეორეს მხრივ კომუნისტური საბჭოთა კავშირი.

კავშირები იქმნება მასში შემავალი მოკავშირე სახელმწიფოების საერთო ინტერესებისა და მიზნების საფუძველზე, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ კავშირის იურიდიულად გაფორმება არ გახლავთ კავშირის სიმყარის მთავარი ფაქტორი. სიცოცხლისუნარიანია ისეთი კავშირი, რომელშიც მოკავშირეთა მიზნები პოლიტიკის კოორდინაციაში, კავშირის წინ მდგარი კონკრეტული პრობლემების ერთობლივად გადაჭრაში, ერთობლივ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობაზე, დეტალურად შემუშავებულ მოქმედების გეგმაში პოულობს გამოხატულებას. კავშირი ვერ იქნება მყარი და დიდხანს ვერ იარსებებს, თუ მოკავშირეთა მთავარი ინტერესების და მიზნები ერთმანეთს არ ემთხვევა, თუ მოკავშირე ქვეყნებს არ აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული და შემუშავებული თავიანთი მონაწილეობისა და მოქმედების ძირითადი პრინციპები და ურთიერთვალდებულებები. თუ ასე არ მოხდა, კავშირის დამდები ხელშეკრულება ფარატიანა ქაღალდს ემსგავსება (6).

აღიანსები და კოალიციები მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს (ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ კოალიცია მეორე მსოფლიო ომის დროს) ან რომელიმე უკვე არსებული კავშირის წინააღმდეგ იქმნება. მაგალითად “ანტანტის” ბლოკის ჩამოყალიბება პირველი მსოფლიო ომის წინ “სამთა კავშირის” სამხედრო ბლოკის წინააღმდეგ. კავშირები ყალიბდება გლობალური და რეგიონის მასშტაბით. მაგალითად ანტიჰიტლერული კოალიცია გლობალური მასშტაბის კავშირს წარმოადგენდა, მაგრამ იგივე ნატო რეგიონული პრინციპის მიხედვით იქნა ჩამოყალიბებული (ევროატლანტიკური სივრცე), თუმცა იგივე ნატოს მხრიდან საქმიანობის გაფართოება ევრო-ატლანტიკური სივრცის ფარგლებს გარეთ ცხადყოფს იმას, რომ ამ აღიანსის საქმიანობა სულ უფრო გლობალურ ხასიათს იძენს. საერთაშორისო სისტემაში, რომლის არსებობაც ძალთა წონასწორობის მექანიზმზეა დამოკიდებული, კავშირების შექმნა, შემდგომში მათი დაშლა, სხვა ქვეყნების მიღების შედეგად ახალი კავშირების შექმნა, ყოფილი მოწინააღმდეგე ქვეყნების შეკავშირება და შემდეგ ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულ კავშირებში გაერთიანება საერთაშორისო პოლიტიკაში ჩვეულებრივი მოვლენას წარმოადგენს. მაგალითად ავიღოთ პირველი მსოფლიო ომის წინ მომხდარი ბალკანეთის ომები. პირველ ბალკანურ ომში (9.10.1912-30.5.1913) ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ერთის მხრივ “ბალკანეთის კავშირის” ქვეყნები-ბულგარეთი, სერბეთი, რუმინეთი და საბერძნეთი, ხოლო მეორეს მხრივ თურქეთი. ამ ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ უკვე მეორე ბალკანურ ომში (29.6-10.08. 1913) ახალი კოალიცია იქნა შექმნილი და ერთმანეთის პირისპირ უკვე ყოფილი მოკავშირეები წარსდგნენ. კერძოდ, ომი მიმდინარეობდა ერთის მხრივ ბულგარეთის, ხოლო მის წინააღმდეგ ომობდნენ საბერძნეთი, სერბეთი, და მონტენეგრო, რომლებსაც შემდგომში რუმინეთი და თურქეთი შეუერთდნენ.

საერთაშორისო კავშირების შექმნის ძირითადი მიზეზებია:

1. პასუხი საგარეო საფრთხეზე;
2. სახელმწიფოთა იდეოლოგიური სოლიდარობა თუ სიახლოვე;
3. უცხო სახელმწიფოს დახმარება;
4. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეში “შეღწევა” (მის საშინაო პოლიტიკურ სისტემაზე ზეგავლენა, მისი მანიპულირება(7).

ხსენებული მიზეზებიდან ყველაზე ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს პირველ ფაქტორთან, ანუ საგარეო საფრთხის არსებობა და მისი თავიდან აცილების სურვილი. როდესაც დამოუკიდებელი სახელმწიფო გრძნობს რაღაც საფრთხეს რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრიდან, მის წინაშე სამი ძირითადი არჩევანი

არსებობს: 1. არაფერი არ გააკეთოს; 2. დაუკავშირდეს მესამე სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ჯგუფს); 3. გადავიდეს იმ სახელმწიფოს მხარეზე, რომლისგანაც საფრთხეს ელის. საერთაშორისო პოლიტიკაში არსებული რეალობა, რომელიც დაკავშირებულია მოსალოდნელ საფრთხესთან, აიძულებს სახელმწიფოებს ან მოკავშირეები იპოვონ, ან კავშირი დაამყარონ საფრთხის “წყაროსთან”, მისი შეკავებისა და მისგან მფარველობის მიღების მიზნით.

პოტენციური აგრესორი სახელმწიფოსგან მოსალოდნელი საფრთხის გასანეიტრალებლად რომელიმე კავშირში გაერთიანებას “გაწონასწორებას” უწოდებენ, ხოლო თუ ქვეყანა მიიღებს გადაწყვეტილებას პოტენციურ აგრესორთან კავშირის დამყარების შესახებ, ამას “მიტმასნება” ეწოდება.

საერთაშორისო ურთიერთობებში ამ ორი საპირისპირო ფორმით კავშირის წარმოქმნა საკმაოდ ხშირ მოვლენას წარმოადგენს და ერთის ან მეორის არჩევა დამოკიდებულია კონკრეტულ რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე, რომელია ქვეყნის მმართველი პოლიტიკური ძალა და რა საგარეო-პოლიტიკური ირიენტაცია გააჩნია ამ თუ იმ ქვეყანას. 1949 წელს, ნატოს შექმნის პერიოდში ალიანსის ევროპული სახელმწიფოების ორგანიზაციაში შესვლის ძირითადი მიზანი სწორედ სსრკ-ის “გაწონასწორება” წარმოადგენდა.

კავშირების ჩამოყალიბების კიდევ ერთი მიზანი შეიძლება იდეოლოგიური სოლიდარობა იყოს, როდესაც ხდება ისეთი ქვეყნების შეკავშირება, რომლებსაც ერთმანეთთან ბევრი საერთო გააჩნიათ, მაგალითად პოლიტიკური, და იდეოლოგიური თვალსაზრისით (ნატო, ვარშავის ბლოკი), ეთნიკური (არაბულ სახელმწიფოთა ლიგა), ეკონომიკური (ევროკავშირი) თვალსაზრისით. შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ თუ ეს ქვეყნები წარმოადგენენ ერთ კულტურას, ერთ ცივილიზაციას, ერთ რეგილიას, ერთ პოლიტიკურ იდეოლოგიას და ა.შ. შედარებით ნაკლები წინააღმდეგობა იარსებებს ამ სახელმწიფოთა შეკავშირებისათვის, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობათა რეალისტური მიმართულება იდეოლოგიურ სოლიდარობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. XX საუკუნემდე, მოიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში და პოლიტიკურ მეცნიერებებში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მეცნიერთა მიერ სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიები იქნა შემუშავებული, იდეოლოგიურ სოლიდარობა კავშირების შექმნის პროცესში დიდ როლს არ ასრულებდა, მაგრამ XX საუკუნეში ასეთი სოლიდარობის ფაქტორმა დადი დაასვა კავშირებისა და კოალიციების შექმნის პროცესებს. მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში დემოკრატიული სახელმწიფოები გაერთიანდნენ გერმანიასა და იტალიაში არსებული ფაშისტური რეჟიმების წინააღმდეგ. თუმცა უკვე მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დემოკრატიულმა ქვეყნებმა კავშირი ჰიტლერულ გერმანიასთან მეტროლ კომუნისტური საბჭოთა კავშირთანაც დაამყარეს. წმინდა იდეოლოგიურ საფუძვლზე შექმნილი ალიანსები უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იქმნება, როდესაც “ცივი ომის” პერიოდში, ორი ალიანსი, ნატო და ვარშავის ბლოკი ერთმანეთთან დაპირისპირებული იყო როგორც გეოპოლიტიკური, ასევე იდეოლოგიური თვალსაზრისით.

კავშირების შექმნის კიდევ ერთ საფუძველს, უცხოური დახმარება წარმოადგენს. როდესაც ერთი სახელმწიფო მეორე ქვეყანას, ან ქვეყნების ჯგუფს ეკონომიკურ თუ სამხედრო სფეროში უჩენს დახმარებას, ეს ხელს უწყობს მათ შორის კავშირის შეკვრას. მიღებული დახმარება იწვევს მადლიერების გრძნობას, საპასუხოდ გვერდზე დადგომის სურვილს და წარმოშობს გარკვეულ ვალდებულებებს. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ 1948-1952 წლებში განხორციელებული “მარშალის გეგმა”, როდესაც აშშ-მ მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება აღმოუჩინა დასავლეთ ევროპას, ამას დაემატა აშშ-ის პრეზიდენტის ტრუმენის ადმინისტრაციის მიერ ნატოს შექმნის შემდგომ მიღებული გადაწყვეტილება 900 მილიონი აშშ დოლარის

გამოყოფის შესახებ დასავლეთ ევროპის ნატოს წევრი სახელმწიფოებისათვის თავდაცვის სფეროში დახმარების აღმოჩენის მიზნით.

აშშ-ის მიერ ამ მიმართულებით გადადგმულმა პოზიტიურმა ნაბიჯებმა უდიდესი როლი შეასრულეს ტრანსატლანტიკური კავშირების გაძლიერების და შესაბამისად ნატოს გაძლიერების პროცესზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ კავშირების შექმნის იდეებმა და კოლექტიური უსაფრთხოების ცნებამ თავისი სამართლებრივი ასახვა ჰპოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის სახით – “სახელმწიფოს ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლების შესახებ”. სწორედ ამ მუხლზე დაყდნობით იქნა შექმნილი ნატო, რომლის მთავარ, მე-5 მუხლში აღნიშნულია: “ხელშეკრულების მონაწილე მხარეები იზიარებენ იმ აზრს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში განიხილება როგორც აგრესია ყველას წინააღმდეგ. შესაბამისად, ასეთი თავდასხმის დროს, თითოეული მათგანი გაეროს წესდების 51-ე მუხლით აღიარებული ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით უნდა დაეხმაროს დაზარალებულ მხარეს..”

კავშირების შესახებ თეორიის განხილვისას ბუნებრივია ჩნდება კითხვა, რა ძირითადი განსხვავებაა კავშირის ორ ძირითად ნაირსახეობას - ალიანსსა და კოალიციას შორის. ამ კუთხით აუცილებელია აღინიშნოს, რომ კოალიციები შედარებით მოკლევადიან კავშირებს წარმოადგენენ და ისინი ძირითადად ომის პერიოდში იქმნებიან, ხოლო ომის დასრულების შემდეგ ასეთი ტიპის კავშირების ფუნქცია ამოწურულად ითვლება.

რაც შეეხება ალიანსებს, ისინი ხანგრძლივი დროით იქმნებიან და მშვიდობიანობის პერიოდშიც მეტად აქტიურად ეწევიან თავიანთ საქმიანობას, თუმცა როგორც წიგნის შესავალში იქნა აღნიშნული, ბევრი ალიანსი, მათი მრავალი წლის განმავლობაში არსებობის მიუხედავად, საბოლოოდ დაშლილა-მაგალითად ვარშავის ბლოკი შეიქმნა 1955 წელს და ოფიციალურად 1991 წელს დაიშალა, გასული საუკუნის 50-იან წლებში შექმნილი სენტომ XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს შეწყვიტა თავისი არსებობა და ა.შ. გამონაკლისს ამ მიმართულებით წარმოადგენს ნატო, რომელიც თავისი დაარსების დღიდან არათუ დაიშალა, არამედ გაფართოვდა კიდევ ახალი სახელმწიფოების შემოერთების ხარჯზე და ასევე აუცილებელია აღინიშნოს, რომ მისი ფუნქციებიც საგრძნობლად გაიზარდა რაზედაც წიგნის შემდეგ თავებში გვექნება საუბარი.

თავი I. ნატო “ცივი ომის” პერიოდში

ნატოს შექმნის ძირითადი მიზეზები

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ, როდესაც საბოლოოდ იქნა დამარცხებული გერმანული ფაშიზმი, მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოების წინაშე შეიქმნა ახალი – კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების საფრთხე. როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირმა – როგორც ერთ-ერთმა მთავარმა გამარჯვებულმა სახელმწიფომ საგრძნობლად განიმტკიცა საკუთარი პოზიციები მსოფლიოში, პირველ რიგში კი აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც სტალინის დესპოტური რეჟიმის აქტიური ჩარევის შედეგად, ევროპის ამ რეგიონის მთელ რიგ სახელმწიფოებში შემოღებულ იქნა მმართველობის არადემოკრატიული ფორმები და შესაბამისად განხორციელდა აქტიური დემოკრატიული, პროგრესული მიმართულების ოპოზიციური ძალების საქმიანობის ჩახშობა. ადამიანთა პოლიტიკური, სოციალური, სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების მასობრივმა ხელყოფამ ცენტრალური და აღმოსავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში, აგრეთვე მოგვიანებით მსოფლიოს სხვა რეგიონებში, გამოიწვია მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება. რიგმა დრამატულმა მოვლენებმა, რომლებიც განვითარდა 1946-1949 წლებში ევროპაში მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. ამ მოვლენათა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1947 წლის იანვარში საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით კომუნისტური რეჟიმის დამკვიდრება პოლონეთში, რომელიც განხორციელდა კომუნისტური ე.წ. “ლიუბლინის კომიტეტის” მიერ ამ ქვეყანაში ძალაუფლების მონოპოლიზებით. იმავე წლის სექტემბერში, მას შემდეგ, რაც სსრკ-მ და მისმა მოკავშირეებმა უარი განაცხადეს “მარშალის გეგმის” მიხედვით აშშ-ის მხრიდან შემოთავაზებულ ეკონომიკურ დახმარებაზე, სსრკ-ის ინიციატივით შეიქმნა კომუნისტური პარტიების საინფორმაციო ბიურო - “კომინფორმი”, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოების იდეოლოგიური ერთიანობის უზრუნველყოფა. კომუნისტური ექსპანსია გავრცელდა მომდევნო, 1948 წელსაც, როდესაც ჩეხოსლოვაკიაში, საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემდგომ, ამ ქვეყანაში დემოკრატიული, პროგრესული ძალების საბოლოო განადგურების მიზნით განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალება, რომლის შედეგადაც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურმა პარტიამ დაამყარა ერთპარტიული დიქტატურა ამ ქვეყანაში. იმავე წლის ზაფხულში სსრკ-იმ მოახდინა ბერლინის სრული ბლოკადა, რითაც კუმანიტარული კატასტროფის წინაშე დააყენა ამ ქალაქის მოსახლეობა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შედეგად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგნენ ნორვეგია, საბერძნეთი და თურქეთი.

მოსალოდნელი საბჭოთა აგრესიის თავიდან აცილების მიზნით, დემოკრატიული ქვეყნების მიერ სასწრაფოდ იქნა მიღებული მნიშვნელოვანი ზომები, რომლებსაც უნდა შეესუსტებინათ სსრკ-ის გეოპოლიტიკური გავლენა ევროპაში და განემტკიცებინათ დემოკრატიული საზოგადოების ერთიანობა. ამ მიზნით, დასავლეთის მიერ “ცივი ომის” დაწყებისთანავე სასწრაფოდ იქნა მიღებული რიგი მნიშვნელოვანი ზომები. პირველ რიგში, აღსანიშნავია დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის მოხსენება 1946 წლის 5 მარტს ფულტონში (აშშ, მისურის შტატი), სადაც ბრიტანელმა პოლიტიკოსმა ყურადღება გაამახვილა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის “რკინის ფარდის” არსებობის შესახებ, და ამ მიზნით ჩერჩილმა მოუწოდა

შექმნილიყო ბრიტანულ-ამერიკული სამხედრო კავშირი “აღმოსავლეთის კომუნიზმთან” ბრძოლის მიზნით.

მსოფლიოში დემოკრატიული ფასეულობების დაცვის უზრუნველსაყოფად, როგორც აშშ, ასევე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები გადამწყვეტი ზომების მიღებაზე გადავიდნენ. კერძოდ, აშშ-ში ამერიკელი მეცნიერისა და დიპლომატის, ჯორჯ ქენანის მიერ მიერ შემუშავებულ იქნა ე.წ. “შეკავების” დოქტრინა, რომლის მთავარი მიზანი მდგომარეობდა კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოებში არსებული პროგრესული ძალების მხარდაჭერაში, აგრეთვე დემოკრატიული რეჟიმების აქტიურ მხარდაჭერაში მთელ მსოფლიოში.

“შეკავების” დოქტრინა უფრო კონცენტრირებული სახით განსახიერებულ იქნა “ტრუმენის დოქტრინასა” და “მარშალის გეგმაში”.

“ტრუმენის დოქტრინა” წარმოდგენილ იქნა აშშ-ის პრეზიდენტის, ჰარი ტრუმენის მიერ 1947 წლის 12 მარტს აშშ-ის კონგრესის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე. სხდომაზე განხილულ იქნა ის კომუნისტური საშიშროება, რომელიც არსებობდა ევროპის, და პირველ რიგში საბერძნეთისა და თურქეთის წინაშე, და ამ მიზნით ტრუმენმა მოუწოდა კონგრესს “აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების” ინტერესების ფარგლებში, გამოყოფილ ყოფილიყო 400 მლნ. აშშ დოლარი საბერძნეთისა და თურქეთის მთავრობების მხარდაჭერის მიზნით. ტრუმენის მიერ წამოყენებული პროგრამა განმტკიცებულ იქნა კანონით, რომელიც კონგრესის მიერ მიღებულ იქნა 1947 წლის 15 მარტს, რომლის მიხედვითაც ხელმოწერილ იქნა შეთანხმებები აშშ-ს და საბერძნეთს და აშშ-სა და თურქეთს შორის. ეს დოკუმენტები განსაზღვრავდნენ ამერიკის მხრიდან ამ ქვეყნებისადმი დახმარების პირობებს. ამ შეთანხმებებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იქიდან გამომდინარე, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვანი სტრატეგიული მოკავშირეები შეიძინა, რითაც შექმნა მნიშვნელოვანი წინაპირობა წინ აღდგომოდა სსრკ-ის მოსალოდნელ ექსპანსიას ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში.

“ტრუმენის დოქტრინა” წარმოადგენდა პირველ ოფიციალურ კონცეფციას “კომუნიზმის შეკავების” სტრატეგიის ფარგლებში, სტრატეგიისა, რომლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა დემოკრატიული ქვეყნების ერთიანობა, იმ პერიოდში მზარდი კომუნისტური გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური გავლენის წინააღმდეგ.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპას, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აშშ ევროპისაგან განსხვავებით ეკონომიკურად გამარჯვებული გამოვიდა მეორე მსოფლიო ომიდან. მაგალითად 1943 წლისათვის აშშ-ში სამრეწველო წარმოების მოცულობა 2,4-ჯერ უფრო მეტი იყო, ვიდრე 1937 წელს, რაც დაკავშირებული იყო მეომარი ქვეყნების მიერ დიდი მოცულობის დაკვეთების შესრულებასთან. უკვე მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, აშშ-ზე მოდიოდა მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 50%. აქედან გამომდინარე, 1947 წლის 5 ივნისს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯორჯ მარშალის მიერ წარმოდგენილ იქნა ევროპის ეკონომიკური აღორძინების გეგმა, რომელსაც შემდგომში “მარშალის გეგმა” ეწოდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული დახმარება შესთავაზეს სსრკ-სა და მის სატელიტებს აღმოსავლეთ ევროპაში, თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ უარი განაცხადა დახმარების მიღებაზე. სულ “მარშალის გეგმის” ფარგლებში დასავლეთ ევროპის დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა 1948 წლის აპრილიდან 1952 წლის თებერვლის ჩათვლით, დაახლოებით 17 მილიარდი დოლარის მოცულობის დახმარება მიიღეს. 1948-1952 წლები, ევროპის ისტორიაში კონტინენტის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ყველაზე სწრაფი პერიოდი გახლდათ. დასავლეთ ევროპაში საშუალოდ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 35%-ით გაიზარდა,

ხოლო სოფლის მეურნეობის სექტორში არსებულმა მაჩვენებლებმა ომამდელ მაჩვენებელს გადააჭარბა.

ამავე დროს, სანამ ზემოაღნიშნული პროგრამა განხორციელდებოდა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა სერიოზულად შეაშფოთა დასავლეთი ევროპა, რომელიც ომიდან ეკონომიკურად მეტად დასუსტებული გამოვიდა. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ მაგალითად საფრანგეთში ომის დამთავრების მომენტში წარმოების მოცულობა 40%-მდე იყო შემცირებული ომისწინა პერიოდთან შედარებით, ხოლო დიდმა ბრიტანეთმა მეორე მსოფლიო ომში ეროვნული სიმდიდრის ერთი მეოთხედი დაკარგა. ომის უკანასკნელ პერიოდში გაერთიანებულ სამეფოში სამრეწველო წარმოება 20%-ით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ომისწინა წლებში. ევროპაში ეკონომიკური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით, შეიქმნა “ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია” (OEEC), რომლის მიზანს წარმოადგენდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განმტკიცება და “მარშალის გეგმის” ფარგლებში შემოსული დახმარების გადანაწილება. ამასთანავე, კომუნისტურმა საფრთხემ და ძალთა ბალანსის საერთაშორისო მასშტაბით ცვლილებამ ცხადი გახადა, რომ ევროპის ფარგლებში ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცებასთან ერთად რამდენად მნიშვნელოვანი იყო ევროპული თავდაცვითი ორგანიზაციის შექმნა. ეს იდეა პირველად გაუღერდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ერნესტ ბევინის მიერ 1948 წლის იანვარში, როდესაც მან ბრიტანეთის თემთა პალატაში გამოსვლის დროს წარმოადგინა წინადადება ამა თუ იმ ფორმით დასავლეთის ქვეყნების კავშირის შექმნის შესახებ. იმავე წლის 17 მარტს ბელგიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მიერ ხელმოწერილ იქნა ბრიუსელის ხელშეკრულება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანამშრომლობისა და კოლექტიური თავდაცვის შესახებ. ხოლო უკვე 1948 წლის 27-28 სექტემბერს, ბრიუსელის ხელშეკრულების წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა დააფუძნეს დასავლეთის კავშირის თავდაცვის ორგანიზაცია. ამავე დროს, ევროპული ქვეყნების ლიდერები მკაფიოდ აცნობიერებდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგად სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით დასუსტებულ ევროპას არ შეეძლო დამოუკიდებლად წინააღმდეგობა გაეწია მოსალოდნელი საბჭოთა აგრესიისათვის, ამიტომაც “მარშალის გეგმის” ფარგლებში აშშ-ისა და დასავლეთ ევროპას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება არ იყო საკმარისი წინაპირობა იმისა, რათა შეკავებულ ყოფილიყო მოსალოდნელი კომუნისტური ექსპანსია. საჭირო იყო ერთიანი, ძლიერი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების მონაწილეობით, რათა უზრუნველყოფილიყო იმდროინდელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოების წარმომადგენელთა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. ამ მიზნით, 1948 წლის ივნისში აშშ-ის სენატმა მიიღო “ვანდერბერგის რეზოლუცია”, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აშშ-ის მომავალ მონაწილეობას რეგიონალურ, და სხვა სახის კოლექტიურ შეთანხმებებში ევროატლანტიკური, ასევე მსოფლიოს სხვა რეგიონების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. უკვე 1948 წლის ივლისში აშშ-მ, კანადამ და ბრიუსელის ხელშეკრულების წევრმა ქვეყნებმა დაიწყეს მოლაპარაკებები ჩრდილოატლანტიკური რეგიონის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ. მოგვიანებით ბრიუსელის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების საკონსულტაციო საბჭომ განაცხადა “სრული თანხმობის შესახებ ჩრდილო-ატლანტიკური თავდაცვითი პაქტის შექმნის იდეასთან დაკავშირებით.” უკვე 1948 წლის დეკემბერში ვაშინგტონში განახლდა მოლაპარაკებები ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების

ხელმოწერის თაობაზე - ბრიუსელის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების, აშშ-ისა და კანადის მონაწილეობით. მომდევნო, 1949 წლის მარტში ზემოაღნიშნული წინა ორი მოლაპარაკებათა პროცესის მონაწილე სახელმწიფოებმა შესთავაზეს დანიას, ისლანდიას, იტალიას, ნორვეგიასა და პორტუგალიას, რათა ეს ქვეყნები მიერთებოდნენ ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას. 1949 წლის 4 აპრილს, თორმეტმა სახელმწიფომ-ბელგიამ, დიდმა ბრიტანეთმა, დანიამ, ისლანდიამ, იტალიამ, კანადამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა, ნორვეგიამ, პორტუგალიამ, აშშ-მა და საფრანგეთმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის პრინციპების საფუძველზე ქ. ვაშინგტონში ხელი მოაწერეს დოკუმენტს-ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის-ნატო-ს შექმნის შესახებ. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1949 წლის 24 აგვისტოს, ხოლო იმავე წლის 17 სექტემბერს ვაშინგტონში ჩატარდა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს პირველი სესია.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი XX საუკუნის 50-იან წლებში

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაარსებიდან ხუთი თვის შემდეგ, ნატო-მ მიიღო პირველი უდიდესი გამოწვევა, როდესაც 1949 წლის სექტემბერში ცნობილი გახდა საბჭოთა კავშირის მიერ ატომური იარაღის გამოცდის შესახებ. ამ ფაქტმა აშშ-ის დააკარგვინა ატომური მონოპოლია მსოფლიოში. შესაბამისად, აუცილებელი იყო ადექვატური ზომების მიღება, კომუნისტური საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამიტომაც, ნატო-ს დაარსების პირველი დღეებიდანვე ალიანსმა მეტად აქტიური ქმედებები განახორციელა. პირველ რიგში, ეს დაკავშირებული იყო აშშ-ის მხრიდან მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების გამოყოფასთან ნატო-ს დასავლეთევროპელი მოკავშირეებისათვის სხვადასხვა ტიპის სამხედრო პროგრამების განხორციელების მიზნით. ეს გახლდათ აშშ-ის პრეზიდენტის ტრუმენის ინიციატივა, როდესაც მან 1950 წლის დასაწყისში დაამტკიცა ჩრდილოატლანტიკური რეგიონის ერთიანი თავდაცვითი სისტემის შექმნის გეგმა. გეგმის მიხედვით, სამხედრო პროგრამების ფინანსირებისათვის გამოყოფილ იქნა 900 მილიონი აშშ დოლარი. გარდა ზემოაღნიშნული ქმედებებისა, ნატო-ში განხორციელდა რიგი სტრუქტურული და საკადრო სახის ღონისძიებები. კერძოდ, 1950 წლის ივლისში ქ. ლონდონში ჩატარდა ნატო-ს საბჭოში შემავალი ქვეყნების პირველი სხდომა, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი, ელჩი ჩარლზ სპოფორდი არჩეულ იქნა საბჭოს მუდმივ თავმჯდომარედ. ხოლო ერთი წლის შემდეგ, ბრიტანელი დიპლომატი ლორდ ისმეი არჩეულ იქნა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ვიცე-თავმჯდომარედ და ნატო-ს გენერალურ მდივნად. 1951 წლის 20 სექტემბერს ოტავაში (კანადა), ნატო-ს წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ნატო-ს ეროვნული წარმომადგენლებისა და საერთაშორისო სამდივნოს სტატუსის შესახებ, რომელსაც “სამოქალაქო სტატუსის შესახებ” ხელშეკრულება ეწოდა. 1952 წლის თებერვალში ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ ლისაბონში გამართული შეხვედრის დროს მოახდინა ნატო-ს სტრუქტურის რეორგანიზაცია, რომლის მიხედვითაც ნატო გახდა მუდმივმოქმედი ორგანიზაცია შტაბ-ბინით პარიზში.

რაც შეეხება ნატო-ს სამხედრო სტრუქტურებში განხორციელებულ ღონისძიებებს, აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეიქმნა ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბი ევროპაში, რომელმაც მუშაობა დაიწყო 1951 წლიდან. შტაბის რეზიდენცია განთავსდა პარიზის მახლობლად- როკენკურში. აგრეთვე, 1952 წლიდან მუშაობა დაიწყო ნატო-ს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბმა ატლანტიკის რეგიონში, რომლის რეზიდენცია გახდა ქ. ნორფოლკი (აშშ, ვირჯინიის შტატი) და ნატო-ს უმაღლესი სარდლობის შტაბი ლა-

მანშის სრუტის ზონაში. გარდა ამისა, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას “საკუთარი შეიარაღებული ძალების სტატუსის” შესახებ და ოქმს “საერთაშორისო სამხედრო შტაბის” შესახებ.

მნიშვნელოვანია აგრეთვე აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ნატომ საფუძვლიანი ნაბიჯები გადადგა საგანმანათლებლო კუთხითაც. კერძოდ, 1951 წლის ნოემბერში პარიზში საზეიმოდ გაიხსნა ნატო-ს თავდაცვის კოლეჯი. (1966 წლიდან კოლეჯი ფუნქციონირებს რომში). აგრეთვე, 50-იანი წლების მეორე ნახევარში დასავლეთ გერმანიაში, მიუნხენთან ახლოს ობერამერგაუში იქმნება საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც 1975 წლიდან ნატო-ს სკოლა ეწოდა, ხოლო 1959 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის სისტემების ნატო-ს სკოლამ.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიაში პირველი უდიდესი მოვლენა გახლდათ ნატო-ს გაფართოების პროცესის დაწყება, როდესაც 1952 წლის თებერვალში ალიანსის სრულუფლებიანი წევრები გახდნენ საბერძნეთი და თურქეთი. გაფართოების გზაზე, სამი წლის შემდეგ ნატო-მ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა, როდესაც 1955 წელს ალიანსის რიგებში სრულუფლებიან წევრად მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. ამ ქვეყნის მიღება ნატო-ში და შესაბამისად ალიანსის აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოება მეტად დროული იყო იმ ფონზე, როდესაც სსრკ-ისა და მისი სატელიტების მხრიდან ალიანსი იღებდა სულ ახალ და ახალ გამოწვევებს. კერძოდ, ატომური ბომბის შექმნისა და გამოცდის შემდეგ, 1953 წელს სსრკ-იმ განაცხადა, რომ ის ფლობდა უკვე წყალბადის ბომბს, ხოლო ორი წლის შემდეგ, პრაქტიკულად იმავე დროს, როდესაც გფრ გახდა ნატო-ს სრულუფლებიანი წევრი, საბჭოთა კავშირის ინიციატივით იქმნება ნატო-სთან დაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია - ვარშავის ბლოკი, რომელშიც გაწევრიანდნენ აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური რეჟიმის ქვეყნები (იუგოსლავიის გარდა) - საბჭოთა კავშირი, ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რუმინეთი და ჩეხოსლოვაკია. თუმცა ამ ორგანიზაციის შექმნიდან ერთი წლის თავზე უკვე ნათლად გამოიკვეთა კომუნისტური სისტემის რღვევის პირველი ნიშნები, როდესაც 1956 წლის ივნისში ჯერ პოლონეთის ქალაქ პოზნანში, ხოლო იმავე წლის ოქტომბერ-ნოემბერში მმართველი კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებებმა იფეთქა უნგრეთში. გამოსვლები ბუდაპეშტში სასტიკად იქნა ჩახშობილი საბჭოთა ჯარების მიერ. გარდა ამისა, მოგვიანებით უკვე აშკარად გამოიკვეთა დაპირისპირება ორ უდიდეს კომუნისტურ სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის. ორივე ქვეყანა აცხადებდა პრეტენზიებს თავის ჰეგემონობაზე კომუნისტური ბანაკში. ასევე აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის ინიციატივით ვარშავის ბლოკიდან და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოდან გარიცხულ იქნა ალბანეთი.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ინტერვენცია უნგრეთში მკაცრად იქნა დაგმობილი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ, მსოფლიოში და პირველ რიგში ევროპაში იმ დროს არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ალიანსს არ შეეძლო უნგრეთსა და პოლონეთში არსებული მემბოხე დემოკრატიული ძალებისათვის პირდაპირი სამხედრო ან სხვა ტიპის დახმარების გაწევა, რადგანაც ამ შემთხვევაში შეიქმნებოდა უდიდესი საფრთხე დაწყებულიყო მესამე მსოფლიო ომი, რომლის დროსაც იარსებებდა იმის უდიდესი შანსი, რომ გამოყენებული იქნებოდა ბირთვული იარაღი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ იმდროინდელ მსოფლიოში სსრკ-ის გეოპოლიტიკური გავლენის შემცირების მიზნით, XX საუკუნის 50-იან წლებში, ნატო-ს და პირველ რიგში აშშ-ის მიერ ქმედითი ღონისძიებები იქნა მიღებული

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 1951 წელს ნატო-ს ანალოგიური სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეიქმნა ავსტრალიისა და წინარი ოკეანის რეგიონში. მისი წევრები გახდნენ ავსტრალია, ახალი ზელანდია და აშშ და მას ანზიუსი ეწოდა (ANZUS).

რაც შეეხება ნატო-ს წამყვანი ქვეყნების აქტიურობას აზიის რეგიონში, აქ 1954 წლის სექტემბერში ფილიპინების დედაქალაქ მანილაში აშშ-მ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, ავსტრალიამ, ახალმა ზელანდიამ, პაკისტანმა, ტაილანდმა და ფილიპინებმა ხელი მოაწერეს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია-სეატო (SEATO).

1952 წელს ნატო-ში თურქეთის მიღებამ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს საშუალება მისცა განემტკიცებინა თავისი პოზიციები სსრკ-ის სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებთან და გაეფართოებინა თავისი გეოპოლიტიკური გავლენა წინა აზიაში. სევე ამ მიზნით 1955 წლის თებერვალში ხელი მოეწერა ბალდათის პაქტს, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია - სენტო. მასში სრულყოფილებიან წევრებად შევიდნენ დიდი ბრიტანეთი, ერაყი, ირანი, პაკისტანი და თურქეთი, ხოლო ასოცირებული წევრის სტატუსით აშშ.

ნატო XX საუკუნის 60-იან წლებში

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა მეტად სერიოზული გამოცდის წინაშე დააყენა ნატო. ეს დაკავშირებული იყო აღმოსავლეთთან ურთიერთობების მეტად სერიოზულად დაძაბვასთან. ამ პერიოდში მსოფლიოში განვითარებულ ნეგატიური მოვლენებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

- 1960 წელს ჩაიშალა ოთხმხრივი მოლაპარაკებები დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის, საფრანგეთისა და სსრკ-ის შორის უმაღლეს დონეზე, რომელიც დაკავშირებული იყო გერმანიის საკითხთან;

- იმავე წლის 1 მაისს სსრკ-ის საჰაერო სივრცეში ჩამოგდებულ იქნა აშშ-ის სადაზვერვო თვითმფრინავი უ-2;

- 1960 წელსვე კომუნისტური სახელმწიფოები გამოვიდნენ მოლაპარაკებათა პროცესიდან, რომლებსაც ისინი აწარმოებდნენ ალიანსის წევრ სახელმწიფოებთან განიარაღების პროცესთან დაკავშირებით. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა გაეროს ეგიდით;

- 1961 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირის ინიციატივით აღიმართა “ცივი ომის” სიმბოლო-ბერლინის კედელი.

ამ უკანონო ქმედებების საპასუხოდ, ნატო იძულებული გახდა მიედო სასწრაფო ზომები, მსოფლიოში არსებული დაძაბულობის შემცირების მიმართულებით. ამ მიზნით, და მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოების განმტკიცებისათვის, 18 ევროპულ (მათ შორის ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს), აგრეთვე აშშ-ისა და კანადის მიერ ხელმოწერილ იქნა კონვენცია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ევროპული ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ნაცვლად) შექმნის შესახებ. მოგვიანებით ამ ორგანიზაციას შეუერთდნენ ავსტრალია, ახალი ზელანდია და იაპონია.

1961 წლის დეკემბერში ნატომ საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ჩატარებული ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომაზე, ალიანსის ხელმძღვანელობამ მკაცრად დაგმო ბერლინის კედლის მშენებლობა და გამოთქვა მზადყოფნა განეხლებინა დიპლომატიური კონტაქტები საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებათა პროცესის განახლების მიზნით.

ერთი წლის შემდეგ, 1962 წელს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მაკ-მილანმა და აშშ-ის პრეზიდენტმა კენედიმ ოფიციალურად მიმართეს სსრკ-ის გენერალურ მდივანს ხრუშჩოვს მოწოდებით, რათა ეს უკნასკნელი დათანხმებულიყო ხელმოწერილ ყოფილიყო შეთანხმება ბირთვული გამოცდების აკრძალვის შესახებ. ამავე დროს, სსრკ-ის მიერ დასავლეთის ამ წინადადების იგნორირების საპასუხოდ იმავე წლის მაისში ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებმა განიხილეს პირობები, რომელთა მიხედვითაც ნატო შესაძლებელია იძულებული ყოფილიყო გამოეყენებინა ბირთვული იარაღი. დოკუმენტს “ათენის დირექტივების” სახელი ეწოდა. მოგვიანებით, აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა მიადწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ორივე ქვეყანამ მზადყოფნა გამოთქვა გამოეყოთ თავიანთი სტრატეგიული ძალების გარკვეული ნაწილი ნატო-ს დაქვემდებარებაში. ამ მიზნით, მომდევნო წლებში ნატო-ს სამხედრო დაგეგმარების კომიტეტის მიერ შექმნილ იქნა ბირთვული თავდაცვის კომიტეტი და ბირთვული დაგეგმარების ჯგუფი.

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია 1962 წლის ოქტომბერ-ნოემბერში, როდესაც აშშ-ის სადაზვერვო მონაცემებით ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი კუბის ტერიტორიაზე აწარმოებდა სარაკეტო ბაზების მშენებლობას. აშშ-იმ ამ ქმედების საპასუხოდ განახორციელა კუბის ბლოკადა. სსრკ-ის აგრესიული ზრახვების შედეგად, პლანეტა კვლავ დადგა ახალი მსოფლიო ომის დაწყების წინაშე. თუმცა აშშ-ის პრეზიდენტის კენედის ადმინისტრაციის აქტიური ქმედებების შედეგად, საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა მოეხდინა თავისი სარაკეტო ბაზების ლიკვიდირება კუბის ტერიტორიაზე.

კარიბის კრიზისის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შემდგომ, უკვე 1963 წლიდან იწყება დაძაბულობის შედარებითი შემცირება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. 1963 წლის 20 ივნისს ჟენევაში აშშ-მ და სსრკ-მ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ე.წ. “ცხელი ხაზის” ამოქმედების შესახებ. იმავე წელს დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მ და სსრკ-მ მოახდინეს “ბირთვული გამოცდების ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ აკრძალვის შესახებ” შეთანხმების პარაფირება.

1967 წელს ხელი მოეწერა “შეთანხმებას კოსმოსის შესახებ”, ხოლო 1968 წელს შეთანხმებას “ბირთვული იარაღის გაუზრცელებლობის” შესახებ.

დასავლეთის დემოკრატიული და აღმოსავლეთის კომუნისტურ ბლოკებს შორის დაძაბულობის შემცირებაში უდიდესი როლი შეასრულა ნატო-ს ახალი სტრატეგიული დოქტრინის მიღებამ. 1967 წლის დეკემბერში ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ დაამტკიცა “არმელის მოხსენება”, რომლის შესაბამისად ნატო-ს სამხედრო დაგეგმვის კომიტეტმა მიიღო ახალი სტრატეგიული კონცეფცია. ახალი კონცეფცია ითვალისწინებდა ერთის მხრივ ნატოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, ხოლო მეორე მხრივ დაძაბულობის განმუხტვას საბჭოთა კავშირთან და მის სატელიტებთან.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობათა შედარებითი დათბობის პროცესს თავისი ნეგატიური დადი დაასვა 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში განვითარებულმა მოვლენებმა, როდესაც საბჭოთა კავშირისა და მისი სატელიტების მიერ სასტიკად იქნა ჩახშობილი მშვიდობიანი დემონსტრაციები პრაღის ქუჩებში. იმდროინდელი პოლიტიკური რეალობების გათვალისწინებით, ნატოს არც ამ შემთხვევაში შეეძლო განეხორციელებინა რაიმე სახის ჩარევა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებში.

ნატო-ს პოლიტიკურმა ერთიანობამ, მისი სამხედრო პოტენციალის ეფექტურობამ და ეკონომიკურმა უპირატესობამ ვარშავის ბლოკის წევრი ქვეყნებთან შედარებით, აიძულა კომუნისტური ბანაკის ქვეყნები, რათა ეს უკანასკნელნი მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყვნენ. ამ მხრივ გასული საუკუნის 70-იანი წლები მეტად მნიშვნელოვანია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიაში, როდესაც ორგანიზაციამ რიგი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადადგა მსოფლიოში დაძაბულობის შენელებისა და “ცივ ომში” გამარჯვების გზაზე.

უკვე 1970 წელს საბჭოთა კავშირი, მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების ძალისხმევის შედეგად იძულებული გახდა დაეწყო მოლაპარაკებები ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული შეიარაღების შემცირების მიზნით. მოლაპარაკებათა პროცესი დაიწყო ვენაში და საბოლოოდ 1972 წლის 26 მაისს მოსკოვში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას სტრატეგიული შეიარაღებისა და რაკეტ-საწინააღმდეგო სისტემების შემცირების შესახებ. გარდა ამისა, იმავე წელს, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ოთხმხრივ შეთანხმებას ბერლინთან დაკავშირებით. ხოლო 1972 წლის ბოლოს, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ და გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს “შეთანხმებას ორმხრივი ურთიერთობების შესახებ.” იმავე წელს, გაფორმდა შეთანხმება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და პოლონეთს შორის, რომლის ძალითაც დადგენილ იქნა საზღვრები ორ ქვეყანას შორის. ამ შეთანხმებებმა დიდი როლი შეასრულა დაძაბულობის განმუხტვაში ცენტრალურ ევროპაში.

70-იანი წლების დასაწყისში განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით, ნატოს სხვადასხვა სტრუქტურებში დაიწყო სერიოზული განხილვა საკითხისა, რათა ალიანსს გაეაქტიურებინა მოლაპარაკებები კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოებთან შეიარაღებული ძალების შემცირებასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ 1971 წლის ოქტომბერში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყოფილ გენერალურ მდივანს, მანლიო ბროზიოს დაევალა ეწარმოებინა წინასწარი მოლაპარაკებები საბჭოთა კავშირთან და სხვა დაინტერესებულ ქვეყნებთან შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ. 1972 წლის მაისში, საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ჩატარებული ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება მრავალმხრივი მოსამზადებელი ხასიათის მოლაპარაკებათა დაწყების მიზნით, რომლის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჩატარება.

ალიანსის აქტიურობის შედეგად 1973 წლიდან ვენაში დაიწყო მოლაპარაკებათა პროცესი შეიარაღებული ძალების ბალანსირებული შემცირების შესახებ. ხოლო 1975 წლის 31 ივლისს - 1 აგვისტოს 35 ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ ხელი მოეწერა ჰელსინკის საბოლოო აქტს, რამაც ხელი შეუწყო ნატო-სა და ვარშავის ბლოკის სახელმწიფოებს შორის დაძაბულობის განმუხტვას. დასკვნით აქტში ჩართული იყო შეთანხმება, “უშიშროებისა და განიარაღების ზოგიერთ საკითხებში ნდობის გაძლიერების შესახებ”. დოკუმენტში აღნიშნული იყო წინასწარი ურთიერთშეტყობინების შესახებ სახმელეთო ძალების მსხვილმასშტაბიანი წვრთნების (25 ათას სამხედრო მოსამსახურეზე მეტი) ჩატარების შემთხვევაში. ასევე, შეთანხმება ითვალისწინებდა სამხედრო მეთვალყურეთა გაცვლას, რათა შესაბამის ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონოდათ დასწრებოდნენ სამხედრო წვრთნებს, ასევე გათვალისწინებული იყო სამხედრო დელეგაციების ვიზიტები.

მშვიდობის მიღწევის კუთხით, ნატო შემდგომ წლებშიც აგრძელებდა თავის საქმიანობას. 1976 წლის იანვარში ბირთვული დაგეგმარების ჯგუფის

შეხვედრაზე განხილულ იქნა პერსპექტივა, წარმოებულ ყოფილიყო მოლაპარაკებები სსრკ-სთან სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ. იმავე წელს, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მორიგ სესიაზე ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს ურთიერთობები დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და ევროთათბირის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებების მიმდინარეობა. მოგვიანებით, ნატო-მ მოუწოდა ევროთათბირის წევრ ყველა სახელმწიფოს, უარი განეცხადებინათ ძალის გამოყენებასა და მისი გამოყენების მუქარისაგან ყველა სახის შეიარაღების ჩათვლით გაეროს წესდებისა და ჰელსინკის საბოლოო აქტის შესაბამისად.

ამავე დროს, ნატოს წევრი ქვეყნები კარგად აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირი და მისი სატელიტი ქვეყნები, სადაც გაბატონებული იყო ტოტალიტარული რეჟიმები, არ იყვნენ მზად წასულიყვნენ უფრო ფართო, სერიოზულ დათმობებზე განიარაღებისა და ამ ქვეყნებში დემოკრატიის განვითარების კუთხით, ამიტომაც აუცილებელი იყო აღმოსავლეთთან მოლაპარაკებათა პროცესის პარალელურად გაძლიერებულიყო ნატოს სამხედრო პოტენციალი. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო ალიანსის 1979 წლის ე. წ. “ორმაგი გადაწყვეტილება” ბირთვული იარაღის მოდერნიზაციის და კონტროლის შესახებ. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ნატოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა ქ. ბრიუსელში. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით, გათვალისწინებული იყო სახმელეთო ბაზირების ფართოსანი რაკეტებისა და “პერშინგ 2” რაკეტების ევროპაში განლაგება. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად გააძლიერა ალიანსის თავდაცვითი სისტემა. რამდენიმე თვის შემდეგ ნატო-ს წევრმა სახელმწიფოებმა ჩამოაყალიბეს სპეციალური საკონსულტაციო ჯგუფი შეიარაღების კონტროლის (ბირთვული ძალების ჩათვლით) სფეროში.

ნატო XX საუკუნის 80-იან წლებში

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოღვაწეობა ამ პერიოდში დაკავშირებული იყო იმ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ პროცესებთან, რომლებიც განვითარდა 80-ანი წლების პირველ ნახევარში და დაკავშირებული იყო ნატო-ს გაფართოების გაგრძელებასთან, როდესაც 1982 წელს ალიანსის სრულყოფილიანი წევრი გახდა ესპანეთი, აგრეთვე, კომუნისტური სისტემის რღვევის დაწყებასთან, რაც დაკავშირებული იყო 1980 წელს პოლონეთში დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის “სოლიდარობის” მოღვაწეობის დაწყებასთან და შემდგომში მის ლეგალიზაციასთან. ნატომ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ფარგლებში გამართულ თავის სპეციალურ სესიაზე მიიღო დეკლარაცია, სადაც მხარი დაუჭირა პოლონეთის დემოკრატიულ ძალებს. ნატოს მიერ აგრეთვე დაგმოვიდა იქნა საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის ოკუპაცია, რომელიც 1979 წლის დეკემბრიდან-ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შეყვანით დაიწყო.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ალიანსი და მისი წევრი სახელმწიფოები ძალღონეს არ იშურებდნენ, რათა გაგრძელებულიყო მოლაპარაკებათა პროცესი კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოებთან. ამის ნათელი დადასტურება გახლდათ აშშ-ის ახლადარჩეული პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ახალი ინიციატივები შეიარაღებაზე კონტროლთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებდა მოლაპარაკებათა გამართვას საშუალო სიშორის ბირთვული ძალებისა და სტრატეგიული შეიარაღების შემცირებას. ამ ინიციატივამ თავისი შედეგი გამოიღო და 1981 წლის ნოემბერში აშშ-მ და სსრკ-მ კენევაში განაახლეს მოლაპარაკებები “საშუალო სიშორის ბირთვული ძალების შესახებ”. გარდა ამისა, ნატოს მიერ მშვიდობის მიმართულებით გადადგმული

უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გახლდათ 1983 წლის ოქტომბერში “მონტბელის გადაწყვეტილების” მიღება, როდესაც ალიანსის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა, ბირთვული დაგეგმარების ჯგუფის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე ქ. მონტბელიში (კანადა) განაცხადეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ ევროპიდან დამატებითი 1400 სარაკეტო ქობინის გამოტანასთან დაკავშირებით. იმავე წლის დეკემბერში ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს ბრიუსელის დეკლარაცია, რომელშიც გამოხატული იყო მათი მისწრაფება აღმოსავლეთთან ბალანსირებული და კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარების შესახებ და მოწოდება საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა სახელმწიფოებისადმი გამოხმაურებოდნენ ამ ინიციატივას.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საბჭოთა კავშირში “პერესტროიკის” პერიოდის დაწყებამდე, ამ ქვეყანაში იმ დროს ხელისუფლებაში არსებული რეაქციული ძალების არსებობის პირობებში დემოკრატიული საზოგადოებისათვის რეალური კომპრომისების გამონახვა საბჭოთა ხელისუფლებასთან მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენდა. ნატო-ს მხრიდან სამშვიდობო ინიციატივების მიუხედავად, სსრკ 80-იანი წლების პირველ ნახევარში აგრძელებდა თავისი აგრესიული ზრახვების განხორციელებას. ამის ნათელი დადასტურება გახლდათ ის, რომ კვლავ გრძელდებოდა ავღანეთის ოკუპაცია საბჭოთა ჯარების მიერ, ხოლო 1983 წლის 1 სექტემბერს საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაიდინა უსასტიკესი დანაშაული, როდესაც ქვეყნის აღმოსავლეთ ნაპირებთან საბჭოთა რაკეტაწინააღმდეგო ძალებმა ჩამოაგდეს სამხრეთ კორეული სამოქალაქო ლაინერი, რომლის ბორტზეც 269 ადამიანი იმყოფებოდა. გარდა ამისა, იმავე წლის ნოემბერში სსრკ-მ მიიღო გადაწყვეტილება ჟენევაში სტრატეგიული შეიარაღების შემცირების შესახებ მიმდინრე მოლაპარაკებათა პროცესისიდან გამოსვლის შესახებ.

მდგომარეობამ რადიკალურად შეიცვალა 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც საბჭოთა კავშირში დაიწყო “პერესტროიკის” პერიოდი, რამაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობების დათბობის პროცესში და დასავლეთის დემოკრატიის საბოლოო გამარჯვებაში “ცივ ომში”, სადაც თავისი უდიდესი და გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა.

საბჭოთა კავშირში 1985 წლის მარტში მიხეილ გორბაჩოვის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ჟენევაში განახლდა მოლაპარაკებები სსრკ-სა და აშშ-ის შორის, რომელიც ეხებოდა თავდაცვით და კოსმოსურ სისტემებს, აგრეთვე სტრატეგიულ ბირთვულ ძალებს და მათ კონტროლს.

უკვე 1985 წლის ნოემბერში, ჟენევაში გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე რეიგანმა და გორბაჩოვმა მიაღწიეს საერთო შეთანხმებას სტრატეგიული ბირთვული ძალების 50 პროცენტით შემცირების შესახებ. მომდევნო წელს, ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოუწოდეს საბჭოთა ხელისუფლებას “ახალი გაბედული ნაბიჯების ერთად გადადგმისაკენ”.

კონფრონტაციის შემცირების გზაზე მეტად მნიშვნელოვან მოვლენად იქცა 1986 წლის სექტემბერში სტოკჰოლმში გამართული კონფერენცია “ნდობის განმტკიცების, ევროპაში უშიშროებისა და განიარაღების შესახებ”. დასკვნით ღოკუმენტში გათვალისწინებული იყო მნიშვნელოვანი ასპექტები ძალის, მათ შორის სამხედრო ძალის გამოუყენებლობის შესახებ. აგრეთვე, გათვალისწინებული იყო ინფორმაციის ყოველწლიური გაცვლა სამხედრო ძალების შესახებ (სამხედრო ორგანიზაციის, პირადი შემადგენლობის, შეიარაღებისა და ტექნიკის ძირითად სისტემებთან დაკავშირებით) ნდობის გაძლიერების ზონებში; ასევე ინფორმაციის გაცვლა თავდაცვის ბიუჯეტების

შესახებ. გარდა ამისა, შემუშავებულ იქნა კონსულტაციებისა და თანამშრომლობის მექანიზმები სამხედრო ხასიათის სახიფათო ინციდენტების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

სტოკჰოლმის კონფერენციის ფარგლებში გათვალისწინებული იყო კონტაქტების ფართო ქსელი. კერძოდ: ვიზიტები ავიაბაზებზე, გაცვლითი ვიზიტები სამხედრო ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა შორის, აგრეთვე სამხედრო დაწესებულებებს შორის, სამხედრო კვლევის სფეროში მომუშავე სპეციალისტების ურთიერთგაცვლა. გარდა ამისა, მოხდა შეტყობინებითი ხასიათის ქმედებების კონკრეტიზირება. კერძოდ, სამხედრო საქმიანობის შესახებ ქვეყანას უნდა გაეგრძელებინა შეტყობინება, თუ სამხედრო წვრთნებში მონაწილეობას იღებდა 13 ათასი ან მეტი სამხედრო მოსამსახურე.

სტოკჰოლმის დოკუმენტის შესაბამისად, უკვე 1987 წლის აგვისტოში აშშ-ის სამხედრო ინსპექტორებს მიეცათ საშუალება დასწრებოდნენ სამხედრო მანევრებს მინსკთან ახლოს, რაც გახლდათ პირველი ასეთი შემოწმება. თავის მხრივ, საბჭოთა ინსპექტორები დაესწრნენ ნატო-ს სამხედრო ძალების მანევრებს თურქეთის ტერიტორიაზე.

გარდა ამისა, ნატო-სა და ვარშავის ბლოკის ლიდერ სახელმწიფოებს – აშშ-სა და სსრკ-ს შორის გრძელდებოდა ორმხრივი მოლაპარაკებები უმაღლეს დონეზე. 1986 წლის ოქტომბერში ასეთი შეხვედრა გაიმართა ისლანდიის დედაქალაქ რეიკიავიკში. ამ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ მოლაპარაკებათა პროცესში საბჭოთა ლიდერი გორბაჩოვი ვეღარ მაღავდა იმ ფაქტს, რომ აშშ-სა და მთლიანად დასავლეთს გადამწყვეტი სამხედრო უპირატესობა ჰქონდათ მოპოვებული საბჭოთა ბლოკზე. კერძოდ, საბჭოთა ლიდერი აშკარად გამოთქვამდა თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ჯერ კიდევ 1983 წელს შემუშავებულ “სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის” მოქმედების შესახებ. ეს პროგრამა წარმოადგენდა კომპლექსურ კვლევით პროგრამას, რომლის მიზანი იყო იმ საშიშროების აღკვეთა, რომელსაც წარმოადგენდნენ სტრატეგიული ბირთვული რაკეტები. ეკონომიკური დაქვეითების გზაზე მდგარ საბჭოთა კავშირს (როდესაც მკვეთრად დაიწყო ვარდნა მსოფლიო ფასებმა ნავთობზე, რომლის ექსპორტი სსრკ-ის ბიუჯეტის უმნიშვნელოვანეს შემოსავალს წარმოადგენდა), რომელსაც მეტად ძვირი უჯდებოდა სამხედრო კამპანიის ჩატარება ავღანეთში, აგრეთვე ფინანსური დახმარების გაწევა მესამე სამყაროს ქვეყნებში არსებული პროსაბჭოთა რეჟიმებისათვის, არ შეეძლო მსგავსი სამხედრო ხასიათის პროგრამის განხორციელება. გარდა ამისა, აშშ-ის მთლიანი ეროვნული პროდუქტი ორჯერ უფრო მეტად აღემატებოდა საბჭოთა კავშირის მთლიან ეროვნულ პროდუქტს, თუმცა ამავე დროს ორივე ქვეყანას დაახლოებით ერთნაირი მოცულობის თავდაცვითი ბიუჯეტი გააჩნდათ. ამის ფონზე, წინამორბედი საბჭოთა ლიდერებისაგან შედარებით პროგრესულად მოაზროვნე მიხეილ გორბაჩოვმა ნათლად გააცნობიერა რეალურად არსებული ვითარება, და თუ რეიკიავიკის სამიტმა არ მოიტანა რაიმე რადიკალური წინსვლა სსრკ-აშშ-ის შორის ურთიერთობების დათბობის გზაზე, უკვე მომდევნო, 1987 წელს საბჭოთა კავშირმა და ვარშავის ბლოკის ქვეყნებმა განაახლეს მოლაპარაკებები ნატოსთან ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ ატლანტიკიდან ურალამდე. იმავე წლის ივლისში, მ. გორბაჩოვმა განაცხადა სსრკ-ის მზადყოფნის შესახებ ლიკვიდირებულ ყოფილიყო ყველა სახის ბირთვული სისტემები საბჭოთა კავშირის აზიურ ნაწილში, ხოლო ჟენევაში აშშ-სთან ორმხრივი მოლაპარაკებების დროს საბჭოთა მხარის მიერ შეტანილ იქნა წინადადება საშუალო სიშორის რაკეტების გლობალურ დონეზე ლიკვიდაციის შესახებ.

“ცივი ომის” დასრულებასა და ნატო-ს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა 1987 წლის 7-10 დეკემბერს აშშ-სა და სსრკ-ის შორის გამართულმა მოლაპარაკებებმა უმაღლეს დონეზე, რომლის დროსაც ხელი მოეწერა რიგ შეთანხმებებს “ინტერვალური სიშორის ბირთვული ძალების შესახებ”, რომელიც ითვალისწინებდა სახმელეთო ბაზირების რაკეტების ლიკვიდაციას, აგრეთვე ხელმოწერილ იქნა შეთანხმება “ორივე ქვეყნის საცდელ პოლიგონებზე ბირთვული გამოცდების ჩატარების სფეროში ურთიერთკონტროლის შესახებ”. გარდა ამისა, ორივე ქვეყნის ლიდერმა აიღო თავის თავზე ვალდებულება სტრატეგიული შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ. ხელმოწერილი შეთანხმებიდან ერთი წლის თავზე გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე საბჭოთა ლიდერმა განაცხადა “სსრკ-ის ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ცალმხრივი შემცირების შესახებ”. უკვე მომდევნო წელს საბჭოთა კავშირმა განაცხადა თავდაცვის ხარჯების 14,2%-ით, და შეიარაღებისა და ტექნიკის 19,5%-იანი შემცირების შესახებ.

ზემოხამოთვლილმა პოზიტიურმა პროცესებმა, რომელიც მიმართული იყო კონფრონტაციის შემცირებისაკენ, შესაბამისი გამოსმაურება ჰპოვა ნატო-ს მხრიდან. 1988 წლის 9-10 ივნისს, მადრიდში გამართულ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომაზე წვერი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ განხილულ იქნა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობათა პოზიტიური განვითარება, ხოლო იმავე წლის 8 დეკემბერს ალიანსის წვერი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები მიესალმნენ საბჭოთა კავშირის მზადყოფნას “ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ”. ამის შესაბამისად მიღებულ იქნა განცხადება ნატო-ს მხრიდან წინადადებათა ერთობლიობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა მოლაპარაკებათა პროცესის გამართვას ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების სფეროში და ურთიერთდობისა და უსაფრთხოების სფეროში დამატებით ღონისძიებათა ჩატარებას.

უკვე მომდევნო წლებში ნატოს მხრიდან მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადაგმული რაზეც შემდეგ თავებში გვექნება საუბარი.

ნატოს სტრატეგიული კონცეფციები “ცივი ომის” პერიოდში

ალიანსი დაარსების პირველი დღეებიდანვე შეუდგა სტრატეგიული კონცეფციის შემუშავებას. პირველ ეტაპზე ნატოს სტრატეგიის დოკუმენტი ცნობილი იყო სახელით “ჩრდილოატლანტიკური რეგიონის თავდაცვის სტრატეგიული კონცეფცია”(10). ამ დოკუმენტში, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობდა 1949 წლის ოქტომბრიდან 1950 წლის აპრილამდე, ასახული იყო ტერიტორიული თავდაცვის ფართომასშტაბიანი ოპერაციების სტრატეგია. უკვე 50-იანი წლების შუა პერიოდში შემუშავებულ იქნა “მასირებული საპასუხო დარტყმის სტრატეგია”. მასში აღნიშნული იყო შეკავების პოლიტიკის განხორციელების მნიშვნელობა, რომელიც დაფუძნებული იყო ნატოს მიერ, მის თითოეულ წევრზე მოსალოდნელი საფრთხის არსებობისას საპასუხო ქმედებების განხორციელებაზე ბირთვული ძალების გამოყენების ჩათვლით.

ამ სტრატეგიული მიდგომის მოსალოდნელი ცვლილებების განხილვა დაიწყო 50-იანი წლების მეორე ნახევარში და გრძელდებოდა 1967 წლამდე, როდესაც აქტიური დისკუსიების წარმატების შედეგად ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში “მასირებული საპასუხო დარტყმის” სტრატეგია შეიცვალა “მოქნილი რეაგირების სტრატეგიით”. მთავარი ყურადღება მასში ეთმობოდა იმ უპირატესობებს, რომელსაც იღებდა ნატო და დაკავშირებული იყო წინააღმდეგობის მოქნილი ფორმის არჩევანთან ნატოს რომელიმე წევრის წინაშე

მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის საფრთხის არსებობის შემთხვევაში. ამ კონცეფციის მთავარი მიზანი იყო ისეთი პირობების შექმნა, რომლის დროსაც მოწინააღმდეგისათვის ყველანაირი აგრესია განხილულ იქნებოდა როგორც მიუღებელი რისკი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტები, სადაც განხილული იყო ეს სტრატეგიები, დიდი ხნის განმავლობაში გასაიდუმლოებული იყო და შეიცავდნენ დირექტივებს ცალკეული ქვეყნების მთავრობებისადმი, ასევე შეიცავდნენ ორიენტირებს სამხედრო გეგმების შედგენის პროცესში. ეს დოკუმენტები არ გახლდათ შემოთავაზებული ფართო მკითხველისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ დოკუმენტების თავდაპირველი ვერსიები ფართოდ გახდა ცნობილი, სტრატეგიის დეტალური განხილვა საზოგადოების მიერ იყო ფაქტობრივად შეუძლებელი, რადგან მათი ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო მათი საიდუმლოდ შენახვაში. ამ მასალებში ასახული გახლდათ “ცივი ომის”, ევროპის პოლიტიკური გახლეჩისა და იდეოლოგიური და სამხედრო კონფრონტაციის რეალები, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში დამახასიათებელი იყო ურთიერთობებისათვის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

ამავე დროს, როგორც ცნობილია “ცივი ომის” პერიოდში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ცდილობდა შეემცირებინა დაძაბულობა და ცდილობდა შეექმნა წინაპირობები სსრკ-ისთან და ვარშავის ხელშეკრულების სხვა წევრებთან ურთიერთობათა ნორმალიზაციისკენ. ასე მაგალითად, არმელის მოხსენება, რომელიც გამოქვეყნდა 1967 წელს – “თავდაცვა და დიალოგი”, მათ შორის შეიარაღებაზე კონტროლი, განსაზღვრულ იქნა ორმაგი საფუძვლის საფუძვლად ჩრდილოატლანტიკური კავშირის უსაფრთხოების საკითხებისადმი მიდგომის პროცესში.

“ცივი ომის” დასრულების შემდგომ მოხდა ევროპაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის კარდინალური შეცვლა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ნატოს პოლიტიკაში, შესაბამისად დაიწყო ახალი სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება, რომელზეც მუშაობა გრძელდებოდა ბერლინის კედლის დაცემიდან ორი წლის განმავლობაში და რომელზეც მუშაობა დასრულდა 1991 წელს, თუმცა მოგვიანებით მოხდა ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის ადაპტირებული ვერსიის შემუშავება, რომელიც საზოგადოებისათვის უკვე 1999 წელს გამართული ვაშინგტონის სამიტის შემდეგ გახდა ცნობილი.

აშშ-ის, როგორც ნატოს წამყვანი სახელმწიფოს როლი ცივი ომის პერიოდში

ამერიკის შეერთებული შტატების შექმნიდან ერთი საუკუნის განმავლობაში ამ ქვეყანამ, შიდა პოლიტიკური პროცესების გავლენისა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდინარე დინამიურად განვითარებული საერთაშორისო მოვლენების განვითარებას შედეგად, შეძლო მსოფლიო მასშტაბის სახელმწიფოდ გადაქცევა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ამერიკამ “მონროს დოქტრინის” გამოცხადებით, ოფიციალურად განაცხადა თავისი პრეტენზიები დასავლეთ ნახევარსფეროს უსაფრთხოებაზე თავისი პასუხისმგებლობის აღების შესახებ. პანამის არხის მშენებლობის შემდეგ აშშ-ის ამბიციები კიდევ უფრო გაიზარდა. ზემოაღნიშნული არხი უადვილებდა აშშ-ს, თავისი სამხედრო-საზღვაო უპირატესობის მოპოვებას როგორც ატლანტის, ისევე წყნარ ოკეანეში.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ 1898 წელს გამართული აშშ-ესპანეთის ომი გახლდათ აშშ-ის პირველი ომი ამერიკის კონტინენტის ფარგლებს გარეთ, როდესაც აშშ-მ შეძლო ესპანეთისთვის წაერთმია ფილიპინები, პუერტო-რიკო, კუნძული გუამი, ხოლო კუბა გადაქცეულ იქნა აშშ-ის გავლენის ქვეშ მყოფ

სახელმწიფოდ. XX საუკუნის დასაწყისში სტრატეგიული დაგეგმვის ამერიკელმა სპეციალისტებმა დაიწყეს სხვადასხვა სტრატეგიული დოქტრინების შემუშავება ორ ოკეანეში სამხედრო-საზღვაო ბატონობასთან დაკავშირებით.

აშშ-ის გეოპოლიტიკური ამბიციების ზრდა განპირობებული იყო ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციით. უკვე პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე აშშ-ის ეკონომიკური პოტენციალი შეადგენდა მსოფლიოს მშპ-ის 33%-ს.

პირველი მსოფლიო ომი წარმოადგენდა ქვეყნისთვის პირველ შესაძლებლობას გადაესროლა აშშ-ის სამხედრო ქვედანაყოფები ევროპაში. სახელმწიფომ, რომელიც იმ პერიოდში იმყოფებოდა შედარებით იზოლაციაში, სწრაფად გადასხა ატლანტის ოკეანის მეორე მხარეს თავისი შეიარაღებული ძალები, რომელთა რაოდენობა ასეულ ათასს აღემატებოდა. ეს გახლდათ პირველი დადასტურება საერთაშორისო არენაზე ახალი მსხვილი მოქმედი პირის გამოჩენის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში აშშ-ში დომინირებდა ე.წ. იზოლაციონიზმის პოლიტიკა, როდესაც ამერიკული სტრატეგია მიმართული იყო თავისი სანაპიროების დაცვისაკენ, XX საუკუნის 30-იან წლებში მთავარ საერთაშორისო მოთამაშეებად რჩებოდნენ ევროპული სახელმწიფოები და სულ უფრო იზრდებოდა აგრეთვე იაპონიის როლი. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, მსოფლიო პოლიტიკაში ევროპული ერა დასრულდა, და შესაბამისად გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხების შემდეგ, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე უკვე გაჩნდა ორი არაევროპული სუპერსახელმწიფო, აშშ და საბჭოთა კავშირი.

მოკლედ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აშშ-ის სუპერსახელმწიფოდ გადაქცევას ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო ომის დროს წამყვანი ევროპული სახელმწიფოების დასუსტებამ (მათ შორის გამარჯვებული დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის), აგრეთვე იმან, რომ აშშ-მა გადამწყვეტი როლი ითამაშა გერმანული ფაშიზმისა და იაპონური მილიტარიზმის დამარცხებაში და იმ ფაქტმა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ის ეკონომიკა ძალიან სწრაფად გაიზარდა. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, 1943 წლისათვის სამრეწველო წარმოების მოცულობა თითქმის ორჯერ მეტი იყო, ვიდრე 1937 წელს, რაც დაკავშირებული იყო მეომარი ქვეყნებისათვის დიდი მოცულობის დაკვეთების შესრულებასთან.

ამავე დროს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ-ის მიერ მსოფლიო ჰეგემონობის მოპოვების გზაზე მთავარ წინაღობას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი. გამომდინარე აქედან, ამერიკა გასული საუკუნის 40 – იანი წლების მეორე ნახევარში მსოფლიოში მოსალოდნელი კომუნისტური ექსპანსიის შეჩერებისათვის, მეტად აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა. გარდა იმისა, რომ ნატო-ს შექმნის შემდეგ, აშშ-იმ აიღო მთავარი პასუხისმგებლობა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, “ცივი ომის” პერიოდში აშშ-ის მიერ შემუშავებულ იქნა სხვადასხვა საგარეო-პოლიტიკური დოქტრინები და სამხედრო სტრატეგიები.

საგარეო-პოლიტიკური დოქტრინებიდან ცნობილია “შეკავების”, “ტრუმენის დოქტრინის”, “განთავისუფლების”, “ეიზენჰაუერის”, “ნეიტრალიტეტის ამორალობის”, “ხიდების გადების,” “გუამის დოქტრინა”, “კარტერის დოქტრინა” და ა.შ.

რაც შეეხება აშშ-ის სამხედრო სტრატეგიებს, აქ აღსანიშნავი იყო “პირველი დარტყმის,” “გარანტირებული განადგურების”, “კონტრდარტყმის”, “სტრატეგიული სტაბილურობის”, “საპაერო-სახმელეთო ოპერაციების” სტრატეგიები.

აშშ-ის ურთიერთობა ნატოს დასავლეთ ევროპელ პარტნიორებთან ცივი ომის პერიოდში

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აშშ-მ უდიდესი როლი შეასრულა ევროპაში საბჭოთა კავშირის მოსალოდნელი აგრესიის თავიდან ასაცილებლად. დასავლეთევროპული სახელმწიფოები წარმოადგენდნენ აშშ-ის უახლოეს სტრატეგიულ პარტნიორებს “ცივი ომის” პერიოდში.

1945 წლიდან გასული საუკუნის 60-იან წლებამდე აშშ-მ ძალ-ღონე არ დაიშურა დასავლეთ-ევროპული სახელმწიფოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების მიზნით.

როგორც უკვე აღნიშნულ იქნა, 1947 წელს გამოქვეყნებულ იქნა “მარშალის გეგმა”, რომელიც ითვალისწინებდა სოლიდური მოცულობის თანხების გამოყოფას დასავლეთ ევროპის ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით. როგორც უკვე ცნობილია, 1948 წლის აპრილიდან 1952 წლის თებერვლამდე დასავლეთ ევროპამ მიიღო დაახლოებით 17 მილიარდი აშშ დოლარის დახმარება (11).

ამავე დროს, ვაშინგტონი ყველანაირად უწყობდა ხელს დასავლეთ ევროპაში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. ამერიკის მმართველი წრეები მშვენივრად აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ დასავლეთ ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანება ხელს შეუწყობდა დემოკრატიული სამყაროს კიდევ უფრო გაძლიერებას და შესაბამისად შეამცირებდა მოსალოდნელ საფრთხეს კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოების მხრიდან. სწორედ ამის გამო, აშშ-ის ადმინისტრაცია მიესალმა 1957 წელს რომის ხელშეკრულების ხელმოწერას, რამაც საფუძველი დაუდო ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნას.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად სტრატეგიული პარტნიორობისა, არსებობდა გარკვეული ხასიათის უთანხმოებანიც ნატო-ს ამერიკელ და დასავლეთ ევროპელ მოკავშირეებს შორის. კერძოდ, ევროპელმა სახელმწიფოებმა არ მოისურვეს ჩართულიყვნენ აშშ-სთან ერთად კორეის ომში (1950-1953 წწ.) თავის მხრივ ვაშინგტონმა უარი განაცხადა ყოფილიყო ჩართული სუეცის კრიზისის გადაწყვეტაში, სადაც საომარ მოქმედებებს ახორციელებდნენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.

გარდა ამისა, ევროპელებს ჰქონდათ მცდელობა ევროპის თავდაცვის თანამეგობრობის შექმნის შესახებ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებათა პროცესის შედეგად 1952 წელს ევროპის ნატოს წევრმა ექვსმა სახელმწიფომ – საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ, ჰოლანდიამ, ბელგიამ და ლუქსემბურგმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელსაც უნდა უზრუნველყო ევროპის თავდაცვის თანამეგობრობის შექმნა.

სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებიდან აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 60-იანი წლების დასაწყისიდან 70-იანი წლების შუა პერიოდამდე მოხდა დასავლეთ ევროპის სწრაფი სოციალ-ეკონომიკური განვითარება. ნატოს წევრი ევროპის ექვსი სახელმწიფოს ეკონომიკურმა ინტეგრაციამ შექმნა ეკონომიკური წინსვლის მეტად ძლიერი სტიმულები. მაგალითად, თუ 1960 წელს ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (მომავალში ევროკავშირი) მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეკ) შეადგენდა აშშ-ის მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით ნახევარს, უკვე 1970 წელს ევროპის მეკ შეადგენდა აშშ-ის მეკ-ის ორ მესამედს. ხოლო იმდროინდელი კაპიტალისტური სამყაროს ექსპორტში, ევროპის წილი შეადგენდა 31,2%-ს, ხოლო აშშ-ის მხოლოდ 15,6%-ს. ამრიგად, დასავლეთ ევროპის სახით გაიკვეთა კიდევ ერთი ძლიერი ეკონომიკური ცენტრი, რასაც შეიძლება გამოეწვია მსოფლიო ეკონომიკურ ბაზრებზე კონკურენციის გამძაფრება ნატოს ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებს შორის.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს XX საუკუნის 60-იან წლებში საფრანგეთის პრეზიდენტის, შარლ დე გოლის მიერ გატარებული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა დასავლეთ ევროპის კიდევ უფრო გაძლიერებასა და აშშ-ის გეოპოლიტიკური გავლენის შესუსტებას “ბებერ კონტინენტზე”. ამ მიზნით, 1963 წლის იანვარში დადებულ იქნა შეთანხმება საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, რომელიც ორივე სახელმწიფოს ლიდერის აზრით უნდა ყოფილიყო საფუძველი ევროპეიზმის ჩასახვისა. ამ ფაქტმა აშშ-ის ხელისუფლების აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია, მან მოითხოვა დასავლეთ გერმანიის მთავრობისაგან ახსნა-განმარტება იმისა, რომ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება არ ატარებდა ანტიატლანტიკურ მიმართულებას.

1965 წლის 9 სექტემბერს, საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა განაცხადა, რომ საფრანგეთი 1969 წლისათვის გამოვიდოდა ნატოს გაერთიანებული სამხედრო ორგანიზაციიდან, თუმცა ეს ყველაფერი მოხდა გაცილებით უფრო ადრე, 1966 წელს.

სხვა მნიშვნელოვანი წინააღმდეგობებიდან ნატოს ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებს შორის აღსანიშნავია “დიდი პროექტის” და მრავალმხრივი ბირთვული ძალების პროექტების ჩაშლა.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის პრეზიდენტის ჯონ კენედის მიერ წარმოადგენილ იქნა ე.წ. “დიდი პროექტი”. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა ატლანტიკური თანამეგობრობის შექმნას აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის პარტნიორობის საფუძველზე, რაც პირველ რიგში ითვალისწინებდა საბაჟო ბარიერების გაუქმებას. მეორე მხრივ, ჯონ კენედის და შემდგომში ლინდონ ჯონსონის მთავრობები აწარმოებდნენ მოლაპარაკებას დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან მრავალმხრივი ბირთვული ძალების (მბძ) ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებდა ნატო-ს ფარგლებში საერთაშორისო ბირთვული ძალების შექმნას (წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ხომალდები მასზე ბირთვული იარაღით, სადაც საქმიანობას აწარმოებდნენ შერეული ეროვნული ჯგუფები). თუმცა, როგორც “დიდი პროექტი”, ასევე არც მრავალმხრივი ბირთვული ძალების პროექტი არ იქნა ცხოვრებაში გატარებული.

გარკვეულმა უთანხმოებებმა აგრეთვე თავი იჩინა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ 70-იანი წლების დასაწყისში გატარებული “ახალი აღმოსავლეთის პოლიტიკის” დროს, რომელიც ითვალისწინებდა ურთიერთობათა დათბობას დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის.

კიდევ ერთმა უთანხმოებამ ნატოს პარტნიორებს შორის თავი იჩინა ამერიკის სახელმწიფო მდივნის, ჰენრი კისინჯერის წინადადების გამო. 1973 წლის აპრილში სახელმწიფო მდივანი გამოვიდა წინადადებით, რომელსაც მან უწოდა “ახალი ატლანტიკური ქარტია”. იგი ითვალისწინებდა აშშ-ის, მის დასავლეთ-ევროპულ მოკავშირეებსა და იაპონიას შორის ინტეგრაციული პროცესების განვითარებას, რაც ითვალისწინებდა თანამშრომლობის გაღრმავებას ეკონომიკასა და სამხედრო სფეროებში. თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო, დასავლეთ ევროპის ლიდერების მიერ “ახალი ატლანტიკური ქარტიის” პროექტი არ იქნა მოწონებული.

ცალკეულ შემთხვევებში არსებული უთანხმოებების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ საერთო დემოკრატიულმა ფასეულობებმა და ღირებულებებმა, მცდელობამ იმისა, რომ მსოფლიო ყოფილიყო უფრო უსაფრთხო და სტაბილური, საერთო მტრის წინააღმდეგ არსებულმა საერთო ინტერესებმა განაპირობეს ტრანსატლანტიკური კავშირების მდგრადობა, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა ნატო-ს გამარჯვება “ცივ ომში”.

ამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი გახლდათ აშშ-ის პოლიტიკა, რომელმაც ცივი ომის პერიოდში საგრძნობლად გააძლიერა ევროპის თავდაცვისუნარიანობა, რის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს შემდეგი

ფაქტები. 1979 წლის დეკემბერში, აშშ-მა დასავლეთ ევროპასთან სსრკ-ის მხრიდან არსებული შესაძლო საფრთხიდან გამომდინარე ნატოს სესიაზე 1979 წელს მიაღწია იმას, რომ დასავლეთ ევროპის ხუთ ქვეყანაში განთავსებულ იქნა 572 ერთეული ამერიკული რაკეტებისა "პერშინგ-2" და "ტომავაკი".

"ცივი ომის" დასრულების ბოლო ეტაპზე, 1987 წლისათვის აშშ-ის სამხედრო კონტინგენტი ნატო-ს დასავლეთ ევროპელი მოკავშირეების ტერიტორიაზე შეადგენდა საერთო დანიშნულების ძალების 355 ათას სამხედრო მოსამსახურეს. ამ დაჯგუფებაში, დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე იმყოფებოდა აშშ-ის რეგულარული სახმელეთო ძალების პირადი შემადგენლობის დაახლოებით 30%.

ამავე პერიოდში ნატოს ევროპულ ქვეყნებში განლაგებული იყო აშშ-ის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფი 220 ერთეული ბალისტიკური რაკეტა, 5000 ტანკი, 2500 ერთეული საბრძოლო საარტილერიო დანადგარი, 1200-მდე საბრძოლო თვითმფრინავი, 200-მდე სამხედრო ხომალდი, 54 წყალქვეშა ნავი და 7 ათასამდე ბირთვული მოწყობილობა.

1966 წლიდან 1985 წლის ჩათვლით აშშ-იმ თავის დასავლეთ ევროპელ პარტნიორებს ნატო-ში 55,2 მილიარდი დოლარის შეიარაღება მიაწოდა.

"ცივი ომის" პერიოდში მსოფლიოს 34 ქვეყანაში განთავსებული იყო 1600-მდე ამერიკული სამხედრო ბაზა. აქედან, ბაზების უდიდესი რაოდენობა მოდიოდა დასავლეთ ევროპაზე. მაგალითად, მხოლოდ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აშშ-ის მიერ გამოიყენებოდა 200-მდე მსხვილი სამხედრო ბაზა და ობიექტები. რაც შეეხება ამერიკის ბაზებს ალიანსის სხვა წევრების ტერიტორიებზე, ბრიტანეთში განთავსებული იყო 19, იტალიაში-10, თურქეთში-7, ესპანეთში-6 და საბერძნეთში 4 სამხედრო ბაზა.

აშშ-კანადის ურთიერთობები

რაც შეეხება აშშ-ის ურთიერთობას მის ჩრდილოამერიკელ პარტნიორთან ნატო-ში - კანადასთან, აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ორივე ქვეყანამ მიაღწიეს სტრატეგიულ პარტნიორობას მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე. უკვე XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს კანადა აშშ-ისათვის წარმოადგენდა უმთავრეს სავაჭრო პარტნიორს, კანადაზე მოდიოდა აშშ-ის სავაჭრო ვაჭრობის 20%. გარდა ამისა, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ამერიკული კაპიტალდაბანდებების 20%-ზე მეტი განთავსებული იყო მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, კერძოდ 1947 წელს ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება თავდაცვის მუდმივმოქმედი გაერთიანებული საბჭოს შექმნის შესახებ. იმავე წელს, ოტავაში მიღებულ იქნა "ებოტის გეგმა", რომელიც ითვალისწინებდა კანადასა და აშშ-ის შორის სავაჭრო ბრუნვის მოცულობის ზრდას, აგრეთვე ამერიკული კაპიტალის შემოდინებას კანადის ეკონომიკაში. თავის მხრივ, უკვე 1948 წელს აშშ-მა მიიწვია კანადა, რათა ეს უკანასკნელი ჩართულიყო "მარშალის გეგმაში", რომელიც როგორც ცნობილია დასავლეთ ევროპის ეკონომიკურ დახმარებას ითვალისწინებდა.

"ებოტის გეგმის" რეალიზაციამ გამოიწვია კანადის ეკონომიკაში ამერიკული ინვესტიციების მკვეთრი ზრდა. 1948-1985 წლებში ისინი გაიზარდა 5,6 მლრდ დოლარიდან 118,7 მლრდ დოლარამდე. ე.ი. დაახლოებით 21-ჯერ. რაც შეეხება კანადასა და აშშ-ის შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას, 1985 წლისათვის აშშ-ის წილი კანადის სავაჭრო ვაჭრობაში შეადგენდა 75,6%-ს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს აშშ-კანადის თანამშრომლობა სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი

წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ სფეროს მჭიდრო ურთიერთობებისა ორ ქვეყანას შორის. ნატო-ს ფარგლებში თანამშრომლობასთან ერთად, 50-იან წლებში ორ ქვეყანას შორის დადებულ იქნა შეთანხმება კანადის ტერიტორიაზე საჰაერო შეტყობინების სამი ხაზის მშენებლობის შესახებ. 1957 წელს ხელმოწერილ იქნა უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულება ჩრდილოეთ ამერიკის ერთიანი ანტისაჰაერო გაერთიანებული სარდლობის შექმნის შესახებ. 1959 წელს კანადამ თანხმობა განაცხადა თავისი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნასა და შეიარაღებაზე ევროპაში ნატო-ს ძალების ფარგლებში. აგრეთვე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატო-ს ფარგლებში კანადის სამხედრო-საჰაერო ძალების შემტევი როლის გაძლიერების შესახებ. იმავე წელს მიღებულ იქნა "ერთობლივი სამხედრო წარმოების პროგრამა". გარდა ამისა, კანადის მთავრობამ აღჭურვა თავისი რაკეტაწინააღმდეგო ძალები ამერიკული საზენიტო დანადგარებით. 1963 წელს კანადის ახალმა მთავრობამ გააფორმა შეთანხმება აშშ-სთან ბირთვული ქობინების კანადაში განთავსების შესახებ.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ როგორც თავის დასავლეთ ევროპულ პარტნიორებთან ნატო-ში, ასევე კანადასთანაც, ორ ქვეყანას (აშშ-სა და კანადას) შორის ურთიერთობების გზაზე გარკვეულ პერიოდებში თავს იჩენდა გარკვეული ხასიათის უთანხმოებებიც. ასე მაგალითად კანადამ, უარი განაცხადა გაეგზავნა თავისი სამხედრო კონტინგენტი აშშ-ის შეიარაღებული ძალების მხარდასაჭერად ჯერ კორეაში, ხოლო შემდგომ ვიეტნამში. 1969 წელს კანადის მთავრობამ სამხედრო პოლიტიკის სფეროში პირველიდან მესამე საფეხურზე გადაიტანა მისი ვალდებულებები ნატო-ს წინაშე, დააყენა რა პირველ ადგილზე კანადის სუვერენიტეტი და უსაფრთხოება. გარდა ამისა, ამავე პერიოდში მან ორჯერ შეამცირა თავისი სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა დასავლეთ ევროპაში და ამოიღო თავისი შეიარაღებიდან ამერიკული ბირთვული იარაღი. ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა გარკვეული გაღიზიანება გამოიწვია ამერიკის პოლიტიკურ წრეებში. ამის საპასუხოდ აშშ-იმ შემოიღო 10%-იანი საბაჟო ბარიერი კანადურ საქონელზე.

მიუხედავად ამ უთანხმოებებისა, მათ არ გამოუწვევიათ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების რადიკალურად დაძაბვა. ამაში დიდი როლი შეიტანა შემდგომ წლებში განვითარებულმა მოვლენებმა. აშშ-იმ დიდი როლი შეასრულა იმ დროს, როდესაც განსაკუთრებული სიმწვავეთ დადგა კანადისაგან კვებეკის გამოყოფის საკითხი. სიტუაციის გამწვავებას ხელი შეუწყო 1976 წელს კვებეკის პროვინციაში ხელისუფლებაში ფრანკო-კანადელი სეპარატისტების მოსვლამ. ამ მომენტში თავისი პრინციპული პოზიცია დაიკავა აშშ-ის პრეზიდენტის კარტერის ადმინისტრაციამ. კარტერმა საჯაროდ განაცხადა, რომ მხარს უჭერდა კანადის ტერიტორიულ მთლიანობას, რითაც მან დაასამარა კანადელი სეპარატისტების იმედები, რომლებიც ცდილობდნენ ამერიკის მხრიდან პოლიტიკურ მხარდაჭერას.

1980 წელს აშშ-ის მხრიდან წამოყენებული იყო ინიციატივა ჩრდილოამერიკული თანამეგობრობის შექმნის შესახებ.

ცივი ომის ბოლო პერიოდში, როდესაც 1985 წელს კანადაში, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდნენ კონსერვატორები პრემიერ მინისტრის ბრაიან მალრუნის ხელმძღვანელობით, კანადის ხელისუფლებამ აიღო კურსი აშშ-ისთან ყოველმხრივ დაახლოებაზე. 1988 წელს ოტავის ინიციატივით ხელი მოეწერა შეთანხმებას აშშ-სა და კანადას შორის "თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის" შემოღების შესახებ. გარდა ამისა, მალრუნის მთავრობამ ნება დართო კერძო კანადურ კომპანიებს, რათა ამ უკანასკნელთ მონაწილეობა მიეღოთ აშშ-ის მთავრობის მიერ შემუშავებულ "სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" პროგრამაში.

აშშ-სსრკ-ის ურთიერთობა ცივი ომი პერიოდში

“ცივი ომის” პერიოდში არსებულ ორ სუპერსახელმწიფოს, სსრკ-სა და აშშ-ს შორის ურთიერთობას შეიძლება ითქვას რომ არა მხოლოდ ამ ორი ქვეყნის, არამედ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიაში წამყვანი ადგილი უჭირავს.

უკვე მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, ყოფილი მოკავშირეები ერთმანეთის მეტოქეებად გადაიქცნენ. ამ ფაქტს საფუძველი დაედო 1946 წელს ფულტონში ბრიტანეთის ყოფილი პრემიერის უინსტონ ჩერჩილის ცნობილი გამოსვლის შემდეგ, სადაც გაისმა მოწოდება ბრიტანეთ-ამერიკის კავშირის შექმნის შესახებ “აღმოსავლეთის კომუნიზმის” წინააღმდეგ საბრძოლველად.

შემდგომში, საბჭოთა კავშირის მიერ “მარშალის გეგმაზე” უარის თქმამ, ბერლინის დასავლეთი ნაწილის ბლოკადამ, რამაც ქალაქის მოსახლეობა ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე დააყენა, აგრეთვე საბჭოთა კავშირის უხეშმა ჩარევამ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში და გერმანიის გაყოფამ 1949 წელს, აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა.

ამავე დროს, 50-იანი წლების ბოლოდან იგრძნობოდა ურთიერთობათა შედარებითი დათბობა ორ ქვეყანას შორის. კერძოდ, გადადგმულ იქნა პირველი ნაბიჯები ურთიერთობათა ნორმალიზაციის მიზნით. ხელმოწერილ იქნა ორწლიანი ხელშეკრულება კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში. 1959 წელს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა განახორციელა ვიზიტი საბჭოთა კავშირში, მოსკოვში ამერიკული გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით.

იმავე წლის სექტემბერში, საბჭოთა ლიდერი ხრუშჩოვი ეწვია აშშ-ს, რაც დაკავშირებული იყო გაეროს გენერალური ასამბლეის მორიგი სესიის გახსნასთან. პრეზიდენტ ეიზენჰაუერისა და ხრუშჩოვის შეხვედრის დროს განხილულ იქნა მნიშვნელოვანი საკითხები ცენტრალურ ევროპაში პრობლემების მშვიდობიანი გზით მოგვარების შესახებ, აგრეთვე დასავლეთ ბერლინის შესახებ.

დასავლეთ ბერლინისა და განიარაღების პრობლემებმა დაიკავა ცენტრალური ადგილი 1961 წელს ხრუშჩოვსა და კენედის შორის შეხვედრის დროსაც. მეტად მნიშვნელოვანი როლი აშშ-საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობაში ითამაშა კარიბის კრიზისმა, როდესაც აშშ-ის ხელისუფლების მტკიცე პოზიციის შედეგად, აღკვეთილ იქნა საბჭოთა კავშირის აგრესიული ზრახვები განთავსებულიყო საბჭოთა რაკეტები კუბის ტერიტორიაზე. ამის საპასუხოდ, აშშ-მ 1962 წლის ოქტომბრიდან მოახდინა კუბის ბლოკადა, როდესაც აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებმა ჩაატარეს ფართო მანევრები კუბის ტერიტორიული წყლების სიახლოვეს. აშშ-ის პოზიციამ აიძულა საბჭოთა კავშირი, რათა ამ უკანასკნელს ხელი აეღო თავის აგრესიულ ზრახვებზე და გაეტანა რაკეტები კუბის ტერიტორიიდან. ამის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო გარკვეულ დათმობებზე წასულიყო აშშ-ისთან და მთლიანად დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობებში, რისი ნათელი დადასტურება იყო 1963 წლის ივნისში სსრკ-აშშ-ის შეთანხმება ორი ქვეყნის მთავრობებს შორის პირდაპირი “ცხელი ხაზის” დამყარების შესახებ, რაც შესაძლებლობას მისცემდა ორივე მხარეს გაეადვილებინათ ერთმანეთთან კონტაქტები მწვავე საერთაშორისო კრიზისების პერიოდში.

60-იანი წლების მეორე ნახევარში გადაგმულ იქნა გარკვეული ნაბიჯები, რომელთა მიზანი იყო საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა. პირველ რიგში ეს გახლდათ მზადება მრავალმხრივი შეთანხმების

ხელმოწერისათვის, რომელიც ეხებოდა ბირთვული იარაღის გაუზრცლებლობას. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1968 წლის ივლისში. აშშ-საბჭოთა კავშირს შორის გარკვეულწილად ურთიერთობათა შედარებითმა გაუმჯობესებამ აგრეთვე საშუალება მისცა ორივე მხარეს შემუშავებულიყო საერთაშორისო კონვენცია “ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე ბირთვული იარაღის განთავსების აკრძალვის შესახებ”. მრავამხრივი შეთანხმება ძალაში შევიდა 1972 წელს.

XX საუკუნის 70-იან წლებს ამერიკის შეერთებულ შტატებისა და საბჭოთა კავშირის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. 70-იანი წლების პირველ ნახევარში, აშშ-სსრკ-ის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები განხორციელდა. მსოფლიოში დაძაბულობის შემცირების მიზნით გაიმართა რამდენიმე ორმხრივი შეხვედრა უმაღლეს დონეზე. კერძოდ: აშშ-ის პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის ვიზიტები საბჭოთა კავშირში 1972 წლის მაისში და 1974 წლის ივნისში. აგრეთვე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის, ლ. ბრეჟნევის ვიზიტი აშშ-ში 1973 წლის ივნისში და ბრეჟნევისა და ფორდის შეხვედრა ვლადივოსტოკში 1974 წლის ნოემბერში, ასევე ბრეჟნევისა და ჯიმი კარტერის შეხვედრა ვენაში 1979 წელს.

1972 წლის წლის მაისში საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის უმაღლესი დონის შეხვედრის დროს ხელი მოეწერა დოკუმენტს “სსრკ-სა და აშშ-ის შორის ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ”, რომლებმაც დააფიქსირეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ძირითადი პრინციპები.

1969 წლიდან დაიწყო სსრკ-აშშ-ის მოლაპარაკებები სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. მოსკოვში 1972 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას “რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ” და აშშ-სსრკ-ის დროებით შეთანხმებას “სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ”. 1973 წლის 21 ივნისს ვაშინგტონში ხელი მოეწერა დოკუმენტს “სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შემდგომი შემცირების ძირითადი პრინციპების შესახებ”. 1973 წელსვე სსრკ-მ და აშშ-მ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბირთვული ომის თავიდან აცილების შესახებ და თანამშრომლობის განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მსოფლიო ოკეანეში კვლევითი სამუშაოების ჩატარება, ატომური ენერჯის მშვიდობიანი გამოყენება და სხვ.

შემდგომ წლებში ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება აღმოსავლეთთან დაძაბულობის შემცირების მიზნით კვლავაც არ იშურებდა თავის ძალისხმევას. ამერიკის ძალისხმევის შედეგად 1979 წლის ივნისში მიმდინარეოდა ოთხმხრივი მოლაპარაკებები უმაღლეს დონეზე სტრატეგიული შეიარაღების შემცირების მეორე ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით. მოლაპარაკებათა შედეგად 1979 წლის 18 ივნისს ვენაში ხელმოწერილ იქნა მეორე შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა “სტრატეგიული შეიარაღების შემცირების უფრო ფართო დიაპაზონის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვას” და აფიქსირებდა ორ მხარეს შორის სტრატეგიული ძალების პარიტეტს.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ უკვე იმავე წლის დეკემბერში, საბჭოთა ჯარების მიერ ავღანეთის ოკუპაციის დაწყების შემდეგ და შემდგომში პოლონეთში დაწყებულ საპროტესტო გამოსვლებასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელთან თავისი აგრესიული პოლიტიკის გატარების გამო, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპაში დამატებითი საბჭოთა რაკეტების განთავსების გამო, აშშ-ის სენატმა უარი განაცხადა აშშ-საბჭოთა კავშირს შორის 1979 წელს დადებული შეთანხმების რატიფიცირებაზე. მეტიც, 1981 წლიდან აშშ-ში არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის მიერ წარმოებული აგრესიული საგარეო პოლიტიკის საპასუხოდ რეიგანის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება აშშ-

სა და საბჭოთა კავშირს შორის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტის შესახებ. გარდა ამისა, 1981-1983 წლებში აშშ-საბჭოთა კავშირს შორის ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებებს, რომელიც ეხებოდა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შემცირებას, პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია საბჭოთა მხარის არაკონტრუქციული პოზიციის გამო.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 1985 წლიდან საბჭოთა კავშირში ხელისუფლებაში მიხედვით გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ, როდესაც დასაბამი მიეცა სსრკ-აშშ-ის შორის ურთიერთობების ახალ ეტაპს. ამ პერიოდში როგორც წინა თავეებში იქნა აღნიშნული, ხელი მოეწერა რიგ მნიშვნელოვან შეთანხმებებს. ამ დოკუმენტებიდან რა თქმა უნდა უმნიშვნელოვანესია 1987 წლის 7-10 დეკემბერს გამართული მოლაპარაკებების შედეგად ხელმოწერილი “ხელშეკრულება საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების შემცირების შესახებ”. გარდა ამისა, 1986-1988 წლებში ორ ქვეყანას შორის იმართებოდა კონსულტაციები რეგიონალურ პრობლემებთან, ბირთვული იარაღის გაუზრცვლებლობის, ბირთვული ენერჯის მშვიდობიანი გამოყენებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

აშშ-ის ურთიერთობა კომუნისტურ ბლოკში შემავალ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან

1945-1949 წლებში საბჭოთა კავშირის აგრესიული პოლიტიკის შედეგად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს კომუნისტურმა ძალებმა. აშშ და მისი ნატოელი მოკავშირეები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, დახმარებოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს კომუნისტური რეჟიმის დამხობასა და საბჭოთა უღლისგან აღმოსავლეთ ევროპის განთავისუფლებაში. ამ მიზნით, აშშ “შეკავების პოლიტიკის” ფარგლებში მხარს უჭერდა აღმოსავლეთ ევროპაში მოღვაწე დემოკრატიულ ძალებს, რომლებსაც გარკვეული კავშირები გააჩნდათ ემიგრაციულ წრეებთან.

ამავე დროს, აშშ გამოხატავდა აღმოსავლეთ ევროპის ხელისუფალთა მიერ გატარებულ ანტისახალხო და ანტიდემოკრატიულ პოლიტიკას, რომელსაც ამ ქვეყნის მთავრობები ახორციელებდნენ საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამ მიზნით, აშშ-ის მიერ აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური მთავრობების მიმართ რიგი სანქციები იქნა გატარებული. კერძოდ, 1949 წლის თებერვალში აშშ-ის კონგრესმა მიიღო კანონი “საექსპორტო კონტროლის შესახებ”, რომელიც აწესებდა სპეციალურ შეზღუდულ რეჟიმს კომუნისტური ბლოკის ქვეყნებთან ვაჭრობის სფეროში. გაუქმებულ იქნა სავაჭრო შეთანხმებები ჩეხოსლოვაკიასთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან და უნგრეთთან. 1950 წლიდან მოქმედება დაიწყო საკოორდინაციო კომიტეტმა, რომელშიც აშშ-სთან ერთად ნატოს ევროპელი ქვეყნებიც შევიდნენ და მისი მიზანი იყო კომუნისტური რეჟიმის მქონე ქვეყნებში ექსპორტზე საერთაშორისო კონტროლის დამყარება. 1951 წელს მიღებულ იქნა “ბეტლის კანონი”, რომელიც ასევე ეხებოდა ანტიდემოკრატიული რეჟიმების მქონე ქვეყნებში საექსპორტო კონტროლის დამყარებას. ასეთ ქვეყნებად “ბეტლის კანონის” მიხედვით მოიაზრებოდნენ სსრკ და სხვა კომუნისტური სახელმწიფოები. ამ ზომების გატარების შედეგად 1948-1953 წლებში აშშ-ის ექსპორტი ამ ქვეყნებში შემცირდა 200-ჯერ, ხოლო იმპორტი ამ ქვეყნებიდან აშშ-ში 5-ჯერ.

აშშ-ის მხრიდან ანტისახალხო რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლაში ძალიან დიდი როლი ითამაშა “თავისუფალი ევროპის კომიტეტმა”. 1951 წელს აშშ-ის კონგრესმა გამოყო 100 მლნ დოლარი აღმოსავლეთ ევროპაში იატაკქვეშა ორგანიზაციების მხარდაჭერის მიზნით.

აშშ-ის მხრიდან მკაცრად იქნა დაგმობილი 1956 წელს უნგრეთის, ასევე 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე მოვლენები. ასევე, აშშ-მ მხარი დაუჭირა 1980 წელს პოლონეთში თავისუფალი პროფკავშირების “სოლიდარნოსტის” მიერ ორგანიზებულ საპროტესტო გამოსვლებს.

აშშ-მა თავის დასავლეთეუროპულ მოკავშირეებთან ერთად ყველაფერი გააკეთა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დაძაბულობის შემცირებისაკენ. ამ მხრივ აღსანიშნავია აშშ-ის აქტიურობა 1975 წელს ევროთათბირის ფარგლებში ჰელსინკის საბოლოო აქტის ხელმოწერის პროცესში.

80-იანი წლების მეორე ნახევარში სსრკ-სა და მთელ კომუნისტურ ბლოკში განვითარებულმა შიდა პოლიტიკურმა პროცესებმა და აშშ-სა და მისი ნატოელი მოკავშირეების მტკიცე პოზიციამ საფუძველი დაუდო ვარშავის ბლოკის ქვეყნებში ხელისუფლებაში დემოკრატიული ძალების მოსვლას, რამაც საბოლოოდ დაუსვა წერტილი აშშ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის დაძაბულობის არსებობას.

ნატოს დასავლეთ ევროპელი მოკავშირეების როლი ცივი ომის პერიოდში

საბჭოთა კავშირიდან მომდინარე კომუნისტურმა საფრთხემ აიძულა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები გაეტარებინათ კოორდინირებული პოლიტიკა უსაფრთხოების სფეროში. აშშ-სთან და კანადასთან მოლაპარაკებების დაწყებამდე და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნამდე ცოტა ხნით ადრე, დასავლეთ ევროპაში სერიოზულად დაწყეს ფიქრი საკუთარი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაზე. ამიტომაც, ევროპის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარების პირველი მცდელობები, ევროპული გაერთიანების ჩამოყალიბების პროცესის დაწყებამდე შეინიშნებოდა. სწორედ ეს გახლავთ ძირითადი მიზეზი იმისა, რომ დასავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები გამოვიდნენ ინიციატივით შექმნილი რეგიონალური ორგანიზაცია კოლექტიური უსაფრთხოების სფეროში. სწორედ ეს ინიციატივა დაედო საფუძვლად 1948 წლის 17 მარტს ბრიუსელში ხუთი სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას. შეთანხმება დაიდო 50 წლის ვადით და მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დასავლური ცივილიზაციის ძირითადი ღირებულებების - ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ასევე დემოკრატიული პრინციპების დაცვას. დასავლეთ ევროპაში კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება მიზნად ისახავდა ევროპის ეკონომიკური აღმშენებლობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბრიუსელის ხელშეკრულების სისტემა გულისხმობდა ავტომატურ თანადგომასა და ადეკვატურ პასუხს დასავლეთ ევროპის დემოკრატიულ სახელმწიფოებზე აღმოსავლეთიდან შეიარაღებული აგრესიის შემთხვევაში. ხელშეკრულების თანახმად იქმნებოდა სათათბირო საბჭო, რომელსაც უნდა გაენალიზებინა და შეესწავლა ყველა ის გარემოება, რომელიც სავარაუდოდ საფრთხეს შეუქმნიდა “ბებერი კონტინენტის” მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

ნატოს შექმნის შემდეგ, როდესაც აშშ-სთან სამხედრო კავშირის დამყარების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროპის თავდაცვისუნარიანობა, პარალელურად ევროპის რიგი სახელმწიფოები ფიქრობდნენ ნატო-ში ევროპის როლის თანდათანობით გაზრდაზეც. ამის ნათელი დადასტურება გახლდათ ევროპული სახელმწიფოების კიდევ ერთი მცდელობა შეექმნათ სამხედრო-პოლიტიკური ერთობა. ამ მიზნის განსახორციელებლად 1950 წელს წარმოდგენილ იქნა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის, პლევენის გეგმა (12). ე.წ. პლევენის გეგმა ითვალისწინებდა ევროპის რიგ ქვეყნებთან ერთად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო ქვედანაყოფების მონაწილეობით ევროპული არმიის შექმნას ნატო-ს გაერთიანებული სარდლობის ქვეშ.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად არმია უნდა დაკომპლექტებული ყოფილიყო ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ბატალიონებით, რომელთა რაოდენობა უნდა ყოფილიყო დაახლოებით 100 000. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საფრანგეთის პრემიერის ეს ინიციატივა ეფუძნებოდა ევროპის საბჭოს 1950 წლის 11 აგვისტოს რეკომენდაციას, სადაც აღნიშნული იყო ევროპის შეიარაღებული ძალების შექმნის აუცილებლობა. გეგმის მიხედვით შემოღებული უნდა ყოფილიყო ევროპის თავდაცვის მინისტრის თანამდებობა, ხოლო მისი საქმიანობა უნდა დაფინანსებულიყო ევროპის საერთო ბიუჯეტიდან. თუმცა ამავე დროს, მინისტრი ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მმართველობას უნდა დაქვემდებარებოდა.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მიერ შემოთავაზებული იდეა განიხილებოდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების ფარგლებში წარმოებული მოლაპარაკებების დროსაც.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში კოორდინირებული მოქმედებების მცდელობის პარალელურად, დასავლეთ ევროპის ქვეყნები ასევე განიხილავდნენ პოლიტიკური ხასიათის პროექტსაც, რომელიც ითვალისწინებდა ფედერაციის ან კონფედერაციის შექმნას. 1951 წელს პარიზში გაიხსნა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ევროპული არმიის შექმნის საკითხებს. გეგმის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა გერმანიის ხელახლა შეიარაღება. ამ იდეას მხარს აქტიურად ვაშინგტონიც უჭერდა, რადგან დასავლეთ გერმანიაში აშშ პოტენციურ პარტნიორს ხელავდა. თუმცა სწორედ ეს საკითხი იქცა სადაოდ მოლაპარაკებათა პროცესში, და უფრო მეტიც, დამღუპველი პლევენის გეგმისთვის. ეს გეგმა ასევე უარყოფილ იქნა იმის გამოც, რომ ევროპის ქვეყნებს არ სურდათ საკუთარი შეიარაღებული ძალების ცალკეული ქვედანაყოფების საერთაშორისო დაქვემდებარებაში ყოფნა.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ 1952 წლის 27 მაისს პარიზში ბელგიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ევროპის თავდაცვითი თანამეგობრობის შექმნის შესახებ, საბოლოოდ თავდაცვის გაერთიანების შექმნა ვერ მოხერხდა საფრანგეთის ეროვნული ასაბლეს პოზიციის გამო, როდესაც მან 1954 წლის 29 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება ევროპის თავდაცვითი თანამეგობრობის შექმნის წინააღმდეგ.

იმავე 1954 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ლონდონში ჩატარდა ევროპის ნატო-ს ათი წევრის ქვეყნის შეხვედრა, რომლის მიზანი იყო მოძებნილიყო ევროპის თავდაცვითი თანამეგობრობის ალტერნატივა. შესაბამისად, იმავე წელს ბრიუსელის 1948 წლის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა დასავლეთ ევროპის კავშირი. თუმცა ეს სტრუქტურა დიდი ხნის განმავლობაში ვერ გადაიქცა აქტიურ საერთაშორისო ორგანიზაციად და მისი საქმიანობა განახლდა მხოლოდ 1987 წელს.

ასევე საინტერესო იყო იგივე ევროპის ქვეყნების ინიციატივა რაკეტზიდების დამუშავებისა და წარმოების ევროპული ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებით. ამ ორგანიზაციის წევრები გახდნენ ბელგია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ნიდერლანდები, საფრანგეთი და გერ. ეს ინსტიტუტი შეიქმნა 1962 წლის 29 მარტს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე აღინიშნოს, რომ პლევენის გეგმის შემდეგ 1970 წელს, ლუქსემბურგში გამართულ ევროპის თანამეგობრობის სამიტზე წარდგენილი იქნა “დ’ავინიონის მოხსენება”. ამ შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოწყობილიყო რეგულარული შეხვედრები საგარეო საქმეთა და პოლიტიკური დირექტორების დონეზე, ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის ფორმატის ფარგლებში. ამ შეხვედრებზე უნდა განხილულ ყოფილიყო საგარეო პოლიტიკის საკითხები, ხოლო კონსულტაციები უნდა გამართულიყო წელიწადში ორჯერ მაინც. უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სფეროში

ინფორმაციის ინტენსიურმა გაცვლამ, ასევე ევროპის ქვეყნების უმაღლესი რანგის პირების მუდმივმა შეხვედრებმა და ძალისხმევამ შესაძლებლობა მისცა ევროპის თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოებს ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის საქმიანობისთვის ფორმალური სახე მიეცათ. ეს ფორმალიზაცია შესაბამისი საკითხების 1986 წლის ერთიან ევროპულ აქტში შეყვანით გამოიხატა, რომლის საფუძველზეც ბრიუსელში ჩამოყალიბდა სამდივნო. რეალურად ეს იყო ფორუმი, სადაც წევრ ქვეყნებს შეეძლოთ განეხილათ უსაფრთხოებისა და თავდაცვითი საკითხები, რომლებიც შესაბამისად მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნატოს საქმიანობასთან.

1987 წლიდან თავისი საქმიანობა განაახლა დასავლეთ ევროპის კავშირმა (შექმნა 1954 წელს), რაც დაკავშირებული იყო ომთან ერაყსა და ირანს შორის. დასავლეთ ევროპის კავშირის ლიდერებმა განიხილეს სპარსეთის ყურის ზონაში ერთობლივი ქმედებების საკითხი, რაც ეხებოდა ნავთობით დატვირთული სავაჭრო ხომალდების უსაფრთხო გადაადგილებას. მოგვიანებით, გაიმართა ახალი შეხვედრა სპარსეთის ყურეში სამხედრო ყოფნასთან დაკავშირებით კოორდინირებული პოლიტიკის წარმოების მიზნით.

1987 წლის ოქტომბერში ჰააგაში, დასავლეთ ევროპის კავშირის მინისტრთა საბჭომ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები, მიიღო დოკუმენტი “უსაფრთხოების სფეროში ევროპული ინტერესების საფუძვლების შესახებ”, რომელშიც გამოხატული იქნა მზადყოფნა გაეძლიერებინათ ნატოს “ევროპული დასაყრდენი.” დოკუმენტში განსაზღვრული იყო ურთიერთობები ნატო-სა და დასავლეთ ევროპის კავშირს შორის. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი დასავლეთ ევროპის კავშირის განმტკიცების გზაზე გახლდათ 1989 წლის ნოემბერში დასავლეთ ევროპის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პარიზში უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებული ინსტიტუტის შექმნის შესახებ.

გარდა ამისა, დასავლეთ ევროპის კავშირის ორი ყველაზე აქტიური წევრის, საფრანგეთისა და გერმანიის მიერ შეიქმნა უშიშროების გაერთიანებული საბჭო.

დასავლეთ ევროპის კავშირის ფუნქციონირებასთან ერთად, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 80-იან წლებში შეინიშნებოდა გარკვეული განსხვავებული მიდგომა დასავლეთ ევროპის ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის აშშ-ის მიერ შემუშავებულ “სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის” გეგმასთან დაკავშირებით. მაგალითად ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, არა მარტო მხარი დაუჭირეს ამ ინიციატივას, არამედ თვითონაც იყვნენ ჩართულნი ამ პროგრამის რეალიზაციაში.

“ცივი ომში” ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გამარჯვების ძირითადი მიზეზები

როგორც ცნობილია, ნატოს აქტიური ძალისხმევის შედეგად “ცივი ომის” პერიოდში, კაცობრიობამ თავიდან აიცილა მესამე მსოფლიო ომი. მოკლედ გავაანალიზოთ, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა ნატო-ს ბლოკის გამარჯვება.

პირველი მიზეზი ალბათ გახლდათ ის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ნატო კომუნისტური ვარშავის ბლოკისაგან განსხვავებით წარმოდგენილი იყო როგორც ერთიანი გუნდი. ნატო-ს შექმნის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა კომუნიზმისაგან თავდაცვის მიზნით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა აშშ-ის სამხედრო კონტინგენტი ევროპაში გაზრდილი ყოფილიყო. ამიტომაც იყო, რომ ნატო-ს ევროპელი მოკავშირეების ტერიტორიაზე 200-ზე მეტი აშშ-ის სამხედრო ბაზისა და სამხედრო ობიექტის განთავსება განხორციელდა ნებაყოფლობით საფუძველზე, აშშ-ისა და მისი ევროპელი მოკავშირეების ინტერესების ურთიერთგათვალისწინებით. ამავე დროს, ევროპის ქვეყნების მოსახლეობის

უმრავლესობა, აცნობიერებდა რა საბჭოთა კავშირიდან მოსალოდნელ საფრთხეს, არ იყო განწყობილი ნეგატიურად აშშ-ის მიმართ.

ამავე პერიოდში, საბჭოთა კავშირმა ასე ვთქვათ ძალით “გააწითლა” აღმოსავლეთ ევროპა, სადაც საბჭოთა ზეწოლის შედეგად ამ ქვეყნების ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ კომუნისტური, ანტისახალხო ძალები, რომელთაც კომუნისტური რეჟიმისათვის დამახასიათებელი ანტიდემოკრატიული მიმართულების გამო არ გააჩნდათ მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა. ამიტომაც კომუნისტები მთელი 50 წლის განმავლობაში ძალაუფლებას ინარჩუნებდნენ ძალისმიერი მეთოდებით. ეს ყველაფერი კი ქმნიდა იმის წინაპირობას, რომ თუ ნატო-ს წევრ სახელმწიფოებში, სადაც ხელისუფლება აირჩეოდა თავისუფალი არჩევნების შედეგად, მთავრობა ამ ქვეყნებში იყო ლეგიტიმური, სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მაცხოვრებელი ხალხების ხელისუფლებები, რომელთაც არანაირი ლეგიტიმაცია არ გააჩნდა, მოსახლეობაში ზიზღს იწვევდა. ნათელი დადასტურება ზემოაღნიშნულისა გახლდათ სახალხო გამოსვლები პოლონეთსა და უნგრეთში 1956 წელს, ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს, პოლონეთში 1980 წელს. ანტიკომუნისტურმა განწყობილებამ მასობრივად იფეთქა XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს აღმოსავლეთ ევროპის ფაქტიურად ყველა ქვეყანაში, სადაც მოსახლეობა სხვა პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხების შესრულებასთან ერთად მოითხოვდა თავიანთი ქვეყნების ვარშავის ბლოკიდან გამოსვლას.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი წარმოადგენდა ერთიან ბლოკს, სადაც ურთიერთობა ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს შორის ვითარდებოდა ალიანსში შემაჯავლი ქვეყნების თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ში სამხედრო თვალსაზრისით დომინანტური პოზიცია ეკავა აშშ-ის, ნატო-ში ყველა გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა კონსენსუსის საფუძველზე, სადაც ნატო-ს წევრ ყველა ქვეყანას გააჩნდა ხმის თანაბარი უფლება. ამის ნათელი დადასტურება იყო და არის ნატოს სისტემაში მოქმედი ჩრდილოატლანტიკური საბჭო, სადაც ყველა გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის საფუძველზე. მაგალითად, ნატოს რამდენიმე ევროპულმა მოკავშირემ რამდენჯერმე დააფიქსირა თავისი დამოუკიდებელი პოზიცია. 1966 წელს საფრანგეთი გამოვიდა ნატო-ს გაერთიანებული სამხედრო ორგანიზაციიდან. 1974 წელს ნატო-ს სამხედრო ორგანიზაციიდან გამოვიდა საბერძნეთი, რომელიც ამ სტრუქტურას მხოლოდ 1981 წელს დაუბრუნდა. ასევე, ნატო-ში ესპანეთის გაწევრიანების შემდეგ 1982 წელს, ეს ქვეყანა “ცივი ომის” პერიოდში უარს აცხადებდა გაერთიანებულ სამხედრო ორგანიზაციაში შესვლაზე.

ამავე დროს, ვარშავის ბლოკში შემაჯავლი ქვეყნებში ურთიერთობა ვითარდებოდა ვერტიკალურ საფუძველზე, სადაც საბჭოთა კავშირი ასრულებდა ასე ვთქვათ “ბატონის” როლს, ხოლო ყველა დანარჩენი აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო საბჭოთა კავშირთან ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ამიტომაც, ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი, რომელიც ვითარდებოდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური გავლენის სივრცეში სსრკ-ისათვის არასასურველი სცენარით, ამგვარი პროცესების შეჩერება ხდებოდა ძალისმიერი გზით. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ ბერლინის ბლოკადა 1948 წელს, საბჭოთა ჯარების მიერ 1956 წელს უნგრეთში, ხოლო 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე დემონსტრაციების სისხლში ჩახშობა. ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე მოვლენების დროს საბჭოთა კავშირმა აიძულა პოლონეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ბულგარეთი და უნგრეთი, რათა ამ ქვეყნის ჯარებიც შესულიყვნენ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე. 1980 წელს საბჭოთა

კავშირმა აიძულა პოლონეთი, რათა ამ ქვეყნის ხელისფლებას გდანკში მიმდინარე მოვლენების საპასუხოდ სამხედრო მდგომარეობა შემოეღო.

თანასწორუფლებიანობის საფუძველზე არსებულმა ნატო-მ თავისი ქმედუნარიანობა გამოხატა იმაშიც, რომ ალიანსის მიერ გატარებული სწორი პოლიტიკის წყალობით ორგანიზაციის შექმნის შემდეგ იგი სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. კერძოდ, 1952 წელს ალიანსის წევრები გახდნენ თურქეთი და საბერძნეთი, 1955 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ხოლო 1982 წელს ესპანეთი. გარდა ამისა, ხდებოდა დემოკრატიული სამყაროს ქვეყნებს შორის ურთიერთობების კიდევ უფრო განმტკიცება. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც მაგალითად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის შექმნა 1960 წელს, სადაც აშშ-ს კანადის, ევროპის 18 დემოკრატიული ქვეყნის, მათ შორის ნატო-ს ყველა წევრი ქვეყანა, ხოლო მოგვიანებით ავსტრალია, ახალი ზელანდია და იაპონია შევიდნენ. ეს ყველაფერი რა თქმა უნდა განაპირობებდა დემოკრატიული სამყაროს ქვეყნების ერთიანობას. სრულიად საპირისპირო სურათი იყო კომუნისტურ ბლოკთან დაკავშირებით. უკვე მსოფლიო კომუნისტური სისტემის შექმნის პირველი წლებიდანვე თავი იჩინა უთანხმოებებმა კომუნისტური რეჟიმის მქონე რიგ ქვეყნებს შორის. კერძოდ, უკვე 1948 წელს კომუნისტური პარტიების საინფორმაციო ბიუროდან ოფიციალურად იქნა გარიცხული იუგოსლავია, რომელმაც შემდგომში უარი განაცხადა შესულიყო საბჭოთა კავშირის ინიციატივით შექმნილ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში. აგრეთვე, კომუნისტური სისტემისათვის უდიდესი დარტყმა იყო კომუნისტური ბლოკის ორი უდიდესი სახელმწიფოს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ალიანსის დაშლა გასული საუკუნის 60-იან წლებში. ასევე, აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის დაპირისპირება ალბანეთთან, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი იძულებული იყო გამოსულიყო ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციიდან 1968 წელს.

გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნატო-ს ბლოკის გამარჯვებაში რა თქმა უნდა გადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ეკონომიკურ და სამხედრო ფაქტორებს.

სამხედრო თვალსაზრისით ნატო იყო გაცილებით ძლიერი ორგანიზაცია, ვიდრე ვარშავის ბლოკი. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია ნატო-ს წამყვანი ქვეყნის, აშშ-ის სამხედრო უპირატესობა საბჭოთა კავშირთან შედარებით. თუ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირს სამხედრო ბაზები გააჩნდა კომუნისტურ ბლოკში შემავალ მხოლოდ 5-6 სახელმწიფოში, აშშ-ს 80-იანი წლების ბოლოს გააჩნდა 1600-მდე სამხედრო ბაზა 34 სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლებშიც ერთობლივად მუდმივად იყო დისლოცირებული 500 ათასამდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. მათ შორის აღსანიშნავია, რომ აშშ-ის მძლავრი ბაზები გააჩნდა უშუალოდ საბჭოთა კავშირის საზღვრების სიახლოვეს, კერძოდ თურქეთში განთავსებული იყო 7 სამხედრო ბაზა, ხოლო საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთის საზღვრებთან, შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარი ოკეანის რეგიონში, აშშ იყენებდა 350-მდე სამხედრო ბაზასა და ობიექტს, მათ შორის “ცივი ომის” დამამთავრებელ ეტაპზე 40 სამხედრო ბაზა ფუნქციონირებდა სამხრეთ კორეაში, 32 იაპონიაში და ა.შ. ამავე დროს აღსანიშნავია, აშშ-ის ეკონომიკის მაღალი დონე, რაც საშუალებას იძლეოდა გამოყოფილიყო სოლიდური თანხები თავდაცვაზე. ამასთანავე, ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების სოციალურმა დაცვამ, არმიის პროფესიონალურ ყაიდაზე გადასვლამ და სწორმა სამხედრო-პოლიტიკურმა იდეოლოგიამ განაპირობა აშშ-ის არმიის მაღალი ბრძოლისუნარიანობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამერიკის სამხედრო მშენებლობაში მონაწილეობდნენ და დღესაც მონაწილეობენ მსოფლიოში უძლიერესი კომპანიები,

რომლებიც უზარმაზარ შეკვეთებს იღებდნენ პენტაგონისაგან. ამ კომპანიათა შორის აღსანიშნავია “ჯენერალ დაინემიკსი”, “მაკონელ დუგლასი”, “ჯენერალ ელექტრიკი”, “ლოკჰიდი”, “როკუელ ინტერნეშენელი”, “იუნაიტედ ტექნოლოჯიზ” და სხვ.

ამავე დროს, საბჭოთა კავშირში, სადაც ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა აღწევდა 5 მილიონ ჯარისკაცსა და ოფიცერს, ამ შემადგენლობის თითქმის ნახევარი მსახურობდა სამხედრო-სამშენებლო ჯარებში, ე. წ. “სტრობატში”, სადაც ჯარისკაცები გამოიყენებოდნენ როგორც იაფი მუშახელი სხვადასხვა სამოქალაქო ობიექტების მშენებლობის პროცესში, რომლებიც არ სწავლობდნენ არანაირ სამხედრო საქმეს. შესაბამისად, არმიის მხოლოდ მცირე ნაწილი წარმოადგენდა ელიტარულ სამხედრო ქვედანაყოფებს. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირში არსებული კორუფციის მაღალი დონე განსაკუთრებით იგრძნობოდა საბჭოთა არმიის ნაწილებში. იგი განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორით, კერძოდ საბჭოთა შეიარაღების მსოფლიო ბაზარზე გაყიდვის დროს, აგრეთვე მაღალი ეშელონის ოფიცერთა მიერ ქრთამის აღებაში წვევამდელის “თბილ” ადგილებში სამსახურის გავლის სანაცვლოდ. ასევე, საბჭოთა არმიაში მოქმედებდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის სისტემა, ჯარში არსებობდა “დედოფინა”. აგრეთვე ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირი იყო მრავალეროვანი სახელმწიფო და საბჭოთა არმიაში სამხედრო ოფიცერთა თითქმის ნახევარი იყო არარუსი, რომელიც არ თვლიდა საბჭოთა არმიას როგორც საკუთარს, რადგან პატრიოტული გრძნობა არსებობდა მხოლოდ საკუთარი რესპუბლიკების მიმართ და არა სსრკ-ის, და მათ შორის მისი ჯარის მიმართ, სადაც სამხედროები მხოლოდ იმის გამო მსახურობდნენ, რომ იქ იყო სავალდებულო სამხედრო გაწვევის სისტემა. ყველა ეს ზემოაღნიშნული ფაქტორი ნეგატიურად მოქმედებდა ჯარისკაცთა ბრძოლისუნარიანობაზე.

ასევე დიდი კორუფცია არსებობდა საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში. ისევე როგორც სსრკ-ში მოქმედ სხვადასხვა სამეურნეო სუბიექტებში არ არსებობდა ჯანსაღი კონკურენცია, სამხედრო წარმოების ქარხნებშიც ამავე მიზეზით არსებობდა კორუფციის მაღალი დონე, რომელიც “ფულის გათეთრებასთან” იყო დაკავშირებული და შესაბამისად განაპირობებდა საბჭოთა სამხედრო ტექნიკის შედარებით ჩამორჩენილობას აშშ-ის სამხედრო ტექნიკასთან შედარებით. საბჭოთა არმიის უსუსურობა ნათლად გამოჩნდა მსოფლიოს ერთ-ერთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, ავღანეთში წარმოებული სამხედრო ოპერაციის დროს. ასევე არ შეიძლება კრიტიკას არ იმსახურებდეს 1987 წელს საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში დასავლეთ გერმანული პატარა სამოყვარულო თვითმფრინავის შემოსვლა, რომელიც უპრობლემოდ დაჯდა ქ. მოსკოვში წითელ მოედანზე, რაც ნათლად მიუთითებს საბჭოთა არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების უსუსურობაზე.

ნატო-სა და ვარშავის ბლოკს შორის არსებული განსხვავების და ნატო-ს სამხედრო უპირატესობაზე მსჯელობისას ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნატო-ში მხოლოდ აშშ არ წარმოადგენდა უდიდეს სამხედრო ძალას და მას ევროპაში ჰყავდა სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი მოკავშირეები. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არსებული კრიზისის დაძლევის შემდგომ უდიდეს სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, რომლებიც გახდნენ ბირთვული სახელმწიფოები, აგრეთვე მოგვიანებით ბრძოლისუნარიანი არმიის ჩამოყალიბება შეძლეს გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, იტალიამ, კანადამ, თურქეთმა. ამ უკანასკნელს ჰყავდა და ეხლაც ჰყავს ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი არმია, რომლის რაოდენობა ცივი ომის პერიოდში აღემატებოდა 700 ათას სამხედრო მოსამსახურეს. მაგალითად აღსანიშნავია, რომ ნატოს წევრმა ევროპის ქვეყნებმა მეორე მსოფლიო ომის

შემდგომ პერიოდში საგრძნობლად განავითარეს თავიანთი სამხედრო ტექნოლოგია. უკვე 1982 წლისათვის, საფრანგეთის წილმა მსოფლიო სამხედრო ექსპორტში შეადგინა 11,4%, ბრიტანეთის წილმა 5,6% ხოლო გერ-ის-3,6%. გარდა ამისა, უკვე 80-იან წლებში ნატო-ს ევროპელი ქვეყნების წილი ალიანსის შეიარაღების არაბირთვულ სფეროში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად ნატო-ს არაბირთვულ სფეროში, ევროპის კონტინენტზე ევროპელების წილად მოდიოდა 80-დან 90%-მდე სამხედრო მოსამსახურე და სხვადასხვა ტიპის ჩვეულებრივი შეიარაღება.

ამავე დროს ვარშავის ბლოკში, საბჭოთა კავშირი თავისი შედარებით ჩამორჩენილი სამხედრო ტექნოლოგიით და დაბალი ბრძოლისუნარიანი არმიით წარმოადგენდა ერთადერთ სამხედრო ძალას, ხოლო დანარჩენი ევროპელი ქვეყნები ვარშავის ბლოკიდან მთლიანად იყვნენ დამოკიდებულნი სსრკ-ზე.

გარდა ამისა, აქ აღსანიშნავია, რომ თუ კომუნისტურ ბლოკს ჩამოყალიბებული ჰქონდა მხოლოდ ერთი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია-ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ორგანიზაცია, დასავლეთის ბლოკს რამდენიმე სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ორგანიზაცია წარმოადგენდა-ნატო, დასავლეთ ევროპის კავშირი, სეატო, სენტო, ანზიუსი, ანზიუკი.

რა თქმა უნდა ნატო-ს სამხედრო უპირატესობა განპირობებული იყო იმ დიდი ეკონომიკური უპირატესობით, რომელიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს გააჩნდა კომუნისტური ბლოკის წინაშე. კერძოდ, პირველ რიგში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცივი ომის დაწყებიდანვე ნატო-ს წამყვან სახელმწიფოს - აშშ-ის უკვე დიდი ეკონომიკური უპირატესობა გააჩნდა საბჭოთა კავშირის წინაშე. მაგალითად, თუ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სამხედრო დაკვეთების შედეგად აშშ-ის მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა 1939-1945 წლებში გაიზარდა 93%-ით, ხოლო სამრეწველო წარმოება დაახლოებით 2,5-ჯერ, საბჭოთა კავშირის მატერიალურმა ზარალმა ამავე პერიოდში შეადგინა 4 ტრილიონი საბჭოთა მანეთი. ზემოაღნიშნულის შედეგად, აშშ-ს ცივი ომის დაწყების პირველი წლებიდანვე მიეცა საშუალება გაეწია მნიშვნელოვანი ეკონომიკური დახმარება თავისი დასავლეთ ევროპელი მოკავშირეებისათვის. აქ რა თქმა უნდა აღსანიშნავია როგორც “მარშალის გეგმა”, როდესაც როგორც ცნობილია დასავლეთ ევროპამ 1948-1952 წლებში მიიღო დაახლოებით 17 მილიარდი აშშ დოლარი, აგრეთვე 1950 წელს გამოყოფილი 900 მილიონი აშშ დოლარი სამხედრო დახმარების პროგრამებისა და ერთიანი თავდაცვითი სისტემის ჩამოყალიბებისათვის. “მარშალის გეგმის” განხორციელების შედეგად, როგორც წინა თავებში აღინიშნა ევროპაში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 35%-ით გაიზარდა. საბჭოთა კავშირს არ შეეძლო თავისი აღმოსავლეთევროპელი მოკავშირეებისათვის ანალოგიური დახმარების აღმოჩენა, რადგანაც იგი თვითონ განიცდიდა დიდ მატერიალურ სიძნელეებს.

ცივი ომის უკვე მომდევნო ეტაპზე დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ეკონომიკური განსხვავება კიდევ უფრო იზრდებოდა. ამის ძირითადი მიზეზი რა თქმა უნდა იყო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის უპირატესობა ცენტრალიზებულ გეგმიურ ეკონომიკასთან შედარებით. თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენცია კიდევ უფრო ამაღლებდა შრომის ნაყოფიერებას დასავლეთში და პირიქით, ჩაკეტილი კომუნისტური ეკონომიკა მეტად აქვეითებდა შრომის ნაყოფიერებას კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ თუ ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ სფეროებში უფრო დინამიური დასავლეთი კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა, საბჭოთა კავშირი და მისი სატელიტები თანდათან სტაგნაციის პერიოდში გადავიდნენ და შესაბამისად მათ არ შეეძლოთ გაეწიათ ღირსეული კონკურენცია როგორც ეკონომიკური ზრდის სფეროში, ასევე სამხედრო ტექნოლოგიის სფეროში. ამავე მიზეზით, დიდი განსხვავება იგრძნობოდა

დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეშიც. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1960 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოების დონემ გადააჭარბა 1936 წლის დონეს დაახლოებით 2,8-ჯერ, მაშინ როდესაც მაგალითად ვარშავის ბლოკში შემავალი შედარებით განვითარებული ქვეყანა ჩეხოსლოვაკია, რომელიც პირველ ადგილზე იდგა ეროვნული შემოსავლით ერთ სულ მოსახლეზე მეორე მსოფლიო ომის წინ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპული სტანდარტებით ევროპის ერთ-ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა გახდა. ნატო-სა და ვარშავის ბლოკის ქვეყნებს შორის დისპროპორციებზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მაგალითად უკვე 1982 წელს, აშშ-ის შიდა ეროვნული პროდუქტი შეადგენდა 3 ტრილიონ 905 მილიარდს, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის მეპ-ი 1 ტრილიონ 266 მილიარდს. თუ აშშ-ში ეს მაჩვენებელი 1991 წლისათვის გაიზარდა და მიაღწია 5 ტრილიონ 112 მილიარდს, საბჭოთა კავშირში პირიქით, იგი 1 ტრილიონ 184 მილიარდ დოლარამდე შემცირდა. ასევე, რაც შეეხება ევროპის გაერთიანების ქვეყნებს, სადაც 1982 წლისათვის ირლანდიის გარდა შედიოდა 9 ნატო-ს წევრი ქვეყანა, ამ ქვეყნების ყველას ერთად აღებული შიდა ეროვნული პროდუქტი შეადგენდა 4 ტრილიონ, 93 მილიარდ დოლარს, რომელიც 1991 წლისათვის გაიზარდა 5 ტრილიონ 244 მილიარდ დოლარამდე. რაც შეეხება ვარშავის ბლოკში და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში შემავალ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, აქ ამავე პერიოდში შიდა ეროვნული პროდუქტი შეადგენდა მხოლოდ 552 მილიარდს, რაც 1991 წლისათვის 422 მილიარდამდე შემცირდა.

ეს სტატისტიკური მონაცემები ნათლად მოწმობს იმას, რომ როგორც სამხედრო სფეროში, რის შესახებაც ზემოთ იქნა აღნიშნული, ასევე ეკონომიკურ სფეროშიც ვარშავის ბლოკის ქვეყნები მნიშვნელოვნად იყვნენ დამოკიდებულნი საბჭოთა კავშირზე. სსრკ-ის ინიციატივით 1949 წელს შეიქმნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, სადაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დამოკიდებულნი იყვნენ საბჭოთა კავშირზე, რომელიც ამ ქვეყნებს ძირითადად ნედლეულით ამარაგებდა. ვარშავის ბლოკის წევრი ქვეყნები სრულიად მოწყვეტილნი იყვნენ მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს, რადგანაც საბჭოთა კავშირის მხრიდან ზეწოლის შედეგად აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა მეორე ომის დასრულების შემდეგ სსრკ-ისთან ერთად უარი განაცხადეს გამხდარიყვნენ ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის წევრები, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, აგრეთვე უარი განაცხადეს ხელი მოეწერათ 1947 წელს გენერალურ შეთანხმებას ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ. ამის გამო, ვარშავის ბლოკის ქვეყნები თითქმის 50 წელი მოწყვეტილნი იყვნენ მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარს.

რაც შეეხება ნატოს წევრ ქვეყნებს, აქ ევროპის ეკონომიკური რეაბილიტაციის შემდეგ, უკვე გასული საუკუნის 50-იან წლებში არსებობდა სამი უძლიერესი ეკონომიკური ცენტრი. აშშ, კანადა და დასავლეთ ევროპა. როგორც ცნობილია, დასავლეთ ევროპის ექვსი სახელმწიფოს ინიციატივით 1957 წელს ხელი მოეწერა რომის ხელშეკრულებას ევროპის თანამეგობრობის შექმნის შესახებ, რის შედეგადაც კიდევ უფრო დაჩქარდა დასავლეთ ევროპის განვითარება. მაგალითად, უკვე 1979 წლისათვის, ევროპის საერთო ბაზრის ქვეყნებმა (მაშინ ამ გაერთიანებაში შედიოდა ნატო-ს წევრი ცხრა ქვეყანა) ექსპორტის მოცულობის რაოდენობით აშშ-ის საექსპორტო მოცულობას დაახლოებით სამჯერ უსწრებდა. ნატო-ს ჩრდილოამერიკელ და დასავლეთ ევროპელ პარტნიორებს შორის ჯანსაღი კონკურენციის არსებობამ კიდევ უფრო დააჩქარა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნების ეკონომიკური განვითარება, რაც მათ საშუალებას აძლევდა კიდევ უფრო მეტი თანხები გამოეყოსთ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის განვითარებისათვის. ამის ნათელი დადასტურებაა ის

ფაქტიც, რომ 1978 წელს ნატოს სესიამ შეიარაღების მოდერნიზაციის მიზნით დაამტკიცა 15 წლიანი პროგრამა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატოს წევრი სახელმწიფოების თავდაცვის ბიუჯეტების ყოველწლიურ ზრდაზე 3 %-ით. შემდგომში, აშშ-ის ხელისუფლების მიერ დამტკიცებულ პროგრამაში “სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა”, უკვე ჩართულ იყვნენ ნატოს ისეთი წამყვანი სახელმწიფოები, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, იტალია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და სხვ.

იმავე პერიოდშია, საბჭოთა კავშირისათვის, თავისი მწირი ეკონომიკური რესურსების და ჩამორჩენილი ტექნოლოგიების პირობებში, დამღუპველი აღმოჩნდა მხარდაჭერის გაწევა სოციალისტური ორიენტაციის მქონე აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აზიის განვითარებადი ქვეყნებისათვის. ასევე, აღსანიშნავია, რომ თუ იგივე აშშ-ის შექმნილ ეწარმოებინა სამწლიანი ომი კორეაში 50-იანი წლების დასაწყისში და შემდგომ ათწლიანი ომი ვიეტნამში 60-იანი წლების განმავლობაში და 70-იანი წლების დასაწყისში და საერთო ჯამში “ცივ ომში” გამარჯვებისათვის დაეხარჯა დაახლოებით 5 ტრილიონი დოლარი, ეკონომიკურად ჩამორჩენილი სსრკ-ისათვის დამღუპველი აღმოჩნდა ავღანეთში სამხედრო ოპერაციების წარმოება. ამიტომაც, უკვე ცივი ომის დამამთავრებელ ეტაპზე სსრკ-ის უკვე ვეღარ შეეძლო განეხორციელებინა “სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის” ანალოგიური პროგრამა, რამაც სსრკ აიძულა მნიშვნელოვან დათმობებზე წასულიყო დასავლეთის წინაშე.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკური ჩამორჩენილობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი აგრეთვე გახლდათ ის, რომ მოძველებულ საბჭოთა ტექნოლოგიებზე არ არსებობდა მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე, ამიტომაც საბჭოთა კავშირის ექსპორტის 70%-ზე მეტს წარმოადგენდა ნედლეული, პირველ რიგში ნედლი ნავთობი. შესაბამისად, 1987 წლიდან ნავთობზე მსოფლიო ფასების მკვეთრი დაცემის პირობებში, საბჭოთა ბიუჯეტმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა.

დასავლეთის დიდი ეკონომიკური უპირატესობის ნათელ დადასტურებას აგრეთვე წარმოადგენს ისიც, რომ თუ კომუნისტური ბლოკის ქვეყნებს გააჩნდათ მსოფლიო ერთი ეკონომიკური მიმართულების ორგანიზაცია-ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, დასავლეთს გააჩნდა რამდენიმე მძლავრი ორგანიზაცია, როგორებიცაა ზემოთაღნიშნული მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაჭრობისა და ტარიფებისა გენერალური შეთანხმება, ევროპის თანამეგობრობა (1992 წლიდან ევროკავშირი), ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და ა.შ.

დიდი როლი ნატოს გამარჯვებაში აგრეთვე ითამაშეს საინფორმაციო საშუალებებმა, რომელთა მეშვეობითაც ხერხდებოდა სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხებისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია აშშ-ის საინფორმაციო სააგენტო “იუსია“-ს ქვეგანყოფილება - რადიოსადგური “ამერიკის ხმა”, რომელიც ეწეოდა მაუწყებლობას მსოფლიოს 44 ენაზე. ამერიკის ხმასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა რადიოსადგური “თავისუფლება” და “თავისუფალი ევროპა”, რომლებიც ფუნქციონირებდნენ გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან. ამ მაუწყებლობების კონტროლს ახორციელებდა საერთაშორისო რადიომაუწყებლობის საბჭო, რომელიც 1973 წელს შეიქმნა.

გარდა ამისა, საგარეო-პოლიტიკური პროპაგანდის შემუშავების საკითხებში დიდი როლი ითამაშეს ისეთმა სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრებმა, როგორებიცაა “რენდ კორპორეიშენი”, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრმა, კარნეგის, ფორდის და როკფელერის ფონდებმა, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომლებიც

დაკავშირებულნი იყვნენ ხელისუფლებაში მყოფ ადმინისტრაციებთან. დასავლეთის მხრიდან საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ზრდიდა სიმპატიას აღმოსავლეთ ევროპის მოსახლეობაში დასავლეთის დემოკრატიის მიმართ.

ამავე დროს კომუნისტურ პროპაგანდას მსოფლიოში გააჩნდა ძალიან სუსტი გავლენა, რადგანაც მსოფლიოს კომუნისტურ ბლოკში არსებული პოლიტიკური ვითარების შემხედვარე დასავლეთის მოსახლეობაში, კომუნისტური იდეოლოგია მხოლოდ ზიზღს იწვევდა, ხოლო კომუნისტური პარტიების გავლენა ნატო-ს წევრ ქვეყნებში პრაქტიკულად ნულს უტოლდებოდა, რაც განაპირობებდა ამ პარტიების დამარცხებას საპარლამენტო არჩევნების დროს. უკეთეს შემთხვევაში, მაგალითად საფრანგეთსა და იტალიაში ეს პარტიები წარმოადგენდნენ აბსოლუტურ უმცირესობას ამ ქვეყნების პარლამენტებში.

ჩრდილათლანტიკური ალიანსის გამარჯვების მიზეზების გაანალიზებისას, არ შეიძლება არ ავღნიშნოთ გეოპოლიტიკური ფაქტორის შესახებ. პირველ რიგში ის, რომ დასავლეთის ბლოკის გეოპოლიტიკური გავლენა უფრო დიდი იყო, ვიდრე საბჭოთა ბლოკის. მაგალითად სსრკ-ის პოლიტიკური გავლენა შემოიფარგლებოდა მხოლოდ აღმოსავლეთი ევროპით, აგრეთვე რამდენიმე ეკონომიკურად ჩამორჩენილი სახელმწიფოთი აზიასა და აფრიკაში. ამასთანავე, როგორც ავღნიშნეთ, ეკონომიკური თუ სამხედრო ფაქტორების გათვალისწინებით აღმოსავლეთის ბლოკი იძულებული იყო თავისი სამხედრო-სტრატეგიული, ეკონომიკური, ინტელექტუალური რესურსებისათვის თავი მოეყარა ერთ გეოპოლიტიკურ ცენტრში. ამავე დროს, დასავლეთის დემოკრატიული ღირებულებების მქონე გეოპოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა თითქმის მთელ ამერიკის კონტინენტზე (კუბისა და ნიკარაგუის გარდა), აფრიკის უდიდეს ნაწილზე, სადაც ყოფილმა ისეთმა მეტროპოლიებმა, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, აფრიკის ხალხებისადმი დამოუკიდებლობის მინიჭების შემდეგ შეინარჩუნეს ამ ქვეყნებზე ეკონომიკური გავლენა. ასევე დასავლეთის გეოპოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა მთელ ავსტრალიისა და წყნარი ოკეანის რეგიონზე, და აზიის უდიდეს ნაწილზე, მათ შორის ნავთობის რესურსების მდიდარ სპარსეთის ყურეზე, სადაც ამ რეგიონის არაბულენოვან სახელმწიფოებში იმყოფებოდა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების 20 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე. რაც მთავარია, ატლანტიზმის გეოპოლიტიკური გავლენა არსებობდა უშუალოდ სსრკ-ის საზღვრების სიახლოვეს და ხმელთაშუა ზღვის რეგიონიდან-საბერძნეთი, თურქეთი, ატლანტისტების კონტროლი აღწევდა შორეულ აღმოსავლეთამდე. კერძოდ, ატლანტიკური მიმართულების ქვეყნები აზიაში იყვნენ ტაილანდი, სამხრეთ კორეა, პაკისტანი, ირანი 1979 წლამდე, ტაივანი რომელიც ფაქტიურად დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენდა და რაც მთავარია იაპონია.

აგრეთვე აშშ ფლობდა მძლავრ სამხედრო ბაზებს ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებში, ფილიპინებზე, კუნძულ სან-დიეგოსა და გუამზე.

რაც შეეხება ევროპას, აქაც რა თქმა უნდა ატლანტიკური მიმართულების ქვეყნების როდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა კომუნისტური რეჟიმის ქვეყნებს. რაც შეეხება ევროპის ნეიტრალურ ქვეყნებს-ირლანდია, შვეიცარია, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, ამ ქვეყნებში არსებული დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის გამო, ისინიც რა თქმა უნდა ატლანტიკური ორიენტაციის ქვეყნებად განიხილებოდნენ.

ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ცნობილი ამერიკელი გეოპოლიტიკოსის, ალფრედ მუჰენის გეოპოლიტიკური თეორია, როდესაც მან მსოფლიო დონეზე გადაიყვანა აშშ-ში სამოქალაქო ომის დროს ამერიკელი გენერლის მაკელანის მიერ შემუშავებული ე.წ. “ანაკონდას” პრინციპი. რომელიც მდგომარეობდა მოწინააღმდეგე ძალის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების

ბლოკირებაში ყველა მხრიდან-ზღვიდან და სანაპირო მისადგომებიდან. ამ ქმედებას კი მოწინააღმდეგის სტრატეგიული გამოფიტვა მოჰყვებოდა. მეჭენის სიტყვებით, “მეტოქე და მოწინააღმდეგე უნდა მოიგუდოს “ანაკონდას” კონტინენტური მასის რკალში.”(13) სწორედ ეს გეოპოლიტიკური კონცეფცია განავითარა დასავლეთმა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, რამაც საგრძნობი დარტყმა მიაყენა კომუნისტურ ბლოკს და აიძულა ეს უკანასკნელი ეკონომიკური, სამხედრო თუ გეოპოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით დასავლეთთან მიმართებაში მნიშვნელოვან დათმობაზე წასულიყო.

უკვე საბოლოო დარტყმა კომუნისტურ ბლოკს მიაყენა ამ ბლოკის შიგნით დაწყებულმა პროცესებმა, რამაც თავი იჩინა მასობრივ საპროტესტო გამოსვლებში კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში 80-იანი წლების ბოლოს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური პარტიების საოცრად დაბალი რეიტინგის გამო ამ ქვეყნებში თავისუფალი არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში დემოკრატიული ძალები მოვიდნენ, სადაც ხელისუფლების გადაცემის ეს პროცესი (რუმინეთის გარდა) გადაწყდა მშვიდობიანი გზით. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, აქ მოსახლეობის თითქმის 50%-ს შეადგენდა არარუსი მოსახლეობა, რომელიც არ აცნობიერებდა საბჭოთა იმპერიას როგორც საკუთარ სამშობლოს, ამიტომაც “პერესტროიკის” პერიოდში რიგ საბჭოთა რესპუბლიკებში დაწყებულმა ბრძოლამ დამოუკიდებლობათვის საბოლოოდ მიგვიყვანა 1991 წელს ბელოვეჟის ტევრში ხელმოწერილ შეთანხმებამდე, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირმა, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტმა შეწყვიტა თავისი არსებობა და დასაბამი მისცა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებას, რამაც საფუძველი ჩაუყარა ნატოს ტრანსფორმაციის პროცესს.

ამრიგად, ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ნატომ უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო მშვიდობის შენარჩუნებაში, დემოკრატიული ღირებულებების აღმოსავლეთის მიმართულებით გავრცელებაში და კომუნისტურ ბლოკში შემავალი ხალხებისათვის თავისუფლების მოპოვებაში. ეს ყველაფერი კი განპირობებული იყო ნატოს ერთიანობით, მიუხედავად იმისა, რომ ცივი ომის პერიოდში არსებობდა გარკვეული უთანხმოებანი რიგ საკითხებზე ნატო-ს ამერიკელ და ზოგიერთ დასავლეთ ევროპელ პარტნიორებს შორის, იყო საერთო შეთანხმება ალიანსის წინაშე მდგარ მთავარ სტრატეგიულ საკითხებზე, რასაც განაპირობებდა ის საერთო პრიორიტეტები, როგორებიცაა საბჭოთა მოსალოდნელი საფრთხის წინაშე ერთად დგომის აუცილებლობა, აგრეთვე ის, რომ ნატოს ქვეყნები იზიარებდნენ საერთო დემოკრატიულ ფასეულობებს.

ამავე დროს, “ცივი ომის” დამთავრებამ, ნატო დააყენა ახალი გამოწვევების წინაშე, რომლებიც დაკავშირებული იყო ბალკანეთში კონფლიქტების გაღვივებასთან, ტერორიზმთან ბრძოლასა თუ მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან, რაზეც წიგნის შემდეგ თავებში გვექნება ყურადღება გამახვილებული.

თავი II ნატო “ცივი ომის” დასრულების შემდგომ პერიოდში

90-იანი წლების დასაწყისში კომუნისტური ბანაკის დაშლის შედეგად მსოფლიოში შეიქმნა სრულიად ახალი გეოპოლიტიკური რეალობები. ზემოაღნიშნულმა ფაქტმა შექმნა იმის მყარი საფუძველი, რომ მომხდარიყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ტრანსფორმაცია. “ცივი ომის” დასრულების პერიოდში ნატოს ძირითად მიზანს წარმოადგენდა აღმოსავლეთთან კონფრონტაციის პოლიტიკიდან პარტნიორობისა და თანამშრომლობის პოლიტიკაზე გადასვლას. ამ მხრივ ალიანსისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა ევროპის უშიშროების ახალი არქიტექტურის მშენებლობა, რომლის მთავარი საფუძველი უნდა ყოფილიყო დასავლური დემოკრატიული ფასეულობები. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნატოს წინაშე დადგა ისეთი ახალი ამოცანების შესრულების აუცილებლობა, როგორებიცაა სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება, კრიზისული სიტუაციების მართვა, ჰუმანიტარული კატასტროფების თავიდან აცილება, სამეცნიერო თანამშრომლობა და სხვ.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის, რომლის მთავარ მიზანს მისი დაარსების დღიდან წარმოადგენდა მოსალოდნელი საბჭოთა ექსპანსიონიზმის შეკავება და დასავლური დემოკრატიული ღირებულებების დაცვა, ამგვარი ტრანსფორმაციის განხორციელება დაკავშირებული იყო გარკვეულ მნიშვნელოვან სირთულეებთან. პირველ რიგში ეს დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ ყოფილ მოწინააღმდეგესთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება მოითხოვდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიზნებისა და ამოცანების ახლებურ კონცეფტუალურ გააზრებას, ევროპული უსაფრთხოების სისტემის რეალობასთან ადაპტირებასა და თანამშრომლობის ახალი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

1989 წლიდან “ცივი ომის” პერიოდი უკვე თავის დასკნით ეტაპზე გადავიდა. აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ბულგარეთმა, გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, პოლონეთმა და ჩეხოსლოვაკიამ ოფიციალურად განაცხადეს მზადყოფნა თავიანთი შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირებისა და სამხედრო ხარჯების შემცირების შესახებ, რასაც მიესალმა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. ასევე აღსანიშნავია, რომ უკვე 1989 წლის 15 თებერვალს საბჭოთა კავშირმა დაასრულა თავისი შეიარაღებული ძალების გამოყვანა ავღანეთიდან. ამის პარალელურად, ნატო-სა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი 23 ქვეყნის მონაწილეობით 1989 წლის მარტში ვენაში ევროთათბირის ეგიდით დაიწყო მოლაპარაკება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებისა და ევროპაში ნდობის განმტკიცების შესახებ, ხოლო იმავე წლის მაისში გაუქმდა აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ინიციატივა “ღია საჰაერო სივრცის” რეჟიმის შემოღების შესახებ. ამ რეჟიმის ძირითადი პრინციპი იყო საჰაერო სივრცის ერთობლივი გახსნა ნატო-ს წევრი ქვეყნებისა და ვარშავის ბლოკის წევრ ქვეყნებს შორის და ნებართვის გაცემა წევრი-სახელმწიფოების ეროვნული ტერიტორიების საჰაერო სივრცის გამოყენების მიზნით. ასევე, აშშ-ის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი იქნა ახალი მნიშვნელოვანი ინიციატივები ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ.

1989 წლის 9 ნოემბერს, მოხდა უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა-დაიწყო “ცივი ომის” სიმბოლოს, ბერლინის კედლის დანგრევა. ამ ისტორიული მოვლენის შესახებ საუბარი შედგა ნატო-ს ბრიუსელის სამიტზეც, რომელიც 1989 წლის დეკემბერში გაიმართა ბელგიის დედაქალაქში. ამასთანავე, ამ შეხვედრას დაესწრო აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, რომელმაც დეტალური

ინფორმაცია მიაწოდა სამიტის მონაწილეებს მისი სსრკ-ის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვთან მალტაში შეხვედრისა და იქ განხილული საკითხების შესახებ.

ევროპაში თანამშრომლობის განმტკიცებისაკენ ნატოს მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმულ იქნა მომდევნო 1990 წელსაც. ამ წლის მაისში ალიანსის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებმა ბირთვული დაგეგმარების ჯგუფის შეხვედრისას განიხილეს ევროპაში მიმდინარე პროცესების გავლენა ნატოს მიერ უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ მიმართულ პოლიტიკაზე. ამის შემდეგ თავდაცვის მინისტრებმა დაიწყეს ნატოს სამხედრო სტრატეგიაში მოსალოდნელი ცვლილებების განხილვა.

ნატოს მხრიდან აღმოსავლეთ ევროპასა და სსრკ-სთან თანამშრომლობის განმტკიცებისკენ მიმართული უმნიშვნელოვანეს მოვლენად განიხილავენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამიტს, რომელიც ლონდონში 1990 წლის 5-6 ივლისს გაიმართა. ამ სამიტზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, სადაც ჩამოყალიბებულ იქნა ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის ძირითადი პრიორიტეტები, რომელიც დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაპირისპირების ნაცვლად შექმნიდა წინაპირობას თანამშრომლობისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარებისათვის.

სამიტზე გაისმა მოწოდება საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობებისადმი ნატოსთან რეგულარული დიპლომატიური კავშირების დამყარების შესახებ. ამავე დროს მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ დეკლარაციის მიღებამდე ერთი თვით ადრე, ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დროს, შოტლანდიაში გამოქვეყნებულ იქნა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი “გზავნილი ტურნბერიდან”, რომელშიც წარმოდგენილი იყო შეთავაზება საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისადმი მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უკვე ლონდონის სამიტზე ალიანსის ლიდერებმა შესთავაზეს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს გაეკეთებინათ ერთობლივი განცხადება, სადაც აღნიშნული იქნებოდა, რომ მხარეები უკვე აღარ განიხილავდნენ ერთმანეთს მოწინააღმდეგეებად და შესაბამისად არ გამოიყენებდნენ ძალას რომელიმე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და არ გადადგამდნენ ისეთ ნაბიჯს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს. სამიტის დასრულებიდან ერთი თვის თავზე მოსკოვს ნატოს გენერალური მდივანი მანფრედ ვიორნერი ეწვია, რომელმაც საბჭოთა ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები გამართა.

ლონდონის სამიტზე მიღებული დოკუმენტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო რეალური მოლაპარაკებების დაწყება გერმანიის გაერთიანების შესახებ, რომლის თანახმად ხელი მოეწერა შეთანხმებას “ორი პლუს ოთხი”. დოკუმენტი მიზნად ისახავდა გერმანიის გაერთიანებას, რაც როგორც ცნობილია წარმატებით დაგვირგვინდა 1990 წლის 3 ოქტომბერს, როდესაც უკვე გაერთიანებული გერმანია მოგვევლინა ნატოს სრულუფლებიან წევრად.

“ცივი ომის” დასკვნით ეტაპზე მეორე უდიდესი ისტორიული მოვლენა გახლდათ ევროთათბირის ფარგლებში გამართული შეხვედრა უმაღლეს დონეზე პარიზში, სადაც მოხდა ისტორიული დოკუმენტის მიღება, როდესაც ნატოს და ვარშავის ხელშეკრულების წევრმა 22 ქვეყანამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას “ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ” და ასევე გამოქვეყნებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია თავდაუსხმელობის შესახებ. იმავე შეხვედრის ფარგლებში, ევროთათბირის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა გამოაქვეყნეს “პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის”.

ომი სპარსეთის ყურეში

დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის “დიდი შემობრუნების” პროცესის დაწყების პარალელურად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დადგა უდიდესი გამოწვევის წინაშე, როდესაც შეიქმნა იმის საჭიროება, რომ პირველად ნატოს ისტორიაში ალიანსის წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს ერთობლივი საომარი მოქმედებები უნდა ეწარმოებინათ. ეს გამოწვევა დაკავშირებული იყო სპარსეთის ყურეში მიმდინარე მოვლენებთან, როდესაც 1990 წლის 2 აგვისტოს ერაყის შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ ქუვეითის ტერიტორიაზე და მოახდინეს ამ ქვეყნის ანექსია. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ კონფლიქტის დროს ნატო-ს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს სრული მხარდაჭერა საბჭოთა კავშირის მხრიდან. კერძოდ, უკვე 6 აგვისტოს გაეროს უშიშროებისა საბჭოს სხდომაზე საბჭოთა კავშირმა მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც მიზნად ისახავდა ერაყის წინააღმდეგ სანქციების შემოღებასა და ოკუპირებული ქუვეითიდან ერაყის ჯარების გამოყვანას.

სპარსეთის ყურეში მიმდინარე მოვლენები განხილულ იქნა 1990 წლის სექტემბერში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მორიგ სესიაზეც, სადაც გაიმართა კონსულტაციები და შემუშავებულ იქნა კონკრეტული გეგმები ნატოს წევრი ქვეყნების კოორდინირებულ მოქმედებათა შესახებ, და მათი მზადყოფნა სპარსეთის ყურეში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული გაეროს რეზოლუციის ცხოვრებაში გატარების შესახებ.

მას შემდეგ, რაც ერაყმა უარი განაცხადა გამოეყვანა თავისი ჯარები ქუვეითის ტერიტორიიდან, შეიქმნა ანტიერაყული კოალიცია, სადაც თავისი გადამწყვეტი როლი შეასრულეს ნატო-ს ქვეყნებმა აშშ-ის მეთაურობით. მართალია სამხედრო კოალიცია არ მოქმედებდა ნატოს ეგიდით, მაგრამ თავისი “ლომის წვლილი” სწორედ ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო კონტინგენტებმა შეიტანეს. ამასთანავე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ვალდებულებებიდან გამომდინარე, ერაყის მეზობელ და ნატოს წევრ თურქეთში გაგზავნილ იქნა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლობას დაქვემდებარებული მობილური ჯგუფები. უკვე 1991 წლის 17 იანვარს კოალიციურმა ძალებმა მიიტანეს პირველი შეტევა ერაყის სამხედრო ინფრასტრუქტურაზე. საბოლოო ჯამში, ნატო-ს წევრი ქვეყნების და მათი მოკავშირეების კოორდინირებული მოქმედებების შედეგად უკვე 1991 წლის მარტის დასაწყისში ქუვეითი განთავისუფლდა ერაყის ჯარებისაგან.

ნატოს საბჭოს შეხვედრა კოპენჰაგენში

მეტად მნიშვნელოვანი იყო ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გამართული შეხვედრა კოპენჰაგენში 1991 წლის 6-7 ივნისს. სხდომაზე მიღებული იქნა სპეციალური განცხადება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნული იყო შემდეგი: “დასრულებულია ევროპის გაყოფის მეტად ხანგრძლივი ეპოქა და ამასთან დაკავშირებით ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიერ თანამშრომლობის განვითარებას და კონტაქტების მნიშვნელოვან გაფართოებას საბჭოთა კავშირთან და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, თუკი ისინი გამოთქვამენ მზადყოფნას განიხილონ გასული წლის ლონდონის შეხვედრაზე ალიანსის სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა შემოთავაზება მეგობრობის შესახებ. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ სახელმწიფოების ხალხთა მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს, რომელთა მიზანს დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრება წარმოადგენს. ჩვენი სურვილია

შევქმნათ წინაპირობა კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის, რომლის მთავარი მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება დემოკრატიულ, თავისუფალ და ერთიან ევროპაში.”

ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ძირითადი ყურადღება გამახვილებულ იქნა 1990 წელს გამართული ლონდონის სამიტის ინიციატივაზე, სადაც გააუღერდა მოწოდება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან და საბჭოთა კავშირთან რეგულარული დიპლომატიური კონტაქტების დამყარების შესახებ და ასევე გაისმა მოწოდება აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის განვითარებაზეც. ამრიგად, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობებში იწყებოდა თანამშრომლობის ახალი უმნიშვნელოვანესი პერიოდი. კერძოდ, იგეგმებოდა:

- ნატოს სამხედრო ხელძღვანელებსა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების უმაღლესი რანგის სამხედრო პირებს შორის ურთიერთობათა გაღრმავება, რაც შეიძლებოდა განხორციელებულიყო ნატოს შტაბბინაში, შეიპსა და ნატოს სხვა სამეთაურო ცენტრებში საბჭოთა კავშირიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან ოფიცრებისა და სხვა სამხედრო სპეციალისტების ვიზიტების განხორციელებით. ამ მიზნით აუცილებელი იყო სპეციალური პროგრამების შემუშავება;

- აუცილებელი იყო ორივე მხრიდან სხვადასხვა უწყებების ოფიციალური პირებისა და ცალკეულ ექსპერტთა შორის შეხვედრების ორგანიზება უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში ინფორმაციისა და აზრთა ურთიერთგაცვლის მიზნით. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთი საკითხების განხილვას, როგორცაა, სამხედრო სტრატეგია და დოქტრინები, შეიარაღებაზე კონტროლი, სამხედრო ინდუსტრიის კონვერსია;

- ნატოსა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ექსპერტთა მონაწილეობა ცალკეული ერთობლივი სამეცნიერო პროგრამების განხორციელების პროცესში;

- ნატოს შტაბ-ბინაში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან და სსრკ-დან უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ამ ქვეყნების პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის თანამშრომლების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების მიწვევა, ასევე ნატოს მიერ საინფორმაციო პროგრამების განხორციელება რეგიონის ქვეყნებში, რომელთა მთავარი მიზანი იქნებოდა უშიშროებისა და დემოკრატიის საკითხებზე სხვადასხვა ტიპის სემინარების, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება;

- ჩრდილოატლანტიკურ საპარლამენტო ასამბლეასა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარლამენტებს შორის თანამშრომლობის განმტკიცება.

აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და საბჭოთა კავშირის მიმართ ახალი პრიორიტეტების განსაზღვრასთან ერთად ალიანსის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ორგანიზაციის ერთიანობის შენარჩუნება მომავალში არსებული პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტის მიზნით. ასევე ნატოს დღის წესრიგში იდგა ნატოს თავდაცვისუნარიანობის შენარჩუნების საკითხი და ალიანსის მთავარი ამოცანის-მისი წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებასა და თავდაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებების განხორციელება.

ზემოაღნიშნული საკითხების დღის წესრიგში არსებობა გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ რიგი წევრი სახელმწიფოების უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებში არსებობდა მოსაზრება და ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ კომუნისტური ბლოკის დაშლასა და “ცივი ომის” დამთავრებას შესაძლოა მოჰყოლოდა ალიანსის შესაძლო შესუსტება. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ კოპენჰაგენში გამართულ ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა

მინისტრთა შეხვედრაზე ასევე მიღებულ იქნა განცხადება ევროპაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე ალიანსის ახალ პოლიტიკასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მთავარი ფუნქციების შესახებ. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ ალიანსის წესდებით განსაზღვრული მისი თითოეული წევრის ალიანსის წინაშე აღებული პასუხისმგებლობები და ამ წევრთა უფლებები უცვლელი რჩებოდა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ძირითად პრიორიტეტად კვლავ განიხილებოდა კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპების დაცვა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა და წარმოადგენს ალიანსის თითოეული წევრის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო საშუალებებით.

ამგვარად, აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესების მიუხედავად, ნატო იყო და რჩებოდა უსაფრთხოების ტრანსატლანტიკურ მექანიზმად, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა ნატოს წევრი ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორობა. ამავე დროს, კოპენჰაგენის შეხვედრა ნატოს ერთ-ერთ მთავარ ამოცანად კვლავ მიიჩნევდა ევროპაში სტრატეგიული ბალანსის შენარჩუნებას, რაც აშკარად მიუთითებდა, რომ “ცივი ომის” გარკვეული ნიშნები ჯერ კიდევ რეალობას წარმოადგენდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კოპენჰაგენში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრამდე გაისმა აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მოწოდება 1995 წლისათვის შემცირებულიყო ამერიკელი სამხედროების რაოდენობა ევროპაში 250 ათასიდან 100 ათასამდე, ხოლო უკვე 1991 წლის ივლისში აშშ-ის და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტებმა განაცხადეს, რომ მათ შორის გამართული ორდღიანი შეხვედრა ნიშნავდა “ახალი ერის” დაწყებას ორ სახელმწიფოს შორის. შეხვედრაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას “სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ”.

ნატოსა და სსრკ-ის შორის თანამშრომლობის ერთგვარ გამოცდად იქცა 1991 წლის აგვისტოში მოსკოვში განხორციელებული პუტჩი. ნატო აქაც დადგა სერიოზული გამოცდის წინაშე. ამავე დროს, ალიანსმა გამოიჩინა ერთსულოვნება და 1991 წლის 21 აგვისტოს გამართულ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომაზე, საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს შექმნილი ვითარება და გამოაქვეყნეს განცხადება, სადაც დაგმობილ იქნა მ. გორბაჩოვის თანამდებობიდან განთავისუფლების არაკონსტიტუციური ხასიათი.

ნატოს რომის სამიტი

მოსკოვის წარუმატებელი პუტჩის შემდგომ საბჭოთა კავშირში განვითარებული პროცესები იქცა განხილვის მთავარ საგნად 1991 წლის 7 - 8 ნოემბერს, როდესაც ნატოს სამიტი გაიმართა რომში. ამ სამიტზე ნატოს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა მიიღეს ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფცია და ასევე მიღებულ იქნა რომის დეკლარაცია მშვიდობისა და თანამშრომლობის შესახებ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული სამიტი გაიმართა “ბელოვეჟის” ხელშეკრულების ხელმოწერამდე (ანუ საბჭოთა კავშირის ოფიციალურ დაშლამდე) ზუსტად ერთი თვით ადრე. ამიტომაც მნიშვნელოვანია ყურადღება გაამახვილდეს სამიტზე მიღებულ დოკუმენტებზე, სადაც მიღებულ იქნა ერთობლივი განცხადება საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენების შესახებ. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის რღვევა უკვე აშკარად იყო დაწყებული, როდესაც 1991 წლის სექტემბერში დამოუკიდებლობა უკვე მოპოვებული ჰქონდა სამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას-ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს. ლონდონის სამიტისგან განსხვავებით, რომის სამიტზე საბჭოთა კავშირთან ერთად უკვე ფიგურირებს ტერმინი “რესპუბლიკები”, რაც, რა თქმა უნდა განპირობებული იყო იმ

დეზინტეგრაციული პროცესებით, რომელიც იმ დროს საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა. კერძოდ, სამიტზე მიღებული დეკლარაციის ერთ-ერთ ნაწილში აღნიშნული იყო შემდეგი: “...ჩრდილოატლანტიკური ალიანსი გამოთქვამს თავის მზადყოფნას განავითაროს ურთიერთობები საბჭოთა კავშირთან და რესპუბლიკებთან, რომელიც დაეყრდნობა იმ ძირითად ფუნდამენტურ პრინციპებს, რომელთა საფუძველზე ათეული წლების მანძილზე ნატო თავის საკუთარ პოლიტიკას ახორციელებდა”(15).

ნატოს რომის სამიტზე საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილდა განიარაღების პროცესზე, რადგანაც საბჭოთა კავშირის მოსალოდნელი დაშლის შედეგად არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ ამ მხრივ გარკვეული პრობლემები წარმოქმნილიყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ სამიტის მიმდინარეობის პროცესში ნატოს ლიდერებმა მოუწოდეს საბჭოთა კავშირსა და რესპუბლიკებს, რათა ამ უკანასკნელთ შეესრულებინათ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებული ვალდებულებები. მაგალითად ნატოს ქვეყნებმა ყურადღება გაამახვილეს საბჭოთა კავშირის მხრიდან ისეთი დოკუმენტების რატიფიცირების აუცილებლობაზე, როგორც გახლდათ ხელშეკრულებები სტრატეგიული შეიარაღების შემცირების, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის და ბიოლოგიური შეიარაღების შესახებ. გასაგები მიზეზების გამო ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის დაცვის აუცილებლობაზე, რასაც უდიდეს პრობლემას უქმნიდა პოლიტიკურად არასტაბილური ვითარება საბჭოთა კავშირსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

სამიტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ აღმოსავლეთთან თანამშრომლობის გზაზე უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ნაბიჯები იქნა გადადგმული, რითაც საფუძველი შეიქმნა რომ თანამშრომლობა ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ახალ ეტაპზე გადასულიყო. კერძოდ, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მომდევნო შეხვედრაზე იმავე წლის დეკემბერში სამიტზე მოიწვიეს ბულგარეთის, ჩეხეთის, სლოვაკიის, უნგრეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები, რათა ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირებს მოემზადებინათ ერთობლივი პოლიტიკური დეკლარაცია, სადაც აღნიშნული იქნებოდა, რომ ნატოსა და ყოფილი ვარშავის ბლოკის სახელმწიფოებს შორის იწყებოდა პარტნიორობაზე და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობის ახალი ეპოქა.

პარტნიორობის ამ ახალი ეპოქის საწყისი ეტაპისათვის იგეგმებოდა შემდეგი ნაბიჯები:

- მინისტრთა დონეზე ჩრდილოატლანტიკური საბჭოსა და პარტნიორების ერთობლივი სხდომები, რომელთა დასახელება სამიტის დეკლარაციაში პირობითად განისაზღვრა, როგორც “ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო” (ნაქსი);
- ელჩების დონეზე ჩრდილოატლანტიკური საბჭოსა და პარტნიორთა პერიოდული ან საგანგებო შეხვედრები;
- რეგულარული შეხვედრები პარტნიორებთან ნატოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა კომიტეტების ფარგლებში.

ამ მიზნით უკვე 1991 წლის 20 დეკემბერს ბრიუსელში ნაქსი-ს ფორმატით გამართულ ნატოსა და მისი ახალი პარტნიორი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ოფიციალურად მოიწვიეს საბჭოთა კავშირი.

ყოფილ მოწინააღმდეგეებთან და ახალ პარტნიორებთან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის განხილვის ძირითად პრიორიტეტად იქცა საკითხი, რომელიც ეხებოდა ევროპის უსაფრთხოების ახალი სისტემის ჩამოყალიბებასა და მის განმტკიცებას. ამ თვალსაზრისით ნატოს სახელმწიფოები თანდათანობით მივიდნენ იმ საერთო აზრამდე, რომ ევროპაში მომხდარი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების გათვალისწინებით უსაფრთხოების ცნება, გულისხმობდა არა მხოლოდ სამხედრო ასპექტებს, არამედ აქ ასევე განხილულ უნდა ყოფილიყო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური საკითხებიც. ამიტომ, სამიტზე განიხილეს ისეთი საკითხებიც, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა უსაფრთხოების საკითხებთან, ხოლო მუშაობა უნდა წარმართულიყო ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, როგორცაა ეუთო, ევროგაერთიანება, დასავლეთ ევროპული კავშირი.

რომში მიმდინარე სხვადასხვა შეხვედრებზე ნატოს წევრი სახელმწიფოების ოფიციალური პირების მხრიდან გაცხადებული იქნა ის შეშფოთება, რაც დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის ოთხი მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ბირთვული იარაღის პრობლემასთან. კერძოდ, სსრკ-ს განვითარებული დეზინტეგრაციული პროცესების ფონზე ჩნდებოდა კითხვა, თუ რა ბედი ელოდა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსისა და ყაზახეთის ტერიტორიებზე განლაგებულ ბირთვულ იარაღს, აღმოჩნდებოდა იგი ამ რესპუბლიკების ხელში და შესაბამისად მსოფლიოში გაჩნდებოდა კიდევ ოთხი ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფო, თუ ეს ბირთვული შეიარაღება იქნებოდა ერთიანი სისტემის კონტროლქვეშ? თუ მოვლენები პირველი სცენარის მიხედვით განვითარდებოდა, არსებობდა იმის უდიდესი პრობლემა, რომ არავინ იცოდა თუ როგორ მოიქცეოდნენ აღნიშნული ქვეყნები, განაცხადებდნენ უარს ამ იარაღზე თუ შეეცდებოდნენ მოეპოვებინათ ბირთვული სახელმწიფოს სტატუსი.

ბირთვული იარაღის არსენალის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებობასთან დაკავშირებით განიხილებოდა ორი მთავარი ვარიანტი: ან უნდა შენარჩუნებული ყოფილიყო ბირთვული იარაღის ერთიანი სისტემა, ან მომხდარიყო შესაბამისი რესპუბლიკების ბირთვული განიარაღება. ახლადშექმნილი ოთხი სახელმწიფოს ხელში ამ შეიარაღების დატოვება შექმნიდა იმის აუცილებლობას, რომ ბირთვულ სფეროში შექმნილი ახალი რეალობების გათვალისწინებით გადახედულიყო ბირთვული იარაღის გაუზრცელებლობის შესახებ ხელშეკრულება, რაც საერთო ჯამში, ნატოს ხელმძღვანელობის აზრით უდიდეს საფრთხეს შეუქმნიდა საერთაშორისო თანამეგობრობას.

ყაზახეთის, უკრაინისა და ბელორუსის ტერიტორიაზე არსებულ ბირთვულ შეიარაღებასთან ერთად ცალკე პრობლემად განიხილებოდა თვით რუსეთის ტერიტორიაზე განლაგებული ბირთვული იარაღი. ამის მიზეზი კი გახლდათ ის ფაქტი, რომ არსებობდა რეალური საშიშროება, რომ პოლიტიკური არასტაბილურობის შექმნას შეეძლო გამოეწვია სახელმწიფო კონტროლის შესუსტება, შეიარაღებულ ჯარებში დისციპლინის მოშლა და სოციალ-ეკონომიკური სიტუაციის გაუარესება შექმნიდა წინაპირობას მასობრივი იარაღის “გაუონვისათვის”, რითაც შემდგომში შეეძლოთ ესარგებლად სხვადასხვა ტიპის ტერორისტულ ორგანიზაციებსა და კრიმინალურ დაჯგუფებებს.

დასავლეთში ასევე ნათლად აცნობიერებდნენ იმ ფაქტსაც, რომ სხვა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ განაცხადებდა თანხმობას ბირთვული იარაღის მისი ტერიტორიიდან გატანაზე, ამიტომაც ალიანსში უკვე სერიოზულად დაიწყო ფიქრი რუსეთისათვის ბირთვული უსაფრთხოების სფეროში დახმარების აღმოჩენაზე.

ნატო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

ნატოს შემდეგი შეხვედრა უკვე 1992 წლის 10 მარტს გაიმართა და მას ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლები დაესწრნენ. ამ სხდომაზე მიღებული იქნა განცხადება, რომელიც საფუძვლიანად განსხვავდებოდა ნატოს 1991 წელს გამართულ რომის სამიტზე და 1991 წლის დეკემბერში ნატოს წინა შეხვედრაზე მიღებული განცხადებებისაგან, სადაც აღნიშნული იყო იმ პოზიტიური ცვლილებების შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში ვითარდებოდა. განცხადების განსხვავებული ხასიათი აიხსნებოდა იმ შემოთავებით, რომელიც დაკავშირებული იყო ყოფილ საბჭოთა სივრცეში, კერძოდ კავკასიაში და მოლდოვაში და ასევე ბალკანეთში მიმდინარე ეთნიკურ კონფლიქტებთან, ასევე ნატოს უდიდეს შემოთავაზებას იწვევდა რუსეთსა და უკრაინას შორის სერიოზული დაპირისპირება ყირიმის ნახევარკუნძულის გარშემო და იქ განლაგებული შავი ზღვის ფლოტი. სსრკ-ში გარდამავალმა პერიოდმა და ყოფილი “ცენტრის” მიერ ინსპირირებულმა კონფლიქტებმა გამოიწვია ანარქია, განუკითხაობა და შეიარაღებული კონფლიქტები, რასაც როგორც ვიცით სამწუხაროდ ვერც საქართველო გადაურჩა.

რაც შეეხება სოციალ-ეკონომიკურ ვითარებას, სახეზე იყო საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში წარმოებისა და ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა, სამეურნეო და ფინანსური კავშირების მოშლა. დასავლეთი დადგა ახალი დილემის წინაშე, რომელიც დაკავშირებული იყო უკვე ყოფილი საბჭოთა კავშირისათვის ფართომასშტაბიანი ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის შესახებ. ასეთი მძიმე დრამატული ვითარება და ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც ამ ისტორიულ პერიოდში ეკისრებოდა დასავლეთსა და ნატოს, გარკვეულწილად აქარწყლებდა “ცივ ომში” გამარჯვებით გამოწვეულ მაჟორულ განწყობილებას.

როგორც უკვე აღინიშნა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში უკრაინაში, ბელორუსიასა და ყაზახეთში განლაგებული ბირთვული იარაღის პრობლემის მოგვარება, იქცა ნატოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შემოთავაზებას იწვევდა უკრაინის პოზიცია, რომელიც იმ პერიოდში, გარკვეულწილად ალბათ რუსეთთან არსებული დაძაბული ვითარების გამო არ აპირებდა უარი ეთქვა ბირთვულ იარაღზე და ცდილობდა გამოეყენებინა ეს უკანასკნელი ბერკეტად დასავლეთისა და რუსეთის მხრიდან ეკონომიკური და პოლიტიკური დახმარებისა და დათმობების მოსაპოვებლად. ამ პრობლემაზე მსჯელობა გაგრძელდა 1992 წლის 17 დეკემბერს, როდესაც ბრიუსელში გაიმართა ნატოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრა. ამ შეხვედრაზე მინისტრებმა განიხილეს ყოფილ საბჭოთა კავშირში ბირთვულ სფეროში არსებული ვითარება და მოუწოდეს უკრაინასა, ბელორუსიასა და ყაზახეთს სასწრაფოდ შეერთებოდნენ ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუზრცელებლობის შესახებ. ასევე, მინისტრებმა მოუწოდეს სამივე რესპუბლიკის ხელისუფლებას მოეხდინათ სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების რატიფიცირება.

ეს საკითხი ასევე განხილვის საგნად იქცა იმავე წლის 18 დეკემბერს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, სადაც კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ბირთვული იარაღის გავრცელების მზარდი საშიშროება საჭიროებდა სწრაფი და ეფექტური ზომების მიღებას. კერძოდ, ზემოხსენებული ხელშეკრულებების სრული ამოქმედების აუცილებლობასთან ერთად, აღნიშნულ იქნა იმის მნიშვნელობა, რომ აუცილებელი იყო სხვა სამხედრო და ბირთვულ სფეროებთან დაკავშირებული საერთაშორისო დოკუმენტების მზადებასა და

მათთან მიერთებას, კერძოდ, ასეთ საერთაშორისო დოკუმენტებად მოიაზრებოდა კონვენცია ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ, “ღია ცის” შესახებ ხელშეკრულება და სხვა. მინისტრების შეხვედრაზე ასევე გაისმა მზადყოფნა ევროთათბირის ფარგლებში მიმდინარე მუშაობის მხარდაჭერაზე შეიარაღების კონტროლთან და განიარაღებასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით აღინიშნა, რომ არსებული ხელშეკრულებების შესრულება, რომელთა რეალიზებაც შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ დიალოგის გზით, სადაც ასევე უნდა გათვალისწინებულ იქნეს ამ პროცესის გამჭვირვალობა, ასევე ევროპაში არსებული ახალი სამხედრო თუ პოლიტიკური რეალობა და ამ რეალიებზე დაყრდნობით კონსულტაციების მექანიზმების სრულყოფა, წარმოადგენდა აუცილებელ წინაპირობას ყოვლისმომცველი უსაფრთხოების სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, ცივი ომის” დასრულების შემდეგ, როდესაც შეიქმნა ნოყიერი ნიადაგი ურთიერთდობის ჩამოსაყალიბებლად ყოფილ მოწინააღმდეგეებს შორის, ამ უმნიშვნელოვანეს დადებით ასპექტთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს, რომ ევროპის ზოგიერთ ნაწილში თავი იჩინა არასტაბილურობამ. ამ მხრივ უდიდეს პრობლემას რა თქმა უნდა ეთნიკური კონფლიქტები წარმოადგენდა, რომლებიც ხშირად ცალკეულ ქვეყნებს შორის დაპირისპირებაში გადადიოდა. ამის შესაბამისად, ნატოს ხელმძღვანელობის წინაშე დაისვა ახალი ამოცანა, კერძოდ კიდევ უფრო გაღმავებულიყო თანამშრომლობა ნატოს ფარგლებში, რადგან წვერი ქვეყნების თავდაცვა და ალიანსის ჩარჩოში მიღწეული თანამშრომლობის მექანიზმები შემდგომშიც მათი უსაფრთხოების გარანტია იქნებოდა. ერთის მხრივ რეგიონული კონფლიქტების არსებობამ, რაც რეალობად იქცა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის შემდგომ პერიოდში და მეორეს მხრივ მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების აუცილებლობამ, ალიანსის სამხედრო ინსტიტუტების წინაშე ახალი ამოცანები დააყენა, რაც პირველ რიგში დაკავშირებული იყო კრიზისების მართვასთან. ამიტომაც ახალმა რეალიებმა ნატოს უბიძგა შეეცვალა თავისი სტრუქტურები და მოქმედების მანერა. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთთან დაძაბულობის შემცირების პარალელურად, ნატოს წინაშე დადგა ახალი პრობლემა, რომელიც როგორც აღინიშნა დაკავშირებული იყო ბალკანეთში მიმდინარე პროცესებთან, სადაც ახალი რეალობების გათვალისწინებით ნატოს თავის თავზე უნდა აეღო მშვიდობის უზრუნველყოფა ამ რეგიონში. ამ მიზნით 1992 წლის ივლისში ნატოს წვერი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გამართულ შეხვედრაზე ოსლოში, ალიანსის წევრმა ქვეყნებმა გამოსატეს თავისი მზადყოფნა ევროთათბირის ფარგლებში სამშვიდობო საქმიანობის მხარდაჭერის შესახებ. ამის შესაბამისად მინისტრებმა მიიღეს განცხადება ყოფილ იუგოსლავიასა და მთიან ყარაბაღში მიმდინარე კრიზისის შესახებ. უკვე 1992 წლის 10 ივლისს, ჰელსინკიში ევროთათბირის ეგიდით გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტში ნაწილობრივ გამახვილებული იყო ყურადღება ნატოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ევროთათბირის ფარგლებში სამშვიდობო საქმიანობის მხარდაჭერის შესახებ. იმ დროს მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ და ნატოს ავტორიტეტის ზრდამ ნათლად ცხადყო, რომ ვერც გაეროს და ვერც ევროთათბირს იმ პერიოდში არ გააჩნდათ შესაბამისი რესურსები მშვიდობის უზრუნველსაყოფად ყოფილ იუგოსლავიაში, ამიტომაც გაეროს გენერალურმა მდივანმა თხოვნით მიმართა ნატო-ს გენერალურ მდივანს, რათა ალიანსს სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში ჩაეტარებინა სამხედრო ოპერაცია სისხლისღვრის შეწყვეტის მიზნით, რაც პირველ რიგში ითვალისწინებდა ამკრძალავი ზონების შექმნას ბოსნია-ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეში. საბოლოოდ უკვე 1993 წლის აპრილიდან ნატოს სამხედრო

თვითმფრინავებმა-ავიაგამანადგურებლებმა და სადაზვერვო თვითმფრინავებმა დაიწყეს გაეროს უშიშროების საბჭოს 816-ე რეზოლუციის პრაქტიკული განხორციელება. ამრიგად, 1992-93 წლებში ნატო დადგა ახალი უმძიმესი გამოცდის წინაშე, რომლის დროს არსებობდა იმის უდიდესი ალბათობა, რომ ალიანსი თავისი არსებობის ისტორიაში პირველად (როგორც აღინიშნა სპარსეთის ყურეში სამხედრო ოპერაციები 1991 წელს არ მიმდინარეობდა ნატოს ეგიდით) ჩართულიყო სამხედრო და სამშვიდობო ოპერაციებში, რასაც ნატომ ბრწყინვალედ გაართვა თავი, უზრუნველყო რა მშვიდობა ჯერ ბოსნიაში 1995 წელს, ხოლო შემდგომ კოსოვოში 1999 წელს, რაზეც შემდგომ თავებში გვექნება საუბარი.

აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან თანამშრომლობის ახალი ეტაპი

1994 წლის 10-11 იანვარს ბრიუელში გამართულ ნატოს სამიტს ბევრი ექსპერტი მიიჩნევს როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას ნატოს ისტორიაში. ეს ყველაფერი კი დაკავშირებული იყო სამიტზე აშშ-ის ახალი ინიციატივის – “პარტნიორობა მშვიდობისათვის” (პმპ) პროგრამის მიღებასთან. ნატოს წევრმა ქვეყნებმა, ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრებსა და ევროთათბირის წევრებს შესთავაზეს ამ პროგრამაში მონაწილეობა. ამავე სამიტზე გამოქვეყნებულ იქნა პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ჩარჩო დოკუმენტი. დატკიცებულ იქნა კონცეფცია მრავალეროვანი გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფებისა და აგრეთვე სხვა ღონისძიებათა გატარების შესახებ, დაკავშირებულს ევროპის უშიშროებასა და თავდაცვასთან.

დოკუმენტის შინაარსის მიხედვით, პროგრამის ინიციატივა ითვალისწინებდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ყოფილი კომუნისტური ბლოკის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების თვისობრივად ახალ დონეზე აყვანას. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამა არ ითვალისწინებდა ნატოს წესდების მე-5 მუხლის შესაბამისად კოლექტიური უშიშროების გარანტიების გავრცელებას პარტნიორებზე აღმოსავლეთ ევროპიდან და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, მაგრამ იგი მაინც უპასუხებდა აღმოსავლეთ ევროპის რიგ სახელმწიფოთა მოთხოვნებს ნატოში გაწევრიანების შესახებ, რადგან პროგრამა ქმნიდა ხელსაყრელ საფუძველს იმისათვის, რომ რეგიონის ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს დაემყარებინა მჭიდრო ურთიერთობები უშუალოდ ნატოსთან პრაქტიკული მიმართულებებით, რაც გულისხმობდა თანამშრომლობას, როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური და სამეცნიერო მიმართულებითაც. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ეს თანამშრომლობა ისახავდა ორიენტირებს სამომავლოდ ნატოში შესაძლო სრული გაწევრიანებისათვის.

“პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამაში მონაწილეობის მიღება უკვე შეეძლოთ როგორც ყოფილი კომუნისტური ბლოკის ქვეყნებსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, ასევე ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც, მათ შორის ნეიტრალური სტატუსის მქონე სახელმწიფოებს. სახელმწიფო, რომელიც დაინტერესებას გამოთქვამდა ჩართული ყოფილიყო პმპ-ის პროგრამაში, ნატოსთან აფორმებდა ერთობლივ განცხადებას, სადაც ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო თანამშრომლობის პრიორიტეტები ორ მხარეს შორის. შემდგომ ეტაპს უკვე წარმოადგენდა ნატოსთან მუშაობის დაწყება ე.წ. “ინდივიდუალური თანამშრომლობის” გეგმის მომზადებაზე. აუცილებელია აღინიშნოს, რომ პროგრამის მონაწილე ქვეყნის პოლიტიკა დაფუძნებული უნდა ყოფილიყო დასავლური ლიბერალური საზოგადოების ძირითად ფასეულობებსა და ისეთ პრინციპებს, როგორიცაა დემოკრატია, კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით

მოგვარება, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლი, სამხედრო ბიუჯეტის გამჭვირვალობა და სხვა. ასევე დიდი ყურადღება ენიჭებოდა პარტნიორი სახელმწიფოს მზადყოფნას, პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის სხვა სახელმწიფოებთან ერთად წვლილი შეეტანა ნატოს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებშიც.

შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნებოდა იმაზე, თუ რა დონეზე განავითარებდა პარტნიორი ქვეყანა თანამშრომლობის ახალი ფორმის ამა თუ იმ შესაძლებლობებს და შესძლებდა თუ არა ეს სახელმწიფო დაეკმაყოფილებინა ნატოს სტანდარტები როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკურ ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში.

ნატოს მიერ შემოთავაზებული ახალი ინიციატივა ითვალისწინებდა ასევე ნატოსთან პარტნიორთა კონსულტაციების ახალი მექანიზმის ამოქმედებას ფორმატით 16 + 1, რაც გულისხმობდა ნატოს თანამშრომლობას კონკრეტულ ცალკეულ პარტნიორ ქვეყანასთან (როგორც ცნობილია იმ პერიოდში ნატოში 16 ქვეყანა შედიოდა). კონსულტაციების ამ სისტემის მიხედვით, პარტნიორ ქვეყანას ალიანსისათვის შეეძლო მიემართა იმ შემთხვევაში, თუ ესა თუ ის სახელმწიფო ჩათვლიდა, რომ საფრთხე ემუქრებოდა პარტნიორი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით ახალი მიდგომა წარმოადგენს პმპ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი დებულებას, რადგან ამ პრინციპის მიხედვით გარკვეულწილად გათვალისწინებულია ნატოს უსაფრთხოების გარანტიების გავრცელება პარტნიორ ქვეყნებზე. თუმცა მიუხედავად ამისა, კონსულტაციების მექანიზმი არ გულისხმობს ნატოს კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპს, რომელიც უმთავრესად ჩამოყალიბებულია ვაშინგტონის ხელშეკრულების ცნობილ მე-5 პუნქტში: "...მხარეები შეთანხმდნენ, რომ ხელშეკრულების ერთ ან მეტ წევრზე ევროპაში ან ჩრდილო ამერიკაში განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა უნდა ჩაითვალოს თავდასხმად ყველას მიმართ". თუმცა ის ფაქტი, რომ ნატო მზადყოფნას გამოთქვამს თითოეულ პარტნიორ ქვეყანასთან კონსულტაციების ჩატარებას, უკვე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. პმპ-ის ინიციატივასთან დაკავშირებით დიდი ყურადღება დაიმსახურა პრეზიდენტ ბ. კლინტონის განცხადებამ, რომელიც მან გააკეთა ჩეხეთში ვიზიტის დროს, კერძოდ მან აღნიშნა: "...თუკი აღმოსავლეთ ევროპას დაემუქრა ისეთი საფრთხე, როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, ნატო არ დარჩება უმოქმედოდ. მე პირადად უნდა განვაცხადო, თქვენი უსაფრთხოება მეტად მნიშვნელოვანია აშშ-ის უსაფრთხოებისათვის"(16).

1994 წლის 23 მარტს საქართველო, ერთ-ერთი პირველი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, ოფიციალურად შეუერთდა პმპ-ს.

პმპ-ის პროგრამის დამტკიცებიდან უკვე ერთი წლის შემდეგ, 1995 წლის სექტემბერში დასრულდა მუშაობა ნატოს ახალ დოკუმენტზე-“კვლევა ნატოს გაფართოების შესახებ”, სადაც განსაზღვრული იყო ის ძირითადი პრინციპები, რომელიც ეხებოდა მოთხოვნებს იმ სახელმწიფოებისადმი, რომლებსაც სურდათ ალიანსში გაწევრიანება. ამრიგად, ამ ორი დოკუმენტის მიღებამ, რომელიც დატკიცებულ იქნა ნატოს ელჩების მიერ 1995 წლის 21 სექტემბერს, მკვეთრად გაზარდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შანსები, მიერთებოდნენ ალიანსს ნატოს შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის შემდეგ ნატომ ახალი ძალისხმევით განავითარა თავისი თანამშრომლობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან. კერძოდ, 1997 წლის თებერვალში შედგა ნატოს გენერალური მდივნის ჰავიერ სოლანას ვიზიტები საქართველოში, მოლდოვაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

აღმოსავლეთთან ურთიერთობების კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით ნატო ძალისხმევას არ იშურებდა. ამ მხრივ ნატოს სხვადასხვა სტრუქტურებში შემუშავებულ იქნა ახალი ინიციატივები. აღსანიშნავია, რომ ნატო-მ დაიწყო აქტიური მოლაპარაკებები რუსეთთან ნატო-რუსეთს შორის თანამშრომლობასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტის ხელმოწერის მიზნით. გარდა ამისა, ორივე მხარის მიერ დაისახა შესაბამისი გეგმები ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში სამშვიდობო ოპერაციების შესრულების მიზნით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთმა მზადყოფნა გამოთქვა გაეგზავნა თავისი სამხედრო კონტინგენტი ბოსნიაში ნატოს სარდლობის ქვეშ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ვახსენოთ ის ფაქტი, რომ ნატოს გენერალური მდივანი, ჰავიერ სოლანა 1996-1997 წლებში სამჯერ ეწვია მოსკოვს ნატო-რუსეთს შორის თანამშრომლობის დოკუმენტის შემუშავების მიზნით. მოლაპარაკებათა ეს რაუნდები წარმატებით დაგვირგვინდა მას შემდეგ, როდესაც 1997 წლის 27 მაისს ნატო-რუსეთის სამიტზე ხელი მოეწერა “ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ძირითად აქტს თანამშრომლობისა და უსაფრთხოების სფეროში”.

ნატო-ს მადრიდის სამიტი

1997 წლის 8 ივლისს ნატოს მადრიდის სამიტზე ნატოს სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურებმა მიიღეს გადაწყვეტილება მიეპატიუებინათ ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი მოლაპარაკებათა დაწყებისათვის ნატო-ში მათი 1999 წლისათვის გაწევრიანების მიზნით. ამავე დროს, ნატომ კვლამ დაადასტურა თავისი მზადყოფნა ალიანსში ახალი წევრების მიღებისათვის ალიანსის წესდების მე-10 მუხლის საფუძველზე და გამოსატა მზადყოფნა განეხილა ეს საკითხი თავის შემდეგ სამიტზე 1999 წელს.

მადრიდის სამიტზე აგრეთვე ხელი მოეწერა ქარტიას ნატოსა და უკრაინას შორის პარტნიორობის შესახებ.

ნატოს მადრიდის სამიტი უმნიშვნელოვანესი იყო იმიტომაც, რომ გაიმართა სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების სხდომა. ნაქსის ნაცვლად შექმნილი ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ეგიდით, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო საბჭოს უფრო ეფექტური გზების ძიებაზე უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების მიზნით.

მადრიდის ნატოს სამიტზე განისაზღვრა ალიანსის მთავარი პრიორიტეტები 21-ე საუკუნეში და ევროატლანტიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. სამიტამდე დიდი ხნით ადრე მიმდინარეობდა მუშაობა სამიტის დღის წესრიგის შესახებ, საბოლოოდ შეირჩა შემდეგი საკითხები:

- აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნის მოწვევა, რათა დაწყებულიყო პრაქტიკული მოლაპარაკებები ნატოში გაწევრიანების თაობაზე;

- თანამშრომლობის ახალი პრიორიტეტების განსაზღვრა პარტნიორ ქვეყნებთან მიმართებაში და ამ მიზნით ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს შექმნა;

- პარტნიორული ურთიერთობების განვითარება რუსეთის ფედერაციასთან და ახალი ორმხრივი თანამშრომლობის მექანიზმის შექმნა;

- ევროპაში არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით პრევენციული და კრიზისის მართვის მეთოდოლოგიის შემუშავება.

აღნიშნულ შეხვედრაზე ნატოს მინისტრების მიერ განხილულ და დამტკიცებული იქნა “დიალოგის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის სამუშაო გეგმა.” ამ გეგმის შესაბამისად მნიშვნელოვნად გაფართოვდა პოლიტიკური კონსულტაციების თემატიკა, რომელმაც მოიცვა უშიშროებასთან

დაკავშირებული მრავალი საკითხი. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში პოლიტიკურ და სამხედრო ასპექტებთან ერთად დიდი ყურადღება დაეთმო უსაფრთხოების ეკონომიკურ ასპექტებს, რაც წარმოადგენდა იმის ნათელ დადასტურებას, რომ ნატოს წევრი ქვეყნები უფრო ნათლად აცნობიერებდნენ იმ ეკონომიკურ სირთულეებს, როლებსაც განიცდიდნენ პარტნიორი ქვეყნები ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზაზე.

ასევე დიდი ყურადღება დაეთმო ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების მეცნიერებს შორის კონტაქტების გაღრმავებას, სადაც პრიორიტეტულ მიმართულებებად მიიჩნიეს ერთობლივი პროექტებზე მუშაობა ისეთ საკითხებში, როგორებიცაა განიარაღებასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები, ეკოლოგიური უსაფრთხოება, კომპიუტერული ტექნიკა.

აღნიშნულ გეგმაში გაჩნდა ახალი საყურადღებო ელემენტი – მასში ჩართულ იქნა ნატოს პოლიტიკურ – სამხედრო კომიტეტის ფარგლებში სამშვიდობო ოპერაციებთან დაკავშირებით შექმნილი საგანგებო სამუშაო ჯგუფის ღონისძიებები, მათ შორის ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა სამშვიდობო ოპერაციების ერთიანი კონცეფციებისა და მოთხოვნების შემუშავება, თანამშრომლობა სამშვიდობო ოპერაციების დაგეგმვაში, სამშვიდობო ოპერაციების ერთიანი ტექნიკური საფუძვლების შემუშავება.

მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება გეგმის იმ ნაწილზეც, რომელიც ითვალისწინებდა ერთობლივი სამხედრო წვრთნებისა და სხვა სამხედრო ტიპის ღონისძიებების ჩატარებას. ამ მხრივ გათვალისწინებული იყო 120-ზე მეტი ღონისძიების ჩატარება, აქედან თითქმის ნახევარი გახლდათ ისეთი ტიპის პროგრამები, სადაც ჩართულნი იქნებოდნენ როგორც ნატოს წევრი, ასევე პარტნიორი ქვეყნები.

მზადება ვაშინგტონის სამიტისათვის და ნატოს ახალი სტრატეგიული კონცეფციის შემუშავება

უკვე 1998 წლის მეორე ნახევრიდან ნატოში ინტენსიური მზადება დაიწყო 1999 წლის აპრილში გასამართი ვაშინგტონის სამიტისათვის. აღნიშნულ სამიტს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგანაც ვაშინგტონში უნდა აღნიშნულიყო ალიანსის დაარსების 50 წლის იუბილე. გარდა ამისა, ამ შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ “ცივი ომის” დასრულების შემდეგ პირველად ალიანსის შემადგენლობაში ოფიციალურად უნდა გაწევრიანებულიყო ყოფილი კომუნისტური ბანაკის სამი სახელმწიფო – ჩეხეთი, პოლონეთი და უნგრეთი. ასევე, ევროპაში არსებული ახალი რეალიებიდან და შესაბამისად ალიანსის ფუნქციების გაფართოებიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი გახლდათ ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფციის დამტკიცება, რომელზეც მნიშვნელოვნად იქნებოდა დამოკიდებული როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მომავალი სტრატეგია, მიზნები და ამოცანები, ასევე ევროატლანტიკური უსაფრთხოება XXI საუკუნეში.

1997 წელს ნატოს მადრიდის სამიტზე და შემდგომში ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების იმავე წლის დეკემბრის შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები, რათა 1998 წლიდან ჩამოყალიბებულიყო ნატოს პოლიტიკის საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც მომდევნო სამიტისათვის შეიმუშავებდა ნატოს ახალ სტრატეგიულ კონცეფციას.

აღნიშნული დოკუმენტის შემუშავება მიმდინარეობდა მეტად ცხარე დებატების ფონზე და იგი თითქმის ვაშინგტონის სამიტის დაწყებამდე გაგრძელდა. დასამტკიცებელი სტრატეგიული კონცეფციის უმთავრესი დებულებებიდან ნატოს წევრების ეჭვი არ გამოუწვევია კოლექტიური თავდაცვის

პრინციპს, რომელიც ვაშინგტონის ხელშეკრულების საკვანძო მე-5 მუხლში არის ასახული. ასევე, ნატოს ამერიკელი და ევროპელი ექსპერტები უპრობლემოდ შეთანხმდნენ ტრანსატლანტიკური კავშირების (აშშ-ევროპა) შენარჩუნების ძირითადი პრინციპების შესახებ. ამავე დროს, ცხარე კამათი გამოიწვია “ცივი ომის” შემდგომ პერიოდთან დაკავშირებული ალიანსის სხვა ძირითადი ფუნქციების განსაზღვრამ.

ამერიკელ და ევროპელ კოლეგებს შორის მწვავე დისკუსიების ერთ-ერთ უმთავრეს საგანს წარმოადგენდა ისეთი საკითხი, როგორცაა ალიანსის მთავარი მიზანი კოლექტიურ უსაფრთხოებასთან ერთად. ამ მხრივ ამერიკული მხარე მხარს ეჭერდა მე-5 მუხლის ფართო ინტერპრეტაციას. ამერიკელები მიიჩნებოდნენ, რომ ეს ცნება კოლექტიურ თავდაცვასთან ერთად ასევე შესაძლოა გულისხმობდეს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასა და ტერორიზმთან ბრძოლას, ასევე მის ამოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ადამიანთა უფლებების მასობრივ დარღვევას ეთნიკურ ძალადობის ნიადაგზე. ასევე ნატომ აუცილებლად უნდა მოახდინოს თავისი რეაგირება რეგიონულ კონფლიქტებთან დაკავშირებით არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. ამ საკითხის განხილვისას ნატოს ევროპელი მოკავშირეების მოსაზრებები ორად გაიყო, ზოგიერთი ქვეყნის მესვეური მხარს უჭერდა ალიანსის მოქმედებათა შესაძლო გაფართოებას ევრო-ატლანტიკური სივრცის გარეთ, მაგრამ მეორე ნაწილი საკმაოდ სკეპტიკურად აღიქვამდა აღნიშნულ იდეას და ეჭვს გამოთქვამდა მისი მიზანშეწონილობის თაობაზე.

საკმაოდ სერიოზული უთანხმოება გამოიწვია ნატოს მიერ მის საზღვრებს გარეთ სამხედრო-სამშვიდობო ოპერაციების ჩასატარებლად საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატის აუცილებლობის საკითხმა. ამ საკითხის განხილვა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო იმ ფაქტზე, რომ ალიანსი უკვე აპირებდა სამხედრო ოპერაციების დაწყებას ყოფილ იუგოსლავიაში, რასაც გაეროს უშიშროების საბჭოში კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ უშიშროების საბჭოს ორი მუდმივი წევრი-რუსეთის ფედერაცია და ჩინეთი. არსებული რეალობების გათვალისწინებით, აშშ-ის ადმინისტრაცია მიიჩნევდა, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უნდა ჰქონოდა უფლება ემოქმედა თავისი შეხედულებებისამებრ ევროპული უსაფრთხოების სივრცეში, რადგანაც ეს ქმედება ხელს შეუწყობდა სტაბილურობის შექმნას მთლიანად ევრო-ატლანტიკურ რეგიონში. თუმცა, ევროპელთა დიდი ნაწილი კი ალიანსის მიერ სამშვიდობო ოპერაციების ჩატარების აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევდა გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვას. ამ მხრივ განსაკუთრებით პრინციპული პოზიცია გააჩნდა საფრანგეთს. გარდა ამისა, აშშ, არსებული გეოპოლიტიკური რეალობებიდან გამომდინარე აგრეთვე მიიჩნევდა, რომ ნატოს ასევე უნდა მინიჭებოდა უფლება ალიანსთან უშუალოდ მოსაზღვრე რეგიონებიდან “მომავალი საფრთხეების” გაუვნებელყოფისა, ანუ სტრატეგიულ კონცეფციაში ამ საკითხის შეტანის შემთხვევაში თეორიულად შესაძლებელი გახდებოდა ნატოს გააქტიურება ევროატლანტიკური სივრცის ფარგლებს გარეთაც, ანუ მის მოსაზღვრე “პერიფერიულ რეგიონებშიც”. თუმცა ევროპელი მოკავშირეები ამ თეზისის აღნიშნულ ფორმულირებაში ხედავდნენ “გლობალური ნატოს” შექმნის საშიშროებას, რასაც შეიძლება მოჰყოლოდა აშშ-ის – როგორც მსოფლიო გლობალური ლიდერის ფუნქციის კიდევ უფრო გაზრდა და ალიანსის ჩათრევა სულ უფრო მეტ კონფლიქტში.

საკმაოდ საინტერესო სჯა-ბაასი გაიმართა აგრეთვე გერმანიის ახალი მემარცხენე-ცენტრისტული მთავრობის ინიციატივის ირგვლივ ალიანსის ბირთვული სტრატეგიის შეცვლის აუცილებლობასთან დაკავშირებით. აქ საუბრის მთავარი თემა გახლდათ საკითხი, ბირთვული იარაღის პირველადი

არგამოყენების კონცეფციის დენონსაციის შესახებ. გერმანელთა ამ ინიციატივას ნატოში მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სახით. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ “ცივი ომი” უკვე დიდი ხნის დასრულებული იყო და ბირთვული ომის დაწყების შანსი მინიმუმამდე იყო დაყვანილი, ალიანსი ჯერ კიდევ ეფუძნებოდა ე.წ. შეკავების სტრატეგიას, ანუ ფუნდამენტალურ ღირებულებას, რომ ნატოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემთხვევაში მას ჰქონდა უფლება პირველს გამოეყენებინა ბირთვული იარაღი. აშშ აღნიშნული სტრატეგიის შენარჩუნების აუცილებლობას ასაბუთებდა იმ ფაქტით, რომ ალიანსის ბირთვული დოქტრინის რევიზიას შესაძლოა ხელი შეეწყოს მსოფლიოში აგრესიული ტენდენციების კიდევ უფრო გაძლიერებასა და ბირთვული იარაღის გავრცელებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახლდათ აზრთა სხვადასხვაობა ნატოს ფარგლებში ევროპული განზომილების გაძლიერებაზე, რაც შესაბამისად გულისხმობდა ნატოში ევროპული უსაფრთხოებისა და სამხედრო კომპონენტის შექმნას. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ალიანსში ევროპის როლის გაზრდასთან დაკავშირებით (რაზეც დისკუსიები უკვე მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა) ორი მიდგომა არსებობდა. მაგალითად საფრანგეთი მტკიცედ უჭერდა მხარს დასავლეთ ევროპული კავშირს (დეკა), რომელსაც 1992 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე დაეკისრა ევროპის თავდაცვის ფუნქციები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგანიზაციამ თავისი დაარსებიდან დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლო ჩამოყალიბებულიყო სრულფასოვან სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციად, ორგანიზაციაში შემაჯავლი წევრი-სახელმწიფოების რიგ საკითხებში უთანხმოებისა და ფინანსური სირთულეების გამო, ამიტომაც დეკა-სათვის ევროპის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობის აღება მეტისმეტად მძიმე ტვირთი იყო. ამავე დროს 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით მეორე პოზიციაც გამოიკვეთა, რომელიც გულისხმობდა ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის ერთეულის (ESDI-European Security and Defence Identity) შექმნას ნატოს სტრუქტურების ფარგლებში. ამერიკულ იდეას სულ უფრო მეტი მხარდაჭერი გამოუჩნდა ევროპული ქვეყნების უმრავლესობაში.

მიუხედავად ამ წინააღმდეგობებისა, კონცეფციაზე მუშაობის პროცესში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ნატოს წევრ ქვეყნებს შორის ერთიანი პოზიციები ისეთ საკითხებზე, რომლებიც ვაშინგტონში უნდა განხილულიყო.

კერძოდ, ნატოს წევრი ყველა ქვეყანა ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ ნატოს წესდების მე-10 მუხლიდან გამომდინარე ნატოს კარი კვლავ ღია უნდა ყოფილიყო მასში გაწევრიანების მსურველთათვის, თუმცა ამავე დროს მომავალი სამიტის დროს არ იყო გათვალისწინებული ევროპის რომელიმე სხვა ქვეყნების მიღება ნატოს რიგებში ჩეხეთის, პოლონეთისა და უნგრეთის გარდა. ასევე, არ სახელდებოდა გაფართოების “მეორე ტალღის” ვადები, ასევე ის, თუ ვინ შეიძლება გახდარიყო ნატოს წევრი 1999 წლის შემდეგ. მოსალოდნელი იყო, რომ სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში და სხვა დოკუმენტებში ერთმნიშვნელოვნად აისახებოდა ალიანსის მზადყოფნა მომავალი გაფართოებისათვის, რაც თავის მხრივ გამოიწვევდა გაწევრიანების მსურველი ქვეყნების მიერ ნატოს გარკვეული სტანდარტების შესრულებას.

ალიანსის წევრი ქვეყნები ასევე თანხმდებოდნენ იმაზეც, რომ აუცილებელი იყო მუშაობის გაგრძელება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების ადაპტაციის პროცესზე, რათა უკვე ეუთოს სტამბულის სამიტზე, რომელიც 1999 წლის ნოემბერში უნდა გამართულიყო, მომხდარიყო ადაპტირებული დოკუმენტის მიღება, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეეტანა ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

ნატოს ვაშინგტონის სამიტი

ნატოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი-ვაშინგტონის სამიტი 1999 წლის 24 და 25 აპრილს გაიმართა. ნატოს სამიტთან ერთად ასევე გაიმართა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (ეაპს) სამიტიც. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული უმაღლესი დონის შეხვედრები იმართებოდა კოსოვოში, და მთლიანად ყოფილ იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, რამაც რა თქმა უნდა თავისი შესაბამისი განსაკუთრებული გავლენა იქონია სამიტების პროცესზე და მათზე განსახილველ თემატიკაზე. აღსანიშნავია, რომ ეაპს-ის სამიტში არ მონაწილეობდა რუსეთის დელეგაცია, რომელიც იუგოსლავიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პროტესტის ნიშნად გამოვიდა ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭოდან, რაც ნატო-რუსეთის ურთიერთობების გაუარესებაზე მიუთითებდა.

სამიტი რიგით მეთხუთმეტე გახლდათ ნატოს ისტორიაში. ვაშინგტონის სამიტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა გახლდათ ალიანსის ისტორიაში. კერძოდ: აღმოსავლეთ ევროპის სამი კანდიდატი ქვეყანა - პოლონეთი, ჩეხეთი და უნგრეთი ნატოს წევრი ქვეყნები გახდნენ. აქედან დაიწყო ნატოს “ღია კარის” პოლიტიკის რეალური განხორციელება.

საერთო ჯამში, სამიტზე მიღებული სხვა გადაწყვეტილებები უდაოდ შეიძლება შეფასდეს როგორც ახალი ეტაპის დასაწყისი ნატოს 50-წლიან ისტორიაში. როგორც სამიტის დასასრულს ბ-მა სოლანამ განაცხადა, “თვით ის ფაქტი, რომ ეს გადაწყვეტილებები მიიღეს ალიანსის დაარსების შემდეგ ყველაზე უფრო რთული ევროპული კრიზისის ფონზე, იმაზე მეტყველებს, რომ ნატო მზადაა წინ აღუდგეს კონტინენტის სტაბილურობის წინააღმდეგ მიმართულ საშიშროებებს. კოსოვოს კრიზისზე პასუხით ალიანსმა დაადასტურა, რომ იგი მზადაა დაიცვას ატლანტიკური თანამეგობრობის მთავარი ფასეულობები: თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონიერება”(17). კერძოდ სამიტზე:

- მოიწონეს ნატოს განახლებული სტრატეგიული კონცეფცია;
- ოფიციალურად დასრულდა ნატოში პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის გაწევრიანება;
- დადასტურდა ნატოს მზადყოფნა შემდგომი გაფართოებისათვის, ხოლო ალიანსში გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისათვის მიიღეს “გაწევრიანების სამოქმედო გეგმა” (MAP);
- შემუშავდა ალიანსის ფარგლებში “ევროპული უშიშროების და თავდაცვის იდენტურობის” მთავარი ელემენტები (ESDI);
- საფუძველი ჩაეყარა “თავდაცვის საშუალებათა ინიციატივას” (DCI);
- ყურადღება გამახვილდა პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებაზე, ასევე ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებთან დიალოგის გაღრმავებაზე;
- გადაწყდა, გაძლიერდეს ერთობლივი ძალისხმევა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ.

რაც შეეხება მეორე დღეს გამართულ ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სამიტს, ეაპს-ის სამიტზე, რომელსაც ბ-ნი სოლანა თავმჯდომარეობდა მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აშშ-ის პრეზიდენტი ბილ ქლინტონი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა უშიშროების ძირითად ასპექტებზე ევროატლანტიკურ რეგიონში და ბუნებრივია, იმ პერიოდში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე მის მოხსენებაში დიდი ყურადღება იქნა გამახვილებული კოსოვოს პრობლემაზე. რაც შეეხება კონტაქტების გაძლიერების აუცილებლობას ნატოსა და პარტნიორებს შორის

ამპ-ის პროგრამის ფარგლებში, აქ აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამ მხრივ ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი გახლდათ თანამშრომლობის გაღრმავება რუსეთთან და უკრაინასთან. რუსეთთან მიმართებაში აშშ-ისა და ალიანსის მხრიდან კონსტრუქციულობის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ აშშ-ის პრეზიდენტი თავის გამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე დაუკავშირდა რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს, რომელსაც ქლინტონმა შესთავაზა ვაშინგტონში ჩასვლა და შეხვედრაში მონაწილეობის მიღება, რათა რუსეთის დელეგაციასთან ერთად განხილულიყო ევროატლანტიკურ რეგიონში, და კერძოდ კოსოვოში არსებული ვითარება და კრიზისიდან გამოსვლის გზები.

თავის გამოსვლაში აშშ-ის პრეზიდენტმა ასევე ყურადღება გაამახვილა იმ საფრთხეებზე, რომელიც ემუქრებოდა ახალი უშიშროების არქიტექტურის მშენებლობას, ასევე პრობლემატური საკითხების არსებობას დასავლეთსა და მუსლიმანურ სამყაროს, ასევე ნატოს ორ სრულფუნქციან წევრს თურქეთსა და საბერძნეთს შორის.

აშშ-ის პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ, ყურადღება გაამახვილდა ევროატლანტიკური თანამშრომლობის აქტუალურ საკითხსა და მომავალ პერსპექტივებზე. როგორც მოსალოდნელი იყო, ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებმა თავიანთ გამოსვლებში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ვითარებას კოსოვოში. ამ კონტექსტში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ როგორ შეაფასებდნენ ნატოს პარტნიორები ალიანსის ქმედებას კოსოვოში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დასავლეთისა და ასევე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ნატოს სამხედრო ოპერაციას. ალიანსის სამხედრო კომპანიას განსაკუთრებით მხარს უჭერდნენ ის სახელმწიფოები, რომელთა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების პრიორიტეტს ნატოში გაწევრიანება წარმოადგენდა.

ამავე დროს, სამიტზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელებმაც. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ მათ გამოსვლებში ასახვა პოვა იმ გეოპოლიტიკურმა რეალობებმა, რომელთა გათვალისწინებაც, როგორც წესი, პოლიტიკურ აუცილებლობას წარმოადგენდა. სამიტზე სიტყვით გამოვიდნენ უკრაინის, ყაზახეთის, უზბეკეთის, მოლდოვის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს პრეზიდენტები. საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოთა მეთაურების პარალელურად ფორუმზე სიტყვით გამოვიდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, რაც ამ ორგანიზაციის პრაქტიკაში გახლდათ უპრეცედენტო შემთხვევა. მისი გამოსვლა საკმაოდ დიდი ემოციურობით იყო დატვირთული, ასევე საქართველოს დელეგაციის მიერ სხდომაზე გავრცელებულ იქნა მასალები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებული ეთნიკური წმენდის შესახებ. გამოსვლამ აშკარად გავლენა იქონია ნატოს სამიტის მონაწილეებზე. ნატოს ხელმძღვანელმა პირებმა და ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების ელჩებმა, აგრეთვე სხვა მონაწილეებმა თავისი თვალთ ნახეს ის საშინელებები, რაც ჩადენილი იყო სეპარატისტული რეჟიმის მიერ 1992-1993 წლებში აფხაზეთში წარმოებული სამხედრო დაპირისპირების დროს. გამოსვლის შემდეგ გამართულ დისკუსიაში აშშ-ის ელჩმა განაცხადა “გარკვეულ ეტაპზე, ალბათ მართლაც დადგება აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის ინტერნაციონალიზაციის საკითხი, რათა გარანტირებულ იქნეს ლტოლვილთა დაბრუნება საკუთარ სახლებში. (18)”

ვაბს-ის სამიტზე მიღებულ იქნა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი – “21-ე საუკუნის პარტნიორობისაკენ-გაღრმავებული და უფრო ოპერატიული პარტნიორობა”. დოკუმენტში ნათლად იყო ასახული ის ფაქტი, რომ ამ ორგანიზაციის ფარგლებში წარმოებული კონსულტაციების შედეგად, კიდევ

უფრო განმტკიცდა თანამშრომლობა ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში. მასში გაანალიზებულ იქნა მადრიდის ეაპს-ის სამიტის შემდეგ ამ ორგანიზაციაში განხორციელებული მუშაობის მთავარი შედეგები და პერსპექტივები ისეთი აქტუალური მიმართულებებით, როგორცაა:

- ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინიციატივითა და მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული კმპ-ის ოპერაციების სამხედრო-პოლიტიკური პრიორიტეტები;

- გაფართოებული და ადაპტირებული დაგეგმვისა და განხილვის პროცესი (PARP);

- სამხედრო თანამშრომლობა და თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები;

- კმპ-ის ფარგლებში საგანმანათლებლო პოლიტიკის გაუმჯობესება.

ნატოს ახალი გეოპოლიტიკური ამოცანები 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტმა აიძულა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ორგანიზაციის ისტორიაში პირველად ამოქმედებინა ნატოს წესდების მე-5 მუხლი. ნატოს წევრი სახელმწიფოები ერთხმად აღიარებდნენ ტერორისტული საფრთხის აქტუალობას და მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას. უკვე მეორე დღეს, 2001 წლის 12 სექტემბერს გაიმართა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს რიგგარეშე სხდომა, სადაც ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა წინა დღით ნიუ-იორკში, და ვაშინგტონსა და პენსილვანიაში განხორციელებული ტერორისტული აქტები განიხილეს როგორც აგრესია ნატოს წევრი ყველა სახელმწიფოს წინააღმდეგ. როგორც ავლნიშნეთ, ეს იყო პირველი შემთხვევა ალიანსის ისტორიაში, როდესაც ამოქმედდა 1949 წელს ხელმოწერილი ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი.

ნატოს გადაწყვეტილებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას მოჰყვა შესაბამისი სამხედრო ხასიათის ქმედებები ნატოს ორი წამყვანი სახელმწიფოს-აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მხრიდან, როდესაც 2001 წლის 7 ოქტომბერს ამ ორი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებმა პირველი დარტყმები მიაყენეს თალიბების პოზიციებს ავღანეთის ტერიტორიაზე, სადაც ამერიკელების მიერ მოპოვებული სადაზვერვო მონაცემებით თავის საქმიანობას აწარმოებდა უსამა ბინ ლადენი და “ალ-ქაიდას” სხვა წარმომადგენლები. აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალებისა და ავღანეთში მათი მხარდამჭერი “ჩრდილოეთის ალიანსის” სამხედრო ფორმირებების აქტიური მოქმედებების შედეგად შესაძლებელი გახდა უსამა ბინ ადენისა და ალ-ქაიდას მხარდამჭერი თალიბების რეჟიმის დამხობა და ავღანეთის ხელისუფლების სათავეში შედარებით პროგრესული ძალების მოსვლა.

აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ ავღანეთში ჩატარებული წარმატებული ოპერაციის ჩატარების შემდეგ ნატოს ხელმძღვანელობამ აქტიურად დაიწყო ფიქრი ცენტრალური აზიის ამ სახელმწიფოში მშვიდობის გასამყარებლად.

ამიტომაც უკვე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პრადის სამიტზე მოკავშირეებმა მოიწონეს ინიციატივები ნატოს შესაძლებლობების განსანმტკიცებლად ტერორიზმთან და სხვა გამოწვევებთან ბრძოლის მიზნით.

ამ მიზნით შემუშავებულ და მიღებულ იქნა ტერორიზმისაგან თავდაცვის სამხედრო კონცეფცია. აგრეთვე, ალიანსის წევრმა სახელმწიფოებმა დაამტკიცეს ტერორიზმის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ტერორისტული საფრთხის წინააღმდეგ სადაზვერვო

შენაერთის შექმნა, რომელიც საბოლოოდ დაფუძნდა ნატოს შტაბ-ბინასთან 2003 წლის ნოემბერში. ამ შენაერთის მთავარ მიზანს წარმოადგენდა წევრ სახელმწიფოთა შორის სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლის საშუალებების გააქტიურება. იმავე წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული იარაღისგან თავდაცვის სპეციალური ბატალიონი. ბატალიონის შემადგენლობაში თავისი მონაწილეობის სურვილი გამოხატა ალიანსის 13-მა სახელმწიფომ. ზემოაღნიშნული შენაერთი წარმოადგენს ნატო-ს რეაგირების ძალების შემადგენელ ნაწილს.

ნატოს პრადის სამიტზე, და ასევე შემდგომ ნატოს მინისტერიალებზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, უკვე 2003 წლის აგვისტოდან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიაში იწყება ახალი, უმნიშვნელოვანესი ეტაპი, როდესაც ნატოს ძალებმა დაიწყეს თავისი მისიის შესრულება ჩრდილოატლანტიკური რეგიონის ფარგლებს გარეთ-ახიის ცენტრალურ ნაწილში, ავღანეთში. ამ სამხედრო კამპანიის შესრულების მიზნით ნატომ თავის თავზე აიღო საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების (ISAF-International Security Assistance Force) ხელმძღვანელობა. პირველ ეტაპზე ამ ძალების ფუნქციას წარმოადგენდა ქვეყნის დროებითი მთავრობისათვის დახმარების აღმოჩენა, რომლის მთავარ მიზანს შეადგენდა ქაბულსა და მის შემოგარენში უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება. ISAF-ის ოპერაციებში მონაწილე ქვეყნების უმრავლესობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრია. პირველ ოპერაციას ხელმძღვანელობდა ბრიტანეთი, ISAF-2-ს თურქეთი, ხოლო ISAF-3-ს ნიდერლანდები და გერმანია. ძალების თავდაპირველი მანდატი შემოიფარგლებოდა ქაბულით და მისი შემოგარენით, მაგრამ 2003 წლის ოქტომბრის შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით ნატოს ოპერაციების არეალმა თანდათანობით ავღანეთის მთელი ტერიტორია მოიცვა.

ერაყის კრიზისი და ნატო

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების მიერ წარმოებული სამხედრო კამპანია ერაყში არ მიმდინარეობდა ნატოს ეგიდით, ერაყის ტერიტორიაზე წარმოებულ სამხედრო ოპერაციებსა და ერაყის ირგვლივ არსებული ვითარება იქცა ნატოს ფართო მსჯელობის საგნად. ამის მთავარი მიზეზი გახლავთ ის ფაქტი, რომ თუ ავღანეთის კომპანიის დროს, ნატოს შიგნით არსებობდა ერთსულოვნება და ალიანსის წევრი ყველა ქვეყანა თანხმდებოდა იმაზე, რომ აუცილებელი იყო ძალის გამოყენება ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ ავღანეთის ტერიტორიაზე, რისი ნათელი დადასტურებაც გახლავთ ნატოს მიერ 2001 წლის 12 სექტემბერს კონსენსუსის გზით მიღებული რეზოლუცია, რასაც ერთი თვის თავზე მოჰყვა კიდევ აშშ-ის და ბრიტანეთის მიერ სამხედრო კომპანიის დაწყება ავღანეთში თალიბების რეჟიმის წინააღმდეგ, ერაყის შემთხვევაში არსებობდა განსხვავებული ვითარება, რის გამოც ნატოს ამერიკელ და რიგ ევროპულ მოკავშირეებს შორის მიმდინარეობდა მწვავე დებატები ერაყში სამხედრო ოპერაციების დაწყების თაობაზე.

აშშ-სა და ევროპის რიგ სახელმწიფოებს შორის 2002 წლიდან მიმდინარეობდა ინტენსიური მოლაპარაკებები ერაყში მოსალოდნელ სამხედრო კომპანიასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თავად ნატოს წევრი ევროპული ქვეყნებიც არ იყვნენ ერთსულოვანნი დაეჭირათ თუ არა მხარი აშშ-ისათვის. რამდენიმე ევროპული ქვეყანა არ იზიარებდა აშშ-ის ადმინისტრაციის პოზიციას, რომ ერაყი ანტიტერორისტული კომპანიის მეორე ნაბიჯი უნდა გამხდარიყო, მიუხედავად ბუშის ადმინისტრაციის მტკიცებისა, რომ ერაყის ტერიტორიაზე არსებობდა ბირთვული ობიექტები და ერაყის ხელისუფლება

მხარს უჭერდა საერთაშორისო ტერორიზმს და მათ შორის ალ-ქაედას. ბუშის ადმინისტრაციის ოფიციალური პოზიცია გახლდათ ის, რომ სადამ ჰუსეინის მიერ ტერორიზმის მხარდაჭერისგან და მასობრივი განადგურების იარაღის შესაძლო გავრცელებასთან დაკავშირებული საფრთხე უახლოეს მომავალში უნდა გადაჭრილიყო და ამის ერთადერთ გზას წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული ანტისახალხო, დიქტატორული რეჟიმის შეცვლა.

სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე აშშ ყველანაირად ცდილობდა ყოფილიყო მაქსიმალურად კონსტრუქციული და ძალისხმევას არ იშურებდა, რომ ერაყის პრობლემა გადაჭრილიყო მშვიდობიანი გზით. ამის დადასტურება გახლავთ ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა ბუშმა თავდაპირველად მხარი დაუჭირა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ 1441-ე რეზოლუციას ერაყის ტერიტორიაზე მასობრივი განადგურების იარაღის შესაძლო არსებობასთან დაკავშირებით საერთაშორისო ინსპექტირების განახლების თაობაზე, თუმცა 10 თვის შემდეგ აშშ-იმ განაცხადა, რომ ჰქონდა სამხედრო მოქმედებების დაწყების უფლება. ამის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ერაყის ხელისუფლება არ თანამშრომლობდა გაეროს ინსპექტორებთან. ამავე დროს ნატოს რიგმა ევროპელმა მოკავშირემ აშშ-ის პოზიცია გაიზიარა, შესაბამისად, 2003 წლის 30 იანვარს ჩეხეთის, დანიის, უნგრეთის, იტალიის, პოლონეთის, პორტუგალიის, ესპანეთისა და გაერთიანებული სამეფოს ლიდერებმა Wall Street Journal-ში გამოაქვეყნეს წერილი, სადაც ისინი მხარს უჭერდნენ აშშ-ის. წერილში აღნიშნულიყო იყო, რომ ერაყი არ თანამშრომლობდა საერთაშორისო ინსპექტორებთან და მოუწოდეს საერთაშორისო თანამეგობრობას, დაეცვათ მსოფლიო მშვიდობა და უსაფრთხოება ერაყისათვის მასობრივი განადგურების იარაღის ჩამორთმევის გზით.

მიუხედავად იმისა, რომ ნატოს ამერიკელ და ევროპელ მოკავშირეებს, ასევე აშშ-სა და რუსეთს შორის მოლაპარაკებებმა ერაყის გარშემო შედეგი ვერ გამოიღო და შესაბამისად ვერ მოხერხდა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთისათვის მისაღები რეზოლუციის მიღება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, 2003 წლის მარტში, ერაყში სამხედრო კომპანია დაიწყო, სახელით “ერაყის თავისუფლება”. აშშ-ს სამხედრო დახმარება გაუწია გაერთიანებულმა სამეფომ, ხოლო თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს დანიამ და პოლონეთმაც.

როგორც ცნობილია, უკვე 2003 წლის 1 მაისს აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა მოახერხეს ერაყის ფაქტიურად მთელ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარება, ამავე დღეს, აშშ-ის პრეზიდენტმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ერაყის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებები დასრულდა, თუმცა ტერორისტული აქტების განხორციელება კოალიციური ძალების წინააღმდეგ დღევანდელ დღემდე ხორციელდება. როგორც უკვე აღინიშნა, ამჟამად ერაყში სამშვიდობო ოპერაციები ავღანეთისაგან განსხვავებით არ ხორციელდება ნატოს ეგიდით, მასში რამდენიმე ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყანა, მათ შორის საქართველო მონაწილეობენ.

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს 2004 წლის 28 მარტის სტამბოლის სამიტზე, წევრმა სახელმწიფოებმა გამოხატეს თავიანთი მხარდაჭერა ერაყში განთავსებული მრავალეროვნული ძალებისადმი, ხოლო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ იქნა N1546 რეზოლუცია, რომლის თანახმად ნატო-მ დაიწყო თავისი საწვრთნელი მისია ერაყში (NTM-1 Training Mission-Iraq). ეს გახლავთ არასაომარი ხასიათის მისია, რადგან მის ძირითად მიზანს წარმოადგენს საწვრთნელი-მოსამზადებელი კურსების ჩატარება ერაყის შეიარაღებული ძალების და უსაფრთხოების სამსახურების წარმომადგენლებისათვის.

ნატოს პრადის სამიტი და ალიანსის რეფორმირება

ერაყში საომარი მოქმედებების დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში ალიანსის მორიგი სამიტი გაიმართა. 2002 წლის ნოემბერში გამართულ ნატოს პრადის სამიტზე ალიანსის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიღებულ იქნა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება. მათ მიერ განსაზღვრულ იქნა ახალი ფართომასშტაბიანი საქმიანობის პროგრამა, რათა ალიანსს მომავალშიც შეძლებოდა ყოფილიყო მოკავშირეთა უსაფრთხოების მთავარი ფუნდამენტი და გამოსულიყო ერთ-ერთ მთავარ საერთაშორისო ფაქტორად სტაბილურობისა და დემოკრატიული რეფორმების განხორციელების მიზნით. ძირითადი განსხვავება პრადის სამიტისა ნატოს სხვა სამიტებისაგან მდგომარეობდა იმაში, რომ მასზე განხილულ იქნა ნატოს საყოველთაო გარდაქმნის საკითხები და ამაზე მოთხოვნა მკვეთრად იყო განპირობებული იმ ტერორისტული აქტებით, რომლებიც განხორციელდა 2001 წლის 11 სექტემბერს. ამ დროის განმავლობაში გამოჩნდა ფაქტორები, რომლებმაც გააძლიერეს იმის აუცილებლობა, რომ ნატოს სტრუქტურები და პოლიტიკა რეფორმირებული ყოფილიყო ალიანსის მოთხოვნილებების შესაბამისად. ამ ფაქტორებს მიეკუთვნება: მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული გაძლიერებული საფრთხე, მოთხოვნა ახალი ოპერატიული საშუალებების განხორციელებისა სამხედრო საქმიანობის უმნიშვნელოვანეს სფეროებში, პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების როლი, აგრეთვე სწრაფად განვითარებადი სტრატეგიული თანამშრომლობა ევროკავშირთან, მოკავშირეთა როლი საერთაშორისო ძალების ფარგლებში ავღანეთში და ნატოს საქმიანობის გაგრძელება ბალკანეთში.

ერთ-ერთ უპირველესი ამოცანა გახლდათ შეთანხმებული საშუალებების რეალიზაცია ნატოს საერთო სამხედრო პოტენციალის გარდაქმნის მიზნით. აქ საუბარი მიდიოდა სამ მთავარ ასპექტზე: ნატოს ძალების მართვის მექანიზმების ოპტიმიზაცია, ნატოს რეაგირების ძალების შექმნა, ნატოს სამხედრო პოტენციალის სრულყოფა და განვითარება კონკრეტულ, სამხედრო საქმიანობის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში როგორც გახლავთ დაზვერვა, ძალის ეფექტური გამოყენება და სხვა.

პრადის სამიტის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება იყო ნატოს გაფართოების შესახებ საერთო შეთანხმება. ამ მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გაეზღავნათ ოფიციალური მოწვევა ნატოში გაწევრიანების სურვილის მქონე შვიდი სახელმწიფო-პრეტენდენტისათვის. შესაბამისად ცხრამეტი ნატოს წევრი ქვეყნისა და შვიდი სახელმწიფო პრეტენდენტისათვის, პრადის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება გახდა კიდევ ერთი ისტორიული ნაბიჯი ევროპის გაერთიანებისა ბალტიისპირეთიდან შავ ზღვამდე. ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივამ დასაბამი მისცა დემოკრატიული რეფორმების პროცესის დაჩქარებისა ყველა ასპირანტ სახელმწიფოში.

პრაღაშივე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რიგი ღონისძიებათა განხორციელების შესახებ ნატოსა და პარტნიორი სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, მათ შორის პოლიტიკური დიალოგის აქტივიზაციასთან დაკავშირებით. პირველ რიგში მიღებულ იქნა სამოქმედო გეგმა საერთაშორისო ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლის წარმოებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, პრადის სამიტზე ხაზი გაესვა ნატოს ურთიერთობას რუსეთის ფედერაციასთან და ასევე განხილულ იქნა ავღანეთში მიმდინარე მოვლენები. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, პრადის გადაწყვეტილებების შესაბამისად

ნატოს ისტორიაში დაიწყო ახალი ეტაპი, როდესაც ალიანსმა დაიწყო სახმელეთო ოპერაციების განხორციელება ჩრდილო-ატლანტიკური ზონის ფარგლებს გარეთ.

მეტად მნიშვნელოვანი იყო პრადის შეხვედრა იმითაც, რომ აქ განხილულ იქნა პარტნიორობის გაძლიერების პერსპექტივები ნატოსა და ევროკავშირს შორის. სამიტზე აღნიშნულ იქნა, რომ ორივე ორგანიზაცია იზიარებს საერთო სტრატეგიულ ინტერესებს და ასევე აღნიშნულ იქნა პოტენციალის არსებობა მათ შორის მომავალში შესაბამისი თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით. ამ მხრივ განხილულ იქნა ისეთი პრინციპული საკითხები, რომლებიც ეხებოდა ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებში ერთიან მიდგომას, რომელიც ეხებოდა სხვადასხვა ტიპის ოპერაციებში ერთობლივ მონაწილეობას. შესაბამისად მიღწეულ იქნა დიდი პროგრესი, როდესაც მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია უშიშროებისა და თავდაცვის ევროპულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამ პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები განსაზღვრულ იქნა 2002 წლის 16 დეკემბერს, რაც გახდა გადამწყვეტი შემობრუნებითი პუნქტი ამ პროცესში და რამაც შექმნა შესაძლებლობა უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა ორ ორგანიზაციას შორის კრიზისების დარეგულირებასა და კონფლიქტების დარეგულირების მიზნით.

საბოლოო ჯამში პრადაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები შემდეგ ძირითად საკითხებთან დაკავშირებით:

ნატოს რეაგირების ძალები:

ეფექტური, ტექნოლოგიური თვალსაზრისით მოწინავე ნატოს რეაგირების ძალების შექმნა, რომელთაც ექნებოდათ მოქნილი ხასიათი;

ჯარების მართვის ორგანოების სტრუქტურა

ჯარების მართვის მექანიზმების ოპტიმიზაცია მათი ეფექტურობისა და ამადლების მიზნით, აგრეთვე მათი ადაპტირება ოპერატიული მოთხოვნებისადმი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მთელი სპექტრის ჩათვლით;

ვალდებულებები სამხედრო პოტენციალის სფეროში

რომლებიც ითვალისწინებს მკაფიო პოლიტიკურ ვალდებულებებს ნატოს ცალკეული მოკავშირეების მხრიდან თავიანთი ძალებისა და საშუალებების სრულყოფის მიზნით;

ტერორიზმისაგან დაცვა

შეთანხმებული სამხედრო კონცეფციის დამტკიცება ტერორიზმისაგან დაცვის მიზნით, რაც მოიცავს ღონისძიებათა პაკეტს ნატოს ანტიტერორისტული პოტენციალის ამადლების მიზნით;

სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების ლიკვიდაციის საკითხებში თანამშრომლობა

სამოქმედო გეგმის რეალიზაცია სამოქალაქო საგანგებო დაგეგმარების სფეროში სამოქალაქო სამსახურების მზადყოფნის მიზნით ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური საბრძოლო საშუალებების გამოყენების საწინააღმდეგო ქმედებებთან ბრძოლის საკითხებში.

ანტისარაკეტო თავდაცვა

ამ მიზნით აღინიშნა ნატოს ანტისარაკეტო თავდაცვის განხორციელების სფეროში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარების აუცილებლობა ტერიტორიის დაცვის, შეიარაღებული ძალებისა და ჩრდილოატლანტიკური კავშირის ტერიტორიის დასახლებული ცენტრების სარაკეტო დარტყმებისაგან თავდაცვის მიზნით.

ნატოს გაფართოება

ნატოს ხელმძღვანელებმა ხაზი გაუსვეს, რომ ალიანსის ახალი წევრები ხელს შეუწყობენ ალიანსის პოტენციალის ამადლებას მომავალი გამოწვევების წინაშე. მათ აღნიშნეს, რომ მოლაპარაკებები ვაშინგტონის ხელშეკრულებასთან

მიერთების მიზნით დაიწყებოდა დაუყოვნებლივ. შესაბამის ოქმებზე ხელმოწერათა პროცედურა უნდა დასრულებულიყო 2003 წლის მარტისათვის და შემდგომში უნდა მომხდარიყო მათი რატიფიკაცია, რაც უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს 2004 წლის მაისისა. დარჩენილ დროში ნატოში მოწვეულ სახელმწიფოებს მაქსიმალური მონაწილეობა უნდა მიეღოთ ჩრდილოატლანტიკური კავშირის საქმიანობის პროცესში. ასევე ისინი მიიღებდნენ თანადგომას ნატოს წევრობისათვის მოსამზადებელი გეგმის ფარგლებში. ნატომ განაცხადა, რომ ალიანსში მიწვეული ქვეყნები არ იქნებოდნენ უკანასკნელნი, ვინც მიიღო ასეთი მოწვევა.

ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო და პროგრამა პარტნიორობა მშვიდობისათვის

ჩრდილოატლანტიკური კავშირის ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, მათ შორის პოლიტიკური დიალოგის აქტივიზაციისა და პარტნიორი სახელმწიფოების “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის მიზნით. ასევე, მიღებულ იქნა ახალი პრაქტიკული ღონისძიებები იმისათვის, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო მოთხოვნილებათა განსხვავება სახელმწიფო-პარტნიორებში, ამ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის მხედველობაში მიღებით. ინდივიდუალური სამოქმედო გეგმები იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ ნატოს დაინტერესებული სახელმწიფოებისათვის გაეწია რიგი კონსულტაციები პარტნიორ ქვეყნებში შიდა რეფორმების ჩატარების კუთხით.

ნატომ მიმართა სახელმწიფო-პარტნიორებს, მათ შორის კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს, რათა ამ უკანასკნელთ ესარგებლად ნატოს მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობებით. კერძოდ, ნატო მიესალმა კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა მზადყოფნას ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში კონკრეტულ ღონისძიებათა მიღების შესახებ, კერძოდ ამ ქვეყნების მონაწილეობა ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

ნატო-რუსეთის საბჭო

პრადის სამიტის დეკლარაციაში აღნიშნულ იქნა, რომ ნატოს წევრი სახელმწიფოები და რუსეთი თანამშრომლობენ ნატო-რუსეთის საბჭოში როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორები. ამ თანამშრომლობის მიზანია-მიღწეულ იქნეს პროგრესი ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სამშვიდობო ოპერაციები, სამხედრო რეფორმა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან ბრძოლა, სამძებრო-სამაშველო საქმიანობა, ანტისარაკეტო თავდაცვა და ტერორიზმთან ბრძოლა.

ნატო-უკრაინა

ალიანსმა მოუწოდა უკრაინას, რათა ამ უკანასკნელს ფართომასშტაბიანი ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიზნით გაეტარებინა ყველა აუცილებელი რეფორმა, მათ შორის იყო განხილული საექსპორტო კონტროლის მოთხოვნილებათა დაცვა. ნატოს მესვეურთა აზრით ორ მხარეს შორის მომავალი პროგრესის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი იქნებოდა უკრაინის დამოკიდებულება ევროატლანტიკური ღირებულებების მიმართ. პრადაში მიღებულმა ნატო-უკრაინის სამოქმედო გეგმამ განსაზღვრა თანამშრომლობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა მიმართულებები.

ხმელთაშუა ზღვის დიალოგი

სამიტზე აღნიშნულ იქნა ხმელთაშუაზღვის დიალოგის პოლიტიკური და პრაქტიკული ასპექტების გაფართოების აუცილებლობის შესახებ. ნატოს ლიდერებმა ხაზი გაუსვეს მათ სურვილს ხელი შეეწყოს დიალოგის წევრ

ქვეყნებთან პრაქტიკული საქმიანობის აქტივიზაციისათვის, მათ შორის თანამშრომლობის ისეთ სფეროებში, როგორცაა ტერორიზმი და სხვ.

ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობა

ნატოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ნატოსა და ევროკავშირის საერთო სტრატეგიული ინტერესები და კვლავ გამოხატეს თავისი დამოკიდებულება იმ გადაწყვეტილებებისადმი, რომლებიც მიღებულ იქნა ნატოსა და ევროკავშირს შორის. მათ აღნიშნეს ნატოსა და ევროკავშირის ძალისხმევის წარმატებულობა მშვიდობის აღდგენისა და ბალკანეთის ქვეყნებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა რეგიონში დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. 11 სექტემბრის შემდეგ ასეთმა თანამშრომლობამ მოიპოვა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც დაკავშირებული იყო კრიზისების ეფექტურად დარეგულირებისა და მაქსიმალურად ადეკვატური სამხედრო ზომების გატარებაზე.

სამიტის შემდეგ, ნატოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობებმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა, რაც დაკავშირებული იყო ევროკავშირის გადაწყვეტილებასთან სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ, რაც კმაყოფილებით იქნა აღქმული ნატოს ყველა მოკავშირის მიერ. 2002 წლის 13 დეკემბერს თავის სხდომაზე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ შეუძლიათ ევროკავშირს წარმოუდგინონ შესაბამისი რესურსები და საშუალებები სხვადასხვა სამშვიდობო ოპერაციების ჩასატარებლად.

ამის შემდეგ, ევროკავშირმა და ნატომ, 2002 წლის 16 დეკემბერს მიიღეს ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც ხსნიდა გზას უფრო მჭიდრო პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობისაკენ ორ ორგანიზაციას შორის. მათ შორის, მიღებულ იქნა ახალი დეკლარაცია ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებით, რაც ქმნის ოფიციალურ საფუძველს თანამშრომლობისათვის ორ ორგანიზაციას შორის კრიზისების დარეგულირებისა და კონფლიქტების პრევენციის საკითხებში. მასში გაანალიზებულია ნატოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის პოლიტიკური პრინციპები.

ნატო და ეუთო

პრადის დეკლარაციაში ასევე ნათქვამია ნატოსა და ეუთოს შორის ურთიერთობებზე, სადაც ცენტრალური ადგილი დათმობილი აქვს თანამშრომლობის განვითარებას კონფლიქტების დარეგულირების, კრიზისების დარეგულირების და პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის სფეროში თანამშრომლობას.

სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა

სამიტის მონაწილეებმა კვლავ გამოხატეს თავიანთი მხარდაჭერა სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და დადეს პირობა გაეგრძელებინათ მუშაობა თავიანთ პარტნიორებთან SFOR და KFOR-ის (სამშვიდობო ძალები ბოსნიაში და კოსოვოში) ფარგლებში, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, ევროპის კავშირთან, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, ასევე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიზნით. ეს ითვალისწინებდა მჭიდრო მრავალეთნიკური დემოკრატიული სისტემების მშენებლობას, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის აღმოფხვრას, კანონის უზენაესობის დამყარებას, ასევე რეგიონალური თანამშრომლობის განვითარებას, საერთაშორისო ვალდებულებათა სრულ შესრულებას, მათ

შორის ყოფილი იუგოსლავიისათვის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის ფარგლებში თანამშრომლობას.

ამავე დროს, ნატოს მესვეურთა განცხადებით, რეფორმათა პროგრესი განსაზღვრავს ინტეგრაციის ტემპებს. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა განაცხადა თავისი მზადყოფნა გაეგრძელებინა თავისი ყოფნა რეგიონში და თავისი მზადყოფნა, მხარდაჭერა აღმოეჩინა რეგიონის ქვეყნებისადმი ინდივიდუალური თანადგომის პროგრამის ფარგლებში.

2002 წლის 29 ნოემბერს ნატო მივიდა საერთო მოსაზრებამდე იმასთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნატოს მისია, რომელიც მიზნად ისახავდა იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკის მაკედონიის მხარდაჭერას უნდა დასრულებულიყო 2002 წლის 15 დეკემბერს, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე არსებობდა მოთხოვნა იმისა, რომ გაეგრძელებულიყო ნატოს ყოფნა ამ ქვეყანაში.

ამ ფაქტის გათვალისწინებით, პრალაში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავდა იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიაში სამხედრო მისიის გაგრძელებას 2002 წლის 15 დეკემბრიდან. ასევე ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა განაცხადა ევროკავშირის მზადყოფნის შესახებ, რათა ამ უკანასკნელს თავის თავზე აეღო ამ ოპერაციის ჩატარება შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში. შეთანხმების შემდეგ, რომელიც მიღწეულ იქნა 2002 წლის დეკემბერში ნატოსა და ევროკავშირს შორის, ნატოს ოპერაცია მაკედონიაში დასრულებულ იქნა 2003 წლის 31 მარტს და სადღესასწაულო ცერემონიაზე სკოპიეში ამ მისიის შესრულებაზე თავისი პასუხისმგებლობა აღებულ იქნა ევროკავშირის მიერ.

ავღანეთი

ნატოს ხელმძღვანელების მიერ აღნიშნულ იქნა, რომ ნატოს წევრი ქვეყნების ძალები ქმნიან საფუძველს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალებისადმი (ისაფი), რომელიც მხარს უჭერს ქაბულში და მის შემოგარენში სტაბილურობის აღდგენას. ამოცანები, რომელიც სრულდებოდა ნატოს წევრი ქვეყნების ხელმძღვანელობით, ჯერ დიდი ბრიტანეთის, ხოლო შემდეგ თურქეთის მიერ, 2003 წლის თებერვალში თავის თავზე აიღეს გერმანიამ და ნიდერლანდებმა. თუმცა ამავე დროს ნატოს მესვეურებმა აღნიშნეს, რომ ძირითადი პასუხისმგებლობა ავღანეთში სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში აწევს თვითონ ავღანეთის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებს.

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელებმა კვლავ დაადასტურეს ალიანსის ერთგულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, და ასევე გამოხატეს თავიანთი მისწრაფება ამ ხელშეკრულების ადაპტირებული ვარიანტის მაქსიმალურად მოკლე დროში ძალაში შესვლასთან დაკავშირებით. ალიანსის მიერ აღინიშნა, რომ ადაპტირებულ ხელშეკრულებასთან იმ ქვეყნების მიერთება, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, პოზიტიურ წვლილს შეიტანდა ევროპის სტაბილურობისა და უსაფრთხოების საქმეში. ამ მხრივ ნატო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის ძალისხმევას შეემცირებინა თავისი შეიარაღებული ძალები იმ რეგიონების სიახლოვეს, რომლებზეც ვრცელდებოდა შეთანხმების მე-5 მუხლი. ამავე დროს ნატოს ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ადაპტირებული ხელშეკრულების რატიფაციისათვის ხელშეკრულების ყველა წევრმა ქვეყანამ პირნათლად უნდა შეასრულოს თავის თავზე აღებული ვალდებულებები.

საზოგადოებასთან ურთიერთობა და ინფორმაცია

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მესვეურებმა აღნიშნეს იმ ორი ორგანიზაციის მოღვაწეობის შესახებ, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ნატოსთან და რომლებიც ხელს უწყობენ ნატოს ძალისხმევას ევროპაში სტაბილურობის ზონის გაფართოებასთან დაკავშირებით და საზოგადოების მიერ ალიანსის საქმიანობის უკეთ გაცნობას. ამ ორგანიზაციებს წარმოადგენენ კერძოდ, ნატოს საპარლამენტო ასამბლეა, რომლებიც აერთიანებს ნატოს წევრი ქვეყნების პარლამენტის წევრებს და პარტნიორ-სახელმწიფოებს და ასევე ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაცია, რომელიც ეწევა ინფორმაციის გავრცელებისა და სხვა სახის საქმიანობას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საინფორმაციო მხარდაჭერის მიზნით.

სტამბულის სამიტი

ნატოს სტამბულის სამიტი გაიმართა 2004 წლის 28-29 ივნისს და იგი გახლდათ ალიანსის ისტორიაში რიგით მეჩვიდმეტე სამიტი. “ცივი ომის” დასრულების შემდეგ, უმაღლეს დონეზე გამართული რიგით მეშვიდე შეხვედრა უმაღლეს დონეზე მიმდინარეობდა ნატოს უპრეცედენტო აქტივობის ფონზე, რადგან მისი საქმიანობა კონცენტრირებული იყო ალიანსის მიერ განხორციელებული ოპერაციებისა და მისიების საკითხებზე, ნატოს პოტენციალზე და მის პარტნიორულ ურთიერთობებზე. ასევე, დებატები წარიმართა და ყურადღება გამახვილდა იმ სამ ძირითად ასპექტზე, რომელიც გახდა უმაღლეს დონეზე შეხვედრის გამართვის საბაბი.

განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მონაწილეობდა ოპერაციებსა და მისიებში ბალკანეთში, ხმელთაშუა ზღვაში, ავღანეთსა და ერაყში. აღნიშნული იყო ავღანეთში მოქმედი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალების ავღანეთის დედაქალაქ ქაბულის გარეთ საქმინობის გაფართოების მნიშვნელობა, რაც გახდა ნატოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. სტამბულში ნატოს ხელმძღვანელებმა მიაღწიეს შეთანხმებას ავღანეთის ჩრდილოეთ ნაწილში დამატებითი ოთხი “პროვინციების აღდგენის ჯგუფების” შექმნის შესახებ. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება 2004 ბოლოსათვის წარმატებით დაესრულებინა ბოსნია და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე სტაბილიზაციის ძალების მიერ ჩატარებული ოპერაციები, რადგან მომავალი წლიდან ოპერაციების შესრულება ამ ქვეყანაში თავის თავზე უნდა აეღო ევროკავშირს, მაგრამ ამავე დროს ნატოს უნდა შეენარჩუნებინა თავისი სამხედრო შტაბი ქ. სარაევოში. ნატომ აგრეთვე მხარი დაუჭირა კოსოვოში ალიანსის საქმინობას. ამასთანავე აღნიშნულ იქნა, რომ ალიანსმა 2004 წელს თავის თავზე აიღო ახალი მისიის განხორციელება, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ერაყის უშიშროების ძალების კვალიფიკაციის ამაღლება.

სტამბულში განხილულ იქნა იმ ვალდებულებების შესრულების აუცილებლობა, რომელიც აღებულ იქნა ჯერ კიდევ ნატოს პრადის სამიტზე 2002 წელს. ამ მიზნით ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები. ნატოს წევრი სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტებს, რომლებიც მიზნად ისახავდა ღონისძიებათა ფართო ნუსხას ტერორიზმისაგან თავდაცვის საკითხებში, მათ შორის ახალ სამოქმედო გეგმას თანამედროვე ანტიტერორისტული ტექნოლოგიების შემუშავების შესახებ.

სტამბულში ნატოს ხელმძღვანელობის მიერ დაისახა რიგი საშუალო და გრძელვადიანი გეგმები, რომლებიც მიმართული იყო შეიარაღებული ძალების მზადყოფნის გაძლიერებისაკენ, რის მთავარ მიზანსაც წარმოადგენდა წევრი

სახელმწიფოების მიერ მომავალში სამხედრო ოპერაციების შესაძლო ჩატარება. ნატოს წარმომადგენლებმა დაამტკიცეს წევრი-სახელმწიფოების სახმელეთო ძალების გამოყენების მზადყოფნის გეგმიური მანვენებლები, რათა ამ ძალებს შესაძლებლობა ჰქონოდათ მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა ტიპის ოპერაციებში. აგრეთვე მიღწეულ იქნა შეთანხმება ნატოს სამხედრო დაგეგმარებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, ამ ძალების ფორმირებისა და მათი ოპერატიულობისა და ეფექტურობის ამაღლების მიზნით.

რაც ყველაზე მთავარია, სტამბულის სამიტი უმაღლეს დონეზე გახლდათ პირველი სამიტი ნატოს ახალი შვიდი წევრი სახელმწიფოსათვის-ბულგარეთის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, რუმინეთის, სლოვაკეთისა და სლოვენისათვის. როგორც ცნობილია ეს ქვეყნები ნატოში გაწევრიანდნენ 2004 წლის მარტში.

სამიტზე ნატომ კვლავ დაადასტურა, რომ ნატოს კარები ღიაა ახალი სახელმწიფოებისათვის. სამიტის მონაწილეებმა მოუწოდეს გაწევრიანების სამოქმედო გეგმაში ჩართულ სამ ქვეყანას - ალბანეთს, ხორვატიასა და მაკედონიას, რათა მათ გაეაქტიურებინათ რეფორმების გატარების სფეროში თავიანთი ძალისხმევა.

სტამბულშივე ნატოს ხელმძღვანელობამ გამოთქვა მზადყოფნა ალიანსის მიერ რიგ ქვეყნებსა და რეგიონებთან პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცების შესახებ. კერძოდ საუბარი გახლდათ თანამშრომლობის განმტკიცების აუცილებლობაზე კავკასიასა და ცენტრალურ აზიასთან, უკრაინასთან, ხმელთაშუაზღვისპირეთის დიალოგის ქვეყნებთან - ალჟირთან, ტუნისთან, ეგვიპტესთან, ისრაელთან, იორდანისთან, მაგრიტანიასა და მაროკოსთან.

უმაღლესი დონის შეხვედრაზე ასევე წამოწეულ იქნა სტამბულის ინიციატივა თანამშრომლობის შესახებ, რომლის მიზანს წარმოადგენდა პრაქტიკული კოოპერაციის განვითარება თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებთან, კერძოდ სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრ სახელმწიფოებთან-ბაჰრეინთან, ქუვეითთან, ომანთან, საუდის არაბეთთან, არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან.

ამრიგად, სტამბულის უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და ინიციატივების პაკეტი წარმოადგენს კიდევ ერთ ერთობლივ პასუხს XXI საუკუნეში არსებული უსაფრთხოების გამოწვევებზე.

რივის სამიტი

როგორც ცნობილია, ნატოს მომდევნო სამიტი გაიმართა 2006 წლის 29 ნოემბერს რიგაში. შეხვედრაზე ნატოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა კვლავ დაადასტურეს თავიანთი დემოკრატიისადმი, კანონის უზენაესობისადმი და პირადი თავისუფლებისადმი თავიანთი ერთგულება და დაადასტურეს თავიანთი მზადყოფნა, ერთობლივი ძალისხმევით წინ აღდგომოდნენ 21-ე საუკუნეში არსებულ გამოწვევებს. ამ გამოწვევებიდან განსაკუთრებით აღინიშნა ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საფრთხე, ცალკეულ სახელმწიფოებში არსებული არასტაბილური პოლიტიკური ვითარება და ა.შ. სამიტზე ხაზი გაესვა არსებულ გამოწვევებთან ბრძოლის აუცილებლობას, მათ შორის სხვადასხვა სახის ქმედებების განხორციელებას გაეროს მანდატით მინიჭებული სხვადასხვა ტიპის სამხედრო ოპერაციების ჩატარების ჩათვლით. ამ მხრივ აღინიშნა ნატოს როლი სხვადასხვა ოპერაციების ჩატარების პროცესში, სადაც აღნიშნული იყო იმ ექვსი ძირითადი მისიისა და ოპერაციის შესახებ, რომლებიც მიმდინარეობდა ავღანეთიდან ბალკანეთამდე და ხმელთაშუა ზღვიდან დარფურის ჩათვლით.

სამიტზე ალიანსის ხელმძღვანელებმა კვლავ გამოხატეს თავიანთი მხარდაჭერა ავღანეთის ხელმძღვანელობისა და ხალხის მიმართ და გამოთქვეს

თავიანთი მზადყოფნა კვლავ გვერდში ამოდგომოდნენ ამ ქვეყნის მოსახლეობას სტაბილური დემოკრატიული სახელმწიფოს, ტერორიზმისაგან და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისაგან თავისუფალი ქვეყნის მშენებლობაში, რაც შექმნიდა სტაბილურ გარემოს როგორც ავღანეთში, ასევე მთლიანად რეგიონში.

ამ მხრივ აღინიშნა, რომ ამჟამინდელ ეტაპზე ნატოს უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ავღანეთში სტაბილურობისა და მშვიდობის უზრუნველყოფა, და ხაზი გაესვა გაეროს მანდატით ავღანეთში მოქმედი საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების საქმიანობას და მათ თანამშრომლობას ავღანეთის უშიშროების ძალებთან. გარდა ამისა, აღინიშნა იმ თანამშრომლობის მნიშვნელობა, რომელსაც ნატო ავღანეთის ხელისუფლებასთან ერთად ეწეოდა და ეწევა ქვეყნის თავდაცვით ინსტიტუტებზე დემოკრატიული კონტროლის დამყარებაში და აგრეთვე ეროვნული განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში. ამავე დროს ნატომ მოუწოდა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მსოფლიო ბანკს, რათა ამ უკანასკნელთ განხორციელებინათ სხვადასხვა ტიპის პროგრამები ავღანეთში სტაბილიზაციის ხელშეწყობის მიზნით. ამ მხრივ ხაზი გაესვა სხვადასხვა დონორი ქვეყნებისა და ევროგაერთიანების ძალისხმევას. ასევე სამიტზე გაისმა მოწოდება ავღანეთის მეზობელი ქვეყნების, პირველ რიგში პაკისტანის მიმართ, რათა შექმნილიყო სამხრეთი კომისია ნატოს, ავღანეთისა და პაკისტანის წარმომადგენლებისაგან, რათა ერთობლივი ძალებით შესაძლებელი გამხდარიყო საბოლოო სტაბილიზაციის მიღწევა ავღანეთის ტერიტორიაზე.

რიგაში ასევე აღნიშნული იყო ნატოს როლი კოსოვოში სტაბილიზაციის განმტკიცების საქმეში. ისევ გაისმა მოწოდება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების - პირველ რიგში კი გაეროს, ევროკავშირის და ეუთოს მიმართ, რომ წარმატების მიღწევა ამ რეგიონში შესაძლებელი იქნებოდა ერთიანი ძალისხმევით. ამავე დროს ნატომ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა გაეროს სპეციალურ წარმომადგენელს კოსოვოში მარტი აპტისაარს.

ავღანეთსა და კოსოვოში არსებული ვითარების გათვალისწინებით, სამიტზე გაისმა მოწოდება ნატოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების დონეზე შეხვედრის ორგანიზების აუცილებლობის შესახებ, ავღანეთსა და კოსოვოში შემდგომი კონკრეტული ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. რიგის სამიტზე ნატომ კვლავ გამოხატა თავისი მზადყოფნა, რათა განმტკიცებულიყო თანამშრომლობა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში, ასევე ხმელთაშუაზღვის დიალოგის ქვეყნებთან. ამ მხრივ აღინიშნა ნატოს არაწევრი თვრამეტი ქვეყნის შესახებ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს და მხარდაჭერა აღმოუჩინეს ნატოს სხვადასხვა ოპერაციებისა თუ მისიების განხორციელების დროს.

მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ ის ფაქტი, რომ აღიანსმა მზადყოფნა გამოხატა ინდივიდუალურ დონეზე ეწარმოებინა კონსულტაციები ევროატლანტიკური პარტნიორობის წევრ ქვეყნებთან. ამ მხრივ ნატო მიესალმა იმ რეფორმების განხორციელებას, რომელიც ჩატარებულ იქნა იმ ქვეყნების მიერ, ვინც თავის თავზე აიღო ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელება. ასევე მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტიც, რომ ნატომ ხაზი გაუსვა შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობას და მზადყოფნა გამოხატა მხარი დაეჭირა იმ რეგიონალური ინიციატივებისათვის, რომლებიც მიმდინარეობდა ამ რეგიონში.

სამიტზე დიდი მნიშვნელობა გაესვა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცებას. ამ მხრივ აღინიშნა, რომ აუცილებელი იყო ერთობლივი პროგრამების განხორციელება, მათ შორის ერთობლივი სამხედრო წვრთნების ჩატარება.

ნატოს სპეციალურ დოკუმენტში აღნიშნულ იქნა ალიანსის მზადყოფნა ერაყის ხელისუფლებისა და ხალხის მხარდაჭერის საქმეში. ასევე ნატომ გამოხატა თავისი მზადყოფნა, დახმარება აღმოეჩინა ერაყის უშიშროების ძალებისათვის, მათ შორის იგულისხმებოდა ერთობლივი წვრთნების ჩატარება, თუ ერაყის ხელისუფლება თხოვნით მიმართავდა ალიანსს.

რაც შეეხება აფრიკას, აქ აღინიშნა ნატოსა და აფრიკის ერთიანობის კავშირის თანამშრომლობის აუცილებლობა დარფურის პროვინციაში კონფლიქტის გადაჭრის მიზნით. ალიანსმა მზადყოფნა გამოხატა ეწარმოებინა კონსულტაციები აფრიკის ერთიანობის კავშირთან, გაეროსთან და ევროკავშირთან სუდანის პროვინცია დარფურში კონფლიქტის შეჩერების მიზნით.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ხაზი გაესვა ტერორიზმთან ბრძოლის მნიშვნელობას. ამ მხრივ ყურადღება გამახვილებული იყო ნატოს ქმედებებზე ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, სადაც ალიანსის მიერ ხორციელდებოდა პროგრამა Active Endeavour. ასევე გამოხატულ იქნა მზადყოფნა პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლის შესახებ, ასევე ყურადღება გამახვილდა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების მნიშვნელობის შესახებ და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მზადყოფნის შესახებ – ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებს მონაწილეობა მიეღოთ არა მხოლოდ ნატოს ეგიდით წარმოებულ ოპერაციებში, არამედ საჭიროების შემთხვევაში ევროკავშირის, გაეროს და საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით ჩატარებულ ოპერაციებშიც.

სამიტზე ყურადღება დაეთმო რაკეტაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის სრულყოფასაც. ამ მხრივ ალიანსის მიერ მიღებულ დოკუმენტში ხაზი გაესვა საერთო სტრატეგიის შემუშავებას, ზემოაღნიშნული სისტემის სრულყოფის მიზნით.

სამიტზე კვლავ დადასტურდა, რომ ალიანსის წესდების მე-10 მუხლის საფუძველზე, ნატოს კარები კვლავ ღიაა და ყველა ევროპულ ქვეყანას, რომელიც მტკიცედ ადგას დემოკრატიის გზას, შეუძლია გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მიღება, რაც შესაძლებლობას მისცემდა კონკრეტულ ქვეყანას მომავალში გამხდარიყო ნატოს სრულყოფილი წევრი. ამ მხრივ ნატო მიესალმა ალბანეთის, მაკედონიისა და ხორვატიის ძალისხმევას გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ფარგლებში რეფორმების განხორციელების მიმართულებით. ასევე ხაზი გაესვა, რომ ნატო აპირებს თანამშრომლობის განვითარებას ბოსნია ჰერცეგოვინასთან, მონტენეგროსა და სერბეთთან, და ხაზი გაესვა ამ ქვეყნების პოტენციალს ევროატლანტიკური სტაბილურობის საქმეში მათი წვლილის შეტანის კუთხით, და ამასთან დაკავშირებით ნატომ რიგის სამიტზე ოფიციალურად შესთავაზა სამივე ქვეყანას, რათა ეს უკანასკნელი მიერთებოდნენ ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამას.

უმნიშვნელოვანესია ნატოს რიგის სამიტზე მიღებული დეკლარაციის 37-ე და 39-ე პუნქტები. 37-ე პუნქტში ნატომ გამოხატა თავისი მზადყოფნა გაეგრძელებინა თავისი თანამშრომლობა საქართველოსა და უკრაინასთან ინტენსიური დიალოგის ფარგლებში, რომელიც მოიცავდა პოლიტიკური, სამხედრო, ფინანსური და უსაფრთხოების სფეროებში თანამშრომლობის ფართო სპექტრს, და რაც დაკავშირებული იყო ამ ქვეყნების მისწრაფებასთან გამხდარიყვნენ ალიანსის წევრები.

39-ე პუნქტი მთლიანად დაეთმო საქართველოს, სადაც ნატო მიესალმა ჩვენს ქვეყანასთან ინტენსიური დიალოგის დაწყებას და საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს საერთაშორისო სამშვიდობო და უსაფრთხოების ოპერაციებში. ალიანსმა აგრეთვე მზადყოფნა გამოხატა გაეგრძელებინა საქართველოსთან

თანამშრომლობა ჩვენს ქვეყანაში შიდა რეფორმების განხორციელების პროცესში. ამ მიმართულებით ნატომ დაადასტურა, რომ მხარს უჭერს საქართველოს ძალისხმევას პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის რეფორმების პროცესში პროგრესის მიღწევის საქმეში. ასევე ყურადღება გამახვილდა სასამართლო სისტემაში რეფორმების ჩატარებისა და ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების მნიშვნელობას.

42-ე პუნქტში ნატო მიესალმა საქართველოსა და რუსეთს შორის 2006 წლის 31 მარტს მიღწეულ შეთანხმებას საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ პუნქტში აღიანსმა თავისი წუხილი გამოხატა საქართველოს, აზერბაიჯანისა და მოლდოვის ტერიტორიაზე კონფლიქტების არსებობის გამო და მხარი დაუჭირა ამ ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირებას.

შეხვედრაზე ასევე გამოხატული იყო აღიანსის მზადყოფნა რუსეთთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განმტკიცებისაკენ ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭოს ფარგლებში. ხაზი გაესვა რომში 2002 წლის მაისში ხელმოწერილ დეკლარაციაში განსაზღვრული თანამშრომლობის პოტენციალის სრულად გამოყენების აუცილებლობას.

რაც შეეხება თანამშრომლობას ნატოსა და ევროკავშირს შორის, აქ ნათქვამი იყო იმ საერთო ღირებულებებისა და სტრატეგიული ინტერესების თანხვედრის შესახებ, რომელიც არსებობდა ორ მხარეს შორის. საერთო ინტერესებში ხაზგასმულ იქნა უსაფრთხოებასთან, თავდაცვასა და კრიზისების დარეგულირებასთან დაკავშირებული ასპექტები. ხაზი გაესვა წარმატებულ თანამშრომლობას ბალკანეთში.

ასევე, მსოფლიოში არსებული თანამედროვე რეალობების გათვალისწინებით, ხაზი გაესვა თანამშრომლობის განმტკიცებას ენერგეტიკული ობიექტების დაცვისა და ენერგოუსაფრთხოების განმტკიცების საკითხებში.

ნატომ ასევე მოუწოდა ჩრდილოეთ კორეის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ირანის ისლამური რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებს, რათა ამ ქვეყნების ხელმძღვანელობებს გაეთვალისწინებინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციები და ეთანამშრომლათ საერთაშორისო ატომური ენერგეტიკის სააგენტოსთან, ბირთვული ენერჯის მშვიდობიანი მიზნებისათვის გამოყენების კუთხით.

რაც შეეხება 2007 წელს, აქ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 7 დეკემბერს ბრიუსელში გამართული შეხვედრა, სადაც შეიკრიბნენ ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები. ამ შეხვედრაზე ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი გახლდათ 2008 წლის აპრილში დაგეგმილი ბუქარესტის სამიტი, სადაც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად უნდა განხილულ იქნეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების ბედი. მინისტრების ბოლოს მიღებულ იქნა სპეციალური კომუნიკე, სადაც საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა ნატოს გენერალურმა მდივანმა. კერძოდ, მან განაცხადა შემდეგი:

“ჩვენ დღეს დავიწყებთ აუცილებელ მუშაობას იმისათვის, რომ მომდევნო წლის აპრილში გამართულ სამიტზე ნატოს შესაძლო გაფართოების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას შევუწყოთ ხელი” (19). გენერალური მდივნის იაკ დე პოლპ სხეფერის თქმით, 2008 წლის აპრილში ბუქარესტში გამართულ ნატოს სამიტზე შესაძლოა, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება აღიანსის გაფართოების შესახებ. მინისტრებზე გენერალურმა მდივანმა გაიხსენა 2006 წლის ნატოს წევრი სახელმწიფოების შეკრება, სადაც დადასტურდა, რომ აღიანსის კარი, ატლანტიკური შეთანხმების მეათე მუხლის თანახმად, ახალი წევრებისთვის ღიაა.

შეხვედრაზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს აშშ-ის სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ირანზე ზეწოლა უნდა გაგრძელდეს, რათა ირანი აიძულონ, ბირთვული პროგრამიდან გადაუხვიოს. მოგვიანებით, მინისტრიალის დასრულების შემდეგ, ანალოგიური მოსაზრება გამოთქვეს გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა და საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმაც.

ნატოს მიერ “ცივი ომის” დასრულების შემდგომ პერიოდში მიღებული ძირითადი დოკუმენტები და ინიციატივები

ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია

გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩამოყალიბებული ახალი რეალობების და ნატოს გაფართოებისა და მისი ფუნქციების ზრდასთან დაკავშირებული ფაქტორების გათვალისწინებით 1999 წელს ნატოს შექმნის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ალიანსის ვაშინგტონის სამიტზე დამტკიცებულ იქნა ახალი სტრატეგიული კონცეფცია, რომლის შესავალ ნაწილში აღნიშნულ იქნა, რომ ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა “ცივი ომის” პერიოდში ეფექტური პოლიტიკის განხორციელების საშუალებით წარმატებულად უზრუნველყო თავისი წევრი ქვეყნების დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. ასევე ნატოს მიერ წარმატებული პოლიტიკის წარმოების შედეგად კაცობრიობამ თავიდან აიცილა მესამე მსოფლიო ომი.

ცვლილებები, რომელიც ცივი ომის დასრულებამ მოიტანა, ასახვა ჰპოვა ნატოს 1991 წლის სტრატეგიულ კონცეფციაში. თუმცა, ამ კონცეფციის დამტკიცების შემდგომ პერიოდში ევროპაში, როგორც პოლიტიკურ ისე უსაფრთხოების სფეროში კარდინალური ცვლილებები იქნა განხორციელებული.

დოკუმენტის შესავალ ნაწილში ასევე აღნიშნულია, რომ ცივი ომის შემდეგ ჩნდება უფრო მეტად ინტეგრირებული ახალი ევროპა და ცვლილებას განიცდის ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სტრუქტურა, რომელშიც ნატო მთავარ როლს თამაშობს. სტაბილურობის მიღწევის მიზნით, ალიანსმა თავის თავზე აიღო ახალი ფუნქციების შესრულება, რომელთა წარმატებული განხორციელების შედეგად ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა დაადასტურა, თუ რაოდენ სერიოზულად ეკიდება იგი ახალი, სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას. ევროპაში დაძაბულობის შემცირების მიზნით ალიანსის ერთ-ერთ პრიორიტეტს შეიარაღების შემცირება და შეიარაღებაზე კონტროლი წარმოადგენს.

1999 წლის აპრილში ვაშინგტონში გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრაზე ნატოს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა დაადასტურეს, რომ ალიანსის ახალი სტრატეგიული კონცეფცია წარმოადგენს გზამკვლევს ნატოს შემდგომ საქმიანობებში.

ასევე ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ ალიანსი მისი შექმნის დღიდან, წესდებაში დაფიქსირებულ პრინციპებზე დაყრდნობით იღწვოდა ევროპაში სამართლიანობისა და მშვიდობის დასაცავად და იგი თავის მზადყოფნას გამოთქვამს შემდგომშიც გააგრძელოს ამ მიმართულებით თავისი საქმიანობა, რის შედეგად ალიანსი უზრუნველყოფს თავდაცვას არამარტო წევრ ქვეყნებში, არამედ მთლიანად რეგიონში პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის განვითარების გზით.

ალიანსი წარმოადგენს წევრი ქვეყნების კოლექტიური ძალისხმევის პრაქტიკულ გამოხატულებას, მათი საერთო ინტერესების მხარდასაჭერად.

ნატოს ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, მისი წევრი არცერთი ქვეყანა არ უნდა იყოს იძულებული დაეყრდნოს მხოლოდ საკუთარ ძალისხმევას უსაფრთხოების ძირითად გამოწვევებთან გამკლავების საქმეში. ალიანსის სტრატეგია საშუალებას აძლევს თითოეულ წევრ სახელმწიფოს, რომ ამ ქვეყნებმა კოლექტიური ძალისხმევის მეშვეობით მოახდინონ მათი ეროვნული უსაფრთხოების არსებითი მიზნების რეალიზება.

თანაბარი უსაფრთხოების განცდას თავისი წვლილი შეაქვს ევროატლანტიკური სივრცის სტაბილურობაში.

ალიანსი ასევე მიესალმება ურთიერთთანამშრომლობას იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც იზიარებენ ნატოს ძირითად პრინციპებსა და ფასეულობებს.

სტრატეგიის პირველ ნაწილში – “ალიანსის მიზანი და ამოცანები” განსაზღვრავს იმ ძირითად მიზნებს რომელთა მიღწევაც მომავალში ნატოს წარმატებას უზრუნველყოფს. კერძოდ, დოკუმენტის ამ ნაწილში აღნიშნულია, რომ ნატოს გრძელვადიან დანიშნულებას წარმოადგენს მისი წევრების თავისუფლების ყველანაირი პოლიტიკური თუ სამხედრო საშუალებებით დაცვა, ამ მიზნით ალიანსი ეყრდნობა იმ ძირითად ღირებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვასთან და კანონის უზენაესობის განმტკიცებასთან. შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტრანსატლანტიკური კავშირების შენარჩუნებას ამერიკელ და ევროპულ მოკავშირეებს შორის. ასევე, ისეთი ძირითადი მიზნის მისაღწევად – როგორცაა კავშირი ერებს შორის, რომლებიც აღიარებენ ნატოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებებს – ალიანსი ადასტურებს თავის მზადყოფნას შეასრულოს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული აუცილებელი ამოცანები, რომლებიც თავის მხრივ დაკავშირებულია უსაფრთხოებასთან, კონსულტაციების გამართვასთან, შეკავებასა და თავდაცვასთან. ამ უკანასკნელში წარმატებული საქმიანობის განხორციელება თავის მხრივ დადებითად აისახება ევროატლანტიკური არეალის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაძლიერებაზე, რათა პოზიტიური მიმართულებით იქნეს შესაძლებელი ისეთი ამოცანების შესრულება, რომლებიც დაკავშირებულია კრიზისების მართვასთან და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებასთან ევროატლანტიკური სივრცის სხვა ქვეყნებთან.

დოკუმენტში ნათლადაა აღნიშნული, რომ ალიანსი არ გვევლინება როგორც რომელიმე ქვეყნის მეტოქე. ორგანიზაცია გააგრძელებს სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოების ლეგიტიმური ინტერესების პატივისცემას და კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტის ძიებას. ალიანსი მომხრეა სტაბილური საერთაშორისო ურთიერთობების.

კონცეფციის მეორე ნაწილი ეხება ნატოს “სტრატეგიულ პერსპექტივებს”. ამ თავის პირველივე პუნქტში აღნიშნულია რომ მიუხედავად იმისა რომ ალიანსს უხდება ცვალებად გარემოში მუშაობა, რომლის განვითარება უკანასკნელ წლებში უმთავრესად დადებითი იყო, მაინც რჩება გაურკვეველობები და რისკები, შესაბამისად არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ არსებული გამოწვევები მომავალში შეიძლება მწვავე კრიზისში გადაიზარდოს. ამ პოტენციური კრიზისების არდაშვებისა და აღმოფხვრის მიზნით ნატო მზადაა განამტკიცოს დიალოგი სხვა ქვეყნებთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, და ამ მიმართულებით ნატოს მიერ განხორციელებული ყოველი ქმედება ასახავს მის განზრახვას გამოკვეთოს და განამტკიცოს ევროატლანტიკური არეალის მშვიდობა და სტაბილურობა.

ამის პარალელურად ნატომ წარმატებით განახორციელა ადაპტაციის პროცესი თავისი შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, რათა შესაბამისად თავისი წვლილი შეეტანა ევროატლანტიკურ მშვიდობასა და სტაბილურობაში

თანამედროვე პოლიტიკური გარემოს შესაბამისად. განხორციელებულ იქნა კარდინალური რეფორმები სამხედრო სფეროში. კერძოდ, შეიქმნა ახალი სამეთაურო სტრუქტურა-გაერთიანებული მიზნობრივი ძალები (Combined Joint Task Force), რომლის მიზანსაც წარმოადგენს ოპერატიული ზომების მიღება ძალების სწრაფი გადასროლის შესაძლებლობების შესაქმნელად.

კონცეფციის მეორე ნაწილში აღნიშნულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევროპის კავშირის და დასავლეთ ევროპის კავშირის მნიშვნელოვანი როლი ევროატლანტიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში, ხოლო ნატოს თანამშრომლობა ამ ორგანიზაციებთან დადებითად აისახება უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბების პროცესზე. განსაკუთრებით ხაზგასმულია გაეროს უშიშროების საბჭოს როლი, რომელსაც გააჩნია უპირატესი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მხარდაჭერის საქმეში. ასევე დოკუმენტში დიდი ყურადღება ეთმობა ნატოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობებს, ასევე ნატოს ურთიერთობას დასავლეთ ევროპის კავშირთან. ამ თანამშრომლობის საბოლოო მიზანს ევროპაში უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბება წარმოადგენს.

კონცეფციის მიხედვით, ნატო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პრინციპების შესრულებას, ასევე მიესალმება ბირთვული იარაღის მკვეთრ შეზღუდვას, ქიმიური იარაღის შესახებ კონვენციის ძალაში შესვლას, ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების აკრძალვას და ა.შ.

კონცეფციის მეორე ნაწილის ერთ-ერთ ძირითადი ქვეპუნქტია “უსაფრთხოების გამოწვევები და რისკები”, სადაც აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა რომ მოკლევადიან პერიოდში ფართომასშტაბიანი აგრესია ნატოს წინააღმდეგ ნაკლებსავარაუდოა, გრძელვადიან პერსპექტივაში ალიანსის უსაფრთხოება რჩება სამხედრო და არასამხედრო ხასიათის რისკების ობიექტად, ხოლო ამ რისკების მრავალფეროვნების გამო ისინი ხშირად არაპროგნოზირებადია. რისკებს შორის შეიძლება დავასახელოთ ეთნიკური და რელიგიური ქიშპის, ტერორიზმი და ევების, ადამიანის უფლებების შელახვის, სახელმწიფოთა რღვევის, ტერორიზმისა და სხვა ფაქტორები, რომლებსაც შეუძლიან გამოიწვიონ როგორც ლოკალური, ასევე რეგიონალური ხასიათის არასტაბილურობა.

ალიანსის შიგნით არიან ბირთვული სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ გარანტს ევროატლანტიკური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.

მნიშვნელოვანია ნატოს დამოკიდებულება ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის შესაძლო გავრცელებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამ საქმეში გარკვეული წინსვლისა, ნატოს წინაშე პრობლემად რჩება რიგ ქვეყნებში ამგვარი იარაღის შექმნისა და გამოყენების შესაძლებლობა. ასევე ალიანსის სტრატეგიული მიზნების განხორციელების გზაზე მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორებს წარმოადგენს ისეთი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ტერორისტულ საქმიანობასთან, საბოტაჟთან, ორგანიზებულ დანაშაულთან, სასიცოცხლო რესურსების მიწოდების მოშლასთან, უკანონო მიგრაციასთან და ა.შ.

ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის მესამე ნაწილში “უსაფრთხოებისადმი მიდგომა XXI საუკუნეში” ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ნატოს მიერ აღიარებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ფაქტორთა მნიშვნელობა უსაფრთხოების ახალი სისტემის მშენებლობაში. ასევე, აღნიშნულია, რომ ალიანსი კვლავაც რჩება უმნიშვნელოვანეს გარანტად ორგანიზება გაუკეთოს კონსულტაციებსა და ფორუმებს უსაფრთხოებისა და თავდაცვის თემატიკაზე. ამასთან იგი ისწრაფვის,

დაიცვას მშვიდობა და განამტკიცოს ევროატლანტიკური უსაფრთხოება და ამ მიზნით ნატო კვლავინდებურად ცდილობს დაამყაროს პარტნიორული ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან და კონტროლი აწარმოოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების მიმართულებით, ასევე თვალყური ადევნოს როგორც შეიარაღების, ასევე განიარაღების პროცესებს. ნატო მტკიცედ ინარჩუნებს პოზიციას იმის შესახებ, რომ ალიანსის სიძლიერის გარანტს წარმოადგენს ტრანსატლანტიკური კავშირის გამყარება, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის უსაფრთხოება არის განუყოფელი, ასევე ახალ გამოწვევებთან მზადყოფნის მიზნით ალიანსი უზრუნველყოფს შეინარჩუნოს სამხედრო პოტენციული კოლექტიური თავდაცვის ეფექტურად წარმოების მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული იძულებისა და დაშინების ნებისმიერი მცდელობა და სამხედრო აგრესია.

სტრატეგიული კონცეფცია ასევე ყურადღებას უთმობს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის თვითმყოფადობის ფაქტორებს, სადაც საუბარია იმაზე, რომ ევროპელ მოკავშირეებს მიღებული აქვთ გადაწყვეტილება, თავის თავზე აიღონ მეტი პასუხისმგებლობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის. ეს პროცესი თავის მხრივ ითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას ნატოს, დასავლეთ ევროპულ კავშირსა და საჭიროების შემთხვევაში ევროკავშირს შორის.

მნიშვნელოვანია ნატოს როლი კონფლიქტების პრევენციისა და კრიზისების მართვის საქმეში. ამ მიზნით ნატო ესწრაფვის განამტკიცოს თანამშრომლობა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე ამ ქვეპუნქტში ხაზგასმულია ალიანსის როლი 90-იან წლებში ბალკანეთში არსებული კონფლიქტების დარეგულირების საქმეში. ასევე აღნიშნულია, რომ ნატოს სურს თავიდან აიცილოს ომი, გაზარდოს უსაფრთხოება და სტაბილურობა ევროატლანტიკურ სივრცეში. ნატოს ნებისმიერი გადაწყვეტილება კრიზისების მართვის საქმეში ყოველთვის იქნება წვერი ქვეყნების ეროვნული კონსტიტუციების შესაბამისი. ალიანსი ყოველთვის გამოიყენებს თანამშრომლობისა და დიალოგის სხვადასხვა ფორმებს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რათა წვლილი შეიტანოს კრიზისების პრევენციისა და მათ ადრეულ სტადიაზე აღკვეთის საქმეში.

ალიანსის სტრატეგიულ კონცეფციაში ნატო დიდ ყურადღებას ანიჭებს “პარტნიორობის, თანამშრომლობისა და დიალოგის” ფაქტორს, სადაც აქცენტი გამახვილებულია ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობის განმტკიცებაზე. კერძოდ, ალიანსი ცდილობს რომ ევროატლანტიკურ პარტნიორობის საბჭოს წევრებს შორის ყველა საკითხში იყოს ნდობა, გამჭვირვალობა, და ამ მიზნით ნატო ახორციელებს პრაქტიკულ თანამშრომლობას როგორც კონფლიქტების პრევენციის და კრიზისების დარეგულირების კუთხით, ასევე საგანგებო მდგომარეობათა დაგეგმვის, სამეცნიერო, ეკოლოგიურ საკითხებზე მუშაობის გზითაც.

ალიანსი აქტიურად თანამშრომლობს რუსეთთან, უკრაინასთან და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებთან. ნატოსა და რუსეთს აღებული აქვთ ვალდებულება განავითარონ სტაბილურობა და მშვიდობა ევროპაში. უკრაინას საგანგებო ადგილი უჭირავს დემოკრატიულ ღირებულებათა ხელშეწყობის საქმეში, ნატო-უკრაინის ქარტიის საფუძველზე ალიანსი უზრუნველყოფს უკრაინის როგორც არაბირთვული სახელმწიფოს სტატუსის მხარდაჭერას.

რაც შეეხება ალიანსის გაფართოების პროცესს, რაც როგორც ცნობილია უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს საქართველოსთვის, ამ მხრივ აღნიშნულია, რომ ალიანსი ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად ღია რჩება ახალი წევრების მიღებისათვის თუ ეს უკანასკნელნი

პასუხისმგებლობას აიღებენ რომ დაიცავენ ნატოს საერთო პოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს.

სტრატეგიულ კონცეფციაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კონტროლს შეიარაღებაზე, ასევე განიარაღებისა და გაუერცყლებლობის საკითხებს. ამ კუთხით ნატო ხელს უწყობს ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების მოქმედების შემდგომ გაგრძელებას, როგორც ევროატლანტიკური სივრცის სტაბილურობის გარანტს.

სტრატეგიული კონცეფციის მეოთხე ნაწილი ეთმობა ალიანსის შეიარაღებული ძალების ღირებულებებს, სადაც ხაზგასმულია, რომ ნატო თავისი სტრატეგიული პრინციპების თანახმად ინარჩუნებს ყველა სახის მისიის შესრულებისათვის აუცილებელ სამხედრო საშუალებებს. კვლავ არის დადასტურებული ის ფაქტი, რომ ყველა მოკავშირის უსაფრთხოება განუყოფელია. სამხედრო თავდასხმა ერთ წევრ სახელმწიფოზე ნიშნავს თავდასხმას ალიანსის ყველა წევრზე, ამიტომაც ნატოს სამხედრო ძალები მობილიზებული უნდა იყვნენ რომ ნებისმიერ დროს შეაჩერონ სამხედრო აგრესია და დაიცვან წევრი სახელმწიფოების პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. მნიშვნელოვანია ამ მხრივ ამერიკის შეერთებული შტატების როლი, რომელსაც ევროპის უსაფრთხოების მიზნით კონტინენტზე გააჩნია ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღება. თავად ევროპის უსაფრთხოება კი აშშ-ს უსაფრთხოების გარანტიაა. მშვიდობის უზრუნველსაყოფად ალიანსი მომავალშიც შეინარჩუნებს ევროპაში განლაგებულ ბირთვულ არსენალს, ჩვეულებრივ შეიარაღებას და იყოლიებს მათ საჭირო მზადყოფნაში.

ალიანსის შეიარაღებული ძალების უპირველესი ამოცანა მშვიდობის შენარჩუნებაა და ასევე მისი წევრი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების დაცვაა.

ნატოს მიზანია საფრთხეების პრევენცია მათ საწყის სტადიაზე. ასევე მნიშვნელოვანია ალიანსის წვლილი “პარტნიორობა მშვიდობის პროგრამის” ფარგლებში ისეთ ქვეყნებთან, როგორც არის რუსეთი, უკრაინა, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები.

კონცეფციაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა როგორც ალიანსის წევრი ქვეყნების, ისე არაწევრი ქვეყნების სამხედრო ძალების მობილურ მზადყოფნას კომბინირებული ოპერაციების ჩატარებისათვის. ამის მისაღწევად დასახულია რიგი ღონისძიებები, კერძოდ: ნატოს ძალების მთლიანი მოცულობა უნდა შენარჩუნდეს შესაბამის დონეზე, და ისინი უნდა იყვნენ მუდმივ მზადყოფნაში; მშვიდობის დროს ალიანსის ძალების გეოგრაფიულმა გადანაწილებამ უნდა უზრუნველყოს საკმარისი სამხედრო კონტიგენტი ალიანსის მთელ ტერიტორიაზე. საჭიროების შემთხვევაში ნატო კისრულობს ალიანსის სამხედრო მისიების შესრულებას, რისთვისაც იყენებს სწრაფი რეაგირების, მობილურ, კომბინირებულ ძალებს, რაც მოითხოვს წევრი ქვეყნების გენერალურ შტაბებს შორის ურთიერთობათა კოორდინაციას.

ნატო ყურადღებას ამახვილებს სამხედრო ოპერაციების დროს ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხზე და ფართო სპექტრის მქონე პირადი შემადგენლობის მაღალ კვალიფიციურობაზე. საჭიროების შემთხვევაში აუცილებელია, რომ ალიანსმა დამატებითი რეზერვები ჩართოს ოპერაციების განხორციელების პროცესში, მოახდინოს სარეზერვო ძალების მობილიზება და შეძლოს უფრო ქმედუნარიანი შეიარაღებული ძალების მშენებლობა. ასევე ალიანსის თავდაცვითმა სტრუქტურამ უნდა შეძლოს ბირთვულ და ბიოლოგიური იარაღის გავრცელების რისკებთან გამკლავება. ნატოს ინფრასტრუქტურა უნდა იყოს დაცული ტერორისტული თავდასხმისაგან.

ალიანსის სტრატეგიული კონცეფცია აყალიბებს ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების მახასიათებლებს. ეს ეხება ძალების სტრუქტურებს, აღჭურვილობის ხარისხს, მზადყოფნას, გამძლეობას, წვრთნასა და ვარჯიშებს, მოქმედების ადგილზე გადასხმისა და მათი გამოყენების ნაირსახეობებს, შეიარაღებული ძალების მწყობრში ყოფნისა და მობილიზაციის შესაძლებლობებს.

ალიანსის ძალების ძირითადი ამოცანები მოიცავენ ტერიტორიის გაკონტროლებას; უსაფრთხოების უზრუნველყოფას და დაცვას; საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო საკომუნიკაციო ხაზების დაუბრკოლებლად გამოყენებას; საზღვაო კონტროლს და ალიანსის საზღვაო ბაზირების შეკავების საშუალებების გადასხმის უსაფრთხოების უზრუნველყოფას; დამოუკიდებელი და ერთობლივი საჰაერო ოპერაციების ჩატარებას; საჰაერო უსაფრთხოებისა და ქმედითი ხანგრძლივი საჰაერო დაცვის უზრუნველყოფას; დახვედრას, რეკოგნოსირებასა და ელექტრონული საშუალებების გამართულობას; სტრატეგიულ კავშირს; მართვისა და კონტროლის ქმედით და მოქნილ საშუალებებს.

ნატოს თავდაცვითი სტრუქტურა მიმართულია ბირთვული და ბიოლოგიური იარაღის, მათი გადაზიდვის საშუალებების გავრცელების პოტენციური რისკების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. ამავე დროს დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გრძელდება მუშაობა სარაკეტო თავდაცვითი სისტემის გასაუმჯობესებლად.

დოკუმენტში ასევე საუბარია იმაზეც, რომ ნატო საჭიროებს საკმარის ლოჯისტიკურ საშუალებებს, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებს, სამედიცინო აღჭურვილობას და სხვ.

ალიანსი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს თანამშრომლობას ნატოს სამხედრო და სამოქალაქო ორგანოებს შორის.

მოკავშირეთა ბირთვული ძალების ძირითადი დანიშნულება პოლიტიკურია: მშვიდობის დაცვა, იძულებისა და ნებისმიერი სახის ომის თავიდან აცილება. მოკავშირეთა უსაფრთხოების გარანტია უზრუნველყოფილია ალიანსის სტრატეგიული ბირთვული ძალებით, კერძოდ შეერთებული შტატების, გაერთიანებული სამეფოს და საფრანგეთის დამოუკიდებელი ბირთვული ძალებით. მათ წვლილი შეაქვთ საერთო შეკავებასა და მოკავშირეთა უსაფრთხოებაში.

კონცეფციის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ ალიანსი – რომელიც შედის თავისი არსებობის მეექვსე ათწლეულში, მაქსიმალურად უნდა იყოს მობილიზებული შესაბამისი პასუხი გასცეს ახალი საუკუნის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, ხოლო ამ მიზნების განსახორციელებლად და ნატოს მომავალი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების მიზნით მნიშვნელოვანია ალიანსის სტრატეგიული კონცეფციის მიღება, რადგანც ეს დოკუმენტი წარმოადგენს ალიანსის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტს. სტრატეგიული კონცეფცია აყალიბებს ალიანსის უსაფრთხოებისა და თავდაცვით პოლიტიკას, მის ოპერატიულ კონცეფციას, მისი ჩვეულებრივი და ბირთვული ძალების პოზიციას, მისი კოლექტიური თავდაცვის ღონისძიებებს.

კონცეფციაში ასევე აღნიშნულია ნატოს მზადყოფნა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მაქსიმალურ ძალისხმევას მოახმარს მთლიანი და თავისუფალი ევროპის მშენებლობის პროცესში.

კვლევა გაფართოებაზე

1994 წელს ნატოს ბრიუსელის სამიტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ ჩრდილოატლანტიკური კავშირის კარი

ალიანსის წესდების მე-10 მუხლის შესაბამისად ღიაა სხვა ევროპული სახელმწიფოებისათვის, კერძოდ კი იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც ძალუძთ განავითარონ ვაშინგტონის ხელშეკრულების მთავარი პრინციპები და შეიტანონ თავიანთი წვლილი ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

ნატო თავისი უსაფრთხოების პრიორიტეტებს განიხილავს, როგორც ფართო კონცეფციას, რომელიც მოიცავს როგორც პოლიტიკურ და ეკონომიკურ, ასევე თავდაცვით და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს. უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის საფუძველი უნდა აიგოს ევროპაში არსებულ ისეთ რეგიონალური ორგანიზაციებს შორის ურთიერთქმედებით, როგორებიცაა: ევროკავშირი, დასავლეთ ევროპის კავშირი და ეუთო. თითოეული ორგანიზაციას თავისი შესაბამისი ფუნქცია და როლი ეკისრება საერთო უსაფრთხოების კონცეფციის იმპლემენტაციის საქმეში. ამ პროცესში, რომელიც საკმაოდ შორსაა წასული, ალიანსი როგორც სტაბილურობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი ქვაკუთხედი, მძლავრ, აქტიურ და არსებით როლს ასრულებს ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში. ნატო კვლავ რჩება თავდაცვით ალიანსად, რომლის ძირითადი მიზანია მშვიდობის შენარჩუნება ევროატლანტიკურ სივრცეში და თავისი წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. როდესაც ნატო ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლისა და ბრიუსელის 1994 წლის იანვრის სამიტის გადაწყვეტილების მიხედვით თავის რიგებში მოიწვევს ევროპის ახალ სახელმწიფოებს, როგორც ეს უკვე მოხდა შესაბამისად 1999 და 2004 წლებში, ეს იქნება შემდეგი ნაბიჯი, გადადგმული ალიანსის ძირითადი მიზნის-ფართო ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის კონტექსტში, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაძლიერების მიმართულებით.

ალიანსის გაფართოება მოხდება ახალი წევრი სახელმწიფოების ვაშინგტონის ხელშეკრულებასთან მიერთების მეშვეობით. გაფართოება უნდა ეთანხმებოდეს და სრულად შეესაბამებოდეს ალიანსის პრინციპებსა და მოთხოვნებს. ახალმა წევრმა მიერთების დროისათვის, ვაშინგტონის ხელშეკრულების საფუძველზე უნდა აიღოს ყველა ვალდებულება, როგორც ამას თითოეული ამჟამინდელი მოკავშირე აკეთებს.

სახელმწიფოებმა, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სახის ტერიტორიული დავები, ეს უთანხმოებები უნდა მოაგვარონ მშვიდობიანი გზებით, ეუთოს პრინციპების შესაბამისად. ამგვარი დავების მოგვარება იქნება ერთ-ერთი ფაქტორი, რათა ასპირანტი სახელმწიფო მოიწვიონ ალიანსში გასაწევრიანებლად. ასევე რა თქმა უნდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ნატოს მომავალი წევრი აკმაყოფილებდეს დემოკრატიული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელ ყველა სტანდარტს.

გაფართოებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, მთლიანად ნატოს მიეკუთვნება და ეს იქნება თანმიმდევრული, კარგად გააზრებული და გამჭვირვალე პროცესი და ყველა დაინტერესებულ მხარესთან დიალოგზე დაფუძნებული. ასევე აღსანიშნავია, იმისთვის რომ ახალი წევრი სახელმწიფოები მოიწვიონ ალიანსში გასაერთიანებლად, არ არსებობს კრიტერიუმის განსაზღვრული ჩამონათვალი.

გაფართოების შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება ინდივიდუალურ საფუძველზე. გაწევრიანების მსურველმა ზოგიერთმა სახელმწიფომ შეიძლება წევრობა სხვა ქვეყნებზე უფრო ადრე მიიღოს, მაგალითად როგორც ეს მოხდა 1999 წელს, როდესაც ნატომ მიიღო გადაწყვეტილება ალიანსში, მხოლოდ სამი სახელმწიფოს-ჩეხეთის, უნგრეთისა და პოლონეთის მიღების შესახებ, ხოლო დანარჩენი გაწევრიანების მსურველი ქვეყნები ორგანიზაციაში ხუთი წლის შემდეგ-2004 წელს გაწევრიანდნენ.

საბოლოოდ, კონსენსუსის საფუძველზე მოკავშირეები მიიღებენ გადაწყვეტილებას, მოიწვიონ თუ არა ალიანსში რომელიმე ახალი წევრი. აქ მნიშვნელოვან როლს სხვა ფაქტორებთან ერთად შეასრულებს ის ფაქტორიც, თუ როგორი იქნება ნატოს წევრების პოზიცია ასპირანტ ქვეყანასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელის მზადყოფნა შეიტანოს თავისი წვლილი ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოებასა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში. ნატოს გაფართოება ასევე განხორციელდება ეუთოს სხვადასხვა დოკუმენტში დაფიქსირებული პირობების თანახმადაც, იმ დოკუმენტებისა თუ კონვენციებისა, რომლებიც ადასტურებენ საერთაშორისო სამართლის ყველა პრინციპის პატივისცემას, მათ შორის ყველა სახელმწიფოს სუვერენულ უფლებებს დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, ვალდებულებებს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე და ა.შ. ასევე კვლევაში აღნიშნულია, რომ ალიანსის გარეთ მყოფ არცერთ ქვეყანას არ უნდა მიეცეს ვეტოს და ასევე პროცესისა და გადაწყვეტილების მიღების დროს დოკუმენტის გაცნობის უფლება.

ნატოს კოლექტიური მექანიზმი შეეხება კოლექტიურ თავდაცვაში წვლილის შეტანას.

ნატო არსებით როლს თამაშობს ევროპის უსაფრთხოების განვითარებად არქიტექტურაში, იგი წარმოადგენს ევროპის სტაბილურობისა და მომავლის რწმენის ძირითად დასაყრდენს, ამიტომაც ნატოს ამჟამინდელი გაფართოება ეს არის, არსებული ევროპული თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი. ფართო ევოლუციის ერთ-ერთი ელემენტი - ნატოს გაფართოება გაგებულ უნდა იქნას როგორც ფართო ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რაც გამორიცხავს, ევროპაში გამყოფი ხაზების იდეას. გაფართოებაზე ამჟამად მიმდინარე დისკუსიები მნიშვნელოვნად უფრო განსხვავებულ გარემოებებში მიმდინარეობს, ვიდრე ეს იყო ცივი ომის დროს. ამ კონტექსტში გადაწყვეტილება ახალი წევრების მიღებაზე უნდა ასახავდეს იმ ფაქტს, რომ უსაფრთხოების გამოწვევები და რისკები, რომელთა წინაშეც ამჟამად ნატო იმყოფება, განსხვავებული ხასიათისაა, წარსულში არსებულ რისკებთან შედარებით. ნატოს უნდა შეეძლოს ასეთ რისკებსა და გამოწვევებზე რეაგირება, თუკი მას სურს ევროპის სტაბილურობა და ძველი და ახალი წევრების უსაფრთხოების დაცვა. ნატოს გაფართოება ეს არის ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური და, უსაფრთხოების სფეროს განვითარების ნაწილი. ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურა შედგება ევროპული ინსტიტუტების და ტრანსატლანტიკური ინსტიტუტებისაგან. თავის მხრივ ნატომ განავითარა თანამშრომლობის მექანიზმი ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის ფარგლებში. ასევე აღსანიშნავია, რომ გაფართოება მნიშვნელოვანია ყველა ევროპული სახელმწიფოსათვის, იმ ქვეყნების ჩათვლით, რომლებიც უახლეს დროში ან საერთოდ არ აპირებენ გახდნენ ალიანსის წევრები.

მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების დროს ნატოს წევრი სახელმწიფოების და აგრეთვე არაწევრი სახელმწიფოების უსაფრთხოება.

არსებობს რამდენიმე ინსტიტუტი, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში, ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეუთო. ეუთოსა და ნატოს საქმიანობა ავსებს ერთმანეთს. 21-ე საუკუნის ევროპული უსაფრთხოების მოდულის თაობაზე ეუთოს დისკუსიებში უნდა აისახოს ნატოს გაფართოების პროცესი.

გაძლიერებული ეუთო, გაფართოებული ნატო, აქტიური ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო და პარტნიორობა მშვიდობისათვის

პროგრამა სხვა ფორუმებთან ერთად ქმნიან: ფართო, ყოველსომცველი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც მხარს უჭერენ, განუყოფელი ევროპის მიზნებს.

პაქტი ევროპის სტაბილურობის შესახებ, წარმოადგენს მთელს ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ფუნდამენტურ საფუძველს. ალიანსის გაფართოება მიმართულია ევროატლანტიკურ სივრცეში, სტაბილურობის გამყარებისა და ყველა ნატოს წევრი და ასევე სხვა ქვეყნების უსაფრთხოების გაძლიერებისაკენ.

რაც შეეხება ნატოსთან ერთად ევროკავშირის გაფართოების პროცესს, აღნიშნული ორი ორგანიზაციის გაფართოება განხორციელდება ავტომატურად მათი შესაბამისი შიდა დინამიკის და პროცესების პარალელურად, ამიტომ თითოეულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ მათი განვითარების პროცესი სწორად მიმართული იყოს ევროპის სტაბილურობისა და უშიშროების მიზნისაკენ. ევროკავშირის წევრები ახორციელებენ ერთიან ეკონომიკურ და უსაფრთხოების პოლიტიკას, რომელიც უნდა მოიცავდეს კავშირის უშიშროებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. დოკუმენტში ასევე ყურადღება ეთმობა ევროპის რიგ სახელმწიფოთა ინიციატივით შექმნილ დასავლეთ ევროპის კავშირს. დასავლეთ ევროპის კავშირი წარმოადგენს უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფის განუყოფელ ნაწილს. ერთის მხრივ ევროპის თავდაცვითი კავშირის ძირითად კომპონენტს და მეორეს მხრივ ატლანტიკური ალიანსის ევროპულ დასაყრდენს. დასავლეთ ევროპის კავშირის ყველა სრულუფლებიანი წევრი ამავე დროს არის ნატოს წევრი. მოდიფიცირებული ბრიუსელის ხელშეკრულების მე-5 მუხლის (1954 წელს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ხელმოწერილი დოკუმენტი) და ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლში გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად, ნატოსა და დეკ-ს შორის კავშირის შენარჩუნება ძალზე მნიშვნელოვანია. ნატოს, ევროკავშირისა და დასავლეთ ევროპის კავშირის, წევრობის თანმიმდევრობობას დადებითი გავლენა უნდა ჰქონდეს ევროპის უსაფრთხოებაზე.

კვლევაში გაფართოების შესახებ ასევე აღნიშნულია, რომ რუსეთს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ევროპის სტაბილურობისა და უსაფრთხოების საქმეში. ნატო და რუსეთი შეთანხმდნენ, რომ დაიწყებენ აქტიურ, გაფართოებულ დიალოგსა და თანამშრომლობას იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ რუსეთს შეუძლია უნიკალური და მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს, თავისი პასუხისმგებლობის შესაბამისად, როგორც მნიშვნელოვანმა ევროპულმა, საერთაშორისო და ბირთვულმა ძალამ. ამავე დროს აღნიშნულია, რომ არც ნატოს, და არც რუსეთის მხარისაგან არ უნდა იქნას მიღებული რაიმე “მოულოდნელი” გადაწყვეტილება, რომელიც გავლენას იქონიებს მეორე მხარის ინტერესებზე.

გაფართოების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა წარიმართოს ვაშინგტონის ხელშეკრულების შესაბამისად. თითოეული ქვეყნის მოწვევა უნდა გადაწყდეს მისი საკუთარი დამსახურებით. ნატოს გაფართოების შესახებ დისკუსიის კონტექსტში უკვე გამოითქვა შეშფოთება, რომ ახალ წევრს შეუძლია “კარი დახუროს” მის შემდეგ სხვა ახალი ქვეყნის მიღებისთვის მომავალში, რომლებიც შეიძლება ასევე ისწრაფვოდნენ ნატოს წევრობისაკენ. ასეთი სიტუაცია თავიდან უნდა იქნა აცილებული. ალიანსს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში, მოლაპარაკებათა პროცესის წარმოებისას, წამოაყენოს სპეციფიკური პოლიტიკური პირობები გაწევრიანების შესახებ.

პროგრამამ “პარტნიორობა მშვიდობისათვის” შეუძლია ასევე ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი ნატოს გაფართოების პროცესში: პროგრამაში მონაწილეობის პერიოდში შესაძლოა წევრობის კანდიდატებს დაეხმაროს, მოამზადოს ისინი საბოლოო გაწევრიანების პერიოდამდე ნატოს ძირითადი

სტანდარტების დაკმაყოფილების მიმართულებით, განამტკიცოს ურთიერთობა პარტნიორებთან.

ნატოს არაწევრ, ეუთოს ქვეყნებთან პოლიტიკურ და სამხედრო თანამშრომლობის პროგრამებში, “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომელიც აღრმავეს ურთიერთქმედებას, თანამშრომლობასა და სტაბილურობას ევროპაში და ხელს უწყობს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების საერთო მიზნის განხორციელებას.

“პარტნიორობა მშვიდობისათვის”, პროგრამის ჩარჩოებში თანამშრომლობის გადამწყვეტ ასპექტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პარტნიორებმა დაადასტურეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ეუთოს პრინციპების ერთგულება და ნდობა. რაც შეეხება იმ ქვეყნებს რომლებიც გარკვეულ ეტაპზე ვერ გახდნენ ალიანსის წევრები ან არ გააჩნიათ განზრახვა გახდნენ ნატოს წევრები, როგორც “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის, ისევე როგორც ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს ფარგლებში ალიანსი მომავალშიც მხარს დაუჭერს დოკუმენტს ნატოსთან ამ ქვეყნების აქტიური თანამშრომლობის განვითარებისათვის.

“პარტნიორობა მშვიდობისათვის” საქმიანობა და პროგრამები ღიაა ყველა პარტნიორისათვის, რომლებიც თავად წყვეტენ რა ტიპის შესაძლებლობები გამოიყენონ და რა ინტენსივობით ითანამშრომლონ ალიანსთან ამ პროგრამის ფარგლებში. პროგრამაში აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მომავალი ახალი წევრის ალიანსთან მისაერთებლად მომზადების პროცესში, თუმცა ეს არ გახლავთ გაწევრიანების საბოლოო გარანტია. ალიანსის პოტენციურ ახალ წევრებს “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამაში მონაწილეობა ხელს შეუწყობს პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, გააცნობს მათ ჩრდილოატლანტიკური კავშირის სტრუქტურასა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს, აგრეთვე ხელს შეუწყობს პარტნიორ სახელმწიფოებს რათა მათ უფრო საფუძვლიანად გაიაზრონ ის პასუხისმგებლობები და მოვალეობები, რომლებიც მათ დაეკისრებათ ალიანსში გაწევრიანებაზე სურვილის გამოსატვის შემთხვევაში.

ნატოს “გაწევრიანების სამოქმედო გეგმა.”

ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით წარმოებული საქმიანობის კუთხით უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ ვაშინგტონის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება - “გაწევრიანების სამოქმედო გეგმის” (MAP-ი) დამტკიცება, რომელშიც ჩამოყალიბებულ იქნა რეკომენდაციათა ნუსხა ნატოში გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისათვის. გეგმა მოიცავს 5 ძირითად თავს:

1. პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები;
2. თავდაცვისა და სამხედრო საკითხები;
3. რესურსები;
4. უსაფრთხოების საკითხები;
5. სამართლებრივი საკითხები.

გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრულია ნატოსთან კონსულტაციების გამართვა, ასევე არსებობს მოთხოვნა პარტნიორი ქვეყნებისადმი გეგმის ფარგლებში შესაბამისი ღონისძიებების ჩატარების კუთხითაც.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში ნატო თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას მონიტორინგი აწარმოოს და ყოველწლიურად შეაჯამოს ალიანსში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებში ამ უკანასკნელთა მიერ ეროვნული პროგრამების შესრულების დონე და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე

პარტნიორ ქვეყანასთან კონსულტაციების გამართვის გზით დასახოს მოქმედების შემდგომი ნაბიჯები, რომელთა განხორციელება გაწვევრიანების მსურველი ქვეყნის პრეროგატივას წარმოადგენს.

როგორც უკვე ვიცით, დოკუმენტში “ნატოს გაფართოების შესახებ”, აღნიშნულია, რომ დაინტერესებული ქვეყანა ნატოში გაწვევრიანებამდე, ვალდებულია მოაგვაროს შიდა ეთნიკური და სამართებრივი პრობლემები, ასევე ტერიტორიული და სხვა სახის უთანხმოება მეზობელ ქვეყნებთან. მზად უნდა იყოს თავისი რეალური წვლილი შეიტანოს ალიანსის სამხედრო თავდაცვით პოტენციალში, მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო ოპერაციებსა და სხვა ახალ მისიებში. ამასთან დაკავშირებით შესაძლოა მკითხველს გაუჩნდეს სრულიად ლოგიკური კითხვა. ხომ არ შეუშლის საქართველოს ნატოში გაწვევრიანებას ალიანსის მიერ წარმოდგენილ კვლევაში ჩამოყალიბებული მოთხოვნები, რომლებიც პირველ რიგში რა თქმა უნდა დაკავშირებულია ქვეყნის შიგნით არსებულ ეთნიკური პრობლემების მოგვარებასთან და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების დარეგულირებასთან? ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით წიგნის ბოლო თავში გვექნება საუბარი, რომელიც ნატო-საქართველოს ურთიერთობებს ეძღვნება.

კანდიდატ ქვეყანას ასევე მოეთხოვება საერთაშორისო ხასიათის დავების მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარება, ასევე:

- კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო პრინციპების პატივისცემა;

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული და სამოქალაქო კონტროლის დაწესება;

- ძალის გამოყენებისაგან თავის შეკავება (თუ კი ეს არ შეესაბამება გაეროს პრინციპებს).

- საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების საქმეში წვლილის შეტანა შესაბამის მისიებში აქტიური მონაწილეობით;

- ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და “პარტნიორობა მშვიდობისათვის.” პროგრამაში აქტიური მონაწილეობა;

- სტაბილურობის და კეთილდღეობის ხელშეწყობა. ეკონომიკური თავისუფლების, სოციალური სამართლიანობისა და გარემოს დაცვაზე პასუხისმგებლობის პრინციპების პატივისცემითა და რეალიზაციით.

ნატოში გაწვევრიანებასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია “ვეტოს” უფლება, რომელიც მხოლოდ ალიანსის წევრ ქვეყნებს გააჩნიათ, შესაბამისად ნატოს ფარგლებში თითოეული გადაწყვეტილების მიღება ალიანსის ყველა წევრის თანხმობას საჭიროებს.

ერთი სიტყვით ნატოში გაწვევრიანების პროცესი საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია, განსაკუთრებით ყოფილ სოციალისტური ბანაკის წარმომადგენლებისათვის. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ გაწვევრიანებით ქვეყანა იღებს არა მარტო პრივილეგიებს უშიშროებისა და კოლექტიური თავდაცვის საკითხებში, არამედ უამრავ პასუხისმგებლობასაც.

როგორია წევრობის შედეგები ახალი წევრებისათვის, მათი უფლებებისა და ვალდებულებების ჩათვლით და რისი გაკეთება სჭირდებათ მათ წევრობის მოსამზადებლად?

ნატოში ახლადგაწვევრიანებული სახელმწიფოები ისარგებლებენ სრულუფლებიანი წევრის ყველა უფლებით, ამავე დროს მათ დაეკისრებათ ვალდებულება თავის თავზე აიღონ ყველა ვალდებულება, რომელსაც ვაშინგტონის ხელშეკრულება ითვალისწინებს. ნატოს წესდების მიხედვით ალიანსის შიგნით არ არიან “პირველხარისხოვანი” და “მეორეხარისხოვანი” წევრები და ყველა მათგანი თანაბარი უფლებებით სარგებლობს. არც

ვაშინგტონის ხელშეკრულების რაიმე სახეცვლილება იგეგმება ალიანსის მომავალი წევრი სახელმწიფოებისათვის, ამიტომაც გაწვევრიანების მსურველმა ქვეყნებმა სწორედ ვაშინგტონის ხელშეკრულების ძირითადი პრინციპები უნდა გაითვალისწინონ ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე.

რას მოელიან ახალი წევრებისგან პოლიტიკური თვალსაზრისით

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის ახალი წევრი ქვეყნების მიერ აღებული ვალდებულებები არაფრით არ უნდა განსხვავდებოდეს ნატოს ძველი წევრების ვალდებულებებისაგან, ახალი სახელმწიფოების ნატოში გაწვევრიანების პერიოდში ყველა წევრის მიერ უკვე მიღებული პრინციპების, პოლიტიკისა და პროცედურების მიღების ჩათვლით. ამ ძირითადი ვალდებულებების არა მხოლოდ დოკუმენტალურად, არამედ პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვა და შესრულების ნება და შესაძლებლობა გადამწყვეტ ფაქტორად გვევლინება ცალკეული ასპირანტი სახელმწიფოს მისაერთებლად მოწვევისათვის ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი წევრებისთვის მოწვევის პროცესში და ალიანსთან მიერთების საკითხში არ არსებობს რაიმე მყარი ან შეუვალე კრიტერიუმების ჩამონათვალი, თუმცა ამის მიუხედავად პოტენციურმა ახალმა წევრებმა თავიანთი მზადყოფნა უნდა გამოხატონ შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ნატოს წესდებაში ჩამოყალიბებული ფუძემდებლური პრინციპების დემოკრატია, პირადი თავისუფლება და კანონის უზენაესობა - მაქსიმალურ დონეზე გათვალისწინება;
- ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღქმას, როგორც თანამოაზრე სახელმწიფოების ერთობას, რომელთა გაერთიანების ძირითად მიზანს კოლექტიური თავდაცვა, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება წარმოადგენს, სადაც თითოეულ სახელმწიფოს წვლილი შეაქვს უსაფრთხოებასა და თავდაცვაში, რომლიდანაც მთლიანად ორგანიზაცია და მისი თითოეული წევრი იღებს სარგებელს;
- გაწვევრიანების მსურველი ქვეყნები უნდა იყვნენ პარტნიორობა მშვიდობისათვის ჩარჩო დოკუმენტში ჩამოყალიბებული პრინციპების, მიზნებისა და მოვალეობების მტკიცედ ერთგულნი;
- ახალმა წევრებმა თავის თავზე უნდა აიღონ კეთილსინდისიერი ძალისხმევის მოვალეობა კონსენსუსის მისაღწევად ნატოს ფარგლებში უსაფრთხოებასთან და სხვა ასპექტებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ სწორედ კონსენსუსია ალიანსის ერთიანობის და გადაწყვეტილების მიღების საფუძველი;
- ვალდებულება აიღონ ნატოს ფარგლებში წარმოებული კონსულტაციებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სრულად მონაწილეობის შესახებ, ისეთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე, რომლებიც ალიანსის ინტერესების სფეროს მიეკუთვნება;
- ჩამოყალიბონ მუდმივი წარმომადგენლობა ნატოს შტაბ-ბინასთან;
- ჩამოყალიბონ სათანადო ეროვნული სამხედრო წარმომადგენლობა ევროპაში მოკავშირე ძალების მთავარსარდლობის შტაბთან/ატლანტიკაში მოკავშირეთა მთავარსარდლობასთან;
- შეარჩიონ და წარმოადგინონ შესაბამისი კვალიფიციაციის მქონე კანდიდატები საერთაშორისო სამდივნოსა და ალიანსის სხვა სამოქალაქო სტრუქტურებში სამუშაოდ;

- მიავლინონ შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების მქონე კვალიფიციური პერსონალი საერთაშორისო სამხედრო შტაბისათვის და გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურაში სამუშაოდ;
 - გამოყონ შესაბამისი ფინანსური რესურსები ალიანსის ბიუჯეტში წვლილის შეტანის მიზნით, რაც დამყარებულია შეთანხმებულ საბიუჯეტო წილებზე;
 - სრულყოფილად მონაწილეობდნენ სამოკავშირეო ინფორმაციის გაცვლის პროცესში, რომელიც მთლიანად ეროვნულ წვლილზეა დამყარებული;
 - თავიანთი საქმიანობის პროცესში გამოიყენონ ნატოს უსაფრთხოების წესები და პროცედურები;
 - მიიღონ შესაბამისი დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საფუძველს ალიანსის არსებული პოლიტიკისათვის.
- ეს კერძოდ მოიცავს:

- შეთანხმებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტატუსის, ეროვნული წარმომადგენლების და საერთაშორისო სამდივნოს შესახებ (ოტავის კონვენცია, 1951);
- შეთანხმებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მხარეებს შორის მათი ძალების სტატუსის შესახებ (ლონდონი, 1951);
- შეთანხმებას თავდაცვასთან დაკავშირებული გამოგონებათა და რომელთათვისაც საპატენტო განაცხადია გაკეთებული ურთიერთდაცვის თაობაზე (პარიზი, 1960);
- ნატოს შეთანხმება თავდაცვის მიზნებისათვის ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის შესახებ (ბრიუსელი, 19 ოქტომბერი, 1970 წელი)

ისევე როგორც:

- სტრატეგიული კონცეფცია;
- სხვადასხვა დროს გამართული ნატოს სამიტების დეკლარაციები და ჩრდილოატლანტიკური საბჭოს გადაწყვეტილებები საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრთა დონეზე, რომლებიც ასახულია ჩრდილოატლანტიკური საბჭოს კომუნიკეში. მათ შორის ოსლოში 1992 წლის ივნისში და ბრიუსელში 1992 წლის დეკემბერში გამოცემული დოკუმენტების ჩათვლით, რომელთა მიხედვით ნატომ აიღო ვალდებულება საჭიროების მიხედვით, მხარდაჭერა აღმოეჩინა ეუთოს პასუხისმგებლობის ქვეშ სამშვიდობო საქმიანობისათვის და სამშვიდობო ოპერაციებისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციებზე დაყრდნობით, ალიანსის რესურსების და საექსპერტო გამოცდილების ხელმისაწვდომად გახდომის ჩათვლით;
- დოკუმენტები რომლებიც ითვალისწინებენ თანამშრომლობას ნატოსა და ნებისმიერ პარტნიორ ქვეყანას შორის უკვე შეთანხმებულ ახალ წევრებთან ალიანსთან მიერთების პროცესში.

ალიანსი მოელის, რომ ახალი წევრების მიღების შემდეგ ნატოს კარი “არ იქნება დახურული” ერთი ან მეტი შემდგომი კანდიდატი სახელმწიფოების მისაღებად.

რისი გაკეთება დასჭირდებათ მომავალ ახალ წევრებს, პოლიტიკური კუთხით, საკუთარი წევრობის მოსამზადებლად

ნატოს მომავალმა წევრმა სახელმწიფოებმა უნდა:

გამოხატონ თავიანთი ერთგულება და პატივისცემა ეუთოს ნორმებისა და პრინციპებისადმი, ეთნიკური ხასიათის დაგების, მეზობელ სახელმწიფოებთან ტერიტორიული დაგების მშვიდობიანი გზებით მოგვარების ჩათვლით.

აგრეთვე, მომავალ წევრებს მოეთხოვებათ:

- გამოხატონ თავიანთი სურვილი, რომ თავიანთი საქმიანობით ხელს შეუწყობენ სტაბილურობისა და კეთილდღეობას, ეკონომიკური თავისუფლების, სოციალური სამართლიანობის დაცვას;
- დაამყარონ შესაბამისი დემოკრატიული და სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებულ თავდაცვის ძალებზე;
- აიღონ მოვალეობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ფარგლებში უზრუნველყონ ადექვატური რესურსების გამოყოფა.

რას მოელოან ახალი წევრებისაგან სამხედრო თვალსაზრისით

ალიანსში მიღებული ახალი სახელმწიფოები მზად უნდა იყვნენ გაიზიარონ ნატოს ფარგლებში არსებული საერთო უსაფრთხოებისა და კოლექტიური თავდაცვის როლები, რისკები, პასუხისმგებლობა, სარგებელი და ტვირთი. ეს პრინციპები უნდა შეესაბამებოდეს ალიანსის სტრატეგიას, როგორც ეს განსაზღვრულია სტრატეგიულ კონცეფციაში და დაფიქსირებულია ნატოს მინისტერიალებზე მიღებულ დოკუმენტებში.

სამხედრო სფეროში წვლილის შეტანის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ითამაშებს სტანდარტიზაციისკენ განუხრელად სწრაფვის მოვალეობა, რაც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ალიანსის სტრატეგიისა და ოპერატიული ეფექტურობისათვის. ახალმა წევრებმა, პირველ რიგში, უნდა მოახდინონ კონცენტრაცია თავსებადობაზე, როგორც მინიმუმში, მათ უნდა გაითვალისწინონ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსის დოქტრინის ძირითადი პრიორიტეტები და პოლიტიკა სტანდარტიზაციასთან დაკავშირებით და ძალისხმევას არ უნდა იშურებდნენ წვრთნისა და აღჭურვის შესაბამისი სტანდარტების მიღწევისკენ, რათა უფრო ეფექტური გახადონ ნატოს ძალებთან მუშაობა. "პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის ფარგლებში საქმიანობას, დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესის ჩათვლით, მნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეიტანოს პარტნიორების ძალების ალიანსის ძალებთან თავსებადობის გაუმჯობესების მიმართულებით. ამიტომაც, ალიანსში პრეტენდენტებისაგან ითხოვენ პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამაში აქტიურ საქმიანობას. მაგრამ ეს შემოფარგლულია იმ ძალების მასშტაბით, რომლებიც პარტნიორი ქვეყნების მიერ გამოიყოფა სამშვიდობო ოპერაციების, ჰუმანიტარულ სფეროში საქმიანობის და სამაშველო ოპერაციებში და ანალოგიური ხასიათის მისიებში და მათთან დაკავშირებულ სასწავლო პროგრამებსა და წვრთნაში მონაწილეობისათვის.

რისი გაკეთება დასჭირდებათ მომავალ ახალ წევრებს სამხედრო თვალსაზრისით წევრობისთვის მოსამზადებლად

ნატოში მოსალოდნელი მიღების განხილვის პროცესში ალიანსის წევრების მიერ აუცილებლად იქნება გათვალისწინებული მომავალი ახალი წევრების პოტენციალი და მზადყოფნა თავიანთი სამხედრო წვლილი შეიტანონ კოლექტიურ თავდაცვასა და ალიანსის მიერ წარმოებულ ახალ მისიებში, მაგალითად ავღანეთში.

ახალ წევრ სახელმწიფოებს დასჭირდებათ ადაპტირება იმ მდგომარეობასთან, რომ ნატოს სტრატეგია და სამხედრო ინსტიტუტები შემუშავებულია მრავალეროვანი ძალების და მოქნილობის გამოსაყენებლად

რომლის მიზანია ეფექტური თავდაცვის უზრუნველყოფა მინიმალური საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით. აქედან გამომდინარე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის პოლიტიკა, მნიშვნელოვანწილად და დამოკიდებული სტანდარტიზაციაზე, სადაც ყველაზე მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს ოპერაციების და ადმინისტრაციის სფერო. ალიანსის თანამედროვე სტანდარტიზაციის პრიორიტეტები მოიცავს დოქტრინებისა და პროცედურების ერთიანობას, სარდლობის თავსებადობას, კონტროლსა და კომუნიკაციებს, ძირითად შეიარაღების სისტემებს, აღჭურვილობისა და პირველადი საბრძოლო მარაგების გაცვლადობას.

დღევანდელ დღეს ახალმა წევრები თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას, უნდა საფუძვლიანად შეისწავლონ დაახლოებით 1200 შეთანხმება და პუბლიკაცია, მათი მომავალში შესრულების მიზნით. შესრულების პროცესი უნდა ატარებდეს ევოლუციურ ხასიათს და ეს პროცესი მკაცრად უნდა იყოს გაკონტროლებული, რაც შემდგომში პოზიტიურად აისახება ალიანსის ოპერატიული ეფექტურობის ამალღების პროცესზე, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული მონაწილეობა სტანდარტიზაციაში არ ატარებს სავალდებულო ხასიათს, თუმცა ამავე დროს არის სხვადასხვა სფეროები, მაგალითად კომუნიკაციები და საინფორმაციო სისტემები და ძალების ეფექტურობის გაზრდა, რომელშიც მონაწილეობა აუცილებელია ზემოაღნიშნული სფეროების სამხედრო აუცილებლობიდან გამომდინარე. ერთ-ერთ მთავარ მიზნად გაუმჯობესებული თავსებადობის მიღწევის გზაზე ახალი წევრებისათვის შესაძლოა მოგვევლინოს შესაბამისი სამხედრო შენაერთების შერჩევა, რომლებსაც ექნებათ იმის პოტენციალი, საქმიანობა აწარმოონ როგორც წამყვანი სამხედრო ნაწილებმა, რომელთა გარშემოც შეიძლება განვითარდნენ სხვა შენაერთებიც, რომლებსაც განესაზღვრებათ მთავარ ამოცანად მათი საქმიანობის შესაბამისად მაქსიმალურად გაიზარდოს ამ შენაერთების თავსებადობა არსებულ ნატოს შენაერთებთან. ოპერატიული ეფექტურობისთვის საჭირო მინიმალური მოთხოვნების განსასაზღვრავად უკვე წარმოებს სასტანდარტიზაციო შეთანხმებებისა (STANAG) და ნატოს გამოცემების რევიზია.

ასევე ცალკეულ ქვეყნებს მოეთხოვებათ, მომავალი ახალი წევრების სტანდარტიზაციის შეფასება, რომელიც დაეფუძნება სტანდარტიზაციის დონეებს, რომელიც წარმოდგენილი იყო “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის ფარგლებში სრული მოცულობის სამხედრო და თავდაცვის საქმიანობათა განმავლობაში. აუცილებელია, რომ ნატომ სავარაუდო ახალ წევრთან კონსულტაციის გზით შეიმუშავოს კონკრეტული გეგმა ასპირანტი სახელმწიფოსათვის, რათა ეს უკანასკნელი სრულად იყოს ინფორმირებული რას მოელიან მისგან. ამ პროცესში საფუძვლიანი როლი შეუძლიათ ითამაშონ ნატოს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რათა პარტნიორი ქვეყნების (მომავალი სავარაუდო წევრების) შეიარაღებულმა ძალებმა ინტენსიური მომზადების გავლის შემდეგ შეძლონ ნატოს დოქტრინასთან ადაპტაცია საქმიანობათა ფართო სპექტრის გარშემო.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი წევრების გაზრდილი თავსებადობისათვის თანხების გამოყოფა ამ ქვეყნების პასუხისმგებლობის სფეროს მიეკუთვნება, ეს გახლავთ საერთო მნიშვნელოვანი გამოწვევა მთლიანად ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციისათვის. აქ არის სამხედრო იმპერატივი, მიღწეული იყოს მინიმალური დონის თავსებადობის მიღწევა, რომელსაც სამხედრო ეფექტურობა მოითხოვს, და ეს უნდა მინიმალური დროის განმავლობაში განხორციელდეს. სამხედრო იმპერატივის პარალელურად, ასევე არსებობს პოლიტიკური იმპერატივი ალიანსის შინაგანი ერთიანობის წარმოსადგენად, რის მიზანსაც წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნატოს ახალი სახელმწიფოები სრულად ითავისებდნენ, რომ ისინი სრულფასოვნად მონაწილეობენ ალიანსში და მათ

გააჩნიათ იმის შესაძლებლობა, რომ ადრეულ სტადიაზე საკუთარი სამართლიანი წვლილი შეიტანონ კოლექტიურ თავდაცვის მიმართულებით.

ნატოს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის”

მოქმედების მიზნები და საშუალებები

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამა (პმპ) წარმოადგენს ფართომასშტაბიან ინიციატივას, რომელიც ნატომ 1994 წლის იანვარში, ნატოს ბრიუსელის სამიტზე ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომაზე წამოაყენა. ამ თანამშრომლობის მიზანია სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა მთელს ევრო-ატლანტიკურ რეგიონში. ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღების საშუალება მიეცა ყველა იმ ქვეყანას, რომელიც მონაწილეობას იღებდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (North Atlantic Cooperation Council) მუშაობაში, აგრეთვე ყველა იმ სახელმწიფოს, რომლებიც იყვნენ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის (მომავალში ეუთო) წევრები და გამოსატავდნენ სურვილს და ჰქონდათ შესაძლებლობა თავიანთი წვლილი შეეტანათ ამ პროგრამის განხორციელებაში. პროგრამაში ჩართვის მოწვევა 30-მა ქვეყანამ მიიღო. მოქმედების სფეროები, რომლებშიც მონაწილეობას თითოეული პარტნიორი ქვეყანა მიიღებდა, დამოკიდებული იყო ნატოსა და კონკრეტულ პარტნიორ სახელმწიფოს შორის ერთობლივად შემუშავებულ ინდივიდუალურ პარტნიორულ პროგრამებზე.

პროგრამაში მთავარი ყურადღება ეთმობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განვითარებას, თუმცა იმავედროულად იგი სცილდება ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ორმხრივ დონეზე არსებული პარტნიორობის საერთო საზღვრებს, რადგანაც ეს პროგრამა იქცა მთელს ევრო-ატლანტიკურ რეგიონში პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის განუყოფელ ნაწილად. პმპ ხელს უწყობს სტაბილურობის დამკვიდრებას, უსაფრთხოების საკითხებში მყარი თანამშრომლობის დამყარებას, რომელიც დაფუძნებული იქნება დემოკრატიულ პრინციპებზე და პრაქტიკული პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებაზე. საბაზისო და თანამხლები დოკუმენტების თანახმად, რომლებიც პროგრამის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენენ, ნატო თავის თავზე იღებს ვალდებულებას, აწარმოოს კონსულტაცია იმ პარტნიორ ქვეყნებთან, რომელთა უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას და დამოუკიდებლობასაც პირდაპირი საფრთხე ემუქრება.

პროცედურები და სტრუქტურები

ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც სურს ამ პროგრამაში გაწევრიანება, თავდაპირველად ჩრდილოატლანტიკური ალიანსისაგან იღებს მოწვევას, სადაც ნატო პოტენციურ პარტნიორს სთავაზობს ხელი მოეწეროს საბაზისო დოკუმენტს. პარტნიორობის მიზნების გარდა იქ მითითებულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც თავისი საქმიანობის პროცესში პმპ პროგრამა ემყარება. როდესაც ქვეყნები ხელს აწერენ ამ დოკუმენტს, ისინი იმავედროულად იღებენ პასუხისმგებლობას დაიცვან ძირითადი დემოკრატიული პრინციპები და იხელმძღვანელონ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით. პარტნიორი ქვეყნები ასევე იღებენ ვალდებულებას პატივი სცენ ეუთოს ჰელსინკის დასკვნით აქტში ჩამოყალიბებულ პრინციპებს, ნატოს წევრი ქვეყნებისა და სხვა პარტნიორი სახელმწიფოების დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე ისინი გამოსატავენ თავიანთ მზადყოფნას

თავიანთი წვლილი შეიტანონ ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებაში.

საბაზისო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ნაბიჯს წარმოადგენს პარტნიორი ქვეყნის მიერ ნატოსათვის საპრეზენტაციო დოკუმენტის წარდგენა. ამ დოკუმენტში აღნიშნულია ის პუნქტები, რომლებიც კონკრეტული ქვეყნის მიერ განხორციელებული იქნება პარტნიორობის მიზნების მიღწევის გზაზე, ასევე წარმოდგენილია ის სამხედრო რესურსი, რომლის გამოყენებასაც პმპ პროგრამის ფარგლებში გეგმავს ესა თუ ის ქვეყანა ნატოსთან პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცებისათვის. ასევე დოკუმენტში ჩადებულია ის კონკრეტული თანამშრომლობის მიმართულებები, რომელთა განხორციელებაც ნატოსთან ერთად პარტნიორის ძირითად მიზნებს წარმოადგენს.

პროგრამის ფარგლებში ნატოს მხრიდან კონკრეტული პარტნიორი ქვეყნისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი წარმოადგენს მნიშვნელოვან ასპექტს, რომლის შესაბამისადაც ალიანსის მხრიდან ხდება აღიარება იმისა, რომ სხვადასხვა პარტნიორი ქვეყნის მოთხოვნილებები სამხედრო თანამშრომლობის გზაზე ერთმანეთისაგან განსხვავდება, და შესაბამისად თითოეული ქვეყანა თვითონ განსაზღვრავს თანამშრომლობის ფორმას და მეთოდებს. სამუშაო პროგრამაში დაწვრილებითაა აღწერილი თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულება და ყველა სახელმწიფოსათვის სპეციალურ ღონისძიებათა ნუსხა ყალიბდება.

თანამშრომლობის სფეროები

პმპ-ის ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება გულისხმობს არამარტო სამხედრო საკითხებზე ურთიერთობას, არამედ იგი მოიცავს უფრო ფართომასშტაბიან თავდაცვის საკითხებს.

მთავარი სტრუქტურა, რომელიც დაკავებულია “პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის საკითხებით, გახლავთ სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელი კომიტეტი. მისი სხდომები ტარდება სხვადასხვა ფორმატით, ან მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნების მონაწილეობით ან წევრებისა და პარტნიორების ერთობლივი მონაწილეობით.

პარტნიორობის სამხედრო საკითხების შემუშავება ხორციელდება ნატოს სამხედრო ანსამბლეს მიერ იმ რეკომენდაციების საფუძველზე, რომლებიც მას განსახილველად წარუდგინეს პარტნიორმა ქვეყნებმა. მთავარ სათათბირო ორგანოს სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით პმპ-ში წარმოადგენს პარტნიორობის სამხედრო კომიტეტის საქმიანი ჯგუფი, რომელიც გვევლინება ნატოს სამხედრო კომიტეტის საკონსულტაციო სტრუქტურის როლში. PFჯგუფის სხდომები ტარდება როგორც მხოლოდ ნატოს წევრების მონაწილეობით, ასევე ალიანსის პარტნიორების მონაწილეობითაც. უფრო ხშირ შემთხვევაში ნატოს სამხედრო კომიტეტი სხდომებს პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად ატარებს მათთან სხვადასხვა სამხედრო საკითხების განსახილველად.

პარტნიორთა საკორდინაციო ჯგუფი

პარტნიორთა საკორდინაციო ჯგუფი წარმოადგენს “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის უნიკალურ სტრუქტურას. იგი განთავსებულია ქ. მონსში (ბელგია) სადაც იმყოფება ასევე ნატოს შეიარაღებული ძალების ევროპაში უმაღლესი მთავარსარდლის ოფისი. ეს ჯგუფი მუშაობს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ეგიდით და თავის მოვალეობებს ასრულებს ნატოს ორივე სტრატეგიული ხელმძღვანელობის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

ამ ჯგუფის მიზანია, კმპ-ის ფარგლებში საერთო სამხედრო საკითხებზე მუშაობის კოორდინირება. ასევე მას ევალება სამხედრო დაგეგმარების საკითხებზე მუშაობა კმპ პროგრამის შესაბამისი მიმართულებით ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით. კერძოდ, ჯგუფის ფარგლებში განიხილება სამხედრო წვრთნების საკითხებზე ერთობლივი თანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს ღონისძიებების ორგანიზებას ისეთ სფეროებში, როგორცაა სამშვიდობო, ჰუმანიტარული სამქებრო და სამაშველო ოპერაციები. პარტნიორი ქვეყნების მიერ ნატოს შტაბ-ბინაში დაფუძნებულ იქნა სრულუფლებიანი დიპლომატიური მისიები, რომლებიც ოფიციალურად არიან ნატოს მიერ აკრედიტირებულნი. ასევე აღსანიშნავია მათი მთავარი სამხედრო წარმომადგენლობის დაფუძნება ნატოს სამხედრო კომიტეტში. პარტნიორი ქვეყნის სამხედრო წარმომადგენელი ძირითადად სწორედ “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამასთან დაკავშირებული საქმიანობითაა დაკავებული.

“პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის გადრმავეების პროცესი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც კმპ-ის ფარგლებში თანამშრომლობის გააქტიურებას ითვალისწინებდა, გადადგმულ იქნა 1997 წელს და მის მიზანს ნატოს სხვადასხვა სტრატეგიულ და რეგიონალურ სამმართველო შტაბებში ე.წ. საშტაბო ელემენტების ჩამოყალიბება წარმოადგენდა. დღესდღეობით მიმდინარეობს ამ პროცესის მეორე ეტაპის განხილვა, რომელიც ითვალისწინებს საშტაბო ელემენტების შექმნას სუბრეგიონალურ დონეზე. ეს ელემენტები შედგება კონკრეტული ჯგუფებისაგან, რომლებშიც შედიან ნატოსა და მისი პარტნიორი ქვეყნების ოფიცრები, რომლებსაც გააჩნიათ საერთაშორისო სტატუსი და რომლებიც თანამშრომლობენ საწვრთნელი ოპერაციებისა და სხვა საერთო ვალდებულებების მქონე ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

“პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის ფარგლებში დაგეგმარებისა და ანალიზის პროცესი

კმპ-ის საბაზისო დოკუმენტის თანახმად ნატო ვალდებულებას იღებს პარტნიორ ქვეყნებთან ერთად აწარმოოს დაგეგმარებისა და ანალიზის პროცესი, რომელიც მიმართულია განისაზღვროს სხვადასხვა სამხედრო შემადგენლობის ძალები და საშუალებები, რომლებიც შესაძლოა შემდგომში პარტნიორი ქვეყნების მიერ ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა წვრთნებზე, სასწავლო კურსებზე, ასევე სხვა ტიპის ოპერაციების ჩატარების პროცესში, რომლებიც მრავალეროვნულ დონეზე ნატოს ქვეყნებთან ერთად იქნება განხორციელებული. პროგრამის საწყის ეტაპზე ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები მხოლოდ სამშვიდობო, სამქებრო-სამაშველო და ჰუმანიტარული ოპერაციებით შემოიფარგლნენ. თუმცა 1997 წლიდან პროგრამა უფრო აქტიურ ფაზაში გადავიდა, სხვადასხვა ერთობლივი ოპერაციების ჩამონათვალი და მათი დაგეგმარების და შეფასების სპექტრი საგრძნობლად გაფართოვდა და მოიცვა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ეგიდით ჩატარებული მისიებიც, სამშვიდობო ოპერაციების ჩატარების ჩათვლით. დაგეგმარებისა და ანალიზის პროცესში მონაწილეობა, პარტნიორი ქვეყნებისათვის ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს და შესაბამისად მასში მონაწილეობა მხოლოდ ცალკეული პარტნიორის სურვილზეა დამოკიდებული.

თითოეული პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე მუშავდება დოკუმენტი „დაგეგმარებისა და ანალიზის შეფასება“. საუბარია აგრეთვე იმ „პარტნიორული მიზნების“ ნაკრებზე, რომელიც აყალიბებს იმ ღონისძიებათა

ნუსხას, რომლის განხორციელებაც ევალება თითოეულ პარტნიორ ქვეყანას, მისი შეიარაღებულ ძალების ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან თანამშრომლობის განვითარების მიზნით.

1997 წლის გაზაფხულზე, თანამშრომლობის შედეგების განხილვის პროცესში საფუძველი ჩაეყარა ამ თანამშრომლობის გაღრმავებას. 1997 წლის ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების თათბირზე შემუშავებულ იქნა კონკრეტული რეკომენდაციები სამხედრო დაგეგმარების პროცესის გააქტიურების კუთხით.

ვაშინგტონის 1999 წლის სამიტის მიმდინარეობისას უმაღლესი დონის ყველა შეხვედრაზე, ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის საკითხები ერთ-ერთ მთავარ თემას წარმოადგენდა. სახელმწიფოების მეთაურებმა მხარი დაუჭირეს პარტნიორობის გაღრმავების გეგმებს და მის ოპერატიულობას, რაც მათი აზრით შექმნიდა დამატებით ბერკეტებს, რომლებიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ხელს შეუწყობდნენ მისი როლის გაძლიერებაში ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების და მშვიდობის დამყარების კუთხით. სამიტის გადაწყვეტილებამ დასაბამი მისცა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის ფარგლებში, რომელთა გატარების ინიციატივა ჯერ კიდევ 1997 წელს მადრიდის სამიტზე იქნა წამოყენებული. ღონისძიებათა ნუსხა მიმართული იყო პმპ-ის ოპერატიულობისა და პარტნიორი ქვეყნების როლის ამაღლებისთვის სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარდა ამისა, განახლებულმა სტრატეგიულმა კონცეფციამ, რომელიც როგორც ვიციით ვაშინგტონში იქნა მიღებული, განსაზღვრა კრიზისების მართვის მიმართულებები და ამ კუთხით ნატოსა და პარტნიორებს შორის თანამშრომლობის აუცილებლობა. “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში თანამშრომლობის განვითარების პრიორიტეტის განხილვას ერთ-ერთი ძირითადი ადგილი დაეთმო ნატოს შემდეგი სამიტების გამართვის პერიოდშიც, კერძოდ პრატაში 2002 წელს, სტამბულში 2004 წელს და ალიანსის რიგის 2006 წელს გამართულ სამიტზე.

პარტნიორობის მთავარი შემადგენელი ნაწილები

პმპ-ის ფარგლებში მიღებულ კიდევ ერთ დოკუმენტში, რომელიც სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში ნატოს ხელმძღვანელობით თანამშრომლობას ითვალისწინებს, გათვალისწინებულია პოლიტიკურ კონსულტაციებში პარტნიორების მონაწილეობა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება, ასევე სპეცოპერაციების დაგეგმვა და ნატოს ხელმძღვანელობით ჩატარებული ოპერაციების სფეროში შეთანხმებათა განხილვა. მასში განიხილება ოთხი ფაზა: (1) კრიზისების არარსებობის პერიოდში კონსულტაციების ჩატარება; (2) კონსულტაციების გამართვა სამხედრო დაგეგმვის პროცესის ჩატარებამდე; (3) სამხედრო დაგეგმვის პერიოდიდან დაწყებული და ოპერაციის ჩატარებით დამთავრების განმავლობაში კონსულტაციების გამართვა; (4) ოპერაციის ჩატარების ფაზა.

ოპერატიული პოტენციალის გაძლიერება

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში და შემდგომში კოსოვოსა და ავღანეთში განვითარებულმა მოვლენებმა და ამ პროცესებთან დაკავშირებულმა გამოცდილებამ ნათლად წარმოაჩინა პმპ-ის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობა. ნატოსა და მისი პარტნიორი ქვეყნების სამხედრო პოტენციალის გაზრდისა და მომავალ ოპერაციებში თანამშრომლობის მიზნით პმპ-ის ჩარჩოებში ჩამოყალიბებულ იქნა ახალი კონცეფცია: “ოპერატიული

პოტენციალი”. კმასში მთავარი ყურადღება ეთმობა იმ სამხედრო საშუალებებსა და ძალებს, რომლებიც პოტენციურად შეიძლება იქნეს გამოყენებული ასეთი ოპერაციების ჩასატარებლად.

КОПოპერატიული პოტენციალი წარმოადგენს სრულიად ახალ და უფრო ინტეგრირებულ მიდგომას სამხედრო თანამშრომლობასთან დაკავშირებით და აერთიანებს “პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის სხვადასხვა ელემენტებს. КОПკონცეფციის პრინციპებზე შემუშავების უფრო მჭიდრო და მიზანმიმართული სამხედრო თანამშრომლობის ფორმები, რაც თავის მხრივ უფრო ზრდის პარტნიორი ქვეყნების მზადყოფნას შეთანხმებულად იმოქმედონ ნატოს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან. გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონცეფციის ძირითად პრინციპებზე მუშაობა დადებითად იმოქმედებს პარტნიორ ქვეყნებში შესაბამისი სამხედრო პოტენციალისა და საშუალებების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია ნატოს ხელმძღვანელობით კრიზისების მოგვარებისათვის, ეს კი გაზრდის ოპერაციების ჩატარებისას ერთობლივი მოქმედების დონეს. ასევე, ამ კუთხით თანამშრომლობა პოზიტიურ გავლენას მოახდენს სამხედრო ხარჯების რაციონალურად გამოყენებაზე და დამატებით პოზიტიურ შედეგს მოუტანს ამ პროგრამაში მონაწილეებს.

განათლებისა და წვრთნების სფეროს კოორდინაცია

პარტნიორობის ოპერატიული ასპექტის გაძლიერება გულისხმობს სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფასაც. ეს გახლავთ პმპ-ის ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავებისა და საწვრთნელი პროგრამის ნაწილი, რომელიც მიმართულია პარტნიორობის მიმდინარე და სამომავლო პრიორიტეტების დაკმაყოფილებისაკენ. ეს პროგრამა ემსახურება ძალისა და საშუალებების ოპერატიული შეთავსებადობის სრულყოფას.

პარტნიორობის პოტენციალი კრიზისების დარეგულირების სფეროში

ვაშინგტონში 1999 წელს მიღებულმა გადაწყვეტილებებმა საფუძველი ჩაუყარეს პარტნიორობის კიდევ ერთი ახალი ეტაპის დაწყებას, რომელიც დაკავშირებულია კრიზისების დარეგულირების საკითხებთან. პმპ-ის ფარგლებში კოოპერაციამ უკვე დაამტკიცა თავისი აუცილებლობა პოლიტიკურ კონსულტაციების სფეროში თანამშრომლობასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება შეეხოს კოსოვოში, ბოსნია და ჰერცეგოვინაში ან ავღანეთში ჩატარებული ოპერაციების როგორც პოლიტიკურ ასპექტებს, ასევე სხვადასხვა სამხედრო ხასიათის საკითხებს დაკავშირებულს მაგალითად განადმევით ოპერაციებთან და ა.შ.

პროგრამის ფარგლებში პრაქტიკულმა თანამშრომლობამ ხელი შეუწყო ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო დანაყოფების მომზადებას საერთო ოპერაციების ჩატარების მიზნით.

იმ პროგრამებმა, რომლებიც სპეციალურად შექმნილ იქნა ცალკეული პარტნიორი ქვეყნებისათვის, ამ უკანასკნელთა მოთხოვნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს განსაკუთრებით კოსოვოს საკითხთან დაკავშირებული კრიზისის დაძლევის საკითხში.

კრიზისების მართვასთან დაკავშირებული პროგრამები აგრძელებენ თავიანთ განვითარებას და ამ პროგრამების ფარგლებში მიღებულ იქნება ყველა ის გამოწვევა, რომლებიც დაკავშირებული იქნება ევროატლანტიკურ რეგიონში უსაფრთხოების გარემოს დინამიურ ცვლილებებთან.

სამშვიდობო სფეროში თანამშრომლობა

სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელი კომიტეტის სპეციალური ჯგუფი, რომელიც სამშვიდობო სფეროში არსებულ საკითხებზე თანამშრომლობს, წარმოადგენს სამშვიდობო ოპერაციების დარგში კონსულტაციების ორგანიზების მთავარ სტრუქტურას. თავისი საქმიანობის ფარგლებში კომიტეტი პერიოდულად ანგარიშით წარდგება საგარეო და თავდაცვის მინისტრების სხდომებზე, ხოლო კომიტეტის ყველა სხდომა პარტნიორების მონაწილეობით ტარდება.

1997 წელს პმპ-ის ფარგლებში მოქმედი კომიტეტის მიერ გამოცემული იქნა „სამშვიდობო საკითხებთან დაკავშირებით არსებული გამოცდილებისა და ხედვების დოკუმენტი“, სადაც ასახულია იმ ურთიერთგაგების მაღალი დონე, რომელიც ჩამოყალიბდა პარტნიორ ქვეყნებსა და სხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ჰუმანიტარული დახმარებების სფეროში მოღვაწეობენ.

ჯგუფი ასევე ახორციელებს პოზიციათა შეჯერებას „პრინციპები, მეთოდები და გამოცდილებები შესაძლო კონფლიქტების ადრინდელ გამოვლენასა და მოგვარების შესახებ“ დოკუმენტის ფარგლებში. ასევე დაკავებულია სხვა ამ თემაზე მომუშავე ორგანიზაციებთან კონტაქტების გადრმავეებით.

ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (EAPC)

1991 წლის ბოლოს ნატოს წევრი ქვეყნების ინიციატივითა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან კონტაქტების გადრმავეების მიზნით შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (North Atlantic Cooperation Council-NACC), რომელიც 1997 წელს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭომ (Euro-Atlantic Partnership Council-EAPC) შეცვალა. საბჭო ემსახურება მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებას ევრო-ატლანტიკურ რეგიონში, რომელიც ითვალისწინებს, რეგულარულ დიალოგს და კონსულტაციებს უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებით. (EAPC)-ის ფარგლებში იმართება მოკლევადიანი კონსულტაციები პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო საქართველოც, რომელიც გახლავთ საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი. ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობამ პარტნიორ სახელმწიფოებს და მათ შორის საქართველოს საშუალება მისცა უფრო გაეფართოებინა ნატოსთან კონსულტაციების პროცესი, სადაც თითოეულ ქვეყანას ეძლევა საშუალება დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია ევროატლანტიკურ რეგიონში თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

EAPC – ის ფარგლებში შემდეგი ძირითადი საკითხები განიხილება:

- კრიზისების რეგულირება;
- რეგიონალური საკითხები;
- დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე;
- მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები;
- თავდაცვის საკითხები, მაგალითად როგორცაა:
 - თავდაცვის დაგეგმვა
 - სამხედრო ბიუჯეტის განსაზღვრა

- პოლიტიკა და სტრატეგია
 - საგანგებო სიტუაციების მართვა;
 - სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა;
 - ბირთვული უსაფრთხოება;
 - სამხედრო-სამოქალაქო კოორდინაცია საჰაერო მოძრაობის მართვისას;

- სამეცნიერო თანამშრომლობა.

პარტნიორმა ქვეყნებმა სხვადასხვა პერიოდში დააფუძნეს თავიანთი დიპლომატიური მისიები NATO-ს შტაბ-ბინაში ბრიუსელში, რაც უფრო ქმედუნარიანს ხდის რეგულარულ ურთიერთობების დამყარებასა და სხვადასხვა, თავდაცვასა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით კონსულტაციების ჩატარებას.

EAPC-ის სხდომები ყოველწლიურად იმართება და მასში საგარეო და თავდაცვის მინისტრები მონაწილეობენ. ასევე, სხდომები ტარდება გენერალური შტაბების უფროსების დონეზეც.

თავი III. ნატოს როლი მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში

ბოსნია და ჰერცეგოვინა

როგორც უკვე აღინიშნა, "ცივი ომის" დასრულებისთანავე, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დადგა ახალი გამოწვევების წინაშე. პირველ რიგში ეს დაკავშირებული გახლდათ ნატოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ კონფლიქტების გადაწყვეტასთან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ალიანსის ჩართვა იუგოსლავიის სხვადასხვა რესპუბლიკაში არსებულ სამხედრო დაპირისპირებებში. ნატოს მიერ ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე თავისი როლის შესრულებას პოლიტიკური საფუძველი ჩაეყარა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მინისტრიალზე 1992 წლის ივნისში. მაშინ ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს თავიანტი მზადყოფნის შესახებ მხარდაჭერა აღმოეჩინათ სამშვიდობო საქმიანობისათვის ევროთათბირის ეგიდით. აქ ასევე ნაგულისხმები იყო ალიანსის გამოცდილებისა და რესურსების გადაცემა სამშვიდობო ოპერაციების შესასრულებლად.

1992 წლის დეკემბერში ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ ჩრდილოატლანტიკური კავშირი ასევე მზად იყო დახმარების აღმოეჩინაკენ გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით, რადგან ეს უკანასკნელი იღებდა მთავარ ვალდებულებას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. მინისტრების მიერ განხილულ იქნა სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები მშვიდობის მხარდაჭერისა და სანქციების რეჟიმის დაცვისა, რომელიც უკვე ხორციელდებოდა ნატოს წევრი ქვეყნების მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის თანახმად. მათ აღნიშნეს, რომ ჩრდილოატლანტიკური კავშირი მზად იყო დადებითად გამოხმაურებოდა გაეროს გენერალური მდივნის შესაძლო შემდგომ ინიციატივებს.

1992 წლიდან 1995 წლამდე პერიოდში ნატომ მიიღო რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რასაც მოჰყვა ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალების ქმედებები დასავლეთ ევროპის კავშირთან ერთად. ეს ოპერაციები, რომელთა მიზანი იყო კონტროლის დაწესება და შემდგომში გაეროს მიერ დაწესებული ემბარგოს დაცვა ადრიატიკის ზღვაში, ასევე სამხედრო-საჰაერო ძალების ოპერაციები, რომელთა მიზანი იყო ბოსნია და ჰერცეგოვინაში აკრძალული საჰაერო ზონის რეჟიმის უზრუნველყოფა. ალიანსი აგრეთვე უწევდა საავიაციო მხარდაჭერას გაეროს ძალებს.

1992 წლის ივლისში, ნატოს ხომალდებმა, რომლებიც შედიოდნენ ხმელთაშუა ზღვაში ნატოს გაერთიანებული სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში, საზღვაო ავიაციის საპატრულო თვითმფრინავების მხარდაჭერით, დაიწვეს ოპერაციების განხორციელება დაწესებული სანქციების რეჟიმის დაცვის კონტროლის მიზნით ადრიატიკის ზღვაში. ეს ქმედებები განხორციელებულ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს 713-ე რეზოლუციის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც იკრძალებოდა ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებისათვის სამხედრო შეიარაღების მიწოდება. მოგვიანებით ოპერაციებში ჩართულ იქნენ საჰაერო შორეული რადიოლოკაციური აღმოეჩინისა და მართვის თვითმფრინავები-"ავაქსები". უკვე 1993 წლის აპრილიდან დაიწყო ნატოს ოპერაცია "ღინაი ფლაით", რომელიც უზრუნველყოფდა შესაბამისი ფრენების აკრძალვას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის საჰაერო სივრცეში. ამ მიზნით ოპერაციებში პირველ ეტაპზე ჩაერთო ნატოს ორმოცდაათამდე ავიაგამანადგურებელი და ორასამდე მზვერავი თვითმფრინავი. რაც შეეხება საზღვაო აკვატორიას, აქ დაიწყო "მარკ გარდის" ოპერაციის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა ემბარგოს წესების დაცვას ადრიატიკის ზღვაში.

ოპერაციის პროცესში ნატოს ძალების მიერ გაჩერებულ იქნა 74 ათასამდე ხომალდი.

1993 წლის აგვისტოში ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ჩაეტარებინა მოსამზადებელი სამუშაოები უფრო რადიკალური სამხედრო ქმედებების მისაღებად, რაც გულისხმობდა საავიაციო დარტყმების განხორციელების შესაძლებლობას. ამ მიზნით ნატოს სამხედრო კომიტეტის რეომენდაციით, მოწონებულ იქნა დოკუმენტი "ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში საავიაციო დარტყმების ოპერატიული ვარიანტები". ნატოს მხრიდან ეს ქმედებები გამოწვეული იყო იმით, რომ სანქციების დაწესების მიუხედავად არ წყდებოდა საომარი მოქმედებები ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე ერთმანეთთან დაპირისპირებულ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

1994 წლის იანვარში, ნატოს სამიტზე ბრიუსელში ალიანსმა გამოთქვა მზადყოფნა განხორციელებინა საჰაერო დარტყმები ბოსნიის დედაქალაქ სარაევოსათვის ალყის მოსხნის მიზნით, რათა ამ ქალაქში უზრუნველყოფილიყო ჰუმანიტარული ტვირთების შეთანხმებული მოსახლეობისათვის.

1994 წლის 9 თებერვალს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ, გაეროს გენერალური მდივნის თხოვნის საფუძველზე დაავალა სამხრეთ ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, რათა ამ უკანასკნელს განხორციელებინა საავიაციო დარტყმები ბოსნიელი სერბების მიერ კონტროლირებად საარტილერიო პოზიციებზე სარაევოს გარშემო. ნატოს საბჭომ ასევე მიიღო დადგენილება, რომ ბოსნიელი სერბების კუთვნილებაში არსებული მთელი მძიმე ტექნიკა სარაევოს გარშემო უნდა გაყვანილ ყოფილიყო გაეროს მიერ დადგენილი ოცკილომეტრიანი ზონიდან. მიუხედავად ნატოს ამ მოწოდებებისა, სამხედრო ოპერაციები ბოსნიაში არ წყდებოდა და ამის გამო, 1994 წლის 28 თებერვალს ნატომ თავისი ისტორიაში პირველად განახორციელა სამხედრო ოპერაცია, რომლის დროს ნატოს ძალების მიერ ჩამოგდებულ იქნა ოთხი სამხედრო თვითმფრინავი, რომლებმაც დაარღვიეს აკრძალული ზონა ბოსნიის და ჰერცეგოვინას საჰაერო სივრცეში.

ნატოს შემდგომი ძალისხმევის შედეგად, 1994 წლის აპრილში ბოსნიელი სერბების სამხედრო ფორმირებები იძულებულები გახდნენ უკან დაეხიათ სამი კილომეტრით ბოსნიის ქალაქ გორაჟდედან, რამაც საშუალება მისცა სხვადასხვა ჰუმანიტარულ მისიებს ქალაქში შეეყვანათ ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული კოლონები.

ბოსნიელი სერბების მიერ ნატოს მხრიდან მოთხოვნების უგულვებლყოფის შემდეგ, ალიანსი კიდევ უფრო რადიკალური ზომების მიღებაზე გადავიდა, რომლის შედეგად 1994 წლის 5 აგვისტოს ნატოს თვითმფრინავებმა მიიტანეს საჰაერო დარტყმები სამხედრო ობიექტზე სარაევოს მახლობლად. მოგვიანებით, ნატოს ავიაციამ ქალაქ ოტოკთან საჰაერო დარტყმები მიიტანა ანტისაჰაერო თავდაცვის რადიოლოკაციურ სადგურზე.

ბოსნიელი სერბების პოზიციებზე პრევენტიული დარტყმები მომავალშიც გაგრძელდა. შესაბამისად სერბები იძულებულები გახდნენ დაეწყოთ ნატოსა და გაეროს მიერ შემოთავაზებული სამშვიდობო გეგმის განხილვა. უკვე 1995 წლის ნოემბერში, მშვიდობის დამყარების პერსპექტივის გამოჩენასთან დაკავშირებით, ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ კვლავ დაადასტურა თავისი მზადყოფნა მხარდაჭერა აღმოეჩინა სამშვიდობო გეგმისათვის. უკვე 1995 წლის 2 ნოემბერს დეიტონში (აშშ, ოჰაიოს შტატი), პარაფირებულ იქნა სამშვიდობო შეთანხმება ბოსნია ჰერცეგოვინას, ხორვატიასა და იუგოსლავიას შორის. ხოლო, 1995 წლის 14 დეკემბერს პარიზში ხელი მოეწერა ბოსნიის სამშვიდობო შეთანხმებას.

ამრიგად, იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად გამოიყენა თავისი სამხედრო პოტენციალი ნატოს საზღვრებს გარეთ - სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, ნათელი

გახდა, რომ ამ აქციით ნატომ "გადალახა რუბიკონი", რითაც შეიქმნა დადებითი პრეცედენტი მომავალში ალიანსის საზღვრებს გარეთ მოქმედებისათვის. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია აღინიშნოს, რომ 1999 წლის ნატოს ვაშინგტონის სამიტზე მიღებული ახალი სტრატეგიული კონცეფციის ჩამოყალიბებაში ალიანსის მიერ ბოსნიაში ჩატარებულმა სამხედრო და შემდგომში სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებამ ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა.

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში სამ ეთნიკურ ჯგუფს შორის სამხედრო კონფლიქტის დაწყების შემდეგ ნატომ თავისი ძალისხმევა არ დაიშურა კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის მიზნით, ამიტომაც ნატოს იძულებითი სამხედრო ჩარევა ბოსნიის კონფლიქტში იყო ეტაპობრივი და საკმაოდ ხანგრძლივი პროცესის შედეგი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამი წლის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებებმა, სადაც ჩართულნი იყვნენ ნატოს წევრი ცალკეული ქვეყნები და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების სხვადასხვა სამშვიდობო ინიციატივებმა, და თვით ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არაერთგზის მოწოდებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიყო. მეორე მსოფლიო ომის დასრულების თითქმის 40 წლის შემდეგ პირველად შეაგულ ევროპაში ხორციელდებოდა არნახული ძალადობა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც ეთნიკურ წმენდაში გადავიდა. ბოსნიის ომის დროს ნათლად გამოჩნდა, რომ გაერო-რომელსაც საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად ეკისრებოდა მთავარი პასუხისმგებლობა შეეჩერებინა კონფლიქტი, ქმედუუნარო აღმოჩნდა განხორციელებინა გადამწყვეტი ღონისძიებები მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით. ამიტომაც ნატოს წინაშე დადგა მეტად მნიშვნელოვანი არჩევანი, ალიანსს ან ბედის ანაბარა უნდა მიეტოვებინა ბოსნიის მოსახლეობა, ან მიეღო უმკაცრესი ზომები კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით.

აქედან გამომდინარე ალიანსის მხრიდან უმოქმედობა მნიშვნელოვნად შელახავდა ნატოს ავტორიტეტს, რადგანაც ეს ორგანიზაცია განიხილებოდა ევროპაში უშიშროების მთავარ გარანტად როგორც მისი წევრების, ასევე პარტნიორი ქვეყნების მიერ. დასავლეთის პრესის ფურცლებზე სულ უფრო ხშირად გაისმოდა მოწოდება გადამდგარიყო კონკრეტული ნაბიჯების ძალადობის ესკალაციის შეჩერების მიზნით.

იმისათვის, რომ ალიანსს თავის თავზე აეღო ბოსნიაში მშვიდობის უზრუნველყოფა, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ნატოს ქვეყნების ერთიანი პოლიტიკური ნება. ალიანსის რიგებში კი აშკარად იგრძნობოდა წევრი სახელმწიფოების პოზიციათა სხვადასხვაობა, განსაკუთრებით კი აშშ-სა და ევროპელ მოკავშირეებს შორის. ეს პირველ რიგში გამოწვეული იყო იმით, რომ ვაშინგტონი ბოსნიის კონფლიქტს განიხილავდა ევროპის შინაურ საქმედ და სწორედ ამიტომ აშშ-ის ადმინისტრაცია ნატოს ევროპელი მოკავშირეებისაგან მოითხოვდა ქმედითი ნაბიჯების განხორციელებას. მეორე მხრივ, ევროპელებიც ნათლად ხედავდნენ, რომ კონფლიქტი ბოსნიაში საფრთხეს წარმოადგენდა მთელი კონტინენტისათვის, თუმცა მიუხედავად ევროპელების მცდელობისა ხელში აეღოთ ინიციატივა, რეალური შედეგი არ ჩანდა.

სიტუაციას ართულებდა ის ფაქტიც, რომ ბოსნიაში მშვიდობის ძალისმიერო მეთოდებით დამყარებისათვის საჭირო იყო გაერო-ს უშიშროების საბჭოს შესაბამისი მანდატის მიღება, რაც წარმოადგენდა საკმაოდ პრობლემურ ამოცანას უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის - რუსეთის პოზიციის გამო, რომელიც არ მალავდა სერბების მიმართ თავის სიმპატიებს. მიუხედავად ამისა, ნატოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებათა პროცესის შედეგად მოსკოვი კოსოვოს კონფლიქტისაგან განსხვავებით იმ ეტაპზე დათანხმდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ რეზოლუციის მიღებაზე. თუმცა აქ საუბარი იყო

გაეროს მიერ მიღებულ იმ რეზოლუციაზე, სადაც საუბარი იყო ნატოსათვის შესაბამისი მანდატის მინიჭებაზე უშიშროების ზონებისა და გაეროს პერსონალის დაცვის მიზნით, ამიტომაც რუსეთის ხელისუფლების აშკარა გაღიზიანება გამოიწვია ნატოს მიერ ბოსნიელი სერბების პოზიციებზე პრევენციული დარტყმების განხორციელებამ. შესაბამისად რუსეთმა მოგვიანებით დაადანაშაულა ნატო გაეროს მანდატის პირობების დარღვევაში. შესაბამისად ბოსნიის კონფლიქტმა დაძაბა ურთიერთობა ნატოსა და რუსეთს შორის.

1995 წლის 11 სექტემბერს ნატოში რუსეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბოსნიაში ნატოს ქმედებები წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეშ დარღვევას, ამიტომაც საფრთხე ემუქრებოდა რუსეთსა და ნატოს შორის გაფორმებულ ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამას.

კიდევ უფრო მკაცრი გახლდათ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის განცხადებები. თავის გამოსვლებში იგი ნატოს აკრიტიკებდა არა მხოლოდ ბოსნიაში წარმოებული სამხედრო ოპერაციების გამო, არამედ მის უფრო დიდ გაღიზიანებას იწვევდა ნატოს აღმოსავლეთით მოსალოდნელი გაფართოება. თავის გამოსვლაში პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ რუსეთის საზღვრებთან ნატოს მიახლოება ნიშნავდა ორი სამხედრო ბლოკის წარმოქმნასა და “ცივი ომის” პერიოდისაკენ დაბრუნებას.

რუსეთის ნეგატიური პოზიციის მიუხედავად, ალიანსმა გამოიჩინა თავისი მტკიცე პოზიცია, რამაც საბოლოოდ გამოიწვია “დეიტონის შეთანხმების” ხელმოწერა 1995 წელს და შესაბამისად საომარი მოქმედებების შეჩერება ბოსნიაში.

იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკაში საომარი მოქმედებების შეჩერების შემდეგ დღის წესრიგში მწვავედ დადგა სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში შეყვანის, მათი მოქმედების კონცეფციისა და გეგმის შემუშავების საკითხი. ეს არ გახლდათ ადვილი ამოცანა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ნატოს თავის ისტორიაში პირველად უნდა განეხორციელებინა სამშვიდობო მისია რაც ალიანსს დიდი გამოცდის წინაშე აყენებდა.

ნატოში სამშვიდობო ოპერაციისათვის მზადება დაიწყო ჯერ კიდევ საომარი მოქმედებების დასრულებამდე და დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერამდე. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნატოს ხელმძღვანელობით ბოსნიაში ასეთი ოპერაციების ჩატარების გეგმები ჩრდილოატლანტიკურმა საბჭოს მიერ ჯერ კიდევ 1995 წლის ივნისში იქნა დამტკიცებული. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამშვიდობო გეგმების განხილვა მიმდინარეობდა არა მხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნების მონაწილეობით, არამედ ეს გეგმები პარტნიორ ქვეყნებს (მათ შორის საქართველოსაც) გააცნეს. 1995 წლის 20 ოქტომბერს ნატოში გამართული საკოორდინაციო ჯგუფის გაფართოებულ შეხვედრაზე, ალიანსის შესაბამისი სამხედრო სამსახურების მიერ წარმოდგენილ იქნა ე.წ. იმპლემენტაციის ძალების, ანუ IFOR-ის მოქმედების კონცეფცია. ამ დოკუმენტში განსაზღვრული იყო კონფლიქტის ზონაში IFOR-ის ეტაპობრივ შეყვანა, რაც ითვალისწინებდა იმ დროისათვის ბოსნიაში განლაგებული გაეროს სამშვიდობო ძალების შეცვლას ნატოს ძალებით. გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ IFOR – ის მანდატის განსაზღვრა. იგი უშუალოდ უნდა დაექვემდებარებოდა ნატოს. სამშვიდობო ოპერაციებს უხელმძღვანელებდა ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა (SHAPE).

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ე.წ. იმპლემენტაციის ძალების შემადგენლობაში არ იქნებოდნენ წარმოდგენილები მხოლოდ ნატოს წევრი სახელმწიფოები, რადგან IFOR-ში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა პპპ-ის

ზოგიერთმა ქვეყანამ ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპიდან, მათ შორის უკრაინამ, ესტონეთმა, ლატვიამ, ლიტვამ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, “ბოსნიის სამშვიდობო შეთანხმებას” კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა ხელი მოაწერეს პარიზში 1995 წლის 14 დეკემბერს. უკვე მეორე დღეს, 15 დეკემბერს კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც IFOR-ს დაევალა ამ შეთანხმების სამხედრო ნაწილის განხორციელება. შესაბამისად მომდევნო დღეების განმავლობაში ბოსნიაში დაიწყო 60-ათასიანი კონტინგენტის ეტაპობრივი განთავსება. სამშვიდობო ოპერაციის სახელი გახლდათ “Joint Endeavour”.

დეიტონის შეთანხმება ითვალისწინებდა IFOR-ისათვის ფართო ფუნქციების მინიჭებას, რაც ითვალისწინებდა დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორებასა და ცეცხლის შეწყვეტას, აგრეთვე სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირებებისათვის მძიმე შეიარაღების ჩამორთვევას.

სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების პროცესში ნატომ რუსეთთან კონფრონტაციის შემცირების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ორ მხარეს შორის გაფორმდა სპეციალური შეთანხმება, რომლის მიხედვითაც 1996 წლის იანვრიდან შესაძლებელი გახდა რუსეთის სამშვიდობო ოპერაციებში ჩართვა.

სამშვიდობო ოპერაციების დაწყებიდან ერთი წლის თავზე სამშვიდობო ოპერაციამ ბოსნიაში მასშტაბური ხასიათი მიიღო რისი ნათელი დადასტურებაცაა სამშვიდობო პროცესის პოლიტიკური ნაწილის გააქტიურება, რომლის შედეგადაც 1996 წლის სექტემბერში ბოსნიაში არჩევნები ჩატარდა.

ამის შემდგომ ნატოს ხელმძღვანელობამ ჩათვალა, რომ IFOR-მა წარმატებით დაასრულა მასზე დაკისრებული მისია, ამიტომაც უკვე შეიქმნა ხელსაყრელი ნიადაგი, რომ ნატოს სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა ბოსნიის ტერიტორიაზე შემცირებულიყო, ამიტომაც 1996 წლის 12 დეკემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ “დეიტონის ხელშეკრულების” სამხედრო ასპექტების შესრულება დააგადა IFOR-ის კანონიერ “შემკვიდრეს”-სტაბილიზაციის ძალებს (SFOR). შესაბამისად განისაზღვრა ამ უკანასკნელის ახალი ფუნქციები და ამოცანები, ხოლო მისიის სამხედრო კონტინგენტის რაოდენობა განისაზღვრა 31 ათასი სამხედრო მოსამსახურით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ოპერაციაში ნატოს ქვეყნებთან ერთად მონაწილეოდნენ ალიანსის პარტნიორი სახელმწიფოებიც.

SFOR-მა, IFOR-ის მსგავსად, წარმატებით შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები, რის შედეგადაც, უკვე 2005 წლიდან ბოსნიის ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციების შესრულება დაევალა ევროკავშირს.

ნატოს ეგიდით ჩატარებული ოპერაციების დროს, პრაქტიკულად ამოქმედებულ იქნა ის სამხედრო კონცეფცია, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის 1994 წლის ბრიუსელის სამიტზე და რომელზე მუშაობა შემდეგ წლებშიც მიმდინარეობდა. აქ პირველ რიგში საუბარია ე.წ. კომბინირებული ერთობლივი სამხედრო დანიშნულების ძალების კონცეფციაზე. მის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა ისეთი მობილური ძალების შექმნა, რომლებიც შეძლებდნენ ალიანსის ფარგლებს გარეთ “ახალი საფრთხეების” წინააღმდეგ ბრძოლას. ამ მობილურ, მრავალეროვნულ ძალებში ჩართულნი იყვნენ ალიანსის პარტნიორ ქვეყნებიც, რომელთა სამხედრო კონტინგენტები ნატოს წევრი ქვეყნების საჯარისო ფორმირებებთან ერთად მოწოდებულნი იყვნენ ალიანსის ხელმძღვანელობით სხვადასხვა სახის ამოცანების, მათ შორის სამშვიდობო და ჰუმანიტარული ოპერაციების ჩასატარებლად.

ამრიგად, ბოსნიაში ნატოს ხელმძღვანელობით ჩატარებული სამშვიდობო ოპერაციების შედეგად შეიქმნა უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი-დაგროვდა

ანალოგიური და სხვა სახის ოპერაციების განხორციელებისათვის საჭირო სამხედრო-პოლიტიკური გამოცდილება და ამუშავდა შესაბამისი მექანიზმები.

ნატოს სამხედრო ოპერაციები კოსოვოში

იუგოსლავიაში კომუნისტური მმართველობის პერიოდში 1989 წლამდე, უმეტესწილად ალბანელებით დასახლებულ კოსოვოს მხარეს გააჩნდა ფართო ავტონომია სერბეთის მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში. თუმცა 1989 წელს, იუგოსლავიის ყოფილმა პრეზიდენტმა სლობოდან მილოშევიჩმა გააუქმა კოსოვოს ავტონომიური სტატუსი, დაუქვემდებარა რა იგი ბელგრადის უშუალო მმართველობას, რამაც ადგილობრივი ალბანელების აღშფოთება გამოიწვია.

სიტუაციამ კულმინაციას მიაღწია 1998 წელს, როდესაც სერბ პოლიციელებსა და “კოსოვოს განთავისუფლების არმიის” მებრძოლებს შორის ღია კონფლიქტის შედეგად, დაიღუპა 1500-მდე ადამიანი, ხოლო 400 ათასამდე ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი.

ამასთან დაკავშირებით, 1998 წლის 26 მაისს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების სესიაზე, კოსოვოს მიმართ განსაზღვრულ იქნა ნატოს ორი მთავარი მიზანი, კერძოდ:

- კრიზისის მშვიდობიანი გზით დარეგულირება;

- სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეზობელ სახელმწიფოებში, სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნებოდა ალბანეთსა და მაკედონიაზე.

1998 წლის 12 აგვისტოს გაგრძელდა ალიანსის გენერალური მდივნის განცხადება, სადაც აღნიშნული იყო რომ კოსოვოში სამხედრო დაპირისპირებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ძალადობის გაგრძელების შემთხვევაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იძულებული იქნებოდა დაეგეგმა შესაძლო სამხედრო-სამშვიდობო ოპერაციები კრიზისის აღმოფხვრის მიზნით.

უკვე თვენახევრის შემდეგ, 1998 წლის 24 სექტემბერს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ ისევ განიხილა კოსოვოში შექმნილი ვითარება და გამოაცხადა, რომ ალიანსი მზად იყო საჭიროების შემთხვევაში საჰაერო კამპანიის დასაწყებად.

იმავე წლის 9 ოქტომბერს ნატო-რუსეთის ერთობლივი საბჭოს სხდომაზე ორივე მხარემ მხარი დაუჭირა საერთაშორისო ძალისხმევის გაძლიერებას კრიზისის საბოლოო მოგვარების მიზნით.

კონფლიქტის პრევენციის მიზნით 24-25 ოქტომბერს ნატოს მაღალჩინოსნები, გენერლები უესლი კლარკი და კ. ნაუმანი ეწვივნენ ბელგრადს და შეხვდნენ იუგოსლავიის პრეზიდენტ მილოშევიჩს. ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ბელგრადი ძალადობის შეჩერების აუცილებლობაში.

აღსანიშნავია, რომ ნატოს უმაღლესი სამხედრო პირების ვიზიტმა და საერთო ჯამში ნატოს დიპლომატიუმმა აქტიურობამ დროებითი შედეგი გამოიღო, რაც აღნიშნულ იყო კიდევ ნატოს გენერალური მდივნის 27 ოქტომბრის განცხადებაში, სადაც იგი მიესალმებოდა ნატოს მესვეურებსა და იუგოსლავიის პრეზიდენტის შეხვედრას.

საერთო ჯამში აუცილებელია აღინიშნოს, რომ კოსოვოში არსებული დაძაბული ვითარების მიმართ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დამოკიდებულება ხასიათდებოდა გარკვეული სირთულეებითა და წინააღმდეგობებით. თუმცა, საბოლოოდ ამ პრობლემის არსებობამ უდიდესი გავლენა მოახდინა ნატოში შემდგომ ცვლილებებზე დადებითი მიმართულებით,

რადგანაც მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას (გაეროს ავტორიტეტის დაცემის პარალელურად) და მისი ფუნქციების და მიზნების თანამედროვე რეალობასთან მისადაგებას. კოსოვოში ნატოს მოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების ახლებურად გააზრების საქმეში, რაც უპირველეს ყოვლისა გამოწვეული იყო იმით, რომ შეიქმნა პრეცედენტი რომ ნატოს ალიანსის ფარგლებს გარეთ განხორციელებინა ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, რომლის მთავარი მიზანი გახლდათ ეთნიკური წმენდის თავიდან აცილება, ძალადობის შეჩერება. ეს მთლიანობაში კი ემსახურებოდა სამართლიანობის აღდგენასა და ზნეობრივი პრინციპების დაცვას. გარდა ამისა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც დემოკრატიული ქვეყნების ალიანსმა სამართლიანობის აღდგენა და ზნეობრივი და მორალური ფასეულობების დაცვის პრინციპები არსებულ საერთაშორისო ნორმებზე მაღლა დააყენა და როდესაც ალიანსის ყოველგვარმა მცდელობამ კოსოვოში არსებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა არ მოიტანა რეალური შედეგი იუგოსლავიის ხელისუფლების არაკონსტრუქციული პოზიციის გამო, ნატო იძულებული იყო განხორციელებინა სამხედრო ოპერაცია სუვერენული სახელმწიფოს (იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის) წინააღმდეგ, რისი მიზეზიც როგორც ცნობილია გახლდათ ის მასშტაბური ეთნიკური წმენდა, რომელსაც მილოშევიჩის რეჟიმი ატარებდა კოსოვოელი ალბანელების, ანუ ამ ქვეყნის ეთნიკური უმცირესობის წინააღმდეგ.

საერთაშორისო სამართლის კუთხით ამ ოპერაციის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ის იყო, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში მისი მუდმივი წევრების - რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის პოზიციების გამო, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ იუგოსლავიის ტერიტორიაზე ნატოს მიერ სამხედრო ოპერაციების განხორციელებას, ალიანსს იძულებულს ხდიდა ეწარმოებინა სამხედრო კამპანია გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე.

მას შემდეგ, რაც კოსოვოში სიტუაცია მნიშვნელოვნად გართულდა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დადგა დილემის წინაშე, რომელიც დასავლეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობისა და პოლიტიკური წრეების ფართო განხილვის საგნად იქცა. არსებული პრობლემა მდგომარეობდა იმაში, რომ დასავლეთის წინაშე იდგა მეტად რთული საკითხი, კერძოდ რა პოლიტიკა უნდა გაეტარებინა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს იმ შემთხვევაში, თუკი ნატოს ძალისხმევა და მისი პოლიტიკური ზეწოლა იუგოსლავიის ხელმძღვანელობაზე შედეგს არ გამოიღებდა და მილოშევიჩის ანტიდემოკრატიული რეჟიმი კვლავ გააგრძელებდა კოსოვოელი ალბანელების დევნასა და რეპრესიებს. ნათელი იყო, რომ ამ შემთხვევაში, რაღაც ეტაპზე ნატო ბოსნიის კონფლიქტის მსგავსად იძულებული გახდებოდა გამოეყვებინა სამხედრო ძალა, თუმცა აქ როგორც უკვე აღინიშნა სიტუაციას ართულებდა საერთაშორისო სამართალში არსებული ნორმები, რომელთა საფუძველზე ძალის გამოყენება და მშვიდობის იძულებითი დამყარება შესაძლებელი იქნებოდა გაეროს წესდების VII მუხლის საფუძველზე, ხოლო ამ მუხლის პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღების შემდეგ, თუმცა ამის გაკეთება ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა, რადგან უკვე ცნობილი იყო რომ რუსეთი, სერბების მიმართ თავისი ცნობილი სიმპატიების გამო უთუოდ გამოიყენებდა ვეტოს უფლებას უშიშროების საბჭოში. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, თუ ნატო დაიცავდა სამართლის არსებულ ნორმებს, იგი იძულებული იქნებოდა დათანხმდებოდა იუგოსლავიის რეტროგრადული ხელისუფლების მიერ იმავე სამართლის ელემენტარული ნორმების უხეშ დარღვევას, პირველ რიგში კი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის, ადამიანის უფლებათა დაცვის ხელყოფას.

მოვლენათა ასეთი სცენარის მიხედვით განვითარებას შეეძლო უაღრესად დიდი და შესაძლოა გამოუსწორებელი ზიანი მიეყენებინა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ავტორიტეტისათვის, და ეს იმ დროს, როდესაც ალიანსის როლი ევროატლანტიკურ სივრცეში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ნატო არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში აღიქმებოდა როგორც უსაფრთხოებისა და სამართლიანობის დაცვის მთავარი გარანტი. ამ ფაქტს ნატოს ხელმძღვანელობა კარგად აცნობიერებდა.

ამასთანავე პრობლემა დაკავშირებული იყო არა მხოლოდ ნატოს ავტორიტეტის შესაძლო შელახვასთან, არამედ კოსოვოში ძალადობის გაგრძელებას შეეძლო დამანგრეველი გავლენა მოეხდინა მეზობელ ქვეყნებზე და შესაძლოა მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კონფლიქტში კოსოვოელი ალბანელების დაცვის მიზნით, შესაძლოა ჩართულიყო ალბანეთიც, ასევე მაკედონიის ალბანური მოსახლეობა, რომელიც ამ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს შეადგენდა. ამიტომაც ნატო ბელგრადის პარანოიდული პოლიტიკის გამო ვერ დაუშვებდა ბალკანეთში ახალი კონფლიქტური კერისა და ევროპული, ანუ საერთაშორისო კრიზისის წარმოქმნას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამისთვის ძალის გამოყენება დასჭირდებოდა.

მეორეს მხრივ, დასავლეთში კარგად აცნობიერებდნენ იმ საშიშროებასაც, რომელიც ნატოს მიერ კოსოვოს კონფლიქტში ჩარევის შემთხვევაში შეიქმნებოდა ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობებში, და ეს იმ დროს, როდესაც მოსკოვში სულ უფრო ძლიერდებოდა ანტიდასავლური ტენდენციები, შესაბამისად სავსებით რეალური იყო, რომ გაეროს გვერდის ავლით-შესაბამისად რუსეთის თანხმობის გარეშე ალიანსის მიერ კოსოვოს პრობლემის მოგვარების მცდელობა რუსეთის დაკარგვის ტოლფასი შეიძლება გამხდარიყო.

წინააღმდეგობებით აღსავსე სიტუაციის გამო, ნატოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც დაკავშირებული იყო ძალის გამოყენება-არგამოყენების შორის პრინციპული არჩევანის გაკეთებასთან, სჭირდებოდა მოკავშირეთა მტკიცე სოლიდარობა და გაბედული ნაბიჯების გადადგმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნატოს მიერ კოსოვოს კონფლიქტთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კოსოვოში ვითარების განმუხტვის მიზნით დასავლეთმა მიმართა მრავალმხრივ დიპლომატიურ აქტიურობას. ამ პროცესში ჩართულნი იყვნენ წამყვანი სახელმწიფო მოღვაწეები, ექსპერტები და ევროატლანტიკური სტრუქტურების წარმომადგენლები. ეს საკითხი ძირითად თემად იქცა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოშიც. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნატო ფართო კონსულტაციებს აწარმოებდა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოშიც, სადაც ნატოს წევრი ქვეყნებისა და პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით სხვადასხვა დონეზე განიხილებოდა კოსოვოში შექმნილი ვითარება. ამ განხილვის უმნიშვნელოვანესი ასპექტი გახლდათ მშვიდობის დაცვის სფეროში ნატოსა და პარტნიორების პრაქტიკული თანამშრომლობის მეთოდებისა და ფორმების შემუშავება, რომელთა მიზანსაც ევროატლანტიკურ სივრცეში მშვიდობის დაცვა წარმოადგენდა. ეს კონსულტაციები მოგვიანებით კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციაში გადაიზარდა.

ზემოაღნიშნული პრობლემებისა და დაბრკოლებების მიუხედავად, კოსოვოსა და მთლიანად რეგიონში არსებული პოლიტიკური ვითარება აიძულებდა ალიანსს უფრო რადიკალური ზომები გაეტარებინა, რადგან რამდენიმერაუნდიანი მოლაპარაკებათა პროცესის მიუხედავად 1999 წლის დასაწყისიდან იუგოსლავიის ხელისუფლებამ განახლებული ძალებით მიმართა რეპრესიებს კოსოვოელი ალბანელების წინააღმდეგ, რაც იწვევდა ე.წ. კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგობას. მშვიდობიანი მოსახლეობა

იძულებული იყო მასიურად დაეტოვებინა თავიანთი საცხოვრებელი სახლები. უკვე 1999 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ლტოლვილთა რაოდენობამ 210 ათასს მიაღწია. ევროპის შუაგულში იქმნებოდა ჰუმანიტარული კატასტროფის რეალური საშიშროება. დასავლეთის მედიასა და ფართო საზოგადოებრივ წრეებში სულ უფრო ხმამაღლა გაისმოდა ნატოს მიმართ კრიტიკა უმოქმედობის გამო.

იუგოსლავიის ხელისუფლების ანტისახალხო პოლიტიკის გატარების ფონზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სულ უფრო სერიოზულად განიხილებოდა ძალის გამოყენების ალტერნატივა, რისთვისაც ალიანსის შესაბამის სამხედრო სტრუქტურებში სერიოზული სამხედრო მზადება დაიწყო.

სამხედრო სამზადისის მიუხედავად, აქცენტი კვლავ კეთდებოდა კრიზისის პოლიტიკურ მოგვარებაზე. ალიანსის აქტიურობისა და საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, ბელგრადის ხელისუფლება იძულებული გახდა განეახლებინა მოლაპარაკებები კოსოვოელ ალბანელებთან. მოლაპარაკებათა პროცესი გაიმართა 1999 წლის 6 თებერვალს საფრანგეთის ქალაქ რამბუიეში. მოლაპარაკებათა პროცესის სირთულე მდგომარეობდა იმაში, რომ სერბები, რომლებიც თვლიდნენ კოსოვოს იუგოსლავიის შემადგენელ ნაწილად, არ თანხმდებოდნენ კოსოვოში ნატოს სამშვიდობო ძალების განლაგებას, რაშიც მათ მხარდაჭერას უცხადებდა რუსეთი. თავის მხრივ, საკუთარ პოზიციას აფიქსირებდნენ კოსოვოელი ალბანელებიც, რომლებიც უარს აცხადებდნენ განიარაღებაზე, თუ ისინი კოსოვოს პოლიტიკური სტატუსის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების გარანტიებს არ მიიღებდნენ. საბოლოო ჯამში, დასავლეთის პოლიტიკური წრეების აქტიურობის შედეგად შესაძლებელი გახდა კოსოვოელ ალბანელთა დათანხმება შეთავაზებულ წინადადებაზე, მაგრამ ბელგრადის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო მარტის თვეში მოლაპარაკების პროცესი ჩაიშალა.

მარტის დასაწყისში ნატომ არაერთხელ გააფრთხილა ბელგრადის ხელისუფლება, რომ თუ იგი არ შეწყვეტდა სამხედრო ოპერაციებს და სამართლებრივი ნორმების უხეშ დარღვევას კოსოვოში, რის შედეგადაც ხორციელდებოდა ძალადობა კოსოვოს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, და ასევე თუ იუგოსლავიისათვის მიუღებელი იქნებოდა რამბუიეში შეთავაზებული წინადადებები, ალიანსი იძულებული იქნებოდა დაეწყო სამხედრო ოპერაცია. მიუხედავად ამ მოწოდებისა, მილოშევიჩის რეჟიმმა იგნორირება გაუკეთა ნატოს წინადადებებს, რის საპასუხოდაც 1999 წლის 24 მარტს ნატოს თავდაცვის პოლიტიკისა და შეიარაღებული ძალების დაგეგმვის სამსახურის დირექტორმა მიიღო გადაწყვეტილება ოპერაცია “გაერთიანებული ძალების” დაწყების შესახებ, რის შემდეგ იუგოსლავიის სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ საჰაერო რეიდების განხორციელება სხდომის დამთავრებიდან რამდენიმე საათში დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ნატომ გამოხატა თავისი მზადყოფნა დაეცვა ჟენევის 1949 წლის კონვენციის ყველა ნორმა და ოპერაცია განხორციელდებინა მხოლოდ იუგოსლავიის სამხედრო ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ და მიეღო ყველა ზომა “თანმდევრი ზიანის” (Collateral damage) თავიდან ასაცილებლად, რაც თავის მხრივ ითვალისწინებდა სამოქალაქო ობიექტებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას. სამხედრო ოპერაციის მთავარ მიზნად დასახელდა იუგოსლავიის სამხედრო პოტენციალის შესუსტება და აქედან გამომდინარე, კოსოვოში ჰუმანიტარული კატასტროფის საშიშროების მასშტაბების შემცირება.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა სამხედრო კამპანიის შესახებულად იუგოსლავიის ხელმძღვანელობისაგან ხუთი ძირითადი პირობის შესრულება მოითხოვა:

- სამხედრო ოპერაციებისა და ძალადობის შეწყვეტა კოსოვოში;

- კოსოვოდან იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების გამოყვანა;
- კოსოვოში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგება;
- ლტოლვილების დაბრუნება თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში და თანამშრომლობის დაწყება საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან, რათა ამ უკანასკნელთ საშუალება მისცემოდათ დახმარება გაეწიათ მშვიდობიანი მოსახლეობისათვის;
- კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების მიზნით რამბუიეში დაწყებული პროცესის გაგრძელება.

ნატოს გადაწყვეტილება სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ წარმოადგენდა ახალ ეტაპს ალიანსის 50-წლიან ისტორიაში. ალიანსის მხრიდან ამ გაბედულ ნაბიჯს თვისობრივი ცვლილება შეჰქონდა არა მარტო ალიანსის კონცეფციაში, არამედ საერთაშორისო სამართალშიც. ნატო და მისი წევრი სახელმწიფოები მყარად აფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტი არ უნდა იყოს იმუნიტეტი კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩასადენად. ამგვარად, ნატო თავის მოქმედებაში საერთაშორისო სამართალზე მაღლა მორალურ საწყისსა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპს ანიჭებდა უპირატესობას და ეს შეიძლება ჩაითვალოს რევოლუციური მოვლენად, რადგან ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არსებული რეალობების გათვალისწინებით გარკვეულწილად თავის თავზე იღებდა გაეროს უფლებას მიეღო გადაწყვეტილება სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყნის ხელისუფლება კაცობრიობის წინაშე დანაშაულს ახორციელებს.

1999 წლის 10 ივნისს, ნატოს მიერ სამხედრო კომპანიის განხორციელების შედეგად, რომელიც გრძელდებოდა სამოცდა ჩვიდმეტი დღის განმავლობაში, ნატოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ მან მისცა დავალება ევროპაში ნატოს გაერთიანებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს ნატოს ავიაციის მიერ სამხედრო მოქმედების შეჩერების შესახებ. ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსთან კონსულტაციების გამართვისა და გენერალ კლარკის ინფორმაციის თანახმად, რომლის მიხედვითაც დაიწყო იუგოსლავიის ჯარების გაყვანა კოსოვოდან.

იუგოსლავიის შეიარაღებული ძალების გამოსვლა კოსოვოდან დაიწყო სამხედრო-ტექნიკური ხასიათის შეთანხმების შედეგად, რომელსაც ნატოსა და იუგოსლავიას შორის ხელი მოეწერა 1999 წლის 9 ივნისს. ჯარების გაყვანა ასევე შეესაბამებოდა შეთანხმებებს, რომელიც მიღწეულ იქნა 3 ივნისს იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკისა და ევროკავშირისა და რუსეთის სპეციალურ დავალებათა ელჩებს შორის. ამ მოლაპარაკებების დროს ევროკავშირის მხარეს წარმოადგენდა ფინეთის პრეზიდენტი აჰტისაარი, ხოლო რუსეთის მხარეს ამ ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ჩერნომირდინი.

1999 წლის 10 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო 1244-ე რეზოლუცია, სადაც იგი მიესალმა იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის მიერ კოსოვოს კრიზისის დარეგულირების პრინციპების მიღებას, მათ შორის მიმართულს ძალადობის შეწყვეტისა და სამხედრო კონტინგენტის გაყვანისაკენ.

ასევე გაცხადებულ იქნა, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება კოსოვოში გაეროს ეგიდით სამხედრო და სამოქალაქო დამკვირვებლების გაგზავნის შესახებ.

კოსოვოში პირველი დანაყოფები შევიდნენ 1999 წლის 12 ივნისს. სამხედრო-ტექნიკური შეთანხმების თანახმად, კოსოვოს ძალები (KFOR) შეადგენდა 50 ათასს სამხედრო მოსამსახურეს. თავდაპირველად ნატოს ერთიანი სარდლობის ქვეშ კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციებში ჩაერთო ნატოს წევრი 18 სახელმწიფოს სამხედრო კონტინგენტი (ისლანდია კოსოვოში გააგზავნა

სამედიცინო პერსონალი), და ასევე 20 ქვეყნის სამხედრო წარმომადგენლები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ ნატოს წევრ ქვეყნებს.

მთელი ამ კრიზისის განმავლობაში, ნატოს ძალები იმყოფებოდნენ პირველ რიგებში ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენისა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში დაბრუნების ხელშეწყობის კუთხით.

გარდა ამისა, კოსოვოში არსებული სიტუაცია მომდევნო წლებშიც იმყოფებოდა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ყურადღების ცენტრში.

2001 წლის გაზაფხულზე, კოსოვოს საზღვართან მომხდარი შეტაკების დროს, რომელიც მოხდა ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის სამხედრო ძალებისა და კოსოვოში არსებული ექსტრემისტულ დაჯგუფებებს შორის, KFOR-მა განახორციელა დამატებითი ღონისძიებები, მათ შორის გაძლიერდა სახმელეთო და საჰაერო პატრულირება, კონტრაბანდასთან და იარაღის ამოღებასთან ბრძოლა. ასევე უფრო გააქტიურებულ იქნა სხვადასხვა ტიპის სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება.

აგრეთვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების პირველ ეტაპზევე, კოსოვოში გადმოსროლილ იქნა 4666 ტონა საკვები და მედიკამენტები, 4325 ტონა სხვა დანიშნულების საგნები, 2624 ტონა ტვირთი კარგებთან ერთად და დაახლოებით 1600 ტონამდე სამედიცინო მოწყობილობა და მედიკამენტები.

ნატოს აქტიურობის შედეგად თავიანთ სახლებში დაბრუნება შეძლო დაახლოებით 1 მლნ. 300 ათასამდე იძულებით გადაადგილებულმა პირმა.

2007 წლის მონაცემებით, კოსოვოში განლაგებულია ნატოს დაახლოებით 16 ათასიანი კონტინგენტი.

ავღანეთი

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ნატოს სარდლობის ქვეშ მყოფი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალებმა (ISAF) ავღანეთში თავიანთი მოღვაწეობა დაიწყო 2003 წლის აგვისტოდან. ერთი წლის შემდეგ ნატოს ძალებმა მიიღეს გადაწყვეტილება მომდევნო ეტაპზე ავღანეთში გაგზავნილ ყოფილიყო დამატებითი კონტინგენტი, ე.წ. “აღდგენის პროვინციული ჯგუფები”.

ისაფ-ის გაფართოებული ყოფნა მიმდინარეობს ცხრა პროვინციაში ქვეყნის ჩრდილოეთით, საერთო ფართობით 185 ათასი კვადრატული კილომეტრი, მათ შორის 3600 კვადრატულ კილომეტრს ქაბულთან და მის შემოგარენთან.

ავღანეთში თავისი მოღვაწეობის პერიოდში ისაფ-ის ძალებმა მხარი დაუჭირეს ავღანეთს ქვეყანაში ნორმალური არჩევნების ჩატარებისათვის 2004 წლის 9 ოქტომბერს.

მსოფლიო ისტორიის ირონიაა ის ფაქტი, რომ ნატო თავის პირველ სახმელეთო საბრძოლო ოპერაციას მართავს იქ, სადაც ცივი ომის დროინდელი მეტოქე - საბჭოთა არმია საბოლოოდ დამარცხდა და იძულებული გახდა 1988 წლიდან ავღანეთიდან საკუთარი ჯარების გამოყვანა დაეწყო.

ეს არის ნატოს პირველი სამხედრო სახმელეთო ოპერაცია. როგორც წინა ქვეთავში ავღნიშნეთ, ალიანსი 1999 წელს კოსოვოშიც ომობდა, მაგრამ მაშინდელი კომპანია მხოლოდ საჰაერო გახლდათ. ნატოს სახმელეთო ჯარები კოსოვოში ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შევიდნენ მას შემდეგ რაც იქ საომარი მოქმედებები იუგოსლავიის არმიის წინააღმდეგ დასრულდა, და ამის შემდეგ იქ დაღუპულთა უმრავლესობაც საგზაო შემთხვევებს ემსხვერპლა. ავღანეთში კი, მას შემდეგ რაც ალიანსმა 2006 წლის ზაფხულიდან ავღანეთის სამხრეთიც “ჩაიბარა”, ნატოელი ჯარისკაცები სწორედ სამხედრო მოქმედებების შედეგად იღუპებიან. 2006 წლის მონაცემებით ნატოს ოპერაციებში 49 სამხედრო

დაიღუპა - აქედან 34 კანადელი, ხოლო კიდევ 14 ბრიტანელი ავიაკატასტროფას შეეწირა. ამავე დროს, ავღანეთის სამთავრობო ძალების, სამოქალაქო პირებისა და მათ წინააღმდეგ მებრძოლი თალიბთა დანაკარგები ერთიანად რამდენიმე ათას ადამიანს მოიცავს.

ავღანეთში ნატოს ძალების ბრიტანელი სარდალი გენერალი დევიდ რიჩარდსი თვლის, რომ ოპერაცია სამხედრო თუ პოლიტიკური თვალსაზრისით ჯერჯერობით წარმატებულად მიმდინარეობს. ამ ოპერაციამ ცხადყო ნატოს საომარი მზაობა, მისი წყალობით ქალაქი ყანდაღარი მოჯანყე თალიბთა ხელში ჩავარდნას გადაურჩა და ეს უკანასკნელნიც იძულებულნი გახდნენ, კანდიერი მასშტაბური იერიშებიდან ისევ პარტიზანულ ქმედებებს დაბრუნებოდნენ. აშშ-მ ნატოს რიგიანი გარჯა იმით დაუფასა, რომ 2006 წლის ოქტომბერში გენერალ რიჩარდსის დაქვემდებარებაში დამატებით კიდევ 11 ათასი ამერიკელი სამხედრო გაამწესა.

მართალია, ამ მომენტისათვის საბრძოლო მოქმედებათა ალი განელებულია, მაგრამ ნატოელი სტრატეგები ჩინებულად აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ თალიბანს ისინი მხოლოდ სამხედრო საშუალებებით ვერ დაამარცხებენ. და ეს გარკვეულად იმის გამოც, რომ მოჯანყეებს საიმედო თავშესაფარი აქვთ ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე. გენერალმა რიჩარდსმა რამდენჯერმე მოუწოდა საერთაშორისო საზოგადოებას, რათა სხვადასხვა ქვეყნებსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს რამენაირად გაეუმჯობესებინათ სამხრეთ ავღანეთის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობები, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს რეგიონი თალიბანის რიგების შესავსებად კვლავაც უნოციერეს ნიადაგად დარჩებოდა.

ის, რომ თალიბთა მიერ ძალაუფლების უკუპყრობა სახიფათო იქნება არამარტო ავღანეთის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის, არავის, არც ყველაზე ამერიკელი ქორი ამერიკელი რესპუბლიკელებისა და არც ყველაზე ლიბერალურად განწყობილი მემარცხენე ვერონტელექტუალის ეჭვს აღარ იწვევს.

ავღანეთის ოპერაციამ ამავედროულად ალიანსის წინაშე არსებული გარკვეული პრობლემებიც გამოაჩინა. საბრძოლო მოქმედებათა უმთავრეს ტვირთს მხოლოდ შეერთებული შტატები, კანადა, ბრიტანეთი და ჰოლანდია (ასევე არანატოელი ავსტრალია) კისრულობენ. სხვა ქვეყნების მთავრობები უარს აცხადებენ მათი სამხედრო ნაწილების შედარებით უსაფრთხო ჩრდილო და დასავლეთი რეგიონებიდან სახიფათო სამხრეთში გადაყვანასა და ბრძოლაში ჩაბმული მოკავშირეებისათვის შეაიარაღების, მაგალითად ვერტმფრენების გადაცემაზე. ამ საკითხის გარშემო ჩვენ წიგნის მომდევნო თავში უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

თავი IV ნატოს გეოპოლიტიკური პრიორიტეტები

ნატოს ამერიკული და ევროპული ხედვა

“ცივი ომის” დასრულების შემდეგ ბევრი პოლიტიკური მოღვაწისა თუ დამოუკიდებელი ანალიტიკოსების აზრით, ნატომ - რომელსაც უკვე აღარ ჰყავდა მოწინააღმდეგე ვარშავის ბლოკის სახით დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ახალი გეოპოლიტიკური რეალობების გათვალისწინებით შეწყვეტდა არსებობას, თუმცა საერთო მტრის და საფრთხის განეიტრალება არ აღმოჩნდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შემთხვევაში საკმარისი წინაპირობა ორგანიზაციის დასაშლელად და ნატომ არსებობა განაგრძო ახალი არანაკლებ სახიფათო გამოწვევების საპასუხოდ, საერთო დემოკრატიულ ფასეულობებზე დაყრდნობით და საერთო მიზნების მისაღწევად. თუმცა მეორეს მხრივ, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ “ცივი ომის” დასრულების შემდეგ შეიქმნებოდა იმის პრობლემა, რომ იმ დროისათვის თექვსმეტი წევრი სახელმწიფო განსხვავებულად დაინახავდა და შეაფასებდა ნატოს როლს და კომპეტენციას. მიუხედავად საერთო ფასეულობებისა, ზოგადი მიზნებისა და შეთანხმებისა ახალ საფრთხეებთან და ახალ გამოწვევებთან დაკავშირებით, განსხვავებული შეიძლება ყოფილიყო ქვეყნების საგარეო პოლიტიკური და უსაფრთხოების პრიორიტეტები, ასევე ის, თუ როგორ შეაფასებდა ნატოს თითოეული სახელმწიფო ალიანსის წინაშე არსებულ საერთო საფრთხეს. ამიტომაც უკვე გასული საუკუნის 90-იან წლებში აქტუალური გახდა საუბარი ამერიკის და ევროპის თანამშრომლობის ნაკლებფუნქციანობაზე. ევროკავშირის ფარგლებში არსებულმა მომხდარმა ცვლილებებმა და ამ ორგანიზაციის გავლენის გაძლიერებამ პოლიტიკური, ეკონომიკური, უსაფრთხოებისა და სამხედრო თვალსაზრისით და ევროკავშირის შიგნით დაწყებულმა დებატებმა ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების ახალ პოლიტიკასთან დაკავშირებით გამოკვეთა ევროპის რეგიონალური ინტერესები და ალბათობა, რომ ევროპა რეგიონალურ სტაბილურობას არ დააყენებდა საფრთხის ქვეშ გლობალური საკითხების გამო. “საერთო მტრის წინააღმდეგ შეკრული ალიანსი ცხადი და გასაგებია. ბევრად უფრო რთულია ომის შემდგომ, მშვიდობის და გამარჯვების მონაპოვრის დასაცავად შენარჩუნებული ალიანსი.(20)” ეს სიტყვები ეკუთვნის დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს უინსტონ ჩერჩილს და მისი ეს სიტყვები აქტუალური და ადექვატური, არა მხოლოდ 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გახდა, არამედ ცივი ომის შემდეგაც არსებული გეოპოლიტიკური რეალობების დროსაც არის. ნატოს ამერიკელ და ევროპელ მოკავშირეებში განსხვავებული ხედვა გავლენას ახდენს ალიანსის შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცესზე და საერთო ჯამში მის ეფექტიანობაზეც.

ექსპერტები ბარველი და დააღდერი გამოყოფენ სამ მნიშვნელოვან სხვაობას ევროპისა და აშშ-ის სტრატეგიაში. აშშ-როგორც სუპერსახელმწიფოს სტატუსის მქონე სახელმწიფო მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებს გლობალური მასშტაბით აფასებს, ნატოს ევროპელი მოკავშირეები და მთლიანად ევროკავშირი კი რეგიონალურით. აშშ ამა თუ იმ რეგიონში არსებული რეალობების გათვალისწინებით პრიორიტეტს ანიჭებს ინდივიდუალურ ქმედებებს, დასავლეთ ევროპა კი საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით: აშშ-ს უფრო რადიკალური პოზიცია გააჩნია და არ გამორიცხავს საკითხის სამხედრო გზით გადაჭრას (როგორც ეს იყო ავღანეთის, კოსოვოსა და განსაკუთრებით ერაყის შემთხვევებში), დასავლეთ ევროპის ქვეყნების ნაწილი კი პრიორიტეტს ანიჭებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

1990-იან წლებში მასტრიხტის, ამსტერდამისა და ნიცის სამიტების დროს ევროკავშირმა უსაფრთხოების სფეროში გაატარა მთელი რიგი რეფორმები, რომლებმაც ხელი შეუწყო რეგიონის გაძლიერებას. მათგან პირველ რიგში რა თქმა უნდა, უნდა აღინიშნოს ის ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის რეფორმები, რომლებიც საშუალებას აძლევს ევროკავშირს საერთაშორისო ასპარეზზე შეასრულოს ცალკე მოთამაშის როლი. რა თქმა უნდა ევროკავშირის გაძლიერება და ამ ორგანიზაციის მიერ დამოუკიდებელი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება არ ნიშნავს ამერიკასთან თანამშრომლობის შეწყვეტას ან მასთან დაპირისპირებას, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს. მარშალის გეგმიდან მოყოლებული, ევროპა-აშშ-ის თანამშრომლობა ორმხრივად მომგებიანი იყო და არც ამერიკის და არც ევროპის წინაშე დგას ამ ტრანსატლანტიკური კავშირის შესუსტების აუცილებლობა. თუმცა “ცივი ომის” პერიოდისაგან განსხვავებით 90-იანი წლებიდან ევროკავშირის მიერ გატარებული პოლიტიკა ევროპის სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას საჭიროების შემთხვევაში გაატაროს ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებული პოლიტიკა.

90-იანი წლების განმავლობაში ევროკავშირის ისტორიაში ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ასეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიახლე. 1991 წლის დეკემბერში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მასტრიხტში შეხვედრის დროს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მიღწეული შეთანხმებით, თავდაცვის ასპექტებზე პასუხისმგებელი გახდა ჯერ კიდევ 50-იან წლებში შექმნილი დასავლეთ ევროპის კავშირი. 1997 წლის ივნისში, ამსტერდამში გამართული შეხვედრის დროს მიღებულ დოკუმენტში ჩამოყალიბდა ევროკავშირის საერთო სტრატეგია. შეიქმნა ევროკავშირის საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის უმაღლესი კომისრის თანამდებობა. ერთი წლის შემდეგ, კერძოდ 1998 წლის დეკემბერში, სენტ-მალოში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის და საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკს შორის გამართული შეხვედრის დროს ორი ქვეყნის ლიდერებმა მიაღწიეს შეთანხმებას ერთიანი ევროპული სამხედრო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბების თაობაზე. ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის შეთანხმებას დაუყოვნებლივ შეუერთდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. 1999 წლის დეკემბერში, ევროკავშირის სამიტზე ჰელსინკიში, ესპანეთის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ჰავიერ სოლანა დაასახელებულ იქნა ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლად, რომელიც პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო საერთო საგარეო და თავდაცვით პოლიტიკაზე. ამის პარალელურად ევროპის ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება ორ წელიწადში შექმნილიყო საერთო სწრაფი რეაგირების კორპუსი, რომლის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო 60 ათასიანი სამხედრო კონტინგენტი. 2001 წელს ევროკავშირის სამიტზე პორტუგალიაში განხილულ იქნა სწრაფი რეაგირების კორპუსის ფორმირების დეტალები.

სხვაობა ამერიკულ და ევროპულ ინტერესებში

1992 წელს, ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული, ჯონ ოლინის სახელობის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი სამუელ ჰანტიგტონი წერდა: “საერთო მტრის არარსებობა, რომელიც მოკავშირეებს აერთიანებთ, აუცილებლად მიგვიყვანს მათ შორის არსებული წინააღმდეგობების გაზრდამდე.(21)” რიგ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით ამერიკას და ევროპას მართლაც აღმოაჩნდათ

განსხვავებული ინტერესები, რაც ობიექტურად არსებული ისტორიული, კულტურული, გეოგრაფიული, პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური მიზეზებით და თავისებურებებით არის განპირობებული. უორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი ჰ. ნეი ევროპის პოზიციის შესახებ წერდა: “თავის დროზე ევროპას, რომ გამოეყო მნიშვნელოვანი ძალები საუდის არაბეთის და სპარსეთის ყურის დასაცავად, დღეს ასეთი ერთსულოვანი იქნებოდა ერაყის და სადამ ჰუსეინის მიმართ? კორეაში 38-ე პარალელზე ევროპას 37 000 ჯარისკაცი რომ ჰყავდეს და კიდევ 40 000 იაპონიაში, ასეთივე დაინტერესებული იქნებოდა ჩრდილოეთ კორეის დაშოშმინებით, საინჟინრო ნაღმების აკრძალვით, რომლებიც იქ მყოფ ამერიკელ ჯარებს იცავენ, ან რაკეტსაწინააღმდეგო ჭურვების აკრძალვით, რომლებიც საზღვრებს გარეთ მყოფი ამერიკელი ჯარისკაცების უსაფრთხოების გარანტიაა”(22).

რუსი მეცნიერის უტკინის აზრით ერთ-ერთი მთავარი ასპექტი, რომელიც განაპირობებს ამერიკის და ევროპის განსხვავებულ ინტერესებს არის ის, რომ დასავლეთი ევროპა დიდწილად არის დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთიდან და რუსეთიდან ენერჯის ექსპორტზე, ხოლო ენერგომატარებლების იმპორტის შეწყვეტა ან დროებითი შეჩერება გამიწვევდა ევროკავშირის ეკონომიკის კოლაფსს. ევროკავშირისგან განსხვავებით აშშ შედარებით ნაკლებად არის დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთიდან ენერჯის იმპორტზე. ამერიკას შეუძლია ისლამურ სამყაროსთან დაპირისპირების შემთხვევაში აამოქმედოს თავის ნავთობის რეზერვები და გაზარდოს ნავთობის იმპორტი ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან, თუნდაც იგივე ვენესუელის ნავთობის ხარჯზე, მიუხედავად ამ ქვეყანაში არსებულ რეჟიმთან, რომელიც აშშ-ის ხელისუფლებას ღიად უპირისპირდება. ვენესუელამ 1990-იან წლებში ნავთობმოპოვება დღეში 3 მილიონ ბარელამდე გაზარდა და დღევანდელ დღეს ამერიკულ ბაზარზე ნავთობის ერთ-ერთი პირველი მიმწოდებელია. გარდა ამისა, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკამ გააფართოვა კავშირები კანადის ნავთობმოპოვებელ რეგიონებთან, ნავთობით მდიდარ მექსიკასთან, ნიგერიასთან. გარდა ამისა აშშ-ის ევროპისგან განსხვავებით (რომელიც დიდწილადაა დამოკიდებული რუსეთის გაზზე) ჰყავს ბუნებრივი აირის საიმედო მიმწოდებელი ნატოს წევრი სახელმწიფო კანადის სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იგივე ენერგომატარებლების იმპორტში არსებული ინტერესების სხვაობა იწვევს პოლიტიკური პოზიციების სხვაობას. ამერიკა უფრო აქტიურადაა ჩარეული და მხარს უჭერს ისრაელს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში. ამერიკამ ბოროტების ღერძის ქვეყნები უწოდა ირანს და ერაყს (რასაც მოგვიანებით მიუმატა ლიბია და სირია). ამერიკას მისი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის გათვალისწინებით შეუძლია აწარმოოს ომი ავღანეთში, ერაყში, არ გამოიყვანოს ჯარები არაბეთის ნახევარკუნძულზე ან შორეულ აღმოსავლეთში მოქმედი ბაზებიდან, თუმცა ევროკავშირს ამ მხრივ განსხვავებული მიდგომა გააჩნია და სურს თავიდან აიცილოს 1973 წლის მსგავსი ნავთობის კრიზისი.

ევროკავშირისა და ნატოს წამყვან ევროპულ სახელმწიფოებს განსხვავებული პოზიცია აქვთ ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებითაც. ზოგიერთი წამყვანი სახელმწიფო კმაყოფილი იქნებოდა, თუ ახალი წევრების მიღების შემდეგ ნატო რამდენიმე ხანს დაისვენებდა და იგივე რუსეთთან ურთიერთობას კიდევ ერთხელ არ დაძაბავდა. გარდა ამისა ნატოს დასავლეთ ევროპელი მოკავშირეების შემფოთებას იწვევს ნატოს საზღვრებს მიღმა ეთნიკურ კონფლიქტებში შესაძლებელი ჩათრევა, რისი შემთხვევაც უკვე იყო ბოსნიისა და კოსოვოს კონფლიქტების დროს. ამას გარდა, სტრუქტურული თვალსაზრისით, კონფლიქტებში ჩართვა-არჩართვასთან დაკავშირებით არ არის ადვილი 26 წევრ ქვეყანას შორის კომპრომისის მიღწევა.

ამერიკელებსა და ევროპელებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სხვაობაა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოს ლიდერი არასამართლებრივად მიიჩნევს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გადაწყვეტილებათა შეუსაბამობას საერთაშორისო სამართლის იმ პრინციპებთან, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული სამხედრო ძალის შესაძლო გამოყენებასთან, რადგან როგორც ცნობილია ამ ღონისძიების ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუცია. გაეროს რეზოლუცია სადაო საკითხი არა მარტო ერაყის კომპანიის დროს გახდა, როდესაც აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად გაეროს ნებართვის გარეშე შეიჭრნენ, არამედ 1999 წელს იუგოსლავიის დაბომბვის დროსაც, როდესაც ამერიკელებსა და ევროპელებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებათა პროცესის შედეგად ამერიკული წინადადება მხოლოდ მაშინ იქნა მიღებული, როცა თავად ალიანსის ყოფნა-არყოფნის საკითხი დაისვა. ამასთან დაკავშირებით ყურადსაღებია ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის განცხადება: “ახლა გადაწყვეტილებისათვის თავის არიდება ნიშნავს გავანადგუროთ ნატოს სანდლობა.” სამაგიეროდ მოგვიანებით მიუნხენში გამართულ კონფერენციაზე გერმანიის ყოფილმა კანცლერმა შრიოდერმა განაცხადა, რომ “გაეროს უშიშროების საბჭოს იგნორირება იუგოსლავიის შემთხვევაში გამონაკლისი იყო და მაგალითი არ უნდა გახდარიყო”(23).

ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი და ავღანეთის კამპანია

ჩვენ წინა თავებში გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრების მიერ მიჩნეულ იქნა საკმარის მიზეზად რათა ამოქმედებულიყო ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი. მაშინ ნატოს ცხრამეტივე წევრმა ერთხმად აღიარა ტერორისტული საფრთხის აქტუალურობა და მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა, თუმცა მოგვიანებით ცალკეულმა წევრმა ქვეყანამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გამოხატა, რის შემდეგაც ნათელი გახდა თვით ამ საფრთხის გააზრების დონის არაერთგვაროვნება. შესაბამისად განსხვავდებოდა სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს მიერ ტერორიზმთან ბრძოლის ხედვაც. მაგალითად, თუ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ამერიკისათვის უპირობო პრიორიტეტად ჩამოყალიბდა და ამერიკის XXI საუკუნის დასაწყისის პოლიტიკა განსაზღვრა, ევროპელებისთვის იგი შედარებით ნაკლებ პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული, რამაც საბოლოოდ განაპირობა ნატოს წევრების მიერ გაწეული ძალისხმევის განსხვავებული დონე.

2001 12 სექტემბერს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ წინა დღით ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმა გამოაცხადა თავდასხმად ყველა სახელმწიფოზე. როგორც ვიცით, ეს იყო პირველი შემთხვევა ნატოს ისტორიაში, როდესაც ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი ამოქმედდა.

უკვე ერთი წლის შემდეგ პრადის სამიტზე მოკავშირეთა მიერ მოწონებულ იქნა ინიციატივები ნატოს შესაძლებლობების განსანტიკიცებლად ტერორიზმთან და სხვა გამოწვევებთან ბრძოლის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით განხილულ და დამტკიცებულ იქნა ტერორიზმისაგან თავდაცვის სამხედრო კონცეფცია. ნატოს ცალკეულმა ქვეყნებმა დაამტკიცეს ტერორიზმის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმა. 2003 წლის ნოემბერში ნატოს შტაბ-ბინასთან დაფუძნდა ტერორისტული საფრთხის სადაზვერვო შენაერთი, რომელიც მიზნად

ისახავდა წევრ სახელმწიფოთა შორის სადაზვერვო ინფორმაციის მიმოცვლის შესაძლებლობების გაძლიერებას. იმავე წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული იარაღისაგან თავდაცვის ბატალიონი, რომელშიც ალიანსის 13 სახელმწიფო მონაწილეობს და რომელიც ნატოს რეაგირების ძალების შემადგენელი ნაწილია.

მომდევნო, 2004 წელს სტამბოლის სამიტზე, ნატოს მიერ გადაგზულ იქნა კიდევ უფრო გადამწყვეტი ნაბიჯები, როდესაც სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ დამტკიცებულ იქნა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა პაკეტი.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა კონსენსუსის გზით მოახდინა შესაბამისი რეაგირება 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტზე და ამ მხრივ ნატოს მიერ გატარდა მთელი რიგი ინსტიტუციური ცვლილებები, რის საბოლოო მიზანსაც წარმოადგენდა ალიანსის ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც საერთო საფრთხედ იქნა შეფასებული, და იმის მიუხედავად, რომ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მიერ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედება და ალიანსის ადაპტირება ახალ საფრთხეებთან წარმოადგენდა მნიშვნელოვან მხარდაჭერასა და თანადგომას, რომელიც ნატოსგან მიიღო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ანალიტიკოსთა ნაწილი მაინც სკეპტიკურად უყურებს ნატოს ფარგლებში ევროპული ქვეყნების მიერ ამერიკისთვის გაწეულ მხარდაჭერას და გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას, რომ მე-5 მუხლის რეალურად ამოქმედების პერიოდში ნატო უფრო ნაკლებად ეფექტიანი სამხედრო და შიდაპოლიტიკური ინსტრუმენტი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

2001 წელს განხორციელებული ტერაქტის შემდეგ ამერიკელებს პირველად მხარი დაუჭირა ბრიტანეთმა, რომელიც მანამდეც უპირობოდ იდგა ამერიკის გვერდით თუნდაც 1998 წელს ერაყზე განხორციელებული საჰაერო კომპანიისა, თუ კოსოვოს კრიზისთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების დროს, რითაც კიდევ ერთხელ გამართლდა დე გოლის სიტყვები, რომ ბრიტანეთი კრიზისის შემთხვევაში ატლანტიზმს კონტინენტალიზმზე წინ დააყენებს. გარდა იმისა, რომ ბრიტანეთი ამერიკის ბუნებრივი მოკავშირეა, ჰანტინგტონის აზრით, ბრიტანეთი ევროპაში ნომერ მეორე ძალას წარმოადგენს გერმანია-საფრანგეთის კონდომინიუმის შემდეგ. ამერიკამ საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაუთმოს რეგიონის წამყვან ძალებს და განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა იქონიოს რეგიონის რიგით მეორე მოთამაშეებთან". გაერთიანებული სამეფოს პოზიციისგან განსხვავდებოდა ბელგიის მიდგომა, რომელიც ბევრად თავშეკავებული აღმოჩნდა. ამ ქვეყნის პოზიცია იმ პერიოდში იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მას იმ დროს ევროკავშირის პრეზიდენტის პოსტი ეკავა. ბელგიის ხელისუფლებამ თავისი კრიტიკული მოსაზრება გამოთქვა ინგლისელების მისამართით ამერიკელების ზედმეტი მხარდაჭერის გამო. ბელგიის სამეფოს პოზიცია გაიზიარა მეზობელმა ნიდერლანდებმაც. ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრი არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ ღირდა ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედება. შექმნილ ვითარებაში ბრიტანეთს მოუხდა გარკვეული ძალისხმევის გაწევა მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ამ მიზნით ბრიტანეთის პრემიერი ტონი ბლერი ტელეფონით დაუკავშირდა ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრ ვიმ კოკს და დაარწმუნა ეს უკანასკნელი, რომ აუცილებელი იყო ნატოს ქვეყნების ერთიანობა საერთო საფრთხესთან საბრძოლველად. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი მე-5 მუხლის ამოქმედების შესახებ განცხადების გაკეთება. ამ დროს ნიუ-იორკის ტრაგედიიდან ერთ დღეზე მეტი იყო გასული.

ამის შემდეგ, მიუხედავად 2001 წლის 12 სექტემბერს ერთობლივი განცხადების მიღებისა, ნატოს წევრი ყველა ქვეყანა განსხვავებულად რეაგირებდა. ბრიტანეთმა თავისი საჯაროსო კონტინგენტი გააგზავნა ავღანეთში, რომელიც ამერიკის სამხედროებთან ერთად მონაწილეობას იღებდა საბრძოლო ოპერაციებში. ბრიტანეთი თავიდანვე ჩაერთო საბრძოლო ოპერაციებში, რის შედეგადაც ინგლისელებმა მონაწილეობა მიიღეს პირველ საჰაერო დაბომბვაში ავღანეთში, 2001 წლის 7 ოქტომბერს, სადაც ამერიკელებთან ერთად 4 200 ბრიტანელი ჯარისკაცი იყო ჩართული.

რაც შეეხება ნატოს კიდევ ერთ წამყვან ქვეყანას-საფრანგეთს, ამ ქვეყნის ხელისუფლებამ მხოლოდ ორი თვის შემდეგ გამოთქვა მზადყოფნა აშშ-ის დასახმარებლად. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ვედრინი ღიად აკრიტიკებდა ამერიკის “ურჩ ქვეყნებზე ჩაცვიკლულ” სტრატეგიას. 2002 წლის თებერვალში მან თავისი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა ალიანსის ფარგლებში კონსულტაციების არარსებობის გამო, და ავღანეთის თემატიკასთან ერთად ყურადღება გაამახვილა ვაშინგტონის პოლიტიკური ხაზის შეცდომებზე პალესტინა-ისრაელის კონფლიქტში და შეშფოთება გამოთქვა ერაყში მოსალოდნელი საომარი მოქმედებების წარმოების თაობაზე.

რაც შეეხება გერმანიის პოზიციას, კანცლერმა შრიოდერმა ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებული კომპანიის მხოლოდ მესამე თვეს შეძლო ბუნდესტაგის დათანხმება, რათა აშშ-ის დასახმარებლად 3900 ჯარისკაცი ყოფილიყო გამოყოფილი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბრიტანეთის გარდა არც ერთ ევროპულ ქვეყანას არ ჰყავდა საკუთარი შენაერთების საბრძოლო ველზე გადასხმისთვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები. ჰოლანდიამ დასახმარებლად საზღვაო ძალების მცირე ნაწილი, იტალიამ და ესპანეთმა სამთო ძალები, ხოლო საფრანგეთმა საჰაერო მზვერავები გამოყო. რაც შეეხება ნატოს სხვა წევრებს, მათ ძირითადად თავიანთი სიტყვიერი მხარდაჭერა დააფიქსირეს. გარდა ამისა, ევროპამ ამერიკის საჰაერო სივრცის გასაკონტროლებლად გააგზავნა ხუთი “ავაქსის” ტიპის თვითმფრინავი საკუთარი ეკიპაჟით, ხოლო ამერიკის საჰაერო ძალებს ევროპის საჰაერო სივრცე დაუთმო.

ამერიკელებმა ნათლად დაინახეს ბრიტანელების და ალიანსის სხვა წევრების მიერ აშშ-სათვის გამოჩენილ მხარდაჭერაში არსებული სხვაობა. იმის გამო, რომ ევროპის რიგ სახელმწიფოებში ძალზედ გაიწვია გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, ამერიკამ გადაწყვიტა ძირითადი იმედები მხოლოდ საკუთარ თავზე დაემყარებინა.

“ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული იყვნენ საერთაშორისო უსაფრთხოების ისეთი სისტემა აერჩიათ, რომელიც საკუთარი არმიის სიძლიერეზე იქნებოდა დაფუძნებული. ევროპა აგრძელებს საკუთარი რეგიონის განვითარებაზე ორიენტირებას.”, წერდა მ. ტრანსტენბერგი (24).

ამერიკის პოლიტიკურმა წრეებმა თავიანთი უკმაყოფილება გამოხატეს ევროპელი მოკავშირეების შედარებით პასიური მხარდაჭერის გამო. ნატომ სამართლებრივად თითქოს შეასრულა თავისი ვალი, როდესაც მე-5 მუხლის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, მაგრამ პრაქტიკული მხარე უკეთესის სურვილს ტოვებდა. ისეთი ამერიკელი იდეოლოგები, როგორც არის მაგალითად რ. პერლი, აკრიტიკებდნენ ნატოს წევრი ქვეყნების მიდგომას ვაშინგტონის მე-5 მუხლის მიმართ. ომი გამოცხადდა, მაგრამ მონაწილეთა სამხედრო პროცესში ჩარევა დამაკმაყოფილებელი არ იყო(24).

მეორეს მხრივ არც ევროპა იზიარებდა აშშ-ის პოზიციას. პირველ რიგში ეს დაკავშირებული იყო თეთრი სახლის ერთპიროვნული გადაწყვეტილებებით მთელ რიგ საკითხებში. თუ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი არ მალავდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ეფექტიანი კონსულტაციების

არასებობის გამო და აქცენტს ამერიკის შეცდომებზე ახდენდა, ევროკავშირის საგარეო საქმეთა უფროსი კომისარი კრის პატენი აღნიშნავდა, რომ: “ამერიკის შეერთებული შტატების წარმატება ავღანეთში რამდენიმე სახიფათო ინსტინქტს აძლიერებს: რომ ძალის გამოყენება უსაფრთხოების ერთადერთი საიმედო დასაყრდენია; რომ ამერიკას შეუძლია მხოლოდ თავისი თავის იმედი ჰქონდეს; რომ მოკავშირეები შეიძლება მხოლოდ შიგადაშიგ იყვნენ გამოსადეგნი.”

თუმცა იგივე ევროპული ქვეყნების მიერ გატარებული ზომების შედეგად, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები და გაატარა რეფორმები, რათა მხარში ამოდგომოდა ამერიკას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

2003 წლის აგვისტოდან ნატო ხელმძღვანელობს საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალებს ავღანეთში (ISAF-International Security Assistance Force), რომლის ფარგლებში პირველ ოპერაციას ბრიტანეთი ხელმძღვანელობდა, მეორეს თურქეთი, ხოლო მესამეს გერმანია და ჰოლანდია.

ერაყის კრიზისი

გარკვეული წინააღმდეგობებისა და სირთულეების მიუხედავად, ავღანეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყებასთან დაკავშირებით ნატოს მიერ ერთობლივი გადაწყვეტილება მაინც იქნა მიღებული, მაგრამ რაც შეეხება ერაყის კამპანიას, აქ მდგომარეობა ბევრად რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე აღმოჩნდა.

ერაყის კრიზისი 2003 წელს უცბად არ დაწყებულა. ჯერ კიდევ 1998 წელს, ერაყის სამხედრო ობიექტების დაბომბვასთან დაკავშირებით დიდი წინააღმდეგობა არსებობდა როგორც ნატოს შიგნით, ასევე გაეროს უშიშროების საბჭოშიც. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები - საფრანგეთი, რუსეთი და ჩინეთი წინააღმდეგები იყვნენ ამერიკას ძალა გამოყენებინა ერაყის წინააღმდეგ, ამიტომაც ამერიკამ ანგლო-საქსონური ძალებით, გაეროს შესაბამისი ნებართვის გარეშე შეუტია ჰუსეინს. 1998 წლის იანვარში აშშ-ისა და ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ ერაყის სამხედრო ობიექტებზე საჰაერო შეტევა იქნა განხორციელებული.

მოგვიანებით, 2003 წელს ერაყის კამპანიის წინსმწრები დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს გამოჩნდა ამერიკის და ევროპის განსხვავებული შეხედულებები და პრიორიტეტები, ხოლო მოგვიანებით უკვე თავი იჩინა განსხვავებულმა პოლიტიკამ თვით ევროპულ სახელმწიფოებს შორის.

სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის დაწყებამდე დიპლომატიურმა მოლაპარაკებებმა ერთი წელი გასტანა ჯერ ამერიკასა და ევროპას შორის, ხოლო შემდეგ როგორც უკვე აღინიშნა, თვით ევროპის შიგნით აღმოჩნდნენ როგორც ამერიკის პოლიტიკის მომხრენი, ასევე მისი მოწინააღმდეგეები. დღის წესრიგში დადგა ორი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა. პირველი დაკავშირებული იყო იმასთან, თუ რამდენად სწორი იყო ერაყის ტერორისტულ ქვეყნად კლასიფიცირება, ხოლო მეორე კი აშშ-ის ერაყში სამხედრო მოქმედების უფლებასთან იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია.

ბევრი ევროპული ქვეყანა არ იზიარებდა ამერიკის პოზიციას, რომ ერაყი ანტიტერორისტული კომპანიის მეორე ნაბიჯი უნდა გამხდარიყო, მიუხედავად ბუშის ადმინისტრაციის მტკიცებისა ერაყის მიერ საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერისა და “აღ ქაედასთან” კავშირის არსებობის შესახებ. სამაგიეროდ ევროპელები ფიქრობდნენ, რომ ერაყი ქმნიდა პრობლემას მასობრივი განადგურების იარაღის წარმოების გამო. საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ მიდგომებს იწვევდა. ბუშის ადმინისტრაცია თვლიდა, რომ მოლაპარაკებათა ყოველგვარი რესურსი

ამოწურული იყო და სადამ ჰუსეინის მიერ ტერორიზმის მხარდაჭერისგან მომდინარე საფრთხე უახლოეს მომავალში უნდა გადაჭრილიყო და არსებობდა ამის ერთადერთი გამოსავალი – ჰუსეინის რეჟიმის შეცვლა და ერაყის ხელისუფლების სათავეში პროგრესული ძალების მოსვლა. ბევრ ევროპულ ქვეყანას კი განსხვავებული შეხედულება გააჩნდა, კერძოდ, სადამ ჰუსეინი ახლო მომავალში არ იყო საფრთხის მატარებელი და საერთაშორისო თანამეგობრობას ხელი უნდა შეეშალა მისთვის, რომ ხანგრძლივ პერსპექტივაში არსებული მიზნებისთვის-მასობრივი განადგურების იარაღის შექმნისთვის არ მიეღწია. ამისათვის გაეროს წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ უნდა მოეხდინათ იარაღის ინსპექტირება, ხოლო რეჟიმის შეცვლა იმ ეტაპზე აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

როგორც წინა თავში აღინიშნა, აშშ-ის პრეზიდენტმა თავდაპირველად მხარი დაუჭირა გაეროს 1441-ე რეზოლუციას მასობრივი განადგურების იარაღზე ინსპექტირების განახლების თაობაზე, თუმცა შემდგომში თეთრმა სახლმა თავისი პოზიცია შეცვალა, რასაც ხსნიდა იმ ფაქტით, რომ ერაყი უარს აცხადებდა გაეროს ინსპექტორებთან თანამშრომლობაზე და ეს ვაშინგტონს აძლევდა უფლებას დაეწყო სამხედრო ოპერაცია ბაღდათის წინააღმდეგ. ამის სპასუხოდ ევროპელები ამტკიცებდნენ, რომ ინსპექტირებისათვის მეტი დრო იყო საჭირო, ხოლო ამერიკა ამტკიცებდა, რომ ამგვარ ინსპექტირებას არავითარი დადებითი შედეგის მოტანა არ შეეძლო, რისი ძირითადი მიზეზიც ერაყის არაკონსტრუქციული პოზიცია გახლდათ.

უთანხმოების მიზეზი აგრეთვე გახლდათ გაეროს მიერ დამატებითი რეზოლუციის მიღება, რომელიც ერაყის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას ლეგიტიმურს გახდიდა. საფრანგეთი და გერმანია აცხადებდნენ, რომ ინსპექცია უნდა გაგრძელებულიყო, მოგვიანებით კი მათ მხარი დაუჭირეს რუსეთის პოზიციას განაცხადეს, რომ წინ აღუდგებოდნენ დამატებით რეზოლუციის მიღებას. მდგომარეობამ კულმინაციას მიაღწია მას შემდეგ, როდესაც აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რონალდ რამსფელდმა საფრანგეთსა და გერმანიას “ძველი ევროპა” უწოდა. ამ ეტაპზე ევროპის რიგმა ქვეყნებმა საფრანგეთისა და გერმანიისგან განსხვავებული პოზიცია გამოხატეს და დააფიქსირეს თავიანთი ნეგატიური დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთი და გერმანია მთელი ევროპის სახელით საუბრობდნენ. როგორც ერთხელ უკვე აღინიშნა, 2003 წლის 30 იანვარს ჩეხეთის, დანიის, უნგრეთის, იტალიის, პოლონეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, და გაერთიანებული სამეფოს ლიდერებმა Wall Street Journal – ში გამოაქვეყნეს წერილი, სადაც ამერიკის პოზიციას იხიარებდნენ. წერილში ნათქვამი იყო რომ ერაყს არ სურდა ეთანამშრომლა გაეროს ინსპექტორებთან და ამიტომაც მოუწოდეს საერთაშორისო თანამეგობრობას, დაეცვათ მშვიდობა და უსაფრთხოება ერაყისთვის მასობრივი განადგურების იარაღის ჩამორთმევის გზით.

ერთ კვირაში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა, რომლებიც ნატოს წევრობის ასპირანტ ქვეყნებად განიხილებოდნენ, გამოაქვეყნეს აშშ-ის მხარდამჭერი საკუთარი განცხადება.

საფრანგეთისა და გერმანიის წინააღმდეგობის მიუხედავად, ოპერაცია “ერაყის თავისუფლება” მაინც დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო გაერთიანებულმა სამეფომ დახმარება გაუწია ოპერაციას და თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს დანიამ და პოლონეთმაც. ნატოს წევრი ქვეყნების განსხვავებულმა პოზიციებმა რეალური პოლიტიკური და სამხედრო პრობლემების წინაშე დააყენა ნატო. 2003 წლის იანვარში აშშ-მ ოფიციალურად მიმართა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, რათა ამ უკანასკნელს ერაყის კამპანიაში წვლილის შეეტანა-დახმარებოდა ამერიკელ ჯარისკაცებს, რომლებიც ევროპიდან სპარსეთის ყურეში მიდიოდნენ, ასევე დაეცვა ნატოს წევრი თურქეთი ერაყიდან

სავარაუდო თავდასხმებისაგან და ერაყში სამხედრო ოპერაციების დასრულებისა და მშვიდობის განმტკიცების შემდგომ, ქვეყნის ომისშემდგომ რეკონსტრუქციასა და პოლიტიკაში მიეღო მონაწილეობა. საფრანგეთი, გერმანია და ბელგია უარს აცხადებდნენ ამ მოთხოვნაზე გაეროს ინსპექტორების საბოლოო მოხსენებამდე. თურქეთმა მოითხოვა ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-4 მუხლით მინიჭებული უფლების გამოყენება. ამ მუხლის მიხედვით “მხარეები ერთმანეთს მოეთათბირებიან ყოველთვის, როდესაც რომელიმე მათგანის აზრით, ნებისმიერი მონაწილე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და უსაფრთხოებას რამე ემუქრება. (26)” ამ მუხლის გამოყენება პირველად იქნა მოთხოვნილი და თურქეთი იმედოვნებდა, რომ ეს უფრო გაბედული მოქმედებისაკენ მოუწოდებდა ნატოს წევრებს, მაგრამ საფრანგეთი, გერმანია და ბელგია კვლავ ელოდნენ ინსპექტორების დასკვნას. საპასუხოდ აშშ-მ განაცხადა თავისი მზადყოფნის შესახებ, გამოეყო შესაბამისი ძალები თურქეთის დასახმარებლად იმისგან დამოუკიდებლად, ეს ქმედება განხორციელებული იქნებოდა ნატოს ეგიდით თუ არა. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ჩრდილოატლანტიკური საბჭოში ვერ მოხერხდა საბოლოო შეთანხმების მიღწევა თურქეთის დახმარების თაობაზე, გენერალურმა მდივანი რობერტსონი გამოვიდა ინიციატივით, რომ საკითხი განხილულიყო ნატოს თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტში, რომელშიც არ მონაწილეობს საფრანგეთი რადგან ეს ქვეყანა არ არის ალიანსის გაერთიანებული სამხედრო სტრუქტურის ნაწილი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოლაპარაკებათა პროცესის დასრულების შემდეგ გერმანია და ბელგია დათანხმდნენ თურქეთისათვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე, მაგრამ ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ რობერტსონმა წერილი მისწერა სახელმწიფოების მეთაურებს, სადაც აღნიშნული იყო, რომ ამ საკითხზე იყო დამოკიდებული ალიანსის ბედი. კომიტეტში გადაწყვეტილების შემდეგ რობერტსონი აცხადებდა, რომ “ალიანსი დაზიანდა მაგრამ არ გამტყდარა,” რადგან საბოლოოდ გადაწყვეტილება მიიღო (27).

თურქეთის დახმარების თაობის ირგვლივ არსებულმა დებატებმა გამოაჩინა ფუნდამენტალური სხვაობა ალიანსში, რომლის მოგვარებაც მაშინაც ვერ მოხერხდა, როცა თურქეთმა მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება მოითხოვა. თუ 11 სექტემბრის შემდეგ კონსენსუსის მიღწევა შედარებით ადვილ ამოცანას წარმოადგენდა, რაც პირველ რიგში დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ნატოს ყველა წევრი “ალ ქაედას” განიხილავდა როგორც ალიანსის საერთო საფრთხედ, შეთანხმების მიღწევა ძალზედ გართულდა ერაყის შემთხვევაში.

ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს 2004 წლის მარტში გამართულ სტამბოლის სამიტზე, წევრმა სახელმწიფოებმა მადლიერება და მხარდაჭერა გამოხატეს ერაყში განთავსებული მრავალეროვანი ძალების მიმართ.

ევრო-ზონა და ევროპის სავარეო და თავდაცვის პოლიტიკა

რამდენიმე წლის წინ, ბრიუსელში, ამერიკელმა ელჩმა განაცხადა, რომ “ნატო და ევროკავშირი ერთი და იგივე ქალაქში, მაგრამ სხვადასხვა პლანეტებზე მდებარეობენ”(28). ამერიკისა და ევროკავშირის თანამშრომლობა და ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ფარგლებში წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გასაგებად, და ამის ძირითადი მიზეზი გახლავთ ის, რომ ნატოს 26 წევრიდან 21 ამავე დროს გახლავთ ევროკავშირის წევრი. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და ევროკავშირი ორი სხვადასხვა ორგანიზაციაა, და ორივეს განსხვავებული მიზნები და ამოცანები გააჩნია, მთავარი საერთო გახლავთ ის, რომ ორივე ორგანიზაცია

არის სახელმწიფოთაშორისი და შესაბამისად გადაწყვეტილებებსაც წვერი სახელმწიფოები იღებენ. თუ როგორია ევროპული სახელმწიფოების ნატოსადმი დამოკიდებულება, დიდწილად მომდინარეობს იქიდან, თუ რა პრიორიტეტები აქვს დღეს ევროკავშირს და რამდენად პასუხობს ეს პრიორიტეტები აშშ-ის ინტერესებს. “ევროკავშირსა და ნატოს შორის კოორდინაციის არარსებობა რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკის თაობაზე, ორმხრივი კონსულტაციების ნაკლებობა ისეთ საკითხებთან დაკავშირებითაც კი, როგორც გაფართოება, მიანიშნებს ორივე, ევროკავშირის და ნატოს ინსტიტუტების შეზღუდულ მისწრაფებაზე შეინარჩუნონ უფლება სუვერენულ, დამოუკიდებელ გადაწყვეტილებაზე. (29)”

გასული საუკუნის 90-იან წლებში გატარებული რეფორმების შედეგად, ევროპის როლი მსოფლიო ასპარეზზე, განსაკუთრებით საერთაშორისო სისტემაში ძალთა გადანაწილების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული რეფორმებიდან მნიშვნელოვანია აღინიშნოს ერთიანი ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნა და ამსტერდამის შეთანხმებით გათვალისწინებული საერთო საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკა.

უკანასკნელ პერიოდში არსებული მონაცემების თანახმად, ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქტი მცირედ ჩამოუვარდება ამერიკის იგივე მაჩვენებელს. გარდა ამისა, დღევანდელი ევროზონა წარმოადგენს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ერთობას, ხოლო ევროპულმა ვალუტამ ევრომ ფაქტობრივად მოახერხა და დოლარის ჰეგემონია მსოფლიო ეკონომიკაში შეასუსტა, რის შედეგადაც ევროს მნიშვნელობა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში სულ უფრო და უფრო იზრდება.

ევროპის ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესების განვითარების, განსაკუთრებით კი სავალუტო კავშირის შექმნის იდეისადმი სკეპტიკურად იყო განწყობილი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი ჰენრი კისინჯერიც. მისი აზრით, საერთო ევროპული სავალუტო სივრცის შექმნა ევროპას აყენებს გზაზე, რომელიც “ბოლო ორმოცდაათწლიანი ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის საწინააღმდეგოა. აღარ არსებობს საფუძველი, რომ გაერთიანებული ევროპა როდესმე ნებაყოფლობით მოისურვებს დაეხმაროს ამერიკის შეერთებულ შტატებს გლობალური ტვირთის ზიდვაში.”(30)

დე სანტისი კი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური გაერთიანება შექმნის იმის წინაპირობას, რომ ევროკავშირმა წარმატებით განახორციელოს საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა. “გლობალური სამხედრო საფრთხის არარსებობის შემთხვევაში განსხვავებული ინტერესები შეასუსტებენ ჩრდილოატლანტიკურ კავშირებს. სავალუტო კავშირი როგორც კი განაპირობებს ევროპის გლობალურ ეკონომიკურ პარამეტრებს, ეს მაშინვე აისახება უსაფრთხოების სფეროში ჩრდილოატლანტიკური მოვალეობების ტრანსპორმაციაზეც. ევროპის სავალუტო კავშირი მისცემს იმპულსს ევროპის ინტეგრაციას და საბოლოო ჯამში მიგვიყვანს საერთო საგარეო და სამხედრო პოლიტიკამდე.”(31)

ცხრილი

	აშშ	ევროკავშირი
მოსახლეობა	301 139 947 მლნ	490 426 060 მლნ
მშპ (დოლარებში)	12.98 ტრილიონი	12.82 ტრილიონი
მშპ ერთ სულ მოსახლეზე	43 500	29 400
სამხედრო ხარჯები (დოლარებში)	626 მილიარდი	293 მილიარდი
სამხედრო ხარჯები მშპ %	4,06%	1%
მთლიანი ექსპორტი (დოლარებში)	1.024 ტრილიონი	1.33 ტრილიონი
მთლიანი იმპორტი (დოლარებში)	1 869 ტრილიონი	1 466 ტრილიონი

1958 წელს ევროკავშირი ჩამოყალიბდა, როგორც სამოქალაქო კავშირი, რომლის ძირითადი პრიორიტეტი გახლდათ დასავლეთ ევროპის ეკონომიკური კავშირურთიერთობების განმტკიცება, ხოლო ამ ორგანიზაციის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა ნატო ამერიკის მიერ მიცემული გარანტიების საფუძველზე. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი მიესალმა დასავლეთ ევროპის ექვს სახელმწიფოს შორის რომის ხელშეკრულების ხელმოწერას. თუმცა 1990-იანი წლებიდან გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის (CFSP-Common Foreign and Security Policy) ჩამოსაყალიბებლად. 1997 წელს ამსტერდამში დამტკიცდა CFSP -ის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობაც, როგორც უკვე ავღნიშნეთ, 1998 წელს სენტ მალოში საფრანგეთის და ბრიტანეთის წარმომადგენლები შეთანხმდნენ თავდაცვის საკითხებში თანამშრომლობის თაობაზე. 1999 წლის ჰელსინკის საბჭოს შემდეგ ევროკავშირის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრებს შორის რეგულარულად ეწყობა შეხვედრები, ასევე ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ჩამოყალიბდა სამხედრო კომიტეტი და სამხედრო შტაბი. ევროკავშირმა ასევე დასახა ახალი პრიორიტეტი, სამშვიდობო ოპერაციებში ჩართვა. კერძოდ 2003-2004 წლებში ევროკავშირის მიერ ბოსნიასა და მაკედონიაში ჩატარებულ იქნა სამოქალაქო-პოლიციური და სამხედრო ოპერაციები, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს პირველი ავტონომიური ოპერაცია ევროპის საზღვრებს გარეთ, აღმოსავლეთ კონგოში, სადაც 1800 ჯარისკაცი გაიგზავნა, ხოლო მოგვიანებით სულანში-დარფურის პროვინციაში. 2003 წელს ევროკავშირმა მიიღო პირველი საერთო უსაფრთხოების კონცეფცია – უსაფრთხო ევროპა გაუმჯობესებულ მსოფლიოში.

თავდაცვის კავშირის ჩამოყალიბება ევროკავშირში ახალი იდეა არ ყოფილა, თუმცა, მცდელობების მიუხედავად ცივი ომის განმავლობაში ასეთი კავშირის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა ინტეგრაციის შედარებით დაბალი დონის და იმის გამო, რომ ევროპისთვის მეტად ძვირფასი იყო ამერიკის მიერ მიცემული გარანტიები.

1999 წლის დეკემბერში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ევროკავშირის სამხედრო ძალის ჩამოყალიბების გზაზე. ეს სამხედრო შენაერთი უნდა ყოფილიყო არა რომელიმე წევრი ქვეყნის განკარგულებაში მყოფი ევროკავშირის სამხედრო შენაერთი, არამედ იგი უნდა დაქვემდებარებოდა ევროკავშირის საერთო სტრუქტურას. 2004 წლის 22 ნოემბერს ჩამოყალიბდა ევროპის სწრაფი რეაგირების ძალები (ERRF)-European Rapid Reaction Force). 2007

წლის 1 იანვრიდან სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში ირიცხება 60 000 სამხედრო მოსამსახურე. შენაერთები ეროვნული არმიების შემადგენლობაში დარჩება და საჭიროების შემთხვევაში შეიკრიბება. უკვე ის ფაქტი, მიიღებს თუ არა ევროკავშირის ამა თუ იმ ქვეყნის შენაერთი მონაწილეობას გარკვეულ ოპერაციებში, ეროვნული მთავრობის კომპეტენციას მიეკუთვნება. ERRF-ს კომპეტენცია მოიცავდა ჰუმანიტარული დახმარების და სამშვიდობო მისიებს”, რასაც დაემატა “განიარაღების გაერთიანებული ოპერაციები,” “სამხედრო რჩევის და დახმარების დავალებები” და “პოს-კონფლიქტური რეაბილიტაცია.”

ERRF-მ პირველი დამკვირვებლის ოპერაცია ჩაატარა მაკედონიაში ამ ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასა ერთის მხრივ და კოსოვოს განთავისუფლების არმიისა და ალბანელ მოსახლეობას მეორეს მხრივ შორის არსებული უთანხმოების დროს.

ევროკავშირის ძალებისგან (EUFOR-European Union Force) განსხვავებით სწრაფი რეაგირების ძალები მუდმივი ინსტიტუტია. EUFOR-მა ჩაანაცვლა ნატოს სტაბილიზაციის ძალები SFOR (Stabilization Force) და განხორციელების ძალები (IFOR-Implementation Force) ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში.

ექსპერტებს ევროპის საერთო საგარეო და თავდაცვით პოლიტიკასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ. თუ ერთნი მიიჩნევენ, რომ ევროკავშირს გააჩნდა შესაბამისი პოტენციალი და ჰქონდა საკმარისი მიზეზი საკუთარი სამხედრო შენაერთის ჩამოყალიბებისაკენ, მეორენი ეჭვქვეშ აყენებენ ევროკავშირის საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკას და სწრაფი რეაგირების ძალების ეფექტიანობას.

ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია, რომელიც უარს ამბობს ნატოს ფარგლებში ამერიკის სამხედრო ძალები რომელიმე ევროპელ სამხედრო მეთაურს დაუმორჩილოს და თავის მეთაურად მხოლოდ ამერიკელი გენერალი წარმოუდგენიათ. ამავე დროს ამერიკელებს გააჩნიათ პრეტენზია, რომ ნატოს ქვეყნების ყველა სამხედრო ერთეული ამერიკელ გენერლებს ემორჩილებოდეს. ეს კი რა თქმა უნდა ქმნის მთელ რიგ წინააღმდეგობებს. ამ კონტექსტში ამერიკის წინადადებას ნატოს გლობალური სტაბილურობის დამცველის როლი მინიჭოს-მათ შორის ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური იარაღის გაუზრცვლებლობის მიზნით-ევროპაში ცივად შეხვდნენ.

ამერიკისა და ევროკავშირის გლობალურ საკითხებზე განსხვავებული პოზიციების არსებობა, ასევე იწვევს განსხვავებას ნატოს მათეული შეფასებაშიც, ევროკავშირი შექმნის “თავის საკუთარ საერთო სამხედრო შტაბს და თავად-დამოუკიდებლად განიხილავს ოპერაციების ჩატარებას ნატოს ფარგლებში თუ მის მიღმა.” “ნატოს ფარგლებში ამერიკასა და ევროკავშირს შორის არსებული წინააღმდეგობა შეიძლება ფეთქებადსაშიში აღმოჩნდეს. კრიტიკოსები თვლიან, რომ ვაშინგტონი ნატოს საკუთარ სამხედრო დასაყრდენად გადააქცევს თავისი გლობალური მიზნების რეალიზაციისათვის”

როგორც 90-იან წლებში ევროკავშირის ფარგლებში ჩატარებულმა რეფორმებმა ცხადყო, ამ ორგანიზაციამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა საკუთარი, ამერიკისგან დამოუკიდებელი, სამხედრო წარმოების შესაქმნელადაც. “აშშ-ს ევროპელი მოკავშირეები სულ უფრო მეტად შეეცდებიან შექმნან განიარაღების საკუთარი ტიპები. ამის მაგალითად გამოდგება საერთოევროპული გამანადგურებლის შექმნის გეგმა, რომლის შექმნაშიც მონაწილეობას იღებენ გერმანული და ბრიტანული ფორმები. როგორც ერთიანი ვალუტა, დამოუკიდებელი სამხედრო წარმოებაც, ინტეგრირებული ევროპის საზღვრებში გაუსვამს ხაზს, რომელსაც სჭირდება საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ინფრასტრუქტურა. ბევრი ევროპელი მიიჩნევს, რომ ევროპამ უნდა მიაღწიოს მდგომარეობას, როცა შეიძლება სამხედრო მოქმედებები ამერიკის

მონაწილეობის გარეშე ჩაატაროს” (32). ამ კონტექსტში ევროკავშირს საკუთარი თავდაცვის პოლიტიკა და სამხედრო ძალა სჭირდება, იმისთვის რათა ჩაატაროს ეს ოპერაციები, რომელთაც თავად ჩათვლის საჭიროდ. მიუხედავად ამ ტენდენციებისა, ევროპა ჯერ ძალიან შორს დგას ამერიკის სამხედრო პოტენციალისაგან.

თავდაცვის პოლიტიკის ფორმირება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საგარეო პოლიტიკით. სამხედრო პოტენციალის ამოქმედება და ძალის გამოყენება საჭირო ხდება საგარეო პოლიტიკის მიზნების მხარდასაჭერად. ნებისმიერი საერთო თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკა კოორდინირებული უნდა იყოს საგარეო პოლიტიკურ ასპექტებთან.

ბალკანეთის კრიზისის დროს ნათლად გამოჩნდა სხვაობა ევროკავშირის რიტორიკასა და ეფექტიანად მოქმედების საშუალებაში. ბალკანეთი ევროპარალიზისგან ამერიკამ იხსნა. ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე განვითარებულმა მოვლენებმა გამოაშკარავა ღრმა სხვაობა წვერი ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში და რომ პრობლემა არა სტრუქტურების მექანიზმში, არამედ წვერი ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური და უსაფრთხოების ინტერესების განსხვავებაში გამოიხატებოდა.

თავდაცვის სფეროს ბიუჯეტირება ნატოს წევრ სახელმწიფოებში

საერთო ევროპული საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის მიუხედავად, და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ევროპას გააჩნია სურვილი ჰყავდეს საკუთარი სწრაფი რეაგირების ძალები, ევროპულ სახელმწიფოებში არსებული თავდაცვაზე გამოყოფილი ხარჯები ბევრად ნაკლებია ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოყოფილ სამხედრო ხარჯებზე, და აქედან გამომდინარე ევროპელების არსებული სამხედრო შესაძლებლობებიც ნაკლებია. უფრო მეტიც, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ევროპული სახელმწიფოები თავდაცვაზე ხარჯავენ ნატოს სტანდარტებით გათვალისწინებულ მშპ-ის 2%-ზე ნაკლებს (თუ არ ჩავთვლით ორ-სამ სახელმწიფოს), რაც თავის მხრივ მიანიშნებს იმაზე, რომ ამერიკისგან განსხვავებით ევროპელებისათვის ნატო შედარებით ნაკლებად პრიორიტეტულ ორგანიზაციად განიხილება და შესაბამისად ევროპა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის როლს ამერიკასთან შედარებით უფრო შეზღუდულად განიხილავს.

ნატოს ევროპული სახელმწიფოები ბელგია, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, გერმანია, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, პოლანდია, სლოვაკეთი, სლოვენია და ესპანეთი ვერ ან არ ასრულებენ ნატოში შეთანხმებულ სტანდარტს თავდაცვაზე მშპ-ის მინიმუმ 2%-ის დანახარჯის თაობაზე. თუ ევროკავშირსა და ნატოში ახლადმიღებული სახელმწიფოებისაგან, ან ამ ორგანიზაციების შედარებით პატარა ქვეყნებისგან ეს ფაქტი შედარებით მოსალოდნელია, ისეთი ქვეყანა როგორც გერმანიაა, თავდაცვაზე ბევრად ნაკლებს ხარჯავს საკუთარ ამბიციებთან შედარებით.

2006 წლის რიგის სამიტამდე ამერიკის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ნიკოლას ბერნსი აღნიშნავდა: ”ამერიკა მომავალშიც თხოვს მოკავშირეებს უფრო მეტი დახარჯონ სამხედრო შესაძლებლობების გასაზრდელად. ნატოს წვერი 26 ქვეყნიდან მხოლოდ 7 ხარჯავს მშპ-ის 3 %-ზე მეტს. აშშ ხარჯავს მშპ-ის 3,7%-ს, მაგრამ მოკავშირეების უმრავლესობა 2%-ზე ნაკლებს ხარჯავს.(33)”

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ნატოს წინაშე აღებული სამხედრო ვალდებულებების გარკვეულწილად იგნორირება ევროკავშირის რიგი ქვეყნების მიერ, იწვევს უკმაყოფილებას არა მხოლოდ ამერიკელებში, არამედ თვით ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ წრეებშიც და ევროპელ ექსპერტთა შორისაც.

მაგალითად ბრიტანელი კონსერვატორი ლაიამ ფოქსი, ბრიტანულ გაზეთ "ტელეგრაფში" აღნიშნავს შემდეგს: "ხშირად მივუთითებ იმ ფაქტზე, რომ ბრიტანეთი თავდაცვაზე მხოლოდ 2,5%-ს ხარჯავს, რაც 1930 წლიდან მოყოლებული ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. თუმცა, მაშინ როდესაც ეს ბრიტანული სტანდარტებით დაბალი მაჩვენებელია, გაცილებით მეტია იმასთან შედარებით, რასაც ბევრი ჩვენი ევროპელი პარტნიორი ხარჯავს. გერმანია თავდაცვაზე ხარჯავს მშპ-ის მხოლოდ 1,4%-ს, ესპანეთი მხოლოდ 1,3%-ს და ჰოლანდია 1,7%-ს. სასაცილოა იმაზე ფიქრი, რომ ევროკავშირის რომელიმე ქვეყანას ექნება სურვილი დახარჯოს იმდენი, რომ ამერიკის ქოლგის ქვეშ არსებულ თავდაცვის დონეს მიაღწიოს. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაშინ გახდება, როდესაც ბრიტანული საზოგადოება გააცნობიერებს, რომ ნატოს სამხედრო მისიებში, მაგალითად ავღანეთში, ბრიტანულ გადამხდელებს და სამხედროებს არაპროპორციული ტვირთის ზიდვა უწევთ რადგან ბევრი ჩვენი ევროპელი მოკავშირე უარს აცხადებს საკუთარი წილი ზიდონ(34)."

ფოქსი აღნიშნავს და აღიარებს იმ ფაქტს, რომ ამერიკას დიდი დამსახურება მიუძღვის ევროპის წინაშე და ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავს ევროპული ქვეყნების სურვილზე გარკვეულწილად დააკნინონ ნატოს მნიშვნელობა. "ევროკავშირში გერმანიის პრეზიდენტობა, სხვათა შორის გამოიწვევს დებატებს, რომლებიც შეეხება ევროკავშირის პრეტენზიებს თავდაცვაზე და ზოგიერთი ევროპელის დიდი ხნის სურვილს კონტინენტზე შემცირდეს ამერიკის გავლენა. უნდა გავიაზროთ ძირითადი განსხვავება ტერმინებს შორის-"ევროპელი", ანუ ევროპის კონტინენტზე მცხოვრები და "ევროკავშირი", ბრიუსელში მდებარე პოლიტიკური ინსტიტუტი. მაგალითად ნორვეგია და თურქეთი ორივე ნატოს მნიშვნელოვანი წევრია, რომლებიც კონტინენტური ევროპის თავდაცვაში არიან ჩართულნი, მაგრამ არ არიან ევროკავშირის წევრები. არასდროს ყოფილა პრობლემა, ევროკავშირს ნატოსთვის დახმარება გაეწია იქ, სადაც ამერიკისთვის რთული იყო მოქმედება. სირთულე წარმოიქმნება ევროკავშირის ამბიციებთან ერთად, რომ ნატო კი არ შეავსოს, არამედ შეავიწროვოს. ეს კონსერვატორებისთვის მიუღებელია, რომლებიც ნატოს განიხილავენ, როგორც ყველაზე წარმატებულ თავდაცვის ალიანსს, როგორც ჩვენი თავდაცვისა და უსაფრთხოების ბაზისს"(35).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ევროპის მიერ გაღებული სამხედრო ხარჯები მნიშვნელოვანწილად ჩამოუვარდება ამერიკისას. ასევე არასაკმარისია ევროპის მიერ სამხედრო რეფორმებზე გაწეული ხარჯებიც. გარდა ამისა, ეფექტური თავდაცვითი პოლიტიკისათვის აუცილებლობას წარმოადგენს კოორდინირებული საგარეო პოლიტიკა, რომელიც ჯერ-ჯერობით ევროკავშირში მიღწეული არ არის.

ნატოს არაკორდინირებული ურთიერთობა რუსეთთან

ევროკავშირის სამეცნიერო წრეებში ნათლად აქვთ გააზრებული ის ფაქტი, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის თანამედროვე უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში ენერჯის წყაროების დივერსიფიკაციას და რამდენად მაღალია რუსეთის მიერ ენერჯეტიკის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების ალბათობა. 2007 წლის ივნისში ოქსფორდის უნივერსიტეტის მოხსენებაში, სადაც მომზადდა მოხსენება დიდი ბრიტანეთის ენერჯეტიკული სტრატეგიის შესახებ, გაკრიტიკებულ იქნა ბრიტანეთის და მთლიანად ევროკავშირის პოზიცია. მოხსენებაში აღნიშნული იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან უფრო მკაცრ და ერთიან პოზიციაზე რუსეთის წინააღმდეგ. დღევანდელ ეტაპზე რუსეთი ევროპის გაზზე

მოთხოვნების საკმაოდ დიდ ნაწილს აკმაყოფილებს, ამიტომაც ოქსფორდის უნივერსიტეტის მოხსენებაში აღნიშნულ იქნა, რომ ბრიტანეთმა თავისი მკაცრი პოზიცია უნდა დააფიქსიროს ევროკავშირში, რათა გაიხსნას ბუნებრივი აირის ახალი მარაგები და უფრო აქტიურად იქნეს მოძიებული გაზის იმპორტის ალტერნატიული გზები.

რუსეთის მიერ დღევანდელ დღეს გატარებული პოლიტიკის, აგრეთვე მისი ტერიტორიული სიდიდისა და სამხედრო პოტენციალის გარდა, ევროკავშირს ბუნებრივია რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება აიძულებს შედარებით რბილი პოლიტიკა გაატაროს რუსეთთან მიმართებაში და ხანდახან თვალი დახუჭოს იმ უკანონო ქმედებებზე, რომელსაც რუსეთი ეწევა როგორც ქვეყნის შიდა, ასევე ქვეყნის გარეთაც, რისი ნათელი დადასტურებაც გახლავთ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შიდა საქმეებში უხეში ჩარევა და ა.შ.

ნატოს ევროპული ქვეყნების წარმომადგენლებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ საქართველოს მიერ მის მეზობელ რუსეთთან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დარეგულირება ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრიანების გზაზე. ეს მაშინ, როდესაც 2006 წლის სექტემბერში, საქართველოს ნატოსთან ინტენსიური დიალოგის ფაზაში გადასვლის საპასუხოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამი იყო: "საქართველოს გაწევრიანება დღევანდელ არატრანსფორმირებულ ნატოში სერიოზულ გავლენას მოახდენდა რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო ინტერესებზე და ნეგატიურ გავლენას იქონიებდა კავკასიაში არსებულ არამყარ სიტუაციაზე. ნატოს ნებისმიერი გაფართოება უსაფრთხოების სურათის შეცვლას იწვევს, მაგრამ საქართველოს შემთხვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი რუსეთთან ახლო გეოგრაფიული მდებარეობის გამო და კავკასიის საკითხებში საქართველოს პრობლემების გათვალისწინებით(36)."

რუსეთის პოზიცია იმდენად სწორხაზოვნად ნეგატიურია საქართველოს მიმართ, რაც პირველ რიგში განპირობებულია საქართველოს ნატოში ინტეგრაციის სურვილით, და იმდენად ცხადია, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირება და შესაბამისად ორ ქვეყანას შორის კარგი ურთიერთობა პირველ რიგში საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის ცვლილებას ნიშნავს, რომ ფაქტობრივად ფანტასტიკის სფეროს მიეკუთვნება საქართველოს მიერ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია და ამის პარალელურად რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები თავადვე არიან ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები, ევროპა დღესაც აგრძელებს რუსეთის დაყვავების პოლიტიკას და ხანდახან მხალოდ ფორმალური ტიპის შენიშვნებით შემოიფარგლება.

ლონდონის უსაფრთხოების კვლევის ცენტრის დირექტორი, ჯონათან ეილი მიიჩნევს, რომ ევროპის მიერ რუსეთის დაყვავება გააუარესებს რუსეთის აგრესიას. "ევროპა ახლა არ დგას ცივი ომის წინაშე. სამაგიეროდ ახლა ევროპა რუსეთის პოლიტიკის სამიზნეა, რომელიც ცდილობს დანადმოს ცენტრალური ევროპის სტაბილურობის საფუძველი. სანამ ევროკავშირში მიღწეული იქნება კონსენსუსი თუ რა პასუხი გაეცეს ამ გამოწვევას, ბატონ პუტინთან სამიტების გამართვა მხოლოდ დაამძიმებს არსებულ უსაფრთხოების სირთულეებს.(37)"

ამასობაში ზოგიერთი დასავლეთ ევროპელი ლიდერის მოქმედებები თუ უმოქმედობა ხელს უწყობს რუსეთს მისი აგრესიული ზრახვების განხორციელებაში. მაგალითად, ეაკ შირაკმა, საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, ერთხელ ცენტრალურ ევროპელებს სახალხოდ მოუწოდა "მოეკეტათ" როდესაც უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები ირჩეოდა. გერმანიის ყოფილმა კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა თავისი ქვეყნის ფული

რუსეთთან ერთობლივი ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაში ჩადო და ეხლაც აქტიურად თანამშრომლობს მოსკოვთან ჩრდილოეთის გაზსადენის მშენებლობის საქმეში, რითაც შეიძლება ითქვას, იგი ეხლა მოსკოვის მიერ კონტროლირებადი გაზის ინდუსტრიის ხელქვეითია. ევროპამ ვერ მოშალა ძველი ცუდი ჩვევები, ამჟამად ბრიუსელში მყოფი ჩინოვნიკები, სკეპტიკურად უყურებენ ამერიკის მიერ გატარებულ პოლიტიკას, მაგრამ ამავე დროს მუდამ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი რუსეთისადმი, და ამ კონტექსტში ხშირად არად აგდებენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპას. მაგალითად, ევროკომისია არ განიხილავდა ახალი ევროკავშირი-რუსეთის ხელშეკრულების ხელმოწერის შესაძლებლობას, რომელიმე დასავლეთ ევროპული ქვეყანა რუსეთის სავაჭრო ემბარგოს მსხვერპლი რომ გამხდარიყო. მაგრამ ევროკავშირმა აწარმოა მოლაპარაკებები რუსეთთან, მიუხედავად რუსეთის მიერ დაწესებულ ემბარგოზე ევროკავშირის წევრი პოლონეთის მიერ წარმოებულ ხორცის პროდუქტებზე. ასევე, თვეების განმავლობაში ევროკავშირს არანაირი პროტესტი არ გამოუხატავს რუსეთის მიერ ლიტვაში მიმავალი ნავთობსადენის ბლოკირების თაობაზე. როდესაც გასულ წელს გაისმა რუსეთის მუქარა ესტონეთის მიმართ, რაც როგორც ცნობილია დაკავშირებული იყო საბჭოთა მემორის მემორიალის გადაადგილებასთან, ევროკავშირს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ მისი ერთ-ერთი წევრი ქვეყნისადმი სოლიდარობა გამოეცხადებინა. რჩება იმის შთაბეჭდილება, რომ ყოველ ახალ ეტაპზე, ევროკავშირი აშკარად აჩვენებს მზადყოფნას მისი ახალი წევრების ინტერესები კომპრომისად მოიტანოს მოსკოვთან კარგი ურთიერთობის შესანარჩუნებლად. ამ პოლიტიკას, მიუხედავად რა თქმა უნდა მისი არამიმზიდველობისა, გამართლება შეიძლება მაშინ ჰქონოდა, თუ ევროპის ამ კომპრომისების შედეგად რუსეთი უფრო რბილი გამხდარიყო, მაგრამ ფაქტია, რომ ევროპის მიერ აღებული დღევანდელი კურსი და სტრატეგია რუსეთის ყველაზე უარეს იმპერიალისტურ ინსტინქტებს აძლიერებს.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დასავლეთ ევროპისგან განსხვავებით, ევროკავშირში ახალი გაწევრიანებული და რუსეთთან გეოგრაფიულად უფრო ახლოს მდებარე აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები აშკარად გამოხატავენ თავიანთ უკმაყოფილებას რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის გამო და ევროკავშირის და ნატოს მოქმედების არეალსაც უფრო ფართოდ ხედავენ ვიდრე დასავლეთ ევროპის რეგიონით შემოსაზღვრულს. აქვე აღსანიშნავია აღმოსავლეთ ევროპის უფრო გაბედული პოზიცია ნატოს შესაძლო გაფართოებასთან ან თუნდაც ამერიკული ბაზების და სამხედრო ობიექტების აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში განთავსებასთან დაკავშირებით.

მაგალითად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აპრილში საქართველოში ვიზიტისას პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ ღია და პირდაპირი მხარდაჭერა გამოხატა საქართველოს ნატოში ინტეგრაციისადმი, იგივეს აცხადებს ესტონეთის საქმეთა რწმუნებული საქართველოში, ჰარი ლაჰტეინი, რომელიც აცხადებს, რომ ესტონეთიც უჭერს მხარს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას. თავისი გაბედული მხარდაჭერა დააფიქსირა ლატვიამაც, როდესაც ნატოს რიგის სამიტზე ამ ქვეყნის პრეზიდენტმა ფრაიბერგამ ღიად დააფიქსირა თავისი ქვეყნის პოზიცია საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართ.

რაც შეეხება ამერიკის პოზიციას, იგი განსხვავებულია. ამერიკული პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები ევროპელებთან შედარებით უფრო ღიად აკრიტიკებენ რუსეთის პოლიტიკას და გაცილებით უფრო აშკარად გამოხატავენ როგორც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების, ასევე ნატოს წევრობის კანდიდატი ქვეყნების მხარდაჭერას. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ გასულ წელს აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული რეზოლუცია, სადაც ვაშინგტონი მხარს უჭერს ხორვატიის, მაკედონიის, ალბანეთის, უკრაინისა და

საქართველოს ნატოში გაწევრიანების და ამ მიზნით კონგრესმა ალიანსის ასპირანტ ქვეყნებში, უსაფრთხოების სექტორში რეფორმების ჩასატარებლად 20 მილიონი აშშ დოლარი გამოყო.

2006 წლის ოქტომბერში გერმანული Financial Times-ისთვის მიცემულ ინტერვიუში, ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ კავკასიისა და სამხრეთ ევროპის საკითხებში, მეთიუ ბრაიზამ, თავისი კრიტიკული მოსაზრება გამოთქვა ბალტიის ზღვაში გახსადენის გაყვანის პროექტთან დაკავშირებით, რომლითაც მოხდება რუსეთისა და გერმანიის დაკავშირება და შემდგომში რუსეთის გაზის ექსპორტი დასავლეთ ევროპაში, თუმცა გახსადენი გვერდს აუვლის პოლონეთს და უკრაინას.

”არ შეიძლება რუსეთის მზარდი რიტორიკის იგნორირება სტრატეგიული მნიშვნელობის რიგ საკითხებზე,” ფიქრობს ნატოს სპიკერი, კანადელი ჯეიმს აპათურაი მოსკოვის მკაცრ ტონზე აღმოსავლეთ-დასავლეთის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.

ნატოს წევრ ქვეყნებში რუსეთისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას გარკვეულწილად განსაზღვრავს ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორები. გასულ საუკუნეში და მანამდეც მომხდარი ისტორიული მოვლენების გათვალისწინებით, რუსეთის პირდაპირი მეზობლები-ბალტიის სამი ქვეყანა და აღმოსავლეთ ევროპის ხუთი ქვეყანა ცდილობენ მოახდინონ რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის ღობირება და ამტკიცებენ, რომ მოსკოვის განახლებული იმპერიული ამბიციები ემუქრებიან მეზობლებს. თუმცა ნატოს სხვა სახელმწიფოები, რომლებიც ოფიციალურად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების სტრატეგიულ პარტნიორებად ითვლებიან ნატოს ფარგლებში, კერძოდ ისეთი ძლიერი მოთამაშეები, როგორც არიან გერმანია, იტალია, და ცოტა ხნის წინ საფრანგეთიც, რუსეთთან ”სტრატეგიულ პარტნიორობას” ირჩევენ.

რუსეთთან მიმართებაში საკუთარ პოზიციას აფიქსირებს ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების საკითხების პოლიტიკის კოორდინატორი, ჰავიერ სოლანაც, რომელიც ”სიმშვიდისაკენ” მოუწოდებს ქვეყნებს და მიიჩნევს, რომ რუსეთის გლობალური მასშტაბის და ენერჯო რესურსების გათვალისწინებით, ევროკავშირმა და რუსეთმა უნდა დაამყარონ ”ღრმა და მტკიცე ურთიერთობა.” გარდა ამისა სოლანას აზრით, დასავლეთისათვის რუსეთის ფაქტორი მნიშვნელოვანია იმის გამოც, რომ ევროკავშირსა და რუსეთს შორის თბილი ურთიერთობა ხელს შეუწყობს სხვადასხვა პრობლემების მოგვარებას, მაგალითად ირანთან ურთიერთობას და ამ ქვეყნის ხელისუფლების დარწმუნებას, რომ თეირანის მიერ შეჩერდეს ბირთვული პროგრამის განხორციელება, ასევე, ურთიერთმოლაპარაკების გზით განისაზღვროს კოსოვოს სტატუსი.

ვაშინგტონის მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტს კიდევ ერთი არგუმენტი მოჰყავს ამერიკის და ევროპის რუსეთისადმი განსხვავებული დამოკიდებულების ასახსნელად: ”ევროპელებს ამერიკელებზე ბევრად მეტად შეაწუხებდათ რუსეთის კოლაფსი და ყოფილ საბჭოთა ტერიტორიებზე ომების დაწყება, ვიდრე რუსეთის გაძლიერება(38).”

აშშ-თურქეთის წინააღმდეგობანი

ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის გარკვეული უთანხმოებების გარდა, ასევე სხვადასხვა ტიპის წინააღმდეგობანი არსებობს აშშ-სა და ნატოს კიდევ ერთ წევრ-თურქეთს შორის.

დღეს ვაშინგტონისათვის ანკარასთან მოკავშირეობას განსაზღვრავს ის, რომ თურქეთი გეოგრაფიულად მდებარეობს როგორც შავი ზღვის რეგიონში, ასევე ახლო აღმოსავლეთში და ამავე დროს ბისეკ-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური წევრია.

შავი ზღვისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონების მნიშვნელობას აშშ-ის პოლიტიკისათვის რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია რეგიონის უზარმაზარი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე, მასში თავმოყრილი ენერჯორესურსების მასშტაბური ოდენობის გამო. აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მეტად აქტიური, და ამავე დროს გადამწყვეტი როლი ითამაშა კასპიის „დიდი“ ნავთობის თურქეთის ტერიტორიის გავლით გატარების საქმეში.

თურქეთსა და აშშ-ის შორის თბილი ურთიერთობების მიუხედავად არც თუ ისე დიდი ხნის წინ გარკვეული უთანხმოებანი წარმოიქმნა თურქეთში განლაგებული აშშ-ის სამხედრო ბაზების გარშემო, ხოლო შემდგომ აშშ-ის მიერ ერაყში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების გარშემო. ამის ნათელი დადასტურებაა თურქეთის უარი, დაეთმო თავისი საჰაერო სივრცე აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის ერაყის სამხედრო კომპანიის დროს 2003 წელს. გარდა ამისა, ანკარის უკმაყოფილებას იწვევს ერაყის ქურთისტანის ტერიტორიაზე ქურთისტანის მუშათა პარტიის შეიარაღებული ფორმირებების არსებობა. თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ვაშინგტონი არავითარ ქმედებებს არ ახორციელებს ამ ტერორისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ, რომლებიც გადმოდიან თურქეთის ტერიტორიაზე და ტერორისტულ აქტებს ახორციელებენ. როგორც ცნობილია, 2007 წლის ბოლოს თურქეთი უფრო რადიკალურ ქმედებებზე გადავიდა და ჩრდილოეთ ერაყში ქურთთა მუშათა პარტიის პოზიციები რამდენჯერმე დაბოძა. გარდა ამისა, თურქეთს სურს თვითონ იტვირთოს ლიდერის ფუნქცია შავ ზღვაზე განსახორციელებელი პროგრამების (BLACKSEAFOR, Black Sea Harmony) ფარგლებში და არ დაუშვას აშშ-ის სამხედრო ფლოტის გავლენის ზრდა შავ ზღვაზე. თავის მხრივ, ვაშინგტონის უკმაყოფილებას იწვევს თურქეთის სულ უფრო დაახლოება მოსკოვთან, რისი ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა გაზსადენი “ცისფერი ნაკადი”, სავაჭრო ბრუნვის ზრდა მოსკოვსა და ანკარას შორის და თურქეთ-რუსეთის კოორდინირებული ქმედებები შავ ზღვაზე BLACKSEAFOR, Black Sea Harmony-ის ფარგლებში.

აშშ-სა და ევროპის პოზიციების მსგავსებები

მიუხედავად აშშ-სა და ნატოს ევროპელ მოკავშირეებს შორის არსებული გარკვეული უთანხმოებებისა, წიგნის ამ ქვეთავში მოყვანილი ფაქტების მიზანს არ წარმოადგენდა, რომ ნაჩვენები ყოფილიყო განხეთქილება ამერიკა-ევროპის ურთიერთობებში. კონკრეტულად ამ თემის პრიორიტეტს წარმოადგენდა დაემტკიცებინა, რომ თუ ალიანსში არ არსებობს მკვეთრად გამოკვეთილი საერთო პრიორიტეტი, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ალიანსის წევრმა ქვეყნებმა გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული, პოლიტიკური თავისებურებებიდან გამომდინარე სხვადასხვა სფეროებში დაიკავონ განსხვავებული პოზიციები, რამაც შესაძლოა თავისი ნეგატიური გავლენა მოახდინოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ეფექტიანობაზე. თუმცა ამავე დროს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა, რომელიც არსებობდა როგორც “ცივი ომის” პერიოდში (რაზეც წიგნის პირველ თავში იყო ყურადღება გამახვილებული), ასევე ამ პერიოდის დასრულების შემდეგ ამერიკელ და ევროპელ მოკავშირეებს შორის,

ნატო წარმოადგენდა და წარმოადგენს ერთიან გუნდს, რაც პირველ რიგში განპირობებულია იმით, რომ ორგანიზაცია დაფუძნებულია საერთო დემოკრატიულ ღირებულებებსა და ფასეულობებზე, და დღევანდელ დღეს ნატოს წევრ ქვეყნებს შორის უფრო მეტი თანხვედრა არსებობს ვიდრე წინააღმდეგობანი. ამასთან დაკავშირებით ჩვენ შეგვიძლია გამოვეყოთ შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

- ევროკავშირის ქვეყნები თავდაცვის ბიუჯეტებზე ხარჯავენ იმაზე ნაკლებს, ვიდრე საჭიროა ქმედუნარიანი სამხედრო ძალის შესაქმნელად. გარდა ამისა, ევროპის შიგნით არსებობს პოზიციათა ერთიანობის გარკვეული დეფიციტი, რაც თავის მხრივ ხელს უშლის ნატოს ეფექტიანობას. იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირი მარტო გერმანია და საფრანგეთი არ არის და იმისათვის რომ ევროკავშირმა რეალურად შეძლოს გააწონასწოროს ამერიკა, საჭიროა ერთიანი პოზიცია საგარეო პოლიტიკის საკითხებში, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს თავდაცვის პოლიტიკას. ამერიკის სამხედრო პოტენციალი კი დღევანდელ ეტაპზე არის კონკურენტგარეშე და აქედან გამომდინარე ევროპას კვლავ სჭირდება ამერიკის გარკვეული გარანტიები. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება დასავლეთ ევროპა ბევრ საკითხში არ იზიარებს ამერიკის პოლიტიკას, “ბებერ კონტინენტს” დღემდე სჭირდება, რომ ამერიკამ მოაწესრიგოს გლობალური საკითხები. სწორედ ამ ტრანსატლანტიკური ურთიერთობების წყალობით შეძლო ევროპამ უზრუნველყო თავისი უსაფრთხოება მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში;

- ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ევროკავშირისა და ამერიკის ეკონომიკური ურთიერთობები. ევროკავშირი და აშშ ერთმანეთისათვის ნომერი პირველი სავაჭრო პარტნიორები არიან და ორ მხარეს შორის ვაჭრობის მოცულობა ყველაზე მაღალია მსოფლიოში. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს შემდეგი სტატისტიკური მონაცემები: ევროკავშირსა და აშშ-ზე მოდის მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 40%. ყოველ დღე დაახლოებით 1,7 მილიარდი ევროს ღირებულების ტრანსატლანტიკური ვაჭრობა მიმდინარეობს. ამ მხრივ ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2007 წელს გაუღერდა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის იდეა “ტრანსატლანტიკური ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ”, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირისა და აშშ-ის ეკონომიკების დაახლოებას. პოლიტოლოგთა აზრით პირველი ნაბიჯები ამ გზაზე იქნება ევროკავშირისა და აშშ-ის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ეკონომიკის სფეროში, რასაც შემდეგ მოჰყვება მათი ფინანსური ბაზრების ინტეგრაცია. შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეის საბოლოო შედეგი იქნება ერთიანი ტრანსატლანტიკური ბაზრის შექმნა საერთო წესებითა და სტანდარტებით ისეთ საკითხებში, როგორიც არის ინტელექტუალური საკუთრება და ფინანსური რეგულირება;

- ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაღრმავდა თანამშრომლობა ნატოსა და ევროკავშირს შორის სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების სფეროში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ევროკავშირმა თავის თავზე აიღო სამშვიდობო ოპერაციის წარმოება ბოსნია და ჰერცეგოვინაში;

- ნატოს ამერიკელი და ევროპელი მოკავშირეები ერთად არიან ჩართულნი სახმელეთო ოპერაციებში ავღანეთის ტერიტორიაზე;

- სახეზეა ნატოს ფარგლებში ამერიკისა და ევროპის ინტერესთა თანხვედრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორცაა ტერორიზმისაგან თავდაცვა; ანტისარაკეტო თავდაცვა; სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა; თანამშრომლობა პარტნიორ სახელმწიფოებთან ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში და ა. შ.

უკანასკნელ პერიოდში კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა ნატოს ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების ერთსულლოვნება ჩრდილოეთ კორეისა და ირანის ბირთვული პოლიტიკის გარშემო. სწორედ ნატოს ერთსულლოვნებამ ითამაშა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი იმაში, რომ 2007 წლის 13 თებერვალს დაიდო ისტორიული შეთანხმება, რომელიც ჩრდილოეთ კორეის მხრიდან ბირთვული პროექტის შეწყვეტას, ხოლო მეორე მხრივ მოლაპარაკების მეორე მხარის თანხმობას - ფხენიანისათვის დიდი რაოდენობით ენერგორესურსების გადაცემას ითვალისწინებდა და დასავლეთს სხვადასხვა ტიპის სანქციების გაუქმებას აკისრებდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ კორეის ირგვლივ ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული სირთულეები, თუ გადავავლებთ თვალს ბოლო თვეებში მიმდინარე პროცესებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთმა ეკონომიკური სანქციებისა თუ წარმატებული დიპლომატიური ურთიერთობების მეშვეობით მოახერხა ჩრდილო კორეის, როგორც მსოფლიოს კიდევ ერთი ბირთვული საფრთხის განეიტრალება. რაც შეეხება ირანს, იმის გათვალისწინებით, რომ შეერთებულმა შტატებმა ერაყის მოვლენების დროს დასავლეთ ევროპისაგან ნეგატიური გამოხმაურება მიიღო, ირანის საკითხთან მიმართებაში მოვლენები სხვაგვარად ვითარდება. პრეზიდენტ ბუშის განცხადების თანახმად “ირანს ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს ასახსნელი საკუთარი ბირთვული გეგმებისა და ამასთან დაკავშირებით წარსულში განხორციელებული საიდუმლო ღონისძიებების თაობაზე. ირანმა დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ურანის გამდიდრების პროცესი და მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდეს. სამხედრო მოქმედებების წარმოების აუცილებლობაც ბოლომდე არ არის გამორიცხული”. ამასთანავე აშშ-ის პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ ირანის წინააღმდეგ მკვეთრი ღონისძიებების გატარების აუცილებლობის საკითხში, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და გერმანიის პარალელურად, მსოფლიოს სხვა წამყვანი ქვეყნებიც შესაბამის პოზიციას დაიკავებენ. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გერმანიის მთავრობის პრეს-სპიკერმა ულრიხ ვილჰელმმა განაცხადა: “CIA მოხსენება არ იძლევა დამშვიდების საფუძველს. აუცილებელია ოფიციალურ თეირანზე საერთაშორისო ზეწოლის კვლავინდებური გაგრძელება ურანის გამდიდრების პროცესის შეწყვეტასთან დაკავშირებით”.

გასათვალისწინებელია, რომ დღეს ევროპაში აღარ არიან შრიოდერი და შირაქი. სახელისუფლებო ცვლილებებმა საფრანგეთსა და გერმანიაში მნიშვნელოვნად შეცვალა ამ ქვეყნების დამოკიდებულება შეერთებული შტატების მიმართ. 2007 წლის ნოემბერში ნიკოლა სარკოზიმ და ანგელა მერკელმა საკმაოდ თბილი და ნაყოფიერი შეხვედრები გამართეს თავიანთ ამერიკელ კოლეგასთან და ჯორჯ ბუშს ირანის საკითხზე მხარდაჭერა აღუთქვეს.

ნატო - რუსეთი

საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის შემდგომ პერიოდში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ხაზგასმით და მიზანდასახულად ცდილობდა რუსეთთან თანასწორუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას. ნატოს ამ ინიციატივას ფართო მხარდაჭერა გააჩნდა დასავლეთის პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებაში. მაგრამ, ამავე დროს იყვნენ ამ იდეის მოწინააღმდეგეები, რომელთაც არ სჯეროდათ, რომ რუსეთი დემოკრატიული გზით წავიდოდა და მომავალში არ გამოამჟღავნებდა თავის იმპერიალისტურ ზრახვებს. ამ რადიკალურად განწყობილი ოპონენტების აზრით, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ დასავლეთს “ცივ ომში” დამარცხებული რუსეთის

მიმართ უნდა გაეტარებინა იგივე პოლიტიკა, რაც განხორციელდა მეორე მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის მიმართ.

თავის მხრივ რუსეთშიც არსებობდა ნატოსადმი უნდობლობა. მაგალითად რუსეთს განსაკუთრებული, თავიდანვე გარკვეულწილად უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნდა ნატოს ინიციატივით შექმნილი ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს მიმართ, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ მოსკოვში ეს ინიციატივა აღიქმებოდა, როგორც ნატოს ინსტრუმენტი, მიმართული ალიანსის პოლიტიკური და სამხედრო გავლენის აღმოსავლეთით გაფართოებისაკენ.

ზემოაღნიშნულ ვითარებაზე გავლენას ახდენდა ის ფაქტი, რომ ალიანსის მესვეურებმა უკვე “ცივი ომის” დასრულების შემდეგ დაიწყეს საუბარი მომავალში ნატოს შესაძლო გაფართოებასთან. ამის საპასუხოდ, 1993 წლის ოქტომბერში რუსეთის პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელებმა მძაფრი კრიტიკული განცხადება გააკეთეს ნატოს მიმართ, მათ გაღიზიანებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ალიანსში უკვე განიხილებოდა ნატოს შესაძლო გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხები და მიმდინარეობდა მოლაპარაკება ალიანსის შესაძლო წევრებთან. რუსეთის მხრიდან ამ დემარშმა განაპირობა ნატოს წევრი ქვეყნების მიერ გარკვეულწილად პოზიციის შერბილება ნატოს გაფართოების საკითხთან დაკავშირებით.

ალიანსის მხრიდან რუსეთთან კონსტრუქციული თანამშრომლობის სურვილის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა 1993 წლის 20 ოქტომბერს აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ლ. ასპენის მიერ გერმანიაში გაკეთებული განცხადებები, ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს პოლონეთში ვიზიტის დროს თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის სიტყვები, რომ “უშიშროება და მშვიდობა ვერ იქნება გარანტირებული ჩვენს რეგიონში, თუ ევროპის ტრანსპორმაციის პროცესში არ გაითვალისწინებენ რუსეთის ინტერესს. (39)”

ნატოს ახალი სტრატეგია და გაფართოების პროცესის დაწყება თვისობრივად ახალ ვითარებას ქმნიდა ევროპის კონტინენტზე. ამ პროცესის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად შესაძლოა დასახელდეს ის, რომ ალიანსის გაფართოება დაკავშირებული იყო “იდენტურობის პრობლემასთან”. როგორც ვიცით, ნატო მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდა კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციად და ალიანსის წესდებიდან გამომდინარე მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა წევრი ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა გარეშე საფრთხისაგან, ხოლო გარეშე საფრთხეში რა თქმა უნდა საბჭოთა კავშირი იგულისხმებოდა. მას შემდეგ, რაც ნატოს მთავარი მოწინააღმდეგე საბჭოთა კავშირი დაიშალა და მის ადგილზე 15 ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო აღმოცენდა, ასევე დაიშალა კომუნისტური ბლოკი და შესაბამისად ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, ბევრი ექსპერტი მიიჩნევდა რომ გარეშე საფრთხის ფაქტორი თითქმის აღარ არსებობდა, რაც მოითხოვდა ნატოს მთავარი ფუნქციის ახლებურად გააზრებას. უპირველეს ყოვლისა საჭირო იმის დეტალურად გააზრება, თუ “ცივი ომის” დამთავრების შემდეგ რა მთავარი ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე იდგა ალიანსი და საიდან იყო მოსალოდნელი საფრთხე და სადამდე შეიძლებოდა გავრცელებულიყო ნატოს უსაფრთხოების გარანტიები.

ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მაინც მიიჩნეოდა პოლიტიკურად არასტაბილური რუსეთი, თუმცა მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში უკვე აღარ არსებობდა კომუნისტური ხელისუფლება და რუსეთი "ცივი ომის" პერიოდთან შედარებით ბევრად დასუსტებული იყო, გლობალური ბირთვული დაპირისპირების საფრთხე მინიმუმამდე იყო დასული. მაგრამ ამავე დროს “ცივი ომის” შემდეგ შექმნილი ვითარება, და ისეთი პრობლემების არსებობა,

როგორებიც იყო ეთნიკური და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საშიშროება, პოლიტიკური და ეკონომიკური დესტაბილიზაციის საფრთხე, ტერორიზმი, რელიგიური ექსტრემიზმი, სტიქიური უბედურებები და ა. შ. არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენდნენ დასავლეთის სამყაროსათვის ვიდრე საბჭოთა სამხედრო პოტენციალი. ამის შესაბამისად ნატოს პოლიტიკურ წრეებში მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ ალიანსის გაფართოების შედეგად ნატო გააფართოვებდა თავისი უსაფრთხოების არეალს და აღმოსავლეთი ევროპაც უფრო აქტიურად იქნებოდა ჩართული ევროატლანტიკურ სივრცეში ახალი უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბებასა და ახლებურად გააზრების საქმეში.

ნატოს პოლიტიკურ წრეებში რეალისტურად აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ ალიანსის შესაძლო გაფართოებას შესაძლოა რუსეთის გაღიზიანება გამოეწვია და ანტიდასავლური და რევანშისტული განწყობილებები შეექმნა ამ ქვეყანაში. თუმცა რუსეთთან შესაძლო კონფრონტაციის მიუხედავად, ნატოსთვის უფრო პრიორიტეტული იყო გაფართოების პოლიტიკის წარმოება, რადგანაც იგივე ალიანსის მესვეურთა აზრით ნატოში გაწევრიანებული და სტაბილური აღმოსავლეთ ევროპა თავისთავად დადებით გარემოს შექმნიდა რუსეთის საზღვრების სიახლოვეს და ეს კი თავის პოზიტიურ გავლენას მოახდენდა მოსკოვის შემდგომ დემოკრატიულ განვითარებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში თვლიდნენ, რომ მიუხედავად რუსეთის წინააღმდეგობებისა, მოსკოვი თვითონ უნდა ყოფილიყო ნატოს გაფართოების მომხრე, რადგანაც გაფართოების პროცესი სავსებით შეესაბამებოდა რუსეთის ინტერესებს.

არსებობდა ამ პროცესის არაოფიციალური და, შეიძლება ითქვას ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეც, რაც დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შედეგად შეიქმნებოდა ახალი გეოსტრატეგიული გარემო, რომლის მთავარი მანიშნებელი იქნებოდა ის ფაქტი, რომ “ცივ ომში” დამარცხებული რუსეთის მიერ აღმოსავლეთ ევროპაში დაკარგული პოლიტიკური გავლენის სფეროს ხარჯზე იზრდებოდა დასავლეთის სამყაროს გავლენის სფერო, ხოლო მოსკოვს არც ეკონომიკური და არც სამხედრო რესურსი გააჩნდა და აღარც საკმარისი მოკავშირეები ამ პროცესის შესაჩერებლად. რა თქმა უნდა ამ პროცესს განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამდნენ რუსეთის რეაქციული წრეების წარმომადგენლები, რომელთა აზრითაც ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება არა მხოლოდ ალიანსის გაძლიერებას გამოიწვევდა, არამედ საგრძნობლად შეარყევდა ისედაც დასუსტებული რუსეთის პრესტიჟს.

ნატო დადგა ახალი დილემის წინაშე, როგორ იყო შესაძლებელი “დაეშოშმინებინათ” რუსეთი ალიანსის გაფართოების ფონზე. ერთ-ერთ ასეთ მეთოდს წარმოადგენდა სოციალურად და ეკონომიკურად დასუსტებული რუსეთისათვის ფინანსურ-ეკონომიკური დახმარების გაწევა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და ა.შ) მეშვეობით. გარდა ეკონომიკური დახმარებისა, 1994 წლის ბოლოდან ასევე აქტიურად განიხილებოდა საკითხი ნატოსა და რუსეთს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარების შესახებ.

1995 წლის 8 თებერვალს უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ქ. მიუნხენში, აშშ-ის თავდაცვის მდივანმა უ. პერიმ უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთთან გაფორმებული სპეციალური ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ჩამოყალიბებული ურთიერთგაგების ქარტიის ან მემორანდუმის სახით და ამ დოკუმენტის მთავარი ამოსავალი პუნქტი უნდა

ყოფილიყო ერთგვარი ნატო – რუსეთის მუდმივმოქმედი საკონსულტაციო კომისიის შექმნა. ნათელი ხდებოდა, რომ გაფართოების პროცესის პოლიტიკის განხილვის პარალელურად ნატოში აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობდა რუსეთთან დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ.

1994 წლის 20 თებერვალს გახეთ “ფაინენშელ თაიმსში” გამოქვეყნდა ინტერვიუ ნატოს გენერალური მდივანთან, ბ-ნ ვ. კლასთან, რომელიც აღნიშნავდა: ...ევროპის უსაფრთხოების წინაშე ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა დგას. ალიანსის ძირითადი ფუნქცია არ შეცვლილა. იგი კვლავინდებურად წევრი სახელმწიფოების ტერიტორიისა და დამოუკიდებლობის დაცვას ითვალისწინებს, მაგრამ, ამავე დროს, მას ევროპაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფუნქციაც აკისრია.... ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიების დახმარება ნატოს არსებობისა და მოღვაწეობის ერთ-ერთ მიმართულებად იქცა და სწორედ ამ მიზნით შეიქმნა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამა, რომელიც სულ უფრო ვითარდება. ნატო გაფართოვდება, მაგრამ ეს არ მოხდება ალიანსის შესუსტების ხარჯზე და არც ისე, რომ ამან ევროპის ახალი გაყოფა გამოიწვიოს... რა თქმა უნდა, დღის წესრიგში დგება ნატო - რუსეთის ურთიერთობის საკითხი. რუსეთი იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია ევროპის მიერ მისი იზოლაცია. მაგრამ თვით რუსეთს შეუძლია მოაქციოს თავისი თავი იზოლაციაში. რუსეთს საერთო ევროპული უსაფრთხოების კონტექსტში თავისი უსაფრთხოების კანონიერი ინტერესები აქვს, ჩვენ ვაღიარებთ ამას და ვესწრაფვით კიდევ რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავებას...”(40)

ალიანსის მხრიდან ასეთი კონსტრუქციული პოზიციის მიუხედავად, რუსეთის პოლიტიკურ წრეებში მაინც გაღიზიანებით აღიქმებოდა ნატოს აღმოსავლეთის მიმართულებით შესაძლო გაფართოება. რუსეთის ამ პრეტენზიების უკან იდგა არა მხოლოდ წარსულის ინერცია, არამედ სხვა ტაქტიკური მონახაზებიც, რაც პირველ რიგში გათვლილი იყო იმაზე, რომ ნატოს მიმართ თავისი უკმაყოფილების გამოძეგნებით მოსკოვის მიზანს წარმოადგენდა დასავლეთთან პოლიტიკური ვაჭრობის წარმოება და მაქსიმალური პოლიტიკური დივიდენტების მიღება. კერძოდ, რუსეთს სურდა ალიანსს იგი განეხილა არა როგორც ნატოს ერთ-ერთი პარტნიორი სახელმწიფო, არამედ მასზე განსაკუთრებული პრივილეგიები გავრცელებულიყო და მას ჰქონოდა განსაკუთრებული და თანასწორუფლებიანი პარტნიორის სტატუსი. გარდა ამისა, რუსეთის დიპლომატია ესწრაფვოდა ნატოს გაფართოება მაქსიმალურად გამოეყენებინა გარკვეული შეღავათების მისაღებად ევროთათბირის ფარგლებში მიმდინარე ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების პროცესში. კერძოდ, აქ საუბარი შეიძლება ყოფილიყო ქვოტების გაზრდაზე ნატოს მომავალ საზღვრებთან უშუალო სიახლოვეს, ეს კი უშუალოდ იყო დაკავშირებული ყოფილ საბჭოთა სივრცეზე უსაფრთხოების საკითხებთან.

რაც შეეხება ნატოს გაფართოებას, უმთავრესად რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით, ეს მეტად რთულ პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა. გაფართოების შესახებ საკითხის განხილვამ განსაკუთრებული აქტუალობა მიიღო მას შემდეგ, როდესაც ჯერ კიდევ 1995 წელს მომზადდა სპეციალური სტრატეგიული გამოკვლევა ნატოს გაფართოების თაობაზე. ამ დოკუმენტში დეტალურად იყო გაანალიზებული “ცივი ომის” დასრულების შემდგომ პერიოდში არსებული ახალი პოლიტიკური რეალობები და ალიანსის მიერ 21-საუკუნის უსაფრთხოების სისტემის ხედვა. დოკუმენტში არსებობდა მინიშნება, რომ ალიანსი განიხილავს თავის უსაფრთხოებას ფართო გაგებით როგორც სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორების ერთიანობას. კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ნატოს უსაფრთხოების უმთავრესი ფუნქციების განხორციელებას, მისი თანამშრომლობის გაფართოებას ევროპულ და ევროატლანტიკურ

ორგანიზაციებთან, ასევე გაერო-სთან. აღინიშნება, რომ ნატოს წევრი ქვეყნების კოლექტიური ამოცანაა ისეთი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნა, რომელშიც ალიანსისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წვლილი და ძალისხმევა ერთმანეთს შეაესებენ და გააძლიერებენ როგორც თანამშრომლობის, ასევე კრიზისული სიტუაციების მართვაში.

21-საუკუნეში ევროატლანტიკური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებისათვის ნატო აუცილებლად მიიჩნევდა:

- ტრანსატლანტიკური კავშირის (აშშ – დასავლეთ ევროპა) შენარჩუნებას;
- ალიანსის ისეთი სამხედრო პოტენციალის შენარჩუნებას, რომელსაც უნარი ექნება განახორციელოს თავდაცვასა და შეკავებასთან დაკავშირებული ყველა სამხედრო მისია;
- ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის იდენტურობის განვითარებას ალიანსის ფარგლებში;
- კრიზისული სიტუაციების მართვის მიზნით მრავალმხრივი პოტენციალის განვითარებას;
- “ღია კარის” პოლიტიკის გატარებას ალიანსში გაწევრიანების მსურველთათვის;
- მრავალმხრივი პარტნიორობის, თანამშრომლობისა და დიალოგის განხორციელებას ევროატლანტიკური სივრცის ქვეყნებთან.

ამ გადაწყვეტილების პოლიტიკური “გაქვლება” მოხდა 1996 წლის ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე.

უკვე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ მადრიდში დაგეგმილი სამიტის მზადების პერიოდში, ანუ 1997 წლის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით გააქტიურებულ იქნა დებატები ნატოს მოსალოდნელი გაფართოების შესახებ. ამ საკითხის თაობაზე სხვადასხვა სახის ანალიტიკური და საინფორმაციო ხასიათის სტატიები იბეჭდებოდა როგორც დასავლეთის, ისევე რუსეთის პრესაში, ხოლო პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში გაფართოებასთან დაკავშირებულმა პოლემიკამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. გაჩნდა მრავალი კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა წარმართულიყო ალიანსის გაფართოების პროცესი და როგორი იქნებოდა ძალთა ახალი ბალანსი ევროატლანტიკურ სივრცეში.

როდესაც აქტიური სჯა-ბაასი მიმდინარეობდა გაფართოების სხვადასხვა ვერსიებთან დაკავშირებით, კრიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ნატოს აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოება, როდესაც ალიანსი რუსეთის საზღვრებს მიუახლოვდება, ეს პოლიტიკური პროცესი აუცილებლად გამოიწვევდა მოსკოვთან მეტად სერიოზულ კონფრონტაციას და ნეგატიურად აისახებოდა ევროპაში უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბების პროცესზე. თავდაპირველი შემოთავაზება ნატოში გაწევრიანების თაობაზე მიიღეს პოლონეთმა, ჩეხეთმა და უნგრეთმა, შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ გაფართოება მოხდებოდა მხოლოდ ამ სამი ქვეყნის ალიანსში გაწევრიანებით, მაშინ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სხვა სახელმწიფოები უსაფრთხოების მუდმივ “ნაცრისფერ ზოლში” აღმოჩნდებოდნენ. აღნიშნული რეალიების გათვალისწინებით უპირატესობა ენიჭებოდა მე-3 “სცენარს”, რომლის თანახმად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოება უნდა მომხდარიყო რუსეთთან თანამშრომლობის გააქტიურების პარალელურად, სადაც რუსეთს “განსაკუთრებული პარტნიორი ქვეყნის” სტატუსი უნდა მიანიჭებოდა და ნატოს მხრიდან ამ ქვეყანასთან პოლიტიკურ, სამხედრო, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა სფეროებში თანამშრომლობას განსხვავებული ფორმა უნდა მიანიჭებოდა, გარდა ამისა, ამის პარალელურად ალიანსის ფარგლებში განიხილებოდა საკითხი მოსკოვისათვის ეკონომიკური დახმარების გაზრდის თაობაზე.

ზემოაღნიშნული ფაქტი ცხადყოფს, რომ ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლები და ალიანსის ხელმძღვანელობა მეტად სწორად აცნობიერებდნენ არსებულ გეოპოლიტიკურ რეალებს და მათ მიერ მოსკოვისათვის შეთავაზებული “მესამე ვარიანტი” წარმოადგენდა ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას, რომლის მეშვეობითაც იქმნებოდა იმის შესაძლებლობა, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ნატოში ინტეგრაცია რუსეთის გაღიზიანებისა და გაუცხოების გარეშე წარმართულიყო.

შემდგომ პერიოდში რუსეთსა და ნატოს შორის ინტენსიური მოლაპარაკებათა პროცესი მიმდინარეობდა თანამშრომლობის ფორმების შემუშავებასთან დაკავშირებით. დებატების შედეგად ორივე მხარე მივიდა დასკვნამდე, რომ თანამშრომლობის ძირითადი პრიორიტეტები განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სპეციალურ დოკუმენტში, რომელსაც ნატო სთავაზობდა რუსეთს. მოსკოვი თავის მხრივ ითხოვდა, რომ ეს დოკუმენტი უნდა ყოფილიყო იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულება, რომლის კონკრეტულ მუხლებში განსაზღვრული ყოფილიყო ალიანსის ვალდებულებები. მოსკოვის მოთხოვნა უპირველეს ყოვლისა უკავშირდებოდა საკითხს, რომ არ უნდა მომხდარიყო ახალი წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ალიანსის ბირთვული იარაღისა და სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგება.

ამ მოთხოვნას, და შესაბამისად იურიდიული ხელშეკრულების გაფორმებას, ნატოში არ მიიხნევდნენ მიზანშეწონილად. ალიანსი თავისმხრივ სთავაზობდა რუსეთს პოლიტიკური ხასიათის დამფუძნებელი აქტის ან ქარტიის შემუშავებას. რაც შეეხება სამხედრო ასპექტებს, ნატოს განცხადებებიდან გამომდინარე, ალიანს არ გააჩნდა რაიმე განზრახვა, გეგმა თუ მიზეზი, რათა განეღებინა ბირთვული იარაღი რუსეთის საზღვრებთან. ამავე დროს, ნატო არც მუდმივ გარანტიებს იძლეოდა ამის თაობაზე და ორმხრივი ნდობის განმტკიცების მიზნით სთავაზობდა რუსეთს დამატებით ინიციატივებს. კერძოდ, ამ უკანასკნელს შესაძლებლობა ეძლეოდა არამარტო დასწრებოდა ნატოს სამხედრო ვარჯიშებს, არამედ მიეღო ინფორმაცია შეიარაღებული ძალების ნებისმიერი გადაადგილებისა და დისლოკაციის შესახებ, ეწარმოებინა სამხედრო ბაზების ინსპექცია და ნატოს საჰაერო სივრცის მონიტორინგი.

ნატოსა და რუსეთს ურთიერთობებზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ ორ მხარეს შორის ურთიერთობების გამყარებას ხელი შეუწყო ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში სამხედრო ასპექტების მშვიდობიანი შესრულების დარგში 1995 წელს განვითარებულმა თანამშრომლობამ. ამ მიზნით როგორც უკვე აღინიშნა, რუსეთის სამშვიდობო ძალებმა ნატოს სამხედრო კონტინგენტთან ერთად ერთობლივი მონაწილეობა მიიღეს სტაბილიზაციის ძალების საქმიანობაში.

1996 წლის 10 დეკემბერს, ბრიუსელში, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა წინადადებით მიმართეს ნატოს გენერალურ მდივანს, შესწავლილ ყოფილიყო რუსეთის მხარესთან შეთანხმების ხელმოწერის შესაძლებლობა. ოთხთვიანი მოლაპარაკებათა პროცესის შედეგად ნატოს გენერალურ მდივან ჰავიერ სოლანასა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ პრიმაკოვს შორის მიღწეულ იქნა საბოლოო შეთანხმება და 1997 წლის 27 მაისს პარიზში, ერთი მხრივ ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებმა და ალიანსის გენერალურმა მდივანმა, ხოლო მეორე მხრივ – პრეზიდენტმა ბ. ელცინმა ხელი მოაწერეს “დამფუძნებელ აქტს ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ორმხრივი ურთიერთობის, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ”, რომელიც შეფასდა, როგორც “ახალი, ძლიერი, სტაბილური და მრავალმხრივი პარტნიორობის დასაწყისი.”

დოკუმენტის ძირითადი პრინციპების თანახმად შეიქმნა ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭო. საბჭოს ფარგლებში სხდომები იმართება თვეში ერთხელ ელჩებისა და სამხედრო წარმომადგენლების დონეზე, და ასევე წელიწადში

ორჯერ შეხვედრები იმართება საგარეო საქმეთა მინისტრების, თავდაცვის მინისტრების და გენერალური შტაბის უფროსების დონეზე.

თავისი არსებობის პირველივე წლებიდანვე მუდმივმოქმედმა საბჭომ მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილა, კერძოდ:

- ვითარება ყოფილ იუგოსლავიაში;
- ნატოსა და რუსეთის წვლილი ევროატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურაში;
- პოლიტიკური და სამხედრო ძალისხმევა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან ბრძოლის საკითხებში;
- ბირთვული იარაღის საკითხები;
- ნატოსა და რუსეთის სტრატეგიები და დოქტრინები;
- სამშვიდობო ოპერაციები;
- განიარაღება და შეიარაღებაზე კონტროლი;
- საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა;
- სამაშველო სამუშაოების ჩატარება;
- სამეცნიერო თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში.

ამ მიზნების განსახორციელებლად შეიქმნა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი.

კოსოვოში შექმნილმა ვითარებამ თავისი ნეგატიური დადი დაასვა ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭოს საქმიანობას. თუ 1998 წლის განმავლობაში საბჭოს სხდომაზე ორივე მხარემ გამოთქვა ერთობლივი შეშფოთება ბელგრადის მიერ ძალის არაპროპორციულად გამოყენებასთან დაკავშირებით, ასევე, ნატომაც და რუსეთმაც გამოთქვეს თავიანთი მხარდაჭერა კონფლიქტის პოლიტიკური გზით დარეგულირების შესახებ, უკვე 1999 წლის მარტში ალიანსის მიერ იუგოსლავიაში სამხედრო ოპერაციის შემდეგ რუსეთი დროებით გამოვიდა მუდმივმოქმედი საბჭოს შემადგენლობიდან, ასევე შეწყვიტა თავისი მონაწილეობა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში და გამოაძევა მოსკოვიდან ნატოს საინფორმაციო ცენტრის ორი წარმომადგენელი.

ყოველთვიური სხდომების განახლება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1999 წლის ივლისში, თუმცა რუსეთმა შეზღუდა იმ სფეროების ნუსხა, რომელიც შესაძლებელი იყო განხილულიყო ნატო-რუსეთის ერთობლივ სხდომებზე.

2000 წლის 16 თებერვალს, როდესაც რუსეთის მოწვევით ნატოს გენერალური მდივანი ეწვია მოსკოვს, გამოქვეყნებულ იქნა ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნატო და რუსეთი შეთანხმდნენ განეახლებინათ ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა დამფუძნებელი აქტის საფუძველზე.

2001 წლის თებერვალში ნატოს გენერალური მდივანი ლორდ რობერტსონი კვლავ ეწვია მოსკოვს, რომლის დროსაც გენერალურმა მდივანმა საზეიმო ვითარებაში გახსნა ნატოს საინფორმაციო ბიურო მოსკოვში.

უკვე ერთი წლის შემდეგ, ნატოს პრადის სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში აღნიშნულ იქნა, რომ ნატო და რუსეთი მონაწილეობენ ნატო-რუსეთის საბჭოში როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორები, რათა მიღწეულ იქნეს პროგრესი ისეთ სფეროებში, როგორცაა სამშვიდობო ოპერაციები, სამხედრო რეფორმა, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, სამაშველო ოპერაციები, ტერორიზმთან ბრძოლა და ა.შ.

ნატოს სტამბულის სამიტზე მიღებული დეკლარაციის 39-ე პუნქტში აღნიშნულ იქნა ნატოს მზადყოფნა, “რუსეთთან პოლიტიკური დიალოგის გაღმავების მზადყოფნის შესახებ”, რათა ერთობლივი გზით ყოფილიყო შესაძლებელი კონსულტაციების გამართვა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, როგორებიცაა სიტუაცია ბალკანეთსა და ავღანეთში, ტერორიზმთან ბრძოლა, მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა. ასევე ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ალიანსის ძალისხმევის შედეგად საფუძველი ჩაეყარა რუსეთის მხრიდან ნატოს

ძაღების შესაძლო მხარდაჭერას სხვადასხვა სამხედრო ხასიათის ოპერაციების, მათ შორის სამშვიდობო ოპერაციების ჩატარების დროს. რუსეთთან თანამშრომლობის განვითარების აუცილებლობას ხაზი გაესვა 2006 წელს რიგის სამიტის დროსაც, თუმცა ამავე დროს ყურადღება გამახვილებულ იქნა იმაზეც, რომ 2002 წელს რუსეთსა და ნატოს შორის ხელმოწერილი რომის დეკლარაციის ძირითადი პრინციპები, რომელიც ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას ითვალისწინებდა სრულყოფილად არ იყო ათვისებული.

ძირითადი წინააღმდეგობანი ნატოსა და რუსეთს შორის

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ავღნიშნეთ ნატოსა და რუსეთს შორის ხელმოწერილია შეთანხმება და შესაბამისად არსებობს სამართლებრივი ბაზა ორმხრივი ურთიერთობების განვითარებისათვის, და ამ თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ წინა გვერდებზე გვექონდა საუბარი, უნდა ითქვას, რომ დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც რუსეთი ნავთობდოლარებიდან მიღებული შემოსავლების ზრდის შედეგად თანდათან იბრუნებს პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე, ორ მხარეს შორის უფრო მეტი წინააღმდეგობა არსებობს ვიდრე ინტერესთა თანხვედრა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, დაპირისპირებამ რუსეთსა და ნატოს შორის განსაკუთრებით თავი იჩინა გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში, ბოსნიაში მიმდინარე კონფლიქტის დროს, ხოლო დაძაბულობამ კულმინაციას კოსოვოს კრიზისის დროს მიაღწია. ამავე დროს, ამ ორი კონფლიქტის პარალელურად რუსეთის გაღიზიანებას ასევე ნატოს შესაძლო გაფართოებასთან დაკავშირებული საუბრები იწვევდა, და ეს პროცესი რუსეთის განსაკუთრებულ შეშფოთებას დღევანდელ დღეს იწვევს, რადგანაც თუ რუსეთი საბოლოოდ შეეგუა მისი პოლიტიკური გავლენის სფეროდან უკვე გამოსული აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნების ალიანსში გაწევრიანებას, დღევანდელ ეტაპზე რუსეთის პოლიტიკურ ინტებლიშმენტში ისტერიული განცხადებები კეთდება ნატოში საქართველოსა და უკრაინის შესაძლო გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

ნატოსა და რუსეთს შორის დაპირისპირების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 2007 წლის თებერვალში მიუნხენის ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაზე გამართული დებატები უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. კონფერენცია 2007 წელს 43-ედ გაიმართა და მან თვით აშშ-სა და რუსეთს შორის საკმაოდ დაძაბულ სიტყვიერ დაპირისპირებაში ჩაიარა. თუმცა ეს მოულოდნელი არავისთვის არ ყოფილა. ბუშის ადმინისტრაციამ ნოემბრის შუალედურ არჩევნებში განცდილი მარცხის შემდეგ (იგულისხმება კონგრესის არჩევნები), წინააღმდეგ მოლოდინისა, კიდევ უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკური კურსი აიღო მისდამი მტრულად განწყობილ “დიქტატურათა ლიგასთან” (რუსეთი, ჩინეთი, ირანი, სირია, ვენესუელა, სუდანი) და ამ ქვეყნებთან კიდევ უფრო ხისტი ენით საუბარი არჩია.

ამ კონფერენციაზე ყველაზე საყურადღებო პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გამოსვლა გამოვიდა. სენატორ მაკეინის განცხადებით, რომელიც იმყოფებოდა იმ კონფერენციაზე, “ეს იყო ყველაზე აგრესიული სიტყვა, რომელიც კი რუსეთის ლიდერს ცივი ომის შემდეგ წარმოუთქვამს.” (41)

პუტინის ამგვარი გაშმაგების მიზეზი გასაგებია. მაშინ, როცა საყოველთაო აზრით, აშშ-ის ქორთა ქორთი თავდაცვის მინისტრ დონალდ რამსფელდის უფრო პრაგმატიკოსად მიჩნეული რობერტ გეიტსით შეცვლის შემდეგ შეერთებული შტატები საგარეო პოლიტიკაში დიალოგსა და “ურჩ სახელმწიფოთათვის” “კოჭის გორების” პოლიტიკაზე უნდა გადასულიყო, ბუშის ადმინისტრაციამ გარკვეული მიმართულებით კურსის კიდევ უფრო

გააგრესიულობა (ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით) ამჟობინა: 1) ახალი საერაყო სტრატეგიის ფარგლებში იქ დამატებით 21 500 სამხედროს გაგზავნა გადაწყვიტა. 2) გაზარდა თავისი სამხედრო-საზღვაო ყოფნა სპარსეთის ყურეში, ხოლო ერაყში ირანელი აგენტების წინააღმდეგ ქმედებები გააქტიურა და გ) გარდა იმისა, რომ ჩეხეთი და პოლონეთი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებაზე დაიყაბულა, პარალელურად პერლ-ჰარბორიდან კამჩატკისკენ მსოფლიოში უმსხვილესი მცურავი რადიოლოკაციური სადგური გადაანაცვლა. მინისტრმა გეიტსმა კი ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში და ირანში არსებულ ვითარებათა “გაურკვევლობიდან” გამომდინარე კონგრესს აშშ-ის შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის გაზრდა მოითხოვა.

თეთრი სახლის ამ ქმედებებმა და განცხადებებმა რუსეთის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. “დერჟავამ” თავი ამერიკელებისაგან კვლავ “სამიზნეში ამოღებულად” მიიჩნია, და ვინაიდან ეს ყოველივე მუხტად ზედ მიუნხენის კონფერენციის წინ დაგროვდა, არ არის გასაკვირი, ვლადიმერ პუტინმა შანსი ხელიდან რომ არ გაუშვა და ვაშინგტონს იქ უმძაფრესი კრიტიკით დაატყდა თავს.

მან აშშ-ის “ერთპოლარული” მსოფლიოს დამყარებაში ან დამყარების მცდელობაში დასდო ბრალი: “და რა არის ერთპოლარული სამყარო? როგორც არ უნდა ვცადოთ ამ ტერმინის გაკეთილშობილება, ეს ნიშნავს ძალაუფლებისა და ძალის ერთადერთ წყაროს და ერთადერთ ბატონს”(42).

“შეერთებული შტატები გასცდა თავის საზღვრებს ყველა-ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ ჰუმანიტარულ სფეროში და თავისი ნება სხვა სახელმწიფოებს მოახვია, მაგრამ ყოველივე ამის შედეგად ლოკალური და რეგიონული ომები არ შეწყდა, ხოლო ამ ომებში დაღუპულთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ჩვენ ვერ ვხედავთ ვერაფერს, რაც ამ ზღვარგადასულ ძალას შეაკავებდა. აშშ ისე გადადის ერთი კონფლიქტიდან მეორეზე, რომ ვერც ერთი მათგანის მოგვარებას ვერ ახერხებს. ცალმხრივი, უკანონო ქმედებით მან ერთი პრობლემის მოგვარებაც ვერ შეძლო. ეს არის ერთი ბატონის, ერთი სიუზერენის მსოფლიო და ამას არაფერი აქვს საერთო დემოკრატიასთან. ამგვარი ვითარება აძლიერებს სხვა ქვეყნების სურვილს, შექმნან ბირთვული იარაღი. იქმნება ძალიან სახიფათო ვითარება, რომელშიც ველარავინ გრძნობს თავს უსაფრთხოდ, ვინაიდან საერთაშორისო კანონი ზურვს უკან ვერ დაიმალება.(43)”

რაც შეეხება სხვა საკითხებს, მათზე პუტინის აზრი ამგვარი გახლდათ:
- “ნატოს გაფართოების პროცესს არაფერი აქვს საერთო ევროპაში უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. პირუკუ, ეს სერიოზული ფაქტორია, რომელიც ორმხრივი ნდობის შემცირებს იწვევს” (44);

- “რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებთან დაკავშირებით მე არ მსურს, ვინმეს აგრესიულობაში დავდო ბრალი, მაგრამ ეს ძალთა თანაფარდობას ერთი მხარის სასარგებლოდ დაარღვევს და, ჩვენი ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, იძულებულნი ვიქნებით, ასიმეტრიული პასუხისთვის ვემზადოთ. თუკი ჩვენ თავად ვერ ვაგებთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს, უნდა შევქმნათ ამგვარ სისტემათა გადამლახავი სისტემები, და ჩვენ ახლა სწორედ ამას ვაკეთებთ”(45).

- პუტინმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ რუსეთი მხარს არ დაუჭერს კოსოვოს პრობლემის ისეთ მოგვარებას, რომელიც კონფლიქტის ერთ-ერთი მხარისათვის მიუღებელი იქნება.

პუტინის გამოსვლამ აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წარმომადგენლის გორდონ ჯონდროს თქმით-თეთრი სახლის “გაკვირვება და გაოცება გამოიწვია”. “ჩვენ გაკვირვებულნი ვართ, მისი ბრალდებები სრულიად უსაფუძვლოა” განაცხადა ჯონდრომ(46). იმავედროულად უნდა განვაცხადოთ, რომ რუსეთთან მომავალშიც ვითანამშრომლებთ ისეთ

სფეროებში, როგორცაა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და მასობრივი განადგურების იარაღის გაშვრცელებლობა.”

პუტინს მიუხედავად ტრიბუნიდან შეეხმიანა პენტაგონის შეფი გეიტსიც, რომლისთვისაც ეს ერთგვარი სადებიუტო გამოსვლა გახლდათ. მან განაცხადა, რომ “როგორც ცივი ომის ვეტერანს, ერთმა გუშინდელმა გამოსვლამ თითქმის ძველი დროის ნოსტალგია აღუძრა.” მან ასევე აღნიშნა “ისე კი სამყარო, რომელშიც ჩვენ ახლა ვცხოვრობთ გაცილებით განსხვავებული და რთულია იმასთან შედარებით, რაც 20-30 წლის წინ იყო. ახლა ჩვენ არაერთი საერთო პრობლემა და გამოწვევა გვაქვს, რომელთაც სწორედ სხვა ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან ერთად უნდა გავუმკლავდეთ. ასე რომ ერთი ცივი ომი საკმარისია. თუმცა ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რუსეთის პოლიტიკა ზოგჯერ-როცა ეს მის მიერ ცალკეული ქვეყნებისთვის იარაღის მიყიდვასა თუ ენერგორესურსების სხვა სახელმწიფოებზე ზემოქმედების მიზნით გამოყენებას ეხება-აშკარა საფრთხეს უქმნის საერთაშორისო სტაბილურობას.”(47) რაც შეეხება ნატოს, გეიტსის აზრით, “რუსეთს არ უნდა ეშინოდეს მის საზღვრებთან ალიანსის მიახლოებისა, რადგანაც ეს დემოკრატიული ქვეყნების მიახლოებას ნიშნავს.”(48)

მოგვიანებით იგივე არგუმენტი გაიმეორა ნატოს გენერალურმა მდივანმა იააკ დე ჰოოპ სხეფერმა: “რატომ უნდა ნერვიულობდეს ვინმე, თუკი მის საზღვრებს დემოკრატია და კანონის უზენაესობა უახლოვდება?”(49)

გარდა ამისა, რუსეთის გაღიზიანებას იწვევს აშშ-ის მიერ გატარებული რაკეტსაწინააღმდეგო პოლიტიკაც. როდესაც პოლონეთისა და ჩეხეთის პრემიერ მინისტრებმა მათი ქვეყნების ტერიტორიაზე შეერთებული შტატების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის (რსთ) სისტემათა განლაგებასთან დაკავშირებით მზადყოფნა გამოთქვეს. მის საპასუხოდ მოსკოვმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ის ცალმხრივად გავა საბჭოურ-ამერიკული ხელშეკრულებიდან საშუალო და მცირე სიშორის რაკეტათა (სმსრ) ლიკვიდაციის შესახებ და თანაც პოლონეთსა და ჩეხეთს სამიზნედ ამოიღებს. ექსპერტების საერთო აზრით, ამით რუსეთი ვერაფერს მოიგებს და პირუკუ, არსებობს უდიდესი შანსი, ბევრი რამ წააგოს კიდევ.

ვარშავაში ჩეხეთისა და პოლონეთის პრემიერების ერთობლივი პრეს-კონფერენციის შემდეგ პრემიერმა კაჩინსკიმ აღნიშნა: “ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი იმაში, რომ აუცილებელია ევროპის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, და უწინარესად აშშ-ის რსთ-ის განლაგების თაობაზე-პრინციპული გადაწყვეტილების მიღება. იმის მტკიცება, რომ აშშ-ის რსთ-ის ბაზა ევროპაში ძალთა თანაფარდობას შეცვლის, აშკარა გაუგებრობაა აღნიშნა მან. ამ ნაბიჯის მიზანი ნათელია, იგი არ არის მიმართული არც ერთი ნორმალური სახელმწიფოს წინააღმდეგ. რსთ-ის ფუნქციაა აზიის იმ სახელმწიფოთა ქმედებებისაგან თავდაცვა იქნება, რომელთაც არ სურთ დაემორჩილონ მსოფლიოში მიღებულ წესებს.”

შეგახსენებთ, რომ ვაშინგტონი პოლონეთსა და ჩეხეთში რსთ-ის სისტემის ელემენტთა განლაგებას ე.წ. ურჩ სახელმწიფოთაგან და ტერორისტებისგან თავდაცვის აუცილებლობით ხსნის. მაგრამ რუსებს ამის არ სჯერათ. “ჩვენი სპეციალისტები არ თვლიან, რომ რსთ, რომელსაც ამერიკა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განლაგებს, იმ მუქარის აღკვეთისკენაა მიმართული, რომელიც ირანიდან, ან ტერორისტებისგან მომდინარეობს” – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა 2007 წლის 1 თებერვალს კრემლში მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე. (50)

პუტინის მიერ ამ მიმართულებით კრემლში დაწყებული და მოგვიანებით მიუხედავად კონფერენციაზე მისი და მაშინდელი თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის მიერ განვითარებული იერიში შემდეგ კვირას ჯერ რუსეთის

გენშტაბის ხელმძღვანელმა იური ბალუევსკიმ, შემდეგ კი რუსეთის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ნაწილების მეთაურმა ნიკოლაი სალავცოვმა გაამწვავეს. ასე მაგალითად, ბალუევსკიმ განაცხადა, რომ თუკი აშშ პოლონეთსა და ჩეხეთში მართლაც განლაგებს რსთ-ის სისტემებს, რუსეთი ცალმხრივად დატოვებს საბჭოურ-ამერიკულ ხელშეკრულებას სმსრ-თა ლიკვიდაციის შესახებ. სალავცოვმა კი დაიქაძნა, რომ “თუკი იქნება მიღებული შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რუსეთი 5-6 წელიწადში შექმნის საშუალო სიშორის რაკეტებს, რომლებიც პოლონეთისა და ჩეხეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ამერიკული რსთ-ის სისტემების წინააღმდეგ მიიმართება.”(51)

“დღეს მრავალი ქვეყანა ქმნის და სრულყოფს საშუალო სიშორის რაკეტებს მაშინ, როდესაც რუსეთმა აღნიშნული ხელშეკრულების პირნათლად შესრულების საფუძველზე-ამ იარაღის არაერთი სისტემა დაკარგა”-ასე განმარტა თავისი პოზიცია ბალუევსკიმ (52). სერგეი ივანოვმა კი ხელშეკრულებას სმსრ-თა ლიკვიდაციის შესახებ სულაც “ცივი ომის” რელიქტი უწოდა, “რუსეთს ამ რაკეტებით ხელახლა აღჭურვა ხელს თუნდაც იმიტომ არ შეუშლიდა, რომ მათ ინდოეთი, პაკისტანი, ჩრდილოეთ კორეა, ჩინეთი, ირანი და ისრაელი მოიძევენ.” “ეს ქვეყნები ჩვენი საზღვრის მახლობლად მდებარეობენ და ამის გაუთვალისწინებლობა არ ეგების-ამ რაკეტების ქონის უფლება მხოლოდ ორ ქვეყანას-რუსეთსა და ამერიკას არა აქვს. ასე კი მუდამ ვერ გაგრძელდება.”

რუსი კოლეგების ამ განცხადებაზე აშშ-ის თავდაცვის მინისტრ რობერტ გეიტსის პირველი რეაქცია ამგვარი გახლდათ: “ამ ხელშეკრულებიდან რუსეთის გასვლა შეერთებულ შტატებს პრობლემებს შეუქმნის, მაგრამ კიდევ უფრო მეტი საფიქრალი ევროპელებს გაუჩნდებათ”.

გაზეთ “ფაინენშლ თაიმსის” შეფასებით, რუსეთის მუქარა სმსრ-თა ლიკვიდაციის შესახებ ხელშეკრულებიდან გასვლის, საშუალო სიშორის რაკეტების შექმნისა და ამ რაკეტების პოლონეთსა და ჩეხეთში დამიზნების თაობაზე “მიზნად სწორედ ამ უკანასკნელთა და მთლიანად ევროპის დაშინებას ისახავს. კრემლი ფსონს იმაზე აკეთებს, რომ პოლონეთსა და ჩეხეთში საპროტესტო აქციები დაიწყება და საბოლოო ჯამში ეს ქვეყნები იძულებულები გახდებიან, უარი თქვან ამერიკული გეგმების რეალიზაციაზე.”

თუმცა სამხედრო ექსპერტები ფიქრობენ, რომ მოსკოვის ეს გათვლები მაინც მცდარი უნდა იყოს. “კრემლი არსებითად, ისევ იმ ილუზორული იდეიდან ამოდის-რომელმაც თავის დროზე საბჭოთა კავშირის “პიონერების” (5 ათასი კმ-ის სიშორის რაკეტების) განლაგებისკენ უბიძგა-რომ ამით ევროპის დაშინებას და ამერიკასთან მის ურთიერთობებში განხეთქილების შეტანას მოახერხებს. ამ გულუბრყვილო ვარაუდმა მაშინაც კი ვერ იმუშავა, როცა სსრკ ზემძღვარი სახელმწიფო იყო, და მით უფრო განწირულია წარუმატებლობისთვის ის ახლა”- ამბობს ჟურნალ “ეკპორტ ვოროუჟენიეს” რედაქტორი მიხეილ ბარაბანოვი(48). გარდა ამისა, მისი აზრით, აღნიშნული ხელშეკრულებიდან რუსეთის გასვლა იგივეს გაკეთებასაც აიძულებს შეერთებულ შტატებსაც, რომელსაც ამის შედეგად შესაძლებლობა მიეცემა, თავისი რაკეტები სულაც რუსეთის საზღვრებთან განლაგოს. ეგეც არ იყოს, მოსკოვის ქმედებით დაშინებულმა ევროპელებმა, შეიძლება, ვაშინგტონს ახალი რუსული საფრთხისგან დაცვა მოსთხოვონ. ამდენად, მოსკოვის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის ექსპერტ ალექსანდრ პიკავეისა არ იყოს – “აშშ-ის აწყობს კიდევ ხელშეკრულებიდან რუსეთის გასვლა, ვინაიდან ეს მას ევროპაში არა მარტო რსთ-ის სისტემების, არამედ რაკეტების განსათავსებლად აუცილებელ არგუმენტებს მისცემს”.

ენერგეტიკული საკითხები

ნატოსა და რუსეთს შორის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას ასევე ენერგეტიკული ომი წარმოადგენს. როგორც ცნობილია, რუსეთი ენერგეტიკული ლიდერის პოზიციის შესანარჩუნებლად გაზის სექტორში “ოპეკის” მსგავსი ორგანიზაციის შექმნას ცდილობს. კრემლის კლანჭებში მოქცეული ნატოს ევროპული სახელმწიფოები კი გაზის იმპორტიორ ქვეყნებს რუსეთის წინააღმდეგ გასაერთიანებლად და გაზის ალტერნატიული წყაროების მოსაძიებლად უხმობს.

ევროკომისია ევროპულ ბაზარზე გაზის მიმწოდებელთა მონოპოლიის დამსობასა და კონკურენციის ზრდას ცდილობს. ევროკავშირმა ამ მიმართულებით უკვე მოახერხა რამდენიმე უმსხვილეს მომწოდებელთან მრავალწლიანი კონტრაქტების გაფორმება.

ნატოს ექსპერტებმა უკვე შეიმუშავეს მოსხენება, რომელიც ალიანსის წევრ ქვეყნებს ახალი საგაზო “ოპეკის” ჩამოყალიბების საშიშროებას ამცნობს. ნატო მიიჩნევს, რომ ახალი “ოპეკის” საკვანძო ფიგურა რუსეთი იქნება.

დღეისათვის ბუნებრივი აირის სერიოზული მარაგების მქონე ისეთ ქვეყნებს, როგორცაა ყაზახეთი და თურქმენეთი, საშუალება არ აქვთ ევროპას ბუნებრივი აირი რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლით მიაწოდონ. ეს ქვეყნები მთლიანად “გაზპრომზე” არიან დამოკიდებულნი, რადგანაც ის მილსადენები, რომლითაც მათ ევროპასთან დაკავშირება შეუძლიათ, რუსეთის ტერიტორიაზე გადის და “გაზპრომის” საკუთრებაა. ამიტომაც, საკუთარი მდგომარეობის გათვალისწინებით რუსეთი თურქმენეთისგან გაზს თავის დროზე 46 დოლარად ყიდულობდა და ევროპას 260 დოლარად აწვდიდა.

საერთაშორისო ექსპერტების დასკვნებით, რუსეთის გარეშე ცენტრალური აზიისა და კასპიის რეგიონის ქვეყნებთან პირდაპირი თანამშრომლობა ორივე მხარისათვის ხელსაყრელი იქნება.

საფრთხის მოახლოების შიშით გერმანია, საფრანგეთი და იტალია ბუნებრივი აირის მომპოვებელ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე მუშაობენ. მაგალითად, ევროკომისიის მიერ შემუშავებული გაზის დივერსიფიკაციის ახალი გეგმის მიხედვით, თურქმენული გაზი ევროპას-საქართველოს, აზერბაიჯანის და ირანის გავლით უნდა მიეწოდოს.

ამასობაში კი “გაზპრომის” პოზიციები, როგორც ფინანსურად, ისე პოლიტიკურად ყოველწლიურად ძლიერდება. კომპანიის დირექტორთა საბჭომ 2007 წლის საინვესტიციო პროგრამა დაამტკიცა. პროგრამა 529,38 მილიარდ რუბლს ითვალისწინებდა, აქედან კაპიტალური დაბანდება 360, 56 მილიარდი რუბლია, ხოლო გრძელვადიანი ფინანსური ინვესტიცია – 168,82 მილიარდი.

რაც შეეხება უკვე აღნიშნულ ე.წ. “გაზის ოპეკის”, მასში სავარაუდოდ რუსეთი, ირანი, ვენესუელა, ალჟირი, ლიბანი და ყატარი გაერთიანდებიან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2006 წლის მონაცემებით რუსეთი ბუნებრივი გაზის მარაგებით მსოფლიოში პირველ ადგილზე დგას, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით, ის მსოფლიო მარაგების თითქმის მესამედს ფლობს-47,57 ტრილიონი კუბ/მ-ის; ირანი მეორეხე-26,62 ტრილიონი კუბ/მ-ით, ყატარი მესამეზე – 25,77 ტრილიონი კუბ/მ-ით. გაზის მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნების წარმომადგენლები 2007 წლის 9 აპრილს შეიკრიბნენ ყატარში. ამ საკითხზე ჯერ კიდევ 2006 წლის ნოემბერში ნატოს ეკონომიკურმა კომიტეტმა ალიანსის წევრებს მოსალოდნელი გართულებების შესახებ სპეციალური კონფიდენციალური მოხსენებით აცნობა. მოხსენებაში აღწერილი იყო “ოპეკის” ტიპის ბუნებრივი აირის ახალი ალიანსი, სადაც რუსეთის ინიციატივით ალჟირი, ლიბია, ყატარი, და ირანი გაწევრიანდნენ. ნატოს ექსპერტების განცხადებით “ახალი ალიანსის შექმნის მიზეზი

პოლიტიკურია, ენერგომარაგი ევროპაზე ზეწოლისა და პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს.”

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულება

2007 წლის 14 დეკემბრიდან დასავლეთისათვის რუსეთი სამხედრო თვალსაზრისით უკვე საფრთხეს წარმოადგენს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ რუსეთმა ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულებაზე მორატორიუმი 14 დეკემბერს მოსკოვის დროით შუალამეს ოფიციალურად აამოქმედა. აქედან გამომდინარე არსებობს იმის ალბათობაც, რომ ნატოს წევრ ქვეყნებთან მოსაზღვრე რაიონებში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზები სამხედრო ტექნიკის დიდი რაოდენობით აივსება.

რუსეთმა აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიცირება 2004 წელს მოახდინა. ხელშეკრულების თანახმად, მის წევრ ქვეყნებს ატლანტიკიდან ურალამდე საბრძოლო ტექნიკა ხუთი კატეგორიის მიხედვით უნდა შეემცირებინათ, ესენია: ტანკები, ჯავშანმანქანები, არტილერია, და მოიერიშე ვერტმფრენები.

აღსანიშნავია რომ ეს ხელშეკრულება 1990 წელს დაიდო, ძალთა ბალანსის მისაღწევად როგორც ნატოს, ასევე ვარშავის ხელშეკრულების წევრებს შორის. ცხრა წლის შემდეგ გაფორმდა შეთანხმების ადაპტირებული ვერსია, რომლის მიხედვით, შეზღუდვები ჩვეულებრივ შეიარაღებაზე არა ბლოკის, არამედ თვითოეულ ქვეყანაზე ცალკე ვრცელდება.

რუსეთის წინა მოწვევის სათათბირომ თავის ერთ-ერთ უკანასკნელ სესიაზე ხმათა სრული უმრავლესობით მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ რუსეთი ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ ხელშეკრულებიდან გასვლას აპირებს. ფედერაციის საბჭოს მხარდაჭერის შემდეგ კი, დოკუმენტს ხელი ასევე პრეზიდენტმა პუტინმა მოაწერა.

საგულისხმოა, რომ ჩვეულებრივი შეიარაღების გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებაზე მორატორიუმის ამოქმედებით რუსეთი უფლებას იტოვებს, რომ თავის ტერიტორიაზე და ასევე მის საზღვრებს გარეთ განთავსებულ ბაზებზე სამხედრო ტექნიკის გადასროლისა ან აღრიცხვიანობასთან დაკავშირებით საერთაშორისო ექსპერტებს ანგარიში აღარ ჩააბაროს, რაც ნატოსთვის ახალი თავის ტკივილის საგანია.

რუსეთმა თავისი ქმედება ახსნა იმით, რომ 2007 წლის ოქტომბრისთვის, ნატომ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შეიარაღების დონის თაობაზე შეთანხმებას”. ეს განცხადება გაუღერდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსნის მიერ. რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებით “ნატოს ქვეყნებისთვის შეთანხმებით გათვალისწინებული დონეები შეადგენს 5992 ტანკს, 9882 ჯავშანმანქანას, 5111 საარტილერიო ერთეულს, 1497 საბრძოლო თვითმფრინავსა და 531 დამრტყმელ შვეულმფრენს. აშშ-ის შეიარაღება ამ მონაცემებს გაცილებით აჭარბებს”. რუსეთს მიაჩნია რომ ეს დარღვევები ძალზედ სახიფათოა. შედარებისთვის: “საფლანგო ზონაში” რუსეთს ჰყავს 1200 ტანკი, 2140 ჯავშანმანქანა და დაახლოებით 1680 საარტილერიო ერთეული”(53).

ნატომ წუხილი გამოხატა რუსეთის მიერ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ შეთანხმებაზე მორატორიუმთან დაკავშირებით. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოსკოვის ქმედება არ შეესაბამება ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამასთან ნატოს წევრი ქვეყნები უფლებას იტოვებენ, ნებისმიერი ნაბიჯები გადადგან შეთანხმების გათვალისწინებით და საერთაშორისო უფლებების დაცვით იმოქმედონ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ნატოს გავლენის შესუსტების მიზნით, რუსეთი ასევე ცდილობს გააქტიუროს მისი ინიციატივით შექმნილი ანტიდასავლური რეგიონალური ორგანიზაციების საქმიანობა. აქ პირველ რიგში საუბარია დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაზე-ეს ორგანიზაცია წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს და მასში დსთ-ის ექვსი სახელმწიფოა გაწევრიანებული, და მეორე, ეს გახლავთ “შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია”, რომელი რვა წლის წინ რუსეთისა და ჩინეთის ინიციატივით შეიქმნა და მასში ამჟამად ამ ორი სახელმწიფოს გარდა ცენტრალური აზიის რესპუბლიკებიც არიან გაერთიანებულნი. ოფიციალურად ამ ორგანიზაციის მიზანს ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება წარმოადგენს, მაგრამ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით მას უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციაც აკისრია, კერძოდ ორი მსოფლიოში უდიდესი ევრაზიული სახელმწიფოს მისწრაფებაა შეაკავოს “ატლანტიზმის” გავლენა მსოფლიოში.

ბრიუსელსა და მოსკოვს შორის დაპირისპირების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს ასევე ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული პრობლემა წარმოადგენს, რაზედაც დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

ნატო-უკრაინა

1991 წლის 7-8 ნოემბერს გამართულ ნატოს სამიტზე რომში მიღებულ ოფიციალურ განცხადებაში საბჭოთა კავშირთან ერთად, უკვე ხაზგასმით ფიგურირებდა ტერმინი “რესპუბლიკები”, რაც ბუნებრივია ეხმაურებოდა იმ დროს საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის ღრმად განვითარებულ პროცესს(54). მაგრამ ამავედ დროს აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ სამიტის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა განიარაღების პროცესი, რაშიც ახალი და მოულოდნელი ელემენტების შექმნა საბჭოთა კავშირის მოსალოდნელ დაშლას. ამ თვალსაზრისით ნატოს ლიდერებმა მოუწოდეს საბჭოთა კავშირსა და რესპუბლიკებს, შეესრულებინათ ნაკისრი ვალდებულებები. კერძოდ სამიტის განცხადებაში საუბარი იყო ისეთი დოკუმენტების რატიფიცირებაზე, როგორიც იყო ხელშეკრულებები სტრატეგიული შეიარაღების შემცირების, ბირთვული იარაღის გაუზრცვლებლობისა და ბიოლოგიური შეიარაღების შესახებ. ამ კონტექსტში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ბირთვული იარაღის გაუზრცვლებლობის რეჟიმის დაცვის აუცილებლობაზე, რასაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა კავშირსა და რესპუბლიკებში შექმნილი არასტაბილური ვითარება. უკვე 1991 წლის 20 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გამართული ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს სხდომაზე აშკარად იგრძნობოდა ის შეშფოთება, რაც დაკავშირებული იყო უკვე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მათ შორის უკრაინაში განლაგებული ბირთვული იარაღის პრობლემასთან. ამიტომაც ნატოს წინაშე სსრკ-ის ქაოტურად დაშლის ფონზე ჩნდებოდა კითხვა, თუ რა ბედი ელოდა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსისა და ყაზახეთის ტერიტორიებზე განლაგებულ ბირთვულ იარაღს. გაურკვეველი იყო, თუ როგორ მოიქცეოდნენ ეს ქვეყნები, იტყოდნენ უარს ამ იარაღზე, თუ შეეცდებოდნენ საკუთრივ დაეკანონებინათ ბირთვული სახელმწიფოს სტატუსი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბირთვული იარაღის პრობლემის მოგვარება ნატოს ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა. ამ მხრივ აუცილებელია აღინიშნოს უკრაინის კონსტრუქციული პოზიცია ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას 1992 წლის 1 აპრილს ნატოს

შტაბ-ბინაში უკრაინის თავდაცვის მინისტრის შეხვედრებს ნატოს ოფიციალურ წარმომადგენლებთან.

აღნიშნული საკითხების განხილვა გაგრძელდა 1992 წლის 17 დეკემბერს ბრიუსელში გამართულ ნატოს თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე. მინისტრებმა მოუწოდეს უკრაინას, ბელორუსსა და ყაზახეთს სასწრაფოდ შეერთებოდნენ ხელშეკრულებას ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ (NTP) და მოეხდინათ სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულების (START) რატიფიცირება. აღნიშნული შეხვედრების შემდეგ უკრაინამ კვლავ გამოიჩინა თავისი კონსტრუქციული პოზიცია, რისი საბოლოო შედეგიც გახლდათ 1994 წლის 14 იანვარს აშშ-ის, უკრაინის და რუსეთის პრეზიდენტების მიერ მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმება, რომელმაც განსაზღვრა უკრაინული ბირთვული ქობინების რუსეთისადმი გადაცემისა და ასევე ამასთან დაკავშირებული კომპენსაციისა და უსაფრთხოების გარანტიების წესები. ზემოაღნიშნულმა ფაქტორმა განსაკუთრებული როლი ითამაშა ნატო-უკრაინის ურთიერთობათა განვითარებაში.

1994 წელს უკრაინა შეუერთდა ნატოს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” და იყო ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელმაც 1997 წელს შეცვალა ნაქსი.

1995 წლის 1 ივნისს ნატოში თავისი ვიზიტის დროს უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ წარმოაჩინა თავისი სახელმწიფოს მისწრაფების დემონსტრირება, მოეხდინა ორ მხარეს შორის ურთიერთობათა გადაყვანა უფრო მაღალ დონეზე. იმავე წელს უკრაინის ყოფილი თავდაცვის მინისტრის ნატოში ვიზიტის დროს გამოქვეყნებულ იქნა ერთობლივი განცხადება, სადაც მოკლედ იყო ჩამოყალიბებული ნატოსა და უკრაინას შორის ურთიერთობათა პრინციპები ნატოს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში.

1996-1997 წლებში გრძელდებოდა შეხვედრები უმაღლეს დონეზე. შექმნილ იქნა უკრაინის მისია ნატოში, რომელშიც შედიოდა სამხედრო წარმომადგენელიც.

უკრაინამ მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთაშორისო სამშვიდობო საქმიანობაშიც. კერძოდ, დეიტონის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ბოსნიაში IFOR-ის შემადგენლობაში ქვეყანამ გამოყო ქვეითი ბატალიონი 550 სამხედრო მოსამსახურის შემადგენლობით. უკრაინა ასევე მონაწილეობდა სტაბილიზაციის ძალების შემადგენლობაშიც, და ამ მიზნით გამოყო მოტომსროლელი ბატალიონი და ესკადრილია, საერთო რაოდენობით - 400 სამხედრო მოსამსახურე. ამჟამად უკრაინის სამხედრო კონტინგენტი შედის კოსოვოს ძალების შემადგენლობაში.

ამავე პერიოდში ორ მხარეს შორის დაიწყო მოლაპარაკებები ახალი ხელშეკრულების ხელმოწერისათვის, რომლის შედეგი გახლდათ 1997 წლის ივლისში სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურთა დონეზე, ნატოს ხელმძღვანელობასა და პრეზიდენტ კუჩმას შორის ხელმოწერილი ხელშეკრულება “ქარტია ნატოსა და უკრაინას შორის განსაკუთრებული პარტნიორობის შესახებ”. ამ ქარტიის ხელმოწერით ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს თავისი მხარდაჭერა უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

ნატო ასევე მიესალმა უკრაინის გადაწყვეტილებას ქვეყნის მიერ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების უვადო გაგრძელების შესახებ.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და უკრაინას შორის თანამშრომლობის სხვადასხვა პროგრამა არსებობს, მათ შორის მნიშვნელოვანია ორ მხარეს შორის კონსულტაციების გამართვა ერთობლივი სემინარების ჩატარებასთან დაკავშირებით, ასევე ერთობლივი სამუშაო ჯგუფების სხდომები სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ: სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები;

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლი; სამხედრო დაგეგმვა; თავდაცვის ბიუჯეტის ფორმირება; ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები და კონცეფციები; მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხები და სხვ.

ჩრდილოატლანტიკური საბჭო ახორციელებს პერიოდულ სხდომებს უკრაინელი წარმომადგენლების მონაწილეობით, როგორც წესი წელიწადში ორჯერ. თანამშრომლობა ასევე მიმდინარეობს საკონსულტაციო ორგანოს ფარგლებში, რომელიც შეიქმნა ქარტიის შესაბამისად, რომელსაც ეწოდება “ნატო-უკრაინის კომისია”. ამ კომისიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქარტიის დებულებების შესრულების შეფასება და ორმხრივი ურთიერთობების განვითარების გაუმჯობესებაზე დისკუსიების გამართვა.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უკრაინისადმი დაინტერესებას შემდეგი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავს - ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურება, მისი ერთდროულად ორი რეგიონისადმი, ევროპასა და ევრაზიისადმი კუთვნილება.

ახალი ევროატლანტიკური არქიტექტურის მშენებლობისა და პოზიტიური გეოპოლიტიკური ცვლილებების დამკვიდრებაში უკრაინას, როგორც ევროპის ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოს როლი ძალზედ დიდია, სწორედ ამის გამო ქვეყანა დასავლეთის ქვეყნების, და პირველ რიგში ნატოს სტრატეგიული ინტერესების სფეროს წარმოადგენს.

უკრაინის პოლიტიკური ელიტის დემოკრატიულად განწყობილ ძალებს კარგად ესმით, რომ ქვეყნის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესები, რეალური და პოტენციური პარტნიორები თავმოყრილია ევროატლანტიკურ სივრცეში და ამ სივრცის შემდგომი კონსოლიდაცია ხელს შეუწყობს უკრაინის დეზინტეგრაციის საკითხის საბოლოოდ გაქრობას და მის შიდა ვითარებაში ეროვნული და საერთოდემოკრატიული საკითხების პარალელური, კომპლექსური გადაჭრის პირობების შექმნას.

მეტად საინტერესოა ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში-ბატონ ზბიგნევ ბჟეჟინსკის მოსაზრება უკრაინასთან დაკავშირებით, რომელიც კარგადაა გაანალიზებული წიგნში “დიდი საჭადრაკო დაფა.”

“უკრაინის როლი პოსტსაბჭოთა სივრცეში განსაკუთრებულია, უკრაინის გარეშე აღდგენილი რუსეთის იმპერია უფრო აზიური და ევროპისგან დაცილებული იქნება. უკრაინა მდიდარია თავისი ბუნებრივი რესურსებით, მას მძლავრი ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი გააჩნია. გარდა ამისა, უკრაინის ტერიტორიას რუსეთიდან დასავლეთ ევროპაში მიმავალი ნავთობსადენები და გაზსადენები გადაკვეთს. აღნიშნული ფაქტორები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ 52-მილიონიანმა უკრაინამ რუსეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკა გაატაროს. უკრაინას ძალუძს ევროპის ნაწილი გახდეს რუსეთის გარეშე, ხოლო რუსეთს ამის გაკეთება მხოლოდ უკრაინის მეშვეობით შეუძლია. (55)”

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ნატოს 2006 წელს გამართული რიგის სამიტი, სადაც უკრაინის შესახებ მრავალი მოსაზრება იყო გამოთქმული. კერძოდ, სამიტზე ამერიკელმა სენატორმა რიჩარდ ლუგარმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ამერიკა მიესალმება უკრაინისა და საქართველოს ნატოში ინტეგრაციას. “ნატოს კარები ახალი წევრებისათვის, მათ შორის უკრაინისა და საქართველოსათვის ღიაა, (56)” ასეთი განცხადება გააკეთა რიგაში ჩასულმა ჯორჯ ბუშმა. ამერიკის პრეზიდენტის განცხადებით, ნატოში ამ ქვეყნის გაწევრიანებამ უკრაინელი ხალხის მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს.

რიგის სამიტის მიერ მიღებულ დეკლარაციაში ნატომ დაადასტურა უკრაინასთან განსაკუთრებული პარტნიორობა და მიესალმა იმ პროგრესს, რომელიც მიღწეული იყო ინტენსიური დიალოგის ფარგლებში. ამ დოკუმენტში

ასევე აღნიშნულია უკრაინის განსაკუთრებულ როლზე რეგიონალური უსაფრთხოების საკითხებში. რიგის სამიტზე ალიანსმა მზადყოფნა გამოთქვა დაეხმაროს უკრაინას რეფორმების იმპლემენტაციაში, განსაკუთრებით კი ეროვნული უსაფრთხოების, შეიარაღებისა და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იანუკოვიჩის გაპრემიერების შემდეგ (იულია ტიმოშენკოს პრემიერად კვლავ არჩევამდე) კიევში კეთდებოდა განცხადებები, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უკრაინის გაწევრიანების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უკანასკნელი სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, უკრაინის ნატოში გაწევრიანებას მოსახლეობის მხოლოდ 24% უჭერს მხარს. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ყირიმის ნახევარკუნძული და უკრაინის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც რუსეთთან ინტეგრაციის მომხრეა.

უცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ 2008 წლის დასაწყისში უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ოფიციალური წერილით მიმართა ნატოს გენერალურ მდივანს იაპ დე ჰოოპ სხეფერს და სურვილი გამოთქვა გაწევრიანების სამოქმედო გეგმასთან მიერთების შესახებ. უკრაინა თხოვნით მიმართავს ნატოს, რომ მისი MAP-ზე გადასვლა განხილულ იქნეს ბუქარესტის სამიტზე, რომელიც დაგეგმილია 2008 წლის 2-4 აპრილს. უკრაინის ხელისუფლება იმედს გამოთქვამს, რომ ალიანსი უახლოეს მომავალში მიიღებს გადაწყვეტილებას

დასავლეთის უკრაინისადმი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის გეგმაში 2007-2012 წლებისათვის, რომელიც შეიცავს 68 გვერდს უკრაინას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დოკუმენტში აღნიშნულია - “სტრატეგიული გეგმის თანახმად ჩვენ გვსურს ახალი დემოკრატიების კონსოლიდაცია საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში კორუფციასთან ბრძოლის და ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერის გზით. ამ ქვეყნების საბჭოთა წარსულიდან გამოსვლის და მათი ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებთან დაახლოების კვალობაზე ჩვენ მათ უნდა გავუწიოთ მხარდაჭერა, თანადგომა და ტექნიკური დახმარება”.

უკრაინასთან მიმართებაში ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ფაქტორიც. კერძოდ, 2007 წლის მარტში, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურმა პირებმა პოლონეთისა და ჩეხეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის პოლონეთსა და ჩეხეთში განთავსების შესახებ კონსულტაციები გამართეს, ანალოგიური კონსულტაციები ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა კიევში უკრაინის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებსა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ამერიკელ ექსპერტებს შორის. აშშ-ის დელეგაციას რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სააგენტოს დირექტორი, გენერალი ჰენრი ობერინგი ხელმძღვანელობდა.

ობერინგი უკრაინის თავდაცვისა და უშიშროების მინისტრებს, უკრაინის პრეზიდენტის პრეს-მდივანს, უშიშროების საბჭოს მდივანსა და უკრაინის ნაციონალური კოსმოსური სააგენტოს ხელმძღვანელს, ასევე უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატებს შეხვდა. აღსანიშნავია რომ ობერინგის სიაში არ ფიგურირებდა უკრაინის იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი იანუკოვიჩი, რომელიც უკრაინაში აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსების კატეგორიული წინააღმდეგია.

ამავე დროს ექსპერტები გამორიცხავენ უკრაინაში ამერიკული რადარების განთავსების შემთხვევაში რუსული რაკეტების დასავლეთის წინააღმდეგ

შემოტრიალებას. აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მკაფიოდ განაცხადა, რომ ამ რადარების ინტერესთა სფეროში შედის ჩრდილოეთ კორეა და ირანი.

უკრაინის მნიშვნელობას ნატოსათვის აგრეთვე განაპირობებს ის ფაქტიც, რომ ევროპის ენერგეტიკის სფეროში მდგომარეობის შეცვლის მცდელობა ძირითადად რუსეთის მიერ ენერგომატარებლების პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად გამოყენების ფაქტმა განაპირობა. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან ევროპისკენ მიმავალი ნავთობისა და გაზის მილსადენების გაფართოებასთან ერთად რუსეთსა და გერმანიას შორის არსებული 2004 წლის შეთანხმებით დაგეგმილია ჩრდილოეთის ზღვის მარშრუტით დამატებითი ახალი გაზსადენის მშენებლობაც და შტოკმანის გაზის უზარმაზარი საბადოს ათვისებაც. ამ საბადოდან მოპოვებული გაზი აგრეთვე ევროპის მიმართულებით იქნება ტრანსპორტირებული. მაგრამ, მიუხედავად ამ გეგმებისა, რუსეთის უკრაინასთან ენერგო დაპირისპირების შემდეგ 2006 წლის იანვარში (რუსეთის ევროპაში გაზის ექსპორტის დაახლოებით 76% უკრაინის ტერიტორიის გავლით ხორციელდება), ნატოს ევროპელი მოკავშირეებისათვის დღის წესრიგში დადგა პოლიტიკურად არასტაბილურ რუსეთზე ენერგოდამოკიდებულების შესაძლო რისკების განხილვა. ეს მით უფრო იმ პერსპექტივის გათვალისწინებით, რომ რუსეთზე ცალმხრივი დამოკიდებულების შემთხვევაში 2020 წლისათვის ევროპაში რუსეთის გაზის იმპორტი 85 პროცენტი იქნება.

ნატოს წევრი ევროპული სახელმწიფოების ენერგოსაფრთხილების უზრუნველყოფის კუთხით კი უკრაინას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითისათვის განვიხილოთ პროექტი **GUEU (Georgia – Ukraine – European Union)**. ამ პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია კასპიის რეგიონის გაზის შავი ზღვის რეგიონის გავლით ევროპაში ტრანსპორტირება, რომელიც მიზნად ისახავს შავი ზღვის ფსკერზე გამავალი გაზსადენის მეშვეობით საქართველოსა და უკრაინის ევროპასთან დაკავშირებას. პროექტი პირველ ეტაპზე ითვალისწინებს 8 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირებას შავ-დენიზის საბადოებიდან, მეორე ეტაპზე მას დაემატება 8 მილიარდი კუბური მეტრი ყაზახეთიდან, ხოლო მესამე ეტაპზე 16 მილიარდი თურქმენეთიდან, ანუ სრული დატვირთვის შემთხვევაში გაზსადენი 32 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს გაატარებს ევროპისკენ უკრაინის ტერიტორიის გავლით.

ნატოს ინტერესები შავი ზღვის რეგიონში

ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის მეტად მნიშვნელოვანი, ევროპისა და აზიის გზასაყარზე მდებარე შავი ზღვის რეგიონი გეოსტრატეგიული თვალსაზრისით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტერიტორიას წარმოადგენს, რომელიც მეტად დიდ როლს თამაშობს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში.

როგორც ცნობილია, რეგიონის პოლიტიკურ რუკაზე ფუნდამენტურ ცვლილებებს ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში, რაც უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული იყო კარდინალურ პოლიტიკურ ცვლილებებთან აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში და განპირობებული იყო დემოკრატიული პროცესების განვითარებასთან აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის შავი ზღვის რეგიონში მდებარე ბულგარეთსა და რუმინეთში და საბჭოთა კავშირის დაშლასთან, რისი შედეგიც გახდა რეგიონში მყოფი ყოფილი საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, მოლდოვა) მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვება.

დღევანდელ დღეს რეგიონის თითოეულ ქვეყანას გააჩნია თავისი საკუთარი საგარეო-პოლიტიკური და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები.

ცივი ომის შემდგომ პერიოდში რეგიონში მრავალი მნიშვნელოვანი მოვლენა განვითარდა, სადაც დადებითი ასპექტებიდან მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი:

- შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ბისეკის) შექმნა;
- რეგიონში მდებარე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ნატო-ს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამაში გაწევრიანება;
- რეგიონის სახელმწიფოების გაწევრიანება ევროპის საბჭოში;
- შავი ზღვის რეგიონის ოთხი სახელმწიფოს მიერ რეგიონალური ორგანიზაცია სუამ-ის შექმნა;
- ნატოსა და ევროკავშირის გაფართოება და ამ ორგანიზაციაში რუმინეთისა და ბულგარეთის გაწევრიანება;
- “ვარდების რევოლუცია” საქართველოში და “ნარინჯისფერი” რევოლუცია უკრაინაში;
- ნატოს მიერ ინტენსიური დიალოგის პროცესის დაწყება საქართველოსა და უკრაინასთან;
- შავი ზღვის რეგიონის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების (რუსეთის გარდა) ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის პროგრამაში ჩართვა;
- გლობალური მნიშვნელობის ეკონომიკური პროექტების განხორციელების დაწყება, რომელთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნისა და კასპიის ენერგეტიკული პროექტები.

რაც შეეხება შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე ნეგატიურ პროცესებს, ისინი პირველ რიგში დაკავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან:

ტერორიზმი. რეგიონში არსებული ტერორისტული დაჯგუფებები კვლავ აგრძელებენ ტერორისტული აქტების განხორციელებას. ამ მხრივ აღსანიშნავია თურქეთის ტერიტორიაზე მოქმედი ქურთთა მუშათა პარტიის დაჯგუფებები, ტერორისტული და დივერსიული ჯგუფები აფხაზეთში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ჩეჩნეთში და რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალ სხვა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში;

ტერორიზმის გავრცელებას ხელს უწყობს აგრესიული სეპარატიზმი. რეგიონში არსებული სეპარატისტული რეგიონები წარმოადგენენ არაკონტროლირებად ტერიტორიებს, რაც ქმნის მეტად ხელსაყრელ პირობებს ტერორისტული ბანაკების დაარსებისა და არსებობისათვის. სეპარატისტული ტერიტორიები წარმოადგენენ მეტად ხელსაყრელ ადგილს უკანონო ვაჭრობის, განსაკუთრებით ნარკოტიკებით უკანონო ბრუნვისათვის, ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ოპერაციების განხორციელებლად. გარდა ამისა, სეპარატიზმის არსებობის უდიდეს პრობლემას რა თქმა უნდა წარმოადგენს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ფუნქციონირება, რომლებიც შეიარაღებულნი არიან თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობით. როგორც ცნობილია სეპარატისტული მოძრაობების განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს რეგიონის ზოგიერთი სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურების მიერ სეპარატისტული მოძრაობების პირდაპირი და ღია მხარდაჭერა, როდესაც ამ სახელმწიფოების შესაბამისი სტრუქტურები ფინანსური და სამხედრო ხასიათის დახმარებას უწევენ სეპარატისტულ რეჟიმებს.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, რომელიც აფერხებს თანამშრომლობის განვითარებას შავი ზღვის რეგიონში წარმოადგენს დაძაბული ორმხრივი ურთიერთობები რეგიონის რამდენიმე სახელმწიფოს შორის, ამ შემთხვევაში აღსანიშნავია სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტი, დაძაბული ურთიერთობები ერთის მხრივ საქართველოსა და რუსეთს, ხოლო მეორე მხრივ თურქეთსა და სომხეთს, აგრეთვე რუსეთსა და მოლდოვას შორის. აგრეთვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ტერიტორიული დაპყრობები უკრაინასა და რუმინეთს, აგრეთვე უკრაინასა და რუსეთს შორის.

რაც შეეხება ეკონომიკური ხასიათის პრობლემებსა და გამოწვევებს, ისინი პირველ რიგში დაკავშირებულია რეგიონის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების უმრავლესობის სუსტ სოციალ-ეკონომიკურ განვითარებასთან.

მიუხედავად ზემოაღნიშნული პრობლემებისა, უახლოეს წარსულში განვითარებული პოზიტიური პროცესები იძლევა იმედს, რომ რეგიონში არსებული დაძაბულობანი ეტაპობრივად დადებითად გადაწყდეს. ამ მხრივ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ნატოს გაფართოება და ალიანსის გაზრდილი როლი გლობალური უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაში. ბალტიის სახელმწიფოებისა და შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე სახელმწიფოების ალიანსში მიღების შემდეგ ნატოს შემდგომ სტრატეგიას წარმოადგენს უფრო ინტენსიური თანამშრომლობის განვითარება შავი ზღვის რეგიონის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ნატოს რიგის სამიტზე მიღებული ერთობლივი დოკუმენტი, სადაც აღნიშნულია ალიანსის მიერ საქართველოსა და უკრაინასთან ინტენსიური თანამშრომლობის მნიშვნელობა.

ნატოსთან თანამშრომლობის გზაზე შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ალიანსის გამოცდილების გაზიარება უსაფრთხოების სფეროში რეფორმების ჩატარების თვალსაზრისით, შეაირადებული ძალების ნატოს სტანდარტებით უზრუნველყოფაში და ა.შ.

ნატოს გაფართოებასთან ერთად უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ევროკავშირის გაფართოება და რეგიონში მდებარე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივაში ჩართვა, რაც დადებით გავლენას მოახდენს რეფორმების განხორციელების პროცესზე ამ ქვეყნებში.

უდიდესი როლი რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარების საკითხებში შეუძლიათ ითამაშონ ეკონომიკურმა პროექტებმა. რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურმა განვითარებამ შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს სეპარატიზმის დამარცხებაში, რადგანაც სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლები, აგრეთვე ამ რეგიონების მოსახლეობა დაინტერესებული იქნება უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული იმ განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოში, რომლისგან გამოყოფასაც ამ ეტაპზე ასე ესწრაფვიან სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელები.

ეკონომიკური ასპექტებიდან რა თქმა უნდა პირველ რიგში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმ საერთაშორისო სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების შესახებ, რომელშიც აქტიურად არიან ჩართულნი შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოთა უმრავლესობა. პირველ რიგში აქ აღსანიშნავია ევროპა-აზიის სატრანსპორტო კორიდორის-ტრასეკას პროექტი და “დიდი აბრეშუმის გზის” აღდგენის მცდელობა რეგიონის სახელმწიფოთა მიერ მსოფლიოს წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების მონაწილეობით. როგორც ცნობილია, აბრეშუმის გზა ფუნქციონირებდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-8-7 საუკუნეებიდან და ამ გზის მეშვეობით ხდებოდა ჩინეთისა და ინდოეთის დაკავშირება ელინისტური სამყაროს ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებთან და

მოგვიანებით რომის იმპერიასთან. ზემოაღნიშნული კავშირურთიერთობები ძირითადად ხორციელდება შავი ზღვის რეგიონის მეშვეობით.

ზემოაღნიშნული პროექტების, აგრეთვე შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროსკენ ევროკავშირისა და ნატო-ს გაფართოების შედეგად, რეგიონმა ახალი გეოსტრატეგიული ფუნქცია შეიძინა, იგი მოექცა მსოფლიოს მრავალი წამყვანი სახელმწიფოს მთავრობებისა და მათი ენერგეტიკული კომპანიების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფეროში. აღნიშნულ რეგიონს თავისი არსებობის პერიოდში (შავი ზღვის რეგიონში სახელმწიფოების ჩამოყალიბების დროიდან) ყოველთვის გააჩნდა თავისი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა. საუკუნეების განმავლობაში იგი მრავალჯერ გამხდარა სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოების თავდასხმის ობიექტი. ამ სახელმწიფოთა ლიდერებს მშვენივრად ჰქონდათ გათვითცნობიერებული ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე, სტრატეგიული ნავსადგურებისა და სხვა მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კომუნიკაციების მქონე რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა.

ნატოს ინტერესები შავი ზღვის რეგიონში. შავი ზღვის რეგიონი ძალზედ მნიშვნელოვანია ნატოს წევრი როგორც ევროპელი მოკავშირეების, ასევე შეერთებული შტატებისათვის, როგორც მთავარი ხიდი ენერგომატარებელთათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და როგორც ბარიერი სხვადასხვა საშიშროებებისა და გამოწვევების წინააღმდეგ. უსაფრთხოების კონტროლი ამ რეგიონში, შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნების სხვადასხვა ინტერესებითაა გამოწვეული. ზოგიერთი ქვეყნის ინტერესები და პრიორიტეტები თანხვედრაშია ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სტრატეგიულ ინტერესებთან, მაშინ როცა ზოგი სახელმწიფო ეწინააღმდეგება ნატოს გააქტიურებას რეგიონში.

ნატომ, როგორც წამყვანმა ორგანიზაციამ უსაფრთხოების სფეროში უნდა შეიმუშავოს გეგმა ამ რეგიონის მიმართ, რათა მიაღწიოს მიზანს შავი ზღვის რეგიონში ხილების გადებასა და წინააღმდეგობების მიმართ ბარიერის აღმართვაში. ამ გარემოებიდან გამომდინარე, ევრო-ატლანტიკურმა სტრატეგიამ მხარი უნდა დაუჭიროს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების მიერ წამოწეულ ქმედებებს, რომლებიც მიმართული იქნება სტაბილურობისა და ერთიანი ინტერესების თანხვედრისაკენ. აქ შეიძლება ჩართულ იქნას ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება შავი ზღვის რეგიონის წევრებით, რათა განსაზღვრულ იქნას საერთო უსაფრთხოების ინტერესები და ჩამოყალიბებულ იქნას იდეები პრაქტიკული თანამშრომლობისათვის. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებმა შეიძლება ითანამშრომლონ შემდეგ სფეროებში:

- ნატოს მხარდაჭერით, მაგალითად პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში ან შავი ზღვის ქვეყნების უშუალო ინიციატივით ჩატარდეს ერთობლივი სამხედრო წვრთნები როგორც შავ ზღვაზე, ასევე რეგიონის რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესაბამისად სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სანაპირო დაცვისა და სახმელეთო ჯარების ნაწილების მონაწილეობით;

- მნიშვნელოვანია ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და კოორდინირებული მოქმედება საზღვრების კონტროლისა და სანაპირო დაცვის საკითხებში, ასევე ერთიანი სტრუქტურის ფარგლებში თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის, ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;

- სამოქალაქო-სამხედრო საკითხებში თანამშრომლობა შეიძლება გაღრმავებულ იქნას გამოცდილების ურთიერთგაზიარებით შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის დამყარების სფეროში;

- ნატოს ასპირანტი სახელმწიფოების, საქართველოსა და უკრაინისათვის აუცილებელია რუმინეთისა და ბულგარეთის გამოცდილების გაზიარება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის გზაზე;

- ხელი უნდა შეეწიოს ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებას ნატოს სხვადასხვა სამეცნიერო პროგრამების ფარგლებში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ნატოს პროგრამა “მეცნიერება უსაფრთხოებისათვის”, სადაც გათვალისწინებულია თანამშრომლობა ნატოს და პარტნიორი ქვეყნების მეცნიერთა მიერ ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელება. ამ მხრივ შესაძლებელია თანამშრომლობის განვითარება როგორც ჰუმანიტარულ, ასევე საბუნებისმეტყველო სფეროებში. ამ კვლევებში მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს შავი ზღვის რეგიონში თითოეული ქვეყნისათვის არსებულ საერთო პრობლემებს;

სტრატეგია, რომელიც ნატომ უნდა გამოიყენოს შავი ზღვის რეგიონის მიმართ, ჯერჯერობით არ არის საბოლოოდ გამოკვეთილი. ნატო-სა და ევროკავშირის გაფართოება, ამტკიცებს ამ რეგიონის მნიშვნელობას. ცივი ომის შემდგომ ნატოს გაფართოების მეორე ტალღამ კიდევ ერთხელ დააყენა შავი ზღვის რეგიონი ყურადღების ცენტრში. 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ, უფრო დიდი ყურადღება ექცევა ევროპისა და აზიის გზასაყარზე მდებარე ტერიტორიას, სადაც საიმედო ბარიერი უნდა აღიმართოს ახლო აღმოსავლეთიდან მომავალი საფრთხის წინააღმდეგ. პრაქტიკაში 2002 წლის 22 ნოემბერს, ევრო-ატლანტიკურმა თანამშრომლობის საბჭომ მხარი დაუჭირა თანამშრომლობის სამოქმედო გეგმას ტერორიზმის წინააღმდეგ, რამაც პარტნიორ ქვეყნებს შორის პოლიტიკური კონსულტაციების გახშირება გამოიწვია, საზღვრის დაცვის, უსაფრთხოების, საბანკო და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მიუხედავად ყველაფრისა, 11 სექტემბრის შედეგებმა ნატოს მკაფიოდ დაანახა თუ რაოდენ აუცილებელი იყო ახალ წევრებთან ჩამოყალიბებულიყო რეგიონული თანამშრომლობა საზღვრების გასაკონტროლებლად და ახალი საფრთხეების წინააღმდეგ ბარიერის აღსამართად.

ალიანსის გაფართოებამ, ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპის მიმართულებით, ლიმიტს მიაღწია. განსხვავებული მდგომარეობაა შავი ზღვის რეგიონში, სადაც ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაცია აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს თავის პოტენციურ წევრებთან. ნატოს მიერ გამოცხადებული ღია კარის პოლიტიკა, საშუალებას აძლევს ამ რეგიონის ქვეყნებს ორგანიზაციაში გაწევრიანდეს, რის შედეგადაც შავი ზღვის რეგიონი ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სივრცის ზღუდე გახდება.

საყოველთაოდ ცნობილია შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყნის - საქართველოს სწრაფვა გახდეს ჩრდილოეთ-ატლანტიკური ალიანსის წევრი. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის 2004 წლიდან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის, ხოლო 2006 წლის სექტემბრიდან ნატოსა და საქართველოს შორის ინტენსიური დიალოგის დაწყება.

საქართველოსთვის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2006 წლის ნოემბერში რიგაში გამართული ნატოს სამიტი, სადაც მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელშიც აღინიშნა რომ ნატოს წევრი სახელმწიფოები განაგრძობენ საქართველოსთან ინტენსიურ დიალოგს და ხელს შეუწყობენ ამ ქვეყნის ხელისუფლებას კვლავაც გააგრძელოს წინსვლა რეფორმების განხორციელების კუთხით. დეკლარაციაში ასევე აღნიშნულია, რომ ალიანსი “წახსამხრეთ კავკასიაში რეგიონალური კონფლიქტების არსებობის გამო.”

მიუხედავად ნატოს მხრიდან მხარდაჭერისა, ჯერ კიდევ მრავალი პრობლემა არსებობს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

- ნატოს ფარგლებში ყველა სერიოზული გადაწყვეტილებების მისაღებად ალიანსის წევრი 26-ივე ქვეყნის თანხმობაა საჭირო. ამავე დროს ცნობილია, რომ საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნატოს გაფართოებას დიდი ენთუზიზმით არ უყურებენ. საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ ეს ქვეყანა სავარაუდოდ საქართველოს სასარგებლოდ შეიცვლის თავის პოზიციას;
- მიუხედავად ნატოს ოფიციალური პირების განცხადებისა, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტები ხელს ვერ შეუშლის საქართველოს სწრაფვას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე, ამ ფაქტორს შეუძლია მეტად ნეგატიური როლი ითამაშოს ალიანსში ინტეგრაციის გზაზე;
- დიდ პრობლემას წარმოადგენს რუსეთის “სამშვიდობო ძალების” არსებობა კონფლიქტურ ზონებში;
- ნატოს ევროპელი მოკავშირეების რუსეთის ენერგეტიკულ რესურსებზე დამოკიდებულებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე;
- დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით საქართველო ჯერ კიდევ სრულად არ აკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს.

ხელოვნური პრობლემების დასაძლევად საქართველომ ინტენსიური მოლაპარაკებები უნდა გამართოს ევროპის წამყვან ნატოს წევრ სახელმწიფოებთან, რათა მიღებულ იქნეს ამ ქვეყნების მხარდაჭერა.

აგრეთვე ძალზედ მნიშვნელოვანია მიღწეულ იქნეს შეთანხმება რუსეთთან (როგორც ეს მოხდა 2005 წელს როდესაც რუსეთმა თანხმობა განაცხადა გაეყვანა თავისი ბაზები საქართველოდან 2008 წლის განმავლობაში), რათა რუსეთის სამშვიდობო ძალები გავიდნენ საქართველოდან ან მოხდეს სხვა სტრუქტურებისა და ქვეყნების ჩართვა კონფლიქტის მოგვარების პროცესში. ამ მხრივ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ რუსეთზე შესაძლო გავლენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მნიშვნელოვანია, რათა საქართველომ განაგრძოს ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელება, რათა მოიპოვოს ნატოს შემდგომი მხარდაჭერა.

უფრო დაწვრილებით ამ საკითხებზე მომდევნო თავებში გვექნება საუბარი.

აშშ. რაც შეეხება ნატოს ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებს რეგიონში აქ აღსანიშნავია, რომ აშშ-ის შავი ზღვის რეგიონში რამდენიმე მიზანი ამოძრავებს, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

- აშშ-ს, რომელიც ნავთობზე მოთხოვნილების 50%-ზე მეტს იმპორტული ნავთობის ხარჯზე იკმაყოფილებს და რომელსაც ნავთობი პოლიტიკურად არასტაბილური რეგიონიდან, სპარსეთის ყურიდან შემოაქვს, შავი და კასპიის ზღვის რეგიონების სახით სურს შექმნას “შავი ოქროს” მიღების ალტერნატიული წყარო, რათა გააჩნდეს არჩევანის უფრო დიდი შესაძლებლობა და შემცირდეს დამოკიდებულება სპარსეთის ყურის ნავთობზე;

- აშშ-ს გააჩნია თავისი კომერციული ინტერესები რეგიონში. ვაშინგტონს იმედი აქვს, რომ მისი კომპანიების შეღწევა რეგიონში ხელს შეუწყობს შავი ზღვის ქვეყნებში ეკონომიკური რეფორმების განვითარებას და რეგიონის ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში. ამერიკელი კომპანიების მიერ შავი ზღვის რეგიონში კომერციული საქმიანობის გაფართოებას, რასაც თან ახლავს მსხვილი კაპიტალდაბანდებები და უახლესი ტექნოლოგიების დამკვიდრება,

აუცილებლად მოჰყვება რეგიონში ვაშინგტონის პოლიტიკური გავლენის გაძლიერება;

- რეგიონის სახელმწიფოების დემოკრატიული განვითარების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილ იყოს სტაბილური გარემო;

- აშშ-ის მიერ რეგიონისადმი ინტერესს განაპირობებს მისი გეოსტრატეგიული მდებარეობა ირანის, ერაყისა და ავღანეთთან უშუალო სიახლოვეს. ირანის მახლობლად მდებარე რეგიონში ვაშინგტონის გავლენის გაძლიერება აშშ-ის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს;

- რუმინეთისა და ბულგარეთის ნატოში გაწევრიანების შემდგომ და ამ ქვეყნებში სამხედრო ბაზების განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამ, კიდევ უფრო გაზარდა აშშ-ის ინტერესები ამ რეგიონში;

- ამერიკის მიზანია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების კიდევ უფრო აქტიური ჩართვა ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში. როგორც ცნობილია, დღევანდელ დღეს როგორც ერაყში აშშ-ის ეგიდით, აგრეთვე ავღანეთში ნატოს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში შავი ზღვის რეგიონის რამდენიმე სახელმწიფოს სამხედრო კონტინგენტები მონაწილეობენ და ზოგიერთი სახელმწიფო გეგმავს ამ მონაწილეობის კიდევ უფრო გააქტიურებას;

- ერაყის ქურთისტანთან დაკავშირებული პრობლემის გამო უკანასკნელ პერიოდში დაიძაბა ურთიერთობა აშშ-სა და შავი ზღვის რეგიონისა და ნატოს ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოს, თურქეთს შორის. აქედან გამომდინარე აშშ-ის მიზანია ურთიერთობების გაუმჯობესება თურქეთთან და თანამშრომლობის გააქტიურება ამ ქვეყანასთან ირანთან და ერაყთან დაკავშირებულ საკითხებზე.

როგორც აღინიშნა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინტერესს აშშ-ისათვის ენერგეტიკული რესურსები წარმოადგენს. ალტერნატიული ენერგოწყაროების მოპოვება დღესაც რჩება აშშ-ის ერთ ერთ მთავარ სტრატეგიულ ამოცანად. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სწორედ შავი ზღვის და კასპიის რეგიონი გახდა აშშ-ისათვის ბრწყინვალე შესაძლებლობა, რათა სპარსეთის ყურეზე თავისი ენერგოდამოკიდებულება შეესუსტებინა. ამიტომ, კასპიისა და შავი ზღვის რეგიონში ბუნებრივი რესურსებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების გაკონტროლება და დემოკრატიული, სტაბილური პოლიტიკური სისტემის შექმნა აშშ-ისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანა გახდა. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან აშშ-იმ შავი და კასპიის ზღვის რეგიონები საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების რეგიონად გამოაცხადა. სწორედ 90-იანი წლების დასაწყისში უკავშირდება რომში ნატო-ს სამიტზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ახალი სტრატეგიის შემუშავებაც, რომელიც ვაშინგტონში 1999 წელს ნატო 50 წლის იუბილეზე დაიხვეწა და ჩამოყალიბდა. ამ სტრატეგიის მთავარი მიზანი ნატო-ს გაფართოება იყო.

შავი ზღვის რეგიონიდან აშშ-ის ინტერესები მთელი ევრაზიის კონტინენტზე გადის და შესაბამისად, პერსპექტივაში ენერგეტიკული რესურსებით მდიდარ ცენტრალურ აზიამდე პოლიტიკური გავლენის გაფართოების ამბიციას წარმოაჩენს. ამას ხელს უწყობს სსრკ-ის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობა შავი ზღვის რეგიონში.

აშშ-ისათვის თავიდანვე ნათელი იყო, რომ შავი და კასპიის ზღვის რეგიონის დათმობა მსოფლიო ლიდერობის დათმობის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ ბუქეინსკიმ, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის კარტერის მრჩეველმა უსაფრთხოების საკითხებში 90-იანი წლების ბოლოს აშშ-ის მთავრობას ურჩია, რომ უფრო მეტი ძალისხმევით შესულიყვნენ შავი და კასპიის ზღვის რეგიონებში. რეგიონში

აშშ-ის ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანა თავიდანვე გაზსა და ნავთობზე რუსეთის სტრატეგიული მონოპოლიის დამსხვრევით განისაზღვრა. ამასთან რეგიონში ახალი საბჭოთა იმპერიის წარმოშობის ალბათობა ძირშივე უნდა მოსპობილიყო. კასპიისა და შავი ზღვის რეგიონებში ნავთობისა და გაზის უსაფრთხო მოპოვებისა და ტრანსპორტირების მიზნით, აშშ-ისათვის პირველ რიგში აუცილებელი იყო აღნიშნული საფრთხეების ლოკალიზება და რეგიონში პოლიტიკური გავლენის უზრუნველყოფა.

რაც შეეხება აშშ-ის ურთიერთობას საქართველოსთან, აქ უნდა აღინიშნოს, რომ აშშ საქართველოში, როგორც მნიშვნელოვან სატრანზიტო ქვეყანაში, საკუთარი ინტერესების დაცვის გრძელვადიან გარანტიას ქვეყნის სტაბილურობაში, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში, დემოკრატიული ინსტიტუტების, სამართლებრივი სახელმწიფოსა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაში ხედავს.

შავი ზღვის რეგიონში პარტნიორ ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი სტრატეგიული განვითარების პოლიტიკაა.

საქართველოსთვის აშშ-ის მხარდაჭერას განსაკუთრებული იმპულსი მისცა “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ქვეყანაში დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარების კუთხით განხორციელებულმა რეფორმებმა.

ახლო პერსპექტივაში საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მიზნით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აშშ-ის დახმარება სამხედრო სფეროში. 2007 წელს აშშ-ს კონგრესმა ამისთვის საქართველოს 10 მილიონი დოლარი გამოუყო, რაც ორ ქვეყანას შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ აშშ-იმ სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის მოცულობის დახმარება გაუწია საქართველოს, ხოლო ერთი წლის წინ აშშ-იმ საქართველოში მიღენიუმის პროგრამის განხორციელება დაიწყო, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამ მიზნით გამოყოფილია დაახლოებით 300 მილიონი დოლარი.

შავი ზღვის რეგიონში აშშ-ს გეოპოლიტიკა მსოფლიოში ახალი წესრიგის მნიშვნელოვანი ელემენტებს შეიცავს. ამ წესრიგის შენარჩუნების გრძელვადიანი გარანტია შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში დემოკრატიული სისტემებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებაა.

ნატოს ევროპელი მოკავშირეების პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ევროპულ სახელმწიფოებს თავისი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები გააჩნია შავი ზღვის რეგიონში. სსრკ-ის დაშლის შემდგომ პერიოდში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ნატოს ევროპელმა წევრებმა ევროკავშირის სხვა წევრებთან ერთად TACIS და TRACECA-ს პროექტის ფარგლებში (ეს პროექტები ხორციელდებოდა ევროკავშირის ინიციატივით) მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა შავი ზღვის რეგიონის პოსტსაბჭოთა ქვეყნებს.

აღმოსავლეთით გაფართოებით, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2004 წლის მაისიდან ბულგარეთი და რუმინეთი ნატოში გაწევრიანდნენ, ეს ორგანიზაცია ამჟამად უშუალოდ ესაზღვრება შავ ზღვის. აქედან გამომდინარე, ევროპა შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავებას გეგმავს. 2007 წლის აპრილში ნატოს ევროპელმა წევრებმა ევროკავშირის ეგიდით მიიღეს გადაწყვეტილება ახალი პროგრამის – “შავი ზღვის თანამშრომლობის” ამოქმედების შესახებ. როგორც ევროკავშირის მიერ გამოქვეყნებულ

განცხადებაში აღინიშნა, შავი ზღვის რეგიონი თავისი ენერგეტიკული და სატრანსპორტო ნაკადებით სწრაფად განვითარებულ ბაზარს წარმოადგენს. ევროკავშირი მზად არის მხარი დაუჭიროს რეგიონალურ ინიციატივებს და გაუზიაროს რეგიონში მდებარე ქვეყნებს თავისი გამოცდილება და ერთობლივი პროექტები განახორციელოს ისეთ სფეროებში, როგორცაა საზღვრების კონტროლი და უსაფრთხოება, ენერგეტიკა, სატრანსპორტო მიმოსვლა, მგზავრების გადაადგილება, ვაჭრობა, განათლება, სამეცნიერო კვლევები და სოცუზრუნველყოფა. გარდა ამისა მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ევროკავშირი (რომლის წევრთა უმრავლესობა როგორც ცნობილია ნატოს ქვეყნები არიან) სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში ახალ გეგმას გვთავაზობს და ამ მიზნით ევროკავშირში ამჟამად განხილვის სტადიაში იმყოფება სამოცგვერდიანი დოკუმენტი.

რეგიონის უსაფრთხოება ევროპისათვის სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ამასთან ევროპის ენერგეტიკის სფეროში ამჟამად არსებული მდგომარეობა, მას მთლიანად შავი ზღვის რეგიონის-როგორც ენერგორესურსების დასაველეთის მიმართულებით ტრანსპორტირების პროცესში პოტენციური სატრანზიტო რეგიონის მიმართ განსაკუთრებულ ეკონომიკურ ინტერესს უჩენს. ეს ყოველივე დღეს ევროპას რეგიონის მიმართ ერთიანი სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობის წინაშე აყენებს.

დღევანდელ ეტაპზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ევროპაში მდებარე სახელმწიფოები იმპორტირებული ნავთობისა და გაზის უდიდეს ნაწილს იღებენ როგორც პოლიტიკურად არასტაბილური სპარსეთის ყურის რეგიონიდან, ისე რუსეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან. ევროპაში გაზის იმპორტის 2/3 მოდის რუსეთზე. ექსპერტთა პროგნოზების მიხედვით დაახლოებით 2020 წლისათვის ევროკავშირის ნავთობზე მოთხოვნილება 20 პროცენტით გაიზრდება, ხოლო გაზზე 40 პროცენტით.

ამიტომაც რუსეთზე ცალმხრივი დამოკიდებულების შემთხვევაში 2020 წლისათვის ევროპაში რუსეთის გაზის იმპორტი 85 პროცენტი იქნება.

ზემოაღნიშნული რეალობებიდან გამომდინარე, 2007 წლის იანვარში ევროპაში შემუშავდა ენერგეტიკის სტრატეგია, რომლის მიხედვით მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სხვა ალტერნატიული ენერჯის წყაროების განვითარებას, ასევე მოლაპარაკებათა პროცესის გააქტიურებას ენერგომატარებლების ექსპორტიორ და სატრანზიტო ყველა ქვეყანასთან, რათა ამ გზით უზრუნველყოფილ იქნას გაზისა და ნავთობის იმპორტის დივერსიფიკაცია. ევროპისათვის ენერგოუსაფრთხოების საკითხი პოლიტიკური უსაფრთხოების ნაწილი გახდა.

ევროპისათვის ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი გახდა, რომ მომავალში ნატოსა და ევროკავშირის როგორც კანდიდატ, ასევე სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ნატოსა და ევროკავშირის ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი შეიძლება ენერგომატარებლები გახდეს. მიუხედავად რუსეთის მცდელობისა, გაზარდოს ევროპაზე თავისი გავლენა ენერგეტიკის სფეროში, თავისი ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე ევროპა თანამედროვე ეტაპზე კიდევ უფრო უახლოვდება შავი ზღვის რეგიონს.

გერმანიის კანცლერმა, მერკელმა, ჯერ კიდევ 2006 წელს გერმანიის ევროკავშირის პრეზიდენტობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის დროს, ევროკავშირის აღმოსავლეთ პოლიტიკაში ენერგომატარებლების თემას ცენტრალური ადგილი დაუთმო, რაც თავის მხრივ შავი ზღვის რეგიონის მიმართ ევროპის ინტერესების გაძლიერებას ნიშნავს. თუმცა, ამ ეტაპზე გაურკვეველია,

რამდენად შეუძლია ევროპას ჰქონდეს მკაფიო სტრატეგიული გეგმები რეგიონში, რომლის მიმართ რუსეთს საკუთარი გავლენის შენარჩუნება სურს. აქ პირველ რიგში რა თქმა უნდა იგულისხმება შავი ზღვის რეგიონის პოსტსაბჭოთა ნაწილი. აშშ-მ რუსეთთან დამოკიდებულება ახლებურად განმარტა და ახალ უსაფრთხოების დოქტრინაში ნათლად განაცხადა, რომ ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლის აუცილებლობას აღარ შეუძლია აშშ-სა და რუსეთს შორის საპირისპირო ინტერესების გაწონასწორება. ევროპა კი იმედოვნებს, რომ ენერგომატარებლების დივერსიფიკაციის მოთხოვნილებას რუსეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის გაგრძელებასთან მოიყვანს თანხვედრაში, თუმცა ამ საკითხისადმი ნატოს წევრი ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულება ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება.

რაც შეეხება რეგიონში ევროპის სხვა ძირითად პრიორიტეტებს, იგი დღემდე უსაფრთხოებასა და სტაბილურობას უკავშირდება. ამ მიზნით მაგალითად შავი ზღვის რეგიონის კავკასიის სამი ქვეყანა-საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი, აგრეთვე უკრაინა და მოლდოვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ნაწილია. 2007 წლიდან 2013 წლამდე ევროკავშირმა სამეზობლო პოლიტიკის ყველა წევრი სახელმწიფოს დასახმარებლად 12 მილიარდი ევრო გამოყო.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ძირითადი დანიშნულება არის ნატოსთან და ევროკავშირთან გეოგრაფიულად ახლო მდგომ ქვეყნებში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მეზობელ სახელმწიფოებთან ეს თანამშრომლობა გამოიხატება ტრეფიკინგის, არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლასა და საზღვრების დაცვის განმტკიცებაში.

2005 წელს ევროპარლამენტმა გააკრიტიკა ევროკომისია სამეზობლო პოლიტიკის გამო, განსაკუთრებით ყურადღება ამ შემთხვევაში მიექცა იმ ფაქტს, რომ ევროკომისია ნაკლებ ყურადღებას უთმობს მეზობელ ქვეყნებში დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხს და ამასთან სამეზობლო პოლიტიკის წევრ ქვეყნებს არა აქვთ ევროკავშირში გაწევრიანების გამოკვეთილი შანსი. 2006 წლის დასაწყისში ევროპარლამენტმა ევროკომისიას მოსთხოვა, დიფერენცირებულად მიდგომოდა სამეზობლო პოლიტიკის წევრ ქვეყნებს იმის გათვალისწინებით, სურდათ თუ არა მათ ევროკავშირში გაწევრიანება და რამდენად მზად არიან ისინი დემოკრატიული ინსტიტუტების განსავითარებლად და კანონის უზენაესობის განსანმტკიცებლად.

2008 წლიდან სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი აღმოსავლეთ მეზობლებზე გაკეთდება, მათ შორის საქართველოზე. ევროპის აღმოსავლეთის ახალი პოლიტიკა უკრაინაში, მოლდოვასა და კავკასიის ქვეყნებში რეფორმების განხორციელებაში მეტი მხარდაჭერით იქნება განპირობებული. ევროპის აღმოსავლეთის ახალი პოლიტიკა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გარდა უკვე ისეთ სახელმწიფოებს მოიცავს, რომლის მიმართ ცივი ომის დამთავრების შემდეგ ევროპას არ ჰქონია გეოპოლიტიკური სტრატეგია და არც სამეზობლო პოლიტიკაში არიან გაწევრიანებული, მაგრამ ეს ქვეყნები მდიდრები არიან თავიანთი ბუნებრივი რესურსებით. ლაპარაკია ცენტრალური აზიის ქვეყნებზე. ამ ქვეყნების მიმართ ევროპის ინტერესი შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს, როგორც სატრანზიტო სახელმწიფოების მნიშვნელობას განსაკუთრებულად წარმოაჩენს.

აქედან გამომდინარე, რეგიონში ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ევროპის ენერგოპოლიტიკის სინტეზში სრულიად ახალ განზომილებას იძენს.

2004 წლის მაისში და 2007 წლის ივნარში ევროკავშირის გაფართოების შედეგად ევროკავშირს და საქართველოს მიეცათ შესაძლებლობა დაამყარონ ერთმანეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი

თანამშრომლობის ფარგლებს და მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინტეგრირებასა და მჭიდრო პოლიტიკურ ურთიერთობას გულისხმობს. ევროკავშირი სთვაზობს საქართველოს ინტენსიურ თანამშრომლობას პოლიტიკისა და უსაფრთხოების, ეკონომიკისა და კულტურის საკითხებში, აქტიურ რეგიონულ და საზღვრისპირა თანამშრომლობას, აგრეთვე საქართველოს თანადგომას კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის სფეროში.

ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2006 წლის ბოლოს ხელმოწერილ დოკუმენტს სამოქმედო გეგმის დაწყებასთან დაკავშირებით. ამ ამხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს ევროკავშირის მზადყოფნა მხარი დაუჭიროს საქართველოს შემდეგ სფეროებში:

- კანონის უზენაესობის განმტკიცება სასამართლო სისტემისა და სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირების საშუალებით;
- სამეწარმეო და საინვესტიციო გაუმჯობესება და კორუფციასთან ბრძოლის გაგრძელება;
- ეკონომიკური განვითარების წახალისება, სიღარიბის შემცირება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
- თანამშრომლობის განმტკიცება მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში საზღვრის მართვის ჩათვლით;
- რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცება სამხრეთ კავკასიისა და შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებთან;
- შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში;
- თანამშრომლობა ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში და ამ მიზნით ტრასეკასა და ინოვაციის პროგრამების ხელშეწყობა.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის შესაძლო გააქტიურებას კონფლიქტების მოგვარების პროცესში. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია იმით, რომ ევროპის გააქტიურების შემთხვევაში რუსეთი დაკარგავს მონოპოლისტის როლს კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში, ხოლო ევროკავშირს თავისი მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსებით შეუძლია დიდი როლი შეასრულოს კონფლიქტური რეგიონების ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განსავითარებლად (რასაც კავშირი უკვე ახორციელებს კერძოდ ცხინვალის რეგიონში), რაც აამაღლებს კონფლიქტური რეგიონების წარმომადგენელთა ნდობას ევროკავშირის მიმართ, რომელიც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას.

ნატოს გეოსტრატეგია კავკასიის რეგიონში

კავკასიის რეგიონს გააჩნია ძალზედ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც საუკუნეების მანძილზე მომხიბვლელს ხდიდა მას სხვადასხვა ქვეყნებისა თუ იმპერიებისათვის, რეგიონისა და მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნებისათვის. ამავე დროს, როგორც ცნობილია სამხრეთ კავკასია დანაწევრებულია მასში მიმდინარე ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამო. განსხვავდება სამივე ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური და უსაფრთხოების პრიორიტეტები. მათ აქვთ სტრატეგიული კავშირები განსხვავებულ რეგიონალურ და გლობალურ ძალებთან (ნატო, აშშ, რუსეთი, თურქეთი, ირანი და ა. შ.), რომელთა პოლიტიკა ამ რეგიონში დამყარებულია ურთიერთსაწინააღმდეგო მიზნებზე.

ამავე დროს რა თქმა უნდა კავკასიაში დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკის მთავარი ფაქტორი რეგიონში არსებული ნავთობისა და გაზის რესურსებია, მათ შორის მოპოვებასა და ტრანსპორტირებაზე კონტროლი. როგორც სატრანზიტო რეგიონი, კავკასია ესაზღვრება კასპიის რეგიონს, ცენტრალური აზიის ქვეყნებს და ირანს. ამ ქვეყნებში გაზისა და ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგია. კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის წარმოჩენა სწორედ ამ გეოპოლიტიკურ და გეოგრაფიულ ჭრილშია შესაძლებელი.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის განსხვავებული საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტებისა, სამივე მათგანი მეტად აქტიურად თანამშრომლობს ნატოსთან.

იზრდება კავკასიის ქვეყნების თავდაცვის ბიუჯეტები. მაგალითად სომხეთმა თავდაცვის სფეროზე 2007 წელს 300 მლნ დოლარი დახარჯა, რაც 2006 წლის მაჩვენებელზე 35%-ით მეტია. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2005 წელს სომხეთის თავდაცვის ბიუჯეტი მხოლოდ 100 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. რაც შეეხება აზერბაიჯანს, თუ 2004 წელს ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი 270 მლნ დოლარის იყო, 2005 წელს-300 მლნ დოლარამდე გაიზარდა. 2006 წელს 600 მილიონ დოლარს გაუტოლდა, ხოლო 2007 წელს 1 მლრდ დოლარამდე ავიდა.

იმის გამო, რომ წიგნის მნიშვნელოვანი ნაწილი ნატოსა და საქართველოს ურთიერთობებს დაეთმობა, ამ თავში დეტალურად იქნება გაანალიზებული მხოლოდ ჩვენი უშუალო მეზობლების, ნატოს პარტნიორი ქვეყნების სტატუსის მქონე სომხეთისა და აზერბაიჯანის გეოპოლიტიკური როლი და ადგილი დღევანდელ მსოფლიოში და მათი ურთიერთობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან.

სომხეთი. სომხეთმა, მიუხედავად საქართველოსთან შედარებით ნაკლებად ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო, თავიდანვე უარყო ყარაბაღის საკითხში დათმობის სანაცვლოდ კასპიის ზღვის რეგიონში განსახორციელებელ პროექტებში უფრო აქტიურად ჩართვის იდეა. იგი გაღიზიანებულია მასთან დაპირისპირებული აზერბაიჯანის ძალისხმევით ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით, რადგან მათი რეალიზაცია გამოიწვევს აზერბაიჯანის გაძლიერებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს ამ ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგების განვითარება და ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით დიდი სახელმწიფოების აზერბაიჯანის მხარეზე გადაბირება.

რუსეთის იმპერიული ძალები აშკარად განიხილავენ სომხეთის გამოყენების შესაძლებლობას კასპიის ზღვის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ჩასაშლელად. ამის გამო არ არის გამორიცხული, საომარი მოქმედებების განახლება ყარაბაღში და სიტუაციის გამწვავება ჯავახეთის რეგიონში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე წლის წინ მომხდარი ფაქტი, როდესაც რუსეთმა სომხეთს უსასყიდლოდ გადასცა დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის საომარი აღჭურვილობა, აგრეთვე ისიც, რომ ახალქალაქის სამხედრო ბაზიდან გამოტანილი ტექნიკის ტრანსპორტირება ხორციელდება სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებულ გიუმრის სამხედრო ბაზაზე. დესტაბილიზაციის არსებობა რეგიონის თუნდაც ერთ სახელმწიფოში (აქ კი საუბარი ეხება სომხეთს, აზერბაიჯანს და საქართველოს) მთლიანად კავკასიისა და ევროატლანტიკურ რეგიონს ხდის არასტაბილურს და აქედან გამომდინარე საფრთხეს უქმნის ნებისმიერი პროექტის განხორციელებას.

1996 წლის აპრილში სომხეთმა ევროკავშირთან „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. 2004 წლიდან სომხეთი გახდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის წევრი. ნატოსთან ურთიერთობისას კი სომხეთი სიფრთხილეს იჩენს და ცდილობს თავისი

პოზიციის რუსეთთან შეთანხმებას, თუმცა 2004 წელს მან დაიწყო ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის-“აიპაპის” განხორციელება.

რეგიონალური ორგანიზაციებიდან სომხეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრია.

სომხეთის მმართველი წრეების წარმომადგენელთა მოსაზრების თანახმად, თუ „აბრეშუმის გზის“ პროექტი მხოლოდ დასავლეთისაკენ კასპიის ზღვაში მოპოვებული ნავთობისა და გაზის გადატვირთვას ითვალისწინებს, სომხეთი საერთაშორისო საზოგადოებას, აზერბაიჯანთან უთანხმოების გამო ბევრს ვერაფერს შესთავაზებს.

სომხეთის პოლიტიკურ წრეებში დიდი ხანია არსებობს უსიტყვო კონსენსუსი ყარაბაღის საკითხთან დაკავშირებით. თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა აღიარებს იმას, რომ ყარაბაღის აზერბაიჯანისათვის დათმობა შეუძლებელია. მეორეს მხრივ, სომხეთის მოსახლეობაში სულ უფრო მეტად იზრდება იმის შეგნება, რომ ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტის გარეშე სომხეთის განვითარებას დიდი დაბრკოლებები გადაეღობება წინ, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია შავი და კასპიის ზღვის რეგიონში მიმდინარე პროექტებიდან სომხეთის გამოთიშვა.

აზერბაიჯანი, რომელსაც საერთაშორისო მხარდაჭერის იმედი აქვს, ცდილობს ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში მონაწილეთა წრე მაქსიმალურად გააფართოვოს და მსოფლიოს საზოგადოებას წარუდგინოს ეს კონფლიქტი, როგორც სომხეთის მიერ მისი ტერიტორიის მიტაცება და არა როგორც ყარაბაღის სომეხთა ბრძოლა თვითგამორკვევისათვის. დასავლეთის მხრიდან სომხეთზე ზეწოლის გაძლიერების ბაქოს მთავარი კოხირი რა თქმა უნდა კასპიის ნავთობია. რაც უფრო იზრდება კასპიის ნავთობის რესურსების დამუშავებაში ჩართული უცხოური კომპანიების რიცხვი, მით უფრო მკაცრ ხასიათს დებულობს ბაქოს პოზიცია მთიან ყარაბაღთან მიმართებაში. ბოლო ხანს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის წარმოებულ მოლაპარაკებებში გარკვეული წინსვლა შეინიშნება. ანალიტიკოსების აზრით, ალიევისა და ქოჩარიანის შეხვედრების შემდეგ (2006 წელი, რამბუიე საფრანგეთი) მხარეებმა გარკვეულ კომპრომისს მიაღწიეს.

სომხეთსა და ნატოს წევრ თურქეთს შორის დღევანდელ ეტაპზე მეტად დაძაბული ურთიერთობაა. თურქეთის მხარე უარყოფს 1915 წელს გენოციდის ფაქტს და სომხების დიდი რაოდენობით დაღუპვას მათ მიერ მოწყობილ აჯანყებას მიაწერს.

სომხეთის მთავრობა საერთაშორისო რეზონანსის მეთოდით ცდილობს აიძულოს თურქეთი უარი თქვას სომხეთის ეკონომიკურ ბლოკადაზე.

გენოციდის პრობლემის გარდა სომხეთისა და თურქეთის ურთიერთობების ხელის შემშლელი ფაქტორია ყარაბაღის საკითხიც. თურქეთი კონფლიქტის დაწყებიდან აზერბაიჯანის მხარდამჭერ თანამიმდევრულ პოლიტიკას ახორციელებდა. ამასთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობებიც კი არ არსებობს.

რუსეთისა და სომხეთის ურთიერთობა პოლიტიკური თვალსაზრისით მეტად დინამიურად ვითარდება. ამ ორი ქვეყნის პოზიციები რეგიონულ და მსოფლიო პოლიტიკის საკითხებში ერთმანეთს ემთხვევა ან ერთმანეთის მსგავსია. ბევრი მსგავსება შეინიშნება დსთ-ს ფარგლებში თანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით. რუსეთისა და სომხეთის პოზიციები კიდევ უფრო დაახლოვდა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანის ხელისუფლებამ დასავლეთის წამყვან ნავთობკომპანიებთან ხელი მოაწერა „საუკუნის კონტრაქტს“ ხელი. კასპიის

სანავთობო პროექტების განხორციელებას ორივე ქვეყანა განიხილავს როგორც რუსეთის მიერ კავკასიის რეგიონში გავლენის სფეროს დაკარგვას და სომხეთის პოზიციების შესუსტებას. ამიტომ როგორც რუსეთი, ასევე სომხეთი ცდილობენ მაქსიმალურად შეინარჩუნონ ის მჭიდრო ურთიერთობა, რომელიც ამ ქვეყნებს შორის არსებობს. 1996 წლის 29 აგვისტოს ორი ქვეყნის პრეზიდენტების მიერ ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „მეგობრობის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების“ შესახებ. ოფიციალურმა ბაქომ შეშფოთება გამოთქვა ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მას უწოდა "სამხედრო პაქტი". რუსეთსა და სომხეთს შორის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობა, რაც თავისთავად ურთიერთობის მაღალ დონეზე მეტყველებს. საერთაშორისო პოლიტიკურ წრეებში დიდი რეზონანსი გამოიწვია 1996 წლის განმავლობაში რუსეთის მიერ სომხეთისათვის მილიარდ დოლარის ღირებულების შეიარაღებისა და სამხედრო აღჭურვილობის გადაცემის ფაქტის გამჟღავნებამ, აგრეთვე 2005 წლიდან სომხეთის ტერიტორიაზე ახალქალაქის სამხედრო ბაზიდან გიუმრიში შეიარაღების გატანამ. აზერბაიჯანმა ოფიციალური პროტესტი გამოთქვა რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ.

სომხეთისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთთან თანამშრომლობას რეგიონის პოლიტიკური პრობლემების მოგვარების სფეროში. სუსტი სომხეთისათვის რუსეთთან სამხედრო კავშირს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეს კავშირი სამხრეთ კავკასიაში თავისი გავლენის შესანარჩუნებლად და რეგიონში თურქეთის ექსპანსიის შესაჩერებლად რუსეთისათვის მეტად მნიშვნელოვანია. რუსეთის შეშფოთებას იწვევს აგრეთვე ამერიკისა და ნატოს პოზიციების მომძლავრება სამხრეთ კავკასიაში, საქართველოს მზადყოფნა ნატო-სთან მჭიდრო კავშირების დასამყარებლად. მეორე მხრივ სომეხი ექსპერტების ნაწილი მიშობს, რომ რუსეთს შეუძლია სომხეთის იძულება სამშვიდობო პროცესის დაჩქარებისაკენ. გარდა ამისა სომხები ფიქრობენ, რომ რუსეთის დასუსტება გამოიწვევს საქართველოსა და სომხეთში მისი სამხედრო ძალის შეზღუდვას, რაც სომხეთის საგარეო პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა. რუსეთის დასუსტება ან კავკასიის რეგიონის აშშ-ს სრულ გავლენაში მოქცევა შეუძლებელს გახდის მოსკოვ-თეირან-ერევანის გეოპოლიტიკური ღერძის რეალიზებასა და აზერბაიჯანის სანავთობო პროექტებისათვის მაქსიმალური ხელისშეშლის შესაძლებლობას, რაზეც სომეხი პოლიტიკოსები დიდ იმედებს ამყარებენ.

რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობის მიუხედავად სომხეთს მეტად თბილი ურთიერთობები აქვს დასავლეთის მოწინავე ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი აშშ-თან. ამ უკანასკნელის ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ შეცვალოს სომხეთის სტრატეგიული ორიენტაცია რუსეთზე, გაამყაროს თავისი პოლიტიკური გავლენა ამ ქვეყანაში და სომხეთისა და აზერბაიჯანის პოზიციების დაახლოებით გადაწყვიტოს ყარაბაღის პრობლემა. ზემოაღნიშნული ფაქტორების გამო, ამერიკის შეერთებული შტატები სომხეთის ხელისუფლებისაგან შემდეგი საკითხების გადაწყვეტას ცდილობს:

- ქვეყნიდან გაყვანილ იქნას რუსეთის სამხედრო ბაზა და არსებითად შეიცვალოს ურთიერთობა რუსეთთან;
- გაწყდეს სომხეთის ყოველგვარი კავშირი ირანთან;
- ყარაბაღი ფართო ავტონომიური უფლებებით დარჩეს აზერბაიჯანის შემადგენლობაში;

ვაშინგტონი, როგორც ჰუმანიტარული დონორი, აქტიურ ზეგავლენას ახდენს სომხეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ამ მხრივ

მნიშვნელოვანია სომხურ-ამერიკული დიასპორის როლი, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სომხეთის პოლიტიკურ ელიტაზე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს აშშ-ის მიერ სომხეთის “მიღენიუმის” პროგრამაში ჩართვა, რომელმაც პრაქტიკული განხორციელება 2006 წლიდან დაიწყო და სომხეთს ამ მიზნით დაახლოებით 235 მილიონი აშშ დოლარი გამოეყოფა.

რაც შეეხება საქართველოსა და სომხეთს შორის სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, მას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. ამ ხნის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის მეტად კეთილმეზობლური ურთიერთობები ჩამოყალიბდა. ამგვარი ურთიერთობის შენარჩუნება ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ ბოლო წლებში გატარებული საგარეოპოლიტიკური კურსი, და განსაკუთრებით კი აზერბაიჯანთან და თურქეთთან დაახლოების პროცესი, ასევე თანამშრომლობა "სუამის" ფარგლებში, სომხეთის პოლიტიკურ წრეებში აშკარა უკმაყოფილებას იწვევს. ამავე დროს სომხეთის ხელისუფლება აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება აუცილებელია, რადგან მათ ქვეყანას არ გააჩნია შავ ზღვაზე გასასვლელი, გეოგრაფიულად არახელსაყრელი მდებარეობა უკავია და იმის გამო, რომ ოთხი უშუალო გეოგრაფიული მეზობელიდან ორთან არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული საქართველოს ტერიტორიის გავლით განხორციელებულ ტრანზიტზე და რომელიც თავის ტერიტორიაზე იმპორტირებული პროდუქციის უდიდეს ნაწილს საქართველოს ტერიტორიის გავლით იღებს.

ნატო-სომხეთის ურთიერთობები. როგორც ცნობილია, სომხეთს არანაირი პრეტენზიები არ გააჩნია გახდეს ნატოს სრულუფლებიანი წევრი, ამის ძირითადი მიზეზი რა თქმა უნდა არის მისი სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთთან. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ქვეყანა ანვითარებს ურთიერთობას ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან.

1994 წელს სომხეთი შეუერთდა ნატოს “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამას. იგი იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსი 1997 წელს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა არ ესწრაფვის გახდეს ალიანსის წევრი, სომხეთის მიერ მიღებულ იქნა ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა “აიპაპი” 2005 წლის 16 დეკემბერს. ერთი წლის შემდეგ, ნატომ გააფართოვა თავისი თანამშრომლობა სომხეთთან, როდესაც 2006 წელს ქვეყანაში გაიხსნა ნატოს საინფორმაციო ოფისი.

მიუხედავად ქვეყნის მჭირდო კავშირებისა რუსეთთან, სომხეთმა მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი თანამშრომლობა ნატოსთან ბოლო 4 წლის განმავლობაში. ნატოსთან თანამშრომლობა გახდა სომხეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე დინამიური მიმართულება.

2005 წელს პარტნიორობის სამუშაო გეგმაში კომბინირებულ იქნა ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის სამუშაო გეგმა. დღევანდელ დღეს, პროგრამა მოიცავს თანამშრომლობის 33 მიმართულებას. ამ მხრივ სომხეთის თავდაცვის სამინისტროს ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს შემდეგი სფეროები: სამხედრო წვრთნები, სამშვიდობო ოპერაციები, უცხო ენების ტრენინგები, კომუნიკაციები, თავდაცვის პოლიტიკა, ლოჯისტიკა, სამედიცინო სფეროში თანამშრომლობა, თავდაცვის ბიუჯეტირების დაგეგმარება,

ასევე აღსანიშნავია, რომ სომხეთი თანამშრომლობს ნატოსთან პროგრამა პარტნიორობა მშვიდობისათვის ფარგლებში, რაც ძირითადად გამოხატულია ნატოს ეგიდით გამართულ წვრთნებში წვრთნებში, თავისი შეიარაღებული ძალების ჩართვით. სომხეთის საჯარისო ფორმირებები ჩართულ იყვნენ ნატო/აშშ-

ის ერთობლივ წვრთნებში 2002 წელს საქართველოში, 2005 წელს უკრაინაში და 2006 წელს მოლდოვაში.

2003 წელს სომხეთმა უმასპინძლა სამხედრო წვრთნებს “კოოპერატივე ბესტ ევორდ”, სადაც ჩართულ იყვნენ ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი საჯარისო შენაერთები. 2006 წელს სომხეთმა უმასპინძლა ერთობლივ წვრთნებს “Rescuer”, ხოლო 2007 წელს “Combined Endeavor”.

ქვეყნის დადებითი გამოცდილების გათვალისწინებით, სომხეთმა ნატოს შესთავაზა 2008 წელს პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის ფარგლებში სამხედრო თანამშრომელთა პროგრამის “Cooperative Longbow”-ს და სავსე წვრთნების “Cooperative Lancer”-ის ჩატარება.

გარდა ამისა, 2005 წელს სომხეთი მონაწილეობდა ნატოს კრიზისების დარეგულირების სამხედრო-პოლიტიკურ კურსებში, რომელიც მხოლოდ საკადრო ოფიცრების მონაწილეობას ითვალისწინებდა.

ნატო-სომხეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 2004 წლის თებერვლიდან სომხეთმა გააზარა 34 სამხედრო მოსამსახურე კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციების შესასრულებლად ბერძნული ბატალიონის შემადგენლობაში. დღევანდელ ეტაპზე განიხილება სომხეთის მიერ თავისი სამხედრო მოსამსახურეების გააზარა ავღანეთში, ნატოს ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ISAF-ის შემადგენლობაში. რაც შეეხება ერაყს, აქ პოლონეთის მეთხონით სომხეთის 46 ჯარისკაცი იმყოფება.

იმის გათვალისწინებით, რომ სომხეთი იმყოფება ომის მდგომარეობაში აზერბაიჯანთან და სომხეთის შეიარაღებული ძალების 80 პროცენტი განთავსებულია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ფრონტის ხაზზე, სომხეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატოსთან თანამშრომლობას თავისი სამხედრო მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

აზერბაიჯანი. საქართველოს სტრატეგიულმა პარტნიორმა, გაწონასწორებული ნავთობპოლიტიკის წყალობით მოიპოვა დასავლეთის და თურქეთის მხარდაჭერა და იქცა კასპიისა და შავი ზღვის რეგიონის ერთ-ერთ საკვანძო ქვეყნად. ნავთობის პოლიტიკის გატარებისა და უცხოეთის ნავთობკომპანიებთან მრავალმილიარდიანი კონტრაქტების გაფორმების შედეგად ერთ სულ მოსახლეზე უცხოური ინვესტიციების მოცულობით აზერბაიჯანი დსთ-ის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა. ქვეყანაში ყოველდღიურად დაახლოებით 20 მილიონი დოლარის მოცულობის უცხოური ინვესტიცია ხორციელდება. ქვეყნისთვის ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვა.

აზერბაიჯანის ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ დასახული კურსის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რჩება კასპიისა და შავი ზღვის რეგიონში პოზიციების გამყარება, ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნება როგორც რუსეთთან, ასევე დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებთან, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ნავთობისა და გაზის ერთობლივ დამუშავებაზე ახალი კონტრაქტების გაფორმება და განხორციელება, მათ შორის მნიშვნელოვანია ევროპის მიმართულებით ახალი მილსადენების მშენებლობა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების გავლით. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ მიღწეული შედეგები თვალშისაცემ დადებით გავლენას ახდენს აზერბაიჯანის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებასა და საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცებაზე. 2006 წელს აზერბაიჯანში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 30%-ს გადაამეტა.

თუ ჩვენ გადავხედავთ აზერბაიჯანის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკას, ქვეყნის ბოლო წლების საგარეო პოლიტიკის ანალიზი ერთის

მხრივ პროდასავლური კურსის განმტკიცებასა და საიმედო პარტნიორების რიცხვის ზრდაზე მიუთითებს, რაც ძირითადად სანავთობო სტრატეგიისა და რეალიზაციის გზით ხორციელდება და მეორეს მხრივ ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების შენარჩუნება, რაზეც ნათლად მეტყველებს რუსეთის პრეზიდენტის პუტინის ვიზიტი ბაქოში გასულ წელს. თუმცა ამ ურთიერთობებს გარკვეული დიდი შეიძლება დაასვას რუსეთის მიერ აზერბაიჯანისადმი გაზის ექსპორტის შეწყვეტამ მას შემდეგ, როდესაც აზერბაიჯანმა უარი განაცხადა რუსული გაზის იმპორტზე 230 დოლარად.

აზერბაიჯანის საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტი დასავლეთთან, პირველ რიგში აშშ-თან და თურქეთ-საქართველოსთან ურთიერთობის გააქტიურებისაკენაა მიმართული.

პარალელურად, რეგიონში სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით, გაშინგტონი და ევროკავშირი ცდილობენ გააძლიერონ აზერბაიჯან-ყაზახეთისა და აზერბაიჯან-თურქმენეთის თანამშრომლობა და აღმოფხვრან ის გარკვეული დაძაბულობა, რომელიც არსებობს ამ ქვეყნებს შორის (განსაკუთრებით აზერბაიჯან-თურქმენეთის) თანამშრომლობის გზაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობათა განხილვა უნდა დავიწყოთ 1997 წლიდან, როცა შედგა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის პირველი ვიზიტი აშშ-ში. იგი შეხვდა პრეზიდენტ კლინტონსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის სხვა მაღალი თანამდებობის პირებს.

ეუთო-ს მინსკის ჯგუფის ფარგლებში აშშ აქტიურად უჭერს მხარს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას. მისი უდიდესი ნავთობკომპანიები აქტიურად მონაწილეობენ კასპიის ენერგორესურსების ათვისებაში. აშშ-ის ინტერესს აზერბაიჯანის მიმართ აგრეთვე აძლიერებს ის ფაქტიც, რომ აშშ-ის გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროშია მოქცეული შავი და კასპიის ზღვის რეგიონი, სადაც აზერბაიჯანს თავისი ენერგორესურსების გამო განსაკუთრებული ადგილი ენიჭება.

ამავე დროს, ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორი იყო აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული 907-ე შესწორება, რომელიც აზერბაიჯანისათვის აშშ-ის სამთავრობო დახმარების აღმოჩენას კრძალავდა. “თავისუფლების მხარდაჭერის აქტი“ ე. წ. 907 შესწორება 1992 წელს ამერიკის კონგრესმა აზერბაიჯანის მიერ ყარაბაღის წინააღმდეგ ეკონომიკური ემბარგოს საბაბით მიიღო, თუმცა დღეს უკვე ამერიკელი პილიტოლოგები აცხადებენ, რომ ყარაბაღის პრობლემის მოწესრიგებას არა ბაქო, არამედ ერევანი აფერხებს. ცხადია, რომ 907-ე შესწორება თავად ამერიკის ინტერესებს ეწინააღმდეგება. აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მრავალი მცდელობის მიუხედავად, შესწორება რამდენიმე წლის განმავლობაში კიდევ ძალაში რჩებოდა, რომლის ძირითადი მიზეზია სომხური დიასპორა, რომელსაც დიდი გავლენა აქვს აშშ-ის სენატში. თუმცა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა აიღო მკვეთრი პროდასავლური კურსი, აგრეთვე აშშ-ის უდიდესი დაინტერესებამ აზერბაიჯანის ენერგორესურსების მიმართ განაპირობა ის ფაქტი, რომ მიუხედავად სომხური ლობის წინააღმდეგობისა, აშშ-ის კონგრესმა რამდენიმე ცოტა ხნის წინ გააუქმა აზერბაიჯანის მიმართ დაწესებული ემბარგო.

აზერბაიჯან-რუსეთს შორის ურთიერთობები შორის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური ურთიერთობები ბოლო წლების განმავლობაში წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა. აზერბაიჯანი სამხრეთ კავკასიაში იმ ქვეყანას წარმოადგენს, სადაც არ არსებობს რუსეთის სამხედრო ბაზები.

მართალია მოსკოვის ზეწოლის შედეგად აზერბაიჯანი 1993 წელს ოფიციალურად შევიდა დსთ-ში, მაგრამ რუსეთის სამხედრო ბაზები მას თავის ტერიტორიაზე არ დაუბრუნებია, თუმცა ქვეყანაში ისევ რუსეთის ზეწოლის შედეგად 2000 წლიდან ფუნქციონირებს რუსეთის საკუთრებაში მყოფი გაბალინის რადიოლოკაციური სადგური.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ყველაზე მწვავე პრობლემად კასპიის ზღვის იურიდიული სტატუსი, კასპიის ენერგორესურსების ათვისებასთან დაკავშირებული პრობლემები, სომხეთისათვის იარაღის გადაცემა და რუსეთ-სომხეთის თანამშრომლობის საკითხები რჩება. აზერბაიჯანში სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამენ რუსეთ-სომხეთის თანამშრომლობის გაფართოების გეგმებთან დაკავშირებით, გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს აზერბაიჯანის მიერ რუსეთის გაზის იმპორტზე უარის თქმა, როდესაც რუსეთი ცდილობდა აეძულებინა აზერბაიჯანი რათა ამ უკანასკნელს უარი ეთქვა საკუთარი გაზის საქართველოში ექსპორტზე. საქართველოზე ზეწოლასთან ერთად რუსეთის მიზანი იყო ხელი შეეშალა რუსეთიდან თურქეთში მიმავალი “ცისფერი ნაკადის” კონკურენტი პროექტის ბაქო-თბილისი-ერზურუმის პროექტის განხორციელებისთვის. თავის მხრივ, აზერბაიჯანმაც უარი განაცხადა განხორციელებინა ნავთობის ტრანსპორტირება რუსეთის პორტ ნოვოროსისისკამდე ბაქო-ნოვოროსისისკის ნავთობსადენის მეშვეობით.

აზერბაიჯან-თურქეთის ურთიერთობები ტრადიციულად სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში ვითარდება. ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხში, თურქეთი ერთმნიშვნელოვნად აზერბაიჯანს უჭერს მხარს. კასპიის სანაგებობო პროექტებმა ეს ორი თურქულენოვანი ქვეყანა კიდევ უფრო დაახლოვა. ბაქომ არაერთგზის აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის ძირითადი ნავთობსადენი თურქულ პორტ ჯეიჰანისკენ გაემართება.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდა მას შემდეგ, როდესაც დაიწყო ჯერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, ხოლო 2007 წლიდან ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენის ფუნქციონირებამ. ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის ამოქმედებასაც, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა მოახდინოს კასპიისა და შავი ზღვის, და ასევე მთლიანად ევრო-ატლანტიკურ რეგიონში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე.

1996 წელს აზერბაიჯანსა და ევროკავშირს (რომლის წევრი რამდენიმე ქვეყნის ნავთობკომპანია აქტიურად მონაწილეობს კასპიის ნავთობის ათვისების საქმეში) შორის გაფორმდა “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება”, რომელიც ძალაშია 1999 წლის 1 ივლისიდან. აღნიშნული შეთანხმების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობა წარმოადგენს. აგრეთვე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აზერბაიჯანის ჩართვას ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის ფარგლებში 2004 წლიდან. ევროკავშირის ინტერესები ქვეყნის მიმართ განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ევროპამ სერიოზულად დაიწყო ფიქრი ახალი გაზსადენის მშენებლობის შესახებ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, რათა შემდგომში მოხდეს ევროპის მიმართულებით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნად შეიძლება განისაზღვროს კასპიის სანაგებობო პროექტებში უცხოური ნავთობკომპანიების მაქსიმალური ჩაბმა, ეროვნული დამოუკიდებლობის გამყარება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა, რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება და სხვადასხვა სახელმწიფოებთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობების გამყარება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან მეგობრული პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები მეტად აქტუალურია საქართველოსათვის. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობისა და ტრასეკას პროექტის ფარგლებში და კასპიის ენერგორესურსების ათვისებასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულმა პროექტებმა განაპირობა ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და სტრატეგიული პარტნიორი გახდა. მეგობრობა, ურთიერთგაგება და ერთიანი პოლიტიკა რეგიონალურ და საერთაშორისო საკითხებში ორი ქვეყნის თანამშრომლობის მყარი საფუძველია. ორი მოსაზღვრე ქვეყნის დღევანდელ ურთიერთობებს განაპირობებს პოზიციათა თანხვედრა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში, როგორებიცაა კონფლიქტების მოწესრიგება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ლტოლვილების პრობლემების გადაწყვეტა, ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედება და ზოგადი პროდასავლური კურსი.

ორ მეზობელ ქვეყანას შორის შთამბეჭდავი სახელშეკრულებო ბაზა არსებობს, აღსანიშნავია 1998 წლის 20 თებერვალს ხელმოწერილი დეკლარაცია “საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის შემდგომი გადრმავეების შესახებ” და ხელშეკრულებას “ნავთობისა და გაზის მრეწველობის დარგში თანამშრომლობის შესახებ.”

ენერგეტიკული და სარკინიგზო პროექტები, შავი ზღვის რეგიონის ფარგლებში თანამშრომლობის განმტკიცება, მშვიდობა კავკასიაში, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარება, ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაცია, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობა, დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაცია აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის პარტნიორობის მტკიცე საფუძველს ქმნის.

ნატო-აზერბაიჯანი. აზერბაიჯანი შეუერთდა ნატოს ”პარტნიორობის მშვიდობისათვის” პროგრამას 1994 წელს, ხოლო 1997 წელს ქვეყანა იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსი. 1999 წელს ქვეყანამ გააგზავნა თავისი სამხედრო კონტინგენტი კოსოვოში.

შიდიღება ითქვას, რომ აზერბაიჯანსა და ნატოს შორის თანამშრომლობა ძალიან ინტენსიურად ვითარდება. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანის დელეგაციის ხელმძღვანელის ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში განცხადებით, აზერბაიჯანმა 2005 წელს მონაწილეობა მიიღო ნატოს ეგიდით გამართულ ორჯერ უფრო მეტ ღონისძიებებში, ვიდრე სხვა რეგიონალურმა პარტნიორებმა სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან. ამასთანავე, ქვეყანა ნატოს ეგიდით გამართულ სხვადასხვა სასაწავლო კურსებზე ყოველწლიურად აგზავნის ასამდე წარმომადგენელს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 2002 წლის ნოემბერში გამართული რიგის სამიტის დროს აზერბაიჯანმა საქართველოსთან ერთად გააკეთა ოფიციალური განცხადება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრულუფლებიანი წევრობის გახდომის სურვილის შესახებ.

2005 წლის 27 მაისს, აზერბაიჯანმა მიიღო ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის ფარგლებში აზერბაიჯანმა თავის თავზე აიღო 28 პარტნიორული პროგრამის განხორციელება

აზერბაიჯანის ხელისუფლების ინიციატივით, ქვეყანამ გააგზავნა 32-კაციანი სამხედრო კონტინგენტი კოსოვოში, რომელიც იქ მსახურობს KFOR-ის გერმანულ სექტორში, თურქული ბატალიონის შემადგენლობაში. გარდა ამისა, ქვეყანა ასევე მონაწილეობას იღებს ავღანეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში ნატოს სტაბილიზაციის ძალების (ISAF)-ის შემადგენლობაში. პირველ ეტაპზე იქ გაგზავნილი იყო 23 ჯარისკაცი, თუმცა შემდგომში, კერძოდ 2003 წლის მაისში აზერბაიჯანის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ინიციატივას,

ერაყში 150-კაციანი ბატალიონის გაგზავნის შესახებ. მიუხედავად მოსკოვის მხრიდან დიდი წინააღმდეგობისა, ქვეყნის შეიარაღებული ძალები 2003 წლის აგვისტოდან მსახურობენ ერაყში.

აზერბაიჯანი განაგრძობს რეფორმების განხორციელებას თავდაცვის სფეროში. ქვეყნის თავდაცვის მინისტრის, გენერალ-პოლკოვნიკ საფარაბიევის თქმით, აზერბაიჯანი კვლავაც გააგრძელებს რეფორმების განხორციელებას უსაფრთხოების სფეროში. მან აღნიშნა, რომ აზერბაიჯანელი სამხედროები აქტიურად არიან ჩართულნი ნატოს ეგიდით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში - ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში და ასევე აღნიშნა, რომ შეიარაღებული ძალების ერთი ბატალიონი სრულად დააკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს და მისი მიზანია, რომ 2007 წლის ბოლოსათვის ქვეყნის შეიარაღებული ძალები სრულად აკმაყოფილებდნენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტებს.

“აიპაპის” კონტექსტში აზერბაიჯანელმა გენერალმა ასევე განაცხადა, რომ ქვეყანა აქტიურად მუშაობს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიღებაზე. აზერბაიჯანი აგრეთვე აქტიურად მუშაობს თავისი სამხედრო აეროდრომების ნატოს სტანდარტებისთვის შესაბამისების მიზნით, და ასევე აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები მნიშვნელოვან თანადგომას იღებენ ორმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე ნატოს წევრი ქვეყნებიდან, თურქეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და აშშ-დან.

ნატოს ინტერესები ხმელთაშუა ზღვის რეგიონში

ხმელთაშუა ზღვის რეგიონი, სადაც ევროპის სამხრეთ ნაწილში მდებარე ქვეყნები წარმოადგენენ ნატოს წევრ სახელმწიფოებს, დიდი ხანია მოქცეულია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინტერესების სფეროში. ჯერ კიდევ 1969 წელს ნატომ შექმნა სამხედრო-საზღვაო შენაერთი ხმელთაშუა ზღვაზე არსებული გამოწვევების საპასუხოდ. 1970 წელს, ნატოს სამხედრო დაგეგმარების კომიტეტმა თავდაცვის მინისტრების დონეზე გამართულ თავის მორიგ სესიაზე, დაგმო საბჭოთა დასწრების ზრდა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში და მიესალმა ნატოს სამხედრო-საზღვაო შენაერთის შექმნას ხმელთაშუა ზღვაში.

დღევანდელ ეტაპზე ნატოს მიერ ხმელთაშუა ზღვის აკვატორიაში ხორციელდება ალიანსის პროგრამა Active Endeavour.

რეგიონის ალიანსის არაწევრ ქვეყნებთან - ჩრდილო აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში ნატო თავის თანამშრომლობას აწარმოებს ხმელთაშუაზღვის დიალოგის საშუალებით. ხმელთაშუა ზღვის დიალოგი წარმოადგენს ალიანსის უსაფრთხოების უზრუნველყოფისადმი პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლობაზე და მჭიდროდაა დაკავშირებული უსაფრთხოების ვითარებასთან ხმელთაშუა ზღვის რეგიონში.

დიალოგი დაწყებულ იქნა 1994 წელს და თავდაპირველად მას მიუერთდნენ ექვსი სახელმწიფო: ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მავრიტანია, მაროკო და ტუნისი. 2000 წლიდან დიალოგის მონაწილე გახდა ალჟირი. დიალოგის მიზანს წარმოადგენს ურთიერთანამშრომლობის განვითარება ხმელთაშუაზღვის რეგიონში, ასევე რეგიონალური თანამშრომლობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

დიალოგის ფარგლებში გათვალისწინებულია წევრ-სახელმწიფოებთან პოლიტიკური დისკუსიების წარმოება. საქმიანობა დაფუძნებულია ერთწლიან სამუშაო პროგრამაზე, სადაც ძირითადი ყურადღება ეთმობა პრაქტიკული თანამშრომლობის განვითარებას ისეთ სფეროებში, რომლებიც დაკავშირებულია

უსაფრთხოებასა და თავდაცვასთან, სამოქალაქო დაგეგმვასთან და მეცნიერებასთან.

დიალოგი იღებს სხვადასხვა ფორმას, კერძოდ, დიალოგის მონაწილე ქვეყნებიდან მოწვევა სასწავლო კურსებზე ნატოს სკოლაში - ობერამერგაუში (გერმანია) და ნატოს თავდაცვის კოლეჯში რომში. დიალოგის მონაწილეთათვის კურსები ტარდება სამშვიდობო ოპერაციების, შეიარაღებიაზე კონტროლის, ეკოლოგიური დაცვის, სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის, აგრეთვე ევროპის უსაფრთხოების საკითხებზე.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დიალოგის დაწყებას დასაბამი მიეცა მას შემდეგ, რაც 1994 წელს ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიღებულ იქნა განცხადება ნატოს წევრი ქვეყნების მზადყოფნის შესახებ “დაემყარებინათ კონტაქტები ერთჯერად საფუძველზე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ნატოს არაწევრ ხმელთაშუა ზღვის რეგიონის ქვეყნებს შორის.”

დიალოგი ძირითადად დაფუძნებულია ორმხრივ ურთიერთობებზე ნატოსა და დიალოგის წევრ სახელმწიფოებს შორის. ის აგრეთვე მიმართულია საერთაშორისო ძალისხმევათა აქტივიზაციისაკენ, მსგავსად ბარსელონის პროცესისა, როდესაც 1995 წლის ნოემბერში ევროკავშირის თხუთმეტმა წევრმა სახელმწიფომ და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის თორმეტმა სახელმწიფომ, რომლებიც არ შედიოდნენ ევროკავშირში-ალჟირმა, ეკვიპტემ, ისრაელმა, იორდანიამ, კვიპროსმა, ლიბანმა, მალტამ, მაროკომ, პალესტინის ადმინისტრაციამ, სირიამ, ტუნისმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს ბარსელონის დეკლარაციას, რომელიც განსაზღვრავდა ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთს შორის პარტნიორობის ფარგლებს. დეკლარაციაში მითითებულ იქნა სამი ძირითადი მიზანი: 1) უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სფეროში პარტნიორობის დამყარება, რომელიც მიმართული იქნებოდა მშვიდობისა და სტაბილურობის საერთო ზონის შექმნაზე; 2) ეკონომიკური და ფინანსური პარტნიორობა, მიმართული აღორძინების საერთო ზონის შექმნაზე; 3) ცალკეულ მოქალაქეებს შორის სოციალური და კულტურული პარტნიორობის განვითარება, რათა გაფართოებულ იქნეს კონტაქტები წევრი სახელმწიფოების სამოქალაქო საზოგადოებებს შორის.

ხმელთაშუაზღვის ქვეყნებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გათვალისწინებითაც, რომ რეგიონის ნატოს არაწევრ ქვეყნები ფლობენ მნიშვნელოვან ენერგეტიკულ რესურსებს. მაგალითად, ევროპის ნატოელი მოკავშირეების მიერ ნავთობის იმპორტის თითქმის 10% ჩრდილოეთ აფრიკიდან ხორციელდება (ძირითადად ლიბიიდან). რაც შეეხება ბუნებრივ აირს, აქ იმპორტის 27% ალჟირიდან მოწოდებული ბუნებრივი აირით ხორციელდება

ახლო აღმოსავლეთი და სპარსეთის ყურე

ნატოსთვის სპარსეთის ყურის ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ალიანსის რიგის სამიტზე აღნიშნულ იქნა ნატოს სასწავლო სფეროში თანამშრომლობის ინიციატივის შესახებ, თავდაცვის სისტემის მოდერნიზაციისა და უსაფრთხოების ძალების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ამ მიმართულებით ალიანსი გამოიყენებდა მის ხელთ არსებულ რესურსებს, რათა ხმელთაშუაზღვის დიალოგისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან ჩატარებულიყო ერთობლივი წვრთნები სხვადასხვა ტიპის სამხედრო შენაერთების მონაწილეობით. გარდა ამისა, ალიანსმა მზადყოფნა გამოთქვა, რომ რეგიონის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიეღოთ საგანმანათლებლო პროგრამებშიც, ასევე ნატოსთვის მნიშვნელოვანია ნატოს

თავდაცვის კოლეჯში ახლო აღმოსავლეთის ფაკულტეტის შექმნა. რაც შეეხება თანამშრომლობის მეორე ფაზას, აქ გათვალისწინებულია ნატოს მიერ რეგიონში უსაფრთხოების თანამშრომლობის ცენტრის შექმნა, რომელშიც ჩართულები იქნებოდნენ ხმელთაშუაზღვის დიალოგისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ქვეყნები. მსგავსი ტიპის ცენტრის შექმნა დაფუძნებული იქნებოდა პოლიტიკური დებატების წარმოებაზე ნატოსა და ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებს შორის.

რა თქმა უნდა ალიანსისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახლო აღმოსავლეთის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობას რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით:

რეგიონი მეტად მდიდარია ენერგეტიკული რესურსებით. კერძოდ, მსოფლიოში ნავთობის დამტკიცებული მარაგის 66,4% განთავსებულია ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. რაოდენობრივი თვალსაზრისით, სპარსეთის ყურეში “შავი ოქროს” დადგენილი მარაგი დაახლოებით 100 მილიარდ ტონას შეადგენს. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნავთობის მარაგი გააჩნია საუდის არაბეთს-დაახლოებით 22-26 მლრდ ტონა და ქუვეითს-დაახლოებით 10 მლრდ ტონა.

რაც შეეხება გაზის მარაგებს, აქ აღსანიშნავია, რომ უდიდესი გაზის მარაგები გააჩნია ყატარს, ამ ქვეყანაში 2005 წელს გაზის მოპოვებამ დაახლოებით 26 მილიარდი კუბური მეტრი შეადგინა.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მდებარე საუდის არაბეთის ნავთობი ნატოს ევროპული სახელმწიფოების ამ საწვავზე მოთხოვნილებას 12,78%-ით აკმაყოფილებს. რაც შეეხება აშშ-ის, აქ აშშ-ის ნავთობის იმპორტის 15% ხორციელდება სპარსეთის ყურის რეგიონიდან.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, საუდის არაბეთი, გაერთიანებულ არაბთა საემიროები, ყატარი, ირანი და ერაყი ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია ოპეკის წევრები არიან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ოპეკზე მოდის ნავთობის მარაგის 77% და მოპოვების 40%, და ოპეკის წევრი ქვეყნების პოლიტიკაზეა დამოკიდებული ნავთობზე მსოფლიო ფასების ცვალებადობა, აგრეთვე ის ფაქტიც რომ ოპეკის ფარგლებში ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოები თანამშრომლობენ ანტიდასავლურ, და შესაბამისად ალიანსის სტრატეგიულ მოწინააღმდეგე ისეთ სახელმწიფოებთან, როგორებიცაა ირანი და ვენესუელა, ნატოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ნორმალური ურთერთობების დამყარებას.

გარდა ამისა, კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნავთობის ოპეკის პარალელურად, ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანას გადაწყვეტილი აქვთ ე.წ. გაზის ოპეკის შექმნა. ამ ორგანიზაციაში რუსეთი, ირანი, ვენესუელა, ალჟირი, ლიბია და ყატარი გაერთიანდებიან. ამასთან დაკავშირებით, 2007 აპრილში ყატარის დედაქალაქ დოჰაში მოხდა ამ სახელმწიფოების წარმომადგენელთა შეხვედრა.

ამ შეხვედრამდე ერთი წლით ადრე, 2006 წლის ნოემბერში ნატოს ეკონომიკურმა კომიტეტმა ალიანსის წევრებს მოსალოდნელი გართულების შესახებ სპეციალური კონფიდენციალური მოხსენებით აცნობა. მოხსენებაში აღწერილი იყო “ოპეკის” ტიპის ბუნებრივი აირის ახალი ალიანსი.

უკვე 2007 წლის მარტში, ფორუმამდე რამდენიმე დღით ადრე, ევროპის სახელმწიფოებმა და აშშ-მ იმ საფრთხეებზე მიუთითეს, რომელიც შეიძლება მსოფლიო გაზის მარაგების 70%-ის (რუსეთის და ირანის ჩათვლით) მფლობელი სახელმწიფოების მიერ კარტელის შექმნას მოჰყვეს. მათი მოსაზრებით, არ არის გამორიცხული, რომ გაზის მარაგების მფლობელებმა საკუთარი პირობების კარნახით, მსოფლიოს მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნან. ეს ძირითადად მიწოდების რეჟიმისა და გაზის ფასის ფორმირებით იქნება გამოწვეული. გარდა

ამისა, აქ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაზის მოსალოდნელი კარტელის შექმნა გამოიწვევს რუსეთის, როგორც ამ კარტელის ერთ-ერთი დამფუძნებლის გააქტიურებას ირანთან ერთად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

ზემოაღნიშნული კარტელის შექმნის საწინააღმდეგოდ, აშშ გადამწყვეტ ზომებზე გადავიდა, კერძოდ, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ 2007 წლის ივლისში მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც ბუნებრივი აირის ექსპორტიორ ქვეყნებს ოპეკის მსგავსი საერთაშორისო კარტელების შექმნას უკრძალავს. ახლახან მიღებული გადაწყვეტილების მთავარი წინადადებაა- წყაროების დივერსიფიკაცია და მსოფლიო ბაზარზე გასვლის ალტერნატიური გზების ძიება.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მნიშვნელობას რა თქმა უნდა განსაზღვრავს ირანთან და ერაყთან სიახლოვე. ამ მხრივ აღსანიშნავია აშშ-ის განსაკუთრებული დაინტერესება ამ რეგიონის მიმართ, რადგან აშშ-სა და ირანს შორის თეირანის ატომური პროგრამის ირგვლივ არსებული კონფლიქტის პარალელურად, ეს ორი ქვეყანა იბრძვის ერაყში საკუთარის გავლენის გაძლიერებისათვის. იმ დროს, როდესაც აშშ ირანის სამხედრო ობიექტებზე დარტყმის მიყენებაზე ფიქრობს, ერაყიდან აშშ-ს შეიარაღებული ძალების გეგმაზომიერი გაყვანის შემთხვევაში, ერაყში სტაბილურობის დამყარების გარანტიის როლის შესრულებას ირანი აპირებს. ერაყში, და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ირანის მოსალოდნელი გავლენის შესაკავებლად, ამერიკის შეერთებული შტატები, ნავთობით მდიდარ ხუთ არაბულ სახელმწიფოს 60 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების შეიარაღებას მიაწვდის. აღნიშნული თანხიდან მარტო საუდის არაბეთისათვის 20 მლრდ. აშშ დოლარის სამხედრო ტექნიკაა გათვალისწინებული, რაც შემთხვევითი არ არის. საუდის არაბეთი, რეგიონში ლიდერი ქვეყნის პოზიციის დამკვიდრების საკითხში, ირანის მთავარ კონკურენტს წარმოადგენს. აშშ შეეცდება, საუდის არაბეთის სამხედრო პოტენციალის გაზრდით, საგრძნობლად შეარყიოს ირანის გავლენა მთლიანად სპარსეთის ყურეში. პროამერიკულად განწყობილი არაბული სახელმწიფოების გაძლიერებითა და პარალელურად ირანის დასაყრდენი პოლიტიკური დაჯგუფებების განეიტრალებით ერაყში, აშშ გაცილებით წარმატებით შეძლებს იქ ანტიტერორისტული კომპანიის წარმოების დასრულებას. მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში, ბუშის ადმინისტრაცია მნიშვნელოვნად გაიმყარებს პოზიციებს ერაყში ომის დაწყების მოწინააღმდეგეთა წინაშე, რომლებიც ამ კამპანიას აშშ-სათვის უაზროს და დამღუპველს უწოდებენ. თეთრი სახლი აშშ-ში მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, იმის საყოველთაო დემონსტრირებას შეეცდება, რომ წამოწყებულმა ანტიტერორისტულმა ომმა ამერიკელ ხალხს უსაფრთხოებისა და ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით რეალური შედეგები მოუტანა. ყოველივე ეს აშშ-ს ამჟამინდელი მთავრობის მხრიდან სამომავლოდ ირანზე სამხედრო თავდასხმის გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობას უფრო დამაჯერებელს გახდის – როგორც საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხარდაჭერის თვალსაზრისით, ასევე ქვეყნის მოსახლეობის დადებითი დამოკიდებულების კუთხითაც.

ნატო და ცენტრალური აზია

მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური აზია გეოგრაფიული თვალსაზრისით შორსაა ევროატლანტიკური რეგიონიდან, მისი უშუალო სიახლოვე ავღანეთთან, სადაც ნატო პირველად თავისი არსებობის ისტორიაში აწარმოებს სახმელეთო ოპერაციებს, აგრეთვე იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აშშ-მა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ავღანეთში დაწყებული სამხედრო ოპერაციების დროს

გახსნა ორი სამხედრო ბაზა ცენტრალურ აზიაში, კერძოდ უზბეკეთსა და ყირგიზეთში, აგრეთვე რეგიონში დიდძალი მინერალური, პირველ რიგში კი ენერგეტიკული რესურსების არსებობის გამო, იქ მიმდინარე პროცესები სულ უფრო დიდ ინტერესს იწვევს ნატოში.

რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა

ცენტრალური აზიის რეგიონის რიგი ქვეყნებისათვის სტრატეგიულ მნიშვნელობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს:

- კასპიის ზღვაში და ცენტრალურ აზიაში ნავთობისა და გაზის დიდი მარაგია. მაგალითად თურქმენეთი მესამე ადგილზეა მსოფლიოში გაზის ექსპორტორთა შორის. ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი მარაგი გააჩნიათ აგრეთვე უზბეკეთსა და ყაზახეთს. რაც შეეხება ნავთობის რესურსებს, ცენტრალურ აზიაში ნავთობის პოტენციური მარაგი შეფასებულია 10-15 მილიარდ ტონამდე. ეს რა თქმა უნდა გაცილებით ნაკლებია ვიდრე სპარსეთის ყურეში არსებული მარაგი, მაგრამ ნავთობსა და გაზზე მოთხოვნილება იზრდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოეთის სუბკონტინენტზე და ასევე ჩინეთში, სადაც დროთა განმავლობაში შესაძლებლობა იქნება გაიზარდოს ცენტრალური აზიის რეგიონიდან სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ექსპორტი;

- სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მინერალური რესურსების არსებობის გარდა გლობალური განზომილება აქვს აგრეთვე განსხვავებული კულტურების და ცივილიზაციების ურთიერთშეჯახებას. აქ ერთმანეთს კონკურენციას ეწევენ სუნიტური და შიიტური ისლამი და ქრისტიანობა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სახით.

გარეშე ძალების ფაქტორის მნიშვნელობა ცენტრალურ აზიაში:

ამ კომპლექსურ, არასტაბილურ, ცალკეულ ადგილებში ფეთქებად რეგიონებში ერთმანეთს უპირისპირდება მსოფლიოს უდიდესი და საშუალო სიდიდის სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესები. გარეშე ძალთა ინტერესები რეგიონში მხოლოდ ნაწილობრივ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ისინი ძირითადად ეკონომიკურ სარგებელს ეძებენ, განსაკუთრებით საკუთარი თავის ნავთობითა და გაზით უზრუნველყოფას და მრეწველობისათვის მომგებიანი შეკვეთების მიღებას ცდილობენ.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცენტრალურ აზიაში ბოლო პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო, ნატოს პოზიციები ამ რეგიონში რამდენადმე შესუსტდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეგიონის ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები ერთმანეთს თანხვდება. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ცენტრალური აზიის რესპუბლიკების საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები რუსეთთან თანამშრომლობის განმტკიცებაზეა ორიენტირებული. კერძოდ, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ცენტრალური აზიის ოთხი სახელმწიფო დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების წევრი ქვეყნებია, გარდა ამისა ისინი რუსეთთან და ჩინეთთან ერთად გაწევრიანებულნი არიან შანხაის თანამშრომლობის ხელშეკრულების ორგანიზაციაში. ასევე აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ სტრატეგიული მდებარეობის მქონე უზბეკეთის ინტერესებში შედიოდა რუსეთზე თავისი გავლენის შესუსტება, პრეზიდენტი ქარიმოვი ნატოს 1999 წელს გამართულ სამიტსაც კი დაესწრო და თავისი მხარდაჭერაც გამოხატა ალიანსის მიერ გატარებულ პოლიტიკისადმი კოსოვოს ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებითაც, მაგრამ ანდიჟანში 2004 წელს განვითარებული ცნობილი მოვლენების შემდეგ, როდესაც დასავლეთმა მკაცრად გააკრიტიკა უზბეკეთის ხელისუფლება მის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო, ამ ქვეყნის ხელისუფლებამ პირი ისევ რუსეთისაკენ იბრუნა. რაც შეეხება თურქმენეთს, მიუხედავად მისი ნეიტრალურობისა, ეს ქვეყანაც

დამოკიდებულია რუსეთზე, რადგან თურქმენული გაზის ექსპორტი ევროპაში სწორედ რუსეთის ტერიტორიის გავლით ხორციელდება.

მნიშვნელოვანია თვით რუსეთის პოზიციაც ცენტრალურ აზიაში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პოზიციები მთელ მსოფლიოში საგრძნობლად შესუსტდა, რუსეთი ახერხებს თავისი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენის შენარჩუნებას, და მის გაძლიერებასაც კი ცენტრალურ აზიაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუსეთის ინიციატივით ცენტრალურ აზიაში შექმნილია ცენტრალური აზიის სწრაფი რეაგირების ძალები, რომელიც მოიცავს რუსეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ყაზახეთის 10 ბატალიონს.

ამ ძალების გაძლიერებით რუსეთი ცენტრალურ აზიაში ნარკოტრეფიკინგის, ტერორიზმისა და ადგილობრივი კონფლიქტების შეკავებასაც იმედოვნებს. რუსეთსა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს განსაკუთრებით აწუხებთ არასტაბილურობა ავღანეთში და რეგიონიდან ნარკოტრეფიკინგი. ამის პარალელურად ცენტრალური აზიის სახელმწიფოების ნატოსთან თანამშრომლობა ავღანეთის საკითხში პრაქტიკულად არ შედგა. უფრო მეტიც, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ნატოს ნარკოტრეფიკინგის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისთვის თავის არიდებაში დასდო ბრალი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ამავე დროს ხორციელდება ბრძოლა ენერგეტიკული რესურსების კონტროლისათვის სადაც ნატოს წევრი სახელმწიფოები თავიანთი აქტიური პოლიტიკის გატარებას ცდილობენ. ამ მხრივ აღსანიშნავია განვიხილოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი.

კასპიისპირა გაზსადენის პროექტი 2007 წლის 11 მაისს რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ყაზახეთსა და თურქმენეთში ვიზიტის დროს ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომელშიც სამი ქვეყნის (რუსეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი) პრეზიდენტი თავის მთავრობებს ავალეებდა, რათა 2007 წლის პირველ სექტემბრამდე მომზადებულიყო ხელშეკრულება კასპიისპირა გაზსადენის პროექტის თაობაზე. ეს გაზსადენი თურქმენეთიდან ყაზახეთის ტერიტორიის გავლით გავა რუსეთზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პუტინის ვიზიტამდე ერთი კვირით ადრე თურქმენეთის პრეზიდენტმა თავისი ქვეყნის კუთვნილ კასპიის სექტორზე შემოუშვა ამერიკული ნავთობგიგანტი "შევერონი." როგორც ცნობილია "შევერონს" ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე არსებულ საბადოებზე მუშაობის დიდი გამოცდილება გააჩნია. ამ კომპანიის დაშვება თურქმენეთის მხრიდან კიდევ ერთი იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ქვეყანა თავისი გეოგრაფიული მდებარეობით გამოწვეული იზოლაციის გარღვევას ცდილობს. თურქმენეთის პრეზიდენტ ბერდიმუჰამედოვისგან სიგნალები მას შემდეგაც არ შეწყვეტილა, რაც მან კასპიისპირა გაზსადენის პროექტის დეკლარაციას მოაწერა ხელი. მისი განცხადებით "კასპიისპირა გაზსადენის პროექტი ტრანსკასპიური პროექტის განხორციელებას არ გამორიცხავს." გამომდინარე აქედან, ჯერ კიდევ არსებობს იმის რეალური შანსი, რომ ნატოს წევრი ქვეყნებისა და კომპანიების მეშვეობით განხორციელდეს ალტერნატიული პროექტები, რომელთა მეშვეობითაც გაზის ტრანსპორტირება შავის ზღვის რეგიონის გავლით ევროატლანტიკურ სივრცეში იქნება შესაძლებელი. ამ მხრივ აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი: 2006 წლის პირველ ნახევარში თურქმენეთმა 33,68 მილიარდი კუბური მეტრი გაზი მოიპოვა. ამ მოცულობიდან 21 მილიარდი ტრანსპორტირებულ იქნა რუსეთის მიმართულებით. 2007 წელს, ექსპერტთა მონაცემებით მთლიან მაჩვენებლს დაახლოებით 71,1 მილიარდი უნდა შეედგინა. 2030 წლისათვის კი მოპოვებამ დაახლოებით 250 მილიარდი უნდა შეადგინოს. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, დაახლოებით ოთხი წლის შემდეგ მოპოვებამ 100 მილიარდი კუბური მეტრი უნდა შეადგინოს. ეს მოცულობა კი საკმარისი იქნება, რომ გაზი

ტრანსკასპიური გაზსადენითაც (ევროპის მიმართულებით) წავიდეს. ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში კი ნატოს წევრი რამდენიმე ქვეყანა აქტიურად იქნება ჩართული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქმენეთს გაზის უდიდესი მარაგები გააჩნია. დადგენილი მარაგი შეადგენს დაახლოებით 22 ტრილიონ კუბურ მეტრს.

იმისათვის რომ განხორციელდეს ტრანსკასპიური პროექტი, აუცილებელია რომ რუსეთს არ ჰქონდეს თურქმენული გაზის შეუზღუდავი რაოდენობით შესყიდვის საშუალება. ამის საფრთხე კი ნამდვილად არსებობს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთი გეგმავს თურქმენეთისგან წლიურად შეისყიდოს 50 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი. ამასთანავე რუსეთს სურს, გააფორმოს თურქმენეთთან გრძელვადიანი შეთანხმება გაზის მოწოდებასთან დაკავშირებით, რომელიც 2028 წლამდე იქნება გაფორმებული. თუკი თურქმენეთის ხელისუფლებას ნამდვილად სურს, რომ ქვეყანა მხოლოდ რუსულ კორიდორზე არ იყოს მიბმული, მაშინ რუსეთთან ამგვარი კაბალური ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი უნდა განაცხადოს და უფრო აქტიური გახადოს მოლაპარაკებათა პროცესი ნატოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან.

ნაბუქოს პროექტი

ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები მეტწილად დამოკიდებულნი არიან რუსეთის გაზე (მაგ: ბულგარეთი რუსეთისგან იღებს მოხმარებული გაზის 94%, ავსტრია - 74% და ა.შ.) ნატოს ევროპელი მოკავშირეები მთლიანობაში მოხმარებული გაზის მეოთხედზე მეტს იღებენ რუსული “გაზპრომისგან”. გაზი ევროპაში შედის უკრაინასა და პოლონეთზე (ბელორუსიის გავლით) გამავალი გაზსადენების მეშვეობით.

2005 წლის დეკემბრის ბოლოს დაწყებული უთანხმოების შედეგად (გაზპრომს სურდა გაზის საფასური გაეზარდა \$50-დან \$230-მდე) რუსეთმა უკრაინას გაზის მიწოდება შეუწყვიტა. რუსეთიდან ევროპაში გაზის დაახლოებით 76%-ის ტრანსპორტირება სწორედ უკრაინის ტერიტორიაზე არსებული გაზსადენებით ხორციელდება და ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის ავსტრიამ, უნგრეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, სლოვაკეთმა, იტალიამ და პოლონეთმა გამოთქვეს უკმაყოფილება, ვინაიდან მათ გაზსადენებში 30%-ით დაიკლო წნევამ.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ცდილობს ახსნას თავისი მოქმედებები, როგორც წმინდა ეკონომიკური ხასიათით გამოწვეული ნაბიჯები, ბოლო დროს რუსეთისა და სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების და სსრკ-ის ყოფილ სატელიტ ქვეყნებთან ურთიერთობებმა (რუსეთ-პოლონეთის, რუსეთ-მოლდოვის, რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობები) ყველას ნათლად დაანახა, რომ რუსეთი თავის რესურსებს იყენებს პოლიტიკურ ბერკეტად, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს ევროპის და შესაბამისად ნატოს წევრი სახელმწიფოების ენერგო-უსაფრთხოებას. ამასთან ერთად, ევროპისათვის მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ენერჯის წყაროს სტაბილურობის უზრუნველყოფა, არამედ მისი დივერსიფიკაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული რუსეთის მთავრობის მიერ მართული “გაზპრომის” მონოპოლია ევროპის ბაზარზე. კიდევ ერთი მიზეზი ალტერნატიული გზების ძიებისა არის ევროპის მზარდი მოთხოვნილება ბუნებრივ აირზე. ექსპერტთა გათვლებით, ევროპის მხრიდან გაზის იმპორტზე მოთხოვნა გასამმაგდება და 200 მილიარდის ნაცვლად (2002 წელს) 2030 წლისთვის გახდება 600 მილიარდი კუბური მეტრი.

აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ 2003 წელს ევროკავშირმა წამოიწყო ახალი გაზსადენის პროექტი – “ნაბუკო” (Nabucco), რომელიც ითვალისწინებს გაზის ტრანსპორტირებას თურქეთიდან ავსტრიაში – ბულგარეთის, რუმინეთის და უნგრეთის გავლით. ნაბუკოს გაზსადენი თურქეთში, ერზრუმთან შეუერთდება

ბაქო – თბილისი - ერზერუმის და ირან - თურქეთის გაზსადენებს. გაზსადენი წარმოადგენს კასპიის რეგიონისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (თურქმენეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ირანი) გაზის ევროპაში ტრანსპორტირების საშუალებას. გაზსადენის მშენებლობის ღირებულება შეადგენს 4.6 მილიარდ ევროს და მისი მშენებლობა სავარაუდოდ დაიწყება 2008 წელს და ექსპლუატაციაში შევა 2011 წელს. საწყის ფაზაში, გაზსადენი ყოველწლიურად გაატარებს 13 მილიარდამდე კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს, ხოლო 2020 წლისთვის ეს რიცხვი სავარაუდოდ მიაღწევს 30 მილიარდ კუბურ მეტრს. გაზსადენში გამავალი გაზის ნახევარი მიეწოდება ბაუმგარტენს (ავსტრია), ხოლო ნახევარს გამოიყენებენ სატრანზიტო ქვეყნები.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ბაქო – თბილისი - ერზერუმის მონაკვეთის გაგრძელებას აღმოსავლეთით წარმოადგენს ტრანს-კასპიის წყალქვეშა გაზსადენი, რომელიც ითვალისწინებს თურქმენული და ყაზახური გაზის ექსპორტს და ბაქო – თბილისი - ერზერუმის გაზსადენის მეშვეობით მის შეერთებას ნაბუკოს გაზსადენთან. თავდაპირველად ტრანს-კასპიის პროექტზე საუბარი დაიწყო 90-იან წლებში, თუმცა მას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთმა და ირანმა, ამავდროს თავი იჩინა დაპირისპირებამ კასპიის ზღვის საზღვრების გაყოფის შესახებ ამ რეგიონის ქვეყნებს შორის და პროექტზე საუბრები დროებით შეწყდა. 2006 წლის დასაწყისიდან კვლავ აქტუალური გახდა ამ გაზსადენის საკითხი და მასში ერთი შეხედვით აქტიურად ჩაერთო როგორც ყაზახეთის, ასევე თურქმენეთის მხარე. თუმცა 2007 წლის მაისში თურქმენეთისა და ყაზახეთის პრეზიდენტების რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკებების ჩატარებისა და ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერის შემდგომ შესაძლებელია ტრანსკასპიური გაზსადენის იდეას გარკვეული პრობლემები შეექმნას.

ნაბუკოს პროექტის მთავარი აქციონერები არიან OMV (ავსტრია), MOL (უნგრეთი), Transgaz (რუმინეთი), Bulgargaz (ბულგარეთი), BOTAS (თურქეთი). საუბარია პროექტში გაზპრომის შესაძლო მონაწილეობაზე, თუმცა ამ პროექტის ძირეული არსიდან გამომდინარე, ნაკლებად რეალურია და შეიძლება ჩაითვალოს როგორც წმინდა ტაქტიკური ნაბიჯი.

რაც შეეხება პროექტში ირანის მონაწილეობას, თუკი გავითვალისწინებს ბოლო დროს მის გართულებულ ურთიერთობებს დასავლეთთან ალბათ ვერ ჩაეთვლით მას სტაბილურ პარტნიორად ამ ეტაპზე, მაგრამ გაზსადენის ხელსაყრელი მდებარეობა (ირან-თურქეთის გაზსადენის სწორედ ერზერუმთან მთავრდება) ითვალისწინებს ამ ქვეყანასთან შესაძლო თანამშრომლობას.

ბოლოს, აღსანიშნავია რომ, ცენტრალური აზიის რეგიონის მნიშვნელობა აღნიშნულ იქნა სტამბულის ნატოს სამიტზე, სადაც ნატოს მესვეურთა განცხადებით, ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით ნატო განსაკუთრებულ ყურადღებას გაამახვილებს მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში. ამ მიზნით, ნატოში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ კავშირის მექანიზმების სრულყოფის მიზნით აუცილებელია წარმომადგენლის დანიშვნა მეკავშირეობის საკითხებში და სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა ამ ორი რეგიონისათვის ნატოს საერთაშორისო სამდივნოს შემადგენლობიდან.

ბალკანეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ნატომ თავისი პირველი წარმატებული გამოცდა სამხედრო და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების სფეროში

სწორედ მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობის მქონე ბალკანეთში ჩაატარა, უზრუნველყო რა სტაბილურობა ამ რეგიონში.

კოსოვოში ნატოს მიერ სამხედრო ოპერაციების წარმოების დროს, რეგიონში თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით, ვაშინგტონის სამიტზე წამოყენებულ იქნა “ნატოს ინიციატივა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის”. ინიციატივის მიზანი გახლდათ რეგიონალური თანამშრომლობისა და მრავალწლიანი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ეს ინიციატივა ეყრდნობოდა ოთხ ძირითად პრინციპს: საკონსულტაციო ფორუმი უსაფრთხოების საკითხებში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში; სპეციალური სამუშაო ჯგუფის შექმნა მონაწილეთა განუსაზღვრელი რაოდენობით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში თანამშრომლობის განვითარების სფეროში. ამ სამუშაო ჯგუფის შექმნა უნდა მომხდარიყო ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ეგიდით პოლიტიკური კომიტეტის სესიის დონეზე; პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” სამუშაო ინსტრუმენტების ჩამოყალიბება; რეგიონის ქვეყნებისათვის თანამშრომლობის მიზნობრივი პროგრამების განხორციელება უსაფრთხოების სფეროში.

ამ კონსულტაციურ ფორუმში შედიოდნენ ნატოს წევრი სახელმწიფოები და მომიჯნავე რეგიონის ექვსი სახელმწიფო-აღმოსავლეთი, ბულგარეთი, ხორვატია, რუმინეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, სლოვენია და ბოსნია და ჰერცეგოვინა. ამ ფორუმის პირველი სხდომა ჩატარდა ნატოს უმაღლეს სამიტზე ერთ-ერთი კულუარული შეხვედრის დროს 1999 წლის აპრილში. უკვე შემდგომი შეხვედრები იმართებოდა ელჩების დონეზე ნატოს შტაბ-ბინაში ბრიუსელში.

რიგი საკითხების გადაწყვეტისას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთის და შესაბამისად ბალკანეთის რეგიონისათვის, მათ შორის “გამჭვირვალობის” საკითხები სამხედრო დაგეგმარების სფეროში, ანტიკრიზისული დარეგულირებისა და თავდაცვის სფეროს მართვა და ა. შ. გამოყენებულ იქნა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამების ფარგლებში განხორციელებული მეთოდოლოგია. საქმიანობის სახეობების განსაზღვრის პროცესში, მაგალითად სემინარების გამართვა ზემოაღნიშნულ თემებზე ორიენტირებული იყო მთელი რეგიონისათვის.

რეგიონალური პროექტების კოორდინირების მიზნით სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში უსაფრთხოების საკითხების განხილვისათვის შექმნილ იქნა საკოორდინაციო ჯგუფი

მომდევნო წლებში მოხდა თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცება ნატოსა და რეგიონის სახელმწიფოებს შორის. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ 2000 წელს ხორვატია შეუერთდა ნატოს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის”

როგიორც ცნობილია, უკვე 2004 წელს ნატოს სრულუფლებიანი წევრები გახდნენ რუმინეთი, სლოვენია და ბულგარეთი, რამაც დიდი როლი შეასრულა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ალიანსის პოზიციების განმტკიცებისაკენ. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღევანდელ ეტაპზე ნატოს “გაწვევრიანების სამოქმედო გეგმა” მიღებული აქვთ რეგიონის სამ ქვეყანას ხორვატიას, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიასა და ალბანეთს. 2006 წლის რიგის სამიტზე ბალკანეთის რეგიონს დიდი ყურადღება დაეთმო. სამიტზე მიღებულ დეკლარაციაში ნატომ აღნიშნა, რომ დასავლეთ ბალკანეთში გრძელვადიანი სტაბილურობისათვის უდიდეს აუცილებლობას წარმოადგენს რეგიონის ქვეყნების ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია, რომელიც დაფუძნებული იქნება დემოკრატიული ღირებულებების დაცვასა და სოლიდარობის განმტკიცებაზე. ამავე დროს ნატო მიესალმა ალბანეთის, ხორვატიისა და იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონიის ძალისხმევას, რომელსაც ისინი ეწვიან, რათა ამ ქვეყ-

ნების მიერ შესრულდეს ნატოს წინაშე აღებული ვალდებულებები მათი სრულყოფილიანი წევრობის გზაზე. ასევე, ნატოს მესვეურებმა აღნიშნეს, რომ ნატოს მომავალ ბუქარესტის სამიტზე ალიანსი იმედოვნებს გააგზავნოს მიწვევები იმ ქვეყნებისათვის, ვინც ესწრაფვიან ნატოს სრულყოფილიანი წევრობას.

ნატოს რიგის სამიტზე ალიანსი მიესალმა საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ალბანეთში 2005 წელს და ბოსნია ჰერცეგოვინაში 2006 წელს. ასევე ხორვატიის მზადყოფნას ითანამშრომლოს საერთაშორისო ტრიბუნალთან.

ამავე სამიტზე, რეგიონის სამმა ქვეყანამ - სერბეთმა, ბოსნია და ჰერცეგოვინამ და მონტენეგრომ ნატოსგან მიიღეს ოფიციალური მოწვევა შეერთებულ წევრობისათვის პარტნიორობის საბჭოსა და ნატოს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის”.

მეტად საინტერესოა ნატოს წევრი ქვეყნების მიდგომა კოსოვოს საკითხისადმი. ალიანსის სტამბულისა და რიგის სამიტებზე კოსოვოს თემას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. ამ მხრივ ნატო მიესალმა გაეროს სპეციალური წარმომადგენლის მარტინ ანტისაარის ძალისხმევას კოსოვოს კრიზისის დარეგულირების სფეროში. როგორც ცნობილია, გაეროს დიპლომატი მხარს უჭერს კოსოვოსათვის ე.წ. “შეზღუდული დამოუკიდებლობის” მინიჭებას. მისი, და იგივე ნატოს მესვეურთა აზრით, კოსოვოს სერბეთისაგან იურიდიულად გამოყოფა საბოლოო დაარეგულირებას კრიზისს ბალკანეთში და შექმნის სტაბილურ გარემოს ბალკანეთის რეგიონში მშვიდობის დამყარებისათვის.

ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ რამდენიმე დასკვნა. კერძოდ, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, და იგივე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადების შესაბამისად, კოსოვოს პრეცედენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა სეპარატისტული რეგიონებისათვის, პირველ რიგში პოსტ-საბჭოთა სივრცეზე არსებული არაღიარებული ტერიტორიებისათვის-აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, დნესტრისპირეთი, მთიანი ყარაბაღი. თუმცა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძალიან დიდი განსხვავებასთან კოსოვოსა და ზემოაღნიშნული სეპარატისტული რეგიონებში არსებულ მდგომარეობას შორის. კერძოდ, კოსოვოში ამჟამად ვრცელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადმინისტრაცია. შესაბამისად, კოსოვოს ტერიტორიაზე ჩატარებული ყველა სახის არჩევნები ლეგიტიმურად ჩაითვადა. ხოლო ზემოაღნიშნული პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებული სეპარატისტული რეგიონები წარმოადგენენ უკონტროლო ტერიტორიებს. რაც შეეხება ასევე მაგალითად განხვავებას კოსოვოსა და აფხაზეთს შორის, აქაც აღსანიშნავია, რომ თუ კოსოვოს შემთხვევაში იუგოსლავიის ცენტრალური ხელისუფლების მიერ ხორციელდებოდა კოსოვოს მოსახლეობის გენოციდი, აფხაზეთის შემთხვევაში პირიქით, აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობის, ძირითადად ეთნიკური ქართველების დევნა ხორციელდებოდა სეპარატისტული რეჟიმის მიერ. გარდა ამისა, აფხაზეთის კონფლიქტის დროს უგულებელყოფილ იქნა საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები რუსეთის ფედერაციის მიერ, რომელიც ყველანაირ - სამხედრო, ეკონომიკურ, ფინანსურ დახმარებას უწევდა და უჭევს სეპარატისტულ რეჟიმს აფხაზეთში.

მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია, რომ კოსოვოს შესაძლო აღიარებით იქმნება დიდი საშიშროება იმისა, რომ ბალკანეთის რეგიონი ახალი დენთის კასრად გადაიქცეს, კერძოდ:

- სერბეთში აგორდება ანტისადსავლური ტალღა, რასაც მოჰყვება ის, რომ მნიშვნელოვნად გაიზრდება იმის შესაძლებლობა, რომ საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამ ქვეყნის ხელისუფლებაში კვლავ მოვიდნენ ნაციონალისტური, პრორუსული ძალები და შესაბამისად ნატო ბალკანეთის რეგიონში დაკარგავს მნიშვნელოვან მოკავშირეს;

- ჩვენ გვაქვს იმის პრეცედენტი, რომ კოსოვოში 1999 წელს სამხედრო ოპერაციების დასრულების შემდეგ, კოსოვოს განთავისუფლების არმიის მეზობლები გადავიდნენ მეზობელ მაკედონიაში, კერძოდ ამ ქვეყნის იმ რეგიონში, რომელიც ალბანელებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონს წარმოადგენდა. ამ ფაქტმა დაძაბა ვითარება ამ ქვეყანაში და გამოიწვია ნატოს კონფლიქტში ჩართვის საჭიროება. შესაბამისად კოსოვოს შესაძლო აღიარების შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ მაკედონიაში ალბანურმა მოსახლეობამ ანალოგიური გამოსვლები მოაწიოს უკვე მაკედონიის შემადგენლობიდან გამოსვლის მოთხოვნით;

- თავის მხრივ დიდი საფრთხე შეექმნება 1995 წელს ხელმოწერილ დეიტონის ხელშეკრულებას მუსულმანურ, ხორვატულ და სერბულ მხარეებს შორის ბოსნიაში. აღნიშნულმა შეთანხმებამ წერტილი დაუსვა საომარ მოქმედებებს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, როდესაც ეს ქვეყანა დაიყო ორ რესპუბლიკად - სერბულ რესპუბლიკად და მუსულმანურ-ხორვატულ ფედერაციად. შესაბამისად, თუ მოხდა კოსოვოს აღიარება და შეიქმნა შესაბამისი პრეცედენტი, მაშინ შესაძლებელია რომ იგივე ბოსნიის სერბეთის რესპუბლიკამ მოითხოვოს ბოსნიისგან გამოყოფა და სერბეთთან შეერთება, რასაც შეიძლება უმართავი პროცესები მოჰყვეს სამი ეთნიკური ჯგუფით დასახლებულ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში;

- კოსოვოს შესაძლო აღიარებამ ასევე შესაძლოა დაძაბულობა გამოიწვიოს სერბეთის უნგრელებით დასახლებულ ვოევოდინაში;

- და ბოლოს, სერბეთი აცხადებს, რომ ის არ დაუშვებს კოსოვოს გამოყოფას სერბეთისგან, შესაბამისად, შესაძლოა კოსოვოს აღიარებას მოჰყვეს საომარი მოქმედებების განახლება ბელგრადის მხრიდან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტში ალბანეთის ჩართვაც კოსოვარი ალბანელების დასაცავად, და ნატოს თავიდან მოუხდება ითამაშოს შუამავლის როლი განახლებულ კონფლიქტში.

ნატოს ურთიერთობა შორეული აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის დემოკრატიული სამყაროს წარმომადგენლებთან (იაპონია, ავსტრალია, სამხრეთ კორეა, ახალი ზელანდია)

“ცივი ომის” პერიოდში ნატოს წამყვანი ქვეყნები მეტად აქტიურად ცდილობდნენ უსაფრთხოების სისტემის განმტკიცებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში და ამ მხრივ ისინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ევროატლანტიკური სივრცის გარეთ მყოფ დემოკრატიული სამყაროს ქვეყნებთან კავშირუროთიერთობების დამყარებას.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია იგივე აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მცდელობა შეექმნათ ნატოს ტიპის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციები ავსტრალიისა და წყნარი ოკეანის რეგიონში.

1951 წელს აშშ-ს, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ინიციატივით შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ANZUS (Australia, New Zealand, United States). მის საქმიანობას საფუძვლად დაედო “წყნარი ოკეანის უსაფრთხოების პაქტი”, რომელსაც ხელი 1951 წელს სან-ფრანცისკოში მოეწერა. ბლოკის ფარგლებში რეგულარულად იმართებოდა სხვადასხვა სახის სამხედრო მანევრები.

1971 წელს ბრიტანეთის ინიციატივით შეიქმნა კიდევ ერთი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ANZUK (Australia, New Zealand, United Kingdom). ბლოკის ოფიციალურ მიზანს მაღალიზიისა და სინგაპურის კოლექტიური თავდაცვა წარმოადგენდა.

რაც შეეხება დღევანდელ პერიოდს, უნდა ავლნიშნოთ, რომ ავღანეთის ოპერაციის დაწყების შემდეგ, როდესაც “ისაფ“-ს ნატოს 11 წევრი ქვეყანა შეუერთდადღის წესრიგში დადგა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: უნდა დამყარდეს თუ არა

ალიანსის ფარგლებს გარეთ მყოფ დასავლურ ქვეყნებთან-სახელდობრ იაპონიასთან, ახალ ზელანდიასთან და ავსტრალიასთან განსაკუთრებული ურთიერთობები. როგორც ვაშინგტონის ბრუკინგსის ინსტიტუტის საბჭოს უფროსი წევრი ივო დააღდერი ფიქრობს, ნატო დემოკრატიათა გლობალურ კლუბად უნდა გადაიქცეს. “რამდენადაც ნატოს წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები გლობალური ხასიათისაა, ასეთივე უნდა გახდეს მისი შემადგენლობაც.(57)”

ამერიკა “მონათესავე” მთავრობებისათვის მხოლოდ ასოციალურ წევრობას თანხმდება, რაც ამ უკანასკნელთ ოპერაციათა დაგეგმვის ადრეულ ეტაპებსა და ნატოს წვრთნებში უფრო სრულად მონაწილეობის საშუალებას მისცემს. მაგრამ ამის წინააღმდეგია საფრანგეთი. ფრანგი ექსპერტი, ქალბატონი ალიო-მარი ამტკიცებს, რომ ნატომ უნდა შეინარჩუნოს თავისი ევროატლანტიკური ბუნება და არ გადაიქცეს “გაურკვეველ თავყრილობად, რომელიც ცუდ პოლიტიკურ მესიჯს გაუგზავნის დანარჩენ მსოფლიოს”.

იზრდება თვითონ ნატოს, განსაკუთრებით აშშ-ის კიდევ უფრო დაინტერესება შორეული აღმოსავლეთით. მაგალითად აშშ-მ არცთუ დიდი ხნის წინათ იაპონიას, იაპონიის კურძულეებზე ანტისარაკეტო რადარის დამატებითი განთავსება შესთავაზა, წყნარი ოკეანის რეგიონის ჩრდილოკორეული ბირთვული შეტევებისგან დასაცავად. გარდა ამისა, როგორც ერთ-ერთი იაპონური გაზეთი იუწყება, ამერიკულ გასაიდუმლოებულ სამხედრო წყაროზე დაყრდნობით, ანტისარაკეტო რადარები საჭიროა იაპონიაში დისლოცირებული აშშ-ის ჯარებისა და სამხრეთ კორეის წინააღმდეგ მეზობელი კომუნისტური ქვეყნების მხრიდან ბალისტიკური რაკეტების გამოშვების საფრთხის თავიდან ასაცილებლად. სამხედრო სფეროში შიში მას შემდეგ გაძლიერდა, რაც ჩრდილოეთ კორეამ 2006 წლის ივლისსა და ოქტომბერში ბირთვული გამოცდა ჩაატარა.

იმის გამო, რომ აშშ-ს იაპონიის ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებული აქვს მხოლოდ ანტისარაკეტო რადარები, რომლებიც უშუალოდ აშშ-ის ტერიტორიას იცავს, 2006 წლის ივლისში კორეის მიერ ჩატარებული გამოცდისას რაკეტები იაპონიის ზღვაში ჩაცვივდა.

თავი რომ დავანებოთ თავდაცვის მიზნით აშშ-იაპონიის სარაკეტო სფეროში თანამშრომლობას, ინტერესმოკლებული არ არის იგივე სფეროდან ახლად გამჟღავნებული სხვა ასპექტიც. კერძოდ რამდენიმე ხნის წინ გავრცელდა სამთავრობო დოკუმენტი, სადაც ბირთვული ქობინების გეგმებია განხილული.

იაპონიის სამთავრობო წრეებში სულ უფრო ხშირად გაისმის მოწოდებები იმის შესახებ, რომ იაპონიამ კარდინალურად უნდა შეცვალოს სამხედრო პოლიტიკური კურსი. “ჩრდილოეთკორეული საფრთხის” თეზისის გამოყენებით ხელისუფლება მოსახლეობას მოუწოდებს, უარი თქვას ქვეყნის კონსტიტუციურ პაციფისტურ მუხლზე, სადაც აღნიშნულია, რომ იაპონია უარს ამბობს ომის წარმოებასა და შეიარაღებული ძალების ყოლაზე. ოფიციალურ დონეზე უკვე მიაჩნიათ, რომ აუცილებელია ძლიერი შეიარაღებული ძალების ფორმირება და მისაღებ კანონზე დაყრდნობით იაპონიის არმიისა და ფლოტის მსოფლიოს ნებისმიერ წრტილში სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა აშშ-სთან ერთად და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მსგავსი სტრუქტურის შექმნა.

რაც შეეხება მოსახლეობის დამოკიდებულებას საკონსტიტუციო ცვლილებებისადმი, 2006 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებიც მოწმობს, რომ ხელისუფლების ახალმა იდეოლოგიამ უკვე იმუშავა. გამოკითხულთა 60 პროცენტი საკონსტიტუციო ცვლილებების მომხრეა. ხოლო ის ფაქტი, რომ იაპონიის პარლამენტში დეპუტატთა საერთო რაოდენობიდან ორი მესამედი მზადაა, მხარი დაუჭიროს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის კანონპროექტს, არა მარტო იდეოლოგიური მანქანის ამუშავებაზე, არამედ უახლოეს მომავალში ამგვარი ცვლილებების რაოდენობაზე მეტყველებს.

თუმცა საინტერესოა, რომ მაშინ, როდესაც პრემიერ-მინისტრი აბე ოფიციალურად ინარჩუნებს მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებულ უკვე დამკვიდრებულ პოზიციას, მისი კაბინეტის წევრები ფარულად, მაგრამ უკვე ხშირად საუბრობენ ტექნოლოგიური შესაძლებლობების მოცულობაზე, რომელიც იაპონიას ბირთვულ იარაღზე მუშაობის საშუალებას მისცემს. გასულ წელს იაპონიის წარმომადგენელთა პალატის უსაფრთხოების კომიტეტის სხდომაზე იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტარო ასომ ბირთვული პროგრამის განვითარების რეალურ შესაძლებლობებზე ისაუბრა.

“თავდაცვის მიზნით მინიმალური რაოდენობით შეიარაღების ფლობა არ იკრძალება კონსტიტუციით. ამასთან აკრძალული არც ბირთვული იარაღია, თუკი მისი მოცულობა არ სცილდება სახიფათო საზღვარს”- განაცხადა საგარეო უწყების მეთაურმა.

რუსული საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობებით, ამჟამად იაპონიას აქვს როგორც ურანის, ასევე პლუტონის მარაგი. 2005 წლის დასაწყისში ქვეყანა ფლობდა 43.8 ტონა პლუტონს, აქედან 5,9 ტონა თავად იაპონიის ტერიტორიაზე ინახებოდა, ხოლო 37,9 ტონა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში.

ამავე დროს, არც თუ მცირეა იმ გეოპოლიტიკური ფაქტორების სია, რომელიც ხელს შეუშლის იაპონიას, იქცეს ბირთვულ სახელმწიფოდ. პირველ რიგში ეს ამერიკის შეერთებული შტატების ფაქტორია. იაპონიაზე “სრული ამერიკული პროტექტორატის” მაგალითი იყო კონდოლიზა რაისის ტურნე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც იგი შეეცადა, დაერწმუნებინა იაპონია და კორეა სრული დაცვის გარანტიებში. ამერიკას კარგად ესმის, რომ თუ იაპონია და სამხრეთ კორეა ბირთვულ სახელმწიფოებად გადაიქცევიან, მათ აღარ დასჭირდებათ ამერიკელთა დახმარება და გამომდინარე აქედან, ვაშინგტონსაც მოუწევს ამ ქვეყნებში განთავსებული სამხედრო ბაზების დათმობა, რაც არანაირად არ შედის აშშ-ის გლობალური სტრატეგიის გეგმებში. საერთაშორისო გავლენის შენარჩუნების მიზნით, ამერიკა მზადაა იაპონიის, და არა მარტო მისი, შეიარაღებული ძალები გამოიყენოს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში საჭიროებისამებრ და ამას იაპონიის, სამხრეთ კორეის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ნატო-ში ინტეგრაციის ინიციატივაც ემატება თან.

მეორე ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ რუსეთის ჩრდილო და სამხრეთ კორეისადმი მეზობლური დამოკიდებულება.

რაც შეეხება სამხრეთ კორეას, მას 2006 წლის მონაცემებით ერაყში განთავსებული ჰყავდა 2300 ჯარისკაცი. რომლებიც ერაყის ქალაქ ერბილის ჩრდილოეთ ნაწილში არიან განლაგებულნი.

ავსტრალიას ერაყში 550 მეზობელი ჰყავს. მათ ძირითად ფუნქციას ავსტრალიელი დიპლომატების დაცვა და ერაყის სამხედრო ძალების გაწვრთნა წარმოადგენს.

ჩინეთი-ნატო

ჩინეთმა 2006 წლის SIPRI-ის (სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტი) მონაცემების მიხედვით, თავდაცვითი სფეროში დაფინანსების მიხედვით იაპონიას გაუსწრო და აზიაში პირველობას დაეუფლა. მისი თავდაცვის ბიუჯეტი, დაახლოებით 50 მილიარდ დოლარს შეადგენს, ხოლო იაპონიისა – 43,7 მილიარდ დოლარს.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ჩინეთისა და რუსეთის მაჩვენებლები მსოფლიო სამხედრო ხარჯების 3-4%-ს შეადგენს. მაგრამ ჩინეთი და რუსეთი სამხედრო დანახარჯების ზუსტი მაჩვენებლების მიღების უფლებას არ იძლევიან. ჩი-

ნეთი აგრეთვე წარმოადგენს იარაღის ყველაზე მსხვილ იმპორტიორს მსოფლიოში ინდოეთთან ერთად.

პეკინი დასავლეთთან იდეოლოგიური განსხვავებების გამო გარკვეულწილად განიხილება აშშ-ის ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგედ. მაგალითად 2007 წელს პენტაგონის შეფმა, გეიტსმა კონგრესისაგან მოითხოვა აშშ-ის შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის გაზრდა. იგივე გეიტსის თქმით, “ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდება სიტუაცია ისეთ ქვეყნებთან დაკავშირებით, როგორებიცაა ჩინეთი და რუსეთი, ასევე ჩრდილოეთ კორეა, ირანი, და სხვა”.

გეიტსი ასევე ეცადა დაეყოლიებინა წარმომადგენელთა პალატის შეიარაღებულ ძალთა კომიტეტი 2008 ფინანსური წლისათვის სამხედრო საჭიროებებზე-716 მილიარდი დოლარის გაცემაზე.

თავდაცვის მდივანს მხარდაჭერა ქვეყნის მთავარმა სამხედრო ჩინოსანმა-შტაბთა ხელმძღვანელების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალმა პიტერ პეისმა გამოუცხადა. მისი სიტყვების მიხედვით, პენტაგონში განიხილეს ომის განახლების რამდენიმე შესაძლო სცენარი: “შეისწავლეს კორეაში კონფლიქტის განახლების შესაძლებლობა და კიდევ ერთი კონფლიქტის განახლების შესაძლებლობა წყნარი ოკეანის რეგიონში.” გენერლის თქმით “მართალია ჩინეთი უშუალოდ საფრთხეს არ წარმოადგენს, მაგრამ ჩვენ მაინც თვალყური უნდა ვადევნოთ იმას, რაც იქ ხდება.” ამასთან პეისმა განსაკუთრებით გამოყო ჩინელთა მიერ ახლახანს თანამგზავრის საწინააღმდეგო იარაღის გამოცდა.

აქ ალბათ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ტაივანის პრობლემა – ჩინეთის ხელისუფლების მიერ ტაივანზე სამხედრო შეტევის განხორციელების შემთხვევაში არ არის გამორიცხული აშშ-სა და სხვა ნატოელი პარტნიორების კონფლიქტში ჩარევა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რიგი ამერიკელი მეცნიერებისა, აშშ-ისა და ზოგადად დასავლური სამყაროს ყველაზე დიდ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგედ სწორედ რომ ჩინეთს მიიჩნევს. ამ მხრივ ყურადსაღებია ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული, ჯონ ოლინის სახელობის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორის სამუელ ჰანტინგტონის ცნობილ ნაშრომში - “ციცილიზაციათა შეჯახება” გამოთქმული მოსაზრება. ნაშრომში ჰანტინგტონი დასავლეთის ყველაზე შესაძლო მოწინააღმდეგებად მიიჩნევს ჩინეთსა და ისლამურ სახელმწიფოებს.

რაც შეეხება ჩინეთის მიერ სუპერსახელმწიფოს სტატუსის შესაძლო მოპოვებას, შეიძლება ითქვას, რომ ეს კომუნისტური ქვეყანა ზესახელმწიფოს როლისთვის უკვე ემზადება. 2020 წლისათვის ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი 400 მილიარდ დოლარამდე აიწევს. ეს მართალია ამერიკის ბიუჯეტის ნახევარი იქნება, მაგრამ სამაგიეროდ სხვების ბიუჯეტს მნიშვნელოვნად გადააჭარბებს. მაგალითად, რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი წლიური 4%-იანი ზრდის პირობებშიც კი მხოლოდ 100 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწევს.

კოსმოსი მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს ჩინეთის შეიარაღებულ ძალებში და ამ იდეის ხორცშესხმისათვის მთელი შეიარაღება ჩინეთში იწარმოება. არაა გამორიცხული, რომ 2020 წლისათვის ჩინეთი, თავისი ეკონომიკური მოცულობით ამერიკას გაუტოლდეს. ასევე აღსანიშნავია, რომ ჩინეთს იგივე ინდოეთისაგან განსხვავებით სულ მცირე, რეგიონული ლიდერობის გამოცდილება და ტრადიცია უკვე გააჩნია და ზესახელმწიფოს როლისთვისაც უფრო მეტად არის მზად.

მნიშვნელოვანია აგრეთვე აღინიშნოს რუსეთ-ჩინეთის ალიანსი. ამ მხრივ რა თქმა უნდა აღსანიშნავია ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში, სადაც ეს ორი ქვეყანაა გაწევრიანებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან - ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან ერთად.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ მოსკოვი გეგმავს ევროპაზე ორიენტირებული ენერგეტიკული რესურსების ექსპორტის დივერსიფიცირებას. თავის მხრივ, ახლანდელ სიტუაციასთან შედარებით, მოსკოვი 2020 წლისათვის გეგმავს თავისი ენერგო-ექსპორტის აზიის მიმართულებით გაზრდას, კერძოდ, ნავთობის დღევანდელი 3-დან 30 პროცენტამდე, გაზისას-5-დან 25 პროცენტამდე. ამ ფაქტმა შეიძლება გაზარდოს ნატოს წევრი ქვეყნების მოთხოვნილება რუსულ ენერგომატარებლებზე და შესაბამისად გაზარდოს ფასები. ასევე მნიშვნელოვანია ჩინეთის მცდელობა განახორციელოს ნავთობის იმპორტი ირანიდან. ექსპერტთა მონაცემებით ჩინეთი ირანიდან მისი ნავთობზე მოთხოვნილების დაახლოებით 30%-ს იკმაყოფილებს. ასევე აქტუალურია ჩინეთის მცდელობა განახორციელოს ნავთობისა და გაზის იმპორტი ცენტრალური აზიიდან, საიდანაც ენერგომატარებლების იმპორტი განზრახული აქვთ ნატოს წევრ ევროპულ სახელმწიფოებს.

მაგრამ ამ პოტენციალის მიუხედავად, ჩინეთის გაძლიერება და მეორე ხესახელმწიფოს შესაძლო აღმოცენება არ ქმნის ისეთ დიდ საფრთხეს, როგორ საფრთხესაც მსოფლიო ცივი ომის დროს გრძნობდა. სხვა თუ არაფერი, აშშ და ჩინეთი ეკონომიკურად იმდენად არიან ერთიმეორეზე დამოკიდებულნი, რომ მათ შორის სერიოზული დაპირისპირება წარმოუდგენელია. ხოლო თუკი ჩინეთის გაძლიერებამ აგრესიული ხასიათი მიიღო, ეს აუცილებლად გამოიწვევს საპასუხო რეაქციას რეგიონის სხვა დიდი სახელმწიფოების-ინდოეთისა და იაპონიის მხრიდან.

გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ აშშ-სა და ჩინეთს შორის სავაჭრო ბალანსი ჩინეთის სასარგებლოდ სულ უფრო და უფრო იზრდება და ვაშინგტონის სავაჭრო დეფიციტს სულ უფრო ზრდის. 2006 წლის ბოლოს ვაშინგტონის უარყოფითმა ბალანსმა ჩინეთთან დაახლოებით 229 მილიარდ დოლარს მიაღწია. მიუხედავად აშშ-სათვის ნეგატიური პროცესისა, ეს თავის მხრივ ზრდის ჩინეთის ეკონომიკურ დამოკიდებულებასაც აშშ-ზე, რადგანაც ჩინეთი სულ უფრო მეტად იქნება დამოკიდებული თავისი პროდუქციის ამერიკის უმდიდრეს ბაზარზე ექსპორტირების თვალსაზრისით.

ჩინეთი საგარეო პოლიტიკაში მისდევს რუსეთისაგან განხვავებულ სტრატეგიას. თავად ჩინელები მას “მშვიდობიან აღზევებას” უწოდებენ. პროგრამა, რომელიც სულ რაღაც რამდენიმე წლის წინ იქნა მიღებული, მოწოდებულია, მსოფლიო საზოგადოებრიობა ჩინეთისადმი დადებითად განეწყოს და იმავდროულად ხელი შეუწყოს მისი გავლენის გაზრდას. როგორც ავლნიშნეთ, დღეს ჩინეთი უკვე სცილდება რეგიონული სახელმწიფოს სტატუსის ჩარჩოებს და აშკარად აცხადებს პრეტენზიებს მომავლის სუპერსახელმწიფოობაზე. ამასთანავე, როგორც გავლენიანი ამერიკული ანალიტიკური ცენტრის ექსპერტები აცხადებენ, ჩინეთის უმთავრესი ამოცანაა, არ დაუპირისპირდეს აშშ-ის და მომავლის სუპერსახელმწიფოობისკენ “ასიმეტრიული” სტრატეგიის საშუალებით იმოძრაოს.

“მშვიდობიანი აღზევება” განვითარებულ და განვითარებად სახელმწიფოებთან მიმართებაში სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებას გულისხმობს. განვითარებად ქვეყნებს ჩინეთი ეკონომიკურ თანადგომას სთავაზობს. ჩინეთ-აფრიკის 2007 წელს გამართულ ნოემბრის სამიტზე ჩინეთის ხელისუფლებამ მზადყოფნა გამოთქვა, აფრიკელებს 5 მილიარდი დოლარის მოცულობის შეღავათიანი სესხი გამოუყოს. ჩინეთმა მათ 1 მილიარდის დავალიანება მიუტევა და სანაცლოდ მათთან 2 მილიარდი დოლარის საერთო ღირებულების კონტრაქტები გააფორმა. იმავდროულად, ჩინეთმა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან 50 მილიარდი დოლარის საერთო ღირებულების 400-მდე ხელშეკრულება დადო.

ჩინეთის სტრატეგიის არსს საუკეთესოდ გამოხატავს ფილიპინების შემთხვევა. ამ ქვეყანამ ვერასგზით მიაღწია მსოფლიო ბანკისგან მისთვის მისაღები პირობებით სესხის აღებას მაშინ, როცა ჩინეთმა ყოველგვარი პირობის გარეშე და შედავათიანი პროცენტით მყისვე ასესხა 2 მილიარდი დოლარი. “მსოფლიოში აფასებენ რომ ჩინეთი, განსხვავებით ამერიკისგან, არავითარ პოლიტიკურ გარანტიებს არ ითხოვს”-აცხადებენ ანალიტიკოსები. მართლაც, ჩინეთი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს, ამა თუ იმ ქვეყანაში დემოკრატიულია რეჟიმი თუ დიქტატორული, და სწორედ ამის წყალობითაა, რომ ქვეყანა განვითარებად სამყაროში ნელ-ნელა იპყრობს ლიდერის პოზიციას.

აქცენტის “პოზიტიურ დღის წესრიგზე” გადატანას ცდილობს ჩინეთი განვითარებულ ქვეყნებთან მათ შორის თავისთავად, ნატოს წევრ ქვეყნებთან მიმართებაშიც. “უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩინეთის ეკონომიკა სულ უფრო ღია ხდება მსხვილი დასავლური კორპორაციებისათვის”-ამბობს ერთ-ერთი რუსი ექსპერტი-“და, რაც უფრო მჭიდროდ ებმევიან ისინი ჩინეთს, მით უფრო იზრდება ჩინეთის ლობისტური რესურსი დასავლეთში”. ყოველივე ამის შედეგად დასავლური ბიზნესი დღეს სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ჩინეთთან რიგიან ურთიერთობასა და ასევე ჩინეთის ეკონომიკის მომავალ განვითარებაში.

არანაკლები როლი ეკისრება კულტურულ ექსპანსიას – 2004 წელს ჩინეთის მთავრობამ მოიწონა მთელი მსოფლიოს მასშტაბით 100-ზე მეტი “კონფუციური ინსტიტუტის” შექმნის პროგრამა. ამ ინსტიტუტთა მიზანია ჩინური კულტურისა და ენის გავრცელება.

“მშვიდობიანი აღზევების” სტრატეგიის შედეგად ჩინეთი განვითარებად სამყაროშიც იმაღლებს ავტორიტეტს და დასავლეთის თვალშიც იუმჯობესებს იმიჯს. 2005 წელს ჩატარებული გამოკითხვების შედეგად, რომელიც აზიის, აფრიკის, ევროპისა და ამერიკის 16 ქვეყანაში ჩატარდა, 11 ქვეყანაში გამოკითხულთა 50 პროცენტზე მეტმა განაცხადა, რომ ჩინეთის მიმართ დადებითად არის განწყობილი. ეს მაშინ, რომ აშშ-მა ასეთი მაჩვენებელი მხოლოდ ოთხ ქვეყანაში მიიღო. გამოკითხვაში მონაწილეობამიღებულნი შვიდი ევროპული ქვეყნიდან აშშ-ის მიმართ დადებითი განწყობა მხოლოდ პოლონეთში დაფიქსირდა, დანარჩენები კი ჩინეთის მიმართ უფრო დადებითად განწყობილნი გამოდგნენ.

აშშ და ევროპა საერთო დასავლურ ცივილიზაციას მიეკუთვნებიან, რაც პირველს მეორის თვალში თითქოს აპრიორი უნდა აძლევდეს უპირატესობას ჩინეთთან შედარებით, მაგრამ მთელი საქმეც სწორედ ეგ არის, რომ ჩინეთი, რომელიც არ იზიარებს დასავლურ ღირებულებებს და თანაც კომუნისტური პარტიის მიერ იმართება, რბილი და უკონფლიქტო საგარეო პოლიტიკით იგებს.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნატოსა და ჩინეთს რამდენიმე საერთო ინტერესიც გააჩნიათ. კერძოდ, ორივე მხარე მეტად დაინტერესებულია ჩინეთის მეზობლად მდებარე ჩრდილოეთ კორეაში ბირთვული პროგრამის გარშემო არსებული პრობლემის მოგვარებით. ასევე მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ როგორც ნატოს წევრი ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა, ასევე ჩინეთი წარმოადგენენ ენერგორესურსების უმთავრეს იმპორტიორებს, აქედან გამომდინარე ეს ფაქტი განაპირობებს იმას, რომ ორივე მხარემ ნავთობზე მსოფლიო ფასების ზრდის საწინააღმდეგოდ კოორდინირებული პოლიტიკა გაატარონ.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და ერაყი

როგორც უკვე აღინიშნა, 2003 წლის მარტში, ერაყში სამხედრო კომპანია დაიწყო, სახელით “ერაყის თავისუფლება”. აშშ-ის სამხედრო დახმარება გაუწია გაერთიანებულმა სამეფომ, ხოლო თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს დანია და პოლონეთმაც.

როგორც ცნობილია, საომარი მოქმედებები ერაყში დასრულდა 2003 წლის 1 მაისს, მაგრამ ტერიტორიული აქტების განხორციელება კოალიციური ძალების წინააღმდეგ დღევანდელ დღემდე ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ერაყში სამშვიდობო ოპერაციები ავღანეთისაგან განსხვავებით არ ხორციელდება ნატოს ეგიდით, მასში რამდენიმე ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყანა, მათ შორის საქართველო მონაწილეობენ.

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს 2004 წლის 28 მარტის სტამბოლის სამიტზე, წევრმა სახელმწიფოებმა გამოხატეს თავიანთი მხარდაჭერა ერაყში განთავსებული მრავალეროვნული ძალებისადმი. ხოლო გაეროს უშიშროების საბჭოს N1546 რეზოლუციაზე დაყრდნობით ნატო-მ დაიწყო თავისი საწვრთნელი მისია ერაყში (NTM-1 Training Mission-Iraq). შინაარსობრივად იგი არასაომარი ხასიათისაა. მისი უმთავრესი მიზანი ერაყის შეიარაღებული ძალების და უსაფრთხოების სამსახურების გაწვრთნაა.

ნატოს რიგის სამიტზე აღიანსმა გამოხატა თავისი მზადყოფნა ემოქმედა გაეროს 1546-ე რეზოლუციის თანახმად, რომელიც გამოიხატებოდა ერაყის უშიშროების ძალების მხარდაჭერაში.

ნატოს წევრი ქვეყნები აშშ-ის მხარდამხარ აქტიურად იყვნენ ჩართულები ერაყის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში. 2007 წლის იანვრის მონაცემებით ერაყში-ქვეყნის სამხრეთ ნაწილში იმყოფებოდა 7000-მდე ბრიტანელი მებრძოლი. ბრიტანული ბაზების სრულად გაყვანა 2008 წელს არის დაგეგმილი. ბულგარეთს ამ დროისათვის ერაყში ჰყავდა 155 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის 120 მშვიდობისმყოფელი და 35 დამხმარე პერსონალი. მათი მოვალეობა ძირითადად ბაღდადის ჩრდილოეთ ნაწილში ლტოლვილთა ბანაკების დაცვას გულისხმობს. ჩეხეთის რესპუბლიკის 99 მებრძოლი განლაგებულია ქალაქ ბასრას სამხრეთ ნაწილში მდებარე აეროპორტის დასაცავად. დანიას 2007 წლის დასაწყისში ერაყის ტერიტორიაზე 460 მებრძოლი ჰყავდა, რომლებიც პატრულირებას ქალაქ ბასრაში ახორციელებდნენ. რაც შეეხება ესტონეთს, მათი 35-კაციანი რაზმი ამერიკის მოთხოვნის თანახმად ბაღდათში, ძირითადად გამშვებ პუნქტებში იყო განლაგებული და მიმდებარე ტერიტორიის პატრულირებაც მის კომპეტენციაში შედიოდა. ნატოს კიდევ ერთ წევრ ლატვიას 125 ქვეითი, ასევე ძირითადად გამშვებ პუნქტებში ჰყავდა თავმოყრილი. მათ დანიშნულებას პატრულირება და ესკორტი წარმოადგენდა. ლიტვის სამხედრო კონტინგენტი კი ერაყის სამხრეთით, ქალაქ ბასრასთან დანიის კონტინგენტთან ერთად იყო განლაგებული.

ნიდერლანდებს ერაყში ჰყავთ ნატოს მისიის 15 ოფიცერი, პოლონეთს 900 მშვიდობისმყოფელი ბაღდადის ჩრდილოეთში, რუმინეთს 600 ჯარისკაცი. მათი უმეტესობა სამხრეთით, დიდი ბრიტანეთის სამხედრო კონტინენტთან ერთად არის განლაგებული. სამხედრო ოფიცერთა ნაწილი ბაღდათის ჩრდილოეთ ნაწილში მსახურობს. სლოვენია ერაყში 4 სამხედრო ინსტრუქტორი მიავლინა ერაყის ძალოვანების მოსამზადებლად.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ერაყში ამერიკის ოპერაციის მხარდაჭერა მცირდება. ბრუკინგის ინსტიტუტის მონაცემებით, ერაყში 2004 წლის იანვარში ყველაზე მეტი უცხოელი ჯარისკაცი იმყოფებოდა-25,6 ათასი სამხედრო მოსამსახურე. 2007 წლის სექტემბრისთვის მათმა რაოდენობამ 12,3 ათასი შეადგინა. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა განაცხადა, რომ 2008 წლის გაზაფხულისთვის ლონდონი ორჯერ შეამცირებს თავის

კონტინგენტს და 2,5 ათას მოსამსახურემდე დაიყვანს. ამ მომენტისათვის ერაყში 165 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი იმყოფება.

ერაყს ნატოს გეოპოლიტიკაში დიდი როლი ენიჭება რამდენიმე მიზეზის გამო. კერძოდ, ქვეყანა უშუალოდ ესაზღვრება ირანს.

ირანის მესვეურების განცხადებით, ერაყიდან აშშ-ის ჯარების გაყვანის შემთხვევაში, ისინი ყველანაირად მიესალმებიან აშშ-ს ამ პროცესის უმტკივნეულოდ განხორციელებაში. ირანის ხელისუფალთა განცხადებით ირანი დაინტერესებულია ერაყში სტაბილურობით.

ამ რამდენიმე ხნის წინ აშშ-მ ირანი ავღანეთსა და ერაყში რადიკალი ისლამისტების იარაღით მომარაგებაში დაადანაშაულა. აშშ-ს ადმინისტრაციამ ირანს ოფიციალურად დასდო ბრალი ერაყში ექსტრემისტი შიიტური დაჯგუფებების უშუალო მხარდაჭერაში. გარდა ამისა, ამას ემატება 2007 წლის აგვისტოს თვეში ერაყის პარლამენტის სუნიტური ბლოკის ლიდერ აღნან ალ-დულაიმის მიერ გაკეთებული ღია მიმართვა არაბული სახელმწიფოებისადმი, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ირანი აქტიურად ეხმარება შიიტურ ბანდებს ანტისუნიტური სისხლიანი ტერორის წარმოების პროცესში.

ყოველივე ეს ნათლად მიუთითებს, რომ აშშ-ის და ნატოს სხვა ქვეყნების საჯარისო კონტინგენტების ერაყიდან უახლოეს მომავალში გასვლის შემთხვევაში, ერაყში შესაძლოა ირანის პოლიტიკური გავლენა გავრცელდეს. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერაყის მოსახლეობის უმრავლესობას შიიტები შეადგენენ, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ისინი ირანის ხელისუფლების მხარდაჭერით ისარგებლებენ. ასევე აქ გასათვალისწინებელია ერაყის დაშლის საშიშროება სუნიტურ, შიიტურ და ქურთულ ნაწილებად. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ირანი, და იგივე შესაძლოა რუსეთიც დაინტერესებულნი არიან ერაყში არასტაბილურობის შენარჩუნებით, რადგანაც ეს იწვევს აშშ-ის მხრიდან სამხედრო ოპერაციების დასაფინანსებლად დამატებითი სახსრების გამოყოფას, და შესაბამისად აშშ-ის კიდევ უფრო დასუსტებას, და ასევე ერაყში სტაბილურობის დამყარების შემთხვევაში, ქვეყანაში აღორძინდება ნავთობისა და გაზის მრეწველობა, რაც გამოიწვევს ერაყიდან “შავი ოქროს” ექსპორტის ზრდას, ხოლო მსოფლიო ბაზარზე დამატებითი ნავთობის მარაგების მიწოდების შემთხვევაში, ამას მოჰყვება ნავთობზე ფასების შედარებითი დასტაბილურება. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ერაყი ნავთობის დადგენილი მარაგით მსოფლიოში მეორე-მესამე ადგილს იკავებს.

ასევე მნიშვნელოვანია ავღანიშნოთ, რომ ამ კონტექსტში ნატოსთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ერაყში სტაბილურობას.

ნავთობის მარაგებთან დაკავშირებით უნდა ხაზი გაესვას იმას, რომ უახლოეს მომავალში გეოლოგიური დაკვირვების გააქტიურების შედეგად, ერაყში ნავთობის მარაგებმა, შესაძლოა 216 მილიარდ ბარელს მიაღწიოს. ტრადიციულ რაოდენობასთან შედარებით ეს ორჯერ მეტია. ამ ეტაპზე მიიჩნევენ, რომ ერაყში ნავთობის მარაგები 116 მილიარდი ბარელია. 2003 წელს ერაყში აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ძალების შეჭრის მომენტიდან, ქვეყნის გეოლოგიური რუკის პირველი ანალიზის ფარგლებში, დამოუკიდებელმა სპეციალისტებმა კიდევ 100 მილიარდი ბარელი აღმოაჩინეს.

შედეგად ერაყმა, შესაძლოა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (ოპეკი) ქვეყნებს შორის მეორე ადგილი დაიკავოს და ნავთობის მარაგების ოდენობის მიხედვით ირანსაც გაუსწროს. ექსპერტების შეფასებით, უახლოესი ხუთი წლის მანძილზე ერაყს შეუძლია გაზარდოს ნავთობის

მოპოვება დღე-ღამეში 4 მილიონ ბარელამდე. დღეისთვის, ერაყი დღე-ღამეში დაახლოებით 2 მილიონ ბარელ ნავთობს აწარმოებს.

შესაბამისად ამ მხრივ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის ამ ქვეყნის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. თუმცა, სტაბილურობის მხრივ ერაყს უდიდესი საფრთხე არა მხოლოდ ერაყიდან, არამედ თურქეთიდანაც ემუქრება. თურქეთმა რამდენჯერმე დასდო ბრალი ვაშინგტონს, რომ ეს უკანასკნელი არაფერს არ აკეთებს ჩრდილოეთ ერაყში ქურთისტანის მუშათა პარტიის სამხედრო აქტივობათა აღაგმვის თვალსაზრისით, რაც სულ უფრო რეალურს ხდის რეგიონში თურქეთის სამხედრო შეჭრას, რასაც შედეგად შეიძლება ის მოჰყვეს, რომ თურქი სამხედროები არა მხოლოდ ქურთ მეზობლებს, არამედ ამერიკელ ჯარისკაცებსაც შეეღებონ. 2007 წლის 10 აპრილს ანკარამ მოუწოდა ბაღდათს, სასწრაფო ზომები გაატაროს ქურთ აჯანყებულთა წინააღმდეგ, რომელნიც თავისუფლად გადაადგილდებიან ერაყისა და თურქეთის ქურთულ ტერიტორიებს შორის და თურქეთის უსაფრთხოებას სერიოზულ პრობლემას უქმნიან. როგორც ცნობილია, უკვე 2007 წლის ბოლოს თურქეთმა უფრო რადიკალური ნაბიჯები გადადგა და ერაყის ჩრდილოეთი პროვინციები რამდენჯერმე დაბომბა.

ირანი და ნატო

როგორც ცნობილია, უკანასკნელი წლების განმავლობაში საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში აქტიურად მუშაობს ირანთან დაკავშირებული ბირთვული პროგრამა, რომელიც რა თქმა უნდა მოქცეულია ნატოს ინტერესებშიც.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ნატოს რიგის სამიტზე მიღებული დეკლარაციაში ირანის ბირთვულ პროგრამას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. ამ მხრივ ნატოს მიერ მიღებულ დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ ირანის ბირთვული პროგრამა წარმოადგენს საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობისათვის. ამის გათვალისწინებით ნატომ მოუწოდა ირანს, რომ ამ ქვეყანას თავისი ბირთვული პროგრამის განხორციელების პროცესში აქტიურად უნდა ეთანამშრომლა ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოსთან. ამავე დროს ნატომ იმედი გამოთქვა, რომ ირანი, ისევე როგორც ჩრდილოეთ კორეა, სრულად გაითვალისწინებდნენ დასავლეთის მხრიდან არსებულ მოთხოვნებს.

შესაბამისად ალიანსმა მოუწოდა ირანს, რომ ამ უკანასკნელს შეესრულებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1540-ე რეზოლუცია.

მიუხედავად ამისა, რომ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტომ 2007 წლის თებერვალში მოამზადა ახალი მოხსენება ირანთან დაკავშირებით, ამ დოკუმენტმა ახალი და დამაიმედებელი არაფერი შესთავაზა მსოფლიო საზოგადოებას: ირანი წარმატებით აგრძელებს თავის ბირთვულ პროგრამას. ცხადია, ამავე დროს ირანი ირწმუნება, რომ ეს პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება. თუმცა ეს განცხადებები დიდ რწმენას არ აღძრავს, მითუმეტეს, რომ ირანელთა ლიდერი ერთობ ხშირად იმუქრება “ისრაელის მიწის პირიდან აღგვით”. ამ საქმეს ასევე ართულებს ის ფაქტი, რომ ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოსვლა არ ხერხდება. თუკი ნატოს წამყვანი სახელმწიფოები-აშშ, გერმანია, ბრიტანეთი და საფრანგეთი მკაცრი სანქციების შემოღებას ითხოვენ, რუსეთი და ჩინეთი ირანის მიმართ რბილ პოლიტიკას ქადაგებენ. მეტიც, რუსეთი შემოფოთებულია ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღების შესახებ სულ უფრო მზარდი მუქარით და საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას ითხოვს. ამის შესახებ 2007 წლის სექტემბერში განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა.

რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყება ახალი სანქციების შემოღებას არ ეთანხმება. თავის ფრანგ კოლეგასთან, ბერნარდ კუშნერთან შეხვედრის დროს ლავროვმა განაცხადა, რომ “რუსეთი შემფოთებულია სულ უფრო გახშირებული ინფორმაციით იმის თაობაზე, რომ სერიოზულად განიხილება ირანის წინააღმდეგ სამხედრო სანქციების გატარების საკითხი. ძნელი წარმოსადგენია, რა შეიძლება ამას მოჰყვეს რეგიონისათვის”.

ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის რუსეთ-ირანის კავშირი დიდ პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია რუსეთში კარგად ესმით, თუ რა საშიშროებას წარმოადგენს მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და ისიც, რომ რუსეთში კარგად იციან, რომ ირანი მათთან ახლოსაა და როცა ასეთი მეზობელი ბირთვულ იარაღს იძენს, ცხოვრება სულაც არ ხდება იოლი-პირიქით. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ასევე გავაანალიზოთ სხვა ასპექტებიც, რომლებიც რუსეთს ირანთან მიმართებაში სხვა მიმართულებით ურთიერთობების დამყარებისაკენ უბიძგებს, კერძოდ:

- რუსეთისთვის ირანთან თანამშრომლობას ბირთვულ სფეროში დიდძალი ფინანსური მოგება მოაქვს. ირანზე ამ საკითხში ზეწოლა ამ მოგებაზე უარის თქმას ნიშნავს. ანუ, ამ შემთხვევაში საქმე არა იმდენად პოლიტიკას, არამედ კომერციას ეხება. ასევე რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ირანთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობას, რადგანაც რუსეთის შეიარაღების მნიშვნელოვანი ნაწილი ირანში იყიდება;

- ირანის გარშემო გაურკვეველი ვითარების შექმნა რთულ მდგომარეობაში აყენებს აშშ-ს, რომელიც ზესახელმწიფოს როლში თავს მოვალედ გრძნობს, დაიცვას წესრიგი და თუკი ამისთვის საჭირო გახდება, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებას წინ აღუდგეს. ერაყში მძიმე ვითარების შექმნის შემდეგ პაციფისტური განწყობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით კიდევ უფრო გაიზარდა და ეს კი აშშ-სა და ზოგიერთი ნატოელი მოკავშირის (მაგალითს ბრიტანეთის) პრესტიჟს საგრძნობლად დასცემს. გარდა ამისა, ირანთან ომს ნავთობზე ფასების კიდევ უფრო ზრდა მოჰყვება, რაც რუსეთს ხელს აძლევს. ირანზე დარტყმით, კიდევ უფრო გაიზრდება ანტიამერიკული და ანტი-ნატოური აგრესია ისლამური სამყაროს დიდ ნაწილში;

- ამავე დროს ირანის ირგვლივ არსებული გაურკვეველობა იწვევს ნავთობზე მაღალი მსოფლიო ფასების შენარჩუნებას, რაც საგრძნობლად ზრდის რუსეთის საბიუჯეტო შემოსავლებსა და სავალურო რეზერვებს. ბოლო მონაცემებით, რუსეთის სავალურო რეზერვებმა 500 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

- ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ რუსეთისა და ირანის კოორდინირებული პოლიტიკით ნავთობის ექსპორტის სფეროში, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ქვეყანა ცდილობს “გაზის ოპეის შექმნას”, ნატოს წევრი ქვეყნების ენერგოუსაფრთხოება სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთი და ირანი გაზის მარაგებით მსოფლიოში პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებენ;

- ორივე ქვეყანას ხელს აძლევს დაძაბულობა ერაყში და მთლიანად ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რადგანაც არასტაბილურობა ერაყში არ აძლევს ამ უკანასკნელს განავითაროს თავისი სანავთობო სექტორი და შესაბამისად უფრო მეტი მოცულობის ნავთობი გაიტანოს მსოფლიო ბაზარზე, რაც შედარებით დაარეგულირებდა მსოფლიო ფასებს ნავთობზე და შეაჩერებდა “შავ ოქროზე” ფასების ზრდას.

თავისი მიზნების მისაღწევად ირანი კარგად იყენებს ტერორისტულ ორგანიზაციებს. ასევე არ არის გამორიცხული, რომ ირანი დახმარებას უწევდეს თაღიბებს ნატოს ძალებთან საბრძოლველად, მიუხედავად იმისა, რომ ავღანეთში თაღიბების მმართველობის პერიოდში ირანს მეტად დაძაბული

ურთიერთობა გააჩნდა მოძრაობა “თალიბანის” წარმომადგენლებთან. ირანის მესვეურები კარგად აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ რომ ერაყში და ავღანეთში სტაბილურობა ძალზე უარყოფითად იმოქმედებს ირანის რადიკალური რელიგიური ლიდერების შესაძლებლობებზე. გაძლიერდება აშშ-სა და ნატოს პოლიტიკური გავლენა რეგიონზე, ასევე აღმოსავლეთით პროდასავლური ავღანეთი, დასავლეთით რეფორმირებული ერაყი რთულ გეოპოლიტიკურ გარემოში მოაქცევენ ირანს.

ამავე დროს, ირანის პრობლემის გადაჭრა ნატოსთვის და მთლიანად დემოკრატიული სამყაროსათვის მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს. კერძოდ, ამ მხრივ აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტორი:

- რუსეთისა და ჩინეთის არაკონსტრუქციული ქმედებების შედეგად გაეროს უშიშროების საბჭოში ჭიანჭურდება ირანისათვის მკაცრი მოთხოვნების წამოყენება და შესაბამისი სანქციების შემოღება;

- იგივე ეკონომიკური სანქციების შემოღებამაც შეიძლება ვერ გაამართლოს. მაგალითად ირანისთვის ნავთობის ექსპორტის მოცულობის შეზღუდვა, (როგორც ეს ხდებოდა ჰუსეინის ერაყთან დაკავშირებით მისი რეჟიმის დამხობამდე, როდესაც ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა მხოლოდ 2 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტი მოეხდინა) - შესაძლოა ნავთობზე მსოფლიო ფასების კიდევ უფრო ზრდა გამოიწვიოს;

- ასევე ცნობილია, რომ ირანს გააჩნია ნავთობის და გაზის დიდი მარაგი. მაგალითად, ირანი ფლობს მსოფლიო ნავთობის მარაგის 9%-ს და გაზის მსოფლიო მარაგის 16%-ს. მარტო 2006 წელს ირანმა ენერგეტიკული რესურსების ექსპორტის შედეგად 54 მილიარდი დოლარის მოგება მიიღო;

რაც შეეხება ირანის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების წარმოებას აშშ-ის და მისი ნატოელი მოკავშირეების მიერ, როგორც ეს მოხდა ერაყში, აქაც ერაყისგან განხვავებით მეტად რთული იქნება ასეთი სახის ოპერაციების ჩატარება რაც გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით, კერძოდ:

- სავარაუდოა რომ ნატოს ევროპელი მოკავშირეების უმრავლესობამ უარი განაცხადოს თავიანთი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნაზე ირანში;

- ირანის ეკონომიკა გაცილებით უფრო განვითარებულია ერაყთან შედარებით, რადგან ამ უკანასკნელს გაეროს მიერ 90-იანი წლების დასაწყისში შემოღებული სანქციების გამო აშშ-სთან ომის პერიოდში მეტად მწირი ფინანსური რესურსები გააჩნდა;

- ირანს ერაყთან შედარებით გაცილებით უფრო დიდი ტერიტორია გააჩნია, იგი აღემატება 1 მილიონ კვადრატულ კილომეტრს და აშშ-ის ძალების ირანში შეჭრის შეთხვევაში გაჭირდება ამხელა ტერიტორიის კონტროლი;

- ირანის მოსახლეობა აღემატება 60 მილიონ კაცს, შესაბამისად მობილიზაციის შემთხვევაში ირანს შეუძლია მოახდინოს უდიდესი რაოდენობის ადამიანური რესურსის კონცენტრაცია;

- ირანის ხელისუფლებას მოსახლეობასა და არმიაში უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, რაც ნათლად გამოიხატა საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როდესაც მოსახლეობის უმეტესობამ მხარი სწორედ აჰმადინეჯადს დაუჭირა. შესაბამისად ეს აისახება ირანის არმიის ბრძოლისუნარიანობაზე. ამავე დროს იგივე 2003 წლის ერაყში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საყოველთაო ეკონომიკური გაჭირვების პირობებში იყო ჰუსეინის წინააღმდეგი, ეს კი აისახებოდა ჯარის დაბალ ბრძოლისუნარიანობაზე, სადაც ჰუსეინს გააჩნდა დაბალი ავტორიტეტი;

- ირანს ჰყავს ბევრად უფრო ძლიერი არმია შეიარაღების და რაოდენობრივი თვალსაზრისითაც. მაგალითად, ირანის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალებისა და ლოჯისტიკის გათვალისწინებით ჰყავს 545 ათასი სამხედრო მოსამსახურე, და მისი სამხედრო ხარჯები 2005 წლის მონაცემებით

აღემატებოდა 6 მილიარდ 300 მილიონ აშშ დოლარს, რაც შეადგენდა ირანის მთლიანი შიდა პროდუქტის 3,5%-ს. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საყოველთაო მობილიზაციის შემთხვევაში ირანს შეუძლია გამოიყვანოს 12 მილიონ 285 ათასი რეზერვისტი. ირანის შეიარაღებაზე ირიცხება 200-ზე მეტი სამხედრო თვითმფრინავი და ვერტმფრენი, 2080 ტანკი.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით აშშ-სა და ნატოს ირანის წინააღმდეგ შეუძლია გაატაროს შემდეგი პოლიტიკა:

- უზრუნველყოს სტაბილურობა ირანის ტერიტორიის ირგვლივ. პირველ რიგში ერაყში, და ამ შემთხვევაში თუ ერაყი დადგება მშვიდობიანი განვითარებისა და ნავთობის ექსპორტის გზაზე, ერაყის პროგრესით გაგულისებული ირანელი რეფორმისტები მოძლიერდებიან და რადიკალური ისლამის პოზიციები ირანში შესუსტდება;

ასევე მნიშვნელოვანია ირანის გარშემო სხვა სახელმწიფოების გაძლიერებაც. ამ მხრივ მაგალითად საყურადღებოა აღინიშნოს, რომ უახლოეს მომავალში შეერთებული შტატები, ირანის საგრძნობი შესუსტების მიზნით, ნავთობით მდიდარ ხუთ არაბულ სახელმწიფოს 60 მლრდ. აშშ დოლარის შეიარაღებას მიაწვდის;

- რაც შეეხება ნატოს ევროპელი მოკავშირეების მონაწილეობას ირანთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაში, აქ შესაძლებელია რომ ევროპამ ირანს შესთავაზოს ამ ქვეყნის ენერგეტიკულ პროექტებში ჩართვა ბირთვული პროგრამის შეჩერების სანაცვლოდ. კერძოდ დღეს განხილვის სტადიაშია ირან-თურქეთის დამაკავშირებელი გაზსადენის პროექტის განხორციელება, რომლის მიხედვითაც ირანული ნავთობი და გაზი ევროპაში შავი ზღვის გვერდის ავლით უნდა შევიდეს. თურქეთის მთავრობის ინფორმაციით, ირანს თურქეთისა და საბერძნეთის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენებით დასავლეთ ევროპის ენერგორესურსებით მომარაგება შეუძლია. ასევე თურქეთის ხელისუფალთა განცხადებით, თურქეთი მზად არის საამისოდ 2 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განახორციელოს და ირანული ენერგორესურსები ევროპას მიაწოდოს.

გარდა ამისა ასევე განიხილება საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ ევროკომისია ამუშავებს კიდევ ერთ პროექტს, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირი განიხილავს საკითხს, თურქმენული გაზის ევროპისათვის ირანის გავლით მიწოდების თაობაზე. ამ მხრივ პროექტის გადამწყვეტ ეტაპზე შესაძლებელი იქნება ევროპაში ირანის გავლით 16 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაზი იქნეს იმპორტირებული.

ყოველივე ამისათვის კი შესაძლებელია ალიანსის ევროპელ მოკავშირეებსა და ირანს შორის გარკვეული გარიგება დაიდოს, როგორც ეს მოხდა ჩრდილოეთ კორეის შემთხვევაში.

ნატოს ურთიერთობა აფრიკასთან

მიუხედავად იმისა, რომ ნატო ბოლო პერიოდამდე აქტიურად არ ერთვებოდა აფრიკაში მიმდინარე პროცესებში, უკვე რიგის სამიგზე მიღებულ დეკლარაციაში ალიანსმა თავისი შემოფოტება გამოთქვა კონტინენტზე არსებულ კონფლიქტებთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნულ იქნა დარფურის პროვინციაში (სუდანი) არსებული მდგომარეობა და ჰუმანიტარული სიტუაციის გამწვავება ამ ქვეყანაში. ამ მხრივ ნატო მიესალმა გაეროსა და აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის წარმომადგენელთა შეხვედრას 2006 წელს ადის-აბებაში, რომელიც სუდანში სამშვიდობო ოპერაციების ჩატარებას მიჰდგნა.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა გამოთქვა თავისი მხარდაჭერა აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის მისიასთან დაკავშირებით და გამოთქვა თავისი მზადყოფნა აწარმოოს და გააფართოოს კონსულტაციები ამ რეგიონალურ კავშირთან მხარდაჭერის გაფართოების მიზნით. ალიანსი აპირებს კოორდინირებულ ქმედებების განხორციელებას. გარდა ამისა, ნატო აპირებს განახორციელოს კოორდინირებული მოქმედებანი სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე ყველა მხარესთან, მათ შორის აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციასთან, გაეროსთან და ევროკავშირთან. ეს გეგმა ასევე ითვალისწინებს მისიის მხარდაჭერის შესაძლებლობას ავიაციით და ტრეინინგ პროგრამების ჩატარებით. ამრიგად, შესაძლებელია, რომ მომავალში ნატოს ძალები აფრიკაშიც ვიხილოთ.

ამასთანავე, ალიანსის ურთიერთობას აფრიკის კონტინენტთან განსაზღვრავს ხმელთაშუაზღვის დიალოგი, რომელშიც როგორც უკვე ავღნიშნეთ გაწევრიანებულები არიან აფრიკის შემდეგი სახელმწიფოები: ეგვიპტე, მავრიტანია, მაროკო, და ტუნისი. ამ ეტაპზე ნატოს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარებს აფრიკის რეგიონიდან წარმოდგენილი სხვადასხვა სპეციალისტების მიერ რიგ სამეცნიერო და პრაქტიკული კურსებში აქტიური ჩართვა.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბოსნიაში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში ნატოს სამშვიდობო კონტინგენტში ჩაერთვნენ ეგვიპტისა და მაროკოს სამშვიდობო კონტინგენტები.

ნატოს ურთიერთობა ლათინურ ამერიკასთან

მიუხედავად იმისა, რომ ალიანსის ურთიერთობა ლათინური ამერიკის ქვეყნებთანაც ნაკლებად ინტენსიურად ვითარდება, მჭიდრო ურთიერთობების დამყარება ამ რეგიონის სახელმწიფოებთანაც ნატოსთვის მეტად მნიშვნელოვანია. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ნატოს შტაბ-ბინაში შედგა რამდენიმე მაღალჩინოსნის ვიზიტი ბრაზილიიდან, არგენტინიდან, ჩილეიდან.

ასევე საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბოსნიაში ნატოს სტაბილიზაციის ძალების შემადგენლობაში თავისი სამშვიდობო კონტინგენტი მიავლინა არგენტინამ, ხოლო ერაყში ნატოს წევრი ქვეყნების სამშვიდობო ძალების მხარდამხარ თავიანთ სამხედრო მოვალეობას იხდის 380 ჯარისკაცი საღვადორიდან. ისინი ჰუმანიტარულ მისიას ახორციელებენ ქალაქ ჰილაში.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები ერთმანეთისგან მკვეთრად განხვავდება. კერძოდ, თუ ისეთი ქვეყნები როგორებიცაა არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი - პროდასავლურ პოლიტიკას ატარებენ, დასავლეთისთვის და შესაბამისად ნატოსთვის სულ უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს ნავთობითა და გაზით მდიდარი ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის პოლიტიკა, რომელიც ცდილობს კავშირურთიერთობების განმტკიცებას ანტიდასავლურ ძალებთან ლათინურ ამერიკაში, მაგალითად კუბაში კასტროს რეჟიმთან, ასევე ეკვადორთან და ანტიდასავლურ ძალებთან სხვა კონტინენტებზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს უგო ჩავესის ვიზიტები რუსეთში და ბელორუსში. პუტინთან შეხვედრის დროს გადაწყდა ვენესუელისთვის სხვადასხვა სახის შეიარაღების მიწოდება.

ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის ვიზიტი ლათინურ ამერიკაში 2007 წლის იანვარში, როდესაც ირანის პრეზიდენტი ჯერ ვენესუელას ეწვია, შემდეგ ნიკარაგუას და ბოლოს კიტოში ეკვადორის ახლადარჩეული პრეზიდენტის კურთხევას დაესწრო. მისი

ტურნეს უმნიშვნელოვანეს მოვლენად ანტიამერიკული ფონდის შექმნა იქცა, რის თაობაზეც ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ლათინოამერიკული ქვეყნების ლიდერებთან. კარაკასი და თეირანი შეთანხმდნენ, რომ გამოყოფენ ორ მილიარდ დოლარს, ყოველივე იმის დასაფინანსებლად, რაც მსოფლიოში აშშ-ის პოზიციებს ეწინააღმდეგება.

როგორც ჩავესის გვერდით მდგომმა აჰმადინეჯადმა მიანიშნა, არ არის გამორიცხული, კარაკასისა და თეირანს უკან სხვა, უფრო მსხვილი მოთამაშეებიც იდგნენ. “ჩვენ ყველა იმ ძალის მხარდაჭერისა გვეიმედება, ვისაც ლათინურ ამერიკაში, აზიასა და აფრიკაში თავისი ინტერესები აქვს.” რა თქმა უნდა არ არის გამორიცხული, რომ აჰმადინეჯადი ამ “დაინტერესებულთა” შორის უწინარესად რუსეთსა და ჩინეთს გულისხმობდა(58).

აღსანიშნავია, რომ ვენესუელამ და ირანმა, აფრიკულ სახელმწიფოებთან ლიბიასა და ალჟირთან ერთად გარკვეული პრობლემა შეუქმნან ნატოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ ნატოს ევროპელი მოკავშირეები გაზზე თავიანთი მოთხოვნების 27%-ს ალჟირიდან იმპორტირებული აირით იკმაყოფილებენ, ხოლო ნავთობზე მოთხოვნის 10%-ს ლიბიიდან, ხოლო 6,55%-ს ირანიდან მიღებული ნავთობით. აშშ ნავთობის ერთ-ერთი მთავარი იმპორტიორი ვენესუელაა, საიდანაც აშშ მისი ნავთობზე მოთხოვნების 10%-ს იკმაყოფილებს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ყველა ეს ზემოჩამოთვლილი სახელმწიფო არის ოპეკ-ის წევრი, ხოლო ირანს, ვენესუელას, ალჟირს და ლიბიას განზრახული აქვთ ე.წ. “გაზის ოპეკის” შექმნა, ნათელია, რომ ამ ქვეყნების კოორდინირებულ მოქმედებებს იგივე ენერგეტიკულ სფეროში შეუძლია გარკვეული პრობლემა შეუქმნას ნატოს.

ლათინური ამერიკის რიგი სახელმწიფოების რუსეთთან, ისლამურ სამყაროსთან და აფრიკის ქვეყნებთან ურთიერთობების ფონზე, სადაც ერთმანეთთან სხვადასხვა ცივილიზაციების წარმომადგენლები თანამშრომლობენ, შესაძლებელია, გარკვეულწილად ყურადღება გავამახვილოთ ამერიკელი მეცნიერის, სამუელ ჰანტინგტონის მოსაზრებაზე მის წიგნში “ცივილიზაციათა შეჯახება”, სადაც მეცნიერი აღნიშნავს, რომ “კონტინენტური ძალების უკანასკნელი საყრდენის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მთელ მსოფლიოში ატლანტიზმის თვალსაჩინო გეოპოლიტიკური გამარჯვება სინამდვილის მხოლოდ ზედაპირული მხარეა. ნატოს სტრატეგიული წარმატება, თანმხლები იდეოლოგიური გაფორმებით – მთავარ, დაპირისპირებულ კომუნისტურ იდეოლოგიაზე უარის თქმა, არ ეხება ღრმა ცივილიზაციურ შრეებს”(59). ჰანტინგტონი ამტკიცებს, რომ სტრატეგიული გამარჯვება არ ნიშნავს ცივილიზაციურ გამარჯვებას; დასავლური იდეოლოგია – ლიბერალური დემოკრატია, ბაზარი და ა.შ.-უაღტერნატივოა მხოლოდ დროებით, ვინაიდან ძალიან მალე არადასავლური ხალხები ერთმანეთთან შეკავშირებით გამოავლენენ თავიანთ ცივილიციურ და გეოპოლიტიკურ გამოვლინებებს. შესაბამისად მეცნიერი ამტკიცებს, რომ დასავლეთის პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს შემდეგ ფორმულირებას: “The West and The Rest”. (“დასავლეთი და დანარჩენები”).

ჰანტინგტონს მიაჩნია, რომ ატლანტიზტებმა ყოველმხრივ უნდა გააძლიერონ საკუთარი ცივილიზაციის სტრატეგიული პოზიციები.

ნატოს ენერგოუსაფრთხოების პრობლემები

როგორც ავღნიშნეთ, 2006 წლის ნოემბერში ნატოს ეკონომიკურმა კომიტეტმა ალიანსის წევრებს მოსალოდნელუი გართულებების შესახებ სპეციალური

კონფიდენციალური მოხსენებით აცნობა. მოხსენებაში აღწერილ იქნა “ოპეკის” ტიპის ბუნებრივი აირის ახალი ალიანსი.

“ახალი ალიანსის შექმნის მიზეზი პოლიტიკურია. რუსეთი შეეცდება ენერგომარაგი ევროპაზე ზეწოლისა და პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს.” – განაცხადა ნატოს ექსპერტმა.

ენერგოდამოკიდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია ევროპისთვის. 2007 წელს ნატოს ევროპის სახელმწიფოებში მოხმარებული ენერჯის უდიდესი ნაწილი იმპორტირებული იყო. 2004 წელს ევროპის მოთხოვნა ნავთობის იმპორტზე დაახლოებით 92,4%, ხოლო ბუნებრივ აირზე 74,9%-ს შეადგენდა. ევროკომისიის ბოლო მონაცემებით ევროპაში ნავთობის უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანა რუსეთია, რომელზეც საერთო იმპორტის 25,92% მოდის. რაც შეეხება საუდის არაბეთს, მასზე მოდის 12,78%. აგრეთვე ევროპისთვის ნავთობის მნიშვნელოვანი ექსპორტიორები არიან ლიბია (9,55%), ირანი (6,55%), ერაყი (2,64%). მთლიანად ახლო აღმოსავლეთზე მოდის ნავთობის ექსპორტის 28%. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, ძირითადი ექსპორტი მოდის სამ ქვეყანაზე. რუსეთი აქაც პირველია ექსპორტიორების სიაში – 44%, ალჟირი (27%).

რაც შეეხება ნატოს ევროპელი სახელმწიფოების მიერ გაზის და ნავთობის საკუთარ წარმოებას, აქ აღსანიშნავია, რომ ნორვეგია აკმაყოფილებს ნატოს წვერი ევროპის სახელმწიფოების 20%-ს ნავთობზე და 24%-ს გაზზე.

ამერიკისთვის იმპორტის მაჩვენებლები ევროპელ მოკავშირეებთან შედარებით დაბალია. 2004 წელს ამერიკის მიერ მოხმარებულ ნავთობში იმპორტის წილი 63% იყო, ხოლო ბუნებრივ აირში 18%. 2002 წელს აშშ-ის ნავთობის მხოლოდ 30% იყო არაბული ქვეყნებიდან. მომდევნო წლებში ამ მაჩვენებელმა კიდევ უფრო დაიწია და დღეს მხოლოდ 15%-ს შეადგენს. ამერიკის მთავრობის ენერჯეტიკის დეპარტამენტის ბოლო მონაცემებით, ამერიკაში ნავთობის უმსხვილესი ექსპორტიორი ნატოს წვერი კანადაა (18%), შემდეგ მექსიკა (16%), ნიგერია (13%), საუდის არაბეთი (12%), ვენესუელა (10%). სპარსეთის ყურის დანარჩენი ქვეყნები: ერაყი (5%), ქუვეითი (2%), ლიბია (2%), რუსეთი (2%). რაც შეეხება ბუნებრივ გაზს, ძირითადი ექსპორტიორები არიან კანადა 88%, ტრინიდადი (7%), ნიგერია (3%).

თავი V ნატოს პოლიტიკა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი

ჩრდილოატლანტიკური საბჭო

ჩრდილოატლანტიკური საბჭო, რომელსაც ასევე უწოდებენ “ნატოს საბჭოს” ალიანსის ფარგლებში ფლობს რეალურ პოლიტიკურ ძალაუფლებასა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებას. საბჭოში გაწევრიანებულია ნატოს ყველა სახელმწიფო. მასში შედიან ალიანსის წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლები, რომელთა ინიციატივითაც არანაკლებ კვირაში ერთხელ ტარდება საბჭოს სხდომები. ნატოს საბჭოს სესიები ტარდება უფრო მაღალ დონეზეც, კერძოდ საგარეო საქმეთა მინისტრებისა ან თავდაცვის მინისტრების მონაწილეობით, მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებანი და უფლებები რჩება იგივე, ხოლო საბჭოს ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებს გააჩნიათ ერთი და იგივე სტატუსი და იურიდიული ძალა მისი წარმომადგენლობების დონის მიუხედავად.

საბჭოს საქმიანობა მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ფართო საზოგადოების დიდ ყურადღებას იზიდავს, და ამ მიზნით საბჭოს მიერ სისტემატურად ვრცელდება სხვადასხვა განცხადებები ან კომუნიკე, რომელთა მეშვეობითაც წევრი და პარტნიორი ქვეყნების მთავრობებსა და საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია საბჭოს ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

საბჭო წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური კავშირის ერთადერთ სტრუქტურას, რომლის უფლებამოსილებაც განისაზღვრება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით. ხელშეკრულების მიხედვით, საბჭო პასუხისმგებელია საჭიროების შემთხვევაში ჩამოაყალიბოს დამხმარე ორგანოები. საბჭოს ფუნქციონირების პერიოდში, მისი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით შექმნილ იქნა მრავალი კომიტეტი და დაგეგმარების ჯგუფები, და აგრეთვე ხელი შეეწყო ისეთ კონკრეტულ სფეროებში საქმიანობის განხორციელებას, როგორცაა სამხედრო დაგეგმვა, ბირთვული დაგეგმარება და სხვა სამხედრო საკითხები.

ამრიგად, ჩრდილოატლანტიკური საბჭო წარმოადგენს უნიკალურ ფორუმს ფართო კონსულტაციების ჩასატარებლად წევრ-სახელმწიფოებს შორის ყველა იმ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია ამ სახელმწიფოების უსაფრთხოებასთან. აგრეთვე, საბჭოა ის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურა, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები ნატოს ფარგლებში. ნატოს ყველა წევრი სახელმწიფო სარგებლობს ხმის ერთნაირი უფლებით და შესაბამისად საბჭოს თითოეულ წევრს აქვს უფლება გამოთქვას თავისი მოსაზრება ამ სტრუქტურის ფარგლებში ჩატარებული სხდომების დროს. მისი გადაწყვეტილებები მიიღება საერთო თანხმობის პრინციპით და გამოხატავს ნატოს წევრი სახელმწიფოების კოლექტიურ ნებას. ყველა წევრი ქვეყანა მონაწილეობას ღებულობს პოლიტიკის შექმნაში, რომლის შემუშავება ხორციელდება ჩრდილოატლანტიკურ საბჭოში ან მისი ხელმძღვანელობის ქვეშ და ხელს უწყობს კონსენსუსის ფორმირების პროცესს, რომელიც გადაწყვეტილებათა მიღების უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩრდილოატლანტიკურ საბჭოში ალიანსის თითოეული წევრი ქვეყანა წარმოდგენილია მუდმივი წარმომადგენლით ელჩის დონეზე. მუდმივი წარმომადგენლების შემადგენლობით ნატოს საბჭოს სხდომებს ხშირად ეწოდება “ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მუდმივი სესია”. წელიწადში ორჯერ, ხანდახან კი უფრო ხშირად, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს

სხდომები ტარდება მინისტრების დონეზე, როდესაც თითოეული ქვეყანა წარმოდგენილია საგარეო საქმეთა მინისტრით. ნატოს საბჭოს სესიები ასევე ტარდება თავდაცვის მინისტრთა დონეზე. უმაღლესი დონის შეხვედრები სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა დონეზე ტარდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს.

საბჭოს სესიებზე თავმჯდომარეობს ნატოს გენერალური მდივანი, ხოლო მისი არყოფნის პერიოდში მისი მოადგილე.

საკითხები, რომლებიც განიხილება ნატოს საბჭოს სხდომებზე და მასზე მიღებული გადაწყვეტილებები მოიცავს ალიანსის საქმიანობის ყველა ასპექტს და ხშირად ეფუძნება კომიტეტებში მომზადებულ რეკომენდაციებს. მუდმივი წარმომადგენლები მოქმედებენ თავიანთი ქვეყნების დელაქალაქებიდან მიღებული ინსტრუქციების შესაბამისად, რომელთა მიღების შემდეგაც ელჩები უზიარებენ თავიანთ კოლეგებს ნატოში თავიანთი ქვეყნების მთავრობების პოზიციას ამა თუ იმ საკითხის გარშემო.

როგორც აღინიშნა, გადაწყვეტილებები მიიღება საერთო თანხმობის საფუძველზე. ნატო-ში არ არსებობს პროცედურები გადაწყვეტილების უმრავლესობის პრინციპით მიღების შესახებ.

საბჭოს მუშაობის პროცესი მზადდება შესაბამისი კომიტეტების მიერ, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ალიანსის პოლიტიკის კონკრეტულ მიმართულებებზე. ამ სამუშაოების უდიდესი ნაწილი ითვალისწინებს მთავარი პოლიტიკური კომიტეტის მონაწილეობას. კონკრეტული საკითხიდან გამომდინარე, საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას იღებენ შესაბამისი ეროვნული ექსპერტები. მთავარი პოლიტიკური კომიტეტის კომპეტენციაში შედის განცხადებებისა და კომუნიკაციების მომზადება, რომლებიც მიიღება საბჭოს მიერ.

როდესაც სესიები იმართება თავდაცვის მინისტრების დონეზე, ან საკითხები თავდაცვასა და სამხედრო სტრატეგიას ეხება, მასში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ სხვა მთავარი კომიტეტების წარმომადგენლებმა, მაგალითად აღმასრულებელმა სამუშაო ჯგუფმა. თუ დღის წესრიგში დგას ფინანსური საკითხები, მაშინ სესიის მომზადებაზე შეიძლება პასუხისმგებლობა აიღოს რესურსების მთავარმა საბჭომ, სამოქალაქო ბიუჯეტის კომიტეტმა, სამხედრო ბიუჯეტის კომიტეტმა, ან ინფრასტრუქტურის კომიტეტმა.

ნატოს საბჭოს სამდივნო ფორმირდება სხვადასხვა განყოფილებების თანამშრომლებისაგან და საერთაშორისო სამდივნოს ქვედანაყოფების წარმომადგენლებისაგან.

სამხედრო დაგეგმვის კომიტეტი

სამხედრო დაგეგმვის კომიტეტი უმეტეს შემთხვევაში მუშაობს მუდმივი წარმომადგენლების შემადგენლობით, მაგრამ არანაკლებ ორჯერ წელიწადში მისი სხდომები იმართება თავდაცვის მინისტრების დონეზე. ის ჩართულია სამხედრო ხასიათის საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც ეხება კოლექტიური თავდაცვის დაგეგმარებას. ამ კომიტეტში წარმოდგენილები არიან ალიანსის წევრი-სახელმწიფოები საფრანგეთის გარდა. სამხედრო დაგეგმვის კომიტეტი განსაზღვრავს ნატოს ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობას. თავისი პასუხისმგებლობის სფეროს ფარგლებში ის სარგებლობს იგივე უფლებებით, რომლითაც სარგებლობს ჩრდილოატლანტიკური საბჭო.

სამხედრო დაგეგმვის კომიტეტის მუშაობა მზადდება რიგი დაქვემდებარებული კომიტეტის მიერ, რომელთაც გააჩნიათ პასუხისმგებლობის კონკრეტული სფერო. კერძოდ, თავდაცვის საკითხების ანალიზის კომიტეტი, რომელიც მეთვალყურეობას უწევს ნატოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის

დაგეგმვის პროცესს და განიხილავს სხვა საკითხებს, რომელიც ეხება გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურას.

ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი

ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრები მონაწილეობას იღებენ სამხედრო დაგეგმვის კომიტეტის მუშაობაში, ატარებენ რეგულარულ სხდომებს ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის ფარგლებში, სადაც ისინი განიხილავენ კონკრეტულ საკითხებს, დაკავშირებულს ბირთვულ ძალებთან. ეს სხდომები მოიცავს საკითხთა ფართო წრეს ბირთვული იარაღის სფეროში, მათ შორის საკითხებს, დაკავშირებულს ბირთვული უსაფრთხოებასთან, ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის სისტემებს, ბირთვული იარაღის კონტროლს და მის გაუზრცვლებლობას. ბირთვული იარაღის სფეროში ალიანსის პოლიტიკა იმყოფება მუდმივი ანალიზის პროცესში.

ჯგუფის სამუშაო პროცესი მზადდება ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის საშტაბო ჯგუფის მიერ, რომელშიც შედიან ეროვნული წარმომადგენლები. საშტაბო ჯგუფი ასრულებს პრაქტიკულ სამუშაოებს, მისი სხდომები იმართება ერთხელ კვირაში.

ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებისა და კონსენსუსის პოლიტიკა

ნატოში სისტემატიურ დონეზე პოლიტიკური კონსულტაციების ჩატარება დაიწყო ალიანსის მიერ პირველივე სხდომის ჩატარებიდან 1949 წლის სექტემბერში. მას შემდეგ, ეს პროცესი იცვლებოდა ახალი რეალობების გათვალისწინებით. პოლიტიკური კონსულტაციების ჩატარების ძირითად ფორუმს წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური საბჭო. მას ხელმძღვანელობს ნატოს გენერალური მდივანი, რომელიც თამაშობს მნიშვნელოვან როლს ნატოს საბჭოს ჩატარების პროცესში და გამოდის მისი მთავარი წარმომადგენლის რანგში როგორც ნატოს პოლიტიკის ოფიციალური პოზიციის გამომხატველი.

რეგულარულ დონეზე კონსულტაციები იწარმოება აგრეთვე სხვა სტრუქტურებშიც, რომლებიც იღებენ თავის უფლებამოსილებას ნატოს საბჭოსგან. მათ შორის პოლიტიკურ კომიტეტში, პოლიტიკის კოორდინაციის ჯგუფში, რეგიონალური ექსპერტების ჯგუფში, სპეციალურ პოლიტიკურ სამუშაო ჯგუფებში, საკონსულტაციო ჯგუფში ატლანტიკური პოლიტიკის სფეროში, და სხვა სპეციალიზირებულ კომიტეტებში, რომლებიც ასრულებენ უშუალო როლს ნატოს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს შორის პოლიტიკური კონსულტაციების პროცესის გამართვების მიზნით. ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ანალოგიურად, ეს ინსტიტუტები თავიანთ სამუშაო პროცესში ეყრდნობიან საერთაშორისო სამდივნოსა და საერთაშორისო სამხედრო შტაბში მიღებულ გადაწყვეტილებებს.

პოლიტიკური კონსულტაციები არ შემოიფარგლება მხოლოდ თემატიკით რომელიც დაკავშირებულია ჩრდილოატლანტიკური ზონის მოქმედების ფარგლებში მიმდინარე პროცესებთან. მოვლენები, რომლებიც ვითარდება ჩრდილოატლანტიკური ზონის ფარგლებს გარეთ სულ უფრო ხშირად ხდება ნატოს ძირითად ინსტიტუტებში ფართო განხილვის საგანი, მაშინაც კი, თუ ნატო უშუალოდ არ მონაწილეობს ამ პროცესებში.

გარდა ამისა, კონსულტაციები არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკური საკითხებით. გარდა ამისა, რეგულარული კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებზე იწარმოება სახელმწიფო-პარტნიორებთან ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში, ასევე რუსეთთან, და უკრაინასთან.

კრიზისების დარეგულირება

ნატოს წევრი სახელმწიფოები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კრიზისების დარეგულირების პროცესს, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა 1999 წელს გამოქვეყნებულ სტრატეგიულ კონცეფციაში, სადაც კრიზისების დარეგულირების საკითხი განიხილება როგორც ნატოს ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა. მასში აღნიშნულია, რომ ევროატლანტიკურ რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, ნატო მზადაა, კონსენსუსის პრინციპის თანახმად, ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-7 მუხლის საფუძველზე ხელი შეუწყოს კონფლიქტების აღმოფხვრას და აქტიური მონაწილეობა მიიღოს კრიზისების დარეგულირებაში. ამ მიზნით ალიანსის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს საერთო თავდაცვითი პოტენციალის შენარჩუნება.

”ცივი ომის” დასრულების შემდეგ ნატოს პოლიტიკა კრიზისების დარეგულირების სფეროში განსაზღვრულ იქნა რისკების ხასიათის ცვლილებებთან. ეს პოლიტიკა დაფუძნებულია სამ ერთმანეთის გამაძლიერებელ ელემენტზე: დიალოგი, თანამშრომლობა პარტნიორ სახელმწიფოებთან და ნატოს კოლექტიური პოტენციალის უზრუნველყოფა.

კრიზისული სიტუაციების აღმოფხვრის პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის გამართულ კონსულტაციებს.

ნატოს მთავარ სტრუქტურებად, რომელთა მიზანია მსგავსი კონსულტაციების გამართვა, წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკური საბჭო და სამხედრო დაგეგმვის კომიტეტი, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან პოლიტიკურ კომიტეტში, პოლიტიკური კოორდინაციის ჯგუფებში, სამხედრო კომიტეტსა და სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის მთავარ კომიტეტში მიღებულ გადაწყვეტილებებს.

გარდა ამისა, ნატო ამ საკითხში მჭიდროდ თანამშრომლობს პარტნიორ სახელმწიფოებთან, ამიტომაც კრიზისების დარეგულირების საკითხი ასევე ჩართულია ნატოს პროგრამა ”პარტნიორობა მშვიდობისათვის” და პარტნიორობის ინდივიდუალური პროგრამების სამუშაო გეგმებში.

თავდაცვითი ასპექტი

ალიანსის თავდაცვითი ასპექტი ”ცივი ომის” შემდეგაც რჩება ნატოს უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად და ხელს უწყობს სტაბილურობის უზრუნველყოფას ევროპაში და კრიზისების დარეგულირების პროცესს.

ნატოს სამხედრო დაგეგმვის პროცესის საფუძველს წარმოადგენს ის მთავარი პრინციპები, რომლებიც წარმოადგენენ კოლექტიური უსაფრთხოების მთავარ საყრდენს, კერძოდ:

წევრი ქვეყნების პოლიტიკური სოლიდარობა, თანამშრომლობის გაფართოება ყველა იმ სფეროში, რომელიც პასუხობს ნატოს ყველა წევრი სახელმწიფოს საერთო ინტერესს; ასევე წევრების ერთობლივი პასუხისმგებლობა შეინარჩუნონ საკმარისი შეიარაღებული ძალები საერთო სტრატეგიისა და პოლიტიკის შენარჩუნების მიზნით.

კოლექტიურ თავდაცვაში თავისი წვლილის შეტანის პროცესში ნატოს წევრები ინარჩუნებენ მოქმედებათა დამოუკიდებლობას. ამის მიუხედავად, ნატოს თავდაცვის სტრუქტურის ხასიათი მოითხოვს ალიანსის წევრების მიერ ალიანსის საერთო მოთხოვნების გათვალისწინებას ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღების დროს. ამიტომაც წევრი ქვეყნები მისდევენ სამხედრო დაგეგმვის დადგენილ პროცედურებს, თავდაცვის პოლიტიკის კოორდინაციის მიზნით.

შეთანხმებული ქმედებები საერთაშორისო სამდივნოს, საერთაშორისო სამხედრო შტაბს, ნატოს სამხედრო ხელმძღვანელი ორგანოების და ნატოს წევრი სახელმწიფოების მიერ მიმდინარეობს ინფორმაციის ყოველწლიური გაცვლის საფუძველზე. ყველა ეს ასპექტი იმყოფება მუდმივი კონტროლის ქვეშ და ხდება მათი დეტალური ანალიზი სამხედრო დაგეგმვის ციკლის თითოეულ ეტაპზე.

1999 წელს ახალი სტრატეგიული კონცეფციის მიღების შემდეგ განისაზღვრა ალიანსის თავდაცვითი პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, ხოლო უფრო კონკრეტული სახელმძღვანელო მითითებები დაგეგმვასთან დაკავშირებით განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრების მიერ წელიწადში ორჯერ დოკუმენტში "მინისტრთა დირექტივა". მასში ჩართულია მითითებანი სამხედრო დაგეგმვის საკითხებზე, კერძოდ, შეიარაღებული ძალების მშენებლობის ასპექტებზე. დოკუმენტში განხილულია პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნიკური და სამხედრო ფაქტორები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ ნატოს სამხედრო ძალების სრულყოფის პროცესში.

გარდა ამისა, ალიანსის სამხედრო გეგმები ყოველწლიურად გადაიხედება თავდაცვის მინისტრების მიერ წარდგენილ "თავდაცვის საკითხების წლიურ ანალიზში."

"სამხედრო დაგეგმვის კითხვარის" გაგრძელების საფუძველზე, ნატოს წევრი სახელმწიფოები ამზადებენ და წარადგენენ ნატოში თავიანთ გეგმებს ხუთწლიან პერიოდზე, შეიარაღებული ძალების მშენებლობისა და თავდაცვაზე გამოყოფილი ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით.

ცალკეული ქვეყნების მიერ წარმოდგენილი კითხვარი განიხილება ერთდროულად როგორც საერთაშორისო სამდივნოს, ასევე ნატოს ხელმძღვანელი სამხედრო ორგანოების მიერ. სამდივნო ამზადებს განყოფილებებს ქვეყნების მიხედვით.

საბოლოოდ, "ქვეყნების მონაცემების" და სამხედრო კომიტეტის შეფასების საფუძველზე, ნატოს სამხედრო დაგეგმვის კომიტეტს წარედგინება საერთო მოხსენება, სადაც მიმდინარეობს თითოეული საკითხის დეტალური ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

ბირთვული პოლიტიკა

ბირთვული სტრატეგიის ცვლილება და ნატოს ძალების მშენებლობა წარმოადგენენ კონკრეტულ მაგალითს იმ მრავალრიცხოვანი პოზიტიური ცვლილებებისა ალიანსის ადაპტაციის გზაზე, რომლებიც განხორციელებულ იქნა უსაფრთხოების სფეროში ახალი რეალობების შექმნის შემდეგ.

"ცივი ომის" დასრულების შემდეგ ალიანსმა მოახერხა რადიკალურად შეეცვალა თავისი საყრდენი ბირთვულ ძალებზე. ნატოს ახალ სტრატეგიაში დაფიქსირებულია ახალი კომპონენტი, რომლის მიხედვითაც უკვე მინიმუმამდეა დაყვანილი ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენება საომარი მდგომარეობის დროს.

ნატოს ბირთვული ძალები ხელს უწყობენ სტაბილურობასა და მშვიდობას ევროპაში. მათი არსებობის წყალობით, ნატოს წინააღმდეგ აგრესიის რისკი მინიმუმამდეა შემცირებული.

ახალი რეალობების გათვალისწინების შედეგად, 1991 წლიდან ნატომ დაიწყო თავისი ბირთვული პოტენციალის თანდათანობითი შემცირება. ამ პერიოდიდან ალიანსის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეემცირებინა იმ შეიარაღების მოცულობა, რომელიც იმყოფებოდა ევროპაში სუბსტრატეგიული ძალების შეიარაღებაზე დაახლოებით 80%-ით ცივი ომის პერიოდთან შედარებით.

ამასთანავე, სუბსტრატეგიული ძალების შემცირებასთან ერთად მიმდინარეობს სტრატეგიული ძალების შემცირებაც.

ბირთვული იარაღის მიწიერი ბაზირების ერთადერთ სისტემებს, რომლებიც რჩება ნატოს შემადგენლობაში ევროპაში, წარმოადგენენ ორმაგი დანიშნულების სამხედრო თვითმფრინავებისათვის განკუთვნილი ჭურვები. თუმცა ეს შეიარაღებაც აგრეთვე მოექცა მნიშვნელოვანი რიცხოვრივი შემცირების ქვეშ. ამავ დროს არც ერთი ბირთვული იარაღის სისტემა არ არის დამიზნული რომელიმე ქვეყანაზე.

ნატოს წევრი სახელმწიფოები ერთობლივად ახორციელებენ პოლიტიკურ კონტროლს ბირთვული ძალების მშენებლობაზე. ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი წარმოადგენს იმ სტრუქტურას, სადაც წევრი სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრები - ბირთვული იარაღის მფლობელი და არა მფლობელი სახელმწიფოები მუშაობენ ბირთვული პოლიტიკის შემუშავებაზე და იღებენ გადაწყვეტილებებს ბირთვული პოლიტიკის სფეროში.

როგორც აღინიშნა, ნატომ "ცივი ომის" დასრულების შემდეგ საგრძნობლად შეამცირა თავისი ბირთვული ძალები. კერძოდ, აშშ-მ და გაერთიანებულმა სამეფომ გააუქმეს გეგმები ბირთვული საბრძოლო საჰაერო და სახმელეთო რაკეტებისათვის. აშშ-მ გააუქმა გეგმები ბირთვული მუხტის მქონე სისტემებისათვის, კერძოდ "ლანსის" ტიპის რაკეტებისათვის და ახალი 155 მმ ბირთვული საარტილერიო ჭურვის წარმოებისათვის. 1991 წლიდან საფრანგეთმა შეამცირა ბირთვული მომარაგების სისტემების ტიპები 6-დან 2-მდე; დღეს დამოუკიდებელი ფრანგული ბირთვული ძალები შედგება მხოლოდ 4 წყალქვეშა გემისაგან, რომლებიც ატარებენ წყალქვეშა დარტყმის ბალისტიკურ რაკეტებს და "ირაჯ" 2000 ტიპის თვითმფრინავის ჭურვებს საშუალო სიშორის საჰაერო-სახმელეთო რაკეტებთან ერთად.

1992 წლიდან, გაერთიანებულმა სამეფომ უარი თქვა მის ბირთვულ "ალიანსზე" და საარტილერიო ჭურვების როლზე, ასევე მის საზღვაო საბრძოლო ბირთვულ შესაძლებლობებზე.

1991 წლის ოქტომბერში, აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ინიციატივას მოჰყვა ნატოს გადაწყვეტილება თითქმის 85%-ით შემცირებინა ის შეიარაღება, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მისი სტრატეგიული ძალებისათვის ევროპაში.

1996 წლის დეკემბერში, ნატოს საგარეო და თავდაცვის მინისტრებმა განაცხადეს, რომ ალიანსის გაფართოება არ მოითხოვდა ცვლილებას ბირთვული იარაღის განლაგებასთან დაკავშირებით და ნატოს არ ჰქონდა განზრახვა განეთავსებინა ბირთვული ძალები ახალი წევრი-სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

ეკონომიკური სფერო

ნატოს ფარგლებში ეკონომიკური თანამშრომლობის მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენს ნატოს წესდების მე-2 მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ წევრი-სახელმწიფოები "შიილტვიან სხვადასხვა უთანხმოების აღმოფხვრისაკენ თავიანთ საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაში და ხელს შეუწყობენ ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას წევრ სახელმწიფოებს შორის.(60)"

ნატოს ეკონომიკური კომიტეტი, რომელიც შეიქმნა თანამშრომლობის განვითარებისათვის ამ სფეროში, წარმოადგენს ალიანსის ერთადერთ სტრუქტურას, რომელიც დაკავებულია უშუალოდ კონსულტაციებით ეკონომიკურ საკითხებზე, რადგანაც ეკონომიკურ ასპექტებს უშუალო გავლენა გააჩნიათ პოლიტიკაზე უსაფრთხოების სფეროში. ეკონომიკური ტენდენციების ანალიზი

და ერთობლივი შეფასებები დაკავშირებულია უსაფრთხოების ფაქტორებთან და წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკურ კავშირში სამხედრო დაგეგმვის კოორდინაციის წამყვან კომპონენტს. ეკონომიკური ფაქტორები შეიცავენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სამხედრო ხარჯები, თავდაცვით მრეწველობაში არსებული ტენდენციები, აგრეთვე თავდაცვის სექტორში რენტაბელობის უზრუნველყოფა.

სამუშაო პროცედურების დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, ღონისძიებებში, რომელიც ტარდება ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში სახელმწიფო-პარტნიორებთან, ძირითადი ყურადღება ეთმობოდა უსაფრთხოების ასპექტების ეკონომიკურ ტენდენციებს, სამხედრო ბიუჯეტებისა და თავდაცვის ხარჯების ჩათვლით, აგრეთვე მათ კავშირს ეკონომიკასთან და თავდაცვითი მრეწველობის დარგების კონვერსიასთან. სამხედრო-ეკონომიკურ საკითხებს დიდი ყურადღება ეთმობა ნატოს "ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სამოქმედო გეგმაში", სადაც გამოიყოფა შემდეგი მნიშვნელოვანი თემები:

- თავდაცვაზე გამოყოფილი რესურსების რაციონალური გამოყენება;
- სამხედრო დაგეგმვისა და ბიუჯეტის ფორმირების საკითხების "გამჭვირვალობა";
- სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან პროფესიულ არმიაზე გადასვლა;
- ყოფილი სამხედრო ობიექტების ექსპლუატაცია;
- თავდაცვითი მრეწველობის დარგების რესტრუქტურისაცია, მათი პრივატიზაციის ჩათვლით;
- რეგიონალური საკითხები.

თავდაცვითი ბიუჯეტისა და თავდაცვის ხარჯების ეკონომიკური ასპექტები დარჩება ნატოსა და წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად. კერძოდ, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ნატოს ქვეყნების მოღვაწეობა ეკონომიკური კრიტერიუმების გამოყენების პროცესში, რაც დაკავშირებულია სამხედრო ბიუჯეტის რაციონალური გამოყენების საკითხთან. რაც შეეხება ეკონომიკურ სფეროში პარტნიორებთან ურთიერთობას, აქ შესაძლო მაგალითები მიმართულებებისა, სადაც ნატოს გამოცდილება შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყნებისათვის, შეიძლება იყოს შემდეგი:

- მართვის ახალი პრინციპები, რომლებიც ეყრდნობიან კომერციული სექტორის გამოცდილებას და გეთავაზობენ თავდაცვითი სააგენტოების შექმნას, რომლებიც იკისრებენ პასუხისმგებლობას საქონლის მიწოდებაზე;
- კონკურენციის პრინციპების დანერგვა სამხედრო მომსახურების სფეროში;
- ხარჯების შემცირების მეთოდების სრულყოფა.

ეკონომიკური თანამშრომლობა აგრეთვე დაკავშირებულია თავდაცვითი მრეწველობის დარგების რესტრუქტურისაციასთან. თავდაცვითი მრეწველობის დარგების კონვერსია, აგრეთვე სხვა საკითხები, რომელიც ეხება ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების გადამზადებას, წარმოადგენს ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივ ინტერესს.

ეკონომიკური ტენდენციების უსაფრთხოების ასპექტები განიხილება ნატოს ყოველწლიურ ეკონომიკურ კოლოქვიუმზე, აგრეთვე სხვადასხვა სემინარებსა და სამუშაო შეხვედრებზე. ეკონომიკურ კოლოქვიუმებში მონაწილეობას იღებენ ექსპერტები კომერციული სტრუქტურებიდან, ასევე უნივერსიტეტები, ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციები.

საზოგადოების ინფორმირება

ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული პოლიტიკა, რომელსაც ატარებს ჩრდილოატლანტიკური კავშირის თითოეული წევრი ქვეყანა, წარმოადგენს ნატოს სახელმწიფოების პრეროგატივას. ამასთანავე, ნატოს ყველა ქვეყნის მთავრობა აღიარებს თავიანთი ხალხების დემოკრატიულ უფლებას საერთაშორისო სტრუქტურების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით და ასევე აუცილებლობას იმისა, რომ მოსახლეობა ინფორმირებული იყოს, თუ რა პოლიტიკას ატარებს ნატოს ესა თუ ის სახელმწიფო უსაფრთხოების სფეროში.

ნატოს პრესისა და ინფორმაციის განყოფილების როლი მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებას მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიეწოდოს ალიანსის ფარგლებში და ნატოს თითოეულ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. აქ გასათვალისწინებელია ნატოს მხრიდან აქტიური პოლიტიკის გატარების აუცილებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პრესასთან და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან ალიანსის კავშირები, და ასევე მნიშვნელოვანია, რომ ნატოს შესახებ ინფორმაცია მიეწოდოს საზოგადოებას იმ ქვეყნებში, რომლებიც არ შედიან ნატოში. ეს უკანასკნელი ფაქტორი უმეტესწილად წარმოადგენს ნატოს ქვეყნებსა და ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის შედეგს.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინფორმაციისა და პრესის სფეროში საქმიანობის ძირითად მიზნებს წარმოადგენს საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება უსაფრთხოების სფეროში მომხდარ ფაქტებზე და საზოგადოების მიერ დისკუსიებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა, ასევე ყურადღების გამახვილება როგორც აქტუალურ საკითხებზე უსაფრთხოების სფეროში, ასევე ნატოს და მისი წევრების მიერ მომავალ პოლიტიკურ მიზნებთან დაკავშირებით.

პროგრამები, რომლებიც ფინანსდება ნატოს ბიუჯეტიდან საინფორმაციო მიზნებზე, შედგება ღონისძიებებისაგან, რომლებიც ტარდება ნატოს შტაბ-ბინაში, ასევე პრესისა და ინფორმაციის განყოფილების საგარეო ღონისძიებები და ღონისძიებები, რომლებიც ტარდება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ეგიდით ნატოს შტაბ-ბინის ფარგლებს გარეთ, რომელთა მხარდაჭერა ხორციელდება ნატოს პრესისა და ინფორმაციის განყოფილების მიერ, ასევე ღონისძიებები, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა სააგენტოების მიერ ნატოს პირდაპირი და ირიბი მხარდაჭერის შედეგად.

ნატოს პარალელურად, ინფორმაციის უზრუნველყოფის საკითხებში რიგი სხვა სააგენტოები და ორგანიზაციებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. აქ მნიშვნელოვანია ამ სტრუქტურების ის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ალიანსთან, და ამ მიზნით ხდება ბეჭდვითი მასალების გავრცელება, ინფორმაციის გავრცელება ინტერნეტის მეშვეობით და პასუხის გაცემა მკითხველთა შეკითხვებზე. მსგავსი დამატებითი დაწესებულებების სრული ჩამონათვალი მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს და ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი ორგანიზაციების შესახებ:

- საზოგადოების ინფორმირების ბიურო და ნატოს წევრი ქვეყნების, ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს და პარტნიორი სახელმწიფოების სამთავრობო პრეს-ბიუროები;

- ნატოს წევრი ქვეყნების საელჩოები, რომლებიც გამოდიან როტაციული პრინციპის საფუძველზე გვევლინებიან იმ საელჩოების რანგში, რომლებიც მხარს უჭერენ ნატოს ინტერესების ფარგლებში არსებულ კავშირებს ნატოს პარტნიორ ქვეყნებში;

- ნატოს საპარლამენტო ასამბლეა და ეროვნული პარლამენტები-საერთაშორისო საპარლამენტო ორგანო, რომელიც შექმნილია ალიანსის მიზნების მხარდასაჭერად საპარლამენტო დონეზე. საპარლამენტო ასამბლეის შტაბ-ბინა მდებარეობს ბრიუსელში;

- ეროვნული ატლანტიკური საბჭოები, ატლანტიკური კომიტეტები და ატლანტიკური ასოციაციები რომლებიც შექმნილია ნატოს წევრ და პარტნიორ სახელმწიფოებში, რომლებიც ჩამოყალიბებულია როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებები, და ისინი ეწევიან ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელებას ნატოს შესახებ;

- ინსტიტუტები და ფონდები, რომლებიც იქმნება ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე ევროატლანტიკური რეგიონის სხვადასხვა სახელმწიფოებში სამეცნიერო-მეთოდური კვლევების ხელშეწყობის მიზნით;

- ნატოს გაერთიანებული ძალების შტაბების საზოგადოებრივი ინფორმაციის ბიუროები ნატოს სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში;

- ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებები, მაგალითად ნატოს თავდაცვის კოლეჯი რომში, ნატოს სკოლა ობერამერგაუში, დამოუკიდებელი დაწესებულებები, მაგალითად მარშალის სახელობის ცენტრი ქ. გარმიშში და ეროვნული სამხედრო დაწესებულებები და კოლეჯები;

- საერთაშორისო სტრუქტურები, რომლებიც აერთიანებს თავიანთი ორგანიზაციების ეროვნულ განყოფილებებს, მაგალითად როგორცაა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაცია, სადაც შედიან ატლანტიკური კომიტეტები, კავშირები და ასოციაციები ნატოს წევრი ქვეყნებიდან.

ნატოს ინფორმაციისა და პრესის განყოფილებას გააჩნია რეგიონალური ბიურო ისლანდიაში. ასევე ნატოს საინფორმაციო ბიუროები გახსნილია მოსკოვში და ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ცენტრი კიევში.

ნატოს ინფორმაციისა და პრესის განყოფილება გამოსცემს რიგ პუბლიკაციებს-ოფიციალური დოკუმენტებისა და დეკლარაციების ტექსტების კრებულებიდან პერიოდულ და არაპერიოდულ გამომცემლობის ჩათვლით.

ალიანსის ოფიციალური ტექსტები, ძირითადად კომუნიკეს ფორმითა და ოფიციალური განცხადებით პრესისათვის, წარმოადგენენ ოფიციალურად შეთანხმებულ დოკუმენტებს, სადაც ასახულია წევრი-ქვეყნების პოლიტიკური ორიენტაცია კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ამ დოკუმენტების შედეგად იქმნება ნატოს არქივი, რომელიც ღიაა და ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. ეს ტექსტები ქვეყნდება ალიანსის ორ ოფიციალურ ენაზე.

გარდა ამ დოკუმენტებისა, პრესისა და ინფორმაციის განყოფილება ავრცელებს გენერალური მდივნის განცხადებებს.

ნატოს პრესისა და ინფორმაციის განყოფილებაში შედის ნატოს ქვეყნებთან ურთიერთობის სექცია, სადაც მუშაობენ წევრი სახელმწიფოების ეროვნული წარმომადგენლები, რომლებიც ჩართულნი არიან საინფორმაციო პროგრამების ორგანიზებაში. ეს პროგრამები მოიცავს ნატოში გაცნობითი ხასიათის ვიზიტებს, აგრეთვე კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზებას.

თავი VI. ნატოს ძირითადი სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურები

სამოქალაქო სტრუქტურები

ნატოს შტაბ-ბინა

ნატოს შტაბ-ბინა მდებარეობს ბრიუსელში, რომელიც არის ამ ორგანიზაციის პოლიტიკური ცენტრი და ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მუდმივი ადგილსამყოფელი. აქ თავის საქმიანობას ახორციელებენ ნატოს გენერალური მდივანი, მუდმივი წარმომადგენლები და ეროვნული დელეგაციები, ეროვნული სამხედრო წარმომადგენლები, სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე. შტაბ-ბინაში მდებარეობს საერთაშორისო შტაბი, პარტნიორი ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობები. აქვეა განთავსებული ნატოს კონსულტაციის, სარდლობისა და კონტროლის ცენტრების (C3) შტაბები და ნატოს რიგი სხვა განყოფილებები.

ნატოს შტაბ-ბინაში სრულ განაკვეთზე მომუშავეთა რიცხვი, დაახლოებით 3150 თანამშრომელს შეადგენს. ამათგან 1400 ადამიანი არის ეროვნული დელეგაციებისა და სამხედრო შტაბის წარმომადგენელი, აგრეთვე, დაახლოებით 1300 თანამშრომელი დასაქმებულია საერთაშორისო შტაბსა და სხვა სააგენტოებში. რაც შეეხება საერთაშორისო სამხედრო შტაბს, აქ საქმიანობს 350 თანამშრომელი, რომელთაგან 80 გახლავთ სამოქალაქო პირი. ნატოს შტაბ-ბინაში აგრეთვე მუშაობენ დიპლომატიური მისიების ოფიციალური წარმომადგენლები და პარტნიორი სახელმწიფოების მეკავშირეთა სამსახურების წარმომადგენლები.

მუდმივი წარმომადგენლობები და ეროვნული დელეგაციები

ნატოს თითოეული ქვეყანა ჩრდილოატლანტიკურ საბჭოში წარმოდგენილია ელჩით ან საპარლამენტო წარმომადგენლით, რომელიც თავის მხრივ თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოხატავს ეროვნული დელეგაციის ინტერესს, ხოლო ეროვნული დელეგაცია შედგება მრჩეველებისა და თანამდებობის პირებისაგან, რომლებიც საკუთარ ქვეყანას წარმოადგენენ ნატოს სხვადასხვა კომიტეტში. ეროვნული დელეგაციების განთავსება ერთ შენობაში საშუალებას აძლევს მათ ერთმანეთთან დაამყარონ მჭიდრო კონტაქტები. აგრეთვე, ეს საშუალებას იძლევა დამყარდეს საქმიანი ურთიერთობები ნატოს საერთაშორისო სამდივნოს თანამშრომლებსა და პარტნიორი სახელმწიფოების წარმომადგენლებს შორის.

გენერალური მდივანი

ნატოს გენერალური მდივანი წარმოადგენს მთავარ პოლიტიკურ ფიგურას, რომელიც ასევე ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ არჩეულია ჩრდილოატლანტიკური საბჭოს თავმჯდომარედ, აგრეთვე, თავდაცვის დაგეგმარების კომიტეტისა და ბირთვული დაგეგმარების ჯგუფის ხელმძღვანელად. ის არის აგრეთვე ნატოს სხვა მნიშვნელოვანი კომიტეტების თავმჯდომარეც. გენერალური მდივანი არის მთავარი ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი.

ნატოს უმაღლესი თანამდებობის პირი აგრეთვე გახლავთ ევრო-ატლანტიკური საბჭოს და ხმელთაშუა ზღვის თანამშრომლობის ჯგუფის თავმჯდომარე და ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭოსა და ნატო-უკრაინის კომისიის თანათავმჯდომარე.

გენერალური მდივანი პასუხისმგებელია ალიანსში მიმდინარე საქმიანობაზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. მას შეუძლია დღის წესრიგში შეიტანოს ის საკითხები, რომლებიც მისი აზრით წარმოადგენს ალიანსის თითოეული სახელმწიფოს ინტერესს. გენერალურ მდივანს გააჩნია იურიდიული უფლება შეასრულოს შუამავლის როლი წევრ ქვეყნებს შორის უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში. აგრეთვე, მას ევალება საერთაშორისო შტაბის ხელმძღვანელობა და იგი აკეთებს მოხსენებას ალიანსის სახელით. გენერალური მდივანი პასუხისმგებელია როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საშინაო საქმიანობაზე, ასევე წევრი ქვეყნების ხელისუფლებასთან და მედიასთან ურთიერთობებში.

გენერალური მდივანი პასუხისმგებელია საერთაშორისო სამდივნოს მუშაობის წარმართვაზე და მის უშუალო დაქვემდებარებაშია პირადი კანცელარია და გენერალური მდივნის განყოფილება. საერთაშორისო სამდივნო დაკომპლექტებულია წევრი ქვეყნების თანამშრომლების მიერ და ხელს უწყობს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს და მის მიერ დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურების, აგრეთვე სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების და ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს, ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭოს, ნატო-უკრაინის კომისიისა და ხმელთაშუაზღვის თანამშრომლობის ჯგუფის საქმიანობას.

რაც შეეხება გენერალური მდივნის მოადგილეს, იგი ეხმარება გენერალურ მდივანს თავისი საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში ან ცვლის გენერალურ მდივანს ამ უკანასკნელის არყოფნის პერიოდში. გენერალური მდივნის მოადგილე არის ჩვეულებრივ შეიარაღებაზე კონტროლის მიზნობრივი ჯგუფის, ნატოს ანტისაჰაერო თავდაცვის კომიტეტის, გაერთიანებული საკონსულტაციო საბჭოსა და მასობრივი განადგურების იარაღის საკითხებში გაერთიანებული კომიტეტისა და რიგი სხვა სპეციალური და სამუშაო ჯგუფების თავმჯდომარე.

საერთაშორისო სამდივნო

ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი კომიტეტების საქმიანობა იმართება საერთაშორისო სამდივნოს მიერ. მის შემადგენლობაში შედიან სხვადასხვა წევრი ქვეყნების თანამშრომლები, რომელთა შერჩევაც მიმდინარეობს ან უშუალოდ ნატოს ადმინისტრაციის მიერ, ან წევრი სახელმწიფოები მიაგლეწენ მათი ინიციატივით შერჩეულ კანდიდატურას სამდივნოში სამუშაოდ. საერთაშორისო შტაბის წევრები ანგარიშვალდებულები არიან ნატოს გენერალური მდივნის წინაშე და ინარჩუნებენ ერთგულებას ორგანიზაციის წინაშე სამდივნოში სხვადასხვა თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში.

საერთაშორისო სამდივნო შედგება გენერალური მდივნის ოფისის, 5 ოპერატიული განყოფილების, ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოსა და ფინანსური კონტროლის სამმართველოსაგან. თითოეულ ამ განყოფილებას ხელმძღვანელობს გენერალური მდივნის თანაშემწე, რომელიც როგორც წესი არის იმ მთავარი კომიტეტის თავმჯდომარეც, რომელიც წარმოადგენს მისი უშუალო კომპეტენციის სფეროს. მართვის საკუთარი სისტემების, სამსახურებისა და განყოფილებების საშუალებით ხორციელდება კომიტეტების სხვადასხვა მიმართულებებში საქმიანობის უზრუნველყოფა.

საერთაშორისო შტაბი უზრუნველყოფს კონსენსუსის ფორმირების პროცესს და ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღებას ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების მიერ და იღებს პასუხისმგებლობას სხვადასხვა სხდომების მომზადებასა და ნატოს სხვადასხვა კომიტეტების გადაწყვეტილებათა მიღებისა და მათი შემდგომი განხორციელების პროცედურებზე, ასევე მის კომპეტენციაში

შედის იმ ორგანოების სხდომების ჩატარების მომზადება, რომლებიც შეიქმნა “ცივი ომის” დასრულების შემდეგ ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორობის სხვადასხვა ფორმების განხორციელების მიზნით, სადაც განსაზღვრულია თანამშრომლობა იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ შედიან ნატოს შემადგენლობაში. გარდა ამისა, არსებობს რიგი სამოქალაქო სააგენტოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც განთავსებულია რიგი წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე და ეს სტრუქტურები ჩართულნი არიან ისეთი საკითხების განხილვაში, როგორებიც გახლავთ კავშირგაბმულობის სისტემები და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

პირადი კანცელარია

პირადი კანცელარია ემსახურება როგორც გენერალურ მდივანს, ისე გენერალური მდივნის მოადგილეს მათი საქმიანობის ყველა სფეროში. კანცელარიის შემადგენლობაშია იურისკონსულტანტი და სპეციალური მრჩეველი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში.

გენერალური მდივნის ოფისი

გენერალური მდივნის ოფისი მოიცავს პირად კანცელარიას, აღმასრულებელ სამდივნოს, ინფორმაციისა და პრესის ოფისს და ნატოს უსაფრთხოების სამსახურს.

აღმასრულებელი სამდივნო

ნატოს აღმასრულებელი სამდივნო პასუხისმგებელია ჩრდილოატლანტიკური საბჭოს (North Atlantic Council), ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (Euro-Atlantic Partnership Council), ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭოს (NATO-Russia Partnership Joint Council), ნატო-უკრაინის კომისიის (NATO-Ukraine Commission), ხმელთაშუა ზღვის თანამშრომლობის ჯგუფის (Mediterranean Cooperative Group), თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტის (Defence Planning Committee) და ბირთვული დაგეგმვის ჯგუფის (Nuclear Planning Group) ნორმალურ ფუნქციონირებაზე. აღმასრულებელი სამდივნო ასევე პასუხისმგებელია იმ კომიტეტებისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობაზეც, რომლებიც შექმნილია სამდივნოს საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით. სამდივნოს ევალება უმაღლესი დონის სამიტებისა და მინისტრების დონეზე შეხვედრების ორგანიზება როგორც ნატოს შტაბ-ბინაში, აგრეთვე სხვადასხვა წევრ ქვეყნებში. აღმასრულებელი სამდივნოს კომპეტენციას აგრეთვე მიეკუთვნება ადმინისტრაციულ საკითხებიც, რომლებიც დაკავშირებულია ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და სხვა ორგანოების, მაგალითად პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში სხდომების ორგანიზებასთან. აღმასრულებელი სამდივნო კოორდინაციას უწევს პარტნიორი ქვეყნების დიპლომატიური მისიების ნატოში აკრედიტაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

აღმასრულებელი სამდივნოს თანამშრომლები ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსა და მის მთავარ კომიტეტებში ასრულებენ ადმინისტრაციულ ფუნქციებს, ისინი ადგენენ სხდომების დღის წესრიგს, პროტოკოლური ხასიათის დოკუმენტებს და სხვ. ასევე, ისინი გვევლინებიან კომიტეტების თავმჯდომარეების მრჩეველებად და ორგანიზებას უწევენ თავად კომიტეტებს შორის კონტაქტების გადრმავებას.

პასუხისმგებელი მდივანი, ანგარიშვალდებულია გენერალური მდივნის წინაშე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საერთაშორისო სამდივნოს სხვადასხვა

განყოფილების მუშაობის შესაბამისობა გენერალური მდივნისაგან მიღებულ დირექტივებთან. მისი განყოფილება საინფორმაციო სისტემის სამსახურის მეშვეობით უზრუნველყოფს საერთაშორისო სამდივნოსა და საერთაშორისო სამხედრო შტაბის საინფორმაციო-ტექნიკურ მხარდაჭერას, ასევე კავშირის უზრუნველყოფას ნატოს შტაბ-ბინის სხვადასხვა ქვეგანყოფილებებს შორის.

ინფორმაციის და პრესის ოფისი

ინფორმაციის და პრესის ოფისი შედგება პრესის და მედიის სამსახურისა და საინფორმაციო სამსახურისაგან, რომელიც თავის მხრივ დაყოფილია დაგეგმვისა და წარმოების სექციად (Planning and Production Section), ნატოს ქვეყნებთან კავშირების სექციად (NATO Country Relation Section) და პარტნიორული ურთიერთობების და კავშირების დამყარების სექციად (Outreach and Partner Relation Section). ოფისს გააჩნია ინფორმაციის და დოკუმენტაციის ცენტრი ქ. კიევში. ინფორმაციის და პრესის ოფისის ხელმძღვანელი არის ამავდროულად საინფორმაციო და კულტურული ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე.

პრესისა და ინფორმაციის სამსახურის ფუნქციასაა ჟურნალისტების აკრედიტაცია, ჩრდილოატლანტიკური კავშირის სახელით ოფიციალური განცხადებების გაკეთება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებისათვის ოფიციალური და არაოფიციალური ბრიფინგების ორგანიზება. ოფისი გამოსცემს ბიულეტენებს, ავრცელებს გენერალური მდივნის მიერ გაკეთებულ მოხსენებებს, ასევე იგი ამზადებს ბეჭდვითი ორგანოებისათვის ყოველდღიურ მიმოხილვას და პრესიდან და სხვადასხვა საგაზეთო სტატიებიდან მოკლე ცნობებისა და ამონაწერების შეგროვებას მათი ნატოს შტაბ-ბინაში მომუშავე თანამშრომლებისათვის მიწოდების მიზნით. ეს სტრუქტურა ორგანიზებას უწევს ინტერვიუების ჩაწერას ნატოს გენერალურ მდივანთან და ალიანსის სხვა თანამდებობის პირებთან, შემდგომში ამ ჩანაწერების მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებისათვის მიწოდებისა და ტელე და რადიო გადაცემების ორგანიზების მიზნით.

პრესისა და ინფორმაციის ოფისი დახმარებას უწევს წევრი სახელმწიფოებისა და პარტნიორ ქვეყნების მთავრობებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების ინფორმირება სხვადასხვა ქვეყნებში ნატოს როლის, მისი საქმიანობისა და პოლიტიკის შესახებ. ამისთვის ოფისი იყენებს ვიდეო-პროდუქციების, ფოტოსურათებისა და პერიოდული გამოცემების გავრცელებას. ორგანიზებას უწევს გამოფენების, კონფერენციებისა და სემინარების ჩატარებას. ოფისს გააჩნია ბიბლიოთეკა, დოკუმენტაციის სამსახური, საარქივო მასალების განყოფილება და დისტრიბუციის სექცია.

ოფისს მჭიდრო კავშირი გააჩნია ეროვნულ საინფორმაციო საშუალებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, იგი ატარებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია იმისათვის, რომ ყოველ წევრ და პარტნიორ ქვეყანაში საზოგადოებამ უკეთ გაიგოს ალიანსის მთავარი მიზნები და პრიორიტეტები. გარდა ამისა, იგი ორგანიზებას უწევს ან გამოყოფს ფინანსურ რესურსებს სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებისათვის, სადაც გათვალისწინებულია ნატოს წევრი ქვეყნებისა და პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეების ერთობლივი მონაწილეობა. ამ ღონისძიებების მიზანია ჩრდილოატლანტიკურ კავშირში მიმდინარე პროცესების უკეთ გაცნობა და ალიანსის შესახებ ცოდნის გავრცელება იმ ქვეყნებში, რომლებიც წარმოდგენილი არიან ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და ხმელთაშუაზღვის ჯგუფში.

ნატოს უშიშროების სამსახური

ნატოს უშიშროების სამსახური კოორდინაციას უწევს და ზედამხედველობს ნატოს პოლიტიკას უშიშროების საკითხებში. უშიშროების სამსახურის უფროსი არის გენერალური მდივნის მთავარი მრჩეველი უშიშროების საკითხებში და ამავე დროს ნატოს უშიშროების საკითხებში კომიტეტის თავმჯდომარე. ის ხელმძღვანელობს ნატოს შტაბ-ბინის უშიშროების სამსახურს და პასუხისმგებელია ნატოს სისტემაში უსაფრთხოების ზომების საერთო კოორდინაციაზე.

პოლიტიკურ საქმეთა განყოფილება

პოლიტიკურ საქმეთა განყოფილებას ხელმძღვანელობს პოლიტიკურ საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე, რომელიც ხელმძღვანელობს მთავარ პოლიტიკურ კომიტეტს და არის რიგი სხვა კომიტეტების თავმჯდომარე. განყოფილების შემადგენლობაში შედის პოლიტიკური დირექტორატი და ეკონომიკური დირექტორატი.

პოლიტიკური დირექტორატის ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება შვიდი სექციის მიერ:

- *ნატოს მრავალმხრივი და რეგიონალურ საკითხთა სექციის* (The NATO Multilateral and Regional Affairs Section) ძირითადი დანიშნულებებია: ნატოს ურთიერთობის გაღრმავება იმ ინსტიტუტებთან, რომლებიც მუშაობენ ევროპის უსაფრთხოების პრობლემებზე, კერძოდ ევროკავშირთან და დასავლეთ ევროპის კავშირთან. ამ მიზნით სექცია კოორდინაციას უწევს სამიტებისა და სხვადასხვა შეხვედრების მზადების პროცესს. ასევე სექცია შეისწავლის ნატოსთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობას წევრ ქვეყნებში, ხელს უწყობს ნატოს ურთიერთობის განვითარებას იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ან „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ წევრები (განსაკუთრებით იაპონიასთან და ზოგიერთ ევროპულ ქვეყნებთან). ასევე სექცია მუშაობს ნატო-ხმელთაშუა ზღვის დიალოგის განვითარების საკითხებზე.
- *პოლიტიკის დაგეგმვის და მოხსენებათა მომზადების სექცია* (Policy Planning and Speechwriting Section) პასუხისმგებელია გენერალური მდივნის თუ სხვა ხელმძღვანელი პირების მოხსენების თუ სტატიის მომზადებაზე, სხვადასხვა ტიპის ოფიციალური დოკუმენტების შედგენაზე რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკის დაგეგმვის პროცესთან. ასევე სექცია მუშაობს ბრიფინგების ორგანიზებაზე ნატოს პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. ამ მიზნით სექცია მჭიდროდ თანამშრომლობს სხვადასხვა მეცნიერებთან და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან.
- *აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის სექცია* (The Eastern – European Partners Section) მოიცავს ნატოს ურთიერთობას რუსეთთან და უკრაინასთან; ნატო – რუსეთის დამფუძნებელი აქტისა (NATO – Russian Founding Act) და ნატო – უკრაინის ქარტიის ძირითადი პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას. ამ მიზნით სექცია კოორდინაციას უწევს წლიური სამუშაო პროგრამების შედგენასა და სამიტების, მინისტრების და ელჩების დონეზე შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებას ნატო – რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭოსა და ნატო – უკრაინის კომისიის ფარგლებში გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.
- *ევროატლანტიკური პარტნიორობისა და თანამშრომლობის სექცია* (The Euro – Atlantic Partnership and Cooperation Section). ამ სექციის საქმიანობის მიზანია

ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება ნატოსა და მის ყველა პარტნიორ სახელმწიფოს შორის, ასევე ნატოს გაფართოების საკითხებსა და გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე სამუშაო პროცესების წარმართვა. სექცია ორგანიზებას უწევს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების, ასევე საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების დონეზე სამიტებსა და შეხვედრებს ევროატლანტიკური საბჭოს ეგიდით. კოორდინაციას უწევს ნატოს ინიციატივას სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებისათვის და ამ მიზნით კოორდინაციას უწევს თანამშრომლობის გაღრმავებას ამ რეგიონის სახელმწიფოებთან.

- *თანამშრომლობისა და პოლიტიკური კრიზისების დარეგულირების საფუძველზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის სექცია* (The Cooperative Security and Political Crisis Management) პასუხისმგებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე, მათ შორის კოორდინაციას უწევს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს სამშვიდობო ოპერაციების საკითხებზე სპეციალური ჯგუფისა და ნატო-რუსეთის სამუშაო ჯგუფის საქმიანობას, ასევე ნატოსა და ეუთოს და ნატოსა და გაეროს შორის თანამშრომლობას სამშვიდობო სფეროში. ამ ჯგუფს ეკისრება პასუხისმგებლობა წარმოადგინოს ბალკანეთის საკითხებზე მიზნობრივი ჯგუფის განყოფილება.
- *ჩვეულებრივი შეიარაღების კონტროლისა და კოორდინაციის სექცია* (The Conventional Arms Control and Coordination Section) პასუხისმგებელია შეიარაღების კონტროლზე. იგი მუშაობს იმ საკითხების განხორციელებაზე, რომლებიც დაკავშირებულია ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებასთან, ვენის დოკუმენტთან, დეიტონის შეთანხმებასთან, ჩვეულებრივი შეიარაღების კონტროლის რეგიონალურ კონტროლზე და ნდობისა და უსაფრთხოების განვითარებაზე; ასევე მცირე შეიარაღებასა და მსუბუქ აღჭურვილობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
- *მასობრივი განადგურების იარაღის ცენტრი* (The Weapons of Mass Destruction Centre) დაარსდა 2000 წლის მაისში. ინიციატივა მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ მოწონებულ იქნა ვაშინგტონის სამიტზე 1999 წლის აპრილში. ცენტრის დანიშნულებაა კოორდინაცია გაუწიოს მასობრივი განადგურების იარაღის ინიციატივასთან დაკავშირებულ საქმიანობას, ასევე ჩაატაროს კონსულტაციები შეიარაღების კონტროლის, ბირთვული იარაღის გაუზრცელებლობის და განიარაღების საკითხებზე.
რაც შეეხება *ეკონომიკური დირექტორატის* საქმიანობას, მის სფეროში შედის ეკონომიკური განვითარების საკითხების განხილვა, რომლებიც დაკავშირებულია ნატოს ინტერესებთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში. ეს სექცია აწარმოებს კვლევებს უსაფრთხოების საკითხებზე, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკურ ასპექტებთან. ეკონომიკური დირექტორატი უზრუნველყოფს კავშირებს საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან. ეკონომიკური დირექტორატი პარტნიორ ქვეყნებთან ერთად აწარმოებს ეკონომიკური ხასიათის ერთობლივ პროგრამებს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს, ნატო – რუსეთის მუდმივმოქმედი საბჭოს და ნატო – უკრაინის კომისიის ფარგლებში. ეს პროგრამები მიმართულია უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საკითხებზე, ასევე ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაზე თავდაცვის სფეროში, რაც თავის მხრივ მოიცავს თავდაცვის ბიუჯეტის ფორმირებასა და თავდაცვის სტრუქტურულ გარდაქმნას.

სამხედრო დაგეგმვისა და ოპერაციათა განყოფილება

სამხედრო დაგეგმვისა და ოპერაციათა განყოფილებას ხელმძღვანელობს გენერალური მდივნის თანაშემწე თავდაცვის დაგეგმვისა და ოპერაციათა

საკითხებში, რომელიც იმავდროულად არის თავდაცვის საკითხებში ანალიზის კომიტეტის თავმჯდომარე და აღმასრულებელი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე. იგი არის აგრეთვე კოორდინაციის პოლიტიკის ჯგუფის თავმჯდომარეც. გარდა ამისა, განყოფილება უზრუნველყოფს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელი კომიტეტის საქმიანობას პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში. განყოფილებას გააჩნია სამხედრო პოლიტიკისა და შეიარაღებული ძალების მშენებლობის დაგეგმვის, სამხედრო პარტნიორობისა და თანამშრომლობის სამმართველო, კრიზისების დარეგულირებისა და ბირთვული დაგეგმვის სამმართველო.

შეიარაღებული ძალების მშენებლობის დაგეგმარებისა და სამხედრო პოლიტიკის სამმართველო (Defence Policy and Force Planning Directorate) შედგება სამხედრო პოლიტიკის სექციისაგან და შეიარაღებული ძალების მშენებლობის დაგეგმარების სექციებისაგან. ამ სამმართველოს კომპეტენციას მიეკუთვნება: სამხედრო პოლიტიკის საკითხები და სამხედრო-პოლიტიკური სფეროს დიდი ნაწილი. ეს საკითხები განიხილება ნატოს საბჭოს ან პოლიტიკის საკოორდინაციო ჯგუფის მიერ. აგრეთვე ეროვნულ დელეგაციებთან შეთანხმებით, სამმართველო უზრუნველყოფს ყველა იმ დოკუმენტის მომზადებას, რომელიც დაკავშირებულია თავდაცვითი კურსის მიმოხილვასთან ან ეროვნული თავდაცვის პროგრამებთან. სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის სხვა საკითხები განიხილება თავდაცვის დაგეგმვის კომისიის მიერ. სამხედრო პოლიტიკისა და შეიარაღებული ძალების მშენებლობის დაგეგმვის სამმართველოს უფროსი არის ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწის მოადგილე და თავდაცვის საკითხების ანალიზის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

კრიზისის მართვისა და ოპერაციათა დირექტორატი (The Crisis Management and Operation Directorate) შედგება კრიზისის მართვის სექციის, ნატოს საბჭოს ოპერაციათა და სამშვიდობო ჯგუფის სექციებისაგან. კრიზისების მართვის სექციის უფროსი პასუხისმგებელია ნატოს სიტუაციათა მართვის ცენტრის ფუნქციონირებასა და კონტროლზე.

კრიზისების მართვის სექცია (Crisis Management Section) უზრუნველყოფს გენერალური მდივნის, ჩრდილოატლანტიკური საბჭოსა და სამხედრო დაგეგმვის კომიტეტის საქმიანობას პოლიტიკური კრიზისების დარეგულირების საკითხებში. სექცია პასუხისმგებელია საბჭოს მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილებების განხორციელების მონიტორინგზე, რომლებიც დაკავშირებულია კრიზისების მართვის საკითხებთან და ნატოს მიერ ოპერაციათა განხორციელებასთან. სექციას კავშირი გააჩნია ნატოს წევრ და არაწევრი სახელმწიფოების შესაბამის სტრუქტურებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, კერძოდ: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ევროკავშირი, დასავლეთ ევროპის კავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დევნილთა საკითხებში უმაღლესი კომისრის ოფისი და ა.შ.

ნატოს საბჭოს ოპერაციათა სექცია (Council Operation Section) შედგება ნატოს კრიზისის მართვის ორი განყოფილებისაგან, მისი ფუნქციაა შეიმუშაოს კრიზისის მართვის სფეროში სხვადასხვა ტიპის ყოველწლიური წვრთნების მომზადება და განახორციელოს ერთობლივი პროგრამები “პარტნიორობა მშვიდობისათვის” წევრ სახელმწიფოებთან, რათა ერთობლივად იქნეს შემუშავებული კრიზისის მართვისა და დარეგულირების სფეროში ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა და ა. შ.

სამშვიდობო საქმიანობის შტაბი (Peacekeeping Staff) კრიზისის მართვის პროცესთან დაკავშირებით კონცეფტუალური და ტექნიკური ტიპის რეკომენდაციების მიცემის მეშვეობით ხელს უწყობს სამშვიდობო საქმიანობის

წარმატებით განხორციელებას. სამშვიდობო შტაბი პასუხისმგებელია სამშვიდობო საქმიანობის სფეროში ნატოს პოლიტიკის შემუშავებაზე, აგრეთვე სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების სფეროში პოლიტიკის შემუშავებაზე.

სიტუაციითა შეფასების ცენტრს (Situation Centre) სამი ძირითადი სპეციალური ფუნქცია გააჩნია: 1) დახმარება გაუწიოს ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, სამხედრო დაგეგმვის კომიტეტს და სამხედრო კომიტეტს, რათა ამ ინსტიტუტებმა წარმატებით შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქციები; 2) ნატოს ფარგლებში ცენტრი გვევლინება სპეციალური ორგანოს რანგში, რომელსაც ეკისრება მიიღოს და გაავრცელოს პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ხასიათის სადაზვერვო მონაცემები, ცნობები და ინფორმაციები; 3) ცენტრი უზრუნველყოფს კავშირებს ანალოგიურ ცენტრებთან წევრ-სახელმწიფოებში და ნატოს სტრატეგიულ სარდლობებში.

თავდაცვის პარტნიორობისა და თანამშრომლობის დირექტორატი (The Defence Partnership and Cooperation Directorate) დაარსდა 1997 წელს. მის კომპეტენციაში შედის “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. მისი ხელმძღვანელი თავმჯდომარეობს “პარტნიორობა მშვიდობისათვის” მმართველ სამხედრო-პოლიტიკურ კომიტეტში და ხელს უწყობს ნატოს სხვა ორგანოების საქმიანობას, რომლებიც დაკავშირებული არიან ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსთან, სამხედრო თანამშრომლობაზე “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის ფარგლებში, თანამშრომლობაზე ნატოსა და რუსეთს, ნატოსა და უკრაინას შორის, აგრეთვე ხმელთაშუაზღვის დიალოგის ფარგლებში თანამშრომლობაზე. *ბირთვული პოლიტიკის დირექტორატი* (Nuclear Policy Directorate) მთავარი ფუნქციაა ბირთვულ დაგეგმარების ჯგუფის, ასევე მასობრივი განადგურების იარაღის მთავარი სამხედრო ჯგუფის საქმიანობის ხელშეწყობა. სამმართველოს მთავარ საქმიანობას მიეკუთვნება ბირთვული პოლიტიკისა და სტრატეგიის საკითხებზე მუშაობა. დირექტორატი ასევე პასუხისმგებელია ორგანიზება გაუკეთოს ბირთვული იარაღის კურსის დაგეგმვის ჯგუფის შეხვედრებს სამინისტროების, მუდმივი წარმომადგენლებისა და საშტატო ჯგუფების დონეზე. აგრეთვე იგი უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას ბირთვული პროგრამებისა და თავდაცვის საშუალებების შესახებ.

გარდა ზემოაღნიშნული სტრუქტურებისა, ნატოს ძირითად სამოქალაქო ინსტიტუტებს მიეკუთვნება სამხედრო-ტექნიკური მომარაგების განყოფილება, ნატოს შტაბ-ბინის სამდივნო კონსულტაციების, სარდლობისა და მართვის საკითხებში, ინვესტიციების განყოფილება, ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო, ფინანსური კონტროლის სამმართველო, საბიუჯეტო კომიტეტების თავმჯდომარის ბიურო, აუდიტთა საერთაშორისო საბჭო, აგრეთვე რიგი ორგანიზაციები წარმოებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სფეროში.

ნატოს სამხედრო ორგანიზაცია და სტრუქტურები

სამხედრო კომიტეტი

როგორც უკვე ვიცით, ნატოს შტაბ-ბინა მდებარეობს ბრიუსელში და იგი წარმოადგენს ალიანსის პოლიტიკურ შტაბს, სადაც ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ეგიდით ნატოს გენერალური მდივნის თავმჯდომარეობითა და ელჩების დონეზე მუდმივი წარმომადგენლების მონაწილეობით მიმდინარეობს სხვადასხვა შეხვედრები, ნატოს პოლიტიკის განხილვისა და დამტკიცების მიზნით. რეგულარული შეხვედრების პერიოდში საბჭოსა და სხვა მაღალი დონის

პოლიტიკური კომიტეტებისა და ატომური დაგეგმვის ჯგუფის წარმომადგენლების მონაწილეობით ბრიუსელში ან ნატოს ქვეყნების სხვა დედაქალაქებში მიმდინარე დონისძიებების დროს, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართული არიან საგარეო და თავდაცვის მინისტრები, ხოლო შემაჯამებელი შეხვედრების დროს კი სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებიც.

გადაწყვეტილებები, რომლებსაც იღებენ ნატოს სხვადასხვა სტრუქტურები, წარმოადგენენ წვერი ქვეყნების შეთანხმებული პოლიტიკის შედეგს.

ალიანსის მთავარი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული შესაბამისი კომიტეტების საქმიანობაც. ამ სტრუქტურებში მუშაობენ მოხელეები, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ ქვეყნებს, რაც გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა წვერი წარმოდგენილია ნატოს საქმიანობის ყველა დონეზე და შესაბამისად ყველა სფეროში.

ანალოგიურადაა მონაწილეობის მიღების პროცესი განსაზღვრული ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის თავდაცვისა და ატომური დაგეგმვის კომიტეტებში. აქ თავის მოვალეობას ასრულებენ უფროსი სამხედრო ოფიცრები, რომლებიც ასევე არიან თავიანთი ქვეყნის წარმომადგენლები ნატოში. ისინი მონაწილეობენ სამხედრო კომიტეტის სხდომებში, რომელთა გამართვის დროს აირჩევა თავმჯდომარე. მსგავსად სამოქალაქო სტრუქტურებისა, სადაც მიიღება პოლიტიკური გადაწყვეტილებები, სამხედრო კომიტეტიც ანალოგიურად რეგულარულად იკრიბება სადაც შეხვედრები ტარდება მაღალ დონეზეც, კერძოდ თავდაცვის მინისტრების დონეზე. ისლანდიას, რომელსაც არ ჰყავს სამხედრო ძალები, ასეთი შეხვედრების დროს წარმოდგენილია სამოქალაქო მოხელეებით. სამხედრო კომიტეტი არის ნატოში უმაღლესი სამხედრო სტრუქტურა, რომელიც საქმიანობას ეწევა საერთო ხელმძღვანელობის უშუალო მმართველობის მეშვეობით.

სამხედრო კომიტეტის ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება სამხედრო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც გამოდიან თავიანთი ქვეყნების გენერალური შტაბების უფროსების სახელით. ისინი მოქმედებენ ეროვნული წარმომადგენლების ეგიდით და გამოსატყვევებენ თავიანთი ქვეყნების ინტერესებს, თუმცა ამავე დროს მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვა წვერი ქვეყნების წარმომადგენლებთან საერთო კონსენსუსის მიღწევის მიზნით. მისი მიღწევა კი შესაძლებელია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ყოველთვის ხდება მისაღებ კომპრომისებზე წასვლა, როდესაც ეს მთლიანი ალიანსის ინტერესს წარმოადგენს. სამხედრო წარმომადგენლებს გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილებანი, რომელიც საშუალებას აძლევს სამხედრო კომიტეტს შეასრულოს კოლექტიური დავალებები და ოპერატიულად მიიღოს გადაწყვეტილებები.

კომიტეტი პასუხისმგებელია, რომ რეკომენდაცია გაუწიოს ნატოს პოლიტიკურ ხელისუფლებას, რათა ამ უკანასკნელმა მიიღოს შესაბამისი ზომები ნატოს ტერიტორიის კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით. სამხედრო კომიტეტის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს სამხედრო პოლიტიკისა და სტრატეგიის საკითხებზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. იგი ასევე გამოსცემს შესაბამის დირექტივებს სამხედრო საკითხებზე ნატოს სტრატეგიული სარდლობებისათვის რომლის წარმომადგენლებიც ესწრებიან კომიტეტის ეგიდით გამართულ შეხვედრებს და პასუხისმგებელი არიან ალიანსის სამხედრო საქმიანობის წარმოებაზე და სამხედრო კომიტეტის შესაბამისი სააგენტოების ეფექტურობაზე.

კომიტეტს თავისი წვლილი შეაქვს ალიანსის საერთო სტრატეგიის შემუშავებაში და ამზადებს წლიურ ანგარიშს ქვეყნებისა და რეგიონების სამხედრო პოტენციალის შეფასების მიზნით. გარდა ამისა, კომიტეტის პასუხისმგებლობას აგრეთვე წარმოადგენს კრიზისული სიტუაციის ან ომის დროს ჩრდილოატლანტიკური საბჭოსათვის კონსულტაციების გაწევა, ამ მიზნით კომიტეტი წარმოადგენს რეკომენდაციებს სამხედრო ძალის გამოყენებისა და სამხედრო რესურსების ამოქმედების სტრატეგიის განსაზღვრისათვის.

სამხედრო კომიტეტის სხდომები იმართება ყოველ ხუთშაბათს, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ოთხშაბათობით გამართული რეგულარული შეხვედრების შემდეგ. ასე რომ, მას შეუძლია საბჭოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით შესაბამისი დასკვნების გამოტანა. შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ძალიან ხშირად როგორც ჩრდილოატლანტიკური საბჭოს, ასევე სამხედრო კომიტეტის სხდომებიც უფრო დიდი სიხშირით იმართება.

სამხედრო კომიტეტი გენერალური შტაბების დონეზე ჩვეულებრივად იკრიბება წელიწადში სამჯერ. სამხედრო კომიტეტის ორი ასეთი შეხვედრა იმართება ბრიუსელში, ერთი კი როტაციის პრინციპით ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანაში.

სამხედრო თანამშრომლობის საკითხების გადაწყვეტის მიზნით სამხედრო კომიტეტი რეგულარულად მართავს სხდომებს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამაში ჩართული ქვეყნების მონაწილეობით.

სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე

სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარის (CMC) კანდიდატურა შეირჩევა გენერალური შტაბების ხელმძღვანელთა მიერ სამი წლის ვადით. ის თავის საქმიანობას ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლის სტატუსით სამხედრო კომიტეტის უფლებამოსილების ფარგლებში. იგი თავმჯდომარეობს სამხედრო კომიტეტის ყველა სხდომას, ხოლო მისი არყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე. სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე არის ოფიციალური წარმომადგენელი და კომიტეტის პოზიციის გამომხატველი. იგი ხელმძღვანელობს კომიტეტის ყოველდღიურ საქმიანობას და კოორდინაციას უწევს აუცილებელი ღირებულებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას, რომელსაც შემდგომში იგი გადასცემს საერთაშორისო სამხედრო შტაბის უფროსს. იგი ასევე წარმოადგენს კომიტეტს უმაღლესი დონის სხდომების ჩატარების პროცესში, მაგალითად ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომებზე, აგრეთვე სამხედრო დაგეგმარებისა და ბირთვული დაგეგმარების ჯგუფის სხდომებზე და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციებს უწევს ამ სტრუქტურებს სამხედრო საკითხებში. მისი თანამდებობიდან გამომდინარე თავმჯდომარე ასრულებს უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ როლს და არის მთავარი სამხედრო წარმადგენელი პრესასთან და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან შეხვედრის დროს. იგი ახორციელებს ოფიციალურ ვიზიტებს და ასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციებს სამხედრო კომიტეტის სახელით ნატოს წევრ სახელმწიფოებში და იმ ქვეყნებში, რომლებთანაც ნატო ამყარებს მჭიდრო კონტაქტებს ნატოს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის”, ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს, ნატო-რუსეთის მუდმივმოქმედ საბჭოს, ნატო-უკრაინის კომისიის, ხმელთაშუა ზღვის თანამშრომლობის ჯგუფისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ინიციატივის ფარგლებში.

სტრატეგიული სარდლობის მეთაურები

სტრატეგიული სარდლობის მეთაურები ანგარიშვალდებულები არიან სამხედრო კომიტეტის წინაშე საერთო მიმართულებებსა და სამხედრო საკითხების წარმართვის სფეროში. ისინი ასევე სამხედრო კომიტეტისათვის შემუშავებენ სხვადასხვა ტიპის რეკომენდაციებს. თითოეულ მათგანს ჰყავს წარმომადგენლები ნატოში გენერლის ან ადმირალის რანგში, რომლებიც დახმარებას უწევენ მეთაურებს შტაბ-ბინაში პოლიტიკურ და სამხედრო პერსონალთან მჭიდრო კონტაქტების დამყარებაში, და ამ მიზნით ისინი ეფექტურად ახორციელებენ საკომუნიკაციო ფუნქციას ორივე მიმართულებით. სარდლობათა მეთაურები მონაწილეობენ სამხედრო კომიტეტის სხდომებში და კონსულტაციას უწევენ კომიტეტს ისეთი საკითხების განხილვის პროცესში, რომლებიც უშუალოდ სარდლობათა მოქმედების სფეროებს მიეკუთვნება.

საერთაშორისო სამხედრო შტაბი

საერთაშორისო სამხედრო შტაბს (IMS) ხელმძღვანელობს გენერალი ან ადმირალი, რომელიც შეირჩევა სამხედრო კომიტეტის მიერ კანდიდატთა სიიდან, რომელიც წარმოდგენილია ნატოს წევრი ქვეყნების მიერ საერთაშორისო სამხედრო შტაბის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. მისი უშუალო კონტროლის ქვეშ შტაბი პასუხისმგებელია სამხედრო საკითხების დაგეგმარებისა და პოლიტიკის შეფასებაზე და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენაზე სამხედრო კომიტეტის მიერ მათი შემდგომში განხილვის მიზნით.

შტაბის შემადგენლობაში ირიცხებიან სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მივლინებულნი არიან წევრი სახელმწიფოების მიერ. ისინი აგრეთვე არიან საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე და ნატოს და არა საკუთარი ქვეყნების სახელით. ზოგიერთ თანამდებობას საერთაშორისო სამხედრო შტაბში იკავებენ ის სამოქალაქო პირები, რომელთა საქმიანობასაც გააჩნია ტექნიკური და დამხმარე ხასიათი. საერთაშორისო სამხედრო შტაბი უზრუნველყოფს სამხედრო კომიტეტის საქმიანობას, ამზადებს და ასრულებს მის გადაწყვეტილებებს, ასევე აქტიურადაა ჩართული ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის პროცესში “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის ფარგლებში.

შტაბის მუშაობასა და საინფორმაციო მასალების ურთიერთგაცვლაზე საერთაშორისო სამხედრო შტაბსა და ნატოს შტაბ-ბინის სხვა სტრუქტურებს შორის უზრუნველყოფს სპეციალური კოორდინატორი თავის სხვა კოლეგებთან ერთად. შტაბის ხელმძღვანელს ჰყავს ხუთი მოადგილე, თითოეული მათგანი ხელმძღვანელობს დამოუკიდებელ ფუნქციონალური დანიშნულების სამმართველოებს, ეს სამმართველოებია:

დაგეგმვისა და პოლიტიკის სამმართველო დაკავებულია სამხედრო პოლიტიკისა და ნატოს სტრატეგიული დაგეგმვის იმ მიმართულებების შემუშავებით, რომლებზეც პასუხისმგებელია სამხედრო კომიტეტი. ამ მიმართულებებს შორის აღსანიშნავია შემდეგი ძირითადი კომპონენტები: სამხედრო-პოლიტიკური კონცეფციის შემუშავება, კვლევების წარმოება, ნატოს გაერთიანებული სამხედრო ძალების მშენებლობის საკითხი.

ოპერატიული სამმართველო უზრუნველყოფს სამხედრო კომიტეტს ოპერატიული გეგმების შემუშავების პროცესში, ასევე შეიმუშავებს ნატოს სამხედრო ფორმირებების სტრუქტურას და სამხედრო მართვის ორგანიზაციას, განსაკუთრებით საერთაშორისო კრიზისული სიტუაციების პერიოდში. სამმართველო ხელს უწყობს მრავალეროვანი წვრთნების ჩატარებას, მათ შორის

ნატოს პარტნიორი ქვეყნების სამხედრო კონტინგენტების მონაწილეობით. ის აგრეთვე კოორდინაციას უწევს იმ ძალისხმევებს, რომლებიც მიმართულია ოპერატიული ძალებისა და ნატოს რესურსების ეფექტურობის ამაღლებაზე, მათ შორის დაკავშირებულს რადიოელექტრონული ბრძოლის წარმოებასთან. სამმართველო განსაზღვრავს ანტისაჰაერო თავდაცვის კომიტეტის საქმიანობას და პასუხს აგებს ანტისაჰაერო თავდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე სამმართველო უზრუნველყოფს ურთიერთქმედებას ნატოსა და გაეროს კავშირგაბმულობის ოფიცრებს შორის.

დაზვერვის სამმართველო ნატოს გენერალურ მდივანს უზრუნველყოფს ყოველდღიური სტრატეგიული სადაზვერვო მასალით, ასევე იგი სადაზვერვო ინფორმაციას აწვდის ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტსა და ნატოს სხვა სტრუქტურებს, მაგალითად როგორებიცაა საერთაშორისო სამხედრო შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფები, პოლიტიკური კომიტეტი, და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების ცენტრი. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სამმართველოს არ გააჩნია სადაზვერვო მონაცემების დამოუკიდებლად მოპოვების ფუნქცია, იგი ეყრდნობა იმ მონაცემებს, რომლებსაც წარადგენენ ნატოს წევრი ქვეყნები. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღნიშნული სტრუქტურა გამოდის ცენტრალური საკოორდინაციო ორგანოს რანგში, სადაც ხდება ინფორმაციის შეფასება და სადაზვერვო მონაცემების გავრცელება ნატოს შტაბ-ბინაში, ასევე სარდლობებისათვის, იმ სააგენტოებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებიც შედიან ნატოს შემადგენლობაში. გარდა ამისა, სამმართველო ასრულებს სტრატეგიული შეტყობინებისა და ანტიკრიზისული დარეგულირების ფუნქციებს. *თანამშრომლობისა და რეგიონალური უსაფრთხოების სამმართველო* ახორციელებს სამხედრო კონტაქტების გაფართოებას ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსთან, “პარტნიორობა მშვიდობისთვის” პროგრამაში ჩართულ ქვეყნებთან, რუსეთთან ნატო-რუსეთის დამფუძნებელი აქტის და უკრაინასთან ნატო-უკრაინის ქარტიის ფარგლებში. იგი პასუხისმგებელია ყველა სახის საშტაბო საქმიანობის განვითარებასა და კოორდინაციაზე დაკავშირებულს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსთან, “პარტნიორობა მშვიდობისთვის” პროგრამასთან, რუსეთთან, უკრაინასთან, ასევე იგი მუშაობს ხმელთაშუაღმდვის რეგიონთან დაკავშირებულ სამხედრო ხასიათის პრობლემათიკასთან. სამმართველო ასრულებს საერთაშორისო სამხედრო შტაბის მთავარ მეკავშირე ფუნქციას პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან და მეკავშირე ოფიცრებთან ურთიერთობის პროცესში

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, შეიარაღებისა და რესურსების სამმართველო საერთაშორისო სამდივნოსთან, ინვესტიციების განყოფილებასთან, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, და სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის განყოფილებებთან თანამშრომლობის მეშვეობით პასუხისმგებელია ზურგის უზრუნველყოფის სფეროში პრინციპებისა და მიმართულებების შემუშავებაზე, მათ შორის სამედიცინო უზრუნველყოფის, ტრანსპორტისა და გადაზიდვების სფეროში. სამმართველოს ასევე ეკისრება მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა კრიზისების დარეგულირების ლოჯისტიკის ასპექტებთან დაკავშირებით, ასევე ჰუმანიტარული დახმარებისა და სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების აღკვეთის სფეროში. პასუხისმგებელია ლოჯისტიკის პრინციპების განვითარებაზე და პოლიტიკაზე, სამედიცინო მხარდაჭერის, ტრანსპორტის და მოძრაობის ჩათვლით.

ნატოს სიტუაციების შეფასების ცენტრი დახმარებას უწევს ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, თავდაცვის დაგეგმვის კომიტეტს და სამხედრო კომიტეტს, მათ მიერ შესაბამისი ფუნქციების განხორციელებაში. აქ იკრიბება ყველა სახის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ხასიათის ინფორმაცია,

სადაც შემდგომში ხორციელდება ამ მონაცემების დამუშავება და მათი გავრცელება. ცენტრი დაკვირვებას აწარმოებს პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიკურ პროცესებზე, რომლებიც წარმოადგენენ ნატოსა და ნატოს წევრი ქვეყნების ინტერესს.

კონსულტანტი საზოგადოების ინფორმირების საკითხებში კონსულტაციებს უწევს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და საერთაშორისო სამხედრო შტაბის უფროსს ინფორმაციის საჯაროობის საკითხებში. იგი აგრეთვე გვევლინება საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საკითხებში კოორდინატორად. კონსულტანტის ოფისი თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში ათანხმებს თავის საქმიანობას საზოგადოების ინფორმირების დარგში ნატოს პრესისა და ინფორმაციის ოფისთან, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ანალოგიურ ორგანიზაციებთან ნატოს სტრატეგიულ სარდლობებსა და წევრი ქვეყნების თავდაცვის სამინისტროებში.

შტაბის ფინანსური კონტროლიორი პასუხისმგებელია სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარისათვის, თავმჯდომარის მოადგილისათვის, საერთაშორისო სამხედრო შტაბის უფროსისათვის ფინანსურ და ფისკალურ საკითხებთან დაკავშირებული რჩევებისა და რეკომენდაციების შემუშავებაზე. მას კომიტეტის წინაშე ეკისრება პასუხისმგებლობა სამხედრო ბიუჯეტთან და ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით. მის კომპეტენციას მიეკუთვნება ნატოს იმ ორგანოების ფინანსური კონტროლი, რომელთა ბიუჯეტებსაც მართავს საერთაშორისო სამხედრო შტაბი, კერძოდ ნატოს სტანდარტიზაციის სააგენტო, ნატოს თავდაცვის კოლეჯი, კვლევებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ფინანსური ბალანსის კონტროლი. მასზე დაკისრებულია აგრეთვე შიდა აუდიტის ჩატარების პროცესიც.

ნატოს შტაბ-ბინის სამდივნო კონსულტაციების, სარდლობისა და მართვის საკითხებში ეს სტრუქტურა წარმოადგენს ერთადერთ ინტეგრირებულ ორგანიზაციას, რომლის შემადგენლობაშიც შედიან თანამშრომლები როგორც საერთაშორისო სამდივნოდან, ასევე საერთაშორისო სამხედრო შტაბიდან. თავისი ფუნქციების შესრულების დროს სამდივნოს ხელმძღვანელი უშუალოდ ექვემდებარება საერთაშორისო სამხედრო შტაბისა და სამხედრო-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწეს. სამდივნო კონსულტაციას უწევს სამხედრო კომიტეტს სხვადასხვა კომპლექსური გეგმების განხორციელების პროცესში.

პარტნიორი ქვეყნების წარმოდგენა

1994 წლიდან რიგმა პარტნიორმა ქვეყნებმა დაიწვეს მეკავშირეობის ხაზით თავიანთი ბიუროების, ხოლო 1997 წლიდან ნატოს შტაბ-ბინასთან თავიანთი დიპლომატიური მისიების დაფუძნება. სახელმწიფო-პარტნიორებთან სამხედრო კავშირები კიდევ უფრო ძლიერდება “პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის საშტაბო ელემენტების” შექმნასთან ერთად. ამჟამად საერთაშორისო სამხედრო შტაბსა და ნატოს შტაბ-ბინაში, ასევე ნატოს გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურაში არსებობს რვა ასეთი ელემენტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ნატოს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების ოფიცრები. პარტნიორი ქვეყნებიდან წარმოდგენილი ოფიცრები ნატოს ოფიცრებთან ერთად მსახურობენ საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლების რანგში და ამზადებენ სადისკუსიო თემებს პოლიტიკურ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის სამხედრო ასპექტებთან ნატოს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში.

თავდაცვის უზრუნველყოფის განყოფილება

თავდაცვის უზრუნველყოფის განყოფილებას, რომელსაც ხელმძღვანელობს თავდაცვის უზრუნველყოფის საკითხებში გენერალური მდივნის თანაშემწე, შემდეგი მოვალეობები აკისრია:

- რჩევას აძლევს გენერალურ მდივანს, ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს, თავდაცვის დაგეგმარების კომიტეტს და ნატოს სხვა განყოფილებებს (ორგანიზაციებს) ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება შეიარაღების შესწავლას, განვითარებას, წარმოებას, უზრუნველყოფას და გაფართოებულ საჰაერო თავდაცვას.
- ხელს უწყობს ალიანსის ძალების გასაძლიერებლად მისი რესურსების ეფექტურ გამოყენებას.

განყოფილება უზრუნველყოფს კავშირს ნატოს წარმოებასა და ლოჯისტიკურ სტრუქტურებთან, რომლებიც დაკავშირებულები არიან ერთობლივი აღჭურვის პროექტებთან და ასევე ნატოს სამხედრო სააგენტოებთან, მათ კი კავშირი აქვთ თავდაცვის სფეროს შესწავლის საკითხებთან. განყოფილება მონაწილეობს ნატოს თავდაცვის დაგეგმარების პროცესში ყველა ასპექტის გათვალისწინებით. თავდაცვის უზრუნველყოფის გენერალური მდივნის ასისტენტი მუშაობს, როგორც ეროვნული შეიარაღების დირექტორების(CNAD) და ნატოს C3 სტრუქტურის მუდმივი თავჯდომარე, და ასევე როგორც სტანდარტიზაციის კომიტეტის თანათავჯდომარე.

განყოფილება შედგება ორი დირექტორატისგან:

შეიარაღების დაგეგმარების, პროგრამების და კურსის დირექტორატი
გენერალური მდივნის თანაშემწეს ეხმარება ფართო კურსის მართვაში, თავდაცვის აღჭურვის უზრუნველყოფასა და ალიანსის შეიარაღების კოოპერაციასთან დაკავშირებული საკითხების პროგრამირებაში. მისი დირექტორი არის თავდაცვის უზრუნველყოფის გენერალური მდივნის ასისტენტი. დირექტორი პასუხისმგებელია საკურსო საკითხების ფორმულირებაზე შეიარაღების სფეროში, რომლის მიზანია (CNAD)-ის საქმიანობის ორიენტირება ალიანსის მისიების სრულყოფის მიზნით. ის ასევე ვალდებულია, რომ ნატოს სამხედრო დაგეგმარების პროცესი შეაჯეროს ალიანსის საერთო თავდაცვის დაგეგმარების პროცესების სხვა ასპექტებთან.

დირექტორატი უზრუნველყოფს არმიის მხარდაჭერას, ასევე ფლოტისა და საჰაერო ძალების შეიარაღებული ჯგუფებისა და მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მხარდაჭერას. მათი ფუნქციაა, რომ გაადვილონ ინფორმაციის ურთიერთგაცვლა და მატერიალური წარმოდგენებისა და საქსპლუატაციო მოთხოვნების შეთანხმება ალიანსის მომავალ სამხედრო, საზღვაო, და საჰაერო შესაძლებლობებთან. ეს ხორციელდება იმიტომ, რომ მიღებულ იქნეს ერთიანი გადაწყვეტილებები, რომლებიც დაფუძნებულნი არიან დაპროგრამებულ ნაბიჯებსა და ფაზური შეიარაღების პროგრამების სისტემის ეტაპებზე. ასევე, რათა მიაღწიონ აღჭურვილობის სტანდარტიზაციის მაღალ დონეს ნატოს სტანდარტიზაციის პროგრამის სისრულეში მოსაყვანად.

დირექტორატის ერთ-ერთი ამოცანაა, რომ წარმატებით შეასრულოს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში CNAD-ს ვალდებულებები, რომელშიც შედის პარტნიორობის დაგეგმარებისა და შესწავლის პროცესი, CNAD-ის საქმიანობის მხარდაჭერა ფართო საჰაერო თავდაცვისა და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების მიმართულებით. თავდაცვის სივრცის სფეროებში ნატოს სამხედრო ძალების, საჰაერო თავდაცვის კომიტეტისა და DGP-ის პარალელურ საქმიანობებთან ერთად, ასევე, CNAD-ის საქმიანობის მეთვალყურეობა მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციის ფარგლებში აღჭურვილობის ასპექტში. დირექტორატი ხელს უწყობს კავშირის დამყარებას

საგარეო ორგანიზაციებთან, როგორცაა NATO EF 200 and Tornado Development, Production and Logistics Management Agency (NETMA), ნატოს შვეულმფრენის დიზაინის, განვითარების, წარმოების და ლოგისტიკის მენეჯმენტის სააგენტო (NAHEMA) და SACLANT წყალქვეშა კვლევის ცენტრი (SACLANTCEN).

კვლევის ტექნოლოგიის სააგენტოს კოლეგია (RTA) ფუნქციონირებს შეიარაღების დაგეგმარებასთან, პროგრამებისა და კურსის დირექტორატთან ერთად, თავდაცვის უზრუნველყოფის განყოფილების ფარგლებში. ნატოს კვლევისა და ტექნოლოგიის სააგენტოს შტაბბინა მდებარეობს პარიზში. ეს სააგენტო მხარს უჭერს ნატოს კვლევისა და ტექნოლოგიის საბჭოს (RTB) საქმიანობას. RTA და RTB ერთად აყალიბებენ ნატოს კვლევისა და ტექნოლოგიის ორგანიზაციას (RTO). RTA-ს ხელმძღვანელი ანგარიშს წარადგენს თავდაცვის უზრუნველყოფის გენერალური მდივნის ასისტენტის წინაშე, ასევე საერთაშორისო კოლეგიის წინაშე.

საჰაერო თავდაცვისა და საჰაერო სივრცის მენეჯმენტის დირექტორატი (მანამდე ცნობილი, როგორც საჰაერო თავდაცვის დირექტორატი) პასუხისმგებელია საჰაერო თავდაცვასა და სამხედროებს შორის კონტაქტების დამყარებაზე, ასევე სამოქალაქო საჰაერო სივრცესა და საჰაერო მოძრაობის მენეჯმენტს შორის კავშირის დამყარებაზე. დირექტორატი უზრუნველყოფს ნატოს საჰაერო თავდაცვის კომიტეტის მხარდაჭერას, რომლის ფუნქციაა საბჭოსა და თავდაცვის დაგეგმარების კომიტეტისათვის რჩევის მიცემა ყველა ასპექტში, რომელიც ეხება საჰაერო თავდაცვის პროგრამის განვითარებას. ამას იგი ასრულებს ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობასთან მჭიდრო თანამშრომლობით. აგრეთვე სტრუქტურის მიზანია, უზრუნველყოს ნატოს საჰაერო თავდაცვის სისტემების ადექტატურობა და ეფექტურობა, სისტემის გაფართოება, ასევე, რათა უზრუნველყოს შესაძლებლობები, რომლებიც ნატოს ინტეგრაციულ საჰაერო თავდაცვის სისტემის ATINADS-ის გააქტიურებას სჭირდება უფრო მეტი მოქნილობისათვის ფუნქციონალური ინტეგრაციის სფეროში, გაფართოებული საჰაერო თავდაცვის კუთხით, სარაკეტო თავდაცვის ჩათვლით, განათლებისა და მშვიდობის მხარდაჭერისა და კრიზისის საპასუხო ოპერაციების მიმართულებით.

დირექტორატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობაა ნატოს საჰაერო ტრანსპორტი მენეჯმენტის კომიტეტის (NATMC) მხარდაჭერა (მანამდე ცნობილი იყო როგორც ევროპის საჰაერო სივრცის კოორდინაციის კომიტეტი – CEAC).

ATMC-ს ფუნქციაა ალიანსის სამოქალაქო კოორდინაციისა და სამხედრო საჰაერო სივრცის საკითხებზე მუშაობა. ის ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ ძალისხმევების გაერთიანების კუთხით, რომელსაც თავის თავზე იღებენ პარტნიორი ქვეყნები საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. კომიტეტის ფუნქციები ტექნიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გაფართოვდა. იგი მუშაობს საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის სისტემის სხვადასხვა ელემენტების გაუმჯობესებაზე. დირექტორატი წარადგენს საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტის კომიტეტს სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმზე.

დირექტორატი ასევე უზრუნველყოფს კავშირს სააგენტოებთან, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საჰაერო თავდაცვასთან დაკავშირებული სისტემების, ნატოს საავიაციო-სადესანტო პირველადი შეტყობინების პროგრამის, ნატოს საჰაერო კონტროლის მართვის სისტემების პროგრამის სრულყოფაზე.

სამხედრო მართვის ორგანოების სტრუქტურა

ნატოს წევრი ქვეყნები გამოყოფენ შესაბამის სამხედრო რესურსებს რომლებიც საერთო ჯამში ქმნიან ალიანსის გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურას. ამ სტრუქტურის ძირითადი პრინციპების შესაბამისად რეგულირდება ურთიერთობები ალიანსის პოლიტიკურ და სამხედრო ინსტიტუტებს შორის. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული სამხედრო სტრუქტურა მუდმივად იმყოფება პოლიტიკური კონტროლის ქვეშ და მისი საქმიანობა უმაღლეს დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად წარიმართება. სამხედრო სტრუქტურების ამოცანაა წევრი ქვეყნების ტერიტორიის დაცვისათვის ორგანიზებული საფუძვლების შექმნა, ამ სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და სტაბილიზაციის ხელშეწყობის მიზნით. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წესდების მე-5 მუხლის შესაბამისად, არსებული სამხედრო სტრუქტურის ფარგლებში ნატო ინარჩუნებს აუცილებელ სამხედრო პოტენციალს, რათა ეფექტურად იქნეს შესრულებული ალიანსის წინაშე მდგარი ამოცანები. წესდებით გათვალისწინებული კოლექტიური თავდაცვის სფეროში არსებული ძირითადი ამოცანების შესაბამისად, ნატოს მრავალეროვნული ძალები უნდა ფლობდნენ ყველა საშუალებას პოტენციური საფრთხის შესაჩერებლად და იმ შემთხვევაში, თუ საგარეო თავდასხმა მაინც განხორციელდა, აგრესორის შეჩერება უნდა მოხდეს ალიანსის უკიდურეს შორეულ საზღვარზე, რითიც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნატოს წევრთა დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. ეს ძალები ასევე მზად უნდა იყვნენ თავიანთი წვლილი შეიტანონ კონფლიქტების მოგვარებაში და აქტიური რეაგირება მოახდინონ პოტენციურ და არსებულ კრიზისებზე. სამხედრო ძალები აგრეთვე ასრულებენ მნიშვნელოვან ამოცანას თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით ნატოს პარტნიორ ქვეყნებთან, ესმარებიან რა პარტნიორ ქვეყნებს რათა ეს უკანასკნელნი აქტიურად ჩაერთონ ნატოს ეგიდით გამართულ სამხედრო წვრთნებში, პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში და ამ გზით წევრმა და პარტნიორმა ქვეყნებმა თავიანთი ერთობლივი წვლილი უნდა შეიტანონ მშვიდობის უზრუნველყოფის, აგრეთვე საერთო ინტერესთა დაცვაში ევროატლანტიკურ რეგიონში წევრ და პარტნიორ ქვეყნებში უსაფრთხოებისა და სტაბილიზაციის მხარდაჭერის განმტკიცების მიზნით. კონფლიქტის მოგვარების კუთხით ერთობლივი ქმედებების პირველი ასეთი მაგალითი იყო ბოსნიაში 1995 წელს სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება, როდესაც გაეროს მანდატის შესაბამისად ნატომ აიღო პასუხისმგებლობა ამ ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო-სამშვიდობო ოპერაციათა განხორციელებაზე. როგორც უკვე აღინიშნა, ბოსნიაში სამშვიდობო შეთანხმების გარანტი – ნატოს ეგიდით შექმნილი საერთაშორისო ძალები “IFOR”, შეიცვალა ნატოს მეთაურობით შექმნილი ახალი მრავალეროვანი ძალებით “SFOR”-ით, რომლებშიც უკვე შედიოდა ნატოსა და პარტნიორი სახელმწიფოების სამხედრო კონტინგენტები.

სამხედრო სტრუქტურა

გაერთიანებულ სამხედრო სტრუქტურაში ჩართულნი არიან ალიანსის წევრი ქვეყნების მიერ გამოყოფილი ძალები. ამ ეტაპზე ასეთი ძალები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად 1. სწრაფი რეაგირების ძალები; 2. მთავარი თავდაცვითი ძალები; 3. ხელშეწყობის ძალები.

სწრაფი რევირების ძალები წარმოადგენენ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალებს რომელთა გამოყენება შესაძლებელია კრიზისების მოკლე დროში მოსაგვარებლად.

მთავარი თავდაცვითი ძალების შემადგენლობაში ირიცხებიან სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ფორმირებები, რომლებიც შედგება საკადრო და მოწვეული სამხედრო მოსამსახურეებისაგან, რომელთაც გააჩნიათ ძალა და რესურსი მოიგერიონ ნებისმიერი სამხედრო აგრესია. მასში შედიან სამხედრო მზადყოფნის სხვადასხვა სტადიაზე მყოფი მრავალეროვანი და ეროვნული ფორმირებები.

ამ ძალების ფუნქციონირებასთან ერთად, არსებობს შეთანხმება, სადაც განისაზღვრება ის ძირითადი პრინციპები, რომელთა შესაბამისად კრიზისული სიტუაციების დროს ნატოს დაქვემდებარებაში გადადის ევროპული კორპუსის შემადგენლობაში არსებული კონტინგენტები, სადაც ირიცხებიან სამხედრო ქვედანაყოფები ბელგიიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან, ლუქსემბურგიდან და საფრანგეთიდან.

რაც შეეხება ხელშეწყობის ძალებს, ისინი შედგებიან სხვადასხვა სახეობების ჯარების კონტინგენტისაგან, რომლებიც სხვადასხვა სამხედრო მზადყოფნის სტადიაში იმყოფებიან. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნენ სხვადასხვა სახმელეთო თუ საზღვაო რეგიონში კრიზისის მოგვარების ან თავდაცვის მიზნით.

ეს ძალები თავის მხრივ იყოფიან კონტინგენტებად, რომლებიც იმყოფებიან ან ოპერატიული სარდლობის და ოპერატიული მმართველობის ქვეშ, ან ნატოს გაერთიანებული ძალების ერთ-ერთი სტრატეგიული სარდლობის დაქვემდებარებაში.

საერთო ჯამში, ნატოს ჯარების უდიდესი ნაწილი, მშვიდობიანობის დროს იმყოფება თავიანთი ქვეყნების სარდლობის დაქვემდებარებაში ვიდრე იმ პერიოდამდე, სანამ ეს ძალები არ გადაეცემა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს კონკრეტული ოპერაციის ჩატარების მიზნით, რომლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პოლიტიკურ დონეზე. გამონაკლისს ამ წესიდან წარმოადგენს - ნატოს სხვადასხვა გაერთიანებული ორგანოების სამხედრო დაგეგმვის პირადი შემადგენლობა; ანტისაჰაერო თავდაცვის გაერთიანებული სტრუქტურის ელემენტები, მათ შორის შორეული საჰაერო რადიოლოკაციური აღმოჩენისა და მართვის ("ავაქსი") ძალები; კავშირგაბმულობის ცალკეული ქვედანაყოფები, და ა.შ.

ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა

ევროპაში გაერთიანებული ძალების წინაშე მთავარ ამოცანას წარმოადგენს მშვიდობის უზრუნველყოფა, ალიანსის წევრების დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება. აგრესიის შემთხვევაში, ევროპაში უმაღლესი მთავარსარდალი პასუხისმგებელია ყველა სამხედრო ხასიათის ღონისძიებების ჩატარებაზე, ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით.

ევროპაში უმაღლესი მთავარსარდალი აწარმოებს სამხედრო დაგეგმვას, მათ შორის განსაზღვრავს სამხედრო ძალების შემადგენლობასა და რაოდენობას. ასევე იგი წარუდგენს რეკომენდაციებს ნატოს პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას სხვადასხვა სამხედრო ხასიათის საკითხებზე. მას გააჩნია პირდაპირი კავშირი ეროვნული სამხედრო შტაბების ხელმძღვანელობასთან.

ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობა

ამ ძალების მთავარსარდალი წარმოადგენს ევროპაში სტრატეგიული სარდლობის უმაღლეს სამხედრო პირს. ეს პოსტი უკავია აშშ-ის შეიარაღებული ძალების გენერალს ან ადმირალს. ის თავის მოვალეობას ასრულებს ევროპაში ნატოს ძალების უმაღლესი მთავარსადლის შტაბში, რომელიც მდებარეობს ქალაქ მონსში (ბელგია).

სტრატეგიული სარდლობის წინაშე დგას ევროპის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანა, მის კომპეტენციაში შემავალი ტერიტორია ვრცელდება ნორვეგიის ჩრდილოეთი საზღვრიდან სამხრეთ ევროპამდე, ხმელთაშუაზღვის რეგიონის აკვატორიის ჩათვლით, და ატლანტიკის სანაპიროდან თურქეთის აღმოსავლეთ საზღვრამდე. ამ ტერიტორიას უკავია ხმელეთის ორ მილიონ კვადრატულ კილომეტრამდე და საზღვაო აკვატორიის დაახლოებით სამი მილიონი კვადრატული კილომეტრი. აღნიშნულ ტერიტორიაზე მაცხოვრებელთა რიცხვი შეადგენს 320 მილიონამდე ადამიანს.

ევროპაში ნატოს სტრატეგიული სარდლობის სტრუქტურაში შედის ორი რეგიონალური შტაბი, რომლებიც ექვემდებარებიან ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს, ეს შტაბებია:

გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობა ჩრდილოეთ ევროპაში-
მდებარეობს ქალაქ ბრიუნსუმში, ნიდერლანდები;

ნატოს გაერთიანებული ძალების რეგიონალური სარდლობა სამხრეთ ევროპაში-
მდებარეობს ქალაქ ნეაპოლში, იტალია.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ატლანტიკის რეგიონში

ატლანტიკის რეგიონში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალის - რომელიც მოქმედებს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ან სამხედრო დაგეგმარების კომიტეტის საერთო პოლიტიკური ხელმძღვანელობის ქვეშ, მთავარ ამოცანას წარმოადგენს სამხედრო პოტენციალის გაძლიერება ნატოს წევრი ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მიზნით. აგრესიის შემთხვევაში, ატლანტიკაში ნატოს ძალების მთავარსარდალი პასუხისმგებელია ყველა იმ სამხედრო ხასიათის ღონისძიებების გატარებაზე, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სოლიდარობის დემონსტრაციის მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი პასუხისმგებლობის ქვეშ არსებული ზონის უსაფრთხოება და საზღვაო აკვატორიის დაცვა. იმის გამო, რომ ნატოს ძალების მთავარსარდლობის შტაბი განთავსებულია ჩრდილოეთ ამერიკაში, ნატოს უმაღლესი მთავარსარდლობა ატლანტიკის რეგიონში აგრეთვე დიდ როლს ასრულებს ტრანსატლანტიკური კავშირების უზრუნველყოფაში ევროპასა და ამერიკას შორის. ევროპაში ნატოს გაერთიანებული ძალების მთავარსადლის მსგავსად, ატლანტიკაში მთავარსარდალი შესაბამის კონსულტაციებს უწევს ნატოს სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობას თავდაცვის საკითხებზე და აქვს პირდაპირი კავშირი გენერალური შტაბების უფროსებთან, თავდაცვის მინისტრებთან და ნატოს წევრი ქვეყნების მთავრობათა და სახელმწიფოთა მეთაურებთან.

ატლანტიკაში ნატოს გაერთიანებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბი მდებარეობს ქ. ნორფოლკში, აშშ, ვირჯინიის შტატი.

ატლანტიკაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობა

ატლანტიკაში მთავარსარდლობის პასუხისმგებლობის ზონა ვრცელდება ჩრდილოეთის პოლუსიდან რაქის ტროპიკამდე და ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთი სანაპიროდან ევროპისა და აფრიკის დასავლეთ სანაპიროებამდე (პორტუგალიის ჩათვლით, მაგრამ ლა-მანშის სრუტის, ბრიტანეთის კუნძულების და კანარის კუნძულების გამოკლებით).

სარდლობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების უზრუნველყოფა ატლანტიკის რეგიონში, მათ შორის საზღვაო კომუნიკაციების დაცვა, სახმელეთო ოპერაციების მხარდაჭერა და ნატოს საზღვაო ბაზირების ბირთვული შემაღენლის დაცვა.

ატლანტიკაში ნატოს უმაღლეს მთავარსადლობას ექვემდებარება ხუთი მთავარი სარდლობა, მათ შორის სამი რეგიონალური შტაბი. ყველა რეგიონალური შტაბი პასუხისმგებელია ატლანტიკაში სარდლობის წინაშე დაგეგმარების ამოცანების შესასრულებლად, სამხედრო საქმიანობის შესრულებაზე და მშვიდობიანობის პერიოდში არსებული შეთანხმებების შესრულებასა და კრიზისებისა და კონფლიქტების პრევენციაზე.

ატლანტიკაში სარდლობას ექვემდებარება შემდეგი ხუთი სარდლობა:

ატლანტიკაში ნატოს გაერთიანებული ძალების უმაღლესი მთავარსადლობის შტაბი ატლანტიკის აღმოსავლეთ სექტორში. იგი მდებარეობს ქალაქ ნორფოლკში, დიდი ბრიტანეთი;

ატლანტიკაში ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალების მუდმივი გაერთიანება;

ატლანტიკის დასავლეთ სექტორში გაერთიანებული ძალების რეგიონალური შტაბი. მდებარეობს ქალაქ ნორფოლკში, ვირჯინია, აშშ;

ატლანტიკის სამხრეთ სექტორის რეგიონალური შტაბი;

ატლანტიკის სამხრეთ სექტორში ნატოს გაერთიანებული შტაბი.

გარდა ამისა, ნატოს შემაღენლობაში ფუნქციონირებს *კანადურ-ამერიკული რეგიონალური დაგეგმვის ჯგუფი*, რომელიც შედგება აშშ-სა და კანადის სამხედრო წარმომადგენლებისაგან და იგი ასრულებს სამხედრო საქმიანობის საკოორდინაციო ფუნქციას კანადისა და აშშ-ის ტერიტორიებზე.

ერთობლივი ფინანსირების რესურსები: ნატოს ბიუჯეტები და ფინანსური საქმიანობის მმართველობა

ერთობლივი დაფინანსების პრინციპები

ნატო წარმოადგენს სამთავრობათშორისო ორგანიზაციას, სადაც წევრი-სახელმწიფოები გამოყოფენ თანხებს, ალიანსის პრაქტიკული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ამავე დროს, სამხედრო სფეროში, ნატოს მუდმივმოქმედი ძალების მცირე კონტინგენტის ფუნქციონირების პარალელურად, სამხედრო ძალების უმეტესობა და ნატოს წევრი სახელმწიფოების თავდაცვის სფეროზე გამოყოფილი ფინანსური რესურსები გამოიყენება წევრი ქვეყნების სამხედრო მმართველობის შეხედულებათა შესაბამისად ვიდრე იმ დრომდე, სანამ ყველა ეს ეროვნული სამხედრო ძალა ან მათი გარკვეული ნაწილი, წევრი ქვეყნის მიერ ნატოს წინაშე აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, შესაძლებლად ჩათვლის რომ მისი სამხედრო და ფინანსური რესურსები გამოყოფილ იქნეს ნატოს უშუალო დაქვემდებარებაში კონკრეტული სამხედრო ხასიათის ამოცანების შესასრულებლად. მაგალითად, ნატოს სამხედრო კონტინგენტები რომელიც გამოიყო ეროვნული მთავრობების მიერ, მივლინებულ იქნა ბოსნიაში თავიანთი ამოცანების შესასრულებლად. ანალოგიური ქმედება განხორციელებულ იქნა კოსოვოში, როდესაც ნატოს ქვეყნების დიდი ნაწილის მიერ ალიანსის დაქვემდებარებაში დროებით საფუძველზე გადაცემულ იქნა საჯარისო ფორმირებები. თუმცა, ამავე დროს, თანხები მათი სამხედრო მომზადებისათვის, მატერიალური უზრუნველყოფა და დაფინანსება ხორციელდებოდა ცალკეული ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტებიდან.

როგორც ცნობილია, ნატოს თითოეულ ქვეყანას ნატოს შტაბ-ბინასა და ალიანსის სხვა სამხედრო თუ სამოქალაქო დაწესებულებებში გააჩნია თავისი დიპლომატიური და სამხედრო წარმომადგენლობები. ხარჯები, დაკავშირებული ეროვნული სამოქალაქო წარმომადგენლებისა და სამხედრო მისიების მიერ მათზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად იფარება ცალკეული ქვეყნების მიერ.

ამავე დროს, ნატოს ერთობლივი ფინანსური საშუალებები ძირითადად მიმართულია იმ დანახარჯების დასაფარავად, რომლებიც შეესაბამება ნატოს ყველა წევრი სახელმწიფოს ინტერესს.

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ნატოს ხაზით ფინანსირება არ მოიცავს შესყიდვებს, რომელიც იწარმოება შეიარაღებული ძალებისათვის. სამხედრო მოსამსახურეები, შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა გამოიყოფა ალიანსისათვის წევრი-სახელმწიფოების მიერ, რომლებიც თავის თავზე იღებენ ფინანსურ პასუხისმგებლობას ზემოაღნიშნულ სფეროში დანახარჯების დაფარვის მიზნით. მნიშვნელოვან გამონაკლისს ამ წესიდან წარმოადგენს შორეული საჰაერო რადიოლოკაციური მართვისა და აღმოჩენის ძალები (AWACS), რომლებიც წარმოადგენენ რადარებით აღჭურვილ თვითმფრინავების პარკს, რომელთა შესყიდვაც განხორციელდა ნატოს წევრი სახელმწიფოების მიერ და რომლებიც გადაეცა ნატოს “ავაქსის” სარდლობის ოპერატიულ დაქვემდებარებას, რომელიც თავის მხრივ ექვემდებარება ნატოს გაერთიანებული ძალების სარდლობას. ეს თვითმფრინავები იმყოფება ნატოს კოლექტიურ მფლობელობაში. ასევე, ნატო ახორციელებს ერთობლივ დაფინანსებას მიმართულს კოლექტიური მოთხოვნილებების დასაფარავად, მაგალითად - ანტისაჰაერო თავდაცვა, კავშირგაბმულობის სისტემები. გარდა ამისა, თუ ნატოს სტრუქტურებში მომსახურე სამხედრო პერსონალის დაფინანსება ხორციელდება კონკრეტული წევრი სახელმწიფოს მიერ, რომელმაც მიაგლინა სამხედრო პირი ნატოს

კონკრეტულ სამხედრო სტრუქტურაში, ნატოს შტაბ-ბინაში მომუშავე სამოქალაქო საერთაშორისო რანგის თანამშრომლების ხელფასები გამოიყოფა ნატოს სამოქალაქო და სამხედრო ბიუჯეტებიდან ნატოს ერთობლივი დაფინანსების პრინციპით.

სამოქალაქო ბიუჯეტი

სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირება და შესრულება ხორციელდება სამოქალაქო ბიუჯეტის კომიტეტის კონტროლით, თანხები ძირითადად გამოიყოფა წვერი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების მიერ. ამ ბიუჯეტიდან ფინანსირდება ნატოს შტაბ-ბინაში არსებული საერთაშორისო სამდივნოს საქმიანობა, ალიანსის თანამშრომლების შრომის ანაზღაურება, ასევე დამტკიცებული სამოქალაქო პროგრამებისა და ღონისძიებების შესრულება, აგრეთვე ხარჯები მშენებლობისათვის, ობიექტების ექსპლუატაციისა და რემონტისათვის, მათ შორის შტატების უზრუნველყოფის, კონფერენციების ორგანიზების, ნატოს კომიტეტების ყველა სხდომის ჩატარებისა და უსაფრთხოების სამსახურის უზრუნველყოფისათვის ფინანსური რესურსების გამოყოფა. ბოლო პერიოდში საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილი მიმართულია იმ საქმიანობის დაფინანსებისათვის, სადაც მონაწილეობენ პარტნიორი სახელმწიფოები. საერთო სამოქალაქო ბიუჯეტიდან თანამშრომელთა მატერიალური ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხა შეადგენდა დაახლოებით 61%-ს. დანახარჯები ისეთი განსაკუთრებული პროგრამებისათვის, როგორებიცაა ნატოს სამეცნიერო პროგრამები, ან საინფორმაციო საქმიანობაზე გაწეული თანხებმა შეადგინა 26%-ს. დანარჩენი თანხა, დაახლოებით 13% დაიფარა სხვადასხვა საქსპლუატაციო და კაპიტალური ხარჯების დასაფარავად.

სამხედრო ბიუჯეტი

სამხედრო ბიუჯეტის დაფინანსება, რომელიც ფორმირდება და სრულდება სამხედრო ბიუჯეტის კომიტეტის მიერ, ხორციელდება ძირითადად იმ სახსრებიდან, რომლებიც გამოიყოფა თავდაცვის სამინისტროების მიერ. სახსრები ამ ბიუჯეტიდან მიმართულია საქსპლუატაციო და სარემონტო ხარჯების დასაფარავად, ასევე საერთაშორისო სამხედრო სტრუქტურის კაპიტალური დანახარჯებისათვის. ეს საერთაშორისო სამხედრო სტრუქტურა შეიცავს ნატოს სამხედრო კომიტეტს, საერთაშორისო სამხედრო შტაბს, და ნატოს გაერთიანებული ძალების ორ სტრატეგიულ სარდლობას-ევროპასა და ატლანტიკაში. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საერთო თანხაში არ შედის მნიშვნელოვანი ხარჯები, რომლებიც გამოიყოფა სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებიც მუშაობენ ნატოს გაერთიანებული ძალებში, რადგან ამ კონტინგენტის დაფინანსება ხორციელდება შესაბამისი სახელმწიფოების მიერ. ერთობლივი დაფინანსების საერთო თანხა იყოფა შემდეგი პრინციპით: ოპერაციების ჩატარებისა და ზურგის უზრუნველყოფის ხარჯები-43%, ხარჯები სამოქალაქო თანამშრომლებისათვის - 30%, საერთო ადმინისტრაციული ხარჯები 22% და საბოლოოდ კაპიტალდაბანდებები შეადგენს დაახლოებით 5%-ს.

ხარჯების განაწილება წევრ სახელმწიფოებს შორის

ნატოს ბიუჯეტი შედგება ალიანსის წევრი სახელმწიფოების ყოველწლიური შენატანებისაგან, რომელთა მოცულობაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის

სახელმწიფოების მიერ დამტკიცებული ხარჯების განაწილების პრინციპითაა განსაზღვრული. სხვადასხვა წევრი სახელმწიფოს წილის მოცულობა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, შიდა ეროვნული პროდუქტის მთლიანი მოცულობა და მისი მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, მაკროეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს, საშინაო და საგარეო ვალებს და ა.შ.

ნატოს 2004 წლის საერთო ბიუჯეტი, დაახლოებით 1,1 მლრდ დოლარს შეადგენდა, აქედან ყველაზე მსხვილი გადამხდელი გახლდათ აშშ – ნატოს ბიუჯეტის 27,2% (607,3 მლნ ამერიკული დოლარი), შემდეგ მოდიან გერმანია – შესაბამისად 20,8% (464 მლნ. აშშ დოლარი), გაერთიანებული სამეფო – 11,4%(255,1 მლნ. შშ დოლარი), იტალია-7,3% (163,4 მლნ. დოლარი), საფრანგეთი – 5,5% (122,7 მლნ), კანადა-5,1% (114,6 მლნ), თურქეთი 1,4% (31,7 მლნ). რაც შეეხება ნატოს პატარა სახელმწიფოებს, მაგალითად ესტონეთს, ისლანდიას, ლატვიას და ლიტვას, თითოეული ამ ქვეყნის შენატანი ალიანსის ბიუჯეტის 0,1%-ს წარმოადგენს. ესტონეთის შენატანი 1,3 მლნ. დოლარს შეადგენს, ლიტვის – 3,6 მლნ, ისლანდიის – 0,5 მლნ. (61)

ნატოს საგანმანათლებლო დაწესებულებები

ნატოს თავდაცვის კოლეჯი

ნატოს თავდაცვის კოლეჯის ადგილსამყოფელია ქ. რომი. მის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს ნატოს სამხედრო კომიტეტი, ხოლო მის უშუალო ხელმძღვანელობას დამოუკიდებელი საკონსულტაციო საბჭო, რომელიც განსაზღვრავს კოლეჯის საქმიანობის მიმართულებას. კოლეჯში წარმოებს კურსები სტრატეგიულ სამხედრო-პოლიტიკურ თემატიკაზე მსმენელთა პროფესიული მომზადების მიზნით, რომლებიც შემდგომში წარდგენილ უნდა იქნენ ნატოს სტრუქტურაში არსებულ სხვადასხვა თანამდებობებზე. სასწავლო კურსებს აგრეთვე გადიან ნატოს პარტნიორი ქვეყნების სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირები.

კოლეჯის უფროსი, რომლის სამხედრო წოდება უნდა იყოს გენერალ-ლეიტენანტი, ინიშნება სამი წლის ვადით სამხედრო კომიტეტის მიერ. რაც შეეხება ლექტორებს, ისინი წარმოდგენილნი არიან სამოქალაქო და სამხედრო პერსონალით, რომლებიც როგორც წესი მივლინებულები არიან ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებიდან.

კოლეჯის მთავარ სასწავლო პროცესს წარმოადგენს კურსები უფროსი ხელმძღვანელი პირებისათვის, რომლებიც გრძელდება ხუთნახევარი თვე და ტარდება წელიწადში ორჯერ. აქ არიან ოფიცრები ვიცე-პოლკოვნიკისა და პოლკოვნიკის რანგში ან სამოქალაქო პირები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი თანამდებობა. მსმენელთა დიდი ნაწილი შემდგომში ინიშნება ხელმძღვანელ პოსტებზე ნატოს გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში ან თავიანთ ქვეყნებში შესაბამის პოსტებზე ნატოს ხაზით.

1991 წლიდან კოლეჯში შემოღებულ იქნა ორკვირიანი კურსები ეუთოს წევრი ქვეყნების ხელმძღვანელი პირებისათვის.

ზემოაღნიშნული კურსების მიზანს წარმოადგენს ალიანსის ფუნქციებისა და მიზნების შესწავლა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, აგრეთვე ნატოს სტრუქტურების შესწავლა და ევროატლანტიკურ რეგიონში არსებული სიტუაციის ანალიზი.

გარდა ამისა, კოლეჯი ყოველწლიურად ატარებს სამეცნიერო-კვლევით სემინარებს უსაფრთხოების საკითხებზე.

ევროპაში ნატოს გაერთიანებული ძალების მთავარსადგლობასთან არსებული ნატოს სკოლა

ნატო სკოლა, რომელიც მდებარეობს ობერამერგაუში (გერმანია), წარმოადგენს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო და სამოქალაქო პირების მომზადების სასწავლო ცენტრს. სასწავლო კურსების შინაარსი მუდმივ ცვალებადობას განიცდის ევროპაში ნატოს უმაღლესი მთავარსადგლობის სტრატეგიული სარდლობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება კურსები ისეთ თემებზე, როგორებიცაა: ბიოლოგიური, ქიმიური და ბირთვული ნივთიერებებისგან დაცვა, რადიოელექტრონული ბრძოლა, მშვიდობის მხარდაჭერა, ჯარების მართვის სისტემები, კრიზისების დარეგულირება, ნატოს საქმიანობა და სხვა.

როგორც ავლნიშნეთ, სკოლა იმყოფება ევროპაში ნატოს უმაღლესი მთავარსადგლობის დაქვემდებარების ქვეშ, ამავე დროს სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება აშშ-სა და გერმანიის მთავრობების მიერ, თუმცა მიმდინარე ხარჯები იფარება მსმენელთა მიერ შემოტანილი სასწავლო გადასახადების ხარჯზე.

სკოლის შექმნის ისტორია დაკავშირებულია ალიანსის საქმიანობის პირველ წლებთან, მაგრამ მისი წესდება და თანამედროვე სახელწოდება მიღებულ იქნა 1975 წელს. მრავალი წლის განმავლობაში, სკოლის საქმიანობაში ძირითადი ყურადღება ექცეოდა საკითხებს, დაკავშირებულს ნატოს კოლექტიურ თავდაცვასთან. შემდგომ წლებში, 1991 წლიდან ნატოს სტრატეგიული კონცეფციის მიღების შემდეგ სკოლის ფუნქციონირების პროცესში განხორციელდა რადიკალური ცვლილებები, რადგან მასში დანერგილ იქნა აგრეთვე ისეთი კურსები, რომლებიც ითვალისწინებდნენ დიალოგსა და თანამშრომლობას ნატოს არაწევრი ქვეყნების სამხედრო და სამოქალაქო პერსონალთან.

ყოველწლიურად ნატოს სკოლაში კურსებს გადის 50 სახელმწიფოს 5000-მდე მსმენელი. აგრეთვე, ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 50-მდე კურსი.

სკოლის ლექტორთა შემადგენლობაში შედიან ნატოს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები, აგრეთვე მოწვეული პროფესორები ნატოს სარდლობებიდან და შტაბებიდან, "პარტნიორობა მშვიდობისათვის" წევრი ქვეყნებიდან, აგრეთვე საერთაშორისო ჰუმანიტარული და კომერციული ორგანიზაციებიდან.

ნატოს სკოლა ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის სისტემების დარგში

ინფორმაციისა და სისტემების ნატოს სკოლა ატარებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს სამხედრო და სამოქალაქო პერსონალისათვის მათ მიერ ნატოს ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის ტექნიკური მომსახურების საკითხების გაცნობის მიზნით. კურსებზე მომზადება იწარმოება ნატოს ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის ადმინისტრატორებისათვის.

სკოლა ფუნქციონირებს 1959 წლიდან, ამ პერიოდიდან მასში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები და თანამედროვე სახელწოდებით სკოლა საქმიანობას ახორციელებს 1989 წლიდან. 1994 წელს, ნატოს პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" მიღების შემდგომ შემოღებულ იქნა ახალი კურსები. 1995 წლიდან სკოლაში აგრეთვე ტარდება კურსები, რომლებიც განკუთვნილია ყოფილ იუგოსლავიაში სამშვიდობო ოპერაციებში ჩართული პერსონალისათვის.

თანამედროვე პერიოდში სასწავლებელში ტარდება 50-მდე სასწავლო კურსი ერთიდან ათი კვირის ხანგრძლივობით. ყოველწლიურად მასში მომზადებას გადის 1650-მდე მსმენელი.

ნატოს ჯგუფი სასწავლო-საბრძოლო მომზადების დარგში

ნატოს სასწავლო-საბრძოლო მომზადების ჯგუფი პასუხისმგებელია ინდივიდუალური სასწავლო-საბრძოლო მომზადების დარგში მსმენელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მის ამოცანას წარმოადგენს ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის სასწავლო-საბრძოლო მომზადების სფეროში არსებული შეთანხმებების სრულყოფა და ახალი ღონისძიებების ჩატარება ამ მიმართულებით. ჯგუფი ექვემდებარება ნატოს სამხედრო კომიტეტს და ახორციელებს მჭიდრო კავშირებს ნატოს სტანდარტიზაციის სააგენტოსთან.

ჯგუფი მხარს ეჭერს ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლას და წარმოადგენს მნიშვნელოვან უწყებას შესაბამის სფეროში აზრთა ურთიერთგაცვლისა და სასწავლო-საბრძოლო მომზადების დარგში.

საპარლამენტო და არასამთავრობო ორგანიზაციები

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა (რომელიც ცნობილი იყო ჩრდილო ატლანტიური ასამბლეის სახელით), არის საპარლამენტო-შორისო ორგანიზაცია. იგი ფუნქციონირებს 1955 წლიდან როგორც ფორუმი ნატოს წევრი ჩრდილოამერიკული და დასავლეთევროპული ქვეყნების კანონმდებელთათვის. ალიანსის წევრი პარლამენტარები სიტემატურად ხვდებიან ერთმანეთს მათთვის საინტერესო საკითხების განსახილველად.

უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში ასამბლეამ მნიშვნელოვნად გააფართოვა წევრთა რაოდენობა და მანდატები, რაც განპირობებული იყო იმ ძირითადი პოლიტიკური ცვლილებებით, რომლებიც მოხდა როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ასევე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.

ალიანსის პარტნიორ 17 ქვეყანას გააჩნია კოლეგიალური სტატუსი ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში, რაც პარტნიორი ქვეყნების პარლამენტარებს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ ასამბლეის მუშაობაში და სხვადასხვა ტიპის დებატებში. ისინი ძირითად აქცენტს აკეთებენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ, პოლიტიკურ გარემოსა და კულტურულ პრობლემებზე.

ქვეყნები, რომლებიც ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში კოლეგიალური დელეგატების სტატუსით სარგებლობენ არიან: ალბანეთი, ავსტრია, ხორვატია, ფინეთი, საქართველო, მოლდოვა, რუსეთის ფედერაცია, შვეიცარია, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია და უკრაინა.

მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით ასამბლეა სრულიად დამოუკიდებელია ნატოსგან, ის ამავდროულად აყალიბებს მნიშვნელოვან კავშირს წევრი და პარტნიორი ქვეყნების ეროვნულ პარლამენტებსა და ალიანსს შორის, ეს კი პირველ რიგში თავის გამოხატულებას ჰპოვებს იმაში, რომ ნატოს ცალკეულ ქვეყანაში ამა თუ იმ კანონპროექტის განხილვის დროს, განსაკუთრებით დაკავშირებულს თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი პარლამენტარები მნიშვნელოვან როლს

ასრულებენ იმაში, რომ ახლადმიღებული კანონის მიღებისას მხედველობაში იყოს მიღებული ალიანსის ინტერესები.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში დელეგატები ინიშნებიან წევრი და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების მიერ საკუთარი ეროვნული პროცედურების მიხედვით, პარლამენტში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლობის საფუძველზე.

ასამბლეა იკრიბება წელიწადში ორჯერ პლენარულ სხდომაზე. შეხვედრები იმართება მონაცვლეობით წევრ ან პარტნიორ წევრ ქვეყნებში ეროვნული პარლამენტების შესაბამისი კომიტეტების მოწვევის საფუძველზე. ასამბლეაში ფუნქციონირებს 6 კომიტეტი, ეს კომიტეტებია:

1. პოლიტიკური;
2. თავდაცვისა და უსაფრთხოების;
3. ეკონომიკის და უსაფრთხოების;
4. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების;
5. უსაფრთხოების სამოქალაქო ასპექტების განსაზღვრის კომიტეტი;
6. სპეციალური ხმელთაშუაზღვის ჯგუფი.

ეს კომიტეტები შეისწავლიან და იკვლევენ ყველა ძირითად თანამედროვე საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება მათ შესაბამის ინტერესთა სფეროში. წლის განმავლობაში ისინი რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს და მოხსენებას აკეთებენ ასამბლეის პლენარულ სესიაზე.

ბრიუსელში დაფუძნებულია სამდივნო 30 კაცის შემადგენლობით. ალიანსის წევრი ქვეყნების კანონმდებლების მთავარი საზრუნავია ასამბლეის ფარგლებში გამართული ღონისძიებების დროს გამოხატონ თავიანთი სახელმწიფოების პოზიცია ნატოს ინტერესებში შემავალ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ითანამშრომლონ ალიანსის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიმღებ პირებთან, გაუზიარონ ერთმანეთს განსხვავებული მოსაზრებები ევროატლანტიკურ რეგიონში უსაფრთხოების და სხვა, ნატოსთან დაკავშირებულ საკითხებზე.

თავისი საქმიანობისას, ასამბლეის წევრებს შეუძლიათ გამოიყენონ ის გამოცდილება და ინფორმაცია, რომელიც მათ მიერ მოპოვებულ იქნა ალიანსის სტრუქტურებში მოღვაწეობის პერიოდში. ეს გვეხმარება დავრწმუნდეთ იმაში, რომ ალიანსის ინტერესები და საზრუნავი მაქსიმალურად სააშკარაოხება გამოტანილი ასამბლეის ფარგლებში ამა თუ იმ საკითხის განხილვის პროცესში.

ასამბლეა ასევე წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტიტუტს საპარლამენტო და საზოგადოებრივი აზრის შეფასებისას.

ამ მხრივ ასამბლეა თამაშობს არაპირდაპირ, მაგრამ მნიშვნელოვან როლს ნატოს პოლიტიკის ფორმირებაში. ასამბლეის რეკომენდაციები და რეზოლუციები წარედგინება ეროვნულ მთავრობებს, პარლამენტებს და სხვა შესაბამის ორგანოებს, ასევე ნატოს გენერალურ მდივანს და ალიანსის სხვა ოფიციალურ წარმომადგენლებს, რომლებიც ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ფარგლებში მიმდინარე დებატების დროს ითვალისწინებენ საპარლამენტო ასამბლეის მიერ გამოხატულ პოზიციას.

“ცივი ომის” დასრულების უკანასკნელ პერიოდში, 1990 წელს საფუძველი ჩაეყარა ჩარლ როუზისა (რომელიც იყო ამერიკელი კონგრესმენი და შემდეგ ასამბლეის პრეზიდენტი) და ამერიკელი სენატორის ბილ როტის მიერ ახალ ინციატივას ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პარლამენტარების საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში აქტიური ჩართვა. ამ ინიციატივას გააჩნია 3 ასპექტი:

1. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პარლამენტების აქტიური მონაწილეობა ალიანსის ფარგლებში გამართულ შეხვედრებში წელიწადში ორჯერ;

2. სპეციალური “როუზ-როტის” სემინარების გამართვა რეგულარულად რომელიც მიეძღვნება იმ საკითხების განხილვას, რომლებიც წარმოადგენენ ცენტრალური და აღმ. ევროპის ქვეყნების განსაკუთრებულ ინტერესს. ამ ღონისძიებების გამართვა ხორციელდება წვერი ქვეყნების პარლამენტებისა და ცენტრალური და აღმ. ევროპის და ყოფილი საბჭოთა ქვეყნების პარლამენტების შორის თანამშრომლობის გზით. ასეთი ტიპის სემინარები უზრუნველყოფენ რეგულარულ დიალოგს კანონმდებელთა შორის საერთო ინტერესების მქონე საკითხებზე. სულ გამართული იქნა 50-ზე მეტი ასეთი სემინარი.
3. ინიციატივა ასევე მხარს უჭერს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ორკვირიანი ტრენინგ პროგრამების საშუალებით. ასევე ხორციელდება მოკლევადიანი გაცნობითი ხასიათის ვიზიტების ორგანიზება ასამბლეის სამდივნოში-ბრიუსელში. ეს პროგრამები ძირითადად განკუთვნილია საპარლამენტო შტაბისთვის, რომელთა წარმომადგენლები მუშაობენ საგარეო ურთიერთობების ან თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტებში, ან უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ რაიმე სხვა სფეროში.

როუზ-როტის ინიციატივის მიზნებია:

1. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (მათ შორის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების) პარლამენტარების ინტეგრირება და ჩართვა ასამბლეის საქმიანობაში;
2. პარტნიორობის ღონის ამაღლება და თანამშრომლობა საკანონმდებლო დონეზე;
3. სხვადასხვა პრობლემებსა და პერსპექტივებზე კანონმდებელთა შორის მოსაზრებათა ურთიერთგაცვლა;
4. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პარლამენტარების უზრუნველყოფა ინფორმაციით მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით.
5. კანონმდებელთა დახმარებით ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების გაუმჯობესება. ამ მიზნით უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე სამხედრო და სამოქალაქო პირების კვალიფიკაციის ამაღლება სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების სფეროში არსებულ კანონმდებლობის საკითხებში;
6. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებში კანონმდებელთათვის ასამბლეაში არსებული პრაქტიკის გაცნობა;
7. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პარლამენტარებისათვის სხვადასხვა კონკრეტული ტიპის დახმარების გაწევა.

ასამბლეის როლი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პარლამენტებს შორის ურთიერთობების განვითარებაში დაფიქსირებულია ნატო-რუსეთის მიერ გაფორმებულ აქტში და ნატო-უკრაინის ქარტიაში, რომლებიც ხელმოწერილ იქნა 1997წ. ამ დოკუმენტებში არსებობს მოწოდება, გაფართოებული დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარებისკენ ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმასა და უკრაინის უმაღლეს რადას შორის.

მართალია ასამბლეის პროგრამა ცალკე არსებობს, მაგრამ განამტკიცებს ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს საქმიანობას და ინიციატივას

ალიანსის მიერ დამტკიცებული პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში.

ასამბლეის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს გამოცდილებისა და ინფორმაციის გაზიარება, რომელიც დაეხმარება პარტნიორი ქვეყნების პარლამენტარებს, ამ უკანასკნელთა ეროვნული თავდაცვის, შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში კანონმდებლობის დახვეწაში.

ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაცია

ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაცია, რომელიც შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილის დღეს, მიზნად ისახავს მოუწოდოს ეროვნულ მოხალისე და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა ამ უკანასკნელებმა ალიანსის თითოეულ 26 წევრ სახელმწიფოში მხარი დაუჭირონ ნატოს საქმიანობას და განამტკიცონ ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ძირითადი მიზნები.

90-იანი წლების დასაწყისიდან ატლანტიკური ხელშეკრულების ასოციაცია რეგულარულად ხელს უწყობს ეროვნულ მოხალისე და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც დაფუძნებულია ნატოს პარტნიორ ქვეყნებში. ამჟამად თითქმის ყველა პარტნიორ ქვეყანაში ფუნქციონირებს ასეთი ტიპის ასოციაციები, რომლებიც წარმოადგენენ ატლანტიკური ხელშეკრულების ასოცირებულ წევრებს.

ასოციაციის და მასში გაწევრიანებული ეროვნული ორგანიზაციების მიზანს წარმოადგენს:

1. გააცნოს საზოგადოებას ნატოს მისია და ამოცანები;
2. ჩაატაროს გამოკვლევები ნატოს მრავალი მიზნების განსახორციელებლად, სადაც ჩართულნი უნდა იყვნენ წევრი ქვეყნებისა და პარტნიორი სახელმწიფოების მკვლევარები;
3. დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერა;
4. თანამშრომლობის განვითარება ეროვნულ ასოციაციებს შორის.

რეზერვისტი ოფიცრების ალიანსთაშორისი კონფედერაცია

რეზერვისტი ოფიცრების კონფედერაცია დაარსდა 1948 წელს ბელგიაში, საფრანგეთსა და ნიდერლანდებში მოღვაწე რეზერვში მყოფი ოფიცრების მიერ. კონფედერაცია ამჟამად აერთიანებს ნატოში შემავალი ქვეყნების ყველა სარეზერვო ოფიცერთა ასოციაციას ისლანდიის გარდა, სულ 25-ს. ასოციაციის წევრები მათი ძირითადი საქმიანობის პარალელურად, სამოქალაქო პირების მსგავსად ისეთივე აქტიურებას იჩენენ ისეთ სფეროებში, როგორც გახლავთ ბიზნესი, აკადემიური და პოლიტიკური საქმიანობა, ისევე როგორც პროფესიული ცხოვრების სხვა დარგებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თადარიგის ოფიცრები მოწოდებულები არიან, თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოების მიერ უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხების გაცნობაში, ასევე, გამოცდილება მოახმარონ ნატოს წევრი ქვეყნების სარეზერვო ძალებში დარეგისტრირებულ მოქალაქეთა საქმიანობას.

ორგანიზაციის აბრევიატურა გახლავთ CIOR, რომელიც მომდინარეობს ფრანგული სიტყვებიდან “Confederation Interalliee des Officiers de Reserve.”

კონფედერაცია წარმოადგენს აპოლიტიკურ, არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლის მიზანია თანამშრომლობის განვითარება ნატოს ქვეყნების ეროვნული სარეზერვო ოფიცრების ასოციაციებს შორის.

CIOR-ის ძირითადი მიზნები მოიცავს მუშაობის წარმოებას ნატოს პოლიტიკისა და ალიანსის მიზნების მიღწევის მხარდასაჭერად. იგი ამყარებს კონტაქტებს ნატოს სამხედრო ხელმძღვანელებთან და ავითარებს საერთაშორისო კონტაქტებს სარეზერვო ოფიცრებს შორის იმისთვის, რომ მოხდეს დაგროვილი გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

CIOR-ში დელეგატები აირჩევიან მათი ეროვნული სარეზერვო ოფიცრების ასოციაციების მიერ. თითოეული დელეგაციის ხელმძღვანელი არის CIOR-ის ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო პრეზიდენტი და გენერალური მდივანი აირჩევიან აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. ისინი თავის ფუნქციას ასრულებენ 2 წლის განმავლობაში და ამავდროულად წარმოადგენენ თავიანთი ეროვნული ასოციაციის წევრებს.

გარდა პრეზიდენტისა და გენერალური მდივნისა, აღმასრულებელი კომიტეტი შედგება 18 ვიცე-პრეზიდენტისგან და კიდევ 4 დელეგატისგან, რომელსაც წარადგენენ ეროვნული ასოციაციები.

აღმასრულებელი კომიტეტი წარმოადგენს ორგანიზაციის პოლიტიკის ხერხემალს, იგი ღებულობს გადაწყვეტილებას, თუ რომელი ქვეყნის წარმომადგენელი იქნება შემდეგი პრეზიდენტი, სად გაიმართება კონგრესები, რა პროექტები იქნება მიღებული და განსაზღვრავს საბოლოო ქმედებებს, რომლებიც მიღებულ იქნება ამ პროექტებთან დაკავშირებით.

CIOR ფინანსდება ყოველწლიური შენატანებით ეროვნული ასოციაციების მიერ, რომელიც დაფუძნებულია თითოეული ასოციაციის ფინანსურ რესურსებზე და ა.შ.

აღმასრულებელი კომიტეტის სტრუქტურაში პრეზიდენტის ხელმძღვანელობით ფუნქციონირებს 4 მუდმივი და 1 ლეგალური კომიტეტი. ეს კომიტეტებია:

1. თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხების;
2. საზოგადოებრივი და სამხედრო თანამშრომლობის;
3. კომუნიკაციათა;
4. კონკურსების.

წესდების შესაბამისად, აღმასრულებელმა კომიტეტმა გარკვეული პერიოდის ფარგლებში უნდა დანიშნოს ქვეკომიტეტი, რომელიც იმუშავებს სპეციფიკურ საკითხებზე მუდმივი კომიტეტების საქმიანობის პარალელურად. თავისი მიზნების მისაღწევად, CIOR-ის მიერ ყოველწლიურად ეწყობა რეგულარული შეხვედრები კონფედერაციის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან სხვადასხვა საკითხების განსახილველად. ამ მიზნით შეხვედრები ეწყობა სხვადასხვა ქვეყნებში, მაგალითად აღმასრულებელი კომიტეტის კონფერენცია ზამთრის პერიოდში იმართება ნატოს შტაბ-ბინაში, ბრიუსელში.

მედიცინის დარგში რეზერვის ოფიცრების ალიანსთაშორისი კონფედერაცია (CIOMR)

CIOMR დაარსდა 1947 წელს ბრიუსელში, როგორც მედიცინის დარგში რეზერვის ოფიცრების ოფიციალური ორგანიზაცია. მოგვიანებით, აღნიშნული ინსტიტუტი დაფუძნებულ იქნა ნატოს სარეზერვო ძალების ფარგლებში. იგი დაარსებულ იქნა ბელგიის, სადრანგეთისა და ნიდერლანდების ინიციატივით. ამჟამად ფედერაციაში გაწევრიანებულები არიან ნატოს წევრი ყველა ქვეყნის წარმომადგენლები. მის მიზანს წარმოადგენს პროფესიული ურთიერთობების დამყარება სამხედრო ოფიცრებსა და სამხედრო ექიმებს შორის, აგრეთვე ნატოს ქვეყნების სარეზერვო ძალების სამედიცინო მომსახურებას. კონფედერაციის ფარგლებში ხშირად ტარდება სხვადასხვა ტიპის ტრენინგები სამედიცინო სფეროში.

CIOMR–ეს არის CIOR-ის ასოცირებული წევრი, ამიტომაც იგი თავის სესიებს მართავს იმავე ადგილას და დროს, რა დროსაც იმართება CIOR–ის ზაფხულის კონგრესი და ზამთრის კონფერენცია, თუმცა ამავე დროს იგი ადგენს საკუთარ დღის წესრიგს, რომელშიც ძირითადი თემები სამედიცინო საკითხების განხილვაზეა გათვლილი.

თავი VII. ნატოს ფართო საქმიანობა

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საქმიანობის განხილვის პროცესში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია მაღალი დონის დიპლომატიაზე, რაც დაკავშირებულია ნატოს სამიტებთან და ამ დონისძიებებზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე, აგრეთვე ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების დონეზე გამართულ მინისტერიალებზე, სამხედრო კამპანიებსა და სამშვიდობო ოპერაციებზე და ა. შ. ამავე დროს აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნატოს საქმიანობის დიდი ნაწილი რჩება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღების მიღმა. გლობალური ხასიათის საკითხების გადაჭრასთან ერთად ნატო ყოველდღიურად აქტიურადაა ჩართული მრავალრიცხოვანი პროექტების განხორციელებაში, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროატლანტიკურ რეგიონში უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობის გაუმჯობესებაში. აღნიშნული პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო პროგრამები, ჰუმანიტარული საქმიანობის ხელშეწყობა სხვადასხვა კატასტროფული კრიზისული სიტუაციების შემთხვევაში. ნატოს მიერ დიდი ყურადღება ეთმობა პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერას შეიარაღებული ძალების რეფორმირებაში, ყოფილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის გადამზადების პროგრამების შექმნას სამოქალაქო სექტორში სამუშაოდ. ალიანსის ერთ-ერთი პრიორიტეტი აგრეთვე გახლავთ ხალხმრავალ ადგილას უსაფრთხოების ეფექტური ზომების გატარება. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ნატოს მიერ შეტანილი წვლილი ევროპაში ჩატარებული დიდი სპორტული დონისძიებების დროს, კერძოდ 2004 წლის ევროპის და 2006 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატების მიმდინარეობისას, ასევე ათენსა და ტურინში გამართული ოლიმპიური თამაშების პერიოდში.

ნაღმების აღჭურვილობისა და იარაღის განადგურება

ნატოს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ფარგლებში გათვალისწინებული ნდობის ფონდების მეშვეობით, ხორციელდება პარტნიორი ქვეყნების დახმარება, რათა ამ უკანასკნელთ შეეძლოთ ქვეითთა ნაღმების, აღჭურვილობის, მცირე და მსუბუქი შეიარაღების ზედმეტი მარაგის განადგურება. ამ მიზნით თითოეულ ქვეყანასთან თანამშრომლობის გზით, განისაზღვრება ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები, რომელთა შესაბამისად შემუშავდება სპეციალური პროექტები, რათა საერთაშორისო ნორმების დაცვით უზრუნველყოფილ იქნეს განადგურების პროცესის უსაფრთხოდ ჩატარება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის დაცვის საკითხებს, რათა ყველანაირი ქმედება განხორციელდეს გარემოსათვის ზიანის მიუყენებლად. პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს ცალკეულ ქვეყნებში დანახარჯების შემცირების მიზნით ადგილობრივი რესურსებისა და ინფრასტრუქტურის გამოყენებასა და პარტნიორი ქვეყნის მოქალაქეების კვალიფიკაციის ამაღლებას ლიკვიდაციის პროცესის მიმართულებით.

ნაღმებისა და აღჭურვილობის განადგურების ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ალბანეთში, 2005 წელს 1,6 მილიონი ფეხოსანთა საწინააღმდეგო ნაღმის განადგურება; წარმატებული ოპერაციები აგრეთვე ჩატარებულ იქნა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეც, მაგალითად მოლდოვის ტერიტორიაზე განადგურებულ იქნა 12 ათასი ფუგასი და 7 ათასი ტონა სამხედრო მოწყობილობა და რეაქტიული საწვავი ფუგასი; ტაჯიკეთში განადგურებულ იქნა 1200 ფუგასი, ხოლო უკრაინაში განადგურდა 400 ფეხოსანთა საწინააღმდეგო ნაღმი; საქართველოში ნატოს სპეციალისტების

დახმარებით ჩატარდა 300 რააკეტის დემონტაჟი. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს ასევე განზრახული აქვს დემილიტარიზაციის სფეროში სხვა მნიშვნელოვანი პროექტების ჩატარება, ამ მიზნით ნატო ამჟამად მოლაპარაკებებს აწარმოებს აზერბაიჯანთან, სერბეთთან, მონტენეგროსთან, უკრაინასთან და ალბანეთთან, რათა პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარების გზით წარმატებით იქნეს დაძლეული დემილიტარიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

“პარტნიორობა მშვიდობისათვის” ნდობის ფონდები

ნატოს ინიციატივით 2000 წლის სექტემბერში შემუშავებულ და ჩამოყალიბებულ იქნა ნდობის პოლიტიკა. ზემოაღნიშნული პროგრამა შეიქმნა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის ფარგლებში. მის მიზანს წარმოადგენდა პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე დაგროვილი სამხედრო აღჭურვილობის უსაფრთხო განადგურების მიმართულებით. ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება რომ ხელმომწერ ქვეყნებს მხარდაჭერა უნდა აღმოეჩინოს ქვეითთა საწინააღმდეგო ნაღმების გამოყენების, შენახვის, წარმოებისა და გადაცემის აკრძალვისა და მათი განადგურების თაობაზე ოტავის კონვენციის განხორციელებაში.

აღსანიშნავია რომ ნატოს მიერ ნაღმების განადგურების რამდენიმე პროექტი წარმატებით იქნა განხორციელებული, რამაც ალიანსსა და პარტნიორ ქვეყნებს საშუალება მისცა გაეზარდათ ფონდის მოქმედების სფერო, კერძოდ, ნაღმების განადგურების პარალელურად ასევე დაიწყო პროგრამა, რომლის ძირითადი პრიორიტეტი გახლდათ დემილიტარიზაციის ისეთი პროექტების განხორციელება, რომელთა მიზანი აღჭურვილობისა და მცირე და მსუბუქი შეიარაღების განადგურება წარმოადგენდა. შემდგომ წლებში ფონდის ფარგლებში ახალი ინიციატივები იქნა წამოყენებული, რომელთა მეშვეობითაც განხორციელდა პარტნიორ ქვეყნებში თავდაცვის სისტემის რეფორმირების შედეგების მართვის მექანიზმების გაუმჯობესება, რაც პირველ რიგში ასახულ იქნა ისეთ საქმიანობაში, როგორცაა სამხედრო მოსამსახურეების გადამზადება და სამხედრო ბაზების კონვერსია.

ზემოაღნიშნული ინიციატივის ფარგლებში ნატოს წევრი სახელმწიფოები თანამშრომლობენ ცალკეულ პარტნიორ ქვეყნებთან, რათა ერთობლივად შემუშავდეს და განხორციელდეს კონკრეტული პროექტი, რომელზე მუშაობაც კონკრეტული პარტნიორი ქვეყნის პრიორიტეტს წარმოადგენს. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და პარტნიორი ქვეყანა თავის თავზე იღებს პროექტის შესახებ განაცხადის დაფინანსებასა და დამუშავებას, აგრეთვე პოტენციურ დონორებთან მოლაპარაკებების წარმოებას. კონკრეტული პარტნიორი ქვეყანა, რომელიც სისხლხორცეულადაა დაინტერესებული პროექტის განხორციელებაში, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ სამუშაოს შესრულებაში და თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოეჩინოს პროექტს, თავის მხრივ კი კონკრეტულ სფეროში ნატოს ექსპერტები მზადყოფნას გამოთქვამენ კონსულტაციები გაუწიონ პარტნიორი ქვეყნების პროექტში ჩართულ სპეციალისტებს.

ზემოაღნიშნული ინიციატივის ფარგლებში ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების მიერ ფინანსური რესურსები დამოუკიდებლად გამოიყოფა. გარდა დაფინანსებისა, ასევე შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღჭურვილობისა და სხვა ტექნიკის გამოყოფით პროექტში აქტიური მონაწილეობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნატოს ფარგლებში ფუნქციონირებს მატერიალურ-ტექნიკური

უზრუნველყოფისა და მომარაგების სააგენტო, რომელიც მდებარეობს ლუქსემბურგში. ეს სტრუქტურა სხვადასხვა ტიპის პროექტებში ხშირად მოქმედებს როგორც აღმასრულებელი ორგანო და პასუხისმგებლობას იღებს ტექნიკური და ფინანსური ასპექტების განხორციელებაზე.

ძველი რაკეტების განადგურება

ნდობის ფონდმა უდიდესი როლი ითამაშა საქართველოშიც, სადაც სხვადასხვა ტიპის პროგრამა განხორციელდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2005 წლის დასაწყისში საქართველოში უსაფრთხოდ განადგურდა 300-მდე ძველი ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტა. ეს რაკეტები განლაგებულნი იყვნენ ფონიჭალისა და ჭალადიდის ბაზებზე. მათ მოეხსნათ ქობინები რის შემდგომაც განხორციელდა მათი ტრანსპორტირება სხვა ტერიტორიაზე, სადაც სპეციალური მეთვალყურეობის ქვეშ მათი განადგურება იქნა განხორციელებული.

პროექტის წარმატებით განხორციელების შედეგად რაკეტებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში შეიქმნა უსაფრთხო გარემო, რამაც ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესებაზე.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება

90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ნატო აქტიურად ჩაერთო ჰუმანიტარული კატასტროფების ლიკვიდაციასთან და ამ კატასტროფების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის საქმიანობაში. ამ მხრივ აღიანსმა დიდი როლი შეასრულა უკრაინაში, სადაც უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მოხდა 13 დიდი წყალდიდობა. ნატო-მ პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობით მეტად აქტიური თანადგომა აღმოუჩინა უკრაინას 1995, 1998 და 2001 წლებში, როდესაც ამ ქვეყანაში მოხდა დამაგრეველი წყალდიდობები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1997 წელს ნატოსა და უკრაინას შორის ხელი მოეწერა სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვისა და კატასტროფებისათვის მზადყოფნის თაობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმს. ამ დოკუმენტმა დიდი როლი შეასრულა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში სტიქიური უბედურებების შედეგად სალიკვიდაციო სამუშაოების წარმოების პროცესში. პროგრამის მიზანი იყო დახმარებოდა უკრაინას, რომლის დასავლეთ რეგიონებში ხშირად ხდებოდა წყალდიდობები, ამგვარი საგანგებო სიტუაციებისათვის უკეთესად მომზადებისა და მათი შედეგების უფრო ქმედით მართვაში. ამ მიზნით 2000 წლის სექტემბერში “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ იქნა წვრთნები, რომელთა მიზანი იყო შესაბამისი სამსახურების წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საჰაერო დაზვერვა, ადამიანების ევაკუაცია და წყლის გამწმენდი მოწყობილობების გამოყენება. ძემოაღნიშნული წვრთნების ჩატარებისათვის სპეციალურად იქნა შერჩეული მთიანი რელიეფი და შესაბამისად ეს ღონისძიება შედგა უკრაინის კარპატების რეგიონში. უკვე ერთი წლის შემდეგ, ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების (სულ 12 ქვეყანა) საგანგებო სიტუაციათა 40-მა ექსპერტმა შედგენილი საცდელი პროექტის ფარგლებში ერთად მოიყარა თავი. შეხვედრაზე ექსპერტთა მიერ წამოყენებულ და განხილულ იქნა კონკრეტული წინადადებები მდინარე ტისას აუზში წყალდიდობების პროგნოზირებისა და მათ შედეგებთან ბრძოლის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრის შესახებ.

1998 წლის ივნისში რუსეთის ფედერაციის წინადადების საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატოს შტაბ-ბინასთან კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ. ცენტრი თავის ფუნქციას დღე-ღამის განმავლობაში ახორციელებს და იგი წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლის მთავარ პუნქტს. მის კომპეტენციას ასევე მიეკუთვნება ნატო-სა და პარტნიორი ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება ევროატლანტიკურ სივრცეში მომხდარ კატასტროფებზე რეაგირების პროცესში. ცენტრის ფარგლებში ასევე ხორციელდება სხვადასხვა ტიპის სამოქალაქო საგანგებო წვრთნების ორგანიზება - ბუნებრივი და ადამიანის ქმედებებით გამოწვეულ კატასტროფებზე რეაგირებისათვის, ისევე როგორც ქიმიური, ბიოლოგიური ან რადიოლოგიური ნივთიერებების გამოყენებით განხორციელებული ტერორისტული აქტების შედეგების მართვისათვის მოსამზადებლად. თავისი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით ცენტრი თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ საერთაშორისო კატასტროფებზე რეაგირებისას და მათი შედეგების მართვაში. ეს ორგანიზაციებია: გაერო-ს ჰუმანიტარულ საქმეთა საკოორდინაციო ოფისი, ქიმიური იარაღის აკრძალვის ორგანიზაცია და სხვა.

თავისი ძირითადი საქმიანობის პარალელურად, ცენტრი ასევე მუშაობს სხვადასხვა პროცედურული საკითხების გადაწყვეტაზეც, რათა უფრო გაადვილებულ იქნეს მაგალითად ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების ლიკვიდაციის გზით. შესაბამისად ცენტრი შეიმუშავებს ორმხრივ ან მრავალმხრივ ზომებს ისეთი საკითხების მოსაგვარებლად, როგორცაა ვიზების გაფორმების პროცედურის გამარტივება, საზღვრის გადაკვეთის წესები, სატრანზიტო შეთანხმებები, საბაჟო მოსაკრებლები და სამხედრო პერსონალის სტატუსი. როგორც აღინიშნა ამგვარი ზომების გატარების შედეგად თავიდან იქნება აცილებული საქმის ბიუროკრატიულ გაჭიანურება კატასტროფის რეგიონში მაშველი ძალების განლაგებისა და აუცილებელი ნივთების ჩატანის პროცესში. მომდევნო წლებში ნატომ კიდევ უფრო გააქტიურა თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით. აღიანისის მიერ მიღებული იქნა ზომები კატასტროფული რეაგირების ევროატლანტიკური ქვეგანაყოფების შესაქმნელად, სადაც ჩართული უნდა იყვნენ როგორც ნატოს წევრი, ასევე პარტნიორი სახელმწიფოები.

კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრს, რომელიც თავდაპირველად ბუნებრივ და ტექნოლოგიურ კატასტროფებზე რეაგირების მიზნით იქნა ჩამოყალიბებული, მისი საქმიანობის პირველივე ეტაპზე უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესრულება დაევალა, რაც პირველ რიგში დაკავშირებული იყო კოსოვოში არსებულ სიტუაციასთან, როდესაც 1998 წელს იუგოსლავიის სამხედრო და პოლიციურ ძალებსა და “კოსოვოს განთავისუფლების არმიის” შენაერთებს შორის არსებული დაპირისპირების შედეგად მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, ხოლო 300 ათასამდე ადამიანი იძულებული იყო დაეტოვებინა თავიანთი საცხოვრებელი, რაც მოითხოვდა ნატოს მხრიდან შესაბამის რეაგირებას, რათა საცხოვრებელი ადგილების დაკარგვით დაზარალებულ მოსახლეობას შესაბამისი ჰუმანიტარული დახმარება აღმოჩენოდა.

1998 წლის ივნისში ჩამოყალიბებულ კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური ცენტრი დაუყოვნებლივ ჩაერთო მოვლენებში, როდესაც ამ სტრუქტურამ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატის თხოვნის საფუძველზე 165 ტონა გადაუდებლად საჭირო ნივთები მიაწოდა ალბანელ

ლტოლვილებს. რეგიონში ძალადობის ესკალაციასთან ერთად შეიქმნა იმის აუცილებლობა, რომ განმტკიცებულიყო თანამშრომლობა კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკურ საკოორდინაციო ცენტრსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს შორის. კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე იმოგზაურეს რეგიონში, რათა უფრო საფუძვლიანად შეესწავლათ არსებული მდგომარეობა. სიტუაციის უფრო ღრმად გაცნობის შემდგომ ცენტრი უფრო აქტიურად ჩაერთო იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროცესში. უკვე 1999 წლიდან, როდესაც ნატოს ავიაციამ გადამწყვეტი დარტყმები მიიტანა იუგოსლავიის სამხედრო ობიექტებზე, რასაც თავის მხრივ მოჰყვა სერბეთის ძალების მიერ ეთნიკურ აღბანელებზე ზეწოლის გაზლიერება, ცენტრმა დიდი როლი შეასრულა ჰუმანიტარული კატასტროფის ლიკვიდაციის მიზნით.

ცენტრი გადამწყვეტ როლს ასრულებდა ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლაში. ის აგრეთვე კოორდინაციას უწევდა მათ ქმედებებს, დახმარების მოთხოვნის შემთხვევაში. რეგიონში დახმარების სახით გაიგზავნა წამლები და სამედიცინო მოწყობილობა, ტელეკომუნიკაციის საშუალებები, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი, აგრეთვე კარვები 20000 ადამიანისათვის. კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრის მეშვეობით, კოსოვოში სხვადასხვა სახის დახმარება გაიგზავნა იმ ქვეყნიდანაც, რომლებიც არ არიან ეაპს-ის წევრები. ამ მხრივ აღსანიშნავია ისრაელის აქტიური პოზიცია, რომელმაც სრულად დაკომპლექტებული საველი ჰოსპიტალი გააგზავნა პერსონალთან ერთად. თავის მხრივ დახმარებაზე თავისი მზადყოფნა გამოხატა არაბთა გაერთიანებულმა საემიროებმაც, ამ ქვეყნის მიერ რეგიონში სპეციალისტების გაგზავნისა და ფინანსური რესურსების გამოყოფის შედეგად, მოხერხდა ჩრდილო-აღმოსავლეთ აღბანეთში მდებარე კუკეშის აეროპორტის აღდგენა. დახმარებაში შედიოდა აგრეთვე თვითმფრინავები, ვერტმფრენები, ტვირთების გადამზიდი ჯგუფები და ლოჯისტიკური რჩევები ტრანსპორტირებისა და გადანაწილების პროცესში დახმარების აღმოჩენის მიზნით. გარდა ზემოაღნიშნულისა, კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკურმა საკოორდინაციო ცენტრმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჰუმანიტარული საჭაერო რეისების კოორდინაციაშიც.

კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრი კოსოვოსთან გეოგრაფიულად ყველაზე ახლოს მდებარე ორი ქვეყნის აღბანეთისა და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის სახელითაც აწარმოებდა მოლაპარაკებას იმ სტრუქტურების წარმომადგენლებთანაც, რომელთაგან ზოგი შემოდოდა ნატოს უშუალო დაქვემდებარებაში, ზოგიერთი კი არა. ეს ინსტიტუტები ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ეცნობოდნენ კონკრეტულ მოთხოვნებს. ერთ-ერთი ასეთ საკითხს წარმოადგენდა ლტოლვილთა კრიზისის გადრმავების კვალდაკვალ, მესამე ქვეყანაში ევაკუაციის მექანიზმების შექმნა და ჰუმანიტარული უსაფრთხოების ფარის რანგში მოქმედების სწრაფი აუცილებლობა.

მომდევნო პერიოდში ცენტრმა დიდი სამუშაოები ჩაატარა რიგ ქვეყნებში მიწისძვრებისა და წყალდიდობების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის პროცესში. უნდა აღინიშნოს ცენტრის აქტიურობა საქართველოში 2005 წლის გაზაფხულზე წყალდიდობის დროს, როდესაც ნატოს ამ სტრუქტურის მიერ წარმოებული საქმიანობის შედეგად ქართულ მხარეს მიეწოდა სამაშველო აღჭურვილობა, წყალსაქაჩები, გენერატორები, კარვები, საბნები, საძილე ტომრები, სურსათი და სხვადასხვა პირველადი მოთხოვნილების საგნები. ერთი წლის შემდეგ, 2006 წლის 14 აგვისტოს საქართველოში მიმართა სტიქიური უბედურებებისა და კატასტროფების

დახმარების კოორდინაციის ევროატლანტიკურ ცენტრს, რათა ამ უკანასკნელს მხარი დაეჭირა საქართველოს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებისათვის ქვეყნის სამხრეთით მიმდინარე ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ცენტრმა სტიქიური უბედურების ლიკვიდაციის მიზნით გამოყო საფრენი აპარატები და სპეციალური აღჭურვილობა. თავის მხრივ საქართველომაც, როგორც ნატოს პარტნიორმა ქვეყანამ თავისი მზადყოფნა გამოხატა 2005 წლის შემოდგომაზე პაკისტანში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ მიმდინარე სამაშველო და სტიქიური უბედურებების შედეგების სალიკვიდაციო ოპერაციაში მონაწილეობის მიღებაზე. საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით ათასობით ტონა ტვირთი გადაიზიდა ალიანსის ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ გაჭირვებაში ჩავარდნილი მოსახლეობის დასახმარებლად. ნატოს წევრი სახელმწიფოების სამაშველო რაზმების აქტიური ქმედებების შედეგად გადარჩენილ იქნა უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

მზადება ტერორისტული აქტების საწინააღმდეგო ქმედებებისათვის

2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა ცხადყო, რომ აუცილებელი იყო შესაბამისი ღონისძიებების გატარება მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური ან ბირთვული იარაღის გამოყენებით განხორციელებული შესაძლო ტერორისტული აქტებისათვის მომზადების თვალსაზრისით. ტერორიზმის წინააღმდეგ პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებულ იქნა შესაბამისი მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ინფორმაციის გაცვლას და ექსპერტთა მონაწილეობას სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვაში, რომელთა მიზანსაც წარმოადგენდა რისკების შეფასებისა და ტერორიზმის და მასობრივი განადგურების იარაღის და მოსახლეობის დაუცველობის შემცირებისათვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარება.

ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს – დახმარება აღმოუჩინოს ეროვნულ ხელისუფლებებს სამოქალაქო მზადყოფნისათვის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური ან ბირთვული იარაღის გამოყენებით განხორციელებული ტერორისტული აქტების შემთხვევაში. ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და პარტნიორი ქვეყნების მიერ მომზადებულ იქნა ეროვნული რესურსების სია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ამგვარი აქტის განხორციელების შემთხვევაში. ასევე მუდმივად ხორციელდება ამ სიის განახლება. სიაში განსაზღვრული რესურსები მოიცავს ყველაფერს, დაწყებული სამედიცინო დახმარებითა და დამთავრებული რადიოლოგიური წყაროების გამოვლენის საშუალებებით, ამოცნობის ლაბორატორიებით, საჰაერო-სამედიცინო ევაკუაციის პოტენციალით. ასევე მიმდინარეობს კონსულტაციები უფრო მნიშვნელოვანი საგნების შესაძენად. ასევე ანტიტერორისტული საქმიანობის გაძლიერების მიზნით ნატოს ფარგლებში მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები ერთობლივი წვრთნების ორგანიზების მიზნით. შესაბამისად “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის ფარგლებში, რეგულარულად ტარდება წვრთნები სავსე პირობებში იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად ქმედითი იყოს ქვეყნების ერთობლივი მუშაობა ტერორისტული აქტებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის სფეროში. წვრთნების ფარგლებში ძირითადი ყურადღება ეთმობა შემდეგ სფეროებს: ურთიერთქმედების დონის ამაღლება სამედიცინო და სასწრაფო დახმარების გაწევის სფეროში, ასევე დეკონტამინაციისა და გაწმენდის სამუშაოების დროს კიდევ ერთი ძირითადი განსახილველი საკითხია ამგვარ საგანგებო სიტუაციებში საჯარო ინფორმაციის მართვა.

უსაფრთხოება, მეცნიერება და ეკოლოგია

სამეცნიერო პროგრამების განხორციელების მიმართულებით ალიანსის ფარგლებში მოქმედებს ორი სხვადასხვა პროგრამა. ამ პროგრამების ფარგლებში გამოიყოფა პრიორიტეტების კონკრეტული სფეროები, რომლებზეც ერთობლივად მუშაობენ ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების სხვადასხვა პროფესიის მქონე მეცნიერები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ევროატლანტიკურ რეგიონში პარტნიორული ურთიერთობების განვითარებასა და განმტკიცებას.

ნატოს სამეცნიერო კომიტეტის “უსაფრთხოება მეცნიერების მეშვეობით” პროგრამის მიზანია, მეცნიერების კონკრეტულ პროექტებში ჩართვის გზით გზით პოზიტიური როლი შეასრულოს სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის უსაფრთხოების, სტაბილურობისა და სოლიდარობის განმტკიცების პრობლემების გადაწყვეტაში. პროგრამაში აქტიურად არიან ჩართულნი ნატოს, პარტნიორი ქვეყნების და ხმელთაშუა ზღვის დიალოგის ქვეყნების მეცნიერები, რომლებიც ერთობლივი გზით შეიმუშავენ კონკრეტულ საპროექტო წინადადებებს. “უსაფრთხოება მეცნიერების მეშვეობით” პროგრამის დახმარება, ძირითადად გამიზნულია ხელი შეეწყოს ისეთ სფეროებში სამეცნიერო კვლევების ჩატარებას, როგორცაა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ან უსაფრთხოების სხვა რისკების წინააღმდეგ მიმართული ზომები. კიდევ ერთი მიზანია ტექნოლოგიების გაზიარებისა და გადაცემის ხელშეწყობა იმ მიზნით, რომ პარტნიორმა ქვეყნებმა შეძლონ თავიანთი კონკრეტული პრიორიტეტული პრობლემების გადაწყვეტა.

კომიტეტი თანამედროვე რეალობების გათვალისწინებით ცდილობს გადაჭრას ეკოლოგიური და საზოგადოებრივი პრობლემები, და ამ მიზნით ნატო ხელს უწყობს კვლევების განხორციელების პროცესში ეროვნული ორგანიზაციების მოკლევადიან და გრძელვადიან კოოპერაციას. ალიანსის ძალისხმევით შედეგად იქმნება მეტად ნაყოფიერი ნიადაგი ნატო-სა და პარტნიორ ქვეყნებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისათვის სოციალური და ეკოლოგიური საკითხების ტექნიკურ, მეცნიერულ და პოლიტიკურ ასპექტებზე, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო სექტორებში.

თავდაცვა ტერორიზმისაგან

ევროატლანტიკურ რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ უკანასკნელ პერიოდში ტერორიზმთან დაკავშირებული მოვლენების ფონზე, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გახდა როგორც ნატოს წევრებისათვის, ასევე პარტნიორებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი. ამიტომაც ალიანსი ამ მიმართულებით სამეცნიერო სამუშაოების ჩატარებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ნატო აფინანსებს სამეცნიერო კვლევას ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული იარაღისა და ნივთიერებების აღმოჩენისა და მათგან ფიზიკური დაცვის ზომების გაუმჯობესების ქმედითი მეთოდების შემუშავების დარგში. ასევე ტარდება კვლევები ამგვარი იარაღის განადგურების, დეკონსტრუქციისა და სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების დარგში, მათ შორის ქიმიური ტექნოლოგიებისა და ვაქცინების გამოყენებით.

ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით ნატოს ეგიდით ტარდება სხვადასხვა ტიპის სემინარები, კონფერენციები თუ სამუშაო შეხვედრები. ამ ღონისძიებების მიზანია შესაბამის სფეროში მოღვაწე მეცნიერების ერთმანეთთან შეხვედრა და მოსაზრებათა ურთიერთგაზიარება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიც გახლავთ უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურის (მათ შორის ენერჯეტიკის,

კომუნიკაციების ტრანსპორტისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სისტემების) დაუცველობის შემცირება: ეკოლოგიური და კიბერნეტიკული ტერორიზმისაგან დაცვა; საზღვრის დაცვის გაუმჯობესება; არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა; ფეთქებადი ნივთიერებების აღმოჩენის უფრო ქმედითი საშუალებების გამოძებნა.

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, ნატოს წევრი და პარტნიორი სახელმწიფოების მეცნიერთა მიერ ასევე განიხილება უფრო ფართო საკითხებიც რომლებიც დაკავშირებულია ტერორიზმის ძირეული მიზეზების დადგენასთან, ამ ნეგატიური მოვლენის სოციალურ და ფსიქოლოგიურ შედეგებთან და ტერორიზმის საფრთხისადმი მოსახლეობის მდგრადობის ამაღლებასთან. ასევე საფუძვლიანი კვლევა ხორციელდება იმ მიზნით, რომ შემუშავებულ იქნეს პოლიტიკა ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში.

ბრძოლა სხვა საფრთხეების წინააღმდეგ

როგორც ცნობილია, ტერორიზმის გავრცელებისა და მასობრივი განადგურების იარაღის შესაძლო გავრცელების გარდა, კაცობრიობის წინაშე არსებობს სხვა მნიშვნელოვანი პოტენციური საფრთხეები, მათ შორის განუახლებადი რესურსების სიმცირე და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება, მაგალითად გაუდაბნობა, ნიადაგის ეროზია ან წყლის მარაგის დაბინძურება, რამაც შეიძლება მეზობელ ქვეყნებს შორის დავა გამოიწვიოს.

ასეთი საფრთხეების თავიდან აცილებისათვის არ კმარა მხოლოდ თეორიული, სამეცნიერო ცოდნა, რადგანაც საჭიროა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გზით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმაც. ამიტომაც ნატო აქაც გამოხატავს თავის მზადყოფნას, რათა დაფინანსებულ იქნეს ისეთი პროექტები და კვლევები, რომელთა მიზანია სხვადასხვა ქვეყნების აკადემიური წრეების და მკვლევარების მიერ მოწინავე მიღწევების გამოყენება.

ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, რომელიც არსებობს კაცობრიობის წინაშე სტიქიური უბედურებების კუთხით რა თქმა უნდა წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ბოლო წლების განმავლობაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფი განვითარების მიუხედავად ჯერჯერობით შეუძლებელია ბუნებრივი კატასტროფების წინასწარმეტყველება, რაც საშუალებას მოგვცემდა თავიდან აგვეცილებინა ან შეგვერბილებინა ამ კატასტროფების შედეგად გამოწვეული შედეგები. ეს საკითხები მეტად აქტუალურია როგორც ნატოს წევრი, ასევე პარტნიორი ქვეყნებისათვის. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ნატომ განახორციელა რამდენიმე პროექტი, რომელთა მიზანს წარმოადგენდა დიდი მიწისძვრების დამანგრეველი შედეგების შემცირება, მსხვერპლის, მატერიალური ზარალისა და სოციალ-ეკონომიკური ნგრევის თვალსაზრისით. ამ პროექტების პრიორიტეტია მაგალითად, სხვადასხვა სამოქალაქო შენობების მდგრადობის გაზრდის შესაძლო გზების ძიება, რაც საშუალებას მოგვცემდა რომ მინიმუმადე ყოფილიყო დაყვანილი ამა თუ იმ ობიექტის დაზიანება მიწისძვრების დროს.

ასევე აღიანსის მიერ დაფინანსდა რამდენიმე პროექტი, რომლებიც გამიზნული გახლდათ რომელიმე რეგიონის სეისმური ან გეოლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასთან, სეისმური რისკის ზონების რუკების შედგენასთან, რაც საშუალებას მისცემს ამა თუ იმ სეისმურ ზონაში ქალაქის დაგეგმარების სპეციალისტებს მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება, თუ რომელ ადგილას და რა მასალისგან უნდა აიგოს ესა თუ ის შენობა. ასევე დამუშავების სტადიაშია ისეთი პროექტები, რომელთა პრიორიტეტს წარმოადგენს ადრეული შეტყობინებისა და საკვების მომარაგების სისტემების დახვეწა.

დღევანდელ დღეს საზოგადოება დიდად არის დამოკიდებული ეკოლოგიურად სუფთა საკვებისა და ობიექტური ინფორმაციის მიღებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფიულ უნდა იყოს. ამიტომაც აუცილებელია აღინიშნოს, რომ ნატო უდიდეს როლს ასრულებს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული პროგრამების შედგენასა და განხორციელებაზე.

ეკოლოგია და უსაფრთხოება

თანამედროვე ეტაპზე კაცობრიობის მიერ ბუნებრივი რესურსების ათვისებასთან დაკავშირებით იქმნება სხვადასხვა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაბინძურებასთან. ამიტომაც, დღევანდელ დღეს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე დგას უდიდესი ამოცანა, რათა იგი უფრო აქტიურად იყოს ჩართული ეკოლოგიური პროექტების განხორციელებაში, რითაც მყარი საფუძველი შეიქმნება როგორც სოციალური და ეკონომიკური განვითარებისათვის, ასევე უსაფრთხო და სტაბილური გარემოს შექმნისათვის. ასეთ პროექტებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება “კომიტეტის თანამედროვე საზოგადოების გამოწვევებზე” პროგრამებში. ასევე ამ მიმართულებით სხვადასხვა პროექტები ხორციელდება “უსაფრთხოება მეცნიერების მეშვეობით” პროგრამის ფარგლებში.

2002 წელს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, გაერო-ს ეკოლოგიური პროგრამისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ წარმოდგენილი იქნა ეკოლოგიისა და უსაფრთხოების ერთობლივი ინიციატივა, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ეკოლოგიურ პრობლემების მოგვარების საქმეში მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ამ ინიციატივაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთ დაუცველ რეგიონებს, როგორებიცაა ბალკანეთი, კავკასია და ცენტრალური აზია.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ “უსაფრთხოება მეცნიერების მეშვეობით” და “კომიტეტი თანამედროვე საზოგადოების გამოწვევებზე” პროგრამების მთავარი ამოცანაა ევროატლანტიკურ რეგიონში პარტნიორ ქვეყნებთან სამეცნიერო და ეკოლოგიური თანამშრომლობის მეშვეობით უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ისინი ამჟამად გაერთიანებული არიან ეკოლოგიისა და უსაფრთხოების პროგრამასთან. ამ სტრუქტურებს შორის ხორციელდება ინფორმაციისა გაცვლა და გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ასევე საქმიანობის კოორდინაცია და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, რომლებიც მიეწოდება რეგიონის შესაბამის სახელისუფლებო სტრუქტურებს, რაც ხელს უწყობს ამ პროგრამების ეფექტურობის ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ მეცნიერს, როგორც აღმოსავლეთი ევროპიდან, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, ნატოს მეშვეობით შესაძლებლობა მიეცა განახორციელონ ერთობლივი პროექტები ეკოლოგიის დარგში ნატოს წევრი ქვეყნებიდან თავიანთ კოლეგებთან ერთად.

დახმარება მიწისძვრის დროს

კაცობრიობისათვის მიწისძვრები ერთ-ერთ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სეისმურად აქტიური ცენტრალური აზიის მჭიდროდ დასახლებული რეგიონი. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ნატოს მიერ გამოყოფილ იქნა ფინანსური რესურსები, რათა განხორციელებულიყო პროექტი, რომლის ფარგლებში, თურქი სეისმოლოგები თავიანთ უზბეკ და ყირგიზ კოლეგებს დახმარებას უწევენ ამ ორი ცენტრალური აზიის ქვეყნის რეგიონების სახიფათო ზონების რუკების შექმნაში. რუკებზე

სამუშაოების დასრულების შემდეგ მიღებული იქნება გადაწყვეტილებები ქალაქების, დაგეგმარების შესახებ და ზომები, შესაბამისი ობიექტების გამაგრებისა და დაცვის მიზნით.

ხალხების შეკავშირება

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თანამედროვე მიღწევების გაცნობის მიზნით მეცნიერებს ხელი უნდა მიუწვედებოდეთ ინფორმაციაზე. ამ ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გახლავთ ის, რომ ყველა სამეცნიერო ან აკადემიური საზოგადოება ვერ ახერხებს ისარგებლოს საინფორმაციო ეპოქის დადგომით და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. მეტიც, ინფორმაციის თავისუფლების შესაბამისი დონე ხშირად დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების წინაპირობადაც ითვლება.

ნატოს წევრ ქვეყნებთან შედარებით სოციალ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით უფრო ნაკლებად განვითარებულ პარტნიორ ქვეყნებში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ნატოს სამოქალაქო სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში, გახსნილ იქნა რამდენიმე კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც მოხდა ინტერნეტის გამოყენებისათვის აუცილებელი ქსელური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.

შესაბამისი ქსელები შექმნილ იქნა პარტნიორი სახელმწიფოების როგორც დედაქალაქებში, ასევე რეგიონებში, რათა აკადემიურ წრეებს მაგალითად მოსკოვიდან დაშორებულ რუსეთის აღმოსავლეთ რეგიონებში და უკრაინაში უკეთ შეძლებოდათ ინტერნეტით სარგებლობა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინიციატივით აგრეთვე ეროვნული ქსელები შექმნილ იქნა მოლდოვაში, რუმინეთსა და იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიაში.

ნატოს მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ყველაზე დიდი დაფინანსება გამოიყო ვირტუალური აბრეშუმის გზატკეცილის პროექტის ფარგლებში, რომლის მეშვეობითაც თანამგზავრის მეშვეობით ინტერნეტში ჩაერთვნენ სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის სამეცნიერო და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

დასასრულს უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ცოტა ხნის წინ ნატოს სამეცნიერო და თანამედროვე საზოგადოების გამოწვევათა კომიტეტებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვით “მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის”(Science for Peace and Security) არის როგორც მათ ბაზაზე ჩამოყალიბებული ახალი კომიტეტის, ასევე ნატოს ახალი სამეცნიერო პროგრამის დასახელება. 2006 წლის 20 ოქტომბერს გაიმართა კომიტეტის პირველი სხდომა.

თავი VIII. ნატო-საქართველოს ურთიერთობების ძირითადი ასპექტები

ისტორია

საქართველო-ნატოს ურთიერთობებს საფუძველი ჩაეყარა 1991 წლის დეკემბერში, როდესაც ნატოს ფარგლებში შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (NACC). ნაქსის საქმიანობაში მონაწილეობა საქართველოსათვის, რომელმაც იმ პერიოდში აღიდგინა სახელმწიფო სუვერენიტეტი, თავისთავად წარმოადგენდა ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან საერთაშორისო მექანიზმს ეროვნული დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ქვეყნის პოლიტიკური ინტერესების დამცველი ეს ეფექტური საშუალება ორიენტირებული იყო ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებისა და სახელმწიფოებრიობის გაძლიერებისაკენ. ამასთანავე, ნაქსის წევრობით საქართველოს საშუალება ექნებოდა გაზიარებოდა ალიანსის ფარგლებში სამხედრო-პოლიტიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარების გამოცდილებას, რომლის პრაქტიკაში დანერგვა თავის პოზიტიურ როლს ითამაშებდა ქვეყნის თანამედროვე დასავლურ სტანდარტებთან დაახლოების პროცესში. ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრობას შეეძლო თავისი უდიდესი როლი შეესრულებინა საქართველოს ნატოსთან და მთლიანად დასავლურ სამყაროსთან და დასავლურ ღირებულებებთან დაახლოების, ხოლო მოგვიანებით ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის დაჩქარების პროცესში.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 1992 წლის დასაწყისში საქართველოში იყო არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, ნატოს ხელმძღვანელობამ თავიდან თავი შეიკავა ჩვენი ქვეყნის ნაქსში გაწევრიანებაზე, ამიტომაც საქართველოს წარმომადგენელმა პირველად მიიღო მონაწილეობა ნაქსის შეხვედრაში 1992 წლის 1 აპრილს, ხოლო უკვე 1992 წლის 5 ივნისს, ოსლოში გამართულ ნაქსის წევრ-სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მოხდა საქართველოს სრული გაწევრიანება ამ ორგანიზაციაში. შეიძლება ითქვას, რომ ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობის დასაწყისად სწორედ ეს თარიღი შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებული საომარი ვითარების გათვალისწინებით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ჩვენს ქვეყანას შორის ურთიერთობას მომდევნო ერთი წლის მანძილზე რაიმე რადიკალური ნაბიჯების გადადგმა არ მოჰყოლია.

1993 წლის მაისში ბრიუსელში დაარსდა საქართველოს საელჩო, რომელმაც იმავედროულად დაიწყო “ნატოსთან დიპლომატიური მეკავშირის ოფისის” ფუნქციების შესრულებაც (ასეთი სახელწოდება მიენიჭა სხვა პარტნიორი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლებსაც). უკვე იმავე წლის ივნისიდან საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ ნატოს ფარგლებში მიმდინარე სხვადასხვა პოლიტიკურ კონსულტაციებში. ამ კონსულტაციებს საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იგი საშუალებას იძლეოდა დასავლეთის სამყაროს წარმომადგენლებს ნატოს შტაბ-ბინაში ქართველი დიპლომატების მხრიდან მიეღოთ ობიექტური ინფორმაცია აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ აფხაზეთის საკითხი იმ პერიოდში წარმოადგენდა ნატო-საქართველოს შორის გამართული კონსულტაციების ერთ-ერთი ცენტრალური თემას. საქართველო ყველანაირად ცდილობდა, რომ

კონფლიქტის მოგვარებაში მაქსიმალური მონაწილეობა მიეღოთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის რა თქმა უნდა ნატოს. უფრო მეტიც, ნატოსთან პარტნიორული ურთიერთობა და სხვადასხვა დონის შეხვედრები იძლეოდა უნიკალურ საშუალებას, საერთაშორისო საზოგადოებრიობას ყურადღება გაემახვილებინა ამ თემაზე. მიუხედავად ქართული მხარის მცდელობისა, პრაქტიკულად ჩაერთო ნატო აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში, ამ ძალისხმევას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ეს განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით, კერძოდ: ნატოს ჩართვა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებში შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შესაბამისი რეზოლუციის მიღების შემთხვევაში, და შემდგომ ეტაპზე კი ეს საჭიროებდა ნატოს წევრების მიერ კონსენსუსის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას. ასევე, რა თქმა უნდა დასავლეთი იმ ეტაპზე ყველანაირად ერიდებოდა რუსეთთან კონფრონტაციას. ნატოს წევრი ქვეყნები რუსეთთან თანამშრომლობის განვითარებას ანიჭებდნენ უმთავრეს პრიორიტეტს, ასევე ნატოს კულუარებში აღიარებდნენ, რომ სამხრეთ კავკასიის, ან თუნდაც სხვა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების მეტისმეტი მხარდაჭერა ზედმეტად გააღიზიანებდა რუსეთს, რომელსაც ჯერ საბჭოთა კავშირის დაშლა, ცენტრალური ევროპისა და ბალტიისპირეთის დაკარგვა ვერ “მოენელებინა”.

მიუხედავად ამისა, ნაქსის წარმომადგენლებმა, ნატოს შტაბ-ბინაში 1993 წლის 20 სექტემბერს გამართულ შეხვედრაზე მიიღეს ერთობლივი განცხადება, სადაც გაისმა მოწოდება საქართველოში საომარი მოქმედებების დასრულების შესახებ და დაგმობილ იქნა აფხაზეთის გასამხედროებული ფორმირებების მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების დარღვევა.

1993 წლიდან უკვე იწყება ნატოს წარმომადგენელთა ვიზიტები საქართველოში. ამ ვიზიტების ძირითად მიზანს წარმოადგენდა რეგიონში არსებული სიტუაციის გაცნობა და სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა. აღიანსის წარმომადგენელთა პირველი დელეგაცია თბილისში 1993 წლის 12-დან 18 ივნისამდე იმყოფებოდა.

დელეგაციის შემადგენლობაში ორი სამხედრო და ორი სამოქალაქო პირი შედიოდა. ნატოს ოფიციალური პირების საქართველოში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები თავდაცვის სამინისტროში, პარლამენტში და მთავრობაში. ერთი კვირის თავზე - 1993 წლის 23 ივნისს კი ნატოს შტაბ-ბინას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე-სახელმწიფოს მეთაური ეწვია.

შტაბ-ბინაში შეხვედრის დროს საქართველოსა და ნატოს ოფიციალურ პირებს შორის განხილულ იქნა “ცივი ომის” შემდეგ ევროპაში შექმნილი ვითარება და ნატო-საქართველოს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები. თავის გამოსვლაში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ “ცივი ომის” დასრულების მიუხედავად, დემოკრატიული დასავლეთისთვის და, საერთოდ, მსოფლიოსთვის სერიოზული საფრთხე ისევ არსებობს. “ეს საფრთხე კვლავაც არსებობს იქამდე, ვიდრე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და პირველ რიგში რუსეთი, არ მიაღწევენ საბოლოო გამარჯვებას დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური რეფორმების გზაზე.” მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს განცხადება გაკეთებული იყო იმ პერიოდში, როდესაც აფხაზეთში რუსეთის წაქეზებით და რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების “ბოვეიკების” საბრძოლო მოქმედებებში უშუალო ჩართვის შედეგად გრძელდებოდა საომარი მოქმედებები რაც რა თქმა უნდა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. საქართველოს დელეგაციის მიერ შეხვედრაზე წამოყენებულ იქნა ინიციატივა ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პრიორიტეტების ინდივიდუალურად შემუშავებასთან დაკავშირებით. ამასთან დაკავშირებით ნატოს ოფიციალურ პირებთან

შეხვედრის დროს საუბარი მიმდინარეობდა იმასთან დაკავშირებით, რომ შემუშავებულ და გაფორმებულ ყოფილიყო ორმხრივი ხელშეკრულებები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნებოდა თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები სამხედრო-პოლიტიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და სხვა სფეროებში. ამავე ვიზიტის ფარგლებში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა პირველად დასავლეთის აუდიტორიის წინაშე ისაუბრა ევრაზიული დერეფნის პროექტისა და საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის მნიშვნელობის შესახებ.

პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” როგორც ნატო-საქართველოს ურთიერთობის ახალი ეტაპი

როგორც ცნობილია, 1994 წლის 10-11 ინაგარს, ნატოს ბრიუსელის სამიტზე დამტკიცებულ იქნა ნატოს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის”. პროგრამის ფარგლებში ალიანსის მიერ დაიწყო ინდივიდუალური თანამშრომლობის პროგრამების გაფორმება პარტნიორ ქვეყნებთან - აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან.

საქართველო-ნატოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ ის ფაქტი, რომ 1994 წლის 23 მარტს საქართველო შეუერთდა ნატოს “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამას. აღნიშნული დოკუმენტის გაფორმების შემდეგ იწყება ნატო-საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობა.

“პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის გარდა, ნატოს მხრიდან სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი და შესაბამისად საქართველოსადმი ინტერესი გაიზარდა მას შემდეგ, როდესაც 1994 წლის სექტემბერში კასპიის ზღვაში ნავთობის მოპოვებასა და მისი შემდგომ ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით აზერბაიჯანსა და წამყვან დასავლურ ნავთობკომპანიებს შორის ე.წ. საუკუნის კონტრაქტს მოეწერა ხელი. კონტრაქტის გაფორმებამ პრაქტიკულად დააკავშირა ნატოს ინტერესები კავკასიის რეგიონთან. დასავლეთში სულ უფრო ნათლად აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ კასპიის ენერგორესურსებთან დაკავშირებულ “გეოპოლიტიკურ თამაშში” საქართველოს განსაკუთრებული როლის შესრულება შეეძლო.

უნდა აღინიშნოს, რომ უკვე 1995 წლიდან ნატოსა და საქართველოს შორის სხვადასხვა სახის კონტრაქტების გაღრმავების მიზნით საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები იქნა გადადგმული. კერძოდ, საკმაოდ გახშირდა ალიანსის წარმომადგენელთა საქართველოში ვიზიტები. ამ მიმართულებით ხაზი უნდა გაესვას ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილის სერ ჟ. აკენზისა და ნატოს გენერალური მდივნის მოადგილის ბ-ნ ე. რეგის ოფიციალური ვიზიტებს. 1995 წლის თებერვალში შედგა ნატოს “საინფორმაციო ჯგუფის” ბრიგადის გენერალ ა. რენას ხელმძღვანელობით ალიანსის დელეგაციის ვიზიტი თბილისში. “პარტნიორობა მშვიდობისათვის” (პმპ) ფარგლებში ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით თბილისში ჩამოსული სტუმრები მოხსენებით წარსდგნენ საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებში, პარლამენტში, ასევე გენერალური შტაბის აუდიტორიის წინაშე. იმავე წლის სექტემბერ-ოქტომბერში საქართველოში იმყოფებოდნენ ნატოს პოლიტიკური და სამხედრო სამსახურების, ასევე ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების სარდლობის დელეგაციები, რომლებმაც საქართველოს შესაბამის უწყებებთან დაიწყეს პირველი ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის მომზადება. აღნიშნული დელეგაციების შემადგენლობაში მყოფმა ექსპერტებმა თავიანთი ვიზიტები განახორციელეს ქართული საჯარისო ნაწილების მუდმივი დისლოკაციის ადგილებში. მათ ძირითად მიზანს წარმოადგენდა

ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის (იპპ) მიზნებისთვის საქართველოს მიერ გამოყოფილი შენაერთებისა და ბაზების მონახულება.

ნატოს ოფიციალური პირების ვიზიტების პარალელურად ასევე აღსანიშნავია ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის დელეგაციის ვიზიტიც (26-29 აპრილს), რომელსაც ასამბლეის თავმჯდომარე ბ-ნი ლ. უვარდი ხელმძღვანელობდა. თბილისში გამართული რიგი შეხვედრების შემდეგ, დამყარდა ურთიერთობა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოსა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეას შორის, რის შედეგადაც შეიქმნა ნაყოფიერი ნიადაგი კიდევ ერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმთან ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობისათვის. 1999 წელს საქართველოს ასოცირებული წევრის სტატუსი მიენიჭა ჩრდილოატლანტიკურ ასამბლეაში.

ამავე პერიოდიდან სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს ნატოში საქართველოს წარმომადგენელთა ვიზიტებიც. 1995 წელს საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრაში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ასევე მივლინებულ იქნენ ერთობლივი წვრთნების დაგეგმვის ყოველწლიურ კონფერენციაში შეიპ-ში (ქ. მონსი, ბელგია) და საზღვაო ოპერაციათა სემინარ-ვარჯიშში საკლანდში (ნორფოლკი, აშშ).

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციათა და უწყებათა წარმომადგენლები ჩართულნი იყვნენ ნატოს ეგიდით სხვადასხვა სამხედრო თუ სამოქალაქო თემატიკაზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში – სემინარებში, სასწავლო პროგრამებში და ა.შ.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებასაც, რომ 1995 წლის 18 ივლისს საქართველო შეუერთდა “შეთანხმებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ-ქვეყნებსა და “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამაში მონაწილე სახელმწიფოებს შორის ძალების სტატუსის შესახებ” (SOFA).

საქართველოს თანამშრომლობა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან იმ ეტაპზე ვითარდებოდა იმ მძიმე სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ფონზე, რომელიც დამახასიათებელი იყო ჩვენი ქვეყანისათვის გასული საუკუნის 90-იანი წლების განმავლობაში. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის გაგრძელება კარგ საშუალებას იძლეოდა, რათა საქართველო უკეთ გაზიარებოდა ნატოში დაგროვილ გამოცდილებას უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების და სამხედრო ძალებზე დემოკრატიული კონტროლის დამყარების, კონფლიქტების დარეგულირების, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და ა.შ. სფეროებში. ორ მხარეს შორის ურთიერთობებში თავის პოზიტიურ როლს ასრულებდა მაღალი დონის შეხვედრებიც. კერძოდ, 1995 წლის 6 დეკემბერს, ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა ნაქსის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ. ამ ღონისძიების გამართვამდე რამდენიმე დღით ადრე ნატოსა და საქართველოს ოფიციალური პირების შეხვედრის დროს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ მოიწონა საქართველო-ნატოს ინდივიდუალური პარტნიორობის (IPP) საპროგრამო დოკუმენტის პროექტი. ნაქსის ფარგლებში გამართული შეხვედრის დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალურად განაცხადა თანხმობა ამ დოკუმენტზე, რის შედეგადაც 1996 წელს საქართველომ შეიმუშავა და ნატოში წარადგინა პირველი “ინდივიდუალური პარტნიორობის” პროგრამა (Individual Partnership Program-IPP):

1997 წლის 1 მაისს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა “ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებსა და ”პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ” შეთანხმების (SOFA) რატიფიცირება.

ჩვენს ქვეყანას და ნატოს შორის თანამშრომლობის გზაზე უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა 1997 წლის 11-12 თებერვალს ალიანსის გენერალური მდივნის ბ-ნ ჰავიერ სოლანას ვიზიტი საქართველოში. ეს გახლდათ ნატოს გენერალური მდივნის პირველი სტუმრობა კავკასიის რეგიონში. ვიზიტის ცენტრალური მოვლენა იყო ე. შევარდნაძისა და ჰ. სოლანას შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა საქართველოსა და ნატოს შორის თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები, ასევე სამხრეთ კავკასიაში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია და საქართველოს როლი და ადგილი საერთაშორისო პოლიტიკაში და ა.შ.

საქართველო-ნატოს თანამშრომლობაზე საუბრისას არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ 1997 წელს შექმნილ ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს (ეაპს). ეს სტრუქტურა განიხილებოდა ნატოს პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების ჰარმონიზაციის მთავარ მექანიზმად. მასში უნდა გაწევრებულიყვნენ ყოფილი ნაქსისა და პმპ-ს წევრი სახელმწიფოები. საბჭოს შექმნის დამფუძნებელ დოკუმენტს ხელი მოეწერა 1997 წლის 30 მაისს პორტუგალიის ქ. სიტრაში. საბჭოს შექმნა საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობის ახალ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს.

ეაპს-ის ფარგლებში ძირითადი აქცენტი გამახვილებული იყო ნატოს პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ინდივიდუალურ ხასიათზე. ამიერიდან ამ კონტექსტში პრიორიტეტი ენიჭებოდა ცალკეული ქვეყნების სპეციფიურ ინტერესებს და ე.წ. თვითღიფერენციაციის პრინციპებს. ამ პრინციპების ძირითადი განმსაზღვრელი გახლდათ ის მნიშვნელოვანი ასპექტი, რომ პარტნიორებს მათი ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით ინდივიდუალურად უნდა ჩამოეყალიბებინათ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის დონე და მისი შინაარსობრივი მხარე. ამრიგად, საქართველო შეუერთდა ახალ საერთაშორისო მექანიზმს, რომელიც იძენდა უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის მშენებლობასა და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებში უფრო საფუძვლიანად დამკვიდრების საქმეში.

”ცივი ომის” დასრულების შემდგომ ეტაპზე ევროატლანტიკური უშიშროების ახალი არქიტექტურის ჩამოყალიბებაში და ამ მიმართულებით ნატოსა და ეაპს-ის შესაძლო როლზე ფართო დისკუსია გაიმართა ნატოსა და ეაპს-ის წევრ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრებზე, რომლებიც გაიმართა მადრიდში შესაბამისად 1997 წლის 8 და 9 ივლისს. მადრიდის სამიტზე მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამაც.

მადრიდის სამიტზე მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო წარმომადგენლობების დონის ასამაღლებლად. კერძოდ, 1997 წლის 28 მარტს ბრიუსელში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც პარტნიორებს მიეცათ საშუალება ნატოსთან შეექმნათ სრულფასოვანი დიპლომატიური წარმომადგენლობები. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით, 1998 წლის 22 აპრილს ნატოში საქართველოს დიპლომატიური მისია გაიხსნა და საქართველოს ელჩმა ნატოში ალიანსის გენერალურ მდივანს რწმუნებათა სიგელი გადასცა.

1998 წლის 29-30 სექტემბერს შედგა ჰ. სოლანას მეორე ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეაპს-სა და პმპ-ის ფარგლებში საქართველო-ნატოს მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხებს. კერძოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას დაისვა საკითხი იპპ-ის ფარგლებში თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების შესახებ, რის თაობაზეც ნატოს წინაშე დაისვა საკითხი ალიანსის მხრიდან ამ მიმართულებით

დამატებითი დახმარების აღმოჩენის შესახებ. ნატოს გენერალურმა მდივანმა კმაყოფილებით აღიქვა საქართველოს მხარის გადაწყვეტილება 1999 წლიდან ნატოს სამხედრო კომიტეტში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის მივლინების შესახებ. ასევე მის მიერ მოწონებულ იქნა ქართული მხარის შემოთავაზება 2001 წელს საქართველოში პმპ-ის ფარგლებში სამხედრო წვრთნების ჩატარების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური წვრთნა ნატოს ეგიდით პირველად ჩატარდებოდა სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

გენერალური მდივნის აღნიშნული ვიზიტმა ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს საქართველოში ჩატარებული ორი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლებმაც მეტად პოზიტიური გავლენა იქონიეს საქართველო-ნატოს ურთიერთობებზე. 1998 წლის 5-10 ოქტომბერს გუდაურში გაიმართა კომპლექსური ღონისძიება. მის პირველ ეტაპზე ორგანიზებულ იქნა ნატოს სახმელეთო ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, სადაც მონაწილეობა მხოლოდ აღიანსის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა მიიღეს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის გარემოება, რომ პარტნიორ ქვეყანაში პირველად იქნა ჩატარებული ჯგუფის გასვლითი შეხვედრა. ღონისძიების მეორე ეტაპზე, რომელიც ეაპს-ის ფორმატით გაიმართა, შეხვედრაში უკვე პარტნიორი ქვეყნებიც ჩაერთვნენ. ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობით შედგა აღნიშნული ჯგუფის სემინარი, რომელიც განაღმვისა და ხიდების კლასიფიკაციის პრობლემატიკას მიეძღვნა. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის ორგანიზატორები იყვნენ საგარეო და თავდაცვის სამინისტრები, და მასში მონაწილეობა მიიღო ნატოს 14-მა წევრმა და 11-მა პარტნიორმა ქვეყანამ. რამდენიმე დღის შემდეგ, კერძოდ 15-16 ოქტომბერს კი გუდაურში ჩატარდა სემინარი თემაზე “კავკასიაში რეგიონალური უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის პრაქტიკული ასპექტები.” ეს სემინარი მიმდინარეობდა ეაპს-ის ეგიდით. შეხვედრაში ჩართულნი იყვნენ ნატოსა და პარტნიორი 21 ქვეყნის ექსპერტი, თემატიკის სათაურის და შესაბამისად დღის წესრიგში შეტანილი საკითხების გათვალისწინებით სემინარში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მეზობელი სახელმწიფოების სპეციალისტებმა. აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ სემინარზე განხილულ იქნა სამხრეთ კავკასიაში თანამშრომლობის პერსპექტივები და აქვე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეაპს-ის ფარგლებში კავკასიის რეგიონალური ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც 1999 წელს იქნა ჩამოყალიბებული.

1999 წლის მარტში საქართველო შეუერთდა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის “დაგეგმვისა და ანალიზის პროცესს” (Planning and Review Process-PARP). აღნიშნულ პროცესში ორწლიანი ციკლის ფარგლებში, ქვეყანა ახორციელებს შერჩეულ პარტნიორობის მიზნებს, რაც ხელს უწყობს თავსებადობის მიღწევას და ნატოს ხელმძღვანელობით განხორციელებულ სამშვიდობო ოპერაციებში წარმატებულ მონაწილეობას. 2001 წლის 11-23 ივნისს საქართველოში (ქ. ფოთი) ჩატარდა ნატოს და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი მსხვილმასშტაბიანი მრავალეროვნული სამხედრო წვრთნები (Cooperative Partner-2001), ხოლო (Cooperative Best effort-2002) სამხედრო წვრთნები 2002 წლის 17-28 ივნისს ჩატარდა თბილისში.

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენას საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან თანამშრომლობის გზაზე წარმოადგენდა ამ მიმართულებით ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს გააქტიურება. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 13 სექტემბრის N235 დადგენილებით, საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ნატოში გაწევრიანების პროცესის დაჩქარებისა და ეფექტურად წარმართვისათვის, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს

აღმასრულებელ ხელისუფლებას დაევალა საქართველოს პარლამენტის შესაბამის სტრუქტურებთან ერთად ნატოში გაწევრიანების პროცესის დაწყება.

2002 წლის 21-22 ნოემბერს ქალაქ პრაღაში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველომ გააკეთა ოფიციალური განცხადება ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვის შესახებ და გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიეღო ახალ პროგრამაში - “ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა” .

2002 წლის 28 დეკემბერს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა “საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა.” პროგრამა 5 ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: 1. პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები; 2. თავდაცვისა და სამხედრო საკითხები; 3. რესურსებით უზრუნველყოფის საკითხები; 4. უსაფრთხოების საკითხები; 5. სამართლებრივი საკითხები.

2003 წლის 27 მაისს საქართველოს პრეზიდენტის 235-ე ბრძანებულების შესაბამისად - ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფო სტრუქტურების შეთანხმებულ მოქმედებათა და ძალისხმევის კოორდინაციის გაძლიერების მიზნით ჩამოყალიბებულ იქნა ევროატლანტიკური ინტეგრაციის ეროვნული საკოორდინაციო საბჭო.

“ვარდების რევოლუცია” და ნატო-საქართველოს ურთიერთობა

საქართველოს კონტაქტები ნატოსთან განსაკუთრებით გააქტიურებულ იქნა “ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში. ქვეყნის ახალი ხელისუფლების მიერ ნათლად და მკაფიოდ იქნა განსაზღვრული საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი-საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. 2004 წლის 7 აპრილს ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ნატოს მაღალი დონის წარმომადგენელთა შეხვედრა ფორმატით 26+1, რომელზეც მიხეილ სააკაშვილმა ნატოს გენერალურ მდივანს, იააპ დე ჰოლპ სხეფერს გადასცა ქვეყნის “ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის” საპრეზენტაციო დოკუმენტი. 2004 წლის 28-29 ივნისს სტამბოლში გამართულ ნატოს სამიტზე საქართველო, აზერბაიჯანი და უზბეკეთი ოფიციალურად შეუერთდნენ “ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის” ინიციატივას. ხოლო 2004 წლის 29 ოქტომბერს ნატოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოსთან “ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის” განხორციელების დაწყების შესახებ და საქართველო გადავიდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის მეორე ეტაპზე.

საქართველოს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (Individual Partnership Action Plan) ალიანსთან პარტნიორობის ახალ მექანიზმს წარმოადგენს. “აიპაპი” ოთხი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: 1. პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები; 2. თავდაცვისა და სამხედრო საკითხები; 3. საჯარო ინფორმაცია, სამეცნიერო და გარემოს საკითხები; 4. ადმინისტრაციული, საინფორმაციო უსაფრთხოებისა და რესურსების მართვის საკითხები. აღნიშნული გეგმა შეეხება თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ ფართო სფეროს, როგორცაა: თავდაცვის პოლიტიკა, ტერორიზმთან ბრძოლა, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა, თავდაცვის დაგეგმვა, თავდაცვის სისტემის დაფინანსება, კრიზისული სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა. “აიპაპი” ძალზე სასარგებლო ინსტრუმენტს წარმოადგენს სახელმწიფოში მიმდინარე რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით. იგი გახლავთ კომპლექსური დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს რეფორმების იმპლემენტაციას მთელ რიგ სფეროებში

და მისი ეფექტური განხორციელება საქართველოს ხელისუფლების ერთიან და მაღალ დონეზე კოორდინირებულ ძალისხმევას მოითხოვს.

2005 წლის ივნისში საქართველოს მთავრობამ ქვეყნის ნატოში ინტეგრაციის პროცესის საზოგადოების მიერ უკეთ გაცნობის მიზნით, მიიღო გადაწყვეტილება “აიპაპის” დოკუმენტის გამოქვეყნების შესახებ.

ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა. ნატოსთან და ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების დაჩქარების მიზნით შეიქმნა ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, დაიწყო მეტად ეფექტური ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, საქართველოს თავდაცვის მინისტრი გახდა სამოქალაქო პირი, გაძლიერდა შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლი, გამოიწხულ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ფუნქციები, ნატოს ექსპერტთა რეკომენდაციით ჩატარდა საფუძვლიანი რეფორმები ძალოვან სტრუქტურებში, კერძოდ, საქართველოს შინაგანი ჯარი დაექვემდებარა თავდაცვის სამინისტროს, ხოლო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი (მოგვიანებით სასაზღვრო პოლიცია) შინაგან საქმეთა სამინისტროს დაექვემდებარა. რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია აღინიშნოს ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტის მკვეთრი ზრდა, რის შედეგადაც 2007 წელს თავდაცვის ბიუჯეტი საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 6%-ს შეადგენდა. თავდაცვის სფეროს დაფინანსების ზრდის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური მდგომარეობა და საყოფაცხოვრებო პირობები, აშენდა რამდენიმე ახალი სამხედრო ბაზა, მათ შორის რა თქმა უნდა პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საქართველოს კონფლიქტების რეგიონების სიახლოვეს მდებარე სენაკისა და გორის ბაზები. გარდა ამისა, ქვეყნის მიერ შექმნილ იქნა თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტებზე თანდათან გადასვლას.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოში სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. კერძოდ, რუსეთის მხრიდან შემოღებული ემბარგოს მიუხედავად, 2006 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი შეადგენდა 9,2%-ს, ხოლო 2007 წელს 12%-ს.

აუცილებელია ხაზი გაესვას იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ 2006 წლიდან საქართველოში ხელისუფლების ინიციატივით შეიქმნა “საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ”. სხვადასხვა ტიპის ღონისძიებების ორგანიზებით ცენტრმა უდიდესი სამუშაოები ჩაატარა და კვლავაც ატარებს საქართველოს მოსახლეობის ნატოს შესახებ ინფორმირების კუთხით.

მიუხედავად ამისა, საქართველოს მიერ ნატოს სტანდარტების დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანი სამუშაოებია ჩასატარებელი, პირველ რიგში დემოკრატიული ინსტიტუტების კიდევ უფრო გაძლიერებისა და სასამართლო სისტემის რეფორმირების კუთხით.

“ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის” მიღებამ და საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმულმა პოზიტიურმა ნაბიჯებმა საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობები უფრო ინტენსიური გახადა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს რამდენიმე ფაქტი, კერძოდ: საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით 2005 წელს ჩამოყალიბებულ იქნა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი სახელმწიფო კომისია, ხოლო 2005 წლის 14 თებერვლიდან ძალაში შევიდა შეთანხმება “ნატოს “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის მეკავშირე ოფიცრის მივლინების შესახებ საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის”.

2005 წლის 7-11 მარტს საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შუალედური შეფასების ჯგუფი, რომელმაც საქართველოში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადებითად შეაფასა ქვეყანაში ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხით რეფორმების მიმდინარეობის პროცესი. გარდა ამისა, 2005 წელს ნატოს წევრი ქვეყნების ექსპერტებით დაკომპლექტებულმა უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა ჯგუფმა წარმოადგინა საბოლოო ანგარიში, სადაც აღნიშნულ იქნა რეფორმების განხორციელებისას მიღწეული პროგრესი, რომელიც როგორც ანგარიშში იქნა აღნიშნული, განსაკუთრებით დინამიური გახდა “ვარდების რევოლუციის” შემდეგ.

2006 წლის 6-9 მარტს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შეფასების ჯგუფი კვლავ ეწვია საქართველოს, ხოლო ჯგუფის დასკვნების საფუძველზე უკვე 2006 წლის 13 აპრილს ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა “აიპაის” იმპლემენტაციის შეფასების განხილვა, რასაც მოჰყვა 2006 წლის 26-30 მაისს პარიზში გამართულ ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე სპეციალური დეკლარაციის მიღება, სადაც ასამბლეამ მოუწოდა ალიანსის წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებებს დაწყებულიყო საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის პროცესი.

ნატო-საქართველოს ურთიერთობების ახალი ფორმატი-ინტენსიური დიალოგი

2006 წლის 21 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის სესიის პერიოდში, ნიუ-იორკში გაიმართა ნატოს წევრი ქვეყნების არაფორმალური შეხვედრა, რომელზეც ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატოში გაწევრიანების საკითხებზე საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყების შესახებ. საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყება გახლდათ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი პარტნიორი ქვეყნის სტატუსიდან ალიანსის წევრობის კანდიდატის სტატუსზე გადასასვლელად. ინტენსიური დიალოგი წარმოადგენს ალიანსსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მექანიზმს, რომლის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მომზადდეს შესაბამისი საფუძველი, რათა საქართველო მაქსიმალურად მოკლე დროში გადავიდეს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე.

2006 წლის სექტემბერში საქართველოს ნატოსთან ინტეგრაციის ახალ ეტაპზე გადასვლა წარმოადგენდა ამერიკის აქტიური მხარდაჭერის რეალურ შედეგს. პოლიტიკოსთა და ექსპერტთა აზრით, ინტენსიურ დიალოგზე გადასვლა იმ პერიოდისათვის წარმოადგენდა მაქსიმალურ შედეგს, და ამის ძირითადი მიზეზი გახლდათ საქართველოში შიდა დემოკრატიული კონსოლიდაციის ჯერ კიდევ დაუსრულებელი პროცესი..

გარდა ამისა, რამდენიმე ევროპულმა ქვეყანამ გაითვალისწინა საქართველო-რუსეთს შორის არსებული კონფრონტაცია.

საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შორის ინტენსიური დიალოგის ფორმატში გადასვლასთან დაკავშირებით რამდენიმე კრიტიკული მოსაზრებაც იქნა გამოხატული. კერძოდ, სკეპტიკურად განწყობილი ქართველ ექსპერტთა ნაწილმა ინტენსიური დიალოგი “საშემოდგომო გამოცდასაც” კი შეადარა. ამასთან დაკავშირებით გარკვეული შედარებები გაკეთდა უკრაინასთან მიმართებაში. კერძოდ, აღნიშნულ იქნა ის ფაქტი, რომ უკრაინა დიდი ხანია იმყოფება ინტენსიური დიალოგის ფორმატში, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ვერ გადავიდა შემდგომ – გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ეტაპზე.

თუმცა ზემოაღნიშნულის მიუხედავად, და ასევე იმის გათვალისწინებითაც რომ ინტენსიური დიალოგი არ არის მაპ-ი და არც იმის გარანტია, რომ ჩვენი

ქვეყანა უახლოეს მომავალში ალიანსის სრულყოფილი წევრი გახდება, მაინც აუცილებელია აღინიშნოს, რომ თუ ნატომ ინტენსიურ დიალოგზე გადასვლით უკვე გამოხატა თავისი დამოკიდებულება საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართ, ეს უკვე საგრძნობლად ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ ქვეყნისთვის ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შესაძლებლობა არსებობს.

ნატოს 2006 წლის რიგის სამიტი და საქართველო

2006 წელს რიგაში გამართულ ნატოს სამიტს, შეიძლება ითქვას, საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

აუცილებელია განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე იყო ერთადერთი ალიანსის არაწევრი ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც სამიტს სპეციალური სტუმრის სტატუსით დაესწრო. სამიტის მიმდინარეობისას საქართველოს, აშშ-ისა და ლატვიის დელეგაციების მონაწილეობით გაიმართა შეხვედრა მრგვალ მაგიდასთან, რომელზეც ნატოში საქართველოს გაწევრიანებაზე იმსჯელეს. სამივე ქვეყნის წარმომადგენლების მიერ ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საქართველოში წარმატებით მიმდინარეობს ინტენსიური დიალოგის ეტაპი და არსებობს იმის საფუძველი, რომ უახლოეს მომავალში საქართველო გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე (Membership Action Plan) გადავიდეს. შეხვედრაზე ინტენსიური კონსულტაციები გაიმართა ენერგოუსაფრთხოების საკითხებზეც. ამერიკელი სენატორის, რიჩარდ ლუგარის განცხადებით, რუსეთი ენერგომატარებლებს პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის მექანიზმად იყენებს, რისი ნათელი მაგალითი საქართველოა, რომელსაც რუსეთმა 2007 წლიდან ამ ქვეყნიდან იმპორტირებული ბუნებრივი აირის ათასი კუბომეტრის შესყიდვა საქართველოს გაცილებით მაღალ ფასში-235 აშშ დოლარად შესთავაზა. საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, ლატვიის პრემიერ-მინისტრმა და ნატოს გენერალურმა მდივანმა ერთობლივი პრეს-კონფერენცია გამართეს, რომელზეც საუბარი საქართველოს ნატოში ინტეგრაციასაც შეეხო. “ნატოს ძირითადი პრინციპები საქართველოზეც ვრცელდება. ნატო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მას ინტენსიური დიალოგის ფარგლებში რეფორმების განხორციელებაში”-განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა (63).

ლატვიის პრეზიდენტის მიერ გამართულ პრესკონფერენციაზე ვაირა ვიკე ფრაიბერგამ საქართველოს მხარდაჭერა აღუთქვა. “საქართველომ რთული და საინტერესო გზა გაიარა იმისთვის, რომ ნატოს წევრობის კანდიდატი ქვეყანა გამხდარიყო. ლატვია ოფიციალურად მხარს უჭერს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. (64)”

მნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ნატოს სამიტზე აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის სიტყვით გამოსვლა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი კეთილგანწყობა საქართველოს მიმართ. “ნატოს დღევანდელი სამიტი რიგაში იმის დასტურია, რომ ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის კარი ღიაა ყველა იმ ქვეყნისათვის, რომელსაც ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება სურს. ნატოს წევრობისკენ საქართველოც ისწრაფვის. აშშ მიესალმება და მხარს უჭერს მას ამ პროცესში.”

რაც შეეხება საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს, ჟაკ შირაქს, საქართველოს შესახებ მანაც ისაუბრა. მისი თქმით, ნატოს სამიტზე საქართველო და უკრაინა ერთ კონტექსტში განიხილებოდნენ.

“ნატოს სამიტზე ალიანსის გაფართოების შესახებ აქტიური საუბარი მიმდინარეობდა. ჯერჯერობით, ყველაზე აქტიურად მაკედონიის საკითხი

განიხილება. რაც შეეხება საქართველოს, ეს ქვეყანა უკრაინასთან ერთ კონტექსტში განიხილებოდა. თუმცა არავითარ კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე საუბარი არ მიმდინარეობს"-განაცხადა შირაკმა (65).

როგორც მოსალოდნელი იყო, გაცილებით უფრო გახსნილი იყო, ამერიკელი სენატორი რიჩარდ ლუგარი, რომელმაც ლატვიაში აღნიშნა, რომ "საქართველო ნატოში უახლოეს მომავალში გაწევრიანდება. (66)"

ყურადღებას იმსახურებს რიგაში ნატოს გენერალური მდივნის, იაპ დე ჰოოპ სხეფერის გამოსვლა, როდესაც მან სამიტის დასაწყისშივე განაცხადა, რომ რიგაში ალიანსის გაფართოების საკითხი არ განიხილება. თუმცა ამავე დროს, აღნიშნა, რომ "საქართველოს გრძელი გზა აქვს გასავლელი ნატოსთან ინტეგრაციის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, თუმცა ეს საქართველოს გარდაუვალი მომავალია." მან აღნიშნა, რომ "გაუგებარია, რატომ იწვევს რუსეთის გაღიზიანებას საქართველოს ნატოსკენ სწრაფვა". მისი შეფასებით საქართველომ დემოკრატიის კუთხით სერიოზულ წინსვლას მიაღწია (67).

ნატოს გენერალურმა მდივანმა განცხადება საქართველოში არსებული კონფლიქტების შესახებაც გააკეთა. ეს თემა როგორც საქართველოსთვის, ისე ალიანსის წევრი ქვეყნებისათვის საკმაოდ მტკივნეულია. სხეფერის თქმით "პირველი, რასაც საქართველო ნატოსგან უნდა ელოდოს, ტერიტორიული მთლიანობისადმი ალიანსის სრული პატივისცემაა.(68)"

კონფლიქტებთან დაკავშირებით განცხადებები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემაც გააკეთა. მისი თქმით, საქართველო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაჭრას ნატოში გაწევრიანების შემდეგ აპირებს. ამავე დროს, პარლამენტის თავმჯდომარეს მიაჩნია, რომ ნატომ საქართველოს ალიანსში გასაწევრიანებლად არსებული კონფლიქტების მოგვარების პირობა არ უნდა წაუყენოს. მან ლატვიის რადიოს განუცხადა, რომ ასეთი ფაქტი ძალზე ცუდი სიგნალი იქნება და ამას საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი გამოიყენებს. პარლამენტის სპიკერის აზრით, საქართველო ნატოში შემდეგი სტეპით უნდა გაწევრიანდეს: "ნატოს წევრობა დიდი, კონფლიქტების მოგვარება კი საღამოს.(69)"

ასევე უნდა აღინიშნოს, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის, პიერ ლელუშის განცხადებაც, სადაც მან საქართველოს დემოკრატიული ღირებულებების დაცვისკენ მოუწოდა. რიგის სამიტის შემდეგ მან თბილისში ყოფნისას აღნიშნა, რომ "დემოკრატიული საარჩევნო კოდექსი, დამოუკიდებელი სასამართლო, თავისუფალი მედია და ინფორმაციის თავისუფლება-ეს ის ღირებულებებია, რომელთა დაცვაც საქართველოს ნატოში ინტეგრაციაში დაეხმარება".

საბოლოოდ რიგის სამიტთან მიმართებაში აღსანიშნავია ნატოს მიერ მიღებული დეკლარაცია, სადაც აღნიშნული დეკლარაციის 39-ე პუნქტში რომელიც მთლიანად საქართველოს მიეძღვნა საუბარია შემდეგზე:

"მივესალმებით საქართველოსთან ინტენსიური დიალოგის დაწყებას, ისევე, როგორც საქართველოს წვლილს საერთაშორისო სამშვიდობო და უსაფრთხოების კუთხით განხორციელებულ ოპერაციებში. ჩვენ კვლავაც აქტიურად დავუჭერთ მხარს საქართველოს რეფორმების განხორციელების პროცესში. მოვუწოდებთ საქართველოს, განაგრძოს წინსვლა პოლიტიკური, ეკონომიკური, და სამხედრო რეფორმების, ასევე სასამართლო სისტემის რეფორმირების განხორციელებისა და ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების კუთხით. (71)"

ასევე დეკლარაციაში აღნიშნულ იქნა შემდეგი: "ჩვენ ვადასტურებთ, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ყველა ქვეყანამ რეგიონში კონსტრუქციული როლი უნდა ითამაშოს რეგიონალური მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის მიზნით.(72)" ალიანსი აგრეთვე მიესალმა

საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე 2006 წლის 31 მარტს რუსეთსა და საქართველოს შორის მიღწეულ შეთანხმებას.

საქართველო-ნატოს ურთიერთობა რიგის სამიტის დასრულების შემდეგ

რიგის სამიტის შემდგომ პერიოდში საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობამ კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. 2006 წლის 14 დეკემბერს ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა პირველი კონსულტაცია ალიანსსა და საქართველოს შორის ინტენსიური დიალოგის ფარგლებში, რომელზეც განიხილეს ინტენსიური დიალოგის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები და შეხვედრების განრიგი.

2007 წლის 1 თებერვალს გაიმართა პირველი თემატური კონსულტაცია ინტენსიური დიალოგის ფარგლებში საქართველოს დელეგაციასა და ალიანსის საერთაშორისო სამსახურს შორის.

საინტერესოა აგრეთვე აღინიშნოს ნატოს გენერალური მდივნის განცხადება, რომელიც მან 2007 წლის თებერვლის დასაწყისში უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ მიუნხენის კონფერენციაზე გააკეთა. კერძოდ, მან აღნიშნა რომ 2009 წლისათვის მას ნატოში 26 ქვეყანაზე მეტის ხილვა სურს. ამ განცხადებით სხეფერმა დაადასტურა, რომ ნატოს შემდგომი გაფართოება ალიანსის გეგმებშია.

2007 წლის მარტში საქართველოს ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწე ჟან ფურნიე ესტუმრა. მან მონაწილეობა მიიღო ნატოს ზამთრის სკოლის ეგიდით მოწყობილ მრგვალ მაგიდაში. შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაცია “საქართველო ნატოში” ინიციატივით გაიმართა, რომელშიც ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწესთან ერთად, სახელმწიფო მინისტრი გია ბარამიძე და საქართველოს ყოფილი ელჩი ნატოში დავით დონდუა მონაწილეობდნენ.

ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწემ დადებითად შეაფასა ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, თუმცა მან ყურადღება ქვეყნის დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით მათი გაგრძელების აუცილებლობის შესახებაც გაამახვილა. მისი განცხადების თანახმად, საქართველო-ნატოს შორის ინტენსიური დიალოგის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ ანგარიში, რომელიც ერთ თვეში უნდა გამოქვეყნებულიყო, პოზიტიური იქნებოდა. თუმცა ამავე დროს დოკუმენტში ალიანსის მიერ ყურადღება გამახვილებული იქნებოდა რეფორმების გატარების აუცილებლობაზე სამხედრო სფეროში და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების კუთხით. ჟან ფურნიემ აგრეთვე აღნიშნა, რომ “საქართველოს ხელისუფლებამ გარკვეულ პროგრესს მიაღწია, მაგრამ თქვენ უფრო მეტის გაკეთება შეგიძლიათ. არ მინდა ვთქვა, რომ ყველაფერს ვარდისფერ ფერებში ვაფასებთ. რა თქმა უნდა სიტუაციას შედარებით რუს ფერებშიც ვხატავთ”- განაცხადა ფურნიემ ჟურნალისტებთან საუბრისას(73).

ნატოს გენმდივნის თანაშემწემ მრგვალ მაგიდაში მონაწილეობის დროს შეეხო საქართველო-რუსეთის ურთიერთობებსაც და განაცხადა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული ვითარება მხარეებმა მშვიდ და კონსტრუქციულ ვითარებაში უნდა განიხილონ.

“ჩვენ შევეცდებით ჩვენი პარტნიორების ინფორმირებას, რომ გააკონტროლონ საკუთარი ქმედებები სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში, მათ შორის კონფლიქტების დარეგულირების საკითხებთან დაკავშირებით”-აღნიშნა ფურნიემ(74).

ვიზიტის დროს ჟურნალისტების მიერ ასევე დასმული იქნა კითხვა სამხედრო სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის მაჩვენებელთან დაკავშირებით, თუმცა

დასავლელმა დიპლომატმა კონკრეტული პასუხისაგან თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ ინფორმირებული არ არის დეტალების შესახებ.

შეხვედრის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა კონფლიქტების თემატიკაზე. ფურნიემ კომენტარი გააკეთა რუსეთის ელჩის განცხადებასთან დაკავშირებით. რუსეთის ელჩის განცხადების თანახმად, საქართველოს ნატოში გაწევრიანება უარყოფითად იმოქმედებდა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაზე. ფურნიემ ამ განცხადებას “რუსული დიპლომატიისათვის დამახასიათებელი ტრადიციული პოზიცია” უწოდა. მისი თქმით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ყოველთვის მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას (75).

“საქართველომ უნდა შეასრულოს “აიპაპ“-ისა და ”ინტენსიური დილოგის“ მოთხოვნები და ნატო მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული ზეგავლენის გარეშე“-აღნიშნა ფურნიემ.

რაც შეეხება იმ შენიშვნებს, რომელიც ერთი წლით ადრე პრეზიდენტ სააკაშვილისა და ალიანსის გენერალური მდივნის იაპა დე ჰოოპ სხეფერის შეხვედრის დროს გამოითქვა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასთან და კანონის უზენაესობასთან დაკავშირებულ პრობლემებს შეეხებოდა, იმავე დონისძიებაზე საქართველოს ყოფილმა ელჩმა ნატოში დავით დონდუიამ აღნიშნა, რომ “საქართველო რაც უფრო დაუახლოვდება ალიანსს და რაც უფრო გაიზდება ნატოში მისი გაწევრიანების პერსპექტივა, მით უფრო მკაცრად მოითხოვენ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დემოკრატიული რეფორმების გატარებას(76)“.

2007 წლის 27 მარტს გაიმართა მეორე თემატური კონსულტაცია. შეხვედრაზე განხილულ იქნა პოლიტიკური საკითხების ფართო სპექტრი, კერძოდ: კონფლიქტების მოგვარების, ადამიანის უფლებებისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის, კანონის უზენაესობის განმტკიცების, ენერგოუსაფრთხოების, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა საკითხები. ამ პერიოდში საქართველოში სამდღიანი გეგმიური ვიზიტით ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში რობერტ სიმონსი იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში იგი შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრს, რის შემდეგაც მხარეებმა ერთობლივი პრეს-კონფერენცია გამართეს. გელა ბეჟუაშვილისა და რობერტ სიმონსის შეხვედრა ინტენსიური დიალოგის ფარგლებში გაიმართა და ნატოსთან ურთიერთობების განხილვას მიეძღვნა. საგარეო უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, პირველი შეხვედრა ცოტა ხნის წინ ბრიუსელში შედგა, სადაც ქართული მხარის მიერ განხორციელებულ რეფორმებს დადებითი შეფასება მიეცა.

“ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა IPAP“-ი მოქმედ ფაზაშია. უახლოეს ხანებში იგეგმება თავდაცვის, საგარეო საქმეთა მინისტრების და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ბრიუსელში გამგზავრება, სადაც 26+1 ფორმატის შეხვედრა გაიმართება“. როგორც რობერტ სიმონსმა განმარტა, ნატოსთან “ინტენსიურ დილოგში” საქართველოს ჩაბმა ნიშნავს, რომ ნატო რეფორმების საკითხებში საქართველოს სწრაფვას აღიარებს. “საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობა ორივე ფორმატით წარმატებით ვითარდება. ჩვენ დავსახეთ რთული მიზნები და ვფიქრობ, საქართველო იღწვის ამ მიზნების შესასრულებლად, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია.(77)“

შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრთან ენერგეტიკული უსაფრთხოების, სამეცნიერო ურთიერთობებისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებიც განიხილეს. ვიზიტის ფარგლებში ასევე გაიმართა შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან. მხარეებმა ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის საკითხებზე ისაუბრეს. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ რობერტ სიმონსმა ჟურნალისტებს განუცხადა, “ნატოსთან ინდივიდუალური

პარტნიორობის სამოქმედო გეგმისა” და “ინტენსიური დიალოგის” შესახებ პარლამენტის თავჯდომარესთან მას საინტერესო დიალოგი ჰქონდა. ასევე საუბარი შედგა იმასთან დაკავშირებითაც, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისათვის. სიმონის თქმით, მათ ასევე ისაუბრეს არჩევნებსა და სასამართლო რეფორმებთან დაკავშირებით, და განიხილეს თავდაცვის სისტემაში არსებული ვითარება.

საქართველო-ნატოს ურთიერთობების ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების ვიზიტი ბრიუსელში 2007 წლის სექტემბერში, როდესაც იქ სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე და საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართა რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა. საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო 3 სექტემბერს ევროკომისიის საგარეო ურთიერთობათა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის გენერალური დირექტორატის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომლის მთავარი თემა იყო ევროპული სამეზობლო პოლიტიკის განმტკიცება, ხოლო შემდეგ უკვე გაიმართა შეხვედრა ნატოს შტაბ-ბინაში ალიანსის გენერალურ მდივანთან იააკ დე ჰოოპ სხეფერთან. ამ შეხვედრაზე საუბარი შედგა საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივებზე, თუ რა ნაბიჯებია გადასადგმელი იმისათვის, რომ ეს პროცესი ეტაპობრივად განხორციელდეს. ასევე საუბარი შეეხო ისეთ აქტუალურ საკითხს, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას უკავშირდება. შეხვედრის დროს ნატოს გენერალურ მდივანს ეთხოვა, რომ დაჩქარებულიყო პროცედურები იმისთვის, რომ საქართველოს ჰქონდეს შესაძლებლობა განვითარდეს თანამშრომლობა ნატოსთან ინფორმაციის გაცვლის საკითხებზე. კონკრეტულად, გაძლიერდეს თანამშრომლობა საჰაერო მონიტორინგის საკითხებში, რათა საქართველოს ჰქონდეს საშუალება, რომ ქვეყნის საჰაერო სივრცითი მონაცემები დროულად იქნეს მიწოდებული ნატოს შესაბამის სტრუქტურებში.

ნატოს გენერალური მდივნის საქართველოში ვიზიტი და მისი შედეგები

საქართველო-ნატოს თანამედროვე ურთიერთობების ისტორიაში უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტი გახლდათ ნატოს გენერალური მდივნის, იაკ დე ჰოოპ სხეფერის საქართველოში ვიზიტი 2007 წლის ოქტომბერში.

ვიზიტის ფარგლებში ნატოს ხელმძღვანელს არც დაუმაღავს და მან პირდაპირ განაცხადა, რომ დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს და საქართველოში ვიზიტის მთავარი მიზანიც “ქვეყანაში არსებული სიტუაციის შეფასებაა.” გენერალური მდივნის სიტყვებიდან გამომდინარე შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ სხეფერი პოზიტიურად აფასებს საქართველოში მიმდინარე რეფორმებს. ყოველ შემთხვევაში საქართველოში ვიზიტის ფარგლებში მან ჩვენი ქვეყნის მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურა. კერძოდ, მის მიერ აღნიშნულ იქნა შემდეგი: “საქართველომ წარმატებით გაართვა თავი რეფორმებს და ეს მხოლოდ სამხედრო სფეროს არ ეხება. საქართველომ აგრეთვე დაამტკიცა, რომ მას შეუძლია სამართლიანი, ობიექტური, არჩევნების ჩატარება. იმედი მაქვს, მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე იგივე განმეორდება.”(78)- გამოთქვა თავისი ვარაუდი ნატოს გენერალურმა მდივანმა, რომელმაც მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, გაეგრძელებინა სასამართლოს რეფორმირება, და ხელი შეეწყობოდა ამ ინსტიტუტის დამოუკიდებლობას და უზრუნველყოფილიყო აღნიშნული პროცესის გამჭვირვალობა. სხეფერმა საქართველოში 2007 წლის

სექტემბერში არსებული მდგომარეობა 2004 წლის ვიზიტის დროს არსებულ სიტუაციას შეადარა და განაცხადა, რომ სამი წლის პერიოდში ქვეყანამ ძალიან დიდი ნაბიჯები გადადგა. განსაკუთრებული აქცენტი მან “ინვესტიციებსა და ეკონომიკურ აყვავებაზე” გაამახვილა. პოზიტივებთან ერთად გენერალურმა მდივანმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ საბოლოო მიზნის მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. კერძოდ, სხეფერმა განაცხადა:

“ნატოს გაფართოება შეუქცევადი პროცესია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ახალი წევრებისთვის მისი კარი ავტომატურად გაიღება” და იქვე კიდევ ერთხელ განმარტა, რომ “მაპ”-ზე საქართველოს გადასვლა ნატოს 26 წევრი ქვეყნის პოლიტიკური მოლაპარაკებებისა და დისკუსიის შედეგად უნდა მოხდეს (79).

როგორც ცნობილია, ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების გზაზე ერთგვარ დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე კონფლიქტური ზონების არსებობა, რაც, თავის მხრივ, რუსეთის ფაქტორს უკავშირდება. ამასთან დაკავშირებით ნატოს ლიდერმა განაცხადა, რომ “ეს კონფლიქტები უნდა მოგვარდეს მხოლოდ მშვიდობიანი, პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით”(80). რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, სხეფერმა გაამართლა ოფიციალური თბილისის კონსტრუქციული ქმედებები როდესაც მან აღნიშნა, რომ “საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან მიმართებაში სწორ, თავშეკავებულ პოლიტიკას ატარებს”(81).

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის საქართველოში ვიზიტის პროგრამა საკმაოდ დატვირთული იყო. მისი ერთ-ერთი სამუშაო დღე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრით დაიწყო, რომლის დროსაც საპატიო სტუმარმა ნატოს შესახებ ისაუბრა და აუდიტორიის შეკითხვებს უპასუხა. უნივერსიტეტში ღონისძიების დასრულების შემდეგ გაიმართა იაპ დე ჰოოპ სხეფერის შეხვედრები საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ნოღაიდელთან და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან, ხოლო მოგვიანებით იგი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად კახეთს ესტუმრა, სადაც სიღნაღის ღირშესანიშნაობები დაათვალიერა და ღია ცის ქვეშ პრესკონფერენცია გამართა.

საქართველოში 2007 წლის 7 ნოემბერს განვითარებული ცნობილი მოვლენების მიუხედავად, რომლებსაც იგივე ნატოშიც მოჰყვა უარყოფითი გამოხმაურება, რისი ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტიც, რომ ალიანსის მესვეურებს არ ჰქონდათ მიღებული დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია თბილისის მოვლენებთან დაკავშირებით, ნოემბრის ბოლოს შედგა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ვლადიმერ გურგენიძის ვიზიტი ბრიუსელში, სადაც ნატოს გენერალურ მდივანთან შეხვედრისას განხილულ იქნა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პრიორიტეტები, ხოლო ორ მხარეს შორის ურთიერთობების კუთხით უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეგვიძლია აღვიქვათ 2007 წლის 7 დეკემბერს ბრიუსელში გამართული ნატოს მინისტრიალი, რომლის დროსაც ბრიუსელში გაიმართა ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი განსახილველი საკითხი გახლდათ 2008 წლის აპრილში დაგეგმილი ბუქარესტის სამიტი. როგორც ვიცით, საქართველოს მხარის სურვილი გახლავთ რომ გაწევრიანების გზაზე უკანასკნელი ეტაპის-გაწევრიანების სამოქმედო გეგმასთან-MAP-თან მიერთება მოხდეს სწორედ ბუქარესტის სამიტზე. ამ საკითხში რაზედაც მოგვიანებითაც გვექნება საუბარი, ნატოს ზოგიერთი ევროპული წევრი სახელმწიფოს ხელვა შეერთებული შტატების დადებითი პოზიციისგან

განსხვავდება, რაც საქართველოს სამოქმედო გეგმასთან მიერთებას სერიოზულ ბარიერს უქმნის.

თუმცა, ბრიუსელის სამიტზე ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა საქართველოსთან დაკავშირებით ერთობლივი კომუნიკე მიიღეს, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს სწრაფვა ნატო-სკენ დადებითად აღიქმება ალიანსის წევრი ქვეყნების მიერ. “ჩვენი ქვეყნები მხარს უჭერენ საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას და ასევე მის სწრაფვას კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისაკენ და ასევე მოუწოდებენ რეგიონში ყველა მხარეს, კონსტრუქციულად ჩაერთონ მშვიდობის და სტაბილურობის დამყარების საქმეში.” კომუნიკეში ასევე ხაზი გაესვა შემდეგ ასპექტს: “ნატო მხარს უჭერს საქართველოს სწრაფვას ევროატლანტიკური სივრცისკენ, იმის მიუხედავად, რომ წინასწარ არ გაახმოვანებს ალიანსის ნებისმიერ გადაწყვეტილებას.” კომუნიკეს ბოლოს, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, რათა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას უზრუნველყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება საარჩევნო პერიოდში (82).

აუცილებლობა მოითხოვს ასევე აღინიშნოს, რომ ნატოს მიერ გაკეთებულ იქნა ოფიციალური განცხადება საქართველოში 2008 წლის 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, სადაც ალიანსის მესვეურებმა განაცხადეს, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული არჩევნები ძირითადად შეესაბამებოდა დემოკრატიულ სტანდარტებს.

არჩევნებთან დაკავშირებით ალიანსის სახელით ოფიციალური განცხადება გააკეთა ნატოს პრეს-სპიკერმა ჯეიმს აპათურაიმ, კერძოდ, მან განაცხადა: “ჩვენ მივესალმებით საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების იმ პირველად შეფასებებს, რომლებიც საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ გაკეთდა. საპრეზიდენტო არჩევნებში ქართველმა ხალხმა თავისი არჩევანი და ნება გამოხატა. ქვეყანაში ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა ცხადყო, რომ საქართველომ დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით წინ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. მხედველობაშია მისაღები ასევე საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები საპარლამენტო არჩევნების დროს, რომელიც 2008 წლის გაზაფხულზე გაიმართება. ნატო გააგრძელებს ინტენსიურ დილოგს საქართველოსთან და მხარს დაუჭერს მის მცდელობას მიუახლოვდეს ევროატლანტიკურ სტანდარტებს(83).”

2008 წლის 28 იანვარს საქართველოში ოთხდღიანი ვიზიტით ნატოს შემფასებელთა მისია იმყოფებოდა. მისი ძირითადი მიზანი გახლდათ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება. ვიზიტის დასრულების დღეს ნატოს IPAP-ის იმპლემენტაციის სახელმწიფო კომისიის წევრებმა ნატოს დელეგაციის წარმომადგენლებთან ერთად შემაჯამებელი შეხვედრა გამართეს. ამ შეხვედრას თავმჯდომარეობდა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ბატონი გიორგი ბარამიძე. შეხვედრა დახურულ რეჟიმში წარიმართა და მისი დასრულების შემდეგ ნატოს დელეგაციის ხელმძღვანელმა რობერ იუვერმა განაცხადა შემდეგი: “ჩვენ მივიღეთ ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში მიმდინარე რეფორმების შესახებ და მიგვაჩნია, რომ თქვენს ქვეყანაში ზოგადი პროგრესი შეინიშნება. მიღებულ ინფორმაციას ბუქარესტში დაბრუნების შემდეგ ნატოს წევრებს გავაცნობთ(84).”

სახელმწიფო მინისტრის, გიორგი ბარამიძის განცხადებით, მისი და მოკიდებულია პროგრამის შესრულებასთან დაკავშირებით დადებითია. კერძოდ, ბარამიძემ განაცხადა: “ვისაუბრეთ მათთვის ყველაზე საინტერესო თემაზე, მათ შორის 7 ნოემბრის მოვლენებზე, საპრეზიდენტო არჩევნებსა და

მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე. მათ აღნიშნეს, რომ, პოლიტიკური მოვლენების მიუხედავად, რეფორმები არათუ არ შეწყვეტილა, არცკი შენელებულა”(85).

აღსანიშნავია, რომ ნატოს შემფასებელთა მისიამ შეხვედრები საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებშიც გამართა. თავდაცვის მინისტრის მოადგილის ბათუ ქუთელიას განცხადების თანახმად, მისიამ თავდაცვის უწყებაში რეფორმის პროცესების მიმდინარეობა დადებითად შეაფასა.

აუცილებელია ასევე აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ნატოს მისიამ მაღალი შეფასება მისცა სასამართლო სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებს.

საქართველოს მიერ ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიღებული ოფიციალური დოკუმენტები

როგორც წიგნის წინა ქვეთავში აღინიშნა, საქართველომ “ვარდების რევოლუციის” შემდეგ ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რამაც თავისი ნათელი დადასტურება ჰპოვა ქვეყნის ხელისუფლების ინიციატივით მიღებულ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში. კერძოდ, *საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციასა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დირექტივებში* ნატოში ინტეგრაციის საკითხს დოკუმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო, კერძოდ, უსაფრთხოების კონცეფციის პუნქტში **ინტეგრაცია ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასა (ნატო) და ევროკავშირში**, აღნიშნულია შემდეგი:

“საქართველო ისტორიულად ევროპული სივრცის გეოგრაფიულ, პოლიტიკურ და კულტურულ ნაწილს წარმოადგენს. ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სისტემებში ინტეგრაცია საქართველოს ხალხის მტკიცე ნებაა. საქართველოს მიაჩნია, რომ მისი უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ევრო-ატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების ერთიანობის პრინციპს. საქართველო, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის და, ამასთან, შავი ზღვისპირა სახელმწიფო ამ სივრცის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საქართველო მიესალმება ნატო-ს გაფართოებას და მიიჩნევს რომ ნატო-სა და ევროკავშირში შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ინტეგრაცია მნიშვნელოვნად განამტკიცებს შავი ზღვის რეგიონის, როგორც ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვრის უსაფრთხოებას. ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში და ევროკავშირში გაწევრიანება საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) ინტეგრაცია

საქართველო განიხილავს ნატო-ს, როგორც ევრო-ატლანტიკური სივრცის კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციას, რომლის წევრობა საქართველოს ანიჭებს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების აქამდე უპრეცედენტო ხარისხს. ნატო-ში გაწევრიანებით საქართველო არა მარტო მიიღებს უსაფრთხოების მყარ გარანტიებს, არამედ თავის წვლილს შეიტანს ევროპისა და შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებაში.

ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადობის მისაღწევად საქართველომ დაიწყო თავდაცვის სისტემის გარდაქმნა. საქართველომ მოამზადა ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმა (IPAP), რომლის შესრულებას განიხილავს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრობისაკენ გადადგმულ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად. ამასთან, საქართველო თანამშრომლობს ნატო-ს წევრ და წევრობის მსურველ სახელმწიფოებთან ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს და

პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის (PfP) ფარგლებში. საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნატო-ს წევრ სახელმწიფოებთან ორმხრივ და მრავალმხრივ თანამშრომლობას პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში”. (86)

რაც შეეხება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დირექტივებს, აქ ნატოსთან დაკავშირებით ვკითხულობთ შემდეგი შინაარსის ტექსტს:

“საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დირექტივები 2007 წლისათვის გამომდინარეობს დოკუმენტიდან საქართველოს „საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2006-2009 წლებისათვის“ და აყალიბებს 2007 წლის განმავლობაში საქართველოს დიპლომატიური სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

დირექტივების საფუძველზე შემუშავდება სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების წლიური სამოქმედო გეგმები.

დირექტივებში ასახულია საგარეო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები, რომელთა განსახორციელებლად დიპლომატიური სამსახური, თავისი კომპენსაციის ფარგლებში, წარმართავს საქმიანობას 2007 წლის განმავლობაში. ესენია: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ნატოში ინტეგრაცია, ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავება, ეკონომიკური დიპლომატიის გაძლიერება, ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დემოკრატიული პროცესების გაგრძელება და ხელშეწყობა, ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავება, საქართველოს წარმოჩენა საზღვარგარეთ, საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ჩვენი თანამემამულეების და მათი უფლებების დაცვა, საგარეო უწყების მართვის სისტემის სრულყოფა.

ნატოში ინტეგრაცია

ნატოში გაწევრიანება საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანია. ნატოში ინტეგრაცია დამოკიდებულია ორ გარემოებაზე – რეფორმების წარმატებით განხორციელებასა და ალიანსის ყველა წევრის პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე. დიპლომატიური სამსახურის მუშაობა წარიმართება ამ ორივე მიმართულებით. კერძოდ:

- ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების სრულფასოვანი განხორციელება;
- ინტენსიური დიალოგის ფორმატში (ID) კონსულტაციების ეფექტურად გამოყენება და ნატოში განსახილველ სხვადასხვა საკითხზე საქართველოს პოზიციის მხარდაჭერის მოპოვება;
- ინტეგრაციის პროცესში აღებული ვალდებულებების განხორციელებაში მიღწეული პროგრესის შესახებ დროული და ამომწურავი ინფორმაციის გავრცელება ნატოს შესაბამის სამსახურებსა და წევრ-სახელმწიფოებში;
- მუშაობის გააქტიურება, როგორც ნატოს შტაბ-ბინაში, ასევე ალიანსის წევრი ქვეყნების დედაქალაქებში, საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე წევრი ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვების მიზნით;
- თბილისში ID-ს ფარგლებში ნატო-საქართველოს წარმომადგენლების მაღალი დონის შეხვედრების ორგანიზება;
- ნატოს და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ წარმოებულ სამშვიდობო და ანტიტერორისტულ ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის გაგრძელება;
- ნატოს შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებისა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების მიზნით, ნატოს სახალხო დიპლომატიის როლის გაზრდა; გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე (MAP) გადასვლისათვის სათანადო

პირობების შექმნა და საქართველოს MAP-ში ჩასართავად ალიანსის წევრ ქვეყნებთან პოლიტიკური დიალოგის გააქტიურება”(87).

საქართველო-ნატოს სამხედრო თანამშრომლობა

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებისათვის უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ჩვენს ქვეყანას შორის ორმხრივ სამხედრო თანამშრომლობას.

ნატოსა და საქართველოს შორის სამხედრო სფეროში ურთიერთობა იწყება 1993 წლიდან, თუმცა პირველ ეტაპზე ამ თანამშრომლობას არ მოჰყოლია რეალური ნაბიჯების გადადგმა. სამხედრო მიმართულებით კონტაქტების გადრმაგება იწყება ნატოს პროგრამა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” დამტკიცებისა და ამოქმედების შემდეგ, როდესაც ალიანსსა და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის გაფორმდა ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამები (იპპ). საქართველოსთან მიმართებაში პირველი იპპ (1996 წლისათვის) დამტკიცდა 1995 წლის დეკემბერში.

იპპ-ის შესავალ ნაწილში აღნიშნულ იქნა, რომ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით საქართველო მზადყოფნას გამოთქვამს თავისი წვლილი შეიტანოს ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის მშენებლობაში. ასევე შესავალშივე აღინიშნება, რომ ნატოს ფარგლებში არსებული პროცედურის შესაბამისად, იპპ ყოველწლიურად გადასინჯული და განახლებული უნდა ყოფილიყო ორმხრივი ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე. რაც შეეხება დოკუმენტის პირველ ნაწილს, მასში დეტალურადაა ჩამოთვლილი იპპ-ის განხორციელების მიზნით საქართველოს მიერ გამოყოფილი რესურსები და ძალები. შემდგომ, იპპ-ში მოცემულია სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის კონკრეტული ღონისძიებები და თემები:

ეს სფეროებია:

- საგანგებო-სამოქალაქო სიტუაციების დაგეგმვა;
- კრიზისის მართვა;
- საქართველოში შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლი;
- თავდაცვის დაგეგმვისა და ბიუჯეტის სფერო;
- თავდაცვის უზრუნველყოფა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, თავდაცვის პოლიტიკისა და სტრატეგია;
- თავდაცვის სტრუქტურები, წვრთნები და ოპერაციები, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა ქართველ ოფიცერთა მომზადება სამშვიდობო, სამძებრო-სამაშველო და ჰუმანიტარული ოპერაციებისათვის. იპპ-ით გათვალისწინებული თანამშრომლობა მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციას, მის ნატო-ს სტანდარტებთან დაახლოებას და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას.

ყურადღების ცენტრში ასევე აღმოჩნდა თავდაცვის სტრუქტურები, სამხედრო წვრთნებისა და ოპერაციების სფერო, რომლის ფარგლებში საქართველო უკვე იწყებდა ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთან პრაქტიკულ თანამშრომლობას. კერძოდ, 1996 წელს ნატო-პიპპ-ის ფარგლებში დაგეგმილ სამხედრო წვრთნებში მონაწილეობისათვის გადაწყვეტილ იქნა საქართველოს სამხედრო პერსონალის ჩართვა ამ წვრთნებში დაგეგმვისა და მომზადების პროცესში (სულ 9 ერთობლივი წვრთნა). ასევე ყურადღება გამახვილებულ იქნა ქართველ ოფიცერთა შესაბამის მომზადებაზე სამშვიდობო, სამძებრო-სამაშველო და ჰუმანიტარული ოპერაციებისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველო გამოთქვამდა ასეთ წვრთნებსა და მათ მოსამზადებელ ღონისძიებებში

მონაწილეობის მზადყოფნას უმთავრესად დამკვირვებელთა დონეზე. გამონაკლისს წარმოადგენს ერთობლივი წვრთნა “Cooperative Ospray”, რომელიც ჩატარდა 1996 წლის სექტემბერში აშშ-ში. ეს გახლდათ პირველი ასეთი სახის ღონისძიება, რომელშიც საქართველო წარმოადგენილი იყო სამხედრო ქვეგანაყოფით (ოცეულით). აგრეთვე განიხილებოდა სამშვიდობო ოპერაციებისათვის საქართველოს მომზადება. ამ წვრთნებს მოჰყვა “Automation-98” ნიდერლანდებში და “Peace Shield” უკრაინაში საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფების ჩართვა.

იპპ ითვალისწინებდა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ფარგლებში სამხედრო ინფრასტრუქტურის საკითხებზე მუშაობასაც. კერძოდ, საწყის ეტაპზე იგეგმებოდა ნატოს სამხედრო სპეციალისტთა ვიზიტები საქართველოში, რათა ადგილებზე მომხდარიყო იმ ობიექტებისა და რესურსების ექსპერტიზა, რომლებიც იპპ-ის განხორციელების მიზნით გამოიყო საქართველოს მიერ.

იპპ-ით განსაზღვრული თანამშრომლობის სფეროებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებდა სტანდარტიზაცია და თავსებადობა. ცნობილია, რომ ყოფილი საბჭოთა და ნატოს შეიარაღებული ძალების მშენებლობა მიმდინარეობდა ერთმანეთისაგან ავტონომიურად, ამიტომ სხვადასხვა სამხედრო პარამეტრების ურთიერთთავსებადობის საკითხი მოხსნილი იყო დღის წესრიგიდან. რეალურად საკითხი ეხებოდა არა მხოლოდ შეიარაღებას, არამედ მასთან დაკავშირებულ სამხედრო და სამოქალაქო საქმიანობის ფართო სპექტრს. ამგვარად, სტანდარტიზაციისა და თავსებადობის სფეროში იპპ-ით იგეგმებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის წვრთნა ნატოს სტანდარტების მიხედვით.

იპპ განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა განათლებასა და წვრთნის სფეროს. ეს გახლდათ ენობრივი და სპეციალური კურსები ნატოს სკოლებში, ინსტიტუტებსა და საწვრთნელ ცენტრებში, გაცვლითი პროგრამები, სტიპენდიები, ექსპერტთა კონტაქტები, ლექტორთა და მომხსენებელთა ტურები, ინფორმაციითა და მასალით უზრუნველყოფა და სხვა. ამ თანამშრომლობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია, მისი ნატოს სტანდარტებთან დაახლოება და საერთო ჯამში, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცება.

იპპ-ის ფარგლებში განსაზღვრული მიმართულებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლი. დემოკრატიულ სახელმწიფოში სამხედრო ხელმძღვანელობა ვალდებულია განახორციელოს თავისი ფინანსური ანგარიშგება ქვეყნის მთავრობისა და პარლამენტის წინაშე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კორუფციისა და სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობას. გარდა ამისა, სამხედრო სტრუქტურის ტრანსფარენტულობა ხელს უწყობს ამ სფეროში თანამედროვე მიღწევების დანერგვას, სხვა ქვეყნებთან სამხედრო თანამშრომლობას და საერთო ჯამში ქვეყნის სტაბილურობას.

ნატოსა და საქართველოს ურთიერთობები მხოლოდ ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამით არ შემოიფარგლებოდა, დიდ მნიშვნელობას იძენდა ნატოს შესაბამის უწყებებთან ქართველი სამხედროების დაკავშირება, საქართველოს სამხედრო დელეგაციების მონაწილეობა ეაპს-ის წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრებში, რომლებიც ყოველწლიურად ორჯერ იმართება ბრიუსელში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები ასევე მონაწილეობდნენ ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბების უფროსთა სხდომებში, რომლებზეც ხდება როგორც ეაპს-ის საქმიანობასთან დაკავშირებული, ასევე რეგიონული და უსაფრთხოების პრობლემემატიკის სამხედრო ასპექტებისა და ნატო-საქართველოს პრაქტიკული სამხედრო თანამშრომლობის საკითხთა განხილვა.

1994 წლის 28 აპრილს, ბელგიის ქალაქ მონსში განლაგებულ ევროპაში მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის შტაბ-ბინაში, სახეიმოდ გაიხსნა “პარტნიორობის საკოორდინაციო ცენტრი”, რომლის მიზანი გახლდათ პმპ-ის ე.წ. სამხედრო ნაწილის განხორციელება. 1996 წლის აპრილიდან აღნიშნულ ცენტრში თავისი საქმიანობის განხორციელება დაიწყო ქართველმა ოფიცერმა.

საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის თვალსაზრისით გადაიდგა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი. კერძოდ, 1995 წლის 31 მაისის შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოიწონეს დოკუმენტი, რომელიც იურიდიულ საფუძველს ქმნის პმპ-ის მონაწილე ქვეყნების ტერიტორიაზე ნატოს ან პარტნიორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების განლაგებისათვის. ეს არის “შეთანხმება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებსა და პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის ძალების სტატუსის შესახებ”. საქართველო ერთ-ერთი პირველთაგანი იყო პმპ-ის წევრი ქვეყნებიდან, რომელიც შეუერთდა ამ შეთანხმებას და მის დამატებით ოქმს (1995 წლის 18 ივლისს). ამგვარად, საჭიროების შემთხვევაში შეიქმნა იურიდიული საფუძველი პმპ-ის ფარგლებში საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს ან პარტნიორი ქვეყნის შეიარაღებული ძალების განლაგებისათვის.

რაც შეეხება სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობას, იგი აუცილებლად საჭიროებდა პმპ-ის დაგეგმვისა და ანალიზის პროცესში (PARP) ჩართვას, რომელიც ითვალისწინებს პარტნიორ სახელმწიფოსგან სტანდარტების თავსებადობის მიღწევას ნატოს ანალოგიურ სტანდარტებთან. ეს მეტად შრომატევადი და გრძელვადიანი პროცესია, რომლის საბოლოო მიზანია პმპ-ში მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტებზე გადასვლა. ყოველი ცალკეული ქვეყნისთვის PARP განსაზღვრავს თავსებადობის მიმართულებებსა და დონეს, იმ პრიორიტეტებსა და პარამეტრებს, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს პმპ. PARP გახლავთ სწორედ ის მექანიზმი, რომელიც ანიჭებს პმპ-ს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას და მიზანს-ნატოსთან თავსებადობის მიღწევას. 1999 წლის მარტში საქართველოს გადაეცა PARP – ის პროცესში მონაწილეობის “კითხვარი-შეფასება”, რამაც ფაქტიურად დასაბამი მისცა ჩვენი ქვეყნის მონაწილეობას ამ უმნიშვნელოვანეს პროცესში. PARP- ის ფარგლებში აღიანსთან თავსებადობის მისაღწევად საქართველომ აიღო ვალდებულება 25 “თავსებადობის ამოცანის” განხორციელების თაობაზე. კერძოდ, გადაწყდა, რომ სამშვიდობო ოპერაციებიებისათვის საქართველო გამოყოფდა ერთ ქვეით ბატალიონს, ერთ ასეულს და ერთ საინჟინრო ოცეულს (ბატალიონის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ცალკე განლაგებადი), რომლებიც მზად უნდა ყოფილიყვნენ უკვე 2000 წლისათვის. ბატალიონის დანარჩენი ნაწილის ნატოს სტანდარტებზე გადასვლა კი 2002 წელს იგეგმებოდა.

2001 წლის ზაფხულში საქართველო მასპინძლობდა პმპ-ის წვრთნებს “Cooperative Partner-2001” რომელშიც მონაწილეობას იღებდა 4000-მდე სამხედრო მოსამსახურე და ეს იყო საქართველოში ჩატარებული ყველაზე ფართომასშტაბიანი წვრთნები.

2002 წლის მანძილზე ინდივიდუალური პარტნიორობის პარტნიორობის ფარგლებში საქართველომ მონაწილეობა მიიღო 83-ზე მეტ წვრთნაში და ამავე პერიოდში საზღვარგარეთ, სხვადასხვა კურსებსა და ტრენინგებზე გაგზავნილ იქნა 167 ოფიცერი. იმავე წელს საქართველომ უმასპინძლა მრავალეროვნულ სამხედრო წვრთნებს “Cooperative Best Effort-2002”.

2003 წელს კიდევ უფრო გაღრმავდა აღიანსთან თანამშრომლობა და საქართველომ მონაწილეობა მიიღო 119 წვრთნაში. იმავე წელს ხელი მოეწერა ფინანსურ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოს

ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი სამხედრო ბაზების – ფონიჭალას, ჭალადიდისა და ვაზიანი განიარაღებისათვის თანხების გამოყოფას.

გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 1999 წელს ვაშინგტონის სამიტზე მიღებულ იქნა „გაწვევრიანების სამოქმედო გეგმა“ (MAP), რომელშიც ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ნატოში გაერთიანების მსურველი ქვეყნებისათვის. უპირველეს ყოვლისა აქ აღნიშნულია, რომ დოკუმენტი შექმნილია ალიანსში გაწვევრიანების მსურველი ქვეყნების დასახმარებლად. დაინტერესებულ ქვეყანას შეუძლია აირჩიოს დოკუმენტიდან ის პროგრამები და ღონისძიებები, რომლებსაც იგი მიიჩნევს საჭიროდ ნატოში გაწვევრიანების მზადების პერიოდში. სამოქმედო გეგმაში მონაწილეობა არ არის ლიმიტირებული რაიმე პერიოდით და იგი არ იძლევა ნატოში გაწვევრიანების გარანტიას.

გაწვევრიანების სამოქმედო გეგმა 5 თავისაგან შედგება. ესენია:

- პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები;
- თავდაცვისა და სამხედრო სფერო;
- რესურსები;
- უსაფრთხოების საკითხები;
- სამართლებრივი საკითხები.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაწვევრიანების მსურველი ქვეყნისათვის აუცილებელია აღნიშნული მიმართულებებით ყოველწლიური ეროვნული პროგრამების შემუშავება, რომლებშიც განსაზღვრული იქნება მოსამზადებელი პერიოდის მიზნები და ამოცანები, ასევე მათი განხორციელების პრაქტიკული ეტაპები და პასუხისმგებლობები. გაწვევრიანების მსურველი ქვეყნის მიერ მიღწეულ პროგრესზე ალიანსი იმსჯელებს ამ პროგრამების შესრულების მიხედვით. ნატოში ამა თუ იმ დაინტერესებული ქვეყნის გაწვევრიანების ერთ-ერთ აუცილებელ კრიტერიუმად დასახელებულია კანდიდატი ქვეყნის მზადყოფნა თავისი რეალური წვლილი შეიტანოს ალიანსის თავდაცვით პოტენციალში, ასევე მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო ოპერაციებში და სხვა „ახალ მისიებში“.

თავდაპირველ ეტაპზე რიგი მიზეზების გამო საქართველოს სამხედრო ძალებს არ შეეძლოთ რადიკალური ნაბიჯები გადაედგათ სამხედრო სფეროში ნატოს სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. გასათვალისწინებელია, რომ მანამდე სამხედროები მომზადებას გადიოდნენ საბჭოთა მეთოდებით, რაც თანამედროვე სამყაროსთვის შეუსაბამო და მოძველებული აღმოჩნდა. ნატო-ს მოთხოვნების შესასრულებლად საჭირო იყო ქართველ სამხედროებს კოალიციის ჯარებთან „ერთ ენაზე ესაუბრა“. ამ მიზნით 2002 წლიდან კრწანისის საწვრთნელ ბაზაზე დაიწყო 1-ლი ბრიგადის შემადგენლობის გაწვრთნა. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა სხვადასხვა ქვედანაყოფების სწავლებას მათთვის შესაბამისი სპეციფიკით. თუმცა, ბაზაზე წვრთნა მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი იყო. ქართული საჯარისო ნაწილებისთვის შემდეგი ეტაპი კოსოვოს სამშვიდობო ძალებში (KFOR) მონაწილეობის მიღება გახლდათ.

2005 წელს დამტკიცდა საქართველოს უმთავრესი კონცეპტუალური დოკუმენტი – ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. იგი მოიცავს საქართველოს უსაფრთხო განვითარების გეგმას, ეროვნულ ინტერესებს, განსაზღვრავს საფრთხეებს და გამოწვევებს, რაც ქვეყნის წინაშე შეიძლება წარმოიშვას და ასევე უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს. დოკუმენტში ხაზგასმულია ქართველი ხალხის სურვილი ნატო-ს სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე დაყრდნობით შეიქმნა საქართველოს „სამხედრო სტრატეგიის დოკუმენტი“.

უსაფრთხოების კონცეფციიდან გამომდინარე, 2005 წელს შემუშავდა საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, რომელიც მოიცავს საფრთხეების სრულ

სპექტრს. ამჟამად მიმდინარეობს დოკუმენტის ყოველწლიური განახლების პროცესი.

საქართველოს მთავრობა დგამს შეუქცევად ნაბიჯებს ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე. რეფორმირების პროცესის წარმატებულად განხორციელების საფუძველზე ნატო-ს 26 ქვეყნის მიერ 2006 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს გაწევრიანების საკითხზე ინტენსიური დიალოგის დაწყების შესახებ, რომელიც სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებასაც ითვალისწინებდა.

2007 წლის განმავლობაში ID-ის ფარგლებში, პირველადი სადისკუსიო დოკუმენტის თავების მიხედვით გაიმართა სამი კონსულტაცია ნატო-საქართველოს შორის თავდაცვის, პოლიტიკურ და იურიდიულ საკითხებზე. კონსულტაციის ფარგლებში საქართველოს მხარემ დააფიქსირა მიღწეული პროგრესი და სამომავლო გეგმები რეფორმების თითოეული მიმართულების მიხედვით. ნატო-ს მხრიდან მოხდა სპეციფიური მოთხოვნების დაკონკრეტება და გარკვეული რჩევების და გამოცდილების გაზიარება. 2007 წლის განმავლობაში დაგეგმილ იქნა ნატო-ს საერთაშორისო სამსახურთან კონსულტაციების გამართვა რესურსების მართვის და უსაფრთხოების საკითხებზე, ასევე შეხვედრები ჩრდილოატლანტიკურ საბჭოსთან 26+1 ფორმატში.

2007 წლის 19-21 თებერვალს ნატო-ს შემფასებელთა ვიზიტის შედეგად მოხდა IPAP-ით და PARP-ით აღებული ვალდებულებების შესრულების მნიშვნელოვანი პროგრესის დაფიქსირება, რასაც საქართველომ მიაღწია რეფორმირების პროცესში. აღნიშნული პროგრესი ოფიციალურად დაფიქსირდა ნატო-ს 26 წევრი ქვეყნის მიერ ერთობლივად გამოცემულ IPAP-ისა და PARP-ის შეფასების დოკუმენტში.

ინტენსიური დიალოგის ფარგლებში გასატარებელი რეფორმების კოორდინაციის მიზნით თავდაცვის სამინისტროში 2007 წლის დასაწყისში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ახორციელებს IPAP-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიხედვით შედგენილ ყოველთვიური გეგმების შესრულებაზე კონტროლს. თავდაცვის სამინისტრო წარმატებული რეფორმებისა და IPAP-ისა და PARP-ის შესრულების უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს მინისტრის ხედვის დოკუმენტით, რომლის განახლებაც ყოველწლიურად ხორციელდება. მინისტრის ხედვა 2007 წელს განსაზღვრავს თავდაცვის პოლიტიკის 3 ძირითად პრიორიტეტს:

- საქართველოს შეიარაღებული ძალები და მისი შესაძლებლობები უნდა შეესაბამებოდეს მოსალოდნელ გამოწვევებსა და საფრთხეებს;
- ნატო-სთან თავსებადი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება;
- თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება.

თავდაცვის სისტემის რეფორმირების პროცესში ერთ-ერთი უმთავრეს მიღწევას წარმოადგენს თავდაცვის სისტემის სტრატეგიული მიმოხილვის (SDR) პროცესის დასრულება, რაზეც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 3 წლის განმავლობაში მუშაობდა. აღნიშნული პროცესი გულისხმობს ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების, არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების და არსებული რესურსების გათვალისწინებით ნატო-სთან თავსებადი, მობილური და ეფექტიანი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას.

თავდაცვის სისტემის სტრატეგიული მიმოხილვის I და II ფაზების ფარგლებში განხორციელდა პირადი შემადგენლობის სრული აღწერა, ასევე აღჭურვილობის და ინფრასტრუქტურის ინვენტარიზაციის პროცესი, პირადი შემადგენლობის და საბრძოლო შესაძლებლობების დეტალური ანალიზი. III – ბოლო ფაზის ფარგლებში ამჟამად მიმდინარეობს შეიარაღებული ძალების ძალთა სახეობების და ლოგისტიკური მომარაგების სტრუქტურის განვითარება 2007-2015 წლებისათვის, რომელიც ოპტიმალური იქნება ქვეყნის უსაფრთხ-

ოებისათვის. საქართველოს მხარე ნატო-ს მხარეს უკვე წარუდგინა საბოლოო დოკუმენტი, რის შემდეგაც ალიანსის რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდა დოკუმენტის დამტკიცება.

შეიარაღებულ ძალებზე ეფექტური დემოკრატიული სამოქალაქო კონტროლის დაწესება თავდაცვის რეფორმის ერთ-ერთ ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გარდაიქმნა სამოქალაქო უწყებად, მას ხელმძღვანელობს სამოქალაქო მინისტრი, ფუნქციები კი გამიჯნულია სამინისტროს და გენერალურ შტაბს შორის. თავდაცვის სისტემის ანგარიშვალდებულება გარანტირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ, მისი ძალაუფლებით განსაზღვროს სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკა, დაამტკიცოს თავდაცვის ბიუჯეტი, აკონტროლოს თავდაცვის ხარჯები, მიიღოს კანონები თავდაცვის სფეროში და აკონტროლოს ამ კანონების შესრულება.

პროგრამული ბიუჯეტის სისტემის დანერგვას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის. აღნიშნული სისტემის განვითარება დამთავრდება 2008 წლის განმავლობაში, რაც საშუალებას მისცემს თავდაცვის სამინისტროს განახორციელოს თავდაცვის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვა და ჰქონდეს პროგრამებზე დაფუძნებული ბიუჯეტი. 2008 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტი უკვე მეტად პროგნოზირებადი უნდა გახდეს, რაც პროგრამული ბიუჯეტირების სისტემის დანერგვასთან ერთად სამინისტროს საშუალებას მისცემს თავდაცვის ბიუჯეტის ხარჯვა გახადოს უფრო ეფექტური, პროგრამებზე ორიენტირებული და ტრანსფარენტული.

დიდი ყურადღება ეთმობა სამხედრო განათლების სისტემის დახვეწას. 2006 წელს სამხედრო აკადემიაში გაიხსნა რამდენიმე ახალი სასწავლო კურსი. 2008 წელს იგეგმება ახალი სასწავლო კურსების გახსნა. მიმდინარეობს სხვადასხვა სპეციალობის სასწავლო პროგრამების თარგმნა და ადაპტაცია ჯარების ყველა სახეობისათვის. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შეიარაღებულ ძალებში უცხო ენების სწავლების ხარისხი. აშშ-ს დახმარებით თანამედროვედ აღჭურვილი ენის სასწავლო კლასები გაიხსნა ბრიგადებში.

უკვე რამდენიმე წელია გერმანელთა დახმარებით ფუნქციონირებს სერჟანტთა სკოლა, სადაც ყოველ წელს ვითარდება ახალი სასწავლო პროგრამები. (აღსანიშნავია, რომ ქართული სამხედრო სტრუქტურისგან განსხვავებით ნატო-ს ჯარებში სერჟანტებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ და დიდი პასუხისმგებლობაც აკისრიათ. სერჟანტთა სკოლაში მათი როლის წინ წამოწევა ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია, რომელზეც ინტენსიურად მიმდინარებს მუშაობა). აღნიშნული სკოლის ბაზაზე დაგეგმილია სერჟანტთა აკადემიის ჩამოყალიბება, რათა გაუმჯობესდეს სერჟანტთა სწავლების ხარისხი და მსმენელთა რიცხვ-ოვნობა.

2006 წელს ფრანგი სპეციალისტების დახმარებით აშენდა საჩხერის სამთო სკოლა. იგი სრულყოფილად არის აღჭურვილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. უახლოეს მომავალში იგეგმება მისი გარდაქმნა პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის სასწავლო დაწესებულებად.

გასულ წლებში ნატო-ს მხარე სრულად ფარავდა ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობას სხვადასხვა სასწავლო და საწვრთნელ პროგრამებში. 2008 წლიდან საქართველო განახორციელებს აღნიშნულ დონის დივიზიონებში მონაწილეობის 50% დაფინანსებას.

აშშ-ს ხელშეწყობით კრწანისის საწვრთნელ ბაზაზე მიმდინარეობს სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციების პროგრამა (SSOP) და ითვალისწინებს საქართველოს სამხედრო დანაყოფების უმაღლეს დონეზე გაწვრთნასა და აღჭურვას. ხსენებული პროგრამის შედეგად უკვე გაიწვრთნა I, II და III ბრიგადები. ამ უკანასკნელის წვრთნა დასრულდა 2007 წლის 15 ივნისს. თუ აქამდე I და II ბრიგადის პირადი შემადგენლობა მონაწილეობას იღებდა ნატო-ს სამშვიდობო

მისიების განხორციელებაში კოსოვოსა და ერაყში და მწვანე ზონაში პატრულირებითა და საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე მოქმედებით შემოიფარგლებოდა, III ბრიგადას უკვე წითელ ზონაში მოუწევს ოპერირება. ანუ, ქართველ სამხედროებს პირველად მოუწევთ რეალური საბრძოლო ამოცანების შესრულება ნამდვილ საბრძოლო ვითარებაში.

პარალელურად მიმდინარეობს აღჭურვილობის მოდერნიზაციის პროცესი: მიმდინარეობს ძველი გამოუსადეგარი საბჭოთა შეიარაღების ჩამოწერა და განადგურება. 2006-2007 წლებში ჩამოწერილ იქნა 168 ერთეული ჯავშანტექნიკა და განადგურდა 31 ერთეული. მათ სანაცვლოდ კი განხორციელდა თანამედროვე, ნატო-სთან თავსებადი ტექნიკისა და აღჭურვილობის, მართვისა და კონტროლის, კავშირგაბმულობის სისტემების შესყიდვა და შეიარაღებულ ძალებში დანერგვა.

ხორციელდება საჰაერო ვითარების კონტროლის სისტემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება: საკომანდო პუნქტების, სარადარო/კავშირგაბმულობის სისტემების, რადარებისა და რადიო-ლოკაციური დანადგარების მოდერნიზაცია. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ნატო-ს საჰაერო ვითარების მონაცემთა გაცვლის სისტემაში (ASDE) ჩართვა.

გარდა ჯავშანტექნიკის ჩამოწერა-განადგურებისა, ნატო-ს მატერიალურ-ტექნიკური სააგენტოსა (NAMSA) და ეუთო-სთან ერთობლივი ძალისხმევით მიმდინარეობს სხვადასხვა საუტილიზაციო პროექტები ძველი და გამოუსადეგარი ტურვების, რაკეტების და ფეთქებადი ნივთიერებების გასანადგურებლად.

ზემოხსენებულთან ერთად აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ინტენსიური მოდერნიზაციის პროცესისა, საქართველო კვლავაც რჩება რეგიონში ყველაზე მცირე რიცხოვნობის, თუმცა ეფექტური შეიარაღებული ძალის მქონე ქვეყანად. საქართველოს შეიარაღებული ძალების და მისი კუთვნილი მძიმე შეიარაღების რიცხოვნობა მნიშვნელოვნად ნაკლებია ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულებებით დადგენილ ლიმიტებზე.

როგორც გასულ წლებში, ასევე უახლოეს მომავალში თავდაცვის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდება სამხედრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზირებას და სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

2006 წელს სენაკში აშენდა დასავლური სტანდარტების სამხედრო ბაზა ბრიგადის დონის ქვედანაყოფისათვის. ქალაქ გორში დამთავრდა თანამედროვე სამხედრო ბაზისა და სამხედრო ჰოსპიტალის მშენებლობა, რომელიც გათვლილია 180 პაციენტზე. პარალელურად მიმდინარეობს სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები (ბარაკები, სასადილოები, ანგარები, საწყობები) სხვადასხვა ინფრასტრუქტურის ობიექტებზე.

აღსანიშნავია სამხედრო პერსონალის სოციალური პირობების მკვეთრი გაუმჯობესება, რაც გამოიხატება ხელფასების ზრდაში და სამუშაო და საცხოვრებელი პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებაში. ხელფასების სისტემა გამარტივდა და უფრო სამართლიანი გახდა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ოფიცრებისა და მათი ოჯახებისათვის სახლების მშენებლობა, რაც მიმდინარეობს საქართველოს თითქმის ყველა ნაწილში.

საქართველო განაგრძობს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობას, რითიც დიდი წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ერაყში საქართველოს კონტიგენტის გაზრდა 2000 კაცამდე. 2007 წელს ერაყში გაემგზავრა ბრიგადა, რომელიც განთავსდა ქალაქ ალკუტაში, ერაყისა და ირანის საზღვარზე.

საქართველო მონაწილეობას იღებდა ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში 2004 წელს, პირველი დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარების მიზნით. საქართველო კვლავ გეგმავს სამხედრო კონტიგენტის ავღანეთში გაგზავნას. ქართული მხარე აწარმოებს ინტენსიურ მოლაპარაკებებს

ნატო-ს წევრ ქვეყნებთან ქართული სამხედრო კონტიგენტის ავღანეთის ოპერაციებში მონაწილეობის მოდალობების განსასაზღვრად.

ნატო-ში გაერთიანების მნიშვნელოვანი წინაპირობაა კანდიდატი ქვეყნის მზადყოფნა თავისი რეალური წვლილი შეიტანოს ალიანსის სამხედრო თავდაცვით პოტენციალში, ასევე მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო ოპერაციებსა და სხვა მისიებში. ჩამოთვლილი პროგრამები საქართველოს მიერ ამ ამოცანების ეფექტური შესრულების თვალსაჩინო ნიმუშია.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, საქართველო აქტიურადაა ჩართული ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციებში და ატარებს ყველა შესაბამის ღონისძიებას სამხედრო სტრუქტურის გასაძლიერებლად. ეს შეუძლებელი იქნება ეკონომიკური მხარდაჭერის გარეშე, რადგან თანამედროვე სახელმწიფოს სამხედრო ძლიერება მთლიანად ეკონომიკურ ძლიერებას ეფუძნება. ამიტომაც, სამხედრო ბიუჯეტში შეტანილია ისეთი ცვლილებები, რომლებიც ფინანსურად უზრუნველყოფენ ქვეყნის შეიარაღებული ძალების პრიორიტეტებს. აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი არ ხდება სახელმწიფოს საქმიანობის სხვადასხვა სფეროს ინტერესთა შელახვის ხარჯზე, რადგან ნატო-ში ინტეგრაციის პირობები ითვალისწინებს ქვეყნის განვითარებას არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამეცნიერო და ა.შ. კუთხით.

აღსანიშნავია ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტის სწრაფი ზრდა. მაგალითად, თუ 2007 წლის სამხედრო ბიუჯეტი განისაზღვრა 513.270.000 ლარით, რამდენიმე თვის შემდეგ პარლამენტმა დაამტკიცა ბიუჯეტში ცვლილებები და თავდაცვას კიდევ 442.100.000 ლარი დაემატა. ხოლო მას შემდეგ, რაც 2007 წლის სექტემბრის დასაწყისში მთავრობამ განაცხადა ბიუჯეტში ახალი ცვლილებების შესახებ, ქვეყნის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 450 მილიონი ლარით გაზრდის შედეგად, ყველაზე მნიშვნელოვანი თანხა, 320 მილიონი ლარი თავდაცვას გამოეყო.

რა თქმა უნდა, ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას მოჰყვება ქვეყნის მიერ ალიანსის წინაშე პასუხისმგებლობის ზრდაც და ქართული საჯარისო კონტიგენტის საბრძოლო ოპერაციებში შესაძლო ჩართვაც. თუ მოხდა ისე, რომ ნატოს წევრი ქვეყანა აღმოჩნდა შეიარაღებული თავდასხმის ერთ-ერთი მხარე, მაშინ საქართველო, როგორც ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანა, ვალდებული იქნება საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს პარტნიორს. არსებობს მეორე ვარიანტიც, ისევე და ისევე ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული ნატო-ს სამხედრო ბაზის განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გავრცელდა ხმები იმასთან დაკავშირებით, რომ ამერიკა კავკასიაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებას გეგმავს. ამის შესახებ 2007 წლის დასაწყისში ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სააგენტოს ხელმძღვანელმა გენერალ-ლეიტენანტმა ჰენრი ობერინგმა ბრიუსელში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა. აღსანიშნავია, რომ საუბარია არა ნატო-ს, არამედ უშუალოდ აშშ-ის სამხედრო ობიექტზე. ამასთან დაკავშირებით მოსკოვში უკვე გამოთქვეს ვარაუდი, რომ რადარებს საქართველოში ან აზერბაიჯანში დაამონტაჟებენ. აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე ამის განხორციელება გამორიცხა, ხოლო ოფიციალური თბილისი აცხადებს, რომ მზადაა განიხილოს საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი ობიექტის განთავსების შესაძლებლობა, თუკი ვაშინგტონიდან მსგავსი შემოთავაზება იქნება.

ამ ცნობას უკვე მოჰყვა მოსკოვის მკვეთრი რეაქცია. ექსპერტთა დიდი უმრავლესობა რამდენიმე ფაქტორის შეჯერების შემდეგ იმ დასკვნამდე მიდის, რომ აშშ-ის თავისი სტრატეგიული სარაღარო სისტემის განლაგების ადგილად სწორედ საქართველო ჰყავს შერჩეული. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანში დღესაც მოქმედებს ანალოგიური რუსული სამხედრო ობიექტი-გაბაღის რადიო-

ლოკაციური სადგური. ამდენად, ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე ერთდროულად ამერიკული და რუსული სამხედრო ობიექტების არსებობა ნაკლებად სავარაუდოა.

ქართველი ექსპერტები ამერიკული რადარის საქართველოში განთავსებას მეტად სასარგებლოდ მიიჩნევენ. მათი აზრით, უპირველეს ყოვლისა ეს გაზრდის საქართველოს პოლიტიკურ წონას რეგიონში და საკმაოდ აამაღლებს ქვეყნის უსაფრთხოების ხარისხს.

ამავე დროს 2007 წლის მარტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გენერალ-მა ობერინგმა ისიც დასძინა, რომ ჯერჯერობით მხოლოდ პროექტი არსებობს და კავკასიის სახელმწიფოებთან შესაბამისი მოლაპარაკების პროცესი არ დაწყებულია. მოლაპარაკებათა წარმატების შემთხვევაში გენერალი ვარაუდობს, რომ სარადარო კომპლექსის მშენებლობა 2008 წელს დაიწყება.

გარდა ამისა, ის უსართხოების სისტემა, რომლის განთავსებასაც კავკასიაშიც აპირებენ, ირანიდან გამოშვებული რაკეტების დასაფიქსერებლად იქნება განკუთვნილი, რომელთა შესახებ ინფორმაცია ჩეხეთის ტერიტორიაზე განთავსებულ სადგურს გადაეცემა.

ჰენრი ობერინგმა დააკონკრეტა, რომ კავკასიაში განთავსებული სადგური რუსეთისათვის რაიმე საფრთხის შემცველი არ იქნება. მისი თქმით, ის ირანისაკენ იქნება მიმართული. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ ჩრდილოეთისაკენ მიმართავენ, სადგურს უბრალოდ არ ეყოფა რესურსი, რომ რუსეთის საჰაერო სივრცეში თვითმფრინავების გადაადგილება ან მიწისქვეშა მდარობებიდან რაკეტების გაშვება დააფიქსიროს.

საერთოდ როგორც ვიცით ამერიკა ევროპაში სამი რაკეტსაწინააღმდეგო სადგურის აგებას გეგმავს. ორი მათგანი ჩეხეთსა და პოლონეთში განთავსდება. მათი მშენებლობა სავარაუდოდ, 2008 წლიდან უნდა დაიწყოს. მთლიანობაში ამ პროექტებზე 2-2,5 მლრდ დოლარი დაიხარჯება.

თავის მხრივ ამ საკითხებთან დაკავშირებით რუსეთის სამთავრობო და სამხედრო სტრუქტურებში შეშფოთებას გამოთქვამენ. რუსეთის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კონცეფციის ავტორის ანატოლი კორნუკოვის განცხადებით, ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ როგორი ამერიკული სადგური აშენდება კავკასიაში-წრიული დაკვირვების, 360-გრადუსიანი თუ სექტორული. მოსკოვში უფრო წრიული დაკვირვების სადგურის აშენებას ვარაუდობენ. კორნუკოვის განცხადებით, ნებისმიერ შემთხვევაში რადარს რუსეთის სამხრეთ რეგიონების დაზვერვა შეეძლება და ამაზე ფიქრი რუს სამხედროებს მოსვენებას არ აძლევს.

საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებში რადარების მშენებლობასთან დაკავშირებით თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს

“ვაშინგტონს თბილისისათვის ჯერჯერობით არ მოუმართავს თხოვნით საქართველოში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განთავსებასთან დაკავშირებით,”-ეს განცხადება 2007 წლის 2 მარტს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა გააკეთა (88).

ამავე დროს, პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, ნიკა რურუამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ შეერთებულ შტატებს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის საქართველოში განთავსების სურვილი გაუჩნდება, საქართველოს ხელისუფლება ამ წინადადებას განიხილავს.

მართალია როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე კონკრეტული წინადადება აშშ-ის მხრიდან, მაგრამ რა თქმა უნდა, ამ ტიპის სამხედრო კომპლექსის საქართველოში განთავსება იქნება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ქვეყნის სტაბილურობისა და უსაფრთხოების კუთხით. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაიზდება რეგიონში საქართველოს გავლენაც.

ნატო-საქართველოს შორის სამხედრო თანამშრომლობის კუთხით ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სავარაუდოდ 2008 წლისათვის საქართველო შეუერთდება ნატოს საჰაერო სიტუაციების მონაცემთა გაცვლის სისტემას (ASDE). ნატოს სარადარო სისტემებთან საქართველოს შესაძლო ინტეგრაციის პროცესმა განსაკუთრებით აქტუალობა შეიძინა მას შემდეგ, როდესაც 2007 წლის 6 აგვისტოს საქართველოს საჰაერო სივრცე კიდევ ერთხელ დაირღვა რუსეთის მიერ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის, ბათუ ქუთელიას განცხადებით “წითელუბნის ინციდენტმა კიდევ უფრო დააჩქარა მოლაპარაკებათა პროცესი ნატოს შტაბ-ბინაში იმასთან დაკავშირებით, რომ რაც შეიძლება მალე საქართველო გახდეს ნატოს სარადარო სისტემის შემადგენელი ნაწილი. (89)”

ამ საკითხზე მოლაპარაკებათა პროცესის დასრულების შემდეგ, დამონტაჟებული იქნება სპეციალური მოწყობილობები და სისტემები საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ისინი სპეციალურ ტესტირებას გაივლიან. ქუთელიას თქმით, “საქართველოს რადარების ინტეგრაცია ნატოს სისტემებთან, შესაძლებლობას მისცემს აღიანსს მიეწოდოს დროული ინფორმაცია საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის შესახებ. ხოლო ინფორმაციის შემდგომი დამუშავება ნატოს შტაბ-ბინაში ცენტრალურ საკომანდო პუნქტში განხორციელდება”.

საქართველო ASDE-ს სისტემას თურქეთის რესპუბლიკის მეშვეობით შეუერთდება. ამასთან დაკავშირებით მზადდება ურთიერთგაგების მემორანდუმი.

ASDE-ს სისტემის განვითარება განხორციელდა როგორც თანამშრომლობის მოდელი NC3A(NATO Consultation, Command and Control Agency) and NPC (NATO Programming Center).

2003 წელს ნატომ თანხმობა განაცხადა მუშაობის დაწყებაზე სარადარო ინფორმაციის ურთიერთგაცვლასთან დაკავშირებით საქართველოსთან, ფინეთთან, მაკედონიასა და უკრაინასთან.

რაც შეეხება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულ საქართველოს თავდაცვის სტრატეგიულ მიმოხილვას, ამ დოკუმენტშიც აღნიშნულია, რომ დოკუმენტი “ამტკიცებს საქართველოს სურვილს, გააგრძელოს თავდაცვის რეფორმები NATO-სთან ფუნქციონალური თავსებადობის მისაღწევად”(90). ასევე, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა განსაზღვრავს სამხედრო და სხვა ძალების მნიშვნელობას, ქვეყნის უსაფრთხოებისათვის საჭირო პირობებს და ნატო-ს ვეგით ჩატარებულ მრავალეროვან ოპერაციებში მონაწილეობისათვის შესაბამისი შესაძლებლობების გამომუშავებას.

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ მეორე ძირითად დოკუმენტს-“თავდაცვის მინისტრის ხედვას”, აქაც აღნიშნულია, რომ მინისტრის ხედვა განსაზღვრავს შემდეგ პრიორიტეტებს:

- ნატოსთან თავსებადი მართვის სტრუქტურების შექმნა: დაგეგმვის, პროგრამირების და ბიუჯეტირების სისტემის (PPBS) დანერგვა და შედეგად, პროგრამებზე დაყრდნობით გამჭვირვალე ბიუჯეტის შემუშავება.
- ნატოსთან თავსებადობის გაუმჯობესება ერთობლივი სწავლებებისა და წვრთნების საშუალებით;
- საჰაერო სივრცის კონტროლის გაუმჯობესება ნატოსთან (ASDE-AIR Situation Data Exchange-საჰაერო სიტუაციის მონაცემთა გაცვლა);
- ნატოსთან ლოჯისტიკური თავსებადობის გაუმჯობესება და “მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის” შესაძლებლობის განვითარება;

- პირველადი განსახილველი დოკუმენტისა (IDP) და პარტნიორობის მიზნების ვალდებულებების შესრულება (90).

რაც შეეხება საქართველოს “ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას”, აქაც უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ნატოსთან თანამშრომლობის გაძლიერებას. კერძოდ, დოკუმენტის ძირითად პუნქტში საქართველოს თავდაცვის ზოგადი პრინციპები აღნიშნულია:

“საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის პირდაპირი აგრესიისაგან დაცვაზე და ნატოსთან თავსებადობის მიღწევაზე”.

სტრატეგიის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, “რომ დოკუმენტი განსაზღვრავს თავდაცვის შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად საჭირო ნაბიჯებს, რაც შესაბამისი გამჭვირვალობითა და ანგარიშგებით წარიმართება და აუცილებელია ნატო-ში ინტეგრაციისათვის.”

ასევე დოკუმენტის პუნქტში, “საქართველოს შეიარაღებული ძალების ძირითადი მიმართულებები” აღნიშნულია, რომ “ქვეყნის ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტული მიზანია ნატოში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობა, რაც კოლექტიური თავდაცვის მექანიზმის საშუალებით საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მოწინააღმდეგის შეკავების აუცილებლობით აიხსნება. მთავარი ამოცანაა მაღალი შესაძლებლობების მქონე ნატოსთან თავსებადი შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება, რომლებიც შეძლებენ ნატოს ნებისმიერ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობის მიღებას”(91).

ინტენსიური დიალოგის პროცესი

როგორც წიგნის წინა ნაწილში იყო აღნიშნული, 2006 წლის 21 სექტემბერს ნიუ-იორკში, ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, ალიანსის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოსთან გაწევრიანების საკითხებზე ინტენსიფიცირებული დიალოგის (Intensified Dialogue on Membership Issues) დაწყების შესახებ.

ჩვენს ქვეყანასთან ინტენსიფიცირებული დიალოგის დაწყება არის პირველი ნაბიჯი, რომელიც გადადგმულ იქნა პარტნიორობის ფორმატიდან წევრობის კანდიდატის ფორმატზე გადასასვლელად. ინტენსიფიცირებული დიალოგი გახლავთ უმნიშვნელოვანესი ეტაპი ალიანსისა და საქართველოს შორის ურთიერთობაში, რომელიც მიზნად ისახავს მოამზადოს საფუძველი საქართველოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) ფაზაზე გადასასვლელად.

ზემოაღნიშნული პროცესის ფარგლებში საქართველო იღებს ვალდებულებას გააგრძელოს რეფორმები უსაფრთხოების, სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ადმინისტრაციულ სფეროებში და ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებამ სისტემატურად უნდა მიაწოდოს შესაბამისი დოკუმენტები ნატოს აღნიშნული რეფორმების მიმდინარეობის შედეგების შესახებ. თავის მხრივ, ქვეყანა მზადყოფნას გამოთქვამს გაითვალისწინოს ალიანსის მხრიდან სხვადასხვა სახის შენიშვნები და რეკომენდაციები რეფორმათა განხორციელების პროცესის წარმატებით დასრულების მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიღწეული პროგრესის თავსებადობა ნატოს კრიტერიუმებთან.

დღევანდელ ეტაპზე ინტენსიფიცირებულ დიალოგს ნატოსთან, საქართველოსთან ერთად ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორი უკრაინაც აწარმოებს.

რატომ გადის საქართველო ინტენსიფიცირებულ დიალოგს?

ნატოსთან ინტენსიფიცირებული დიალოგის ფორმატში თანამშრომლობის დაწყება ცალსახად მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის პროცესი წარმატებით ვითარდება და სწორედ ამ მიზეზის გამო იქნა ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ გადაწყვეტილება ორ მხარეს შორის თანამშრომლობის ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე გადატანის შესახებ. როგორც აღნიშნეთ, ეს პროცესი მოიცავს პოლიტიკურ, სამხედრო, ფინანსურ, და უსაფრთხოების საკითხებს. ინტენსიფიცირებული დიალოგის ფორმატში საქართველოს მიერ სხვადასხვა სამოქალაქო თუ სამხედრო სფეროებში რეფორმების პროცესის წარმატებით განვითარება ინტეგრაციის პროცესის შემდეგ ეტაპზე გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე გადასვლას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, რის შემდეგაც მეტად ხელსაყრელი პირობები შეიქმნება საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე.

რატომ არ იქნა მიღებული გაწევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP)?

ზოგიერთი ექსპერტი კრიტიკულად აფასებს საქართველოს ინტენსიფიცირებულ დიალოგზე გადასვლას იმ მოტივით, რომ შესაძლებელი იყო პირდაპირ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე გადასვლა. მაგრამ აქვე ამ სკეპტიკოსთა მოსაზრებების საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ფორმატზე გადასვლა ინტენსიფიცირებული დიალოგის (ID) ფაზის გაუვლელად.

ნატომ გაფართოების საკითხებზე კვლევის ჩატარებისას განსაზღვრა გარკვეული კრიტერიუმები, რომლის დაკმაყოფილებაც აუცილებელია ალიანსში გაწევრიანების მსურველი ქვეყნებისთვის. ამ მიზნით ნატოს დადგენილი აქვს განსაზღვრული მოსამზადებელი ეტაპები, რომელთა ეტაპობრივი გავლაც აუცილებელია. სწორედ ასეთ ეტაპებს წარმოადგენენ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, ინტენსიფიცირებული დიალოგი და გაწევრიანების სამოქმედო გეგმა. ნატოში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის წარმატება დღევანდელ ეტაპზე ასახულია ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) წარმატებით შესრულებაში, რის შედეგადაც შეიქმნა საფუძველი ქვეყნის ინტენსიფიცირებული დიალოგის პროცესზე გადასვლისათვის. ნატოს მოთხოვნების შესაბამისად გაწევრიანების სამოქმედო გეგმის ფაზაზე გადასვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გაწევრიანების მსურველი ქვეყანა წარმატებით დაძლევს ინტენსიფიცირებული დიალოგის ფორმატს. გაწევრიანების სამოქმედო გეგმა ალიანსის მიერ აღიქმება, როგორც პრეტენდენტ ქვეყანასთან გაწევრიანებამდე თანამშრომლობის ბოლო ეტაპი, ამიტომაც აუცილებლობას წარმოადგენს ინტენსიფიცირებული დიალოგის ფორმატში მუშაობის პროცესში ნატომ და გაწევრიანების მსურველმა ქვეყანამ შეათანხმონ ყველა ის საკითხი, რომელზეც ასპირანტ სახელმწიფოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდგომ მოუხდება მუშაობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, ინტენსიფიცირებული დიალოგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანესი მოსამზადებელ ეტაპს გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე გადასვლისა და ალიანსის სრულყოფილი წევრობის სტატუსის მოპოვების მიმართულებით.

გაუკლილი აქვს თუ არა ყველა ახალ წევრს ინტენსიფიცირებული დიალოგის ეტაპი?

ინტენსიფიცირებული დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე თავდაპირველად გაიარეს პოლონეთმა, უნგრეთმა და ჩეხეთმა, ეს მოხდა 1997 წელს. მოგვიანებით, ყველა სხვა პრეტენდენტმა ქვეყნებმა რომლებიც ალიანსში 2004 წელს გაწევრიანდნენ, ასევე გაიარეს ეს პროცესი.

რა თქმა უნდა ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს საკითხი, თუ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ინტენსიფიცირებული დიალოგი? ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ნატოს მიდგომების შესაბამისად ინტენსიფიცირებული დიალოგის პროცესი და ხანგრძლივობა ყველა ქვეყნისთვის ინდივიდუალურია და დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის წარმატებაზე ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის მიღწევის მიმართულებით. აქ შეგვიძლია მოვიყვანოთ ნატოს ახალი წევრების მაგალითი. თუ სლოვენია და სლოვაკეთი 1996 წლიდან 1999 იყვნენ ინტენსიფიცირებული დიალოგის ფაზაში, ხოლო მათი საბოლოო გაწევრიანება როგორც იცით მოხდა ამ ეტაპის დასრულებიდან ხუთი წლის შემდეგ, ერთ წელიწადზე ნაკლები გრძელდებოდა ინტენსიფიცირებული დიალოგი პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხეთის და ხორვატიის (რომელიც დღეს გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზეა გადასული) შემთხვევაში. თუ განვიხილავთ იმ ფაქტს, რომ ინტენსიფიცირებული დიალოგი გახლავთ გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე გადასვლის მოსამზადებელ ეტაპს, ნათელი გახდება რომ მისი ხანგრძლივობა დაკავშირებულია ქვეყნის მიერ პოლიტიკურ, სამხედრო, უსაფრთხოების, ეკონომიკურ და სხვა სფეროებში განხორციელებული რეფორმების დონესთან, რათა დადგენილ იქნეს, რამდენად აკმაყოფილებს ქვეყანა გაწევრიანების სამოქმედო გეგმის მოთხოვნებს.

როგორ იმოქმედებს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე საქართველო-ნატოს ურთიერთობის ინტენსიფიცირებული დიალოგის ეტაპზე გადასვლა?

ინტენსიფიცირებული დიალოგის ეტაპზე გადასვლა, ნატოს რიგის სამიტზე თუ ნატოს 2007 წლის დეკემბერში გამართულ მინისტრიალზე საქართველოს მისამართით გაკეთებული განცხადებები დასტურია იმისა რომ, დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები მხარს უჭერენ საქართველოს მიერ სხვადასხვა სფეროში გატარებულ რეფორმებს. ნატო მთლიანობაში და მისი წევრი სახელმწიფოები აღიარებენ საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს და ადასტურებენ თავიანთ მზადყოფნას ხელი შეუწყონ ძლიერი, დემოკრატიულ ღირებულებებზე აგებული საქართველოს მშენებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის პოლიტიკური წრეები გაღიზიანებით ადევნებენ თვალს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესს და ზოგადად ნატოს გაფართოებას, ნატოს ბოლო გაფართოებაში მონაწილე ქვეყნების მიერ განვლილმა გზამ გვიჩვენა, რომ ნატოში გაწევრიანების შემდგომ რუსეთი უფრო კონსტრუქციული ხდება ახლადგაწევრიანებულ ქვეყნებთან ორმხრივ ურთიერთობებში. შესაბამისად, წევრის სტატუსის მინიჭების შემდეგ რუსეთი ძალზედ თავშეკავებულ პოლიტიკას ახორციელებს აღნიშნული ქვეყნის მიმართ, რისი მიზეზიც ალბათ გახლავთ ის ფაქტი, რომ მოსკოვი გარკვეულწილად იძულებულია შეეგუოს ახალ რეალობას. თუმცა ალბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მდებარე საქართველოსა და უკრაინის ნატოში მისწრაფებებს რუსეთი განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამს და აქედან გამომდინარე საქართველოს რუსეთის მხრიდან წინააღმდეგობების ფონზე მაქსიმალური ძალისხმევა დასჭირდება რომ ნატოსკენ მიმავალი გზა ნაკლებად მტკივნეული აღმოჩნდეს.

რუსეთმა უნდა გააცნობიეროს ის რომ, საქართველო სუვერენული სახელმწიფოა და მისი ევრო-ატლანტიკური სივრცისკენ მისწრაფება მყარი და შეუქცევადი პროცესია. ხოლო საქართველოს ნატოში გაწევრიანება და ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება არანაირად არ ეწინააღმდეგება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ინტერესებს და პირიქით, ჩვენი ქვეყნის გაძლიერება მხოლოდ ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის ჭეშმარიტად კეთილმეზობლური და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული თანამშრომლობის გაღრმავებას.

საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერა ნატოში ინტეგრაციის გზაზე

საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის მოსახლეობის მხარდაჭერის გარეშე. დღევანდელ დღეს ნათელია, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ემხრობა ქვეყნის ნატოში გაწევრიანებას, რაზედაც მოწმობს როგორც უკანასკნელი გამოკითხვის, ასევე 2008 წლის 5 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების პარალელურად აღიანსში გაწევრიანების თაობაზე პლემბისციტის ჩატარების დროს მიღებული შედეგები.

რაც შეეხება გამოკითხვას, იგი საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის საელჩოსა და ევროპულ და მარკეტინგის კომპანიის – “Baltic Survey” და “Gallup Organization”-ის მიერ ჩატარდა. აღნიშნული ღონისძიება 2006 წლის ბოლოს იქნა ორგანიზებული, რომლის დროსაც საქართველოს ნატოში ინტეგრაციისა და უსაფრთხოების საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის კვლევა განხორციელდა. გამოიკისა საქართველოს 1400 მოქალაქე.

გამოკითხვის ძირითადი შედეგები

- რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში (რომელიც როგორც ვიცით დაახლოებით წელიწადნახევრის შემდეგ ჩატარდა) საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარს დაუჭერდა – 83%, მხარს არ დაუჭერდა – 12%;
- საქართველოს მოქალაქეთა აზრით, მთავარი მოტივაცია, რის გამოც ისინი ემხრობიან საქართველოს ნატოში ინტეგრაციის იდეას, უკავშირდება ქვეყნის უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობისა და ეკონომიკის განვითარების საკითხებს;
- 2006 წელს 45%-ს მიაჩნდა, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანებისათვის მზად იყო, ან იქნებოდა 2-3 წლის განმავლობაში;
- რაც შეეხება ნატოში ინტეგრაციის ძირითად შემაფერებელ ფაქტორს, აქ როგორც მოსალოდნელი იყო დასახელებულ იქნა – რუსეთის აგრესია, ქვეყნის შიგნით არასტაბილური სიტუაცია, ტერიტორიული მთლიანობის საკითხები;
- კითხვაზე, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ნატოში საქართველოს გაწევრიანების მთავარი პოზიტიურ შედეგი, დასახელებულ იქნა: ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია, ინვესტიციების მოზიდვა, დემოკრატიის განვითარება;
- მოქალაქეთა მტკიცებით, ნატოს შესახებ ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენდა ქართული ტელეარხები და გაზეთები. მნიშვნელოვანია ამ მხრივ აღინიშნოს ეთნიკური უმცირესობების აზრიც. კერძოდ, ჯავახეთში მცხოვრები სომეხი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ნატოს შესახებ ინფორმაციას ძირითადად რუსული ტელეარხების მეშვეობით იღებდნენ;
- გამოკითხულთა 86%-მა გამოხატა დაინტერესება მიეღო დამატებითი ინფორმაცია ნატოს, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესების შესახებ (93).

საქართველოს ნატოში გაწევრიანების გზაზე რა თქმა უნდა უდიდესი როლი ითამაშა 2008 წლის 5 იანვარს ჩატარებულმა პლემბისციტმა. კითხვაზე, “გსურთ თუ არა, რომ საქართველო გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (ნატო) სრულუფლებიანი წევრი”, პლემბისციტში მონაწილეთა 77,5%-მა დადებითი პასუხი გასცა ამ შეკითხვას.

პლემბისციტის შედეგებმა ნათელი გახადა, რომ საქართველოში ნატოში გაწევრიანება წარმოადგენს არა მხოლოდ ხელისუფლების მიზანს, არამედ ეს გახლავთ ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მისწრაფებაც.

საფრთხეები საქართველოსთვის ნატოში ინტეგრაციის გზაზე

ჩვენი ქვეყნის ალიანსში გაწევრიანების დადებით ასპექტებზე მსჯელობის პარალელურად, აუცილებელია ასევე ვისაუბროთ იმ ძირითად საფრთხეებსა და ხელისშემშლელ ფაქტორებზე, რომლებმაც შესაძლოა გარკვეული დროით შეაფერხონ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი, ამიტომაც მკითხველისთვის ალბათ უინტერესო არ იქნება, თუ ჩვენ დაწვრილებით გავაანალიზებთ მთავარ ძირითად საფრთხეებს და ასევე წარმოვადგენთ იმ ძირითად რჩევებსა თუ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებითაც ქვეყანას შეეძლება შედარებით უმტკივნეულოდ დაძლიოს ყველა ის პრობლემა, რომელიც ნატოში გაწევრიანების გზაზე არსებობს.

საქართველო დღეს თავისი განვითარების მნიშვნელოვან ეტაპზეა გადასული. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან მოყოლებული ქვეყანას უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია, როგორც ქვეყნის შიგნით, აგრეთვე მის გარეთ. სამწუხაროა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ ვერ შეძლო გამკლავებოდა იმ სირთულეებს, რაც სუვერენული რესპუბლიკის მშენებლობის გზაზე შეიქმნა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ 2003 წლის ნომბერში მომხდარი “ვარდების რევოლუციის” შემდეგ საქართველო აშკარა წინსვლის გზას დაადგა. მართალია, ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ მთავარია, რომ კურსი აღებულია და სამოქმედო გეგმაც შემუშავებული. თუმცა, სხვადასხვა სფეროში ჩატარებული მნიშვნელოვანი რეფორმების წარმატებით განხორციელების მიუხედავად, დღევანდელ დღეს საქართველო უამრავი საფრთხის წინაშე დგას, რომელთა წინააღმდეგ ქვეყანას გამკლავება დამოუკიდებლად გაუჭირდება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში გარედან ინსპირირებულმა და მხარდაჭერილმა აგრესიულმა სეპარატისტულმა მოძრაობებმა შეიარაღებული კონფლიქტები გამოიწვია, რასაც როგორც ცნობილია სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების ნაწილის საქართველოდან დე ფაქტო გამოყოფა და ამ ტერიტორიებზე საქართველოს ხელისუფლების კონტროლის დაკარგვა მოჰყვა. ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა წარმოადგენს რიგი პრობლემების მთავარ წყაროს, რომლებიც ძირს უთხრიან ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობას: საქართველოს სამასი ათასამდე მოქალაქე იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილები, ხოლო სახელმწიფო საზღვრები გაუკონტროლებელი დარჩა. უკონტროლო ტერიტორიებზე იმყოფებიან უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, ასევე უკონტროლო ტერიტორიები ქმნიან ხელსაყრელ გარემოს ტერორისტული ჯგუფების საქმიანობისათვის და წარმოადგენენ ნაყოფიერ ნიადაგს კონტრაბანდისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებისათვის. სეპარატისტული რეჟიმები სისტემატურად არღვევენ ადამიანის უფლებებს მათ

მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. დარღვეულმა ტერიტორიულმა მთლიანობამ, თუკი არ მოხერხდა მისი დროული და ეფექტური მოგვარება, შეიძლება საფრთხე შეუქმნას საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესს.

მეზობელი ქვეყნებიდან საქართველოში კონფლიქტების გადმოტანა წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარ სერიოზულ საფრთხეს, რასაც შესაძლოა ქვეყნის დესტაბილიზაცია მოჰყვეს. ამ კონფლიქტებმა შესაძლოა გამოიწვიოს პროვოკაციები რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რისი მომსწრენიც არაერთხელ გავხდით პანკისის ხეობასთან დაკავშირებით. მეზობელ ქვეყნებში არსებულმა კონფლიქტებმა შეიძლება განაპირობოს საქართველოს ტერიტორიაზე ლტოლვილთა მასობრივი შემოდინება და შექმნას ხელსაყრელი პირობები ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი მოქმედებებისა და კონტრაბანდისათვის.

კონტროლის არარსებობა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე აძლიერებს ამ საფრთხეს და ქმნის დამატებით ხელისშემშლელ ფაქტორებს აღნიშნულ პრობლემასთან ეფექტურად გამკლავებისათვის. ასევე, უნდა ხაზი გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტების მოუგვარებლობამ და გახანგრძლივებამ, პირველ რიგში რუსეთში, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ კავკასიაში სტაბილურობის დარღვევამ (ჩეჩნეთში ომის ფაქტობრივად დასრულების მიუხედავად), შესაძლოა საქართველოს კონფრონტაციაში ჩათრევა გამოიწვიოს. ამასთან, რუსეთის ფედერაციის ე.წ. “სამშვიდობო ძალების” კონფლიქტურ რეგიონებში საქმიანობა დაძაბულობის სერიოზულ წყაროს ქმნის და, გარკვეულ შემთხვევებში, ქვეყნის სტაბილურობისათვის მნიშვნელოვან რისკს-ფაქტორს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს წინააღმდეგ ღია სამხედრო აგრესიის შესაძლებლობა მცირეა, ამავე დროს რეალურია ტრანსსასაზღვრო თავდასხმები სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორების მხრიდან. ამ კონტექსტში უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველო არაერთხელ დამდგარა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის წინაშე, რაც გამოიხატა საქართველოს საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო სივრცის სისტემატურ დარღვევასა და ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო თავდასხმის განხორციელებაში. მაგალითისათვის გამოდგება 2007 წლის 11 მარტის დაბომბვა ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე და 2007 წლის 6 აგვისტოს წითელუბნის ინციდენტი.

საქართველოს ხელისუფლების მიერ უკონტროლო ტერიტორიებზე და მათი საზღვრების ახლოს არალეგალური სამხედრო ფორმირებების არსებობა ასევე მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოში შეიარაღებული კონფლიქტის განახლებისა და ქვეყნის შიგნით სიტუაციის დესტაბილიზაციის შესაძლებლობას. ამასთანავე, საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობისათვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მინიჭება ასევე შეშფოთების საგანს წარმოადგენს, რადგან ეს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან კონფლიქტების განახლების შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევის გასამართლებლად.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია დაიცვას ქვეყნის ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული ეროვნული ინტერესები, და ამ ინტერესების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილად იქცა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია.

აღბათ მნიშვნელოვანი იქნება, თუ ჩვენ უფრო დაწვრილებით გავაანალიზებთ მთელ რიგ განსაკუთრებულ საფრთხეებს ჩვენი ქვეყნის წინაშე.

რუსეთის ფაქტორი

როგორც უკვე ავლინებთ, საქართველოს ნატოში საბოლოო გაწევრიანებამდე ამ პროცესის ხელისშეშლის მიზნით არსებობს უდიდესი საფრთხე რუსეთის მხრიდან, რომელმაც შესაძლოა განახორციელოს პროვოკაციები საქართველოს წინააღმდეგ და შესაბამისი ზეწოლა იქნეს განხორციელებული ჩვენს ქვეყანაში დესტაბილიზაციის კერების შესაქმნელად, რათა მოსკოვმა აიძულოს საქართველოს ხელისუფლება, რომ თბილისმა უარი განაცხადოს ნატოში შესვლაზე.

რუსეთის მხრიდან საქართველოს პირველ რიგში შეიძლება დაემუქროს პოლიტიკური, ეკონომიკურ-ფინანსური და სამხედრო ხასიათის საფრთხეები.

პოლიტიკური ხასიათის საფრთხეები: შესაძლებელია, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მიიღოს კანონი, რომელიც გაამარტივებს უცხო ქვეყნების ტერიტორიების მიერთებას რუსეთის ფედერაციასთან და საქართველოს სეპარატისტული რეგიონების შემთხვევაში ეს შეიძლება ახსნილ იქნეს „ქართული აგრესიისაგან“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაცვისა და მცირე ერების ფიზიკური დაცვის მიზნით განხორციელებულ ქმედებად. ამ მხრივ რესეთმა შესაძლოა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს “კოსოვოს პრეცედენტი”;

რუსეთი კიდევ უფრო გაუზრდის დახმარების მოცულობას საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლებებს, რაც გამოიხატება როგორც ფინანსური და ეკონომიკური ხასიათის დახმარებაში, ასევე სეპარატისტული რეგიონების უკანონო შეიარაღებული ფორმირებების სხვადასხვა ტიპის სამხედრო შეიარაღებით აღჭურვაში. მაგალითად უკვე გაუნა ინფორმაციამ, რომ 2008 წლის განმავლობაში რუსეთი აფხაზეთს დაახლოებით 2 მილიარდი რუსული რუბლის დახმარებას გამოუყოფს;

რუსეთი ყველა დონის საერთაშორისო ორგანიზაციაში მოახდენს ანტიქართული პოლიტიკის ლობირებას. საინფორმაციო ომს გამოუცხადოს ჩვენს ქვეყანას და მთელ მსოფლიოში შეეცდება საქართველოზე შექმნას უარყოფითი იმიჯი. ამისი ნათელი დადასტურება გახლავთ მაგალითად გაეროში რუსეთის წარმომადგენლის განცხადებები 2006 წლის ივლისში ზემო აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, როდესაც გაეროს ტრიბუნლიდან რუსეთის ოფიციალური პირები აცხადებდნენ, რომ საქართველოს აქვს განზრახვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი გადაჭრას სამხედრო გზით. ან ასევე საყურადღებოა რუსეთის დელეგატების განცხადებები ევროპის საბჭოში, საქართველოში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევისა და 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნების არადემოკრატიულად ჩატარების შესახებ;

ეკონომიკური ხასიათის საფრთხეები: რუსეთი შეეცდება კიდევ უფრო გაზარდოს ფასები რუსულ ბუნებრივ აირზე და აიძულოს საქართველო შეისყიდოს აირი რუსეთისაგან ბევრად უფრო მაღალ ფასში;

უარი განაცხადოს საქართველოს რუსეთისადმი სახელმწიფო დავალიანების (რომელიც დაახლოებით 140 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს) რესტრუქტურისა და შესაბამისად მოსთხოვოს საქართველოს სახელმწიფო ვალის გადახდა უმოკლეს დროში, რაც ნეგატიურად აისახება ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტზე;

მოსკოვი ეცდება მომავალშიც აღარ დაუშვას ქართული ღვინისა და მინერალური წყლების რუსულ ბაზარზე ექსპორტი, და ასევე აწიოს საბაჟო ტარიფები საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე ექსპორტირებულ სხვა საქონელზე, მაგალითად ფეროშენადნობებზე და სხვა ტიპის პროდუქციაზე, რომლის ექსპორტი რუსეთში ჯერ კიდევ ხორციელდება, და ამ გზით ხელი შეუშალოს ქართული პროდუქციის გასაღებას რუსეთის ბაზარზე და

შესაბამისად დარტყმა მიაყენოს საქსპორტო პროდუქციის წარმოებაზე მომუშავე ქართულ კომპანიებს.

სამხედრო ხასიათის საფრთხეები: რუსეთი ძალდონეს არ დაიშურებს, დიდი ხნის განმავლობაში გააჩინოს კონფლიქტურ რეგიონებში მოქმედი ე.წ. “სამშვიდობო ძალების” გაყვანის პროცესი;

რუსეთი შეეცდება სხვადასხვა სახის დივერსიული აქტების მოწყობას როგორც ენერგობიექტებზე, ასევე როგორც ბაქო-სუფსასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მოქმედ ნავთობსადენებზე, ასევე ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენზე. დივერსიული აქტების მოწყობამ სტრატეგიული მნიშვნელობის ენერგეტიკულ ობიექტებზე შესაძლებელია გამოიწვიოს ენერგეტიკულ კრიზისი ქვეყანაში, ხოლო არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარების ფონზე ქვეყანა შეიძლება მოიცვას გაფიცვებმა და დემონსტრაციებმა;

ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი შეეცდება გააღვივოს სეპარატიზმი არაქართული მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში (აფხაზეთი, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ჯავახეთი). მაგალითად რუსეთის მხრიდან შესაძლებელია აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების კვლავ წაქეზება, რათა ამ უკანასკნელმა განახორციელოს დამსჯელი ოპერაციები გალის რაიონში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ, რათა საქართველო აიძულოს 1998 წლის მაისის მოვლენების მსგავსად კვლავ ჩაერთოს საომარ მოქმედებებში;

რუსეთის მხრიდან საქართველოზე ზეწოლის განხორციელების საკითხში რუსეთი ეცდება მისი სატელიტის სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სომხეთის გამოყენებასაც. მიუხედავად იმისა, რომ ნეგატიური ქმედებების განხორციელება ოფიციალური ერევნისაგან თითქმის გამორიცხებულია, მაგრამ არ არის გამორიცხებული მაგალითად სომხური რადიკალური მოძრაობის „დამნაკტუნის“ სამხედრო ფორმირებების მხრიდან ტერორისტული აქტების განხორციელება საქართველოში განლაგებულ სხვადასხვა ობიექტებზე, ასევე შესაძლებელია შიდაპოლიტიკური ვითარების გამწვავება ჯავახეთში, რისი მიზეზიც შეიძლება გახდეს მაჰმადიანი მესხების შესაძლო ჩამოსახლება ამ რეგიონში;

რუსეთი შეეცდება წითელუბნის ინციდენტის ანალოგიურად კვლავ დაარღვიოს საქართველოს საჰაერო სივრცე ჩვენი ქვეყნის პროვოკაციაში ჩათრევის მიზნით.

საქართველოს საპასუხო ქმედებები: ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება საკითხი, თუ რა ბერკეტები გააჩნია საქართველოს იმისათვის, რომ დაუპირისპირდეს რუსეთის მხრიდან შესაძლო პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო ხასიათის ზეწოლას. ამ ამ მხრივ აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი:

საქართველოს გააჩნია შესაძლებლობა გამოიყენოს ვეტოს უფლება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხის განხილვის პროცესში;

სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს დასავლეთის საქართველოთი დაინტერესება, დასავლეთის უფრო ფართო მხარდაჭერა უკვე სახეზეა, კერძოდ:

- აშშ-ის მხარდაჭერა კონფლიქტების მოგვარებაში, კერძოდ, ჯერ კიდევ 2005 წელს აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ იწონებს და მხარს დაუჭერს სამხრეთ ოსეთის საკითხში საქართველოს პრეზიდენტის გეგმას, რომელიც ეუთოში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წარადგინა;

- საქართველოსათვის ძალზედ მნიშვნელოვანია კონფლიქტების დარეგულირების კუთხით ევროკავშირის გააქტიურებაც, კერძოდ ევროკავშირი-საქართველოს სამეზობლო პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში

ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს ევროკავშირის უფრო აქტიური ჩართვა კონფლიქტების მოგვარების პროცესში.

სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიდან აუცილებელია აღინიშნოს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში შემდგომი ინტეგრაცია, ამ მხრივ საყურადღებოა ნატო-ს სხვადასხვა ოფიციალური წარმომადგენლების განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში არსებობს იმის წინაპირობა, რომ ქვეყანა უახლოეს მომავალში გადავიდეს ნატოსთან გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს რუსეთის საქართველოზე პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის შესუსტებისა წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის განმტკიცება, ამ მხრივ კი დიდ როლს აუცილებლად თამაშობს ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაზსადენის პროექტი, და აზერბაიჯანის სხვა საბადოებიდან ბუნებრივი აირის მიღება, რითაც საქართველომ მნიშვნელოვნად დააღწია თავი რუსულ გაზზე დამოკიდებულებას.

ნატოს წევრ ქვეყნებში ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციების არსებობა

წინა თავებში ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ ალიანსის ფარგლებში ყველა სერიოზული გადაწყვეტილებების მისაღებად ნატოს წევრი 26-ივე ქვეყნის თანხმობაა საჭირო. ცნობილია, რომ საფრანგეთი, გერმანია და იტალია და სხვა ძველი ევროპული ქვეყნები ნატოს გაფართოებას დიდი ენთუზიაზმით არ უყურებენ. მათ მიაჩნიათ, რომ ალიანსი ვერ აიტანს ასეთ სწრაფ გაფართოებას.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღინიშნოს საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის ერვე მორენის მოსაზრება, რომელიც მან Reuters television-ისთვის მიცემულ ინტერვიუში გამოთქვა 2007 წლის სექტემბერში. “ვფიქრობ ნატოს ნებისმიერი გაფართოება აღმოსავლეთში, კავკასიის მხარეს, არ უნდა გამოიყურებოდეს როგორც აგრესია რუსეთთან ურთიერთობაში. ქართველების მიმართ ჩვენი დამოკიდებულებისა და მეგობრობის მიუხედავად, და ეს მე საქართველოს სახელმწიფო მეთაურისთვის არაერთხელ მითქვამს, ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ არ გამოჩნდება რაიმე დამატებითი საფრთხე რუსეთისთვის-განაცხადა მინისტრმა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია რუსეთმა საკუთარი თავი ალყაშემორტყმულად არ იგრძნოს” (94). საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ რამდენიმე დღის წინ საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან არაფორმალური შეხვედრის შემდეგ (2007 წლის სექტემბერი) შექმნილი მისი შთაბეჭდილებები რადიკალურად განსხვავდება იმისგან, რაც საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა. სააკაშვილის თქმით, საფრანგეთის პრეზიდენტისგან მან საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხში “უკიდურესი” და “არაორაზროვანი” მხარდაჭერა მიიღო. არგუმენტები, რომელიც თავის ინტერვიუში ერვე მორენმა მოიყვანა, ახალი არ არის. ანალოგიური შინაარსის განცხადებები ხშირად ისმოდა დასავლეთის სახელმწიფოთა მხრიდან ნატოში ბალტიის ქვეყნების გაწევრიანების საკითხის განხილვისას. შესაძლოა, ეს ცალკეული პოლიტიკოსის მოსაზრებაა, შესაძლოა-გარკვეული სიფრთხილე საფრანგეთის მთავრობის მხრიდან, რომელსაც სურს, რუსეთთან ურთიერთობა არ გააფუჭოს. თუმცა, ამ განცხადების შინაარსი საფრანგეთის წინა პრეზიდენტის, ჟაკ შირაკის პოლიტიკურ კურსს უფრო მიესადაგება, ვიდრე იმ კურსს, რომელსაც ნიკოლა სარკოზი ახორციელებს. ნებისმიერ შემთხვევაში,

თუ მომავალში ნატოს წევრი ქვეყნები საქართველოს საკითხზე კონსენსუსამდე მივლენ, ისინი მხედველობაში არ მიიღებენ სხვადასხვა გარე ხელშემშლელ ფაქტორებს. ისევე, როგორც თავის დროზე არ მიიღეს მხედველობაში ბალტიის ქვეყნების გაწევრიანებისადმი რუსეთის წინააღმდეგობა და ლატვიისა და ესტონეთის სასაზღვრო პრობლემები ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან.

ნატოს წევრი ქვეყნების მეორე ჯგუფში, რომელშიც წარმოდგენილნი არიან ბრიტანეთი და სკანდინავიის ზოგიერთი ქვეყანა, მიიჩნევენ, რომ ნატო სრულიად ნეიტრალური და ობიექტური უნდა იყოს. ანუ, თუ რომელიმე სახელმწიფო დააკმაყოფილებს პირობებს, ის უნდა გაწევრიანდეს კიდევ ალიანსში.

მესამე ჯგუფი ქვეყნებისა, რომლებსაც პირობითად აშშ უდგას სათავეში და მასში ალიანსის ახალი წევრებიც (პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები) შედიან, გეოპოლიტიკური ვითარებიდან და პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მომხრენი არიან, რომ დაჩქარებული ტემპით იქნეს განხილული გაფართოების და მათ შორის საქართველოს გაწევრიანების საკითხიც.

რა თქმა უნდა, აშშ-სგან მხარდაჭერას შეუძლია გადამწყვეტი როლი შეასრულოს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე. ჯერ კიდევ რიგის სამიგის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ამერიკელმა სენატორმა ლუგარმა განაცხადა, რომ ამერიკა უკრაინისა და საქართველოს ნატოში ინტეგრაციას მიესალმება და ყველანაირად მხარს უჭერს. როგორც წიგნის წინა თავებში აღინიშნა, ნატოს რიგის სამიგზე აშშ-ის პრეზიდენმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ “ნატოს კარები ახალი წევრებისათვის, მათ შორის საქართველოსა და უკრაინისათვის ღიაა.” ბუშის განცხადებით, ვაშინგტონი მხარს დაუჭერს საქართველოს კანდიდატურას, “თუ ქვეყანა გააგრძელებს მიმდინარე რეფორმების გატარებას”.

ასევე მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ საქართველოს გააჩნია ნატოს ახალდაწევრიანებული სახელმწიფოების სრული მხარდაჭერა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წლის სექტემბერში შეიქმნა საქართველოს ახალი მეგობრების ჯგუფი, რომელმაც 2007 წლის 13-14 სექტემბერს გაფართოებული ფორმატით ვილნიუსში მინისტრიალი გამართა. შეხვედრამ დაადასტურა, რომ ევროკავშირსა და ნატო-ს ფარგლებში რვა სახელმწიფოს გუნდმა, რომლებსაც მოგვიანებით აშშ-ც შეუერთდა, ზოგადად აღმოსავლეთ ევროპასა და განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში აქტიური პოლიტიკის გატარება დაიწყო.

ჯგუფმა, რომლის შექმნის იდეაც 2005 წელს თბილისში დაიბადა და ბალტიის სამ სახელმწიფოს, პოლონეთს, უკრაინას, რუმინეთსა და ბულგარეთს აერთიანებს, საბოლოო სახე 2007 წელს მიიღო. საქართველოს მეზობლები შავი ზღვის აუზიდან-რუმინეთი და ბულგარეთი ევროკავშირში გაწევრიანდნენ, ხოლო ჩეხეთმა და შვედეთმა გადაწყვიტეს, შეერთებოდნენ საქართველოს მეგობარ სახელმწიფოთა ჯგუფს.

საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის გელა ბეჟუაშვილის წინადადების განხილვისას, მეგობარი ქვეყნების ჯგუფმა გადაწყვიტა, იმოქმედონ შეთანხმებულად, რადგან ევროატლანტიკური და საქართველოს მიზნების განხორციელება მათ ეროვნულ ინტერესებში შედის.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს უსაფრთხოება, დემოკრატიის სტაბილურობა და ერთიანობა უმთავრეს ევროპულ და ტრანსატლანტიკურ ინტერესებში შედის, ჯგუფი ემხრობა იმგვარი პოლიტიკის გატარებას, რომელიც ზუსტად ამ ღირებულებებს დაეყრდნობა. საქართველოს საშინაო რეფორმები, რომელიც რეგიონსა და მის ფარგლებს გარეთ წარმატების მაგალითია, რეალურს ხდის საქართველოს მისწრაფებას, დაუახლოვდეს

ევროატლანტიკურ კავშირს. ჯგუფის მოსაზრებით, ნატოსა და ევროკავშირთან საქართველოს კავშირების გამყარება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონულ უსაფრთხოებასა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების სტაბილიზაციაში.

ახალი მეგობრები (შვედეთის გარდა, ყველა ქვეყანა არის ნატოს წევრი) მხარს უჭერენ საქართველოს მიზნებს, გადაიდგას ახალი ნაბიჯები გაწევრიანების სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად 2008 წლის გაზაფხულზე რუმინეთში დაგეგმილ ნატოს სამიტზე. ჯგუფს მიაჩნია, რომ საქართველოს უკვე შეაქვს წვლილი ევროატლანტიკური უსაფრთხოებაში და სამხედრო რეფორმების გატარებისა და გაერთიანებულ მისიაში ჯარების მონაწილეობის ფონზე მზადაა მაპ-ისთვის. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის სეცესიონისტური კონფლიქტები არ შეიძლება გადაიქცეს ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციისთვის ხელისშემშლელ ფაქტორად. ჯგუფის წევრთა აზრით, ნატოს ფარგლებს გარეთ არც ერთ ქვეყანას (პირველ რიგში რა თქმა უნდა რუსეთს) არ აქვს უფლება, ვეტო დაადოს ალიანსის გადაწყვეტილებას.

2007 წლის სექტემბერში გამართული ვილნიუსის შეხვედრა ახალი პოლიტიკური სიგნალია, რომელიც ევროატლანტიკურ ორგანიზაციებში ახალი მნიშვნელობის ცენტრის წარმოქმნაზე მიანიშნებს. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს მეგობარ ქვეყნებს ერთობლივად შეუძლიათ, საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპასთან მიმართებაში სტრატეგიის და პოლიტიკის განსაზღვრას კონკრეტული ფორმები მისცენ.

საქართველოს ნატოში ინტეგრაცია და კონფლიქტები

საქართველოს ნატოში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს რეგიონში არსებული კონფლიქტური კერები. სეპარატისტული რეგიონები წარმოადგენენ არაკონტროლირებად ტერიტორიებს და შესაბამისად ამ რეგიონებში იქმნება მეტად ხელსაყრელ წინაპირობა უკანონო ვაჭრობის, განსაკუთრებით ნარკოტიკებით უკანონო ბრუნვისათვის, ფულის გათეთრების, ტერორისტული საქმიანობისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ოპერაციების განსახორციელებლად. გარდა ამისა, სეპარატიზმის არსებობის უდიდეს პრობლემას რა თქმა უნდა წარმოადგენს უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ფუნქციონირება, რომლებიც შეაიარაღებულნი არიან თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობით. რაც მთავარია, სეპარატისტული მოძრაობების განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენს რეგიონის ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ კონფლიქტის ზონაში მოქმედი დე-ფაქტო სეპარატისტული ხელისუფლებების პირდაპირი მხარდაჭერა, როდესაც ამ სახელმწიფოების შესაბამისი სტრუქტურები ფინანსური და სამხედრო ხასიათის დახმარებას უწევენ დანაშაულებრივ სეპარატისტულ რეჟიმებს.

რეგიონში არსებულ თითოეულ კონფლიქტს თავისი სპეციფიურობა ახასიათებს, თუმცა ამავე დროს ბევრია ამ კონფლიქტებს შორის მსგავსებაც. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კონფლიქტების თემა საქართველოსა და ნატოს ოფიციალური წარმომადგენლების შეხვედრების დროს მუდმივად წარმოადგენს განხილვის საგანს, და მიუხედავად ნატოს მესვეურთა ოფიციალური განცხადებებისა, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტები ხელს ვერ შეუშლის ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, ნატოს ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმისა თუ ინტენსიფიცირებული დიალოგის ფარგლებში კონფლიქტების მშვიდობიანი

გზით დარეგულირება წარმოადგენს, ამიტომაც მკითხველის ნებართვით ამ, ჩვენი ქვეყნისათვის ძალზე მტკივნეულ საკითხს უფრო დაწვრილებით შევეხებით.

როგორც ცნობილია, დღევანდელ ეტაპზე საქართველო ვერ აკონტროლებს თავისი ტერიტორიის დაახლოებით 15%-ს. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. აღნიშნულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენა მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ამ ორი სეპარატისტული რეგიონის დე-ფაქტო ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას ერთიანი საქართველოს ფარგლებში ფართო ავტონომიური უფლებების მინიჭების სანაცვლოდ. მაგრამ ორივე რეგიონის „ხელმძღვანელობა“ მოლაპარაკებების დროს მხოლოდ დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოდის და არ თანხმდება არავითარი სახით საქართველოს ტერიტორიის ნაწილად აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარებაზე.

კონფლიქტის მოგვარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია გადაწყდეს სამხედრო გზითაც, რადგან ჯერჯერობით მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის შეიარაღებული ძალების გაძლიერებისა და მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისა, საქართველოს გაუჭირდება აწარმოოს ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებანი. ვითარებას ართულებს ის ფაქტი, რომ ქართული მხარის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ძალისმიერი მეთოდების გზით მცდელობის შემთხვევაში, მას, ისევე როგორც 1992-1993 წლებში მოუწევს შეტაკება როგორც უშუალოდ რუსეთთან, ასევე რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების შეიარაღებულ ფორმირებებთან, რაც რა თქმა უნდა არ იძლევა ამ ომებში გამარჯვების გარანტიას. სეპარატისტული რეგიონების მთავარ დასახლებულ პუნქტებზე კონტროლის დამყარების შემთხვევაშიც კი, თუ გავითვალისწინებთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთიან რელიეფს, არსებობს იმის უდიდესი შესაძლებლობა, რომ სეპარატისტული უკანონო ფორმირებები გადავიდნენ პარტიზანულ მოქმედებებზე, და ამ შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფილნი იქნებიან სხვადასხვა სახის შეიარაღებით რუსეთის მხრიდან.

გასული საუკუნის 90-იან წლებში მუსირებდა აგრეთვე ახრი აფხაზეთში გაეროს მე-7 მუხლის ამოქმედების თაობაზე, რომელიც მშვიდობის დამყარებას საერთაშორისო ძალების მიერ ძალისმიერი გზით გულისხმობს. მაგრამ გაეროს ჩართვაც ამ შემთხვევაში გამორიცხულია, რადგანაც სულ ცნობილია ორი შემთხვევა, როდესაც გაეროს ძალები ჩართულნი იყვნენ სამხედრო ოპერაციებში, საქართველოს შემთხვევაში კი ვითარებას ართულებს ის ფაქტი, რომ რუსეთი-როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი გამოიყენებს ვეტოს უფლებას ამ საკითხთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს მიერ შესაბამისი რეზოლუციის განხილვის შემთხვევაში.

ერთადერთი გზა არსებული კონფლიქტების გადაწყვეტისა, არის საქართველოს ეკონომიკური განვითარება და ქვეყნის ნატოში გაწევრიანება, მათ შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სეპარატისტულ რეგიონებში საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე (ზემო აფხაზეთი, ლიახვის ხეობის სოფლები, ფრონეს ხეობა) მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას ინფრასტრუქტურის აღდგენის მიზნით. საქართველოს ეკონომიკური განვითარება და ნატოში გაწევრიანებით გამოწვეული უსაფრთხო, სტაბილური გარემოს შექმნა, გაზრდის დაინტერესებას „ურჩ“ რეგიონებში საქართველოს მიმართ, რამაც შეიძლება საბოლოო ჯამში გამოიწვიოს მათი თანხმობა სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობის მიღებაზე საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სანაცვლოდ. ამ მხრივ შესაძლებელია მოვიყვანოთ კვიპროსის მაგალითი, სადაც 2004 წელს გამართულ რეფერენდუმზე კვიპროსის თურქული ნაწილის-სეპარატისტული რეგიონის მოსახლეობის 70%-მა მხარი დაუჭირა კვიპროსის კვლავ გაერთიანებას. ამის ძირითადი მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფმა ტერიტორიამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია, რისი ნათელი დადასტურებაცაა ქვეყნის მიღება ევროპის კავშირში.

მოკლედ განვიხილოთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები:

აფხაზეთის კონფლიქტი

აფხაზეთს ავტონომიის უფლება ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წ. კონსტიტუციით ჰქონდა მინიჭებული. საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ 1921 – დან 1931 წლამდე საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობის საკითხებში ცვლილებებთან ერთად ხდებოდა აფხაზეთის სტატუსის გადასინჯვაც. კერძოდ, 1921 წ. 16 დეკემბერს იგი სახელშეკრულებო რესპუბლიკად გამოცხადდა, 1931 წ. 19 თებერვალს კი გაფორმდა ავტონომიურ რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში.

აფხაზეთის კონფლიქტის ძირი, აფხაზეთის სტატუსზე სხვადასხვა შეხედულებების გარდა მის ეთნიკურ შემადგენლობაშიც დევს. სსრკ-ის დაშლის დროს ეთნიკური აფხაზების წილი თვით აფხაზეთის მოსახლეობაში 17% იყო, ეთნიკური ქართველების კი 45%. 36%-ს კი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები შეადგენდნენ. მაგრამ ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლება თანამდებობებზე დაწინაურებისას აფხაზებს ანიჭებდა უპირატესობას ქართველებთან და სხვა ეროვნებებთან შედარებით. 1991 წლის სექტემბერში, საბჭოთა კავშირის დროს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, სადაც 65 სადეპუტატო მანდატიდან 28 ეთნიკურმა აფხაზებმა მიიღეს, 26-ეთნიკურმა ქართველებმა, 11 კი სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა. გაჩნდა ინტერესთა შეუთავსებლობა ქართულ და აფხაზურ დეპუტაციებს შორის, ასევე, საქართველოში არსებული სამოქალაქო ომის გამო ვერ მოხერხდა თანამშრომლობა თბილისსა და სოხუმს შორისაც. ზემოაღნიშნულით კარგად ისარგებლეს აფხაზებმა და 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ საქართველოს სამხედრო საბჭოს მიერ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის პასუხად, ხმათა უმრავლესობით და ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად გამოაცხადა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენა, რაც ფაქტობრივად აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფას ნიშნავდა. აღსანიშნავია ამ გადაწყვეტილების ანტიკონსტიტუციურობა, რადგან კონსტიტუციის მისაღებად საჭირო იყო დეპუტატთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. აფხაზეთის ქართულმა დეპუტაციამ, რომელიც პროტესტის ნიშნად არ ესწრებოდა სესიას, არ ცნო ეს ფაქტი.

დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა სარკინიგზო მაგისტრალების უსაფრთხოების დაცვის მიზნით საქართველოს შეიარაღებული ძალები აფხაზურ მხარესთან შეთანხმებით შევიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ იქ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს აფხაზური “გვარდიის” ნაწილებმა. საომარი მოქმედებები 1 წელს გაგრძელდა და რუსეთის იმპერიალისტური ძალებისა და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული დაქირავებული ბოევიკების მხარდაჭერის, აგრეთვე აფხაზური მხარის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებების სამჯერ დარღვევის შედეგად

საომარი მოქმედებები 1993 წლის სექტემბერში ქართული ჯარის დამარცხებითა და აფხაზეთიდან ქართველების გამოდევნით დამთავრდა.

მოლაპარაკებები თბილისსა და სოხუმს შორის 1994 წლიდან მიმდინარეობს. მოლაპარაკებებში შუამავლის როლს რუსეთი და გაერო ასრულებს. აგრეთვე სხვადასხვა სტატუსით მოლაპარაკებებში მონაწილეობს “გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფი” (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი). როგორც ცნობილია, რუსეთის ზეწოლის შედეგად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში 1994 წლიდან მოქმედებენ დსთ-ის “სამშვიდობო ძალები”, რომლებიც მხოლოდ რუსეთის სამხედროებითაა დაკომპლექტებული.

დღევანდელ ეტაპზე მოლაპარაკებები აფხაზური მხარის ინიციატივით დროებით შეწყდა ზემო აფხაზეთში განვითარებული მოვლენების გამო 2006 წლის აგვისტოში.

დღევანდელი ვითარება აფხაზეთში.

მიუხედავად საომარ მოქმედებებში რუსეთის მხარდაჭერით მიღწეული წარმატებებისა აფხაზეთი არ შეიძლება ჩაითვალოს გამარჯვებულად რიგი მიზეზების გამო, კერძოდ:

- მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლება აცხადებს, რომ აფხაზეთი არის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო და მას გააჩნია სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი, აფხაზეთი არანაირად არ შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რადგან არ მოხდა აფხაზეთის საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარება და მომავალშიც აფხაზეთის აღიარება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გამორიცხებულია, მათ შორის თვით რუსეთის მხრიდან;

- ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად აფხაზეთი იმყოფება ვასალურ დამოკიდებულებაში რუსეთის მხრიდან, რისი ნათელი დადასტურებაცაა ის ფაქტი, რომ აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი ლამის ორ კვირაში ერთხელ იმყოფება მოსკოვში რათა მიიღოს ახალი ინსტრუქციები კრემლის მესვეურებისაგან. ამავე დროს აფხაზები კარგად აცნობიერებენ, რომ რუსეთი მათ იყენებს თავისი მზაკვრული მიზნების განსახორციელებლად და აფხაზეთი, რუსეთს როგორც საქართველოზე ზეწოლის იარაღად სჭირდება. გარდა ამისა, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე ინიშნებიან რუსეთის მიერ დასმული პირები;

- აფხაზეთს არ გააჩნია საკუთარი ეროვნული ვალუტა და შესაბამისად მას არ ძალუძს აწარმოოს დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;

- აფხაზეთი ვერ აკონტროლებს თავისი ტერიტორიის თითქმის მესამედს-საუბარია ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელსაც როგორც ცნობილია ქართული მხარე აკონტროლებს და მან თავისი იურისდიქცია ამ ტერიტორიაზე გააძლიერა კოდორის ცნობილი მოვლენების შემდეგ 2006 წლის ივლის-აგვისტოში;

- აფხაზეთი იმყოფება ეკონომიკურ იზოლაციაში, აქედან გამომდინარე ეკონომიკური სიღუბეების გამო ხდება მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით რუსეთში. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ცდილობს რუსული ორიენტაციის გაძლიერებას აფხაზურ მოსახლეობაში და ამას ახორციელებს რუსული პასპორტების დარიგებით რასაც აფხაზები მიესალმებიან, მაგრამ ამ ფაქტმა შეიძლება საწინააღმდეგო შედეგი გამოიწვიოს, რადგანაც რუსული პასპორტის მქონე აფხაზეთის მცხოვრებლებს შეეძლებათ უპრობლემოდ გადავიდნენ რუსეთში და რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის ცხოვრების დონის უზარმაზარი განხვავების გათვალისწინებით,

საბოლოოდ დაფუძნდნენ რუსეთში, რასაც მოჰყვება აფხაზების გენოფონდის განადგურება და რესპუბლიკის მოსახლეობისაგან დაცლა;

- მიუხედავად 1993 წელს ჩატარებული მასობრივი ეთნიკური წმენდისა ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ, დღევანდელ დღესაც აფხაზები რესპუბლიკის მოსახლეობაში უმცირესობაში იმყოფებიან. გამომდინარე აქედან აფხაზეთში ძირითადი სალაპარაკო ენა არის რუსული და მიმდინარეობს აფხაზური ენის ხმარებიდან თანდათანობითი გაქრობის პროცესი;

- აფხაზეთში არსებობს უკიდურესად არასტაბილური პოლიტიკური ვითარება. ამ მხრივ აღსანიშნავია დაძაბული ეროვნებათშორისი ვითარება. პირველ რიგში ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ გალის რაიონში კომპაქტურად ცხოვრობს ქართული მოსახლეობა, რომელიც აფხაზებისთვის მუდმივ პრობლემას წარმოადგენს, და ასევე ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნოს დაძაბულობა სომხებსა და აფხაზებს შორის. ეს პირველ რიგში განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ბიზნესის მართვის სადავეები არის სომხების ხელში, მაგრამ ამავე დროს პოლიტიკურ სფეროში დომინირებენ აფხაზები. კერძოდ აფხაზეთის ე.წ. სახალხო კრებაში (აფხაზეთის “პარლამენტი”) აფხაზეთის “კანონმდებლობის” მიხედვით აფხაზების რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ ორ მესამედს. შესაბამისად, დღევანდელ დღეს აფხაზებს 35-ადგილიან კრებაში უკავიათ 25 ადგილი, როდესაც აფხაზური მოსახლეობის რაოდენობა რესპუბლიკის მოსახლეობის სტრუქტურაში შეადგენს დაახლოებით 45 ათას კაცს. ამავე დროს სომხები, რომელთა რაოდენობა აფხაზეთში აღემატება 60 ათას ადამიანს, კრებაში წარმოდგენილნი არიან სულ 3 დეპუტატით. რაც შეეხება ქართველებს, მათი რაოდენობა სახალხო კრებაში შეადგენს ორ დეპუტატს (აფხაზეთში ცხოვრობს დაახლოებით 50 ათასი ქართველი). ეს ფაქტები ნათლად მიანიშნებს, რომ არსებობს ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივების რეალური საშიშროება.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების ძირითადი ასპექტები:

როგორც აღნიშნულ იქნა, დღევანდელ დღეს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით პრაქტიკულად შეუძლებელია მხარეთა მიერ აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების გამო. გარდა ამისა, მშვიდობიანი მოლაპარაკებების პროცესს ართულებს აფხაზური მხარის უარი განაახლოს საქართველოსთან მოლაპარაკებები კოდორის ხეობაში მოვლენების განვითარების გამო. კოდორთან დაკავშირებით აფხაზურმა და რუსულმა გეგმამ სრული კრაზი განიცადა. ორივე მხარის მიზანი იყო თანამდებობიდან განთავისუფლებული და ამის გამო საქართველოს ხელისუფლებაზე განაწყენებული ემზარ კვიციანის და უკანონო შეიარაღებული ფორმირების “მონადირის” გამოყენება აფხაზური და რუსული მხარის სასარგებლოდ. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო კვიციანის მხარდამჭერთა შეიარაღებული გამოსვლა რათა მომხდარიყო ამ ჯგუფის მიერ კონტროლის დამყარება ზემო აფხაზეთზე, რაც გამოიწვევდა იმას, რომ საქართველო დაკარგავდა კონტროლს ხეობაზე და ეს კი შექმნიდა ხელსაყრელ პირობას აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ხეობაზე კონტროლის დამყარებისათვის. იმ შემთხვევაში კი, თუ საქართველოს ძალიან სტრუქტურები განახორციელებდნენ ხეობაში შეჭრას, კონფლიქტი უნდა გაგრძელებულიყო დიდი ხნის განმავლობაში და საბოლოო ჯამში გამოიწვევდა საქართველოს დასუსტებას. ამავე დროს, საქართველოს სამხედრო ნაწილების კოდორში შეჭრის შემთხვევაში რუსეთი და აფხაზეთი ბრალს დასდებდნენ საქართველოს 1994 წლის მაისის ხელშეკრულების დარღვევაში. ამ ბრალდების მიზანი იქნებოდა საქართველოს იმიჯის შელახვა საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში-საქართველო წარმოჩენილ იქნებოდა როგორც ქვეყანა, რომელსაც სურს მის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების ძალისმიერი

გზით გადაჭრა, რაც ეწინააღმდეგება იგივე ნატო-ს და ევროკავშირის მოთხოვნებს საქართველოს მიმართ (ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმისა და ევროპის სამეზობლო ინიციატივის ფარგლებში), რომელიც ეხება კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას.

თუმცა რუსეთის და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ჩანაფიქრმა სრული კრაზი განიცადა. საქართველომ შეძლო რამდენიმე დღეში ხეობაზე კონტროლის დამყარება, აფხაზეთის დევნილი მთავრობა გადავიდა ზემო აფხაზეთში, დაიწყო ხეობაში სხვადასხვა სახის ეკონომიკური პროექტების განხორციელება, ხოლო ნატო-მ ერთი თვის თავზე კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა საქართველოს, დაამტკიცა რა მასთან ინტენსიური დიალოგის პროგრამა. ამავე დროს რუსეთის მხარის მცდელობის მიუხედავად, გაეროს მეთვალყურეებმა აფხაზეთში აღნიშნეს, რომ საქართველომ შეიარაღებული შეტაკების დასრულების შემდეგ შეასრულა ვალდებულება და გაიყვანა თავდაცვის სამინისტროს ნაწილები კოდორიდან, რაც შესაბამისად ასახულ იქნა გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში უშიშროების საბჭოს მორიგი რეზოლუციის მიღების დროს „ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით“.

თუმცა, მიუხედავად აფხაზეთი მხარის გაღიზიანებისა, არსებობს იმის ალბათობა, რომ მომავალში საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა, მათ შორის ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ზემო აფხაზეთში ცხოვრების დონის მნიშვნელოვანმა გაუმჯობესებამ, საქართველოს სამხედრო ძალების გაძლიერებამ, აგრეთვე დღევანდელ აფხაზეთში არსებულმა ზემოწამოთვლილმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და დემოგრაფიული ხასიათის პრობლემებმა აიძულონ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება რამდენიმე წლის შემდეგ წამოვიდეს მოლაპარაკებაზე საქართველოს ხელისუფლებასთან. გარდა ამისა, ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი მოლაპარაკებათა განახლებისა აგრეთვე შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ აფხაზეთ საზოგადოებაში სულ უფრო იზრდება უნდობლობა რუსეთის მიმართ, რომელიც არ აპირებს აფხაზეთის “დამოუკიდებლობის” აღიარებას, ხოლო 2004 წელს აფხაზეთში “საპრეზიდენტო არჩევნების” დროს აფხაზეთის მოსახლეობის მიერ რუსეთისათვის შედარებით არასასურველი კანდიდატის არჩევის გამო, რუსეთმა ჩაკეტა საზღვარი აფხაზეთთან და ამ უკანასკნელს ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა.

მოლაპარაკებათა განახლების შემთხვევაში, აუცილებელია რომ ქართულმა მხარემ წამოაყენოს კონკრეტული წინადადებანი აფხაზეთი მხარის წინაშე, რათა შესაძლებელი იყოს ურთიერთკომპრომისული ვარიანტების გამონახვა, რათა მიღწეულ იქნეს აფხაზეთის ფართო ავტონომია ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. კერძოდ, აფხაზეთის პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსის თაობაზე მოლაპარაკებათა პროცესის პერიოდში ქართულმა მხარემ აფხაზეთი მხარეს შესაძლოა შესთავაზოს შემდეგი წინადადებები:

- სამართლებრივი ფაქტორები: აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს საერთაშორისო სამართლის ორი ძირითადი პრინციპი - სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და ერთა თვითგამორკვევა. საერთაშორისო სამართლის ერთა თვითგამორკვევის პრინციპი არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ ერისთვის სრული დამოუკიდებლობის მინიჭებას, არამედ აქ ნაგულისხმევია აგრეთვე მაღალი პოლიტიკური სტატუსი - სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობა სხვა სახელმწიფოში, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს თავისი უფლებებისათვის მებრძოლი ერის წარმადგენელთა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და სხვა უფლებები;

- მხარეები ურთიერთკომპრომისამდე უნდა მივიდნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა როგორც სრულიად საქართველოს, ასევე აფხაზეთის

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ანუ აფხაზეთი ავტონომიურობის მაღალი სტატუსით შედის საქართველოს შემადგენლობაში და ამავე დროს უნდა გავრცელდეს აფხაზეთის ხელისუფლების კონტროლი ზემო აფხაზეთზე. ამ მიზნით აფხაზეთს უნდა მიეცეს საშუალება დანიშნოს თავისი ადმინისტრაციის წარმომადგენელი ზემო აფხაზეთში;

- რეგიონზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ, აფხაზეთში შესაძლოა არსებობდეს პრეზიდენტის ინსტიტუტი. პრეზიდენტი უნდა იყოს აფხაზი ეროვნების და არჩეულ უნდა იქნეს საყოველთაო არჩევნების შედეგად, ანუ მას ირჩევს აფხაზეთის მოსახლეობა პირდაპირი კენჭისყრით;

- აფხაზეთს უნდა გააჩნდეს ყველა სახელმწიფო სიმბოლიკა-დროშა, ჰიმნი, გერბი, აფხაზეთის კონსტიტუცია, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საკუთარი კოდექსები, თუმცა ისინი წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდნენ საქართველოს კანონმდებლობასთან;

- უნდა განისაზღვროს შესაბამისი კვოტა აფხაზი წარმომადგენლებისათვის საქართველოს პარლამენტში და ამავე დროს შესაბამისი კვოტა ქართველი დეპუტატებისა (აფხაზეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ქართველები) აფხაზეთის პარლამენტში. ამ მიზნით აფხაზეთის ტერიტორიაზე არჩევნები უნდა ჩატარდეს მაჟორიტარული წესით;

- უნდა გაიხსნას აფხაზეთის წარმომადგენლობა თბილისში და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობა სოხუმში;

- აფხაზეთს უნდა მიეცეს უფლება თვითონ განსაზღვროს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ძირითადი პრინციპები. როგორც ცნობილია ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში სხვადასხვა ისტორიულ რეგიონებში არსებობს განსხვავებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ამის ნათელი მაგალითია დიდი ბრიტანეთი, სადაც ინგლისი და უელსი დაყოფილნი არიან საგრაფოებად, ჩრდილოეთ ირლანდია რეგიონებად, ხოლო შოტლანდია პროვინციებად. ამავე დროს აფხაზეთს უნდა მიენიჭოს უფლება თავად განსაზღვროს აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი ადმინისტრაციულ – პოლიტიკური ერთეულების კომპეტენცია – არჩევნის წესები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დანიშვნის წესი და ა.შ.

კონფლიქტის დარეგულირების ეკონომიკური ასპექტები:

- აფხაზეთს საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით უნდა მიეცეს პრივილეგია საგადასახადო შემოსავლების კუთხით. საქართველოში არსებული სხვადასხვა სახის გადასახადების - დღგ, საშემოსავლო, სოციალური, მოგების გადასახადი, აგრეთვე მდინარე ფსოუზე არსებულ საბაჟო საზღვარზე მიღებული საბაჟო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი შესაძლოა დარჩეს აფხაზეთის ბიუჯეტში. მოლაპარაკებათა შედეგად უნდა განისაზღვროს თითოეული გადასახადის პროცენტული მაჩვენებელი საქართველოს ცენტრალურ და აფხაზეთის ბიუჯეტებს შორის. მაგალითად მოგების გადასახადის 40% წავა ცენტრალურ, ხოლო 60% აფხაზეთის ბიუჯეტში და ა. შ;

- აფხაზეთის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის მიზნით უნდა ჩატარდეს ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული სხვადასხვა ობიექტების-კვების მრეწველობის, ტურისტული ინფრასტრუქტურა, საბადოები და სხვ. პრივატიზაცია. ამ მიზნით საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებით უნდა განსაზღვროს ტენდერის პირობები და აგრეთვე იმ სამეწარმეო სუბიექტების ნუსხა, რომელიც უნდა იყოს გატანილი საპრივატიზაციოდ. აგრეთვე განისაზღვროს, თუ როგორი სახით უნდა ჩატარდეს პრივატიზაცია (ტენდერი, აუქციონი, ინვესტორებისათვის სამეწარმეო სუბიექტის კონცესიის გზით გადაცემა). ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლებამ და

საზღვარგარეთ აკრედიტირებულმა საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობებმა აქტიური მოლაპარაკებები უნდა აწარმოონ სხვადასხვა ქვეყნების კომპანიებთან და სავაჭრო პალატებთან, რათა მოხდეს ინვესტიციების მოზიდვა აფხაზეთის ეკონომიკაში;

- პრივატიზაციიდან მიღებული თანხების უდიდესი ნაწილი უნდა ჩარიცხულ იქნეს აფხაზეთის ბიუჯეტში აფხაზეთის შემდგომი სოციალ-ეკონომიკური განვითარების მიზნით;

- საქართველომ საზღვარგარეთის ქვეყნებში მაქსიმალური რეკლამირება უნდა გაუწიოს აფხაზეთის ტურისტულ ობიექტებს;

- ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის უნდა გაიმართოს აქტიური მოლაპარაკება აფხაზეთის რკინიგზის აღდგენასა და აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის როგორც სარკინიგზო, ისევე როგორც საჰაერო და საავტომობილო მიმოსვლის აღდგენის შესახებ;

- საქართველომ უნდა განახორციელოს ტრანსფერული გადასახადები აფხაზეთის ინფრასტრუქტურის აღდგენის მიზნით;

ამავე დროს, მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციას უნდა მიეკუთვნებოდეს ისეთი სფეროები როგორებიცაა:

- საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი;
- საგარეო ვაჭრობა, საბაჟო პოლიტიკა;
- სახელმწიფო ფინანსები, ფულის მოჭრა, საბანკო, და საგადასახადო კანონმდებლობა;
- სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები;
- კანონმდებლობა მოქალაქეობის შესახებ.

კონფლიქტი ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წ. 20 აპრილს შეიქმნა ბოლშევიკური ხელისუფლების ინიციატივით, რაც აბსოლუტურად არალეგიტიმური იყო. მიუღებელი იყო თვით ტერმინიც “სამხრეთ ოსეთი”, რადგან “სამხრეთ ოსეთად” წოდებული ტერიტორია ისტორიულად ქართული მიწა-წყალი იყო და საერთო არაფერი ჰქონდა ისტორიულ ოსეთთან (ამუამად ჩრდილოეთ ოსეთი). ზემოაღნიშნული ტერმინი რუსეთის იმპერიის მესვეურთა ძალისხმევით გაჩნდა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში კავკასიაში გამომავალ რუსულ პრესაში.

მას შემდეგ, რაც 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში ფართოდ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, სსრკ-ის მაშინდელი ხელმძღვანელობის წაქეზებითა და ინიციატივით შეიქმნა სეპარატისტული ხასიათის ორგანიზაციები. ოსურმა “ეროვნულმა მოძრაობამ”, რომელსაც ორგანიზაცია “ადამონ ნიხასი” ხელმძღვანელობდა, მიზნად დაისახა ე.წ. სამხრეთ ოსეთის გაერთიანება რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილოეთ ოსეთთან. 1989 წლის აღწერით, რეგიონში მოსახლეობის უმრავლესობას (დაახლოებით 65%) ეთნიკური ოსები შეადგენდნენ, თუმცა ეს მთლიანად საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ოსების უმცირესობა იყო. 160 ათასი ოსიდან მხოლოდ 60 ათასი ცხოვრობდა ავტონომიურ ოლქში.

პირველი გამოსვლები ოლქში 1989 წელს დაიწყო, ხოლო პირველი შეტაკებები მოხდა 1990 წელს, როდესაც თბილისთან შეთანხმების გარეშე სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭომ 1990 წლის 21 სექტემბერს გამოაცხადა “სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის” შექმნა, ხოლო მოგვიანებით ავტონომიურ ოლქში არჩევნები ჩატარდა და ახლადარჩეულმა უზენაესმა საბჭომ ფაქტობრივად საქართველოსგან გამოყოფა გამოაცხადა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის დეკემბერში გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი რასაც შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება მოჰყვა.

შეიარაღებული სახით კონფლიქტი მიმდინარეობდა 1992 წ. ივნისამდე. ომი დამთავრდა სამხსრივი ქართულ-რუსულ-ოსური შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც სტატუსის გარკვევამდე რეგიონში სამხსრივი სამშვიდობო ძალები იმოქმედებდა.

მოლაპარაკებები თბილისსა და ცხინვალს შორის ეუთოს და რუსეთის შუამავლობით მიმდინარეობს. თუმცა დღევანდელ დღეს მოლაპარაკებათა პროცესი ფერხდება რუსეთის ხელისუფლებისა და ცხინვალის რეჟიმის არაკონსტრუქციული ქმედებების გამო.

აფხაზეთთან შედარებით, “სამხრეთ ოსეთის” კონფლიქტის მოგვარება საქართველოსათვის შედარებით უფრო ადვილ ამოცანას წარმოადგენს რიგი მიზეზების გამო, კერძოდ:

- საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთისგან განსხვავებით (სადაც კონტროლი მხოლოდ ზემო აფხაზეთზე ვრცელდება) ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ძალიან მნიშვნელოვან, მათ შორის ოსებით დასახლებულ ნაწილს – დაახლოებით 50%-ს აკონტროლებს (ახალგორის რაიონი, ლიახვის ხეობა, ფრონეს ხეობა);
- ქართული სამშვიდობო ძალები მონაწილეობენ სამშვიდობო ოპერაციებში;
- “სამხრეთ ოსეთს” ბევრად უარესი გეოგრაფიული მდგომარეობა გააჩნია აფხაზეთთან შედარებით;
- ცხინვალის რეგიონის ეკონომიკა აფხაზეთის ეკონომიკასთან შედარებით გაცილებით ჩამორჩენილია. თუ აფხაზეთს შეუძლია მიიღოს გარკვეული შემოსავალი ტურიზმიდან, ცხინვალის რეგიონში შემოსავლის უმთავრეს წყაროს, ისიც მოსახლეობის მცირე ნაწილისათვის მხოლოდ კონტრაბანდა წარმოადგენს;
- ცხინვალის სეპარატისტული რეგიონის სამხედრო ფორმირებები სამხედრო აღჭურვილობით გაცილებით ჩამორჩებიან აფხაზეთის უკანონო ფორმირებებს;
- აფხაზეთისაგან განსხვავებით ოსური საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე, მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლინობას. ამ მხრივ აღსანიშნავია ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციის შექმნა, რომლის ხელმძღვანელობა უმეტესად ოსებითაა დაკომპლექტებული და მათ ბევრი მხარდამჭერი ჰყავთ თვით ცხინვალშიც.

კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივები:

კონფლიქტის მოგვარების საწყის ეტაპზე აუცილებელია ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ძირითადი ფუნქციების განსაზღვრა, რათა გამოიწვევს იქნეს ცენტრალური ხელისუფლებისა და ადმინისტრაციული ერთეულის კომპეტენცია. ამავე დროს ქართულ და ოსურ მხარეებს შორის მოლაპარაკებათა შედეგად აუცილებელია მუდმივმოქმედი სტრუქტურის შექმნა, რომელსაც სავარაუდოდ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი ექნება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია განისაზღვროს ამ ადმინისტრაციული ერთეულის ახალი დასახელებაც. უნდა იყოს ეს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, თუ მაგალითად ავტონომიური ოლქი და ა.შ. ან უბრალოდ მისი სახელწოდება მხოლოდ სამხრეთ ოსეთი იქნება;

ამავე დროს დროებით ადმინისტრაციას უნდა მიეცეს უფლება შექმნას საკუთარი სიმბოლიკა-დროშა, გერბი;

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი უნდა განისაზღვროს საქართველოს კონსტიტუციური კანონით;

დღევანდელ ეტაპზე მნიშვნელოვანია დროებითი ადმინისტრაციის წარმომადგენლის შერეული საკონტროლო კომისიის შემადგენლობაში შეყვანა.

ამ მხრივ საქართველოს ხელისუფლებამ ძალისხმევა არ უნდა დაიშუროს, საერთაშორისო სტრუქტურებთან და სხვადასხვა ქვეყანასთან მოლაპარაკებების საწარმოებლად, რათა ადმინისტრაციას მიეცეს ლეგიტიმური სტატუსი ოთხმხრივ შერეულ (საქართველო, რუსეთი, ოსეთი, ეუთო) საკონტროლო კომისიაში;

მნიშვნელოვანია დროებითი ადმინისტრაციული ერთეულისათვის დაფინანსების გაზრდა, რათა ამ სტრუქტურის მეშვეობით მოხდეს ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2007 წელს საქართველომ რეგიონში სხვადასხვა პროგრამების განსახორციელებლად 13 მილიონი ლარი გამოყო;

აუცილებელია დონორებთან-პირველ რიგში ევროკავშირთან მოლაპარაკებების გამართვა (რომელის უკვე ახორციელებს სხვადასხვა პროექტს რეგიონში) ახალი პროექტების განსახორციელებლად;

შემდგომისდაგვარად საქართველოს ხელისუფლებისა და ადმინისტრაციული ერთეულის ერთობლივი ძალისხმევით უნდა წარიმართოს მუშაობა ცხინვალის რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის (ცხინვალში მოსახლეობის დაახლოებით 60% უმუშევარია) საქართველოსა და დროებითი ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელ პროექტებში დასაქმება.

საქართველოს პარლამენტში უნდა განისაზღვროს შესაბამისი კვოტა ოსური დეპუტაციის წარმომადგენლებისათვის;

ასევე დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის მიერ საკანონმდებლო სტრუქტურის შექმნის შემთხვევაში უნდა განისაზღვროს ქართული და ოსური დეპუტაციების კვოტები ახლადშექმნილ ორგანოში;

განისაზღვროს გარკვეული საგადასახადო შეღავათები დროებითი ადმინისტრაციისათვის;

ასევე უნდა დაინერგოს ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე ოსურ სკოლებში ქართულის, ხოლო ქართულ სკოლებში ოსური ენის სწავლება.

ზემოაღნიშნულმა ერთობლივმა ქმედებებმა, აგრეთვე როგორც უკვე აღინიშნა საქართველოს ეკონომიკურმა განვითარებამ მომავალში უნდა გამოიწვიოს ცხინვალის რეჟიმის წარმომადგენლებისა და ამ რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დაინტერესება, რათა განახლდეს მოლაპარაკებები თბილისსა და ცხინვალს შორის სამხრეთ ოსეთის საბოლოო სტატუსის დასადგენად, მისი ფართო ავტონომიური უფლებებით ერთიანი საქართველოს ფარგლებში.

ნატოს ევროპელი მოკავშირეების შესაძლო როლი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში

კავკასიის რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში დიდი ხანია ფორმალურად ჩართულნი არიან საერთაშორისო ორგანიზაციები, თუმცა, განსხვავებით დასავლეთ ბალკანეთისაგან, მათი მონაწილეობა პასიურია და მოკლებულია სათანადო მოტივაციას. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ნატოს ევროპელი მოკავშირეების გააქტიურების მცდელობა, მათ შორის სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვაში ევროკავშირის ფარგლებში ახლადშექმნილი სპეციალური წარმომადგენლის ინსტიტუტის მეშვეობით. რუსეთის როლი კვლავაც დესტრუქციულია, რაც გამოიხატება მის ხელთ არსებული რესურსების კონფლიქტების მოწესრიგების პროცესის “გაყინვის” მიზნით გამოყენებაში. გარკვეულწილად, ამიტომაც არის, რომ კონფლიქტები მთიან ყარაბაღში, აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში “ქრონიკულ ფაზაში” იმყოფება და კვლავ რჩება დაძაბულობის ესკალაციის საშიშროება.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ევროპელი მოკავშირეები საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში ევროკავშირის ფარგლებში მოქმედებენ.

ევროკავშირის მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხებში რამდენიმე დოკუმენტშია ასახული, მათ შორის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საქართველო – ევროკავშირის ერთობლივი სამოქმედო გეგმის ფარგლებში. აქ ეს თემა გამოყოფილია, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი შეეცდება გააქტიურდეს, მაქსიმალურად ქმედითი იყოს ამ კონფლიქტების მოგვარების საკითხებში. ხსენებულ გეგმაში არ არის დაკონკრეტებული, სახელდობრ რის გაკეთებას აპირებს ევროკავშირი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი საკითხი მაინც არის მინიშნებული. მაგალითად, ნათქვამია, რომ ევროკავშირმა რუსეთთან პერმანენტული დიალოგი უნდა აწარმოოს. კონფლიქტების გადაწყვეტის მიმართულებით ევროკავშირის ფინანსურ მხარდაჭერას ითვალისწინებს ოთხწლიანი ნაციონალური ეროვნული ინდიკატური პროგრამა. მასში გაწერილ პრიორიტეტებს შორის ერთ-ერთ პრიორიტეტად კონფლიქტებისადმი მშვიდობიანი მხარდაჭერა სახელდება. პროგრამა, მთლიანობაში, ითვალისწინებს საქართველოსადმი დახმარებას 120 მილიონი ევროს ფარგლებში. მათ შორის კონფლიქტების მხარდასაჭერად 2007-2010 წლების განმავლობაში 25-30 მილიონი ევრო დაიხარჯება.

აღსანიშნავია, ევროკავშირის წარმომადგენლის სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნების მიერ შემუშავებული სპეციალური გეგმა, რომელიც კონფლიქტის მოგვარების გზებზე მიუთითებს და განსახილველად 2007 წლის მარტში ევროკავშირში იქნა წარდგენილი. ევროკავშირის ინიციატივა ამ გეგმის მიხედვით არ სცილდება სამოქალაქო და ეკონომიკურ სფეროებს. კონკრეტულად: აფხაზეთში უნდა განხორციელდეს ევროკომისიის მიერ დაფინანსებული კულტურული პროგრამები; გაუმჯობესდეს აფხაზი მოსახლეობის ინფორმირება, რომელიც უმცირესობაში იმყოფება აფხაზეთში. ქართული სახელმწიფოს ე.წ. ინფორმაციული პროპაგანდა გულისხმობს დააჯეროს აფხაზი ხალხი საქართველოსთან თანამშრომლობის საჭიროებაში. არგუმენტად აქ საქართველოს ეკონომიკური განვითარება და ევროინტეგრაცია სახელდება. სემნების გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე ევროკავშირის ორი ექსპერტის თბილისში მივლინებას და რამდენიმე ოფიცრის გამოგზავნას, რომლებიც კონსულტაციას გაუწევენ ქართველ მესაზღვრეებს. ევროკავშირი გამოთქვამს სურვილს, ჩაერთოს გაეროს მიერ განხორციელებული მოლაპარაკებების ფორმატში დამკვირვებლის ან სრულფასოვანი მონაწილის სახით. გეგმა გამორიცხავს რუსეთის თანხმობის გარეშე ევროკავშირის სამშვიდობოების გაგზავნას, როგორც აფხაზეთში, ისე ცხინვალის რეგიონში.

ევროკავშირის ჩართვა კონფლიქტის მოგვარების პროცესებში ძლიერ ობიექტურ მუხტს შემოიტანს. ამ შემთხვევაში ასე ადვილი არ იქნება ქართული მხარის კონსტრუქციული წინადადებების საკმაოდ გახშირებული იგნორირება.

მოკლედ რომ ვთქვათ გამოჩნდა პერსპექტივა იმისა, რომ ევროკავშირი და შესაბამისად ნატოს ევროპული სახელმწიფოები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტებთან მიმართებაში გააქტიურდებიან. რაც მთავარია, ევროკავშირის მყარი პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ კონფლიქტები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საფუძველზე უნდა მოგვარდეს.

ერთი თვალის გადავლებით ადვილად ჩანს, რომ ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე რეგიონული პროგრამები პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების ფართო სპექტრს მოიცავს. დახმარების პროგრამები მოიცავს გარემოსდაცვით, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, უსაფრთხოების, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის, კორუფციასთან ბრძოლის საკითხებს. ყველა ეს საკითხი უადრესად მნიშვნელოვანია რეგიონისთვის. მარტო შინაგანი უსაფრთხოების თემა მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორცაა “გაყინული

კონფლიქტები”, საზღვრის მონიტორინგი, ორგანიზებული დამნაშავეობა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და ტერორიზმი.

რა გავლენას მოახდენს ნატოში გაწევრიანება კონფლიქტების დარეგულირების პროცესზე?

მიუხედავად იმისა, რომ ნატოს ოფიციალურ პირებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესს ქვეყანაში არსებული კონფლიქტები ხელს ვერ შეუშლის, მაინც უნდა ითქვას, რომ საქართველოს ალიანსში გაწევრიანების ერთ-ერთი ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორი ქვეყანაში არსებული მოუგვარებელი კონფლიქტებია. ალიანსის თითოეულ სამიტსა თუ შეხვედრაზე, როდესაც საქმე საქართველოს შეეხება, აცხადებენ რომ მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ აქვე აღნიშნავენ, რომ საქართველომ თავად უნდა მოაგვაროს საკუთარი კონფლიქტები. ბოლო პერიოდში ალიანსის გენერალური მდივნის მიერ გაკეთებული განცხადებების თანახმად, ნატო საქართველოს გარდაუვალ მომავალს წარმოადგენს, თუმცა როგორ შევა ის ნატოში მოუგვარებელი თუ მოგვარებული კონფლიქტებით ამის შესახებ განცხადებები არ გაკეთებულა. ეს თემა კი საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია. ოპოზიციისა და ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ თუ საქართველო ნატოში გაწევრიანდა მოუგვარებელი კონფლიქტებით, ის დაკარგავს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. მაგრამ სხვა ექსპერტები და ხელისუფლება მსგავს საშიშროებას გამორიცხავენ.

ცხადია, ნატო ჩვენს ტერიტორიულ პრობლემებს ამ ეტაპზე ვერ მოაგვარებს (მხოლოდ დაგვეხმარება), მაგრამ საქართველო ნატოში გაწევრიანდება იმ ტერიტორიით, რა ტერიტორიითაც იგი არის გაწევრიანებული გაეროში, ეუთოში, ევროსაბჭოში და სხვა მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციაში, ხოლო ყველა ეს ორგანიზაცია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ცნობს საქართველოს შემადგენელ ნაწილებად. მსოფლიოში არსებობს მრავალი პრეცედენტი, როდესაც, ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მიუხედავად, ქვეყანა ხდება მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, მაგალითად კვიპროსი. კვიპროსი ევროკავშირში თავისი ტერიტორიული ხასიათის პრობლემით შევიდა. მიუხედავად ამისა, რომ ევროკავშირის იურისდიქცია არ ვრცელდება კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილზე, ქვეყანა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული საზღვრებით არის ევროკავშირის წევრი.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნატოს ისეთ წამყვან ევროპულ ქვეყნებს, როგორებიც არიან დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ესპანეთი, თავად გააჩნიათ შიდა კონფლიქტები შესაბამისად ჩრდილოეთ ირლანდიაში, კორსიკასა და ბასკეთში. მაგრამ ნატოს მესვეურთა პოზიცია განსაკუთრებით ის, რომ ამ კონფლიქტურ რეგიონებში პრობლემის გადაჭრა სწორედ რომ ამ კონკრეტული ქვეყნების შინაურ საქმეს წარმოადგენს. ამიტომაც, ის რომ საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების ნაწილზე, არ არის გადაუჭრელი პრობლემა ნატოში ინტეგრაციის გზაზე. პრობლემა არის ის, თუ რას აკეთებს ქვეყანა ამ ტერიტორიების დასაბრუნებლად. ნატოსთვის სწორედ ეს არის მთავარი.

იმ პოლიტიკურ სპექტრს, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს ნატოში გაწევრიანებას, ერთ-ერთ არგუმენტად კოსოვოს პრეცედენტი მოჰყავს. არის თუ არა საქართველოს შემთხვევაში კოსოვოს პრეცედენტი შემოფოთების საგანი? ამ კითხვაზე შესაბამისი პასუხი არსებობს, კერძოდ ის, რომ კოსოვოზე ამ რეგიონის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე გაეროს ადმინისტრაცია ვრცელდებოდა და შესაბამისად რეგიონში ჩატარებული ყველა არჩევნები

ლეგიტიმურად ჩაითვალა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, შესაბამისად საერთაშორისო საზოგადოება ცნობს ამ მხარის ხელისუფლებას. ამავე დროს, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი უკონტროლო ტერიტორიებს წარმოადგენენ და საერთაშორისო თანამეგობრობა ამ რეგიონების დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს ოფიციალურად არ ცნობს.

გარდა ამისა აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა კონფლიქტი არის უნიკალური. ყველა კონფლიქტს თავისი ფესვები, მიზეზები, განსხვავებული მხარეები, გეოგრაფია, შემადგენლობა, მსხვერპლი, მეზობლები და ა.შ. გააჩნია.

ასევე აუცილებელია ხაზი გაესვას კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, კერძოდ, დღევანდელ საქართველოში სამწუხაროდ ჯერ კიდევ არიან ისეთი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ნეგატიური გავლენა მოახდინონ ქვეყნის მოსახლეობაზე და აცხადებენ, რომ საქართველო ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში ვერ დაიბრუნებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს და ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ექნება ნეიტრალური სტატუსი, რაც თავის მხრივ შეამცირებს დაძაბულობას რუსეთთან, რომელიც ყველანაირად ხელს უშლის და შეუშლის საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციაზე უარს განაცხადებს, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ჩვენს ქვეყანას დაეხმარება შიდა კონფლიქტების მოგვარებაში. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს რამდენიმე ფაქტი. კერძოდ:

- საქართველოს მსგავსად, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა 1992 წლიდან მოყოლებული გააჩნია დსთ-ის კიდევ ერთ სახელმწიფოს-მოლდოვას, რომელიც ვერ აკონტროლებს დნესტრისპირეთის ტერიტორიას. მიუხედავად იმისა, რომ მოლდოვას ამ ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით უკვე 15 წელზე მეტია ნეიტრალური სტატუსი გააჩნია, და ამავე დროს რუსეთის მიმართ შედარებით ლოიალურ პოლიტიკას აწარმოებს, მოსკოვი ისევ განაგრძობს დნესტრისპირეთის სეპარატისტული რეჟიმის მხარდაჭერას, ამიტომაც ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ რუსეთი იგივე პოლიტიკას გააგრძელებს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სეპარატისტული რეჟიმების მიმართ, რომელსაც იგი დღევანდელ დღეს ახორციელებს;

- მეორე ნეიტრალიტეტის საწინააღმდეგო კიდევ უფრო დამაჯერებელი არგუმენტი გახლავთ ის, რომ საქართველოს უკვე გააჩნია უახლოეს წარსულში რუსეთთან “სტრატეგიული პარტნიორობის” გამოცდილება. კერძოდ, აფხაზეთში და დასავლეთ საქართველოში 1992-1993 წლებში წარმოებული საომარი მოქმედებების დასკნით ეტაპზე რუსეთმა აიძულა ჩვენი ქვეყანა, რომ იგი დსთ-ში გაწევრიანებულიყო და ამასთანავე გამხდარიყო რუსეთის ინიციატივით დსთ-ის ფარგლებში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის-დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი. თუმცა, საქართველოს მიერ რუსეთის მიერ ამ პირობებზე დათანხმების მიუხედავად, რუსეთმა არაფერი გააკეთა ჩვენს ქვეყანაში ტერიტორიული კონფლიქტების საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტის მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით ისმება სრულიად ლოგიკური კითხვა, თუ რუსეთმა ხელი არ შეუწყო საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებას იმ დროს, როდესაც საქართველოს ე.წ. “პრორუსული” საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია ჰქონდა აღებულ და იყო დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი (საქართველო ამ ორგანიზაციიდან 1999 წელს გამოვიდა), რატომ დაეხმარება მოსკოვი კონფლიქტების მოგვარებას საქართველოს ნეიტრალიტეტის შემთხვევაში?

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსთვის სეპარატიზმის დამარცხების გზაზე ყველაზე მომგებიანი იქნება ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება, რადგანაც როგორც წიგნში უკვე იყო აღნიშნული, ნატოში გაწევრიანებას შემთხვევაში დღევანდელისაგან არსებითად განსხვავებულ რეალობასთან გვექნება საქმე. ქვეყანა, რომელიც ნატოს სტანდარტებს შეესაბამება პოლიტიკური, სამხედრო და სოციალ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, უფრო სასურველი იქნება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოქალაქეებისათვის, რასაც არ შეიძლება კეთილისმყოფელი გავლენა არ ჰქონდეს მოლაპარაკებების პროცესზე და, რაც მთავარია, საქართველოზე ნატოს წესდების მე-5 მუხლის გავრცელების შემთხვევაში გამოირიცხება 90-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენების კვლავ განმეორება, რადგან საქართველო მაქსიმალურად იქნება დაზღვეული დესტრუქციული ძალების ჩარევისაგან, სადაც პირველ რიგში იგულისხმება რუსეთის ჩარევა ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში, როდესაც ოფიციალური მოსკოვი მხარს უჭერდა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების და ასევე რუსეთის რეგულარული საჯარისო ნაწილების აფხაზეთსა და ცხინვალში გაგზავნას, რისი გამეორებითაც იგი ეხლაც იმუქრება სეპარატისტულ რეგიონებში საომარი მოქმედებების განახლების შემთხვევაში.

როდესაც რუსეთი მომავალში ნათლად დაინახავს, რომ საქართველოს, როგორც ნატოს წევრს შეეძლება იქონიოს დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების მხარდაჭერა, იგი ვეღარ გაბედავს თავისი აგრესიული ზრახვების განხორციელებას, ხოლო სეპარატისტებს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის სახით მთავარი მხარდაჭერა გამოეცლებათ, რაც ცხინვალისა და სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს აიძულებს მიუჯდნენ მოლაპარაკების მაგიდას ქართულ მხარესთან.

პრობლემები სასამართლო სისტემაში

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომლის შესახებაც ნატო საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე ასახელებს, გახლავთ სასამართლო სისტემა, სადაც ალიანსის მესვეურთა აზრით გარკვეული პრობლემები არსებობს.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, აუცილებელია აღინიშნოს იმ დაწყებული რეფორმების შესახებ, რომელსაც საქართველოს უზენაესი სასამართლო ახორციელებს. კერძოდ, სასამართლო პოლიტიკის განხორციელების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

უკვე 2006 წლის დეკემბრიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტატუსი კონსტიტუციით იქნა განსაზღვრული. ქვეყნის უზენაეს კანონში კერძოდ აღნიშნულია, რომ მოსამართლეთა თანამდებობებზე დანიშნის, მათი განთავისუფლებისა და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება იუსტიციის უმაღლესი საბჭო. შეიძლება ითქვას, რომ 2006 წლის დეკემბრიდან საბჭო არის სასამართლო სისტემის ორგანიზაციული მართვის უმთავრესი ორგანო. მის კომპეტენციას განეკუთვნება ისეთი საკითხები, როგორებიცაა ახალი მოსამართლეების შერჩევა-დანიშვნა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა, სასამართლო სისტემის ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები, ურთიერთობა მთავრობასთან, პარლამენტთან, ასევე სასამართლოს შიდა ორგანიზაციული საკითხები. ამავე დროს საბჭო მისი შექმნის პირველ ეტაპზე პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წარმომადგენდა, თუმცა განხორციელებული რეფორმების შედეგად იგი უკვე აღარ არის პრეზიდენტის სათათბირო ორგანო და პრეზიდენტის ფუნქციებიც მნიშვნელოვნად შეიზღუდა, და ამჟამად საბჭოს

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად დადგინდა, რომ საბჭოში უმრავლესობას უნდა წარმოადგენდნენ მოსამართლეები.

საბჭოს შემადგენლობაში სულ 15 წევრი შედის. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გარდა, რომელიც საბჭოს ხელმძღვანელობს, დანარჩენი 14 წევრიდან 8 მოქმედ მოსამართლეს წარმოადგენს და მათ თავად ირჩევენ მოსამართლეები. რაც შეეხება საბჭოს დანარჩენ 6 წევრს, მათი არჩევის კრიტერიუმი არ შეცვლილა, საბჭოს ორ წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, ხოლო 4-ს პარლამენტი.

ამრიგად, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს სასამართლო სისტემაში გარკვეული ძვრები შეინიშნება, რაც საბოლოო ჯამში იმედია დადებითად აისახება საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესზე.

NATO-ს ინტერესები საქართველოს მიმართ

როდესაც ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია ჩნდება კითხვა, რა ინტერესები შეიძლება გააჩნდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს საქართველოს მიმართ?

პირველ რიგში ალბათ აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ალიანსის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში აუცილებლად უნდა განვიხილოთ კავკასიის რეგიონთან მჭიდრო კავშირში. ნატოს ინტერესები მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე მთელ სამხრეთ კავკასიას მოიცავს. თუ ჩვენ გადავხედავთ ნატოს გაფართოების პროცესს ორგანიზაციის დაარსებიდან დღემდე, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ მისი პოლიტიკის განხორციელებისას ორგანიზაცია უპირატესობას ანიჭებდა ერთდროულად რამდენიმე და არა ერთი სახელმწიფოს ალიანსში ინტეგრაციას. (გამონაკლისია მხოლოდ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და ესპანეთის გაწევრიანება ორგანიზაციაში). ნატოს მიერ პარტნიორული ურთიერთობების განვითარების პროცესში პრიორიტეტი ენიჭება ასევე რამდენიმე სახელმწიფოსთან ერთდროულად თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას. როგორც წესი, ამ სახელმწიფოებთან ურთიერთობა ხორციელდება ორგანიზაციის რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში. მაგალითად, ნატოს რეგიონული პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ან უფრო ფართოდ—შავი ზღვის რეგიონში, ასევე, ცენტრალურ აზიაში. რეგიონული პოლიტიკა ხორციელდება (თუმცა არა პარტნიორულ დონეზე) ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონის ქვეყნებთან ხმელთაშუაზღვის დიალოგის ფარგლებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ ეტაპზე შავი ზღვის რეგიონში პარტნიორ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში იკვეთება უფრო კონკრეტული მიმართულებები: განსაკუთრებული დამოკიდებულება საქართველოსთან და უკრაინასთან, რისი რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, ორივე ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტს დასავლეთის ქვეყნებთან და დასავლურ სტრუქტურებთან ურთიერთობების გაღრმავება წარმოადგენს, განსაკუთრებით გაძლიერებული ძალისხმევა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ინტეგრაციას უკავშირდება. ასევე, ალიანსის ინტერესს წარმოადგენს უკანასკნელი პერიოდში დემოკრატიული გარდაქმნები ამ ქვეყნებში.

თუმცა ამავე დროს აღსანიშნავია, რომ როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ნატოს რეგიონალურ პოლიტიკაზე, უნდა ხაზი გავუსვათ ნატოსთან თანამშრომლობის გზაზე თითოეული რეგიონის სპეციფიკურობას, კერძოდ, როგორც ავღნიშნეთ, ნატოს თავისი ინტერესები გააჩნია მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში, მაგრამ ამავე დროს ამ რეგიონის სამი ქვეყნიდან მხოლოდ საქართველო

აცხადებს სურვილს გაწევრიანდეს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში, ამიტომაც კავკასიის შემთხვევაში ნატოს მოსალოდნელი გაფართოება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოსთან მიმართებაში განიხილება, განსხვავებით იგივე ბალტიისპირეთისა ან აღმოსავლეთ ევროპისაგან. ბალტიისპირეთის სამივე სახელმწიფოს ნატოში ერთდროულად გაწევრიანება მოხდა იმის გამო, რომ სამივე ქვეყანას-ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს გააჩნდა სურვილი ალიანსში გაწევრიანებისა და მათ შეძლეს ნატოს სტანდარტების დაკმაყოფილება, იგივე შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ ევროპის სამ სახელმწიფოზე-პოლონეთზე, ჩეხეთზე და უნგრეთზე, რომლებიც ნატოში 1999 წელს ერთდროულად გაწევრიანდნენ, ან იგივე შავი ზღვის დასავლეთი ნაწილის მონაპირე ქვეყნებზე-რუმინეთზე და ბულგარეთზე. რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს, ნატოს ჩვენი ქვეყნის მიმართ შეიძლება ჰქონდეს შემდეგი სახის ინტერესები:

- გეოეკონომიკური ინტერესები: ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ალიანსის დაინტერესებისა სამხრეთ კავკასიის მიმართ გახლავთ კასპიის რეგიონში არსებული ენერგეტიკული რესურსები, პროექტები რომლებიც დაკავშირებულია ამ რესურსების დასავლეთის მიმართულებით საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირებასთან. ენერგომატარებელთა წყაროების დივერსიფიცირების საკითხმა განსაკუთრებითი აქტუალობა შეიძინა ევროპისათვის იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ევროპა თავისი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ეძებს ნავთობისა და გაზის იმპორტირების ალტერნატიულ გზებს, რათა თავიდან იყოს აცილებული პოლიტიკურად არასტაბილურ რუსეთზე ან სპარსეთის ყურეზე ენერგეტიკული დამოკიდებულება. უცილებელია ავღნიშნოთ ის ენერგოკრიზისი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2006 წლის დასაწყისში და რომელიც განპირობებული იყო რუსული ბუნებრივი აირის უკრაინის ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირების შეფერხებით. ამის შემდეგ, ევროპის სახელმწიფოთა დღის წესრიგში დადგა ენერგომატარებლების წყაროების დივერსიფიცირების აუცილებლობის საკითხი. ვითარებას ართულებს არასტაბილური მდგომარეობა ნავთობრესურსებით უმდიდრეს რეგიონებში, სპარსეთის ყურეში და ირანში, რაც კიდევ უფრო ზრდის ალტერნატიულ წყაროთა მნიშვნელობას.

ამრიგად, კავკასიაში და კასპიის რეგიონში არსებული ენერგორესურსები და მათი სტაბილური მიწოდება ევროპაში, უკვე ნატოსა და ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების პრიორიტეტული ინტერესების სფეროს წარმოადგენს.

ასევე, უნდა აღინიშნოს ევრაზიული დერეფნის პროექტის შესახებ, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიის გავლით ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ერთმანეთთან დაკავშირება და მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარება. ერთ-ერთ ასეთ უმნიშვნელოვან პროექტად შეიძლება იქცეს ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა, რომელზეც დეტალურ ყურადღებას ოდნავ მოგვიანებით გავამახვილებთ.

- გეოპოლიტიკური ინტერესები: კავკასიაში ნატოს გეოპოლიტიკური ინტერესები შეიძლება დაუკავშიროთ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ამერიკელი გეოპოლიტიკოსების მიერ “ჰართლენდისა და რიმლენდის” თეორიის ბაზაზე შემუშავებულ „აღყაშემორტყმული ციხესიმაგრის“ კონცეფციას, რომლის პრაქტიკულ განხორციელებას უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძირითადად ნატო ასრულებდა. ამერიკელ გეოპოლიტიკოსთა იდეებზე და თეორიებზე დაყრდნობით აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ ჩამოყალიბებული „აღყაშემორტყმული ციხესიმაგრის“ კონცეფცია (მეორენაირად მას „ანაკონდას“ სტრატეგიასაც უწოდებდნენ) მიმართული იყო სსრკ-ს და ვარშავის პაქტის წინააღმდეგ და ითვალისწინებდა „რიმლენდის“ (შეიძლება სხვანაირად ეს

სივრცე წარმოვიდგინოთ როგორც საზღვაო და სახმელეთო რეგიონებს შორის არსებული ტერიტორია-ანუ კონტინენტის მონაპირე მხარე) გეოპოლიტიკურ სივრცეში ნატოში ახალი წევრების მიღებას, იმ ქვეყნებისა, რომლებიც სსრკ-ის სიახლოვეს მდებარეობდნენ ან უშუალოდ ესაზღვრებოდნენ (მაგალითად საბერძნეთი და თურქეთი) და ასევე ანტისაბჭოთა სამხედრო ბლოკების შექმნის გზით “ჰარტლენდის” (კონტინენტის სიღრმეში არსებული ტერიტორია) შევიწროებას. დღესდღეობით, პოსტბიპოლარულ პერიოდში, მართალია საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, თუმცა შეიძლება ითქვას, და ამას უკანასკნელ პერიოდში რუსეთში მიმდინარე მოვლენები და რუსეთის ოფიციალური პირების განცხადებები ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირი გარკვეულწილად ჩაანაცვლა რუსეთმა. მიუხედავად თანამშრომლობის შესახებ ნატოსა და რუსეთს შორის რამდენიმე ხელშეკრულების არსებობისა, დაპირისპირება ბევრ საკითხთან დაკავშირებით არსებობს და რუსეთიდან მომდინარე საფრთხე ჯერ კიდევ არ განეიტრალებულა-რაც დაკავშირებულია რუსეთის მიერ სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერასთან, რაც მთლიანობაში ევროატლანტიკურ რეგიონს უქმნის პრობლემას, ასევე მოსკოვის მიერ დასავლეთისადმი არაკეთილგანწყობილი რეჟიმების მხარდაჭერა და მათთვის შეიარაღებისა და ბირთვული მასალების არალეგალური მიყიდვა (ირანი, ვენესუელა), აგრეთვე ენერგომანტაჟი რუსეთის მხრიდან, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებიდან გამოსვლა და ა.შ. ამ შემთხვევაში ნატოს აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გაფართოებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, რაც საშუალებას მისცემს ალიანსს რუსეთის უშუალო საზღვრების სიახლოვეს კიდევ უფრო შეზღუდოს რუსეთი თავის ქმედებებში. ამ თეორიის მიხედვით ნატოს აღმოსავლეთის გაფართოების ლოგიკურ გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ საქართველოსთან და უკრაინასთან მნიშვნელოვნად დაახლოება, საბოლოოდ მათი ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით.

- გეოსტრატეგიული ინტერესები: ნატოს-როგორც სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს, კავკასიის რეგიონში ასევე გააჩნია თავისი სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები, სადაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სამხედრო, გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორები. შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ სამხედრო-სტრატეგიულ ფაქტორზე. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო დაგეგმარების პრინციპი ეფუძნება „მოქნილი რეაგირების“ სტრატეგიას, რაც გულისხმობს სამხედრო ღონისძიებათა ჩატარების საჭიროების შემთხვევაში სწრაფ რეაგირებას, და ამ მიმართულებით, ისეთი ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის მქონე რეგიონი, როგორცაა სამხრეთ კავკასია, ალიანსის დიდ ყურადღებას იმსახურებს.

დღევანდელ ეტაპზე, იმ პირობებში, როდესაც სპარსეთის ყურეში და ახლო და ცენტრალურ აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ალიანსის მიერ აღიქმება საფრთხის მთავარ წყაროდ, ნატო იძულებულია განახორციელოს და გაააქტიუროს თავისი პოლიტიკა აზიის ამ რეგიონებში და ამ მიმართულებით საქართველოს სტრატეგიული მნიშვნელობა ალიანსისათვის კიდევ უფრო იზრდება. ჩვენი ქვეყანა გეოგრაფიულად ძალიან ახლოს მდებარეობს ამ რეგიონებიდან და, შესაბამისად, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კავკასიაში ფეხის მოკიდებით შეძლებს უფრო აქტიური პოლიტიკის განხორციელებას საფრთხის შემცველი რეგიონის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციისათვის საქართველოს სტრატეგიული ღირებულება კიდევ უფრო იზრდება ავღანეთში ნატოს მიერ წარმოებული სახმელეთო ოპერაციების წარმოებისა და ირანთან, ამ უკანასკნელის მიერ ბირთვული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული დაძაბული ურთიერთობების ფონზე. ამ მხრივ ყურადღებას

იმსახურებს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი თავდაცვის მდივნის დონალდ რამსფელდის მოხსენება 2006 წლის თებერვალში გამართულ მიუნხენის 42-ე საერთაშორისო კონფერენციაზე, კერძოდ, თავდაცვის მდივანმა აღნიშნა, რომ სართაშორისო საზოგადოებამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქცენტი უნდა გააკეთოს ირანზე. მან განაცხადა, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა არის პარტნიორებისა და მოკავშირეების მოძიება კრიზისულ რეგიონში, რათა განხორციელდეს მუდმივი ზეწოლა ამ ქვეყანაზე.

უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციის გაფართოების პროცესში ირანის ფაქტორმა შეიძლება ითამაშოს “დამაჩქარებლის” როლი, ისევე როგორც გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანებში ბოსნია-ჰერცეგოვინის მოვლენებმა, რასაც მოჰყვა პოლონეთის, უნგრეთის და ჩეხეთის რესპუბლიკის ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესის დაჩქარება, 1999 წელს კოსოვოს მოვლენებმა, რამაც ასევე დააჩქარა გაფართოების ბოლო ეტაპი. ცხადია, ამ თვალსაზრისით უნდა გამოვყოთ 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები. ეს იყო უდიდესი ეფექტის მქონე მოვლენა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა ორგანიზაციის გაფართოების მომხრეთა რაოდენობა თავად NATO-ს მესვეურთა შორის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტად, რომელმაც შესაძლოა გაზარდოს ალიანსის ინტერესები საქართველოს მიმართ, შესაძლოა იქცეს ნატოს წევრი თურქეთის ფაქტორი. მნიშვნელოვანი აღინიშნოს, რომ სულ უფრო იზრდება გარკვეული დაპირისპირება თურქეთსა და დასავლეთს შორის. ამიტომაც, ნატოს მიერ ერთ მშვენიერ დღეს თურქეთის სახით ახლო აღმოსავლეთში და შავი ზღვის რეგიონში პარტნიორის დაკარგვის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ალტერნატიული სტრატეგიული პარტნიორის არსებობა.

თურქეთის პრემიერის განცხადებით, თურქულენოვანი სახელმწიფოები, რომელთაც ისტორიულ-კულტურული ღირებულებები და ადამიანური კავშირები აერთიანებთ, საგარეო-პოლიტიკურ სფეროში არაკოორდინირებულ ქმედებათა გამო ძალიან ბევრს კარგავენ. ამის გამოსასწორებლად ერთდროს თურქულენოვან სახელმწიფოთა მეთაურების ყოველწლიური სამიტების ინსტიტუციონალიზებასა და მუდმივი სამდივნოს შექმნის ინიციატივით გამოვიდა. პოლიტიკური კავშირის შექმნის იდეა თურქეთის ხელისუფლებამ პირველად ამ ორგანიზაციის წინა კონგრესზე გამოთქვა. ახალი გაერთიანებას შექმნის პერსპექტივებს საფრთხე რომ არ დაემუქროს, თურქეთი მზად არის, გაერთიანების შესაძლო წევრებს შორის არსებული წინააღმდეგობების უმთავრესად სასაზღვრო პრობლემათა მოგვარების საქმეში შუამავლის მისიაც იტვირთოს.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე თურქულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში, რესპუბლიკის დამფუძნებელ მამის უსტაფა ქემალ ათათუეჟის ანდერძისამებრ, გვიანდელი ოტომანთაგან მიმდინარე ოცნებები იმპერიის შუა აზიამდე განვრცობის შესახებ ტაბუირებული გახლდათ. 1991 წლის შემდეგ ნაციონალისტ თურქთა მისწრაფება, თურქული გავლენის სარტყელი ადრიატიკიდან ჩინეთამდე აღადგინონ, რეანიმირდება და ანკარამ, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის თურქულენოვან სახელმწიფოებთან ერთად, პოლიტიკური გაერთიანების ჩამოყალიბება სცადა.

ამ მიმართულებით ანკარა, 2002 წლის ნოემბერში ხელისუფლებაში ზომიერი ისლამისტების მოსვლის შემდეგ, ისევ გააქტიურდა. იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლებამ ევროკავშირში გაწევრიანება უმთავრეს პრიორიტეტად დასახა, იმავდროულად არაბულ სამყაროსთან მთვლემარე კავშირების გაცოცხლებაც დაიწყო და ახლოაღმოსავლურ სარბიელზეც მჩქეფარე დიპლომატიური საქმიანობაც გააჩადა, ეკონომიკის სტაბილური ზრდის კვალობაზე თურქულენოვან სახელმწიფოებთან პოლიტიკური კავშირების

იდეასაც დაუბრუნდა და ვაშინგტონის დაქინებული მოთხოვნის წინააღმდეგ, “ურჩ” ირანთან ენერჯექტივის სფეროში რამდენიმე მსხვილი კონტრაქტის გაფორმებაზეც წავიდა.

მიმომხილველთა აზრით, თურქეთის საგარეო პოლიტიკაში აღმოსავლური ვექტორის გაძლიერება ბოლო წლებში დასავლეთთან მისი ურთიერთობების გართულებით უნდა აიხსნას. ანკარის გაღიზიანებას რამდენიმე ფაქტორი იწვევს. უწინარესად ის, რომ ევროკავშირში მისი შესვლის თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებს ბოლო არ უჩანს-ბრიუსელი თურქეთისგან მრავალი წინაპირობის დაკმაყოფილებას ითხოვს, ხოლო საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი სულაც აცხადებს, რომ თურქეთის ადგილი ევროკავშირში საერთოდ არ არის. დასავლეთისა და თურქეთის პოზიციების თანხვედრა ამ უკანასკნელისთვის ისეთ უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან დაკავშირებითაც არ ხდება, როგორცაა ჩრდილოეთ კვიპროსის სტატუსი, დამოკიდებულება ქურთულ უმცირესობასთან თუ სოხების გენოციდი. ყველა ამ საკითხში ანკარა დასავლელი მოკავშირეებისგან, განსაკუთრებით კი აშშ-სგან თავს ნაღალატევად მიიჩნევს. ამგვარ განწყობას ასახავს ის, რომ თურქებს შორის შესამჩნევად მცირდება ევრომომხრეთა რაოდენობა, ხოლო აშშ-ის, მოსახლეობის მხოლოდ 9 პროცენტია აფასებს დადებითად. ცნობისათვის იგივე მაჩვენებელი 2000 წელს 52 პროცენტს შეადგენდა.

“აშკარაა, რომ რეალური საფრთხეები თურქეთს არა მეზობლებისგან, არამედ მოკავშირეებისგან ემუქრება”-დარწმუნებულია ლიბერალ-ისლამური გაზეთის “ზამანის” მესვეტე ალი ბულკაჯი(95). იმას, რომ ასეთმა შეხედულებებმა თურქულ საზოგადოებაში უკვე მკვიდრად გაიღვა ფეხვი, საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორი იჰსან დაგიც ადასტურებს: “ხალხს მართლაც სჯერა, რომ ამერიკა აღარ არის მეგობარი და მოკავშირე და რომ პირიქით, ის თურქეთის ეროვნული უსაფრთხოებისათვის უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს, ხუთი წლის წინ ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო, ახლა კი ეს უკვე დომინანტური შეხედულებაა. (96)”

ამიტომაც, თურქეთთან ურთიერთობების გაუარესების შემთხვევაში დასავლეთს რეგიონში სხვა საიმედო დასასყრდენი სჭირდება.

გერმანიის მარშალი ფონდის ხელმძღვანელი რონალდ ასმუსი, რომელიც ამავე დროს NATO-ს ღია კარის პოლიტიკის მხადამჭერია, მიიჩნევს, რომ 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტებმა საფუძველი დაუდო ორგანიზაციის მეორე მნიშვნელოვან განახლებას. ასმუსის აზრით პოსტ-“ცივი ომის” ეპოქაში ალიანსის დღის წესრიგში დგას ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ ამავე დროს ერთმანეთთან კავშირში მყოფი ამოცანები, რომელიც ორგანიზაციის მეორე განახლების ამოსავალ მიმართულებებს უნდა წარმოადგენდეს:

პირველი: ორგანიზაციამ უნდა შეინარჩუნოს, და უფრო მეტიც, გააღრმავოს დემოკრატიის მხარდაჭერის სტრატეგია შავი ზღვის რეგიონში. უფრო კონკრეტულად, აქ იგულისხმება “ვარდების” და “ნარინჯისფერი” რევოლუციების მონაპოვარის განმტკიცებისათვის შესაბამისი პოლიტიკის წარმოება. ორგანიზაციამ ერგვარი წინამძღოლობა უნდა გაუწიოს უკრაინას და საქართველოს სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე. ამგვარი წინამძღოლობა წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო და ყველაზე ეფექტურ გზას ევროპისა და აშშ-სთვის, ხელი შეუწყოს დემოკრატიულ პროცესებს რუსეთში.

მეორე ამოცანა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება პირველს შემდეგში მდგომარეობს: ხელი შეუწყოს სტაბილურობას შავი ზღვის რეგიონში, რათა უზრუნველყოფილი იყოს, ერთის მხრივ ერთიანი, სტაბილური და მშვიდობიანი ევროპის კონცეფციის რეალიზება. მეორეს მხრივ, სტაბილური სამხრეთ კავკასია

გახდება მნიშვნელოვანი დასაყრდენი ორგანიზაციისათვის შუა აღმოსავლეთში საკუთარი ინტერესების განხორციელებისას.

ავტორი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ამოცანების შესრულება განპირობებს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მესამე დიდ ტალღას. ისევე, როგორც NATO-ს გაფართოების წინა ორმა ეტაპმა, რომელმაც მოიცვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა, შესაძლებელი გახადეს ამოეძიკვით ევროპის კონტინენტზე არსებული მრავალწლოვანი გეოპოლიტიკური დაპირისპირების საფუძვლები, ასევე უკრაინისა და შავი ზღვის რეგიონის ინტეგრაციაც დასავლეთში ხელს შეუწყობს ევროპის პოლიტიკური რუკის უკეთესობისაკენ გადასინჯვას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ავტორი მიიჩნევს, რომ სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებით ორგანიზაცია შეძლებს უფრო აქტიური პოლიტიკის განხორციელებას შუა აღმოსავლეთის რეგიონის მიმართულებით, სადაც, ავტორის აზრით, მდებარეობს საფრთხის მთავარი წყარო, რომელიც ემუქრება და უახლოეს მომავალშიც დაემუქრება დასავლეთის საზოგადოებას. შესაბამისად, პოსტ “ცივი ომის” პერიოდში ორგანიზაციის ახალ გარემო პირობებთან ადაპტაციის გზაზე შავი ზღვის რეგიონი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს (97).

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე, როდესაც ალიანსი მთავარ საფრთხედ განიხილავს ტერორიზმს, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასავლური წარმოდგენით მჭიდროდ უკავშირდება “დიდ” შუა აღმოსავლეთს. ამ რეგიონთან სიახლოვის და სტრატეგიული მდებარეობის გამო ალიანსი პრიორიტული ინტერესების სფეროდ აღიქვამს სამხრეთ კავკასიის რეგიონს და უფრო ზოგადად შავი ზღვის რეგიონს და ამ რეგიონის სახელმწიფოებთან დაახლოებას ახალ საფრთხეებთან დაპირისპირებისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს.

ალიანსის ინტერესები საქართველოს მონაწილეობით მოქმედ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებთან დაკავშირებით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნატოსთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის გავლით მოქმედი და პერსპექტივაში არსებული სამომავლო პროექტები, რომელთა წარმატებით განხორციელებამ უდიდესი სარგებელი შეიძლება მოუტანოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნებს და ხელი შეუწყოს საქართველოს ინტეგრაციას ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში. დეტალურად გაგაანალიზოთ თითოეული პროექტის მნიშვნელობა:

ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა: იმ პროექტთან, რომელიც სატრანსპორტო სფეროში კავკასიის რეგიონში უნდა განხორციელდეს, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ყარსი (თურქეთი)-ახალქალაქი (საქართველო)-თბილისი-ბაქოს(აზერბაიჯანი) რკინიგზის მონაკვეთის მშენებლობა.

ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის ტენდერით ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს 11 უცხოური კომპანია იყო დაინტერესებული.

1996 წლის 4 აპრილს საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტების უმაღლესი დონის შეხვედრაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია ორი ქვეყნის რკინიგზის დამაკავშირებელი თბილისი-ყარსი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა-დაპროექტების შესახებ.

1997 წლის ნოემბერში გამოცხადდა ტენდერი რკინიგზის მშენებლობაზე. აღნიშნული ტენდერის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე ახალი ორლიანდაგიანი ელექტროფიცირებული ხაზის

აშენებას და მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის რეკონსტრუქციას. თბილისი-მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზი ჯერ კიდევ 1986 წელს შევიდა ექსპლუატაციაში, მისი სიგრძე 160 კმ-ია და იგი აგებულია მესამე კატეგორიის ნორმების მიხედვით. პროექტის პირველი ეტაპის მიხედვით, აღნიშნული მონაკვეთი საჭიროებს ტექნიკურ გადაიარაღებას პირველი კატეგორიის ნორმების შესაბამისად. ამ ეტაპის სამუშაოების დასრულების ვადად 3 წელი განისაზღვრებოდა, ხოლო რაც შეეხება მეორე ეტაპს, უნდა განხორციელებულიყო მარაბდა-ახალქალაქის ხაზის გადაკეთება 2-ლიანდაგიან ელექტროფიცირებულ ხაზად. მიუხედავად იმისა, რომ რიგი ტექნიკური და ფინანსური მიზეზების გამო, ამ დონისძიებების ჩატარების დრო საგრძნობლად გაიწვია, 2006 წლის ბოლოს ახერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრის დროს საბოლოოდ გადაწყდა ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობა.

ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის ყარსი-ახალქალაქის მონაკვეთი 98-კმ-იანი სარკინიგზო ხაზის მშენებლობას ითვალისწინებს, რომლიდანაც 68 კილომეტრი თურქულზე, 30 კმ კი საქართველოზე მოდის. ამავდროულად აუცილებელია ახალქალაქი-თბილისის მონაკვეთის რეკონსტრუქციაც. პროექტის თურქული მონაკვეთის მშენებლობა 220 მილიონი დოლარი, ქართულის კი 202 მილიონი დოლარი დაჯდება. თანხმლები ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, პროექტის განხორციელებისათვის 600 მილიონი დოლარი დაიხარჯება. ექსპერტთა მონაცემებით, მაგისტრალი, რომელიც ევროპის სარკინიგზო ქსელზე პირდაპირ გავა, ევროპის მიმართულებით ყოველწლიურად 30 მილიონ ტონა ტვირთს გაატარებს. საგულისხმოა, რომ ამ სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედებით ევროპის ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან და ყაზახეთიდან ახერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ტვირთების თურქეთში და შემდგომ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ჩატანის ახალი შესაძლებლობები გაჩნდება.

სავარაუდოდ, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზას ყაზახეთი და ჩინეთი შეუერთდება. ორივე ქვეყნის წარმოდგენლებმა რკინიგზის მშენებლობის დასრულების შემთხვევაში, მასთან მიერთების სურვილი გამოთქვეს. ახალი სარკინიგზო გზით შესაძლებელი იქნება ყარსიდან ყაზახეთში, შანხაისა და ჰონკონგის მიმართულებით მგზავრობა. ასევე შესაძლებელია, “მარმარაის” პროექტთან მიერთებული ხაზით, ბრიტანეთიდან წამოსულმა მატარებელმა შავი ზღვის რეგიონის გავლით ჩინეთამდე მიაღწიოს.

სარკინიგზო სამუშაოების შესრულებისათვის ახერბაიჯანის მთავრობის ნავთობის ფონდი საქართველოს 200 მლნ. დოლარიან კრედიტს, 20 წლით-წლიური 1%-იანი განაკვეთით გამოუყოფს. კრედიტის ათვისება 2007-2010 წლებზეა გათვლილი. გარდა ამისა, პროექტის დაფინანსებაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა. თუმცა ჯერჯერობით არ კონკრეტდება დაფინანსების მოცულობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აშშ-ის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა რაიმე დაფინანსების გამოყოფაზე რკინიგზის მშენებლობისათვის. ამის ძირითადი მიზეზები შეიძლება იყოს სომხური ღობის აქტიურობა აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში და ბოლო პერიოდში შედარებით გართულებული ურთიერთობა აშშ-ისა და თურქეთს შორის.

მომავალი რკინიგზა მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება საქართველოს სამხრეთი რაიონების ეკონომიკური აღორძინებისა და ჩვენი ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ რეგიონთან სარკინიგზო დაკავშირების მიმართულებით.

ენერგეტიკული პროექტები საქართველოს ტერიტორიის გავლით და ნატოს ენერგეტიკული უსაფრთხოება

კასპიის ზღვის რეგიონში ნავთობის მარაგი დაახლოებით 21 მილიარდ ტონას (აქედან 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის 2,6 მილიარდი ტონა უკვე გამოყენებულია), ხოლო გაზის მარაგი დაახლოებით 27,5 ტრილიონ კუბმეტრს შეადგენს (აქედან 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის 3,5 ტრილიონი კუბმეტრი უკვე გამოყენებულია) შეადგენს.

დღეს მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგში ენერგომატარებლების თემას პირველი ადგილი უკავია და შესაბამისად გაზისა და ნავთობისაკენ მიმავალი ყველა გზა დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური ბრძოლის ფრონტია. ამ გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი გადის შავი ზღვის რეგიონზე, მათ შორის საქართველოზეც, შემდგომში ამ გზის ნატოს ევროპულ ქვეყნებთან დაკავშირების პერსპექტივით.

ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები.

საქართველოს ტერიტორიის გავლით კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ განხილულ რამდენიმე ვარიანტთაგან საბოლოო გადაწყვეტილება ბაქო-სუფსას მარშრუტზე შეჩერდა. 1996 წლის 8 მარტს საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას „დასავლეთის მიმართულების ნავთობსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ“. ნავთობსადენს კასპიიდან შავ ზღვამდე სტრატეგიული დანიშნულება აქვს არა მარტო საქართველოსათვის, არამედ რეგიონის ქვეყნებისა და ამ რეგიონში მოქმედი სხვა სახელმწიფოებისათვის. იგი დიდი აბრეშუმის გზის აღორძინების პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია და განაპირობებს უფრო დიდი პროექტების წარმატებით განხორციელებას.

პროექტის თანახმად, ბაქოდან 40-კმ-ით სამხრეთით განხორციელდა პირველადი ნავთობის გადამუშავება და მისი უდიდესი ნაწილის ტრანსპორტირება საქართველოს ტერიტორიის გავლით სუფსის ტერმინალამდე. გარდა ამისა აშენდა ახალი, 90 კმ-იანი სიგრძის აღსთავა-სამგორის უბანი. შავი ზღვის სანაპირო ზონაში, მდინარე სუფსის მარცხენა ნაპირზე აიგო ტერმინალი და საზღვაო გადასატვირთი მოწყობილობა.

ნავთობკომპანიებს ტარიფის სახით უნდა გადაეხადათ 0,17 დოლარი ყოველ გატარებულ ბარელზე. ამასთან საქართველოს მხარემ მიიღო ტარიფის შესწორების უფლება ყოველკვარტალური ინფლაციის გათვალისწინებით.

„დასავლეთის“ ანუ ქართული მარშრუტის ბაქო-სუფსას სიგრძე 900 კმ-ია, ხოლო პროექტის საერთო ღირებულება 1 მლრდ დოლარი. აღნიშნული მარშრუტის დადებითი მხარეებია-მილსადენის სიმოკლე და სხვა მარშრუტებისაგან განსხვავებით შედარებითი სიიაფე. აღსანიშნავია აგრეთვე სუფსის პორტის უწყვეტი სეზონურობის გარემოებაც.

ბაქო-სუფსას მილსადენის მშენებლობის პერიოდში, მის მიმართ დიდი დაინტერესება გამოთქვეს უკრაინამ და რუმინეთმა. 1998 წლის ივნისში, თურქეთში მიმდინარე კონფერენციაზე „შავი ზღვისპირა და კასპიის ენერგეტიკული მომავალი“, რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა კასპიის ნავთობის სუფსის პორტიდან ევროპაში ტრანსპორტირების პროექტი წარმოადგინა, რომლის მიხედვით სუფსაში ბაქოდან, აგრეთვე ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან მიღებული ნავთობი ტრანსპორტირებული უნდა ყოფილიყო რუმინეთის პორტ კონსტანცაში, რომელსაც წლის განმავლობაში 35 მლნ ტონა ნავთობის მიღება შეუძლია. კონსტანცას ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში ნავთობის ტრანზიტის შემდეგ, საწვა-

ვის ტრანზიტი ორი მიმართულებით იყო დაგეგმილი: 1) კონსტანცა (რუმინეთი)-უნგრეთი-ხორვატია-სლოვენია, საიდანაც ნავთობის შემდგომი ტრანსპორტირება ადრიატიკის ზღვაში ტანკერებით იქნებოდა შესაძლებელი. 2) კონსტანცა (რუმინეთი)-იტალია (ტრიესტი)-ადრიატიკის ზღვა.

უკრაინის პროექტის მიხედვით სუფსის ტერმინალიდან ნავთობის გადაზიდვა 120-ათასტონიანი ტანკერებით განხორციელდებოდა ქალაქ ოდესაში, ხოლო შემდგომში მოხდებოდა ნავთობის გადაქაჩვა საბჭოთა პერიოდში არსებულ მილსადენ „დრუჟბაში“, რომლის საშუალებითაც ნავთობი ჩრდილო და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში გადაიგზავნებოდა. არსებობდა აგრეთვე სხვა შესაძლო მარშრუტებიც, მაგალითად, ნავთობის ტრანსპორტირება შავი ზღვის გავლით ბულგარეთის პორტ ბურგასში, ხოლო შემდგომში საბერძნეთის პორტ ალექსანდროპოლში, საიდანაც ხმელთაშუა ზღვის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა მისი შემდგომი ტრანსპორტირება (აღნიშნული მარშრუტით ასევე დაგეგმილი იყო ნოვოროსისისკში მიღებული ნავთობის ტრანსპორტირებაც).

პროექტის მშენებლობის ეტაპი წარმატებით დასრულდა და 1999 წლის 17 აპრილს შედგა სუფსის სახმელეთო ტერმინალის საზეიმო ინაუგურაცია, რითაც დასაბამი მიეცა კასპიის ნავთობის ტრანზიტს დასავლეთის მიმართულებით. საქართველოსათვის ეს ნიშნავდა მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის სერიოზულ გამოცდას, რასაც ჩვენმა ქვეყანამ წარმატებით გაართვა თავი.

ბაქო-სუფსის მილსადენში ძირითადად პირველადი ნავთობი გაედინება. ამ ნავთობს AIOC კონსორციუმი აზერბაიჯანის სანაპირო ზოლიდან მოიპოვებს.

ნავთობსადენის გამტარუნარიანობა დღეში 300, 000 ბარელზეა გათვლილი. წარმადობას ხელს უწყობს კომუნიკაციის და კონტროლის თანამედროვე ტექნოლოგიები. სუფსის ტერიტორიაზე აშენებულია ოთხი 250, 000 ბარელის ტევადობის რეზერვუარი. აქედან იტვირთება აზერბაიჯანიდან ტრანსპორტირებული ნავთობის ტანკერები.

ნავთობსადენის წლიური წარმადობა 5,75 მილიონი ტონაა, ხოლო დღიური – 115 ათასი ბარელი. იმ შემთხვევაში თუ დამონტაჟდება დამატებითი საქაჩი სადგურები, მაშინ წარმადობა 10 მილიონ ტონამდე გაიზრდება, დღიური კი 200 000 ბარელამდე.

გარდამავალი პროცესის ეტაპზე მყოფი საქართველოსთვის ასეთი ტიპის მილსადენის მნიშვნელობა საკმაოდ დიდია. თუ გადავხედავთ საქართველოს სახელმწიფო შემოსავლებში ნავთობსადენის მიერ შენატან წვლილს, ტარიფსა და მომავალში საქართველოს ტერიტორიაზე გატარებულ ნავთობთან და გაზთან დაკავშირებულ გადასახადებს, მივხვდებით, რომ ეს მილსადენი მნიშვნელოვან კვალს ტოვებს და დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ფინანსურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. წინასწარი პროგნოზით და შეფასებით შემდგომი წლების განმავლობაში მილსადენიდან წლიური შემოსავალი 50 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზრდება.

ბაქო-სუფსის მილსადენი 1999 წლიდან უსაფრთხოდ ფუნქციონირებს და მისი მეშვეობით მსოფლიოს ბაზრებზე უკვე 295 მილიონი ბარელი ნავთობი გავიდა. თუმცა ადგილი ჰქონდა ნავთობის მოპარვის შემთხვევებს, 2005 წელს მილსადენის გახვრეტის 17 მცდელობას. აქედან 10 წარმატებული აღმოჩნდა. ასეთი შემთხვევები ეკოლოგიურ საფრთხეს ქმნის და რა თქმა უნდა თვითონ ნავთობის დაკარგვის ფაქტი თავისთავად არასასიამოვნოა. 2005 წლის ოქტომბერში ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე უკანონოდ მიერთებული ონკანის გაუმართაობის გამო 446 ბარელი ნავთობი დაიღვარა. თუმცა მილსადენი შეკეთდა და უბანი ნავთობისაგან გაიწმინდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2007 წლის პირველ კვარტალში ბაქო-სუფსას ნავთობსადენით ნავთობის გატარება არ განხორციელებულა ნავთობსადენზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების გამო. ამის ნაცვლად ბათუმის ნავსადგურის მიმართულებით აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ რკინიგზით 160 ათასი ტონა ნავთობის ტრანსპორტირება განახორციელა. თუმცა ნავთობსადენზე სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდგომ დაგეგმილია ტრანსპორტირების გაზრდა. ამის ძირითადი მიზეზი გახლავთ ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია საქართველოში, ყულევის ნავთობტერმინალთან ახლოს, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობას ასრულებს. ქარხნის სიმძლავრე წელიწადში 5-10 მილიონი ტონა იქნება და მასში ძირითადად ბაქო-სუფსას მილსადენიდან მიღებული ნავთობის დამუშავება იქნება შესაძლებელი.

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის მიერ 2006 წლის ბოლოს შექმნილ ტერმინალთან ახლოს გამოყოფილია დაახლოებით 200 ჰექტარი მიწა, რომელზეც ქარხნის მშენებლობა იგეგმება.

ამჟამად ტერმინალზე სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. მისი სიმძლავრე პირველ ეტაპზე 10 მლნ. ტონა იქნება, შემდგომ მისი 20 მლნ ტონამდე გაზრდის პერსპექტივით.

საქართველოს მთავრობისგან ყველა ნებართვა შავი ზღვის სანაპიროზე ნავთობგადამამუშავებელი კომპლექსის შექმნისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების მიერ ნავთობპროდუქტების გაყიდვის ორგანიზაციის შესახებ უკვე მიღებულია.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი

მეორე მნიშვნელოვანი პროექტი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენია. მას ასევე BP მართავს. BTC-ის მშენებლობის მთლიანმა ხარჯმა 4 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. ამ მილსადენის საშუალებით ნავთობი პირდაპირი მარშრუტით ტრანსპორტირდება კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებს შორის. მნიშვნელოვანია ის, რომ ახალი მარშრუტი შეამცირებს ნავთობის დიდი რაოდენობით გატარებას ბოსფორის სრუტის გავლით. აღნიშნული მარშრუტი ეკონომიკურად საკმაოდ მომგებიანია და უსაფრთხოა ტრანსპორტირების თვალსაზრისით.

BTC მილსადენის საშუალებით დღეში 1 მილიონი ბარელი ნავთობის გადატვირთვაა შესაძლებელი სანგაჩალიდან ხმელთაშუა ზღვის თურქეთის სანაპიროზე ახლად აგებული ჯეიჰანის საზღვაო ნავთობტერმინალში.

1999 წლის 18 ნოემბერს ეუთოს სამიტის ფარგლებში საგანგებო შეხვედრა გაიმართა. საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს სამთავრობათშორისო ხელშეკრულებას „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ რეალიზაციის შესახებ. შეხვედრას ესწრებოდა აშშ-ს იმჟამინდელი პრეზიდენტი ბილ კლინტონი.

2000 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ პროექტთან დაკავშირებულ სამთავრობათშორისო ხელშეკრულებების პაკეტის რატიფიკაცია მოახდინა.

18 ოქტომბერს კი საქართველოს მთავრობამ და რვა ნავთობკომპანიამ ქ. თბილისში ხელი მოაწერეს „ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის ხელშეკრულებას“. ამით ფაქტიურად დაიწყო ნავთობსადენის პროექტის განვითარების სამუშაოები.

2002 წლის 2 აგვისტოს მოხდა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის“ პროექტის სანქცირება, ჩამოყალიბდა ნავთობსადენის კომპანია BTC co. ამ კომპანიის ოპერატორად დაინიშნა ბრიტანული ნავთობკომპანია „ბრითიშ პეტროლიუმი“. ამის შემდეგ ნავთობსადენის პროექტი ოფიციალურად გადავიდა სამშენებლო ფაზაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, BTC მილსადენის ოპერტორი კომპანია BP-ია და ის 30, 1 % ფლობს. მისი სხვა პარტნიორები არიან:

- SOCAR-(აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია) 25%
- TPAO- (თურქეთი) 6, 53%
- STATOIL- (ნორვეგია) 8, 71%
- UNOCAL- (აშშ) 8,90%
- ITOCHU-(იაპონია) 3, 4%
- ARMENDA HESS-(აშშ) 2,36%
- ENI-(იტალია) 5%
- TOTAL/FINA/ELF-(საფრანგეთი) 5%
- INPEX-(იაპონია) 2,5%
- CONOCO PHILIPS-(აშშ) 2,5%

მილსადენის სიგრძეა 1760 კმ. აქედან აზერბაიჯანის მონაკვეთის სიგრძეა 442 კმ, საქართველოს–246კმ, თურქეთის–1070კმ. დიამეტრი–1168მმ. საპროექტო წარმადობაა 50 მილიონი ტონა წელიწადში. დადებითი მხარეებიდან აღსანიშნავია ერთ-ერთი უმთავრესი-პორტ ჯეიჰანის ტრანსპორტირების დიდი გამტარუნარიანობა და პორტ ჯეიჰანის მაღალი ტექნოლოგიური სტანდარტები. კერძოდ, მას შეუძლია წელიწადში 120 მლნ ტონა ნავთობის მიღება და გატარება და იგი მთელი წლის განმავლობაში მზად არის ტვირთების მისაღებად რუსეთის პორტ ნოვოროსიისკის პორტისაგან განსხვავებით, რომელსაც წლის განმავლობაში მხოლოდ 30 მლნ ტონა ნავთობის მიღება და გატარება შეუძლია და რამდენიმე თვე დაკეტილია ძლიერი შტორმების გამო.

2005 წლის ზაფხულში აზერი-შირაგი-გიუნეშლის საბადოებზე მოპოვებული აზერბაიჯანული ნავთობი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის საქართველოს სექტორში შემოვიდა. ოფიციალურად ნავთობის შემოსვლა 2005 წლის 12 ოქტომბერს აღინიშნა. გარდაბნის მახლობლად მდებარე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პირველ საქაჩ სადგურზე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა დადებითად შეაფასა საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ძვრები. თურქეთის პრეზიდენტმა აჰმედ ნესდეთ სეზერმა ყურადღება გაამახვილა რეგიონში ენერჯეტიკის სფეროში არსებულ მიღწევებზე, რაც 90-იან წლებში ჩასახული აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერჯეტიკული კორიდორის ინიციატივის ხორცშესხმით იქნა მიღწეული. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხაზი გაუსვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას.

მილსადენში გავლილი ყოველი ბარელისათვის საქართველო მიიღებს ტრანზიტის 0,12 აშშ დოლარს. სახელმწიფოს მიერ მიღებული შემოსავლის საწყისი ოდენობა სავარაუდოდ 6,8 მილიონი აშშ დოლარია. 2011 წლისათვის მოსალოდნელია მისი სწრაფი ზრდა 51 მილიონ აშშ დოლარამდე.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენიდან საქართველოს მიერ მიღებული მთლიანი შემოსავალი სავარაუდოდ 700 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბებს.

შაჰ-დენიზის პროექტი

2006 წლის 22 იანვარს გაზსადენის აფეთქებამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა საქართველოს ხელისუფლება, რომ საჭირო იყო ალტერნატიული გაზმომარაგების წყაროს ძიება.

საქართველოში გაზის პრობლემა მთელი ათწლეულის განმავლობაში აქტუალური იყო. ბუნებრივი აირის მოწოდება მუდმივად არასტაბილურად ხდებოდა და ქვეყანაში გაზი ქრონიკულად ითიშებოდა. ამასთან ერთად ხშირად ისმობდა რუსეთის მხრიდან მუქარა ისედაც არასტაბილური მოწოდების საერთოდ შეჩერებაზე. არგუმენტად რუსები დავალიანებას ასახელებდნენ, საქართველოს ხელისუფლება კი მაშინ მხოლოდ რუსეთის მხრიდან პოლიტიკურ შანტაჟზე საუბრობდა. ობიექტურად რომ ვიმსჯელოთ საქართველოს რუსული კომპანიის მიმართ დავალიანება მართლაც ჰქონდა და ამ კონკრეტულ საკითხში პოლიტიკურ შანტაჟზე ძნელია საუბარი. თუმცა ის, რომ რუსეთი იყენებდა საქართველოს წინააღმდეგ გარკვეულ პოლიტიკურ ბერკეტებს ეს აისახება გაზის ფასებში, რომელსაც ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი საქართველოს უწევს გადახდა. ქვევით მოცემულია რუსეთის მიერ 2002 წელს სხვადასხვა ქვეყნებისათვის დაწესებული ფასები 1000 კმ-ზე:

1. საქართველო \$60
2. სომხეთი \$49
3. აზერბაიჯანი \$52
4. ბელარუსი \$18
5. უკრაინა \$56
6. თურქეთი \$55

მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველო რუსეთისაგან სხვა ქვეყნებთან შედარებით ყველაზე ძვირად ყიდულობდა გაზს.

2002 წლის შემდეგ ვითარება კიდევ უფრო რთულდება. 2003 წლის 4 აპრილს “იტერამ” კიდევ ერთხელ შეწყვიტა გაზის იმპორტი, ხოლო რუსეთის სათათბიროში განხილულ იქნა საქართველოს მიმართ ეკონომიკური ბლოკადის დაწესების საკითხი. სწორედ ამ ფონზე ქვეყნის ხელისუფლება აქტიურ მოლაპარაკებებს იწყებს რუსეთის უმსხვილეს კომპანია “გაზპრომთან” საქართველოში შემოსვლის თაობაზე. მიუხედავად მაშინდელი ოპოზიციის და ამერიკის შეერთებული შტატების პროტესტისა შევარდნაძის ხელისუფლება 2003 წლის 31 ივლისს დებს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც საქართველოში გაზის მთავარი იმპორტიორი ხდება რუსული კომპანია “გაზპრომი”, რომელიც ამ ვალდებულებას 25 წლით იღებს. ამ მოვლენამ საქართველო კიდევ უფრო დამოკიდებული გახადა რუსეთზე.

2004 წლიდან საქართველოში ხელისუფლება იცვლება და ნელ-ნელა სიტუაცია ენერგო სექტორში სტაბილური ხდება. გაზის მოწოდება აღდგა და საქართველომ რუსეთის მიმართ დავალიანება დაფარა. რუსული გაზის სტაბილური იმპორტი არ ნიშნავდა იმას, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი პოლიტიკურ ბერკეტებს საქართველოს წინააღმდეგ აღარ იყენებდა. ეს ბერკეტი ისევ და ისევ გაზის საფასური იყო, რომელიც გაზპრომმა დააწესა. თუ 2003 წელს საქართველოსთვის გაზის საფასური 1000 კმ-ზე 60\$ იყო 2007 წლის დასაწყისში საფასურის რაოდენობა 235\$-ამდე გაიზარდა. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაზის ასეთ საფასურს “პოლიტიკური ფასი” უწოდა. სხვა ქვეყნებზე რუსეთის მიერ დაწესებული გაზის გადასახადი შემდეგნაირად დაწესდა:

1. საქართველო \$235
2. აზერბაიჯანი \$230
3. უკრაინა \$130
4. სომხეთი \$110
5. ბელარუსი \$110

2006 წლის მოვლენებმა კიდევ აშკარა გახადა, რომ რუსეთის მონოპოლია საქართველოში აღარ უნდა გაგრძელდეს. ამ დროს საქართველოს რამდენიმე ალტერნატივა მართლაც ჰქონდა. პირველ რიგში ეს იყო აზერბაიჯანი თურქეთი და ირანი. აზერბაიჯანთან და თურქეთთან შეთანხმება მოხერხდა, თუმცა ირანთან ვერა, მისი გართულებული ურთიერთობის გამო ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელიც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია. თუმცა გარკვეული საკითხებზე მაინც იქნა მიღწეული კონსენსუსი და ირანი საქართველოს გაზს მიაწვდის მხოლოდ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში.

რაც შეეხება აზერბაიჯანის მხარეს, შეთანხმება მოხერხდა და საქართველო რუსეთის გარდა გაზს იღებს აზერბაიჯანიდან ძველი მაგისტრალური გაზსადენიდან და შაჰ-დენიზის საბადოდან. 2007 წლის განმავლობაში საქართველოში გაზის იმპორტი ძირითადად სწორედ აზერბაიჯანიდან განხორციელდა.

შაჰ-დენიზის საბადო კასპიის ზღვაში მდებარეობს. პირველად ის აღმოჩენილი იქნა 1999 წელს. სამშენებლო სამუშაოები 2006 წლის ბოლომდე მიმდინარეობდა.

როგორც ვხედავთ პროექტზე მუშაობა ჯერ კიდევ შევარდნაძის ხელისუფლების დროს დაიწყო, მაგრამ რატომღაც თავის დროზე საქართველოს მხარე საკმაოდ მცირე რაოდენობის, მხოლოდ 250 მილიონი კბმ-ს მიღებაზე დათანხმდა, მაშინ როდესაც აზერბაიჯანის კვოტა განისაზღვრა 1,3 მილიარდით, ხოლო თურქეთის მილიარდზე მეტი კბმ-ით და წლების შემდეგ უკვე ახალ ხელისუფლებას მოუხდა მდგომარეობის გამოსწორება.

სამხრეთ კავკასიის მილსადენის დანიშნულებაა შაჰ-დენიზის საბადოდან გაზის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან საქართველოში და თურქეთში, ხოლო შემდგომ ევროპაში. აზერბაიჯანსა და საქართველოში მილსადენის სრული სიგრძე 690 კმ-ს შეადგენს, საიდანაც 248 კმ საქართველოს ტერიტორიაზე გადის.

მილსადენის პროექტს ახორციელებს სამხრეთ კავკასიის მილსადენის კონსორციუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან: BP (25%), Statoil (25%), SOCAR Commercial Affiliate (10%), TOTALFINAELF (10%), LUKAgip (10%), NaftIran Co.Ltd. (10%) და TPOC (9%).

საქართველო ამ პროექტში მონაწილეობს არა მარტო როგორც სატრანზიტო ქვეყანა, არამედ როგორც მომხმარებელი ქვეყანაც.

დღეისათვის შაჰ-დენიზის საბადო აწარმოებს დღე-ღამეში 3,4 მილიონ კბმ გაზის მოპოვებას, მაგრამ 2008 წლიდან ეს რიცხვი გაიზრდება 6-7 მილიონ კბმ-მდე.

2006 წლის დეკემბერში გაზპრომი მოითხოვდა საქართველოსთან ახალი ხელშეკრულების სწრაფად გაფორმებას, ხოლო საზოგადოებაში ხშირად გაისმოდა კითხვები მომავალ წელს გაზმომარაგების შესახებ. ამ საკმაოდ დიდი პრესინგის ფონზე საქართველოს დელეგაცია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით იმყოფებოდა სამდღიანი სამუშაო ვიზიტით თურქეთში, სადაც მოლაპარაკებებს მართავდა თურქეთის პრემიერ-მინისტრთან და აზერბაიჯანის პრეზიდენტთან. პარალელურად რუსული პრესა გვარწმუნებდა, რომ მოლაპარაკებები თურქეთის დედაქალაქში ჩაიშალა და 2007 წლიდან საქართველო მთლიანად დამოკიდებული იქნებოდა რუსულ გაზზე.

რუსების პროგნოზი არ გამართლდა. შეთანხმება მიღწეული იქნა და 2007 წლის 14 იანვარს საქართველოში შაჰ-დენიზის გაზის პირველი ნაკადი შემოვიდა.

ხელშეკრულების მიხედვით საქართველო მიიღებს ძველი კონტრაქტით გათვალისწინებულ 250 მილიონ კბმ-ს როგორც სატრანზიტო ქვეყანა და დამატებით 200 მილიონ კბმ-ს როგორც მომხმარებელი ქვეყანა. გარდა ამისა, საქართველო შეისყიდის 50 მილიონ კბმ-ს შეღავათიან ფასში, რომელიც განისაზღვრა 66\$-ით.

ნაბუქოს პროექტი

ევროკავშირის და ნატოს წევრი ქვეყნების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნები მეტწილად დამოკიდებულნი არიან რუსეთის გაზზე (მაგ: ბულგარეთი რუსეთისგან იღებს მოხმარებული გაზის 94%, ავსტრია - 74% და ა.შ.) ევროკავშირი მთლიანობაში მოხმარებული გაზის 25% იღებს რუსული “გაზპრომისგან”. გაზი ევროპაში შედის უკრაინასა და პოლონეთზე (ბელორუსიის გავლით) გამავალი გაზსადენების მეშვეობით.

2005 წლის დეკემბრის ბოლოს დაწყებული უთანხმოების შედეგად (გაზპრომს სურდა გაზის საფასური გაეზარდა \$50-დან \$230-მდე) რუსეთმა უკრაინას გაზის მიწოდება შეუწყვიტა. რუსეთიდან ევროპაში გაზის დაახლოებით 76%-ის ტრანსპორტირება სწორედ უკრაინის ტერიტორიაზე არსებული გაზსადენებით ხორციელდება და ევროპის მთელმა რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის ავსტრიამ, უნგრეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, სლოვაკეთმა, იტალიამ და პოლონეთმა გამოთქვეს უკმაყოფილება, ვინაიდან მათ გაზსადენებში 30%-ით დაიკლო წნევამ.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ცდილობს ახსნას თავისი მოქმედებები, როგორც წმინდა ეკონომიკური ხასიათით გამოწვეული ნაბიჯები, ბოლო დროს რუსეთისა და სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების და სსრკ-ის ყოფილ სატელიტ ქვეყნებთან ურთიერთობებმა (რუსეთ-პოლონეთის, რუსეთ-მოლდოვის, რუსეთ-საქართველოს გართულებული ურთიერთობები) ყველას ნათლად დაანახა, რომ რუსეთი თავის რესურსებს იყენებს პოლიტიკურ ბერკეტად, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს ევროპის ენერგო-უსაფრთხოებას. ამასთან ერთად, ევროპისათვის მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ენერჯის წყაროს სტაბილურობის უზრუნველყოფა, არამედ მისი დივერსიფიკაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული რუსეთის მთავრობის მიერ მართული “გაზპრომის” მონოპოლია ევროპის ბაზარზე. კიდევ ერთი მიზეზი ალტერნატიული გზების ძიებისა არის ევროპის მზარდი მოთხოვნილება ბუნებრივ აირზე. ევროკავშირის მხრიდან გაზის იმპორტზე მოთხოვნა გასამმაგდება და 200 მილიარდის ნაცვლად (2002) 2030 წლისთვის გახდება 600 მილიარდი კუბური მეტრი.

აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ 2003 წელს ევროპარლამენტმა და ევროპის საბჭომ წამოიწყო ახალი გაზსადენის პროექტი – “ნაბუკო” (Nabucco), რომელიც ითვალისწინებს გაზის ტრანსპორტირებას თურქეთიდან ავსტრიაში – ბულგარეთის, რუმინეთის და უნგრეთის გავლით. ნაბუკოს გაზსადენი თურქეთში, ერზურუმთან შეუერთდება ბაქო – თბილისი - ერზურუმის და ირან - თურქეთის გაზსადენებს. გაზსადენი წარმოადგენს კასპიის რეგიონისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (თურქმენეთი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ირანი) გაზის ევროპაში ტრანსპორტირების საშუალებას. გაზსადენის მშენებლობის ღირებულება შეადგენს 4.6 მილიარდ ევროს და მისი მშენებლობა სავარაუდოდ დაიწყება 2008 წელს და ექსპლუატაციაში შევა 2011 წელს. საწყის ფაზაში, გაზსადენი ყოველწლიურად გაატარებს 13 მილიარდამდე კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს, ხოლო 2020 წლისთვის ეს რიცხვი სავარაუდოდ მიაღწევს 30 მილიარდ კუბურ მეტრს. გაზსადენში გამავალი გაზის ნახევარი მიეწოდება ბაუმგარტენს (ავსტრია), ხოლო ნახევარს გამოიყენებენ სატრანზიტო ქვეყნები.

ბაქო – თბილისი - ერზურუმის მონაკვეთის გაგრძელებას აღმოსავლეთით წარმოადგენს ტრანს-კასპიის წყალქვეშა გაზსადენი, რომელიც ითვალისწინებს თურქმენული და ყაზახური გაზის ექსპორტს და ბაქო – თბილისი - ერზურუმის გაზსადენის მეშვეობით მის შეერთებას ნაბუკოს გაზსადენთან. თავდაპირველად ტრანს-კასპიის პროექტზე საუბარი დაიწყო 90-იან წლებში, თუმცა მას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთმა და ირანმა, ამავე დროს თავი იჩინა დაპირისპირებამ კასპიის ზღვის საზღვრების გაყოფის შესახებ ამ რეგიონის ქვეყნებს შორის და პროექტზე საუბრები დროებით შეწყდა. 2006 წლის

დასაწყისიდან კვლავ აქტუალური გახდა ამ გაზსადენის საკითხი და მასში ერთი შეხედვით აქტიურად ჩაერთო როგორც ყაზახეთის, ასევე თურქმენეთის მხარე. თუმცა 2007 წლის მაისში თურქმენეთისა და ყაზახეთის პრეზიდენტების რუსეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკებების ჩატარებისა და ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერის შემდგომ შესაძლებელია ტრანსკასპიური გაზსადენის იდეას გარკვეული პრობლემები შეექმნას.

ნაბუკოს პროექტის მთავარი აქციონერები არიან OMV (ავსტრია), MOL (უნგრეთი), Transgaz (რუმინეთი), Bulgargaz (ბულგარეთი), BOTAS (თურქეთი). საუბარია პროექტში გაზპრომის შესაძლო მონაწილეობაზე, თუმცა ამ პროექტის ძირეული არსიდან გამომდინარე, ნაკლებად რეალურია და შეიძლება ჩაითვალოს როგორც წმინდა ტაქტიკური ნაბიჯი.

რაც შეეხება პროექტში ირანის მონაწილეობას, თუკი გავითვალისწინებთ ბოლო დროს მის გართულებულ ურთიერთობებს დასავლეთთან ალბათ ვერ ჩავთვლით მას სტაბილურ პარტნიორად ამ ეტაპზე, მაგრამ გაზსადენის ხელსაყრელი მდებარეობა (ირან-თურქეთის გაზსადენის სწორედ ერზრუმთან მთავრდება) ითვალისწინებს ამ ქვეყანასთან შესაძლო თანამშრომლობას.

ნაბუკოს პროექტი მრავალმხრივ მნიშვნელოვანია როგორც ნატოსთვის, ასევე საქართველოსთვის. განხორციელების შემთხვევაში ნატოს ევროპის ქვეყნებს საშუალება ექნებათ შეამცირონ გაზპრომის გავლენა და, მაშასადამე, შედარებით განთავისუფლდნენ რუსეთზე სტრატეგიული დამოკიდებულებისაგან გაზის სექტორში. ამავე დროს ეს პროექტი საქართველოს ნატოსკენ და ევროკავშირისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

GUEU (Georgia – Ukraine – European Union)

არსებობს კასპიის რეგიონის გაზის შავი ზღვის რეგიონის გავლით ევროპაში ტრანსპორტირების კიდევ ერთი პროექტი – GUEU (Georgia – Ukraine – European Union), რომელიც ითვალისწინებს შავი ზღვის ფსკერზე გამავალი გაზსადენის მეშვეობით საქართველოს დაკავშირებას პოლონეთთან უკრაინის გავლით, პროექტი პირველ ეტაპზე ითვალისწინებს 8 მილიარდი კუბური მეტრის ტრანსპორტირებას შაჰ-დენიზის საბადოებიდან, მეორე ეტაპზე დაემატება 8 მილიარდი კუბური მეტრი ყაზახეთიდან, ხოლო მესამე ეტაპზე 16 მილიარდი თურქმენეთიდან, ანუ სრული დატვირთვის შემთხვევაში გაზსადენი 32 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს გაატარებს ევროპისკენ.

GUEU-ს გაზსადენის პირველი ეტაპი გულისხმობს შაჰ-დენიზის საბადოებიდან გაზის ტრანსპორტირებას ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის ბაქო-თბილისის მონაკვეთით, ხოლო შემდგომში საქართველოს შავი ზღვის სანაპიროდან ყირიმის ქ. ფეოდოსიამდე აიგება წყალქვეშა გაზსადენი (650კმ); უკრაინის ტერიტორიაზე საჭირო იქნება კიდევ 200კმ სიგრძის გაზსადენის მშენებლობა, რომელიც სუფსა-ფეოდოსიის გაზსადენს დაუკავშირებს, უკრაინა-პოლონეთის დამაკავშირებელ გაზსადენთან ქსელს. მეორე და მესამე ეტაპის განსახორციელებლად საჭირო გახდება ტრანს-კასპიის გაზსადენის მშენებლობა, რომლის მეშვეობითაც მოხდება გაზის ტრანსპორტირება ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან. გამომდინარე იქიდან, რომ შაჰ-დენიზის საბადოებს 1 ტრილიონიანი რეზერვი გააჩნია, GUEU პროექტი არ უწევს კონკურენციას ბაქო-თბილისი-ერზრუმის და ნაბუკოს პროექტს.

აღსანიშნავია, რომ აშშ ღიად უჭერს მხარს ამ პროექტების განხორციელებას. ბოლო დროს ნატო-ს დღის წესრიგში დადგა წვერი ქვეყნების ენერჯო უსაფრთხოების საკითხი, ამ საკითხს რიგაში გამართულ ნატო-ს სამიტზეც დიდი ყურადღება დაეთმო, მსოფლიო ენერჯო ბაზარზე ნატო-ს როლის შესახებ მწვავე განცხადებებს აკეთებს აშშ-ს სენატის საგარეო ურთიერთობათა

თავმჯდომარე – სენატორი რინარდ ლუგარი. მისი აზრით, საჭიროა ნატო გახდეს ენერგო მომხმარებელთა კავშირი, რომელიც დაუპირისპირდება რუსეთს და საჭიროა ნატო-მ გადაწყვიტოს როგორ მოიქცევა, თუკი მის წევრ ქვეყნებს ისევე დაემუქრება რუსეთი, როგორც უკრაინას. ლუგარის სიტყვებით, ნატოს ქარტიის მეხუთე მუხლი, რომლის მიხედვითაც შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთი წევრ ქვეყანაზე განხილულია, როგორც თავდასხმა თვითოეულ წევრ სახელმწიფოზე, გამოყენებულ უნდა იქნას ენერგო ურთიერთობების დროსაც. ვინაიდან ომმა რომელშიც თავდასხმის საშუალებად ენერგო იარაღია გამოყენებული შესაძლოა გაანადგუროს ქვეყნის ეკონომიკა და გამოიწვიოს უამრავი მსხვერპლი.

ბუნებრივია, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია თავს იკავებს ასეთი აგრესიული განცხადებების გაკეთებისაგან, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ სენატორი ლუგარის სიახლოვეს თეთრ სახლთან და მის გავლენას რესპუბლიკურ პარტიაში, ამერიკის მთავრობის პოზიციაც არ უნდა იყოს შორს ლუგარის მოსაზრებისაგან.

საქართველო-უკრაინის დამაკავშირებელი გაზსადენის მშენებლობის იდეის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ღობისტია პოლონეთი. მას შემდეგ, რაც გადაწყდა ბალტიის ზღვის ფსკერზე გამავალი გერმანია-რუსეთის დამაკავშირებელი – “ნორდსტრიმის” გაზსადენის მშენებლობა და პოლონეთი ენერგო კრიზისის საფრთხის წინაშე დადგა, მან სოლიდარობისკენ მოუწოდა ევროკავშირს, ნატოსა და დანარჩენ მსოფლიოს. სწორედ პოლონეთმა მონათლა ლუგარის მოსაზრება “ენერგო ნატოდ”, რაზეც საინტერესო პასუხი გასცა რუსეთმა: რუსეთის დუმის ენერგეტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ვალერი იაზევმა გამოთქვა “გაზის ოპეის” შექმნის იდეა. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად ორივე მოსაზრება დაგმოხილია, არსებობს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთი საიდუმლოდ მაინც ცდილობს “გაზის ოპეის” ჩამოყალიბებას და მასში ირანის, ალჟირის, ლიბიის, კატარის, უზბეკეთისა და თურქმენეთის ჩათრევას, რაზედაც წიგნის წინა თავებში უკვე გვქონდა საუბარი.

ნაბუკოს, ისევე როგორც GUEU-ს პროექტის განხორციელებისათვის გადამწყვეტია თურქმენეთისა და ყაზახეთის პოზიცია, ვინაიდან ტრანს-კასპიის გაზსადენის გარეშე აზრი ეკარგება ორივე პროექტს. თურქმენეთს გაზის ერთ-ერთი ყველაზე დიდი რეზერვი გააჩნია მთელს მსოფლიოში. თურქმენეთის აწ-გარდაცვლილმა პრეზიდენტმა სეფარმურატ ნიაზოვმა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ფრანკ ვოლტერ შტაინმაიერთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ სამხრეთ იოტანსკში აღმოჩენილია გაზის უზარმაზარი საბადო, რომლის რეზერვიც 7 ტრილიონი კუბური მეტრია, რაც ორჯერ აღემატება რუსეთის შტოკმანის საბადოს. თუკი ეს ინფორმაცია დადასტურდა, რასაკვირველია, ორმაგად გაიზრდება მოთხოვნა თურქმენულ გაზზე. ამჟამად ერთადერთი გზა, რომლითაც თურქმენეთი და ყაზახეთი ევროპას აწვდიან გაზს გადის რუსეთზე. აქედან გამომდინარე, ორივე ქვეყანა წესით დაინტერესებული უნდა იყვნენ ალტერნატიული გზების არსებობით, რაც ხელს შეუწყობს ფასების დარეგულირებას, ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებას და რუსეთზე სტრატეგიული დამოკიდებულების აღმოფხვრას.

საქართველოს დაინტერესება ნატო-ში ინტეგრაციით

საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში და მისი გარდაქმნა დემოკრატიულ, ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოდ პირველ რიგში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა მზად ქვეყანა დააკმაყოფილოს ნატოს სტანდარტები და შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელიც

საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინაშე ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო პროგრამისა და ინტენსიური დიალოგის ფარგლებში გააჩნია.

ამავე დროს საქართველოში რეფორმების წარმატებული განხორციელება ნამდვილად შედის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინტერესებში, რასაც მოწმობს 90-იანი წლების დასაწყისიდან ნატოს მხრიდან საქართველოსადმი გაწეული დახმარებები, როგორც სამხედრო ისე სხვა სფეროებში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ალიანსის მზადყოფნისა განავითაროს თანამშრომლობა თითოეულ პარტნიორ ქვეყანასთან და მათ შორის საქართველოსთან, როგორც ავღნიშნეთ ჩვენი ქვეყნის ნატოში ინტეგრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი საკუთრივ ქვეყანა და საზოგადოება გააცნობიერებს ამ ნაბიჯის აუცილებლობას და რეალურად განხორციელებს დემოკრატიულ ცვლილებებს სახელმწიფოს მმართველობის ყველა სფეროში.

არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც დადებითად აისახება საქართველოს მომავალში მისი ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში, კერძოდ:

გეოსტრატეგიული ფაქტორი: საქართველოსათვის ევროატლანტიკის სივრცეში ინტეგრირება და კონკრეტულად ნატოს სრულუფლებიანი წევრობა უმნიშვნელოვანეს როლს შესრულებს რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიისაგან თავდაცვისა და მისი ინტერესების დაბალანსების საქმეში (თუნდაც იგივე კავკასიის რეგიონში). მეორეს მხრივ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობა საქართველოს დაეხმარება საერთაშორისო მასშტაბის დონის მქონე არანაკლებ საშიში გამოვლენის, რადიკალური ისლამის აგრესიის მოგერიებაში. ასევე, საქართველოს უფრო გაუადვილდება თანამედროვე პერიოდის ისეთ უმთავრეს საფრთხეებთან და გამოწვევებთან განმკლავება, როგორებიც გახლავთ: ტერორიზმი, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნოლოგიების უკანონო გადაადგილება, ნარკობიზნესი, ორგანიზებული დანაშაულებათა ქსელები და საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაცია.

“ცივილიზაციური” ფაქტორი: ნატოს წევრობა საქართველოსათვის შექმნის მყარ საფუძველს ევროატლანტიკურ სივრცეში სრულიად ინტეგრირებისათვის. ალიანსის სრულუფლებიანი წევრობა და ნატოს საქმიანობაში მონაწილეობა კიდევ უფრო განამტკიცებს “ევროპელის” სტატუსის აღქმას ქართულ საზოგადოებაში და დასავლური ფასეულობების გაზიარებით ერთიან ევროპულ ოჯახში სრულ დამკვიდრებას, ეს კი პოზიტიურად აისახება ეკონომიკური და სოციალური პირობების გაუმჯობესების და შესაბამისად ცხოვრების დონის ამაღლებაზე. ფაქტიურად ნატო გახდება საერთო ევროპულ პროცესებში ჩართვის მეორე ეტაპი (პირველს შეადგენდა საქართველოს გაწევრიანება ევროპის საბჭოში 1999 წელს).

პოლიტიკური ფაქტორი: ალიანსში გაწევრიანება ხელს შეუწყობს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო პრინციპების განვითარებას საქართველოში და სტიმულს მისცემს მათი რეალური დამკვიდრების პროცესს. უკვე მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში დადგა საკითხი საქართველოს ნატოში მოსალოდნელი გაწევრიანების შესახებ, გარკვეულწილად გაწევრიანების წინა მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში შეიქმნა მოტივაციური ფონი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების საბოლოოდ მოგვარების საქმეში. მეორეს მხრივ, ნატო-ში გაწევრიანება საუკეთესო საშუალება იქნება ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გარანტიის მიღებაში. მთლიანობაში ქართული საზოგადოების დადებითი განწყობა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მიმართ წარმოადგენს სწორედ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს

გაწევრიანებისათვის აუცილებელი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების საქმეში.

სამხედრო ფაქტორი: უკანასკნელ წლებში საქართველოს თავდაცვის სექტორში ჩატარებული კარდინალური რეფორმების მიუხედავად, რამაც საგრძნობლად გაზარდა საქართველოს შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობა, დღევანდელ ეტაპზე საქართველოს თავდაცვითი რესურსები მაინც არასაკმარისია ყველა იმ შიდა თუ გარე საფრთხესთან გასამკლავებლად, რომელსაც მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა განაპირობებს და ასევე ყველა იმ გამოწვევების მისაღებად, რომელიც თანამედროვე ეპოქაში არსებობს მთელ მსოფლიოში. თავისი სამიათასწლოვანი – მეტად ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩვენი ქვეყანა მუდმივად წარმოადგენდა სხვადასხვა ძლიერი სახელმწიფოების თავდასხმის ობიექტს, და ისტორიის სხვადასხვა პერიოდში თავდაცვისათვის საკუთარი ძალების უკმარისობის გამო მუდმივად ცდილობდა მოექცნა ძლიერი სამხედრო და პოლიტიკური მოკავშირე, რის გამოც ხშირად არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის უხდებოდა (გავიხსენოთ თუნდაც 1783 წელს ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის სამეფო იძულებული იყო რუსეთის იმპერიის პროტექტორატი ელიარებინა ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიებისაგან თავის დასაცავად). დღევანდელ დღეს, როდესაც ქვეყანას გააჩნია შანსი გახდეს დემოკრატიული ქვეყნების ალიანსის-ნატოს წევრი, სადაც ყველა წევრს აქვს საკუთარი გავლენა და ხმა და ალიანსის თითოეული წევრი საიმედოდაა დაცული სამხედრო აგრესიისაგან.

ეკონომიკური ფაქტორი: ნატოს სტანდარტების დაკმაყოფილების კუთხით საქართველო დღეს საჭიროებს სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ეკონომიკის განვითარება კი აუცილებლად საჭიროებს სტაბილურ გარემოს და მოითხოვს უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკურ გარანტიებს, რის საუკეთესო შესაძლებლობას სწორედ ნატო იძლევა. სწორედ ამ ორგანიზაციის წყალობით გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული შეიქმნა დასავლეთ ევროპის ომისშემდგომი აღორძინებისა და სტაბილური ეკონომიკური განვითარების წინაპირობები. ალიანსმა ძალდონე არ დაიშურა იმისათვის, რომ მისივე უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, არ მომხდარიყო ეკონომიკურად შედარებით ჩამორჩენილი წევრების ეკონომიკური დაქვეითება.

ეკონომიკური განვითარების შედეგად, საქართველო კიდევ უფრო განიმტკიცებს თავის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, იგი დაზღვეული იქნება საგარეო აგრესიის საფრთხისაგან, რაც ასევე მკვებავ წყაროებს გადაკეტავს საქართველოს ტერიტორიაზე უკვე არსებული თუ პოტენციური კონფლიქტებისათვის. ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია უდიდეს როლს შეასრულებს ევროკავშირთან თანამშრომლობის განვითარებაზე, რადგან შექმნილი იქნება ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ევროპიდან მსხვილი ინვესტიციების შემოდინების აუცილებელი სტაბილური გარემო.

დასკვნა

წიგნში მოყვანილი ფაქტები ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ დღეს ნატო არის ის ორგანიზაცია, რომელიც ბევრად განსხვავდება იმ ინსტიტუტისაგან, რომელსაც იგი წარმოადგენდა მისი შექმნის პერიოდში 1949 წელს. ნატოს ფარგლებში მიმდინარე მუდმივი ცვლილებები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოების და ასევე პარტნიორი ქვეყნების უსაფრთხოების

გამყარებისა და ევროატლანტიკურ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. როგორც უკვე წიგნის წინა თავებში არაერთხელ აღინიშნა, “ცივი ომის” დასრულების შემდეგ როდესაც უკვე აღარ არსებობდა მთავარი მოწინააღმდეგე ვარშავის სამხედრო ბლოკის სახით, ბევრი პოლიტიკური მოღვაწე თუ ექსპერტი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ნატომ უკვე ამოწურა თავისი ფუნქცია და ამ ლოგიკის მიხედვით, ორგანიზაცია უნდა დაშლილიყო. საბედნიეროდ ყველაფერი საწინააღმდეგო, პოზიტიური მიმართულებით წარიმართა, გამარჯვებით გამოწვეულმა ეიფორიამ ადგილი კვლავ პრაგმატულ ხედვას დაუთმო, რადგან ნათელი გახდა, რომ სწორედ ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია წარმოადგენდა ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფის უმთავრეს გარანტს, რომელმაც შეძლო ნატოს ფარგლებში განხორციელებული შიდა რეფორმების შედეგად ყველაზე ქმედითად ეპასუხა ახალ გამოწვევებზე. პირველ რიგში ეს დაკავშირებული იყო კონფლიქტების მოგვარებასთან ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, სადაც ვერც გაერომ, ვერც ეუთომ და ვერც სხვა კონფლიქტების დარეგულირებაზე მომუშავე რომელიმე საერთაშორისო ინსტიტუტებმა ვერ შეძლო შეეჩერებინა ის სისხლისღვრა, რომელიც ჯერ ბოსნიის, ხოლო მოგვიანებით კოსოვოს ტერიტორიაზე წარიმართა. მხოლოდ ალიანსის აქტიური ჩარევის შედეგად გახდა შესაძლებელი, რომ ორივე ზემოაღნიშნულ რეგიონში შეწყვეტილიყო ძალადობა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და იძულებით გადაადგილებული პირები დაბრუნებოდნენ თავიანთ საცხოვრებელ სახლებს. ნატომ ამ რეგიონებში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგაც უზარმაზარი სამუშაოები ჩაატარა კონფლიქტისშემდგომი რეალიზაციის მიმართულებით.

სხვა ფაქტორებიდან რა თქმა უნდა აუცილებელია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ალიანსი განვითარების ახალ სტადიაზე გადავიდა, ის არათუ არ დაიშალა, არამედ მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი ყოფილი მოწინააღმდეგეების ნატოში მიღების ხარჯზე. ალიანსის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი გახლავთ ნატოს 1999 წელს ჩატარებული ვაშინგტონისა და 2002 წელს გამართული პრაღის სამიტები. ვაშინგტონში, არსებული პოლიტიკური რეალობების გათვალისწინებით ახალი სტრატეგიული კონცეფციის დამტკიცებისა და პრაღაში, 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში განხორციელებული ტერაქტის ერთი წლის თავზე მიღებული დადგენილებების შედეგად, ნატოელმა მოკავშირეებმა გაზარდეს თავიანთი ძალისხმევა ალიანსის თანამედროვე მოთხოვნილებებისადმი ადაპტაციის მხრივ, რათა დაცული ყოფილიყო საერთო ღირებულებები. კერძოდ: დემოკრატიის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვა, ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ, ნატოს პარტნიორ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გაღრმავება, კრიზისების მოგვარებისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირება.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრულყოფილებიანი წევრობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს და უდიდესი პოზიტიური შედეგი მოაქვს ალიანსის თითოეული ქვეყნისათვის: თუ ჩვენ გავაანალიზებთ პოლიტიკურ ასპექტებს, ნატოს წევრობა სახელმწიფოს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებში, სადაც ესა თუ ის წევრი ქვეყანა დანარჩენ ნატოელ მოკავშირეებთან ერთად თანაბარი უფლებებით სარგებლობს და შესაბამისად ესა თუ ის გადაწყვეტილება ნატოს თითოეული წევრის ინტერესების გათვალისწინებით-კონსენსუსის საფუძველზე მიიღება. ეს კი საშუალებას აძლევს ნებისმიერ წევრს, ხელი შეუწყოს საკუთარი ეროვნული ინტერესების განხორციელებას საერთაშორისო პროცესში.

სამხედრო სფეროში ბუნებრივია ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ნატოში არსებული სამხედრო პოტენციალის გათვალისწინებით საიმედოდ იყო, არის და იქნება დაცული თითოეული წევრი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა.

ნატოს წევრობის კუთხით მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს არა მხოლოდ პოლიტიკური და სამხედრო ასპექტებიც, არამედ ასევე აუცილებელია ხაზი გაესვას ეკონომიკურ ფაქტორებს. ალიანსის წევრობა შესაბამისად უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე სტაბილური, უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად, ეს კი თავის მხრივ ნოყიერ ნიადაგს ქმნის წევრ ქვეყნაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, უცხოელ პარტნიორებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების გამყარებისა და ტყუერისტული ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით, რაც დადებითად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და შრომის ანაზღაურებაზე. გარდა ამისა, ნატო უშუალოდაა ჩართული სხვადასხვა სამხედრო მიმართულების ეკონომიკური პროექტებისა და პროგრამების განხორციელებაში, რაც პირველ რიგში აისახება როგორც ერთობლიოვად დაფინანსებული ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების აღჭურვილობის პროგრამებში მონაწილეობაში, ასევე თვით წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობაში მიიღონ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ისეთი აღჭურვილობისა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და აგებაში, როგორცაა აეროპორტი, კომუნიკაცია და საინფორმაციო სისტემა, რადარები, სანავიგაციო სისტემა და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ “ცივი ომის” დასრულების შემდგომ ეტაპზე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა თავი დააღწიეს რუსეთის პოლიტიკურ გავლენას, მათ მაინც ნათლად გააცნობიერეს ის ფაქტი, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება მათ საშუალებას მისცემდა უკეთ მოეხდინათ საკუთარი ინტერესების რეალიზება მომავალში, ამიტომაც მათ მაქსიმალური ძალისხმევა მოახდინეს რათა პოლიტიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით დაეკმაყოფილებინათ ნატოს სტანდარტები, რაც მათ საშუალებას მისცემდა გამხდარიყვნენ ალიანსის სრულუფლებიანი წევრები. გარდა ამისა, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებისათვის ნატოს მომავალ წევრობას სიმბოლური დატვირთვაც ენიჭებოდა, რადგან მათი აზრით ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრულყოფილი ინტეგრაციით აღდგებოდა ისტორიული სამართლიანობა და ეს ქვეყნები დაბრუნდებოდნენ ერთიან ევროპულ ოჯახში, რომლის სრულუფლებიან ნაწილსაც ისინი საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდნენ.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ახალი გაფართოების დაწყება ნატოსთვის მარტივი გადაწყვეტილება არ ყოფილა, 90-იანი წლების დასაწყისში ალიანსის ფარგლებში მეტად მწვავე დებატები იმართებოდა ნატოში ახალი წევრების მიღებასთან და შესაბამისად ალიანსის აღმოსავლეთით-რუსეთის საზღვრებისაკენ გაფართოების მიმართულებით. აქედან გამომდინარე, ნატოს ფარგლებში დაფიქსირდა ორი ძირითადი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია. ზოგი ექსპერტის აზრით, ალიანსის გაფართოების შემთხვევაში დიდი შეცდომა იქნებოდა დაშვებული, რადგანაც ეს ფინანსურად ძვირი დაუჯდებოდათ წევრ სახელმწიფოებს, ამავე დროს შეიქმნებოდა პრობლემები რუსეთთან ურთიერთობაშიც, რაც თავის მხრივ ნეგატიურად აისახებოდა ევრო-ატლანტიკურ რეგიონში თანამშრომლობაზე. თუმცა, სხვა პოლიტიკური მოღვაწეები და ექსპერტები ფიქრობდნენ, რომ ნატოს გაფართოება აუცილებელ რეალობას წარმოადგენდა, რადგანაც მათი აზრით ნატო იყო ერთადერთი სამხედრო ტიპის ორგანიზაცია, რომელსაც მისი პოტენციალის გათვალისწინებით რეალურად შეეძლო ევროპის დაცვა ახალი საფრთხეებისაგან. ასევე მათი აზრით რუსეთი ჯერ კიდევ პოტენციურ საფრთხეს წარმომადგენდა, რისი ნათელი დადასტურებაც გახლდათ

ამ ქვეყნის პოლიტიკა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან მიმართებაში და რეაქციული ძალების გაგლეჩის ზრდა რუსეთის შიგნით. საბოლოოდ სასწორი მაინც გაფართოებისაკენ გადაიხარა, 1994 წელს, ბრიუსელის სამიტზე, ნატოს წევრ სახელმწიფოთა ლიდერებმა განაცხადეს, რომ მიესალმებოდნენ ალიანსის გაფართოებას და მასში აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიული ქვეყნების მიღებას, რაც სრულ შესაბამისობაში მოდიოდა ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლში ჩამოყალიბებულ პრინციპებთან.

1994 წელს ბრიუსელის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად, ნატოს ფარგლებში ჩატარებულ იქნა საფუძვლიანი კვლევა გაფართოების შესახებ, რაც მიზნად ისახავდა პასუხის გაცემას ორ უმთავრეს კითხვაზე “რატომ?” და “როგორ?”.

რატომ? კითხვასთან დაკავშირებით დოკუმენტმა საფუძვლიანად იყო ჩამოყალიბებული კონკრეტული მიზეზები, კერძოდ, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ცივი ომის დასრულებისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლის შედეგად ევროპაში შეიქმნა უსაფრთხოების ახალი გარემო რაც დაკავშირებული იყო კონტინენტზე არსებული გამყოფი ხაზების გაქრობასთან და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის განვითარების ახალი პერსპექტივების გაჩენასთან. არსებული პოლიტიკური რეალობების გათვალისწინებით, ნატოს შესაძლო გაფართოებას არავისთვის არ შეეძლო რაიმე საფრთხე შეექმნა, ვინაიდან ის დარჩებოდა თავისი ძირითადი პრინციპების ერთგული, რომელთა ძირითად მიზანს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში მშვიდობის შენარჩუნება, სტაბილური გარემოს ჩამოყალიბება და ნატოს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარება წარმოადგენდა. ალიანსი მზადყოფნას გამოთქვამდა მხარდაჭერა აღმოეჩინა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის დემოკრატიული რეფორმების წარმატებით განხორციელების პროცესში, ასევე მოკავშირეთა შორის მჭიდრო თანამშრომლობის არსებული ტრადიციები უფრო ფართო არეალზე გაეგრძელებინა, რაც, თავის მხრივ, კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების, შემდგომი ინტეგრაციისა და სტაბილური განვითარების წინაპირობას შექმნიდა. დოკუმენტში დადასტურებული იყო ის ფაქტი, რომ მაქსიმალურად იქნებოდა გათვალისწინებული ნატოს თითოეული ახალი წევრის ეროვნული ინტერესი და ალიანსში ახლადგაწევრიანებული სახელმწიფოები ისარგებლებდნენ წევრის ყველა უფლებით, თუმცა ნატოში გაწევრიანებამდე შესაბამისი პროცედურების დაცვით, ისინი ვალდებული იყვნენ დაეკმაყოფილებინათ ყველა ის პირობა, რომელიც შეთავაზებული იყო ნატოს მიერ და რომელთა შესრულების შემდგომ შესაძლებელი იქნებოდა ალიანსის სრულუფლებიანი წევრობა. სწორედ ამ ვალდებულებათა შესრულების ნება და უნარი იქნება გადამწყვეტი ფაქტორი ასპირანტი სახელმწიფოს ნატოში გაწევრიანების საკითხის განხილვის პროცესში.

დღესდღეობით კვლევა გაფართოების შესახებ, ამ მიმართულებით ალიანსის პოლიტიკის სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ არ არსებობს მყარად ჩამოყალიბებული სტანდარტები ყველა ქვეყნისათვის, ამიტომაც ნატო თითოეულ გაწევრიანების მსურველ ქვეყანასთან ინდივიდუალურად ათანხმებს, თუ რა ძირითადი კრიტერიუმების დასაკმაყოფილებელი, რომ ესა თუ ის ქვეყანა გადავიდეს გაწევრიანებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ეტაპების ახალ საფეხურზე (მაგალითად ინტენსიური დიალოგის პროცესიდან გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე და ა. შ.). შესაბამისად, თვით კვლევაში გაფართოების შესახებ აღნიშნულია რომ, “არ არსებობს რაიმე მყარი და შეუვადლი კრიტერიუმების ჩამონათვალი ალიანსთან შესაერთებლად ახალი წევრების მოწვევისათვის...”

დასასრულს, რაც შეეხება საქართველო-ნატოს ურთიერთობებს აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება, ეკონომიკური აღმავლობა და სოციალ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით საქართველოს განვითარებულ, ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება ნამდვილად შედის ალიანსის ინტერესებში. თუმცა, მიუხედავად ნატოს წევრი ქვეყნების უმრავლესობის მხარდაჭერისა, ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენზე, თუ რამდენად მომზადებული იქნება თითოეული ჩვენთაგანი-თითოეული საქართველოს მოქალაქე, თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და ჭეშმარიტად სტაბილური, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურის სია

1. NATO Handbook. NATO Office of Information and Press. Brussels – Belgium, 2001
2. The Marshall Center Papers. Western Unity and the Transatlantic Security Challenge. By Peter van Ham and Richard L. Kugler. No.4. June, 2002. See The Marshall Center web-site: www.marshallcenter.org
3. ზურაბ აბაშიძე. “ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ”. 2000 წ.
4. ალექსანდრე რონდელი. “საერთაშორისო ურთიერთობები.” გამომცემლობა “ნეკერი”, 2003. გვ. 105-115.
5. ვასილ ჭყოიძე, სერგი კაპანაძე, ეკა აკობია, კახა გოგოლაშვილი, არჩილ გეგეშიძე. ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა. გვ. 11-31, 95-115.
6. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 2007 წ.
7. The North Atlantic Treaty Organization (NATO): A Strategic and Operational Overview. George C. Marshall European College of International and Security Studies. 2007.
8. Nika Chitadze. NATO’s Role in South Caucasus Regional Security. American University for Humanities. Tbilisi-2007.
9. ჟურნალი “არსენალი”. 2-15 ნოემბერი, 2007. გვ. 7. გვ.11.
10. ჟურნალი “არსენალი”. ოქტომბერი, 2007. გვ. 4.
11. ალექსანდრე დუგინი. გეოპოლიტიკის საფუძვლები. გვ. 72-84.
12. დავით ძნელაძე. მსოფლიო ეკონომიკა. გვ.175-243. თბილისი, 1997 წ.
13. ნიკა ჩიტაძე. კასპიის ნავთობი და სატრანზიტო ქვეყნის როლი (საქართველოს მაგალითზე). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2000წ.
14. ანატოლი კორეპანოვი. საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ. გაზეთი “24 საათი”. 4 თებერვალი, 2008 წელი.
15. თორნიკე თურმანიძე. ბუფერული სახელმწიფოები. ბოკა-პოლიტიკის კვლევების ჯგუფი. გვ. 27-35. თბილისი, 2006
16. ასოციაცია “სამართალი და თავისუფლება”. ჯარი და დემოკრატია. პერსპექტივები ქართული ჯარის დემოკრატიზაციის გზაზე. თბილისი, 2006.
17. NATO’s Nations. 50-th Anniversary of NATO. No.1/1999
18. საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. ქრესტომათია. გვ. 56-84, 196-213, 286-302. 2004 წ.
19. Charles W. Kegley, Eugene R. Wittkopf. World Politics. New York. 2002.
20. Nika Chitadze. Materials of the Conference „Black Sea Region in the Changing European Context. pp. 57-65, 79-91. Friedrich Ebert Stiftung. Tbilisi, 2007.
21. Nika Chitadze. Main aspect of the NATO-Georgia Relations. Journal “Chernomorska Bezpeka”. Sebastopol, Ukraine. Center ”Nomos”. N2(4), 2006.
22. თორნიკე შარაშენიძე. ნატო რჩეულთა ალიანსი. გაზეთი 24 საათი, 14 მაისი, 2007 წ.
23. არასამთავრობო ორგანიზაცია “საქართველო ნატო-ში”. დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე. თბილისი, 2005.
24. Nika Chitadze. The Role of Georgia in the Energy Security of the Black Sea Region. Journal “Chernomorska Bezpeka”. Sebastopol, Ukraine. Center ”Nomos”. N1(5), 2007.

25. Ronald D. Asmus: Reinventing NATO (Yet Again) Politically, NATO Review, Spring 2005
26. Zbigniew Brzezinski. The Grand Chessboard. p. 137
27. საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ მიერ გამოქვეყნებული მასალები გაზეთი "24 საათი". 4 თებერვალი, 2008 წ.
28. Winston S. Churchill, The Second World War – Triumph and Tragedy, (London, U.K: The educational book company ltd. 1953), p.277
29. Huntington, Samuel P, The lonely Superpower, Foreign Affairs, Mar/Apr 99
30. Materials of the 43-st Conference in Munich on Security issues, February 2007.
31. საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ. ბიულეტენი N1. იანვარი-მარტი. 2006 წ.
32. საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ. გამოშვება N2. აპრილი-ივნისი. 2006 წ.
33. საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ. "მოკლედ ნატოს შესახებ". თბილისი, 2006 წ.
34. საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ. გამოშვება N1. ივლისი-აგვისტო, 2007.
35. საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ. გამოშვება N2. სექტემბერი. 2007 წ.
36. საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ. გამოშვება N4. თებერვალი. 2008 წ.
37. Stambul Summit. Guideline. 2004
38. "ახალი თაობა-ახალი ინიციატივა". Georgia-NATO. Tbilisi, 2006.
39. NATO-Russia Council. Rome Summit, 2002.
40. NATO Today. Building better security and stability for all. NATO Office on Information and Press. Brussels, 2002.
41. NATO in the 21-st Century. NATO Office on Information and Press. Brussels, 2002.
42. European Security and Defense. Second Edition, November, 2002.
43. The Strategic Concept of the Alliance. NATO Office on Information and Press. Brussels, 1999.
44. Partnership in Action. NATO Office on Information and Press. Brussels, 2001.
45. NATO Transformed. NATO Office on Information and Press. Brussels, 2004.
46. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მასალები.
47. "საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია". საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2007 წ.
48. "საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ხედვა". საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.
49. "სოვრემენაია ამერიკა". მოსკოვი, 1988 წ. (რუსულ ენაზე).
50. უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭო. 2005 წლის ანგარიში.
51. Prague Summit and NATO Transformation. Guideline. NATO Office on Information and Press. Brussels, 2002.
52. Security and Defense in the New EU Constitution. Journal Connections. Partnership for Peace Consortium of Defense Academies and Security Studies Institutes. Vol. III, N3. September, 2004
53. Kugler, Richard L. "Origins of the Cold War". Chapter 2 in Commitment to Purpose: How Alliance Partnership Won the Cold War. Rand: Santa Monica, CA, 1993
54. Kriendler, John. "NATO HQ Reform: The latest Hurraf." Conflict Studies Research Center, Special Series 06/30, July 2006
55. North Atlantic Treaty Organization. "Civilian Organization and Structures". NATO Handbook, Chapter 7. Brussels: NATO Public Diplomacy Division, 2006, pp. 73-76.

56. North Atlantic Treaty Organization. "Riga Summit Declaration Issued by the Heads of State and Government Participating in the Meeting of the North Atlantic Council in Riga on 29 November 2006."
57. Yost, David. "Missile Defense on NATO's Agenda". NATO Review, Autumn 2006.
58. Nuland, Victoria. "NATO's Mission in Afghanistan: Putting Theory into Practice," NATO Review, Winter 2006.

გამოყენებული ვებ-გვერდები:

www.nato.int

www.mfa.gov.ge

www.mod.gov.ge

www.24saati.ge

www.opentext.ge/resonance

www.natoinfo.ge

www.marshallcenter.org

www.eu-nato.gov.ge

www.pfpconsortium.org

www.consortium.pims.org/publications

www.act.nato.int

www.GCSP.ch

შენიშვნები

1. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება. მუხლი 1.
2. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება. მუხლი 10.
3. www.nato.int Events in 2002
4. ალექსანდრე რონდელი. “საერთაშორისო ურთიერთობები”. გვ. 107
5. ალექსანდრე რონდელი. “საერთაშორისო ურთიერთობები”. გვ. 108
6. ალექსანდრე რონდელი. “საერთაშორისო ურთიერთობები”. გვ. 111
7. ალექსანდრე რონდელი. “საერთაშორისო ურთიერთობები.” გვ. 106
8. ალექსანდრე რონდელი. “საერთაშორისო ურთიერთობები”. გვ. 107
9. ალექსანდრე რონდელი. “საერთაშორისო ურთიერთობები.” გვ. 111
10. NATO Handbook. The Strategic Concept of the Alliance, p. 43. 2001
11. ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა. გვ 13.
12. ევროკავშირის ინსტიტუტები და პოლიტიკა. გვ 15.
13. ა. დუგინი. გეოპოლიტიკის საფუძვლები. გვ. 39.
14. ზურაბ აბაშიძე. “ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ”. გვ.17
Partnership with the countries of Central and Eastern Europe. Statement issued by the North Atlantic Council Meeting in ministerial Session. Copenhagen, 6-7 June, 1991
15. ზურაბ აბაშიძე. “ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ”. გვ.17
Developments in the Soviet Union. Statement issued by the Heads of State and Government participating in the meeting of the North Atlantic Council. Rome, 7-8 November 1991.
16. ზურაბ აბაშიძე. “ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ”. გვ.43
17. ზურაბ აბაშიძე. “ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ”. გვ.220
NATO Review. Summer 1999, p.3.
18. ზურაბ აბაშიძე. “ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ”. გვ.219
19. www.nato.int. Materials of the NATO Ministerial. Brussels, December 7, 2007.
20. Winston S. Churchill, The Second World War – Triumph and Tragedy, (London, U.K: The educational book company ltd. 1953), p.277
21. Huntington, Samuel P, The Lonely Superpower, Foreign Affairs, Mar/Apr 99
22. “Guardian” April 29, 2002, pp.344-345
23. Europäische Sicherheit März 1999.
24. A. Utkin. “American Empire”
25. Wall Street Journal, January, 2003. Marc Champion.
26. NATO Charter, Article 4.
27. “NATO Chief Says Alliance Needs Role in Afghanistan,” New York Times, February, 2003
28. Lecture by Jamie Shea, February 12.
29. Hunter R. Maximizing NATO
30. “The National Interest”, Spring 1999.
31. Santis De H. Mutualism. An American Strategy for the Next Century. World Policy Journal, Winter 98-99.

32. Deutch J. Kanter A. Scowcroft B. Saving NATO's Foundation Foreign Affairs, November/December 1999
33. U.S. Under State Secretary, Nicholas Burns, Brief.
34. Liam Fox. Britain Will Never Join an EU Army, Telegraph February 2007.
35. Liam Fox. Britain Will Never Join an EU Army, Telegraph February 2007.
36. The Russian MFA Statement, September 22, 2006, RIA Novosty.
37. The Financial Times, Jonathan Eysel, European appeasement will worsen Russian aggression, May 2007.
38. YaleGlobal, 24 May 2007.
39. ზურაბ აბაშიძე. “ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ”. გვ.38
International Herald Tribune. 14.04.1997
40. International Herald Tribune. 20.02.1994
41. Materials of the 43-st Conference in Munich on Security issues, February 2007.
42. Materials of the 43-st Conference in Munich on Security issues, February 2007.
43. Materials of the 43-st Conference in Munich on Security issues, February 2007.
44. Materials of the 43-st Conference in Munich on Security issues, February 2007.
45. Materials of the 43-st Conference in Munich on Security issues, February 2007.
46. Materials of the 43-st Conference in Munich on Security issues, February 2007.
47. Materials of the 43-st Conference in Munich on Security issues, February 2007.
48. Materials of the 43-st Conference in Munich on Security issues, February 2007.
49. Materials of the 43-st Conference in Munich on Security issues, February 2007.
50. RIA Novosty, February 1, 2007.
51. Russian General Staff Statement. March, 2007
52. Russian General Staff Statement. March, 2007
53. ჟურნალი “არსენალი”. N10. ოქტომბერი, 2007. გვ. 4
54. ზურაბ აბაშიძე. “ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ”. გვ.22
55. Zbigniew Brzezinski. The Grand Chessboard. p. 137
56. www.nato.int. Materials of the Riga Summit. November, 2006.
57. International Herald Tribune. March, 2006.
58. www.opentext.ge/resonance. 22 იანვარი, 2007.
59. ალექსანდრე დუგინი. ”გეოპოლიტიკის საფუძვლები.” გვ. 82.
60. NATO Charter. Article 2.
61. ანატოლი კორეპანოვი. საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ. გაზეთი “24 საათი”. 4 თებერვალი, 2008 წელი.
62. ზურაბ აბაშიძე. “ნატო და საქართველო. უტოპიიდან რეალობისკენ”. გვ.98
63. www.nato.int. Materials of the Riga Summit. November, 2006.
64. www.opentext.ge/resonance. 30 ნოემბერი, 2006.
65. www.opentext.ge/resonance. 30 ნოემბერი, 2006.
66. www.opentext.ge/resonance. 30 ნოემბერი, 2006
67. www.opentext.ge/resonance. 30 ნოემბერი, 2006
68. www.opentext.ge/resonance. 30 ნოემბერი, 2006
69. www.opentext.ge/resonance. 30 ნოემბერი, 2006
70. www.opentext.ge/resonance. 14 დეკემბერი, 2006.
71. www.nato.int. Materials of the Riga Summit. November, 2006.
72. www.nato.int. Materials of the Riga Summit. November, 2006.
73. www.opentext.ge/resonance. მარტი, 2007.
74. www.opentext.ge/resonance. მარტი, 2007.
75. www.opentext.ge/resonance. მარტი, 2007.
76. www.opentext.ge/resonance. მარტი, 2007.
77. www.opentext.ge/resonance. მარტი, 2007.
78. www.24saati.ge. 2 ოქტომბერი, 2007.

79. www.24saati.ge. 2 ოქტომბერი, 2007.
80. www.24saati.ge. 2 ოქტომბერი, 2007.
81. www.24saati.ge. 2 ოქტომბერი, 2007.
82. www.24saati.ge. 9 დეკემბერი, 2007.
83. გაზეთი 24 საათი. 4 თებერვალი, 2008 წელი. მასალები გამოქვეყნებულია საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ მიერ
84. გაზეთი 24 საათი. 2 თებერვალი, 2008 წელი
85. გაზეთი 24 საათი. 2 თებერვალი, 2008 წელი
86. www.mfa.gov.ge. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია
87. www.mfa.gov.ge საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის დირექტივები
88. www.opentext.ge/resonance. მარტი, 2007.
89. www.24saati.ge სექტემბერი, 2007
90. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
91. www.mod.gov.ge «თავდაცვის მინისტრის ხედვა»
92. www.mod.gov.ge ”ეროვნული სამხედრო სტრატეგია”
93. ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მასალები.
94. www.24saati.ge. ოქტომბერი, 2007.
95. www.24saati.ge. ოქტომბერი, 2007.
96. www.24saati.ge. ოქტომბერი, 2007.
97. Ronald D. Asmus: Reinventing NATO (Yet Again) Politically, NATO Review, Spring 2005, p.32.

დანართი

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სტრატეგია

შესავალი

საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია საქართველოს ხელისუფლების უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტია.

2004 წლის ოქტომბერში ხელი მოეწერა საქართველოს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას (IPAP) და მისი განხორციელება საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია.

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ოთხი თავისგან შედგება და მოიცავს: პოლიტიკის და უსაფრთხოების, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სამხედრო საკითხებს; საზოგადოებრივი ინფორმაციის, მეცნიერების, გარემოს დაცვისა და სამოქალაქო კრიზისების მართვის საკითხებს; ადმინისტრაციული, საინფორმაციო უსაფრთხოებისა და რესურსების მართვის საკითხებს.

IPAP-ის მესამე თავი საზოგადოებრივ ინფორმაციას ეხება. ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტი მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობა და საზოგადოებისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობაა. ინტეგრაციის პროცესის პერმანენტული გაშუქება, პროცესში საზოგადოების აქტიური ჩართვა და მისი მომზადება ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებისათვის ინტეგრაციის პროცესის აუცილებელი კომპონენტებია.

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის მიზანმიმართულად და კოორდინირებულად განხორციელების მიზნით ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან სამთავრობო და არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლები.

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სტრატეგია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, თავდაცვის, საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენელთა მიერ შემუშავდა და შენიშვნებისათვის ზემოთ აღნიშნული სამუშაო ჯგუფის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს გადაეცათ.

ამ დოკუმენტში საუბარია საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის მიზნების, საზოგადოებისთვის საჭირო ინფორმაციის, სამიზნე ჯგუფების, საკომუნიკაციო

არხების, სტრატეგიის განხორციელების, განხორციელებისათვის საჭირო რესურსებისა და სტრატეგიის იმპლემენტაციის მონიტორინგის შესახებ.

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის მიხედვით გაიწერება სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებას კოორდინაციას გაუწევს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა საინფორმაციო სტრატეგიის განხორციელების პროცესში სისტემატიურად უნდა განხორციელდეს. კვლევების შედეგებზე მონიტორინგი საზოგადოების ინფორმირებულობასა და საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის განხორციელების მიმდინარეობის ეფექტურობას გამოავლენს.

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის განხორციელების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაიხსნა ნატოს საინფორმაციო ცენტრები. საინფორმაციო ცენტრები წარმოადგენს საზოგადოების ინფორმირების ძალზე ეფექტურ საშუალებას. ცენტრებში იმართება სხვადასხვა ღონისძიებები: საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ დისკუსიები, კონფერენციები, მრგვალი მაგიდები, პრეზენტაციები.

მიზნები

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის მიზანია საზოგადოების პერმანენტული ინფორმირებისა და მისი პროცესში აქტიური ჩართვის გზით საქართველოს ნატო-ში გაწვევრიანების პროცესის ხელშეწყობა. აუცილებელია, საზოგადოებას კარგად ესმოდეს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის მიზნები და შედეგები და ამ პროცესს გაცნობიერებულად უჭერდეს მხარს. მნიშვნელოვანია საქართველოს ნატო-ში გაწვევრიანების იდეის მხარდასაჭერად საზოგადოებრივი აზრის მობილიზება. ამ პროცესში აუცილებელია საზოგადოების ინფორმირება ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის – როგორც ორგანიზაციის, მისი სტრუქტურის, ტრანსფორმაციისა და მიზნების შესახებ.

IPAP-ის მესამე თავის (Public information, science, and civil emergency planning) 3.1. ქვეპუნქტით (Public information on security and defence matters) საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის ძირითადი მიზანია განსაზღვრული, რაც სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში მიმდინარე რეფორმებისა და მოდერნიზაციის პროცესის შესახებ საზოგადოების მაქსიმალურ ინფორმირებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ეხება. მათ შორის, შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლის განხორციელების ხელშეწყობაა. თუმცა საზოგადოების ინფორმირების სტრატეგია მხოლოდ თავდაცვის სექტორს არ ეხება. სტრატეგიის განხორციელების პროცესში, ინტენსიურად გააშუქდება სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართული ყველა სფეროს საქმიანობა და მიმდინარე რეფორმები.

საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაცია

ინფორმაცია, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის იქნება გამიზნული, უნდა შეიცავდეს განმარტებებს, რას მისცემს ნატო-ში გაწევრიანება საქართველოს, რას სთავაზობს საქართველო ნატოს, რა უნდა გაკეთდეს გაწევრიანებისათვის და როგორ მიმდინარეობს ეს პროცესი. ასევე აუცილებელია ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების, ცვლილებებისა და მიღწევების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდება.

საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, საზოგადოებას ზუსტად უნდა ესმოდეს, რას ნიშნავს და რა ფორმით ხორციელდება შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კონტროლი, რა საერთაშორისო პრაქტიკა არსებობს და რა მდგომარეობაა საქართველოში ამ მიმართულებით.

გაწევრიანების პროცესში საზოგადოებას ასევე მიეწოდება ინფორმაცია, თუ რა არის ნატო, როგორ ფუნქციონირებს ის, როგორია მისი პოლიტიკა, მისი მიზნები.

სამიზნე ჯგუფები

საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის განსახორციელებლად საზოგადოება დაიყო შემდეგ სამიზნე ჯგუფებად:

- პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებნი;**
- საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებლები;**
- მოსწავლე-ახალგაზრდობა;**
- ეთნიკური უმცირესობა.**

პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებნი საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ, მისი განხორციელების პროცესში დიდი როლი აკისრიათ და ინფორმაციის მიწოდებისა და გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ამ ჯგუფზე მუშაობა გულისხმობს ინფორმაციის მიღების საშუალებების ყოველდღიური ანალიზის შედეგად მოპოვებული საჭირო ინფორმაციის მათთვის მიწოდებას, ინფორმაციის გავრცელების დროისა და ვითარების დაგეგმვას.

ამ ჯგუფში შედიან:

- **ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ხელისუფლება.**

საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებლები მნიშვნელოვან სამუშაო ჯგუფს წარმოადგენენ. ისინი მონაწილეობას იღებენ კონფერენციებსა და სემინარებში, სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და დისკუსიებში. ამ ჯგუფში საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი და ავტორიტეტული ადამიანები შედიან. მათი აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვნად განაპირობებს საზოგადოების ინფორმირების დონის ამაღლებას.

ამ ჯგუფში შედიან:

- **საზოგადო მოღვაწეები;**
- **ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა წარმომადგენლები;**
- **არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;**
- **ინფორმაციის მულტიპლიკატორები - მედიის წარმომადგენლები: ჟურნალისტები და გამომცემლები;**
- **ცოდნის მულტიპლიკატორები - პედაგოგები, ლექტორები, ბიბლიოთეკის თანამშრომლები.**

მოსწავლე-ახალგაზრდობა საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის მიმღები სამიზნე ჯგუფია. აუცილებელია საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ახალგაზრდობის ინტერესის გაზრდა, მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის სპეციალური სასწავლო პროგრამების შექმნა.

საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის განხორციელების პროცესში **განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ეთნიკურ უმცირესობებზე**. მათთან მუშაობისას აუცილებელია სპეციფიური პროექტების შექმნა. აუცილებელია ამ ჯგუფის წარმომადგენლებს მიეწოდოთ ინფორმაცია, თუ რას ნიშნავს და მათ რას მოუტანს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაცია. **სასურველია ნატოს საინფორმაციო ცენტრის გახსნა ქვემო ქართლის რეგიონში**. ცენტრი ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და ინტეგრაციის პროცესში მათი ჩართვის საუკეთესო საშუალება იქნება.

ინფორმაციისადმი განსხვავებული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით დამატებითი პროგრამებისა და ღონისძიებების გატარება იქნება საჭირო რეგიონებში.

ინფორმაციის გავრცელების საშუალების განსაზღვრა

საინფორმაციო სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესში საჭიროა ყველა საკომუნიკაციო არხის მაქსიმალურად გამოყენება.

ეს საკომუნიკაციო არხებია:

- პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიმღებთა საჯარო გამოსვლები;
- კონფერენციები, სემინარები, მრგვალი მაგიდები;
- მედია (ბეჭდვითი, სამაუწყებლო და ელექტრონული);
- საგამომცემლო საქმიანობა (ბუკლეტები, ბროშურების, ჟურნალები და სხვა საინფორმაციო-საგანმანათლებლო გამოცემები).

საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის განხორციელება

ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის განხორციელება მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. ამ პროცესმა ყველა სამიზნე ჯგუფი უნდა მოიცვას და კომუნიკაციის ყველა საშუალება მაქსიმალურად უნდა იქნას ათვისებული.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში ჩაბმული იქნება სახელმწიფოს ყველა სტრუქტურა. თითოეულ მათგანს მიეცემა საშუალება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, დამოუკიდებლად აწარმოოს საინფორმაციო კომპანია. ამასთან ეს პროცესი უნდა იყოს კარგად კოორდინირებული, იძლეოდეს ერთიანი კამპანიის სურათს და ემსახურებოდეს საერთო მიზანს – საზოგადოების პერმანენტულ ინფორმირებას.

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის მიმდინარეობის პროცესში ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნატო-ში ახლადგაწევრიანებული ქვეყნების, კერძოდ ბალტიის ქვეყნების, გამოცდილების შესწავლა.

საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის განხორციელების პროცესში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი. მათი საჯარო გამოსვლები საზოგადოების ინფორმირების ეფექტური ინსტრუმენტი და მის სწორად გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის კოორდინირებული განხორციელებისა და საზოგადოების ინფორმირების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია უწყებრივ სამინისტროებში სახალხო დიპლომატიის სამსახურების ჩამოყალიბება. სამსახური უშუალოდ იქნება სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო და ეს ნაბიჯი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სტრატეგიის ეფექტურ იმპლემენტაციას.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ საქართველოში მოქმედ ნატოს საინფორმაციო ცენტრებს. ნატოს შესახებ მართებული საზოგადოებრივი აზრის ფორმირების, საქართველო-ნატოს თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების, თანამშრომლობის გაღრმავებისა და ხელშეწყობის მიზნით ნატოს საინფორმაციო ცენტრის მიერ დაგეგმილია საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის საკითხებზე კონფერენციების, სემინარებისა და გამოფენების ორგანიზება; საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ლექცია-სემინარების მოწოდება; ნატო-სა და ნატო-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ სპეციალური ბუკლეტებისა და ბიულეტენების დამზადება და გავრცელება; ნატო-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ ფილმისა და სატელევიზიო კლიპების დამზადება.

ნატოს საინფორმაციო ცენტრებში მოეწეობა შეხვედრები ნატო-ს წარმომადგენლებთან, დიპლომატებსა და საზოგადოების წარმომადგენლებთან.

ნატოს საინფორმაციო ცენტრი თანამშრომლობს უკრაინაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში, ასევე აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების ანალოგიურ ცენტრებსა და ევრო-ატლანტიკურ თანამეგობრობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან.

საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის განხორციელების პროცესში ყურადღება გამახვილდება საგანმანათლებლო დონისძიებებზე. ნატო-ს საინფორმაციო ცენტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად ხელს შეუწყობს საქართველოს სამეცნიერო ინსტიტუტების ნატო-ს სამეცნიერო პროგრამებში ჩართვას. საჭიროა სპეციალური სასწავლო პროგრამების შექმნა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ასევე იგეგმება საქართველოს სასწავლო დაწესებულებებში ნატოს სახელობის სტიპენდიების დაწესება. საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გამოცხადდება კონკურსი ნატო-სა და საქართველო-ნატოს ურთიერთობის თემატიკასთან დაკავშირებით.

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის განსახორციელებლად აუცილებელია კამპანიის გაშლა რეგიონებში. ამ კუთხით ეფექტური იქნება რადიო მაუწყებლობის გამოყენება, კონფერენციებისა და სემინარების რეგიონებში გადართობა. ამ მიზნის მისაღწევად ეფექტური ინსტრუმენტი არის ნატოს საინფორმაციო ცენტრი: აღმოსავლეთ საქართველოში – თელავი, დასავლეთ საქართველოში – ბათუმი.

აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ეროვნულ უმცირესობებთან მიმართებაში. გასათვალისწინებელია საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის შესახებ მათი ინფორმირებულობის ხარისხი. ამის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას სპეციალური პროგრამები, რაც ხელს შეუწყობს მათი ინტერესისა და ინფორმირებულობის დონის ამაღლებას და შესაბამისად მათ ინტეგრაციის პროცესში ჩართვას შეუწყობს ხელს. ამ მიზნით სასურველია, გაიხსნას კიდევ ერთი ნატოს საინფორმაციო ცენტრი ქვემო ქართლში. გარდა ამისა, საჭირო იქნება ამ რეგიონში მოღვაწე ადგილობრივი მმართველობების წარმომადგენლებისა და პედაგოგებისათვის, როგორც საზოგადოებრივი აზრის ჩამომყალიბებლებისათვის, სპეციალური სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზება.

ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით საქართველოს საზოგადოებრივი არხის მიერ მზადდება სპეციალური ტელეგადაცემა, რომელშიც გაშუქდება საქართველო-ნატოს ურთიერთობები და ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობა. ასევე პოპულარიზაცია გაეწევა ნატოს – როგორც ძლიერ საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციას. ამ თემების პოპულარიზაციაში აქტიურად ჩაერთვება სხვა საინფორმაციო საშუალებებიც.

საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის განხორციელების ხელშესაწყობად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შეიქმნა სპეციალური ვებ-გვერდი, სადაც აისახება საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობა. ვებ-გვერდზე განთავსდა ინფორმაცია საქართველოში არსებული კონფლიქტების, საქართველოს ხელისუფლების კონფლიქტების დარეგულირების სამშვიდობო გეგმის, IPAP-ის იმპლემენტაციისა და სახელმწიფოში მიმდინარე რეფორმების შესახებ.

აუცილებელია საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის კვალიფიციური, ადექვატური გაშუქება, რისთვისაც საჭიროა მედიასთან ინტენსიური მუშაობა. ჟურნალისტების ცოდნის ამაღლებისა და მათი ინფორმირებისათვის საჭიროა სპეციალური საგანმანათლებლო-საინფორმაციო ღონისძიებების ორგანიზება. კერძოდ, კონფერენციებისა და სემინარების, სპეციალური ტურების მოწყობა NATO-ს შტაბ-ბინაში.

აუცილებელია საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის განხორციელების პროცესში ნატო-ს საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათ ღონისძიებებში სახელმწიფო სტრუქტურების ჩართვა.

რესურსები

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის განსახორციელებლად საჭიროა შესაბამისი ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერა.

ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყენებული იქნება შემდეგი რესურსები:

- სახელმწიფო ბიუჯეტი;

- ადგილობრივი ბიუჯეტი;
- გრანტები;
- დონორი ორგანიზაციები.

ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაში აქტიურად იმუშავენ სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებული საჯარო მოხელეები, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, არასამთავრობო ორგანიზაციები.

სტრატეგიის იმპლემენტაციის მონიტორინგი

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცების შემდეგ სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიმუშავეს სტრატეგიის განხორციელების დეტალურ სამოქმედო გეგმას. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, როგორც მაკორდინირებელი სტრუქტურა, უფლებამოსილია განახორციელოს საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის მიხედვით გაწერილი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის მონიტორინგი.

საზოგადოების ინფორმირების პროცესის მიმდინარეობის ეფექტურობის ხარისხის განსასაზღვრავად საჭიროა სოციოლოგიური კვლევების ჩატარება. საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის განხორციელების წარმატებულობის გასაზომად გამოყენებულ იქნება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

რაოდენობრივი ინდიკატორები:

ა. ჩატარებული კონფერენციების, სემინარების, ვორკშოპების რაოდენობა მთელი საქართველოს მასშტაბით. *თითოეული ამ ღონისძიების ზუსტი რაოდენობა, გეოგრაფია და ვადები განისაზღვრება წინასწარ და მითითებული იქნება სამოქმედო გეგმაში,*

ბ. სატელევიზიო და რადიო პროგრამების, სარეკლამო რგოლების რაოდენობა. *თითოეული ამ პროგრამის ზუსტი ოდენობა განისაზღვრება და მითითებული იქნება სამოქმედო გეგმაში,*

გ. ბეჭდვითი საინფორმაციო გამოცემების (ბროშურების, ბუკლეტების, ბიულეტენების) რაოდენობა. *მათი ზუსტი ტირაჟი, პერიოდულობა და გავრცელების გეოგრაფია მითითებული იქნება სამოქმედო გეგმაში.*

სტრატეგიის წარმატებულობის გასაზომად რაოდენობრივი ინდიკატორების საშუალებით გეგმით გათვალისწინებული და რეალურად განხორციელებული საქმიანობების ერთმანეთთან შედარება და მათი დათვლა მოხდება.

ხარისხობრივი ინდიკატორები:

- ა. ნატოს შესახებ საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი;
- ბ. ნატოს შესახებ მოსახლეობის დამოკიდებულების ხარისხი;

გ. საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების ხარისხი

სტრატეგიის წარმატებულობის გასაზომად “ა”, “ბ” და “გ” ხარისხობრივი ინდიკატორების საშუალებით, ჩატარდება საზოგადოებრივი კვლევები სამოქმედო გეგმის განხორციელების ყველა ეტაპზე.

კვლევების ზუსტი ვადები განისაზღვრება წინასწარ და მითითებული იქნება სამოქმედო გეგმაში. კვლევების შედეგების შედარების საფუძველზე გამოვლინდება, რამდენად ეფექტურად ხორციელდება ნატო-ში ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ინფორმირების სტრატეგია, მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების ცვლილების დინამიკა და რა ცვლილებების შეტანაა საჭირო სტრატეგიის იმპლემენტაციის პროცესში.

საინფორმაციო

ცნობა

საქართველო-

ნატო-ს

ურთიერთობების

შესახებ

1992 წელს საქართველო გახდა ჩრდილო ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს წევრი (NACC);

1994 წლის 23 მარტს საქართველო შეუერთდა ნატო-ს «პარტნიორობა მშვიდობისათვის» პროგრამას (PfP);

1995 წლის 18 ივლისს საქართველო შეუერთდა «შეთანხმებას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ-ქვეყნებსა და «პარტნიორობა მშვიდობისათვის» პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის ძალების სტატუსის შესახებ» (SOFA);

1995 წლიდან წარმოებს თანამშრომლობა განათლების სფეროში. ნატო-ს სკოლაში ობერამერგაუში (გერმანია) და ნატო-ს თავდაცვის კოლეჯში (რომი, იტალია) ყოველწლიურად კვალიფიკაციას იმაღლებენ ქართველი მსმენელები;

1996 წელს საქართველომ შეიმუშავა და წარადგინა ნატო-ში პირველი «ინდივიდუალური პარტნიორობის» პროგრამა (Individual Partnership Program – IPP);

1997 წლის 1 მაისს საქართველოს პარლამენტმა გაუკეთა რატიფიცირება «ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებსა და «პარტნიორობა მშვიდობისათვის» პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ» შეთანხმებას (SOFA);

1997 წლის 30 მაისს შეიქმნა ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭო (EAPC) და საქართველო გახდა მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი;

1998 წლის 22 აპრილს ნატო-ში საქართველოს დიპლომატიური მისია გაიხსნა და საქართველოს ელჩმა რწმუნებათა სიგელი გადასცა ნატო-ს გენერალურ მდივანს;

1999 წლის მარტში საქართველო მიუერთდა «პარტნიორობა

მშვიდობისათვის» პროგრამის «დაგეგმვისა და ანალიზის პროცესს" (Planning and Review Process – PARP). აღნიშნულ პროცესში ორწლიანი ციკლის ფარგლებში, ქვეყანა ახორციელებს შერჩეულ პარტნიორობის მიზნებს, რაც ხელს უწყობს თავსებადობის მიღწევას და ნატო-ს ხელმძღვანელობით განხორციელებულ სამშვიდობო ოპერაციებში წარმატებულ მონაწილეობას;

2000 წლის 19 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა გაუკეთა რატიფიცირება «ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ ქვეყნებსა და «პარტნიორობა მშვიდობისათვის» პროგრამაში მონაწილე ქვეყნებს შორის მათი შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ» შემდგომ დამატებით ოქმს;

2001 წლის მარტში დაინერგა ნატო-ს საერთაშორისო სამსახურთან რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციების პრაქტიკა, რასაც ჩვენი ქვეყნისათვის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს კონსულტაციები ძირითადად ტარდება საქართველოს მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ხოლო ნატო-ს მხრიდან პოლიტიკური დირექტორატის ხელმძღვანელის დონეზე;

რეგულარულად ტარდება მაღალი დონის შეხვედრები შეიარაღებაზე კონტროლისა და განიარაღების საკითხებზე 26+1 ფორმატში (ნატო-ს წევრი 26 ქვეყანა + საქართველო);

2001 წლის 11-23 ივნისს საქართველოში (ქ. ფოთი) ჩატარდა ნატო-ს და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი მსხვილმასშტაბიანი მრავალეროვნული სამხედრო წვრთნები «კოოპერატივ პარტნერ-2001» (Cooperative Partner-2001);

2002 წლის 17-28 ივნისს საქართველოში (ქ. თბილისი) ჩატარდა ნატო-ს და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი მსხვილმასშტაბიანი მრავალეროვნული სამხედრო წვრთნები «კოოპერატივ ბესტ ეფორტ-2002» (Cooperative Best Effort-2002);

2002 წლის ივნისში საქართველომ დაიწყო თანამშრომლობა ნატო-ს უზრუნველყოფისა და მომარაგების სააგენტოსთან (NAMSA – NATO Maintenance and Supply Agency) «პარტნიორობა მშვიდობისათვის» პროგრამის ნდობის ფონდის ეგიდით განხორციელებული პროგრამების ფარგლებში (PfP Trust Fund);

საქართველოს პარლამენტის 2002 წლის 13 სექტემბერის #1661 დადგენილებით, საქართველოს კონსტიტუციის 48-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესის დაჩქარებისა და ეფექტურად წარმართვისათვის, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას დაევალა საქართველოს პარლამენტის შეასაბამის სტრუქტურებთან ერთად ნატო-ში გაწევრიანების პროცესის დაწყება;

2002 წლის 21-22 ნოემბერს ქ. პრელაში გამართული ნატო-ს სამიტზე საქართველომ გააკეთა განცხადება ნატო-ში გაწევრიანებისკენ სწრაფვის შესახებ და სურვილი გამოთქვა ახალ პროგრამაში - «ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში» მონაწილეობის მიღების თაობაზე;

2002 წლის 28 დეკემბერს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ დაამტკიცა «საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა». პროგრამა შედგებოდა ხუთი ძირითადი ნაწილისგან: 1) პოლიტიკური

და ეკონომიკური საკითხები; 2) თავდაცვის და სამხედრო საკითხები; 3) რესურსებით უზრუნველყოფის საკითხები; 4) უსაფრთხოების საკითხები; 5) სამართლებრივი საკითხები;

2003 წლის 14 მარტს ქ. ბრიუსელში გაიმართა ნატო-საქართველოს პოლიტიკური კონსულტაციების მე-3 რაუნდი, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში;

2003 წლის 27 მაისს საქართველოს პრეზიდენტის #235 ბრძანებულების შესაბამისად შეიქმნა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ეროვნული საკოორდინაციო საბჭო, ნატო-ში საქართველოს ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფო სტრუქტურების შეთანხმებულ მოქმედებათა და ძალისხმევის კოორდინაციის გაძლიერების მიზნით. საბჭოს თავმჯდომარეობდა საქართველოს პრეზიდენტი;

2003 წლის სექტემბერში (ქ. თბილისი) ჩატარდა ნატო-ს და პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი მსხვილმასშტაბიანი მრავალეროვნული სამხედრო-სამედიცინო წვრთნები «მედ კეარ --რესკუერი 03» (Med Care-Rescuer-03);

2003 წლის დეკემბერში შემუშავდა «საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის» დოკუმენტის პროექტი;

2004 წლის 7 აპრილს ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ნატოს მაღალი დონის წარმომადგენელთა შეხვედრა ფორმატით «26+1», სადაც საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა ნატო-ს გენერალურ მდივანს ბატონ იააკ დე ჰოოპ სხეფერს გადასცა ქვეყნის «ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის» საპრეზენტაციო დოკუმენტი;

2004 წლის 23-24 აპრილს ქ. თბილისში გაიმართა ეაპს-ის «ატლანტიკური პოლიტიკის საკითხებში მრჩეველთა ჯგუფის» (Atlantic Policy Advisor Group) სესია, რომელსაც თავმჯდომარეობდა ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში, ელჩი გიუნტერ ალტენბურგი;

2004 წლის 7 ივნისს ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-ს მაღალი დონის პოლიტიკური კომიტეტის (Senior Political Committee Reinforced - SPCR) 26+1 ფარგლებში საქართველოსთან შეხვედრა. შეხვედრას თავმჯდომარეობდა ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილე უსაფრთხოების საკითხებში, ელჩი გიუნტერ ალტენბურგი. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა «საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის» განხილვა;

2004 წლის 28-29 ივნისს სტამბოლში გამართულ ნატო-ს უმაღლესი დონის სამიტზე საქართველო, აზერბაიჯანი და უზბეკეთი ოფიციალურად შეუერთდნენ «ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის» ინიციატივას;

2004 წლის აგვისტოში ნატო-ში ოფიციალურად გაიგზავნა საქართველოს «ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა»;

2004 წლის 29 ოქტომბერს ნატო-ს უმაღლესმა ორგანომ ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ (NAC) ე.წ «დუმილის პროცედურის» საფუძველზე დაამტკიცა საქართველოს «ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა» და საქართველო გადავიდა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის ე.წ. «მეორე ეტაპზე»;

საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა ოთხი

ნაწილისაგან შედგება: 1. პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები, 2. თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სამხედრო საკითხები, 3. საჯარო ინფორმაცია, სამეცნიერო და გარემოს დაცვის საკითხები და სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვა, 4. ადმინისტრაციული, საინფორმაციო უსაფრთხოებისა და რესურსების მართვის საკითხები. ზემოთჩამოთვლილი საკითხები ზოგადად არის განხილული გეგმის პირველ ნაწილში, ხოლო მეორე ნაწილი შეიცავს დასმული საკითხების და მიზნების განხორციელებითვის აუცილებელი ღონისძიებების კონკრეტულ, დროში გაწერილ გემას. აღნიშნული გეგმა შეეხება თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ ფართო სფეროს, როგორცაა, თავდაცვის პოლიტიკა, ტერორიზმთან ბრძოლა, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობა, თავდაცვის დაგეგმვა, თავდაცვის სისტემის დაფინანსება, კრიზისული სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა;

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, 2005 წელს შეიქმნა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი სახელმწიფო კომისია, რომელიც წარმოადგენს უწყებათაშორის ჯგუფს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. კომისიას დაევალა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინირება და კონტროლი;

2005 წლის 14 თებერვლიდან ძალაში შევიდა შეთანხმება «ნატო-ს «პარტნიორობა მშვიდობისათვის» პროგრამის მეკავშირე ოფიცრის მოვლინების შესახებ საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის», რის საფუძველზეც საქართველოში მოვლინებულ იქნა სამხრეთ კავკასიისთვის მეკავშირე ოფიცერი;

2005 წლის 2 მარტს ხელი მოეწერა შეთანხმებას «საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის ნატო-ს ძალებისა და ნატო-ს პერსონალისთვის მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერისა და ტრანზიტის უზრუნველყოფის შესახებ»;

ამჟამად მიმდინარეობს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) იმპლემენტაციის პროცესი. ამასთან დაკავშირებით, 2005 წლის 7-11 მარტს თბილისში იმყოფებოდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) იმპლემენტაციის შუალედური შეფასების ჯგუფი. 2005 წლის 18 მაისს ქ. ბრიუსელში შედგა IPAP-ის იმპლემენტაციის შეფასების განხილვა;

2005 წლის 26-29 სექტემბერს თბილისში იმყოფებოდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) იმპლემენტაციის შუალედური შეფასების ჯგუფი IPAP-ის არაოფიციალურ შეფასებასთან დაკავშირებით. 2005 წლის 5 ოქტომბერს გაიმართა კონსულტაციები ნატო-ს საერთაშორისო სამსახურის წარმომადგენლებთან;

2006 წლის 6-9 მარტს თბილისში იმყოფებოდა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შეფასების ჯგუფი;

2006 წლის 13 აპრილს ნატო-ს შტაბბინაში 26+1 ფორმატში გაიმართა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შეფასების ანგარიშის განხილვა.

2006 წლის 21 სექტემბერს, ნიუ-იორკში გაიმართა ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა არაფორმალური შეხვედრა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატო-ში გაწევრიანების საკითხებზე საქართველოსთან

ინტენსიური დიალოგის დაწყების შესახებ. საქართველოს მიერ ინტენსიური დიალოგის დაწყება არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, გადადგმული პარტნიორობის ფორმატიდან წევრობის კანდიდატის ფორმატზე გადასასვლელად. ინტენსიური დიალოგი წარმოადგენს ალიანსსა და საქართველოს შორის ორმხრივი თანამშრომლობის მექანიზმს, რომლის ძირითადი მიზანია, მოამზადოს საფუძველი ქვეყნის MAP-ის (გაწევრიანების სამოქმედო გეგმა) ფაზაზე გადასასვლელად.

2006 წ. 14 დეკემბერს ნატო-ს შტაბბინაში, ბრიუსელი, გაიმართა პირველი კონსულტაცია ალიანსსა და საქართველოს შორის ინტენსიური დიალოგის ფარგლებში, სადაც განიხილეს ინტენსიური დიალოგის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხები და შეხვედრების განრიგი.

2007 წლის 1 თებერვალს გაიმართა პირველი თემატური კონსულტაცია ინტენსიური დიალოგის ფარგლებში საქართველოს დელეგაციასა და ალიანსის საერთაშორისო სამსახურს შორის. მხარეებმა განიხილეს თავდაცვის სფეროს პრიორიტეტები, რეფორმების პროგრესი და სამომავლო გეგმები.

2007 წ. 19-23 თებერვალს განხორციელდა ნატო-ს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების მიზნით.

2007 წ. 21 მარტს ნატო-ს შტაბბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს შეხვედრა 26+1 ფორმატში ნატო-ს პოლიტიკური კომიტეტის დონეზე, რომელიც მიემდვნა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხებს.

2007 წ. 22 მარტს გაიმართა მეორე თემატური კონსულტაციები გაწევრიანების საკითხებზე ინტენსიური დიალოგის ფარგლებში საქართველოს დელეგაციასა და ალიანსის საერთაშორისო სამსახურს შორის. შეხვედრაზე განხილულ იქნა პოლიტიკური საკითხების ფართო სპექტრი, კერძოდ: კონფლიქტების მოგვარების, ადამიანის უფლებების და ეროვნული უმცირესობების, კანონის უზენაესობის განმტკიცების, ენერგოუსაფრთხოების, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა საკითხები.

2007 წლის 15 მაისს ნატოს-ს შტაბ-ბინაში, ბრიუსელში გაიმართა ინტენსიური დიალოგის ფარგლებში საქართველოსა და ნატო-ს საერთაშორისო სამსახურს შორის კონსულტაციების მესამე რაუნდი სამართლებრივ საკითხებზე.

2007 წლის 5 ივნისს ბრიუსელში გაიმართა ნატოს სამხედრო-პოლიტიკური შერეული კომიტეტის სხდომა 26+1 ფორმატში, სადაც ქართულმა მხარემ მოკავშირეებს განსახილველად წარუდგინა „თავდაცვის სფეროს სტრატეგიული მიმოხილვის“ (SDR) დოკუმენტის პროექტი.

2007 წლის 11 მაისს, ბრიუსელში ნატოს-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ინტენსიური დიალოგის ფარგლებში საქართველოსა და ნატო-ს უსაფრთხოების სამსახურს შორის კონსულტაციების მეოთხე რაუნდი ინფორმაციის უსაფრთხოების საკითხებზე.

2007 წლის 5 ივლისს, ბრიუსელში ნატოს-ს შტაბ-ბინაში ჩატარდა ინტენსიური დიალოგის ფარგლებში საქართველოსა და ნატო-ს საერთაშორისო სამსახურს შორის კონსულტაციების მეხუთე რაუნდი

სახელმწიფო მინისტრის აპარატი

აპარატის ძირითადი ფუნქციაა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კოორდინაციისა და მონიტორინგის განხორციელება. ეს საქმიანობა მოიცავს ევროკავშირთან **პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების (PCA)** განხორციელების და მის ფარგლებში კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესსა და **ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP)** ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებს. აპარატი ასევე მონაწილეობს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (**IPAP**) განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

ამასთან, აპარატი ასრულებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო კომისიების სამდივნოს ფუნქციებს.

ამ საქმიანობის განსახორციელებლად აპარატში ჩამოყალიბებულია **ევროინტეგრაციის კოორდინაციის, ევროკავშირის პროგრამების კოორდინაციის, NATO-ში ინტეგრაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის** სამსახურები.

ევროინტეგრაციის კოორდინაციის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

საქართველოს მთავრობის, სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების ევროინტეგრაციის პროცესებში აქტიურ და ეფექტიან მონაწილეობის კოორდინაცია;

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი ეფექტურად განხორციელების კოორდინაცია;

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სხდომების ორგანიზების ხელშეწყობა, და აღნიშნული კომისიის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება;

ევროინტეგრაციის პრობლემათა საზოგადოებრივი საექსპერტო საბჭოს შეხვედრების ორგანიზება;

- ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველო ევროკავშირის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების კოორდინირება;

- საქართველოსა და ევროკავშირის პოლიტიკური, საქმიანი და არასამთავრობო წრეების ურთიერთდაახლოების ხელშეწყობა.

ევროკავშირის პროგრამების კოორდინაციის სამსახური პასუხისმგებელია ევროკავშირის დახმარების პროგრამებისა და პროექტების კოორდინაციასა და ხელშეწყობაზე. სამსახური ახორციელებს მუდმივ კონტაქტებს როგორც

საქართველოში მიმდინარე ევროკავშირის პროგრამების ხელმძღვანელებთან, ევროპულ და ადგილობრივ ექსპერტებთან, ასევე დახმარების პროგრამების მიმღებ დარგობრივ სამინისტროებთან და უწყებებთან, სამინისტროებში შექმნილ ევროინტეგრაციის დეპარტამენტებთან და განყოფილებებთან. ის ასევე პასუხისმგებელია ევროკავშირის პროექტების მონიტორინგის ჯგუფთან ურთიერთობასა და მათგან ჩატარებული სამუშაოს ანგარიშის მიღებაზე. სამსახური ევროკავშირის პროგრამების ეროვნული კოორდინატორისთვის ან მისი დავალებით ამზადებს ინფორმაციასა და ანგარიშებს ევროკავშირის პროგრამებისა და პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

NATO-ში ინტეგრაციის სამსახურის ფუნქციებია:

ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კოორდინაცია და მონიტორინგი;

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი;

კომპეტენციის ფარგლებში MAP-ში საქართველოს ჩართვისთვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება;

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო კომისიების სამდივნოს ფუნქციების შესრულება;

საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობა;

აღმოსავლეთ ევროპისა და ახლადგაწევრიანებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, ანალიზი და მთავრობისათვის შესაბამისი წინადადებების შემუშავება;

საერთაშორისო და არასამთავრობო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა საინფორმაციო კამპანიის წარმართვის მიზნით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მათ შორის, გლობალური მედიით, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ საზოგადოების ინფორმირებასა და ინტეგრაციის პროცესის პოპულარიზაციას ეწევა, რაც მოიცავს:

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობის ინტენსიურ გაშუქებას;

მედიის, არასამთავრობო სექტორისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან თანამშრომლობას, რაც თავის მხრივ, მოიცავს;

ჟურნალისტებისთვის ტრენინგების ორგანიზებას;

მედიის, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებისათვის კონფერენციების, დისკუსიების, სემინარებისა და მრგვალი მაგიდების ორგანიზებას;

საგანმანათლებლო დაწესებულებებში ევროკავშირისა და NATO-ს საკითხებზე ლექციების, სემინარებისა და კონკურსების ორგანიზებას;

NATO-ს საინფორმაციო ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობას;

- ევროკავშირისა და NATO-ს საკითხებზე სახელმწიფო მინისტრთან არსებულ საზოგადოებრივ საექსპერტო საბჭოებთან თანამშრომლობას;

- ევროპული დაიჯესტის ინფორმაციულ უზრუნველყოფას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაგეგმილი აქვს ევროკავშირისა და NATO-ს შესახებ საინფორმაციო-ანალიტიკური ჟურნალების, ბროშურებისა და ბუკლეტების დაბეჭდვა. ასევე ვებ-გვერდის გამოშვება.

სამდივნოს ძირითადი ფუნქციებია მინისტრისა და მინისტრის მოადგილის საკომუნიკაციო უზრუნველყოფა, მათი შეხვედრების ორგანიზება, კორესპონდენციის წარმოება, საიდუმლო საქმის წარმოება, მინისტრის ბრძანებების მომზადება და წარმოება, საკადრო საქმეების წარმოება, მინისტრისა და მინისტრის მოადგილისათვის საინფორმაციო, ანალიტიკური და სასაუბრო მასალების მომზადების კოორდინაცია, მინისტრისა და მინისტრის მოადგილის დავალებების შესრულების კონტროლი.

**საქართველოს
ვალდებულებები
ნატოსთან
ინდივიდუალური
პარტნიორობის
სამოქმედო გეგმის
ფარგლებში 2004-
2006**



თავი I: პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხები

1.1. ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია

ნატოში გაწევრიანება და ევროკავშირში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სტრატეგიულ მიზნებს წარმოადგენს. 2004 წლის განმავლობაში საქართველო გეგმავს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიღებას, სადაც ხსენებული მიზნები აისახება. ნატოში გაწევრიანების გზაზე, საქართველო აცნობიერებს სათანადო პროგრესის მიღწევის აუცილებლობას.

1.2. მეზობლებთან ურთიერთობა

საქართველოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, განავითაროს კეთილმეზობლური და კონსტრუქციული ურთიერთობა ყველა მეზობელთან. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თანამშრომლობა აზერბაიჯანთან ენერგომატარებლების ტრანსპორტირების სფეროში. საქართველოს სურს ხელი შეუწყოს რეგიონულ თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიის

და შავი ზღვის რეგიონებში.

1.3. ტერორიზმთან ბრძოლა

საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ შორის, ავღანეთის კამპანიის განმავლობაში საერთაშორისო კოალიციის მხარდაჭერის მიზნით საკუთარი საჰაერო სივრცის და აეროდრომების შეთავაზებით. საქართველო გააგრძელებს შესაბამისი ინფორმაციის გაცვლას მოკავშირეებთან და პარტნიორებთან. საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები ტერორისტულ დაჯგუფებებთან საბრძოლველად მნიშვნელოვნად გაიზარდა და საქართველო გააგრძელებს საზღვარზე გამძლიერებულ საკონტროლო და საპოლიციო ღონისძიებებს.

1.4. დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ

საქართველო ესწრაფის დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისკენ, სადაც კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების პატივისცემა იქნება გარანტირებული. საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს რეფორმირების და განვითარების პროგრამას, რომელშიც სათანადო საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო დეტალური მიზნები იქნება გაწერილი. საქართველო გააგრძელებს საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირისა და ევროსაბჭოს სტანდარტებთან ჰარმონიზაციას. საქართველოს მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კორუფციასთან ბრძოლა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივ გამოყენებას და ადმინისტრაციული სტრუქტურების უკანონო ჩარევას ბიზნესში.

1.5. დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე

საქართველოს უკვე ჰყავს თავდაცვის სამოქალაქო მინისტრი. საქართველო მიზნად ისახავს სამინისტროზე მუდმივი დემოკრატიული კონტროლისა და ხელმძღვანელობის დამკვიდრებას, თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ფუნქციების გამიჯვნას 2004 წლის ბოლომდე. შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტს წარედგინება 2005 წლის განმავლობაში.

1.6. ეკონომიკური განვითარება და პოლიტიკის პრიორიტეტები

საქართველო ფუნქციონირებადი და გამჭვირვალე საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისაკენ ესწრაფის. რეფორმირების და განვითარების პროგრამაში, რომლის შემუშავებაც 2004 წლის ბოლოსთვის იგეგმება, ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად რიგი ღონისძიებები, მათ შორის გაიწერება: კორუფციის ინსტიტუციური აღმოფხვრა, ფინანსური სტაბილურობის შექმნა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და დაცვა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის რეალური ეკონომიკური საფუძვლის შექმნა.

1.7. შიდა კონფლიქტები

გაყინული კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთი) აბრკოლებენ ქვეყნის სტაბილურ განვითარებას. ისინი აგრეთვე ემუქრებიან ქვეყნის შიდა და საერთაშორისო უსაფრთხოებას, რადგან ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, იარაღით და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისათვის. საქართველოს მთავრობა მოწოდებულია, მშვიდობიანი გზით გადაჭრას აღნიშნული პრობლემები სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

1.8. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

საქართველო მოწოდებულია, ითანამშრომლოს გაეროსა და ეუთოსთან საკუთარ ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა შესაბამის საკითხებში. ქვეყანა მოწოდებულია, გააფართოს თანამშრომლობა ევროკავშირთან და დანერგოს ევროსაბჭოს სტანდარტები.

1.1. უსაფრთხოების პოლიტიკა

1.1.1. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიღება, რომელშიც ასახული იქნება ძირითადი მიზნები, მათ შორის ნატო-ში ინტეგრაციასთან დაკავშირებული ამოცანები.

მოქმედება 1. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე მუშაობის დასრულება

1.1.2. დეტალური, გეგმაზომიერი და დროში გაწერილი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მიზნების

ჩამოყალიბება, რაც საფუძვლად დაედება შემდგომ შეფასებას.

1.2. მეზობლებთან ურთიერთობა

1.2.1. პრაქტიკული რეგიონული თანამშრომლობის განვითარება სამხრეთ კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის პარტნიორ ქვეყნებთან

მოქმედება 1. სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის ხელშეწყობი პრაქტიკული ნაბიჯების განსაზღვრა.

მოქმედება 2. პმპ- ღონისძიებების რეგიონული განზომილების გაზრდა კავკასიის და შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ საგანგებო სამუშაო ჯგუფის მიერ შეთანხმებულ სფეროებში.

1.2.2. რეგიონულ თანამშრომლობაში წვლილის შეტანა საზღვრის ორივე მხარეს წარმოებული კვლევების მეშვეობით

მოქმედება 1. საქართველოს ექსპერტების ტრენინგი წყლის ინტეგრირებული მენეჯმენტის მეთოდის საკითხებში

1.2.3. ურთიერთობები რუსეთთან

მოქმედება 1. ეჩმ-სთან დაკავშირებული სტამბოლის ხელშეკრულების განხორციელება

1.2.4. რეგიონული თანამშრომლობის მხარდაჭერა საერთო გარემოსდაცვითი უსაფრთხოების საკითხებში

მოქმედება 1. ეუთო-სთან თანამშრომლობით მეცნიერება მშვიდობისათვის პროექტის მონიტორინგი/მენეჯმენტი კავკასიის ქვეყნების მოსაზღვრე მდინარეებისთვის, პროექტის გაფართოება და მასში რადიოაქტივობის პრობლემის გათვალისწინება.

1.3. ტერორიზმთან ბრძოლა

1.3.1. ტერორიზმთან ბრძოლის პარტნიორული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ტერორიზმთან ბრძოლასთან დაკავშირებულ ეაპს-ის სათანადო ღონისძიებებში მონაწილეობა

მოქმედება 1. ტერორიზმთან ბრძოლის მიზნით ქვეყნის შესაძლებლობების გაძლიერება.

მოქმედება 2. საზღვრის კონტროლისა და პოლიციის გაძლიერება

მოქმედება 3. ამუნიციისა და მცირე და მსუბუქი შეიარაღების მარაგის რევიზია მათი შენახვის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ზედმეტი მარაგის უსაფრთხო და განადგურების მიზნით (იხ. მიზანი 2.5.1, ნაბიჯი 2).

1.3.2. სამეცნიერო კვლევის საშუალებით ტერორიზმთან ბრძოლაში საქართველოს წვლილის გაზრდა

მოქმედება 1. პარტნიორებთან თანამშრომლობით კვლევის ჩატარება ტერორიზმის წინააღმდეგ თავდაცვის გასაუმჯობესებლად

1.3.3. საქართველოს წვლილის გაზრდა ტერორიზმთან ბრძოლაში

მოქმედება 1.

• ტერორიზმის, იარაღითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის, ფულის გათეთრების და არალეგალური მიგრაციის აღმკვეთი ზომების მიღება;

• მილსადენის უსაფრთხოების ზომების შემუშავება;

• შიდა რესურსების და უცხოეთიდან მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერის მობილიზება.

მოქმედება 2. საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება EAPS-ის ქვეყნების ექსპერტებთან

მოქმედება 3. ეკო-ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებზე გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება ეაპს-ის ქვეყნების ექსპერტებთან

1.4. დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ

1.4.1. ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა

მოქმედება 1. პარლამენტის მიერ ევროსაბჭოს შესაბამისი კონვენციების - "რეგიონული და ეროვნული უმცირესობების ენის ქართია", "ეროვნული უმცირესობების სოციალური ქართია" და "ეროვნული უმცირესობების დაცვა" -რეატიფიკაცია;

მოქმედება 2. "სინდისისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ" კანონის პარლამენტისთვის წარდგენა.

1.4.2. ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ

მოქმედება 1. ანტიკორუფციული საკანონმდებლო აქტების პაკეტის შემუშავება და პარლამენტისთვის წარდგენა, მათ შორის:

• კანონპროექტი "უმრავი ქონების და უმრავი ნივთების რეგისტრაციის შესახებ,"

• საქართველოს კანონი "სააღმსრულებლო პროცესის" შესახებ (საერთო სასამართლოებისა და ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების წესები და პირობები),

• ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში,

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საკანონმდებლო პაკეტზე მუშაობის დასრულება,
- გენერალური ინსპექციების შესახებ კანონის პროექტის მომზადება (თითოეულ სამთავრობო სტრუქტურაში გენერალური ინსპექციის ჩამოყალიბება, რომელიც სტრუქტურაში დისციპლინარულ და ფინანსურ საკითხებს გაუწევს მონიტორინგს)
- საარბიტრაჟო ტრიბუნალის შესახებ კანონპროექტის მომზადება,
- ნოტარიუსის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა,
- საჯარო სამსახურში კორუფციისა და ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანა.

მოქმედება 2. სხვადასხვა უწყებათა ფუნქციების ოპტიმიზაცია/საჯარო სამსახურის რეფორმა

მოქმედება 3. გრეკოსთან (ქვეყნების ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ) და ოესდ-თან (ეკონომიური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია) თანამშრომლობით ანტიკორუფციული სტრატეგიისა და პრევენციული პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგი.

1.5. დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე

1.5.1. საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის რეორგანიზაციისას დემოკრატიული წესებისა და პრინციპების უზრუნველყოფა.

მოქმედება 1. თავდაცვის სექტორზე არსებული საკანონმდებლო და იურიდიული ზემოდახედველობის რევიზია, სათანადო სამართლებრივი პროცესის მექანიზმების ჩათვლით (თავდაცვის ინსტიტუციონალური აღმშენებლობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა. მიზანი 5.3.)

მოქმედება 2. სახელმწიფოს მეთაურს, მთავრობას, შეიარაღებულ ძალებს და სხვა პოტენციურ აქტორებს შორის ძალების კონტროლის სფეროში ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერის არსებული მექანიზმების რევიზია (თავდაცვის ინსტიტუციონალური აღმშენებლობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა. მიზანი 5.1.)

1.6. ეკონომიკური განვითარება და პოლიტიკის პრიორიტეტები

1.6.1. დაბალანსებული ეკონომიკური განვითარების და ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაციის უზრუნველყოფა

მოქმედება 1. სახელმწიფო ეკონომიკის რეფორმირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები:

- საჯარო მოსამსახურეების სახელფასო ანაზღაურების სისტემა;
- საჯარო დაწესებულებების მენეჯმენტი;
- პრივატიზაციის პროცესი;
- სახელმწიფო შესყიდვების პროცესი;
- გადასახადების მოკრეფის სტატისტიკური მაჩვენებლები;
- საგარეო ვაჭრობა და საგადასახადო სტატისტიკის ბალანსი;
- ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა და კონკურენციის პოლიტიკა.

1.6.2. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობის შემცირება

მოქმედება 1. საგარეო დახმარების სათანადოდ და რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფა.

მოქმედება 2. სახელმწიფოს ფინანსური რესურსების არამიზნობრივი ხარჯვის აღკვეთა, სამსახურებრივი უფლებების ბოროტად გამოყენების ჩათვლით.

1.7. შიდა კონფლიქტები

1.7.1. საქართველო გააგრძელებს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების პოლიტიკას

მოქმედება 1. მოკავშირეების ინფორმირება აღნიშნული საკითხების მიმდინარეობის შესახებ გაეროს და ეუთოს წამყვანი როლის გათვალისწინებით.

მოქმედება 2.

- ავტონომიური ერთეულების სტატუსის განსაზღვრა;
- ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების ხელშეწყობა;
- კონფლიქტის ზონების რეაბილიტაცია

1.8. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან

1.8.1. საქართველოში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების მოქმედებათა თანხვდომის ხელშეწყობა

2. თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სამხედრო საკითხები

2.1 თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროების რეფორმა

საქართველოს მიზანს წარმოადგენს ქვეყნის სამხედრო და გასამხედროებული ძალების ძირეული რეორგანიზაციისა და რეფორმირების განხორციელება, რათა მიღწეულ იქნას ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის ქმედითუნარიანობა და შეირაღებული ძალების თავსებადობა ნატოს-თან, საერთაშორისო ოპერაციებში ეფექტურად მონაწილეობის მიზნით.

2.2 თავდაცვის დაგეგმვის საკითხები

საქართველოს მიზანს წარმოადგენს სათანადო პროფესიული შესაძლებლობების უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია თავდაცვის სისტემის სტრატეგიული მიმოხილვის (თსსმ) შედეგებზე დამყარებული შესაბამისი რესტრუქტურირების განხორციელებლად, როგორც ჯარების ცალკეულ სახეობებში, ასევე კონკრეტულ სფეროებში, როგორცაა ქვეყნის საჰაერო სივრცის კონტროლი, სამობილიზაციო და სარეზერვო პოლიტიკა. ასევე, აუცილებელია შემუშავდეს საკადრო პოლიტიკა და მისი სხვადასხვა ასპექტი, როგორცაა პერსონალის მართვა, ხელფასები და სოციალური პირობები, რათა ჩამოყალიბდეს შეირაღებული ძალების ეფექტური შემადგენლობა.

2.3 სამხედრო და ურთიერთთავსებადობის საკითხები

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია როგორც წვრთნების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება, ასევე შეირაღებული ძალების სტანდარტებისა და პროცედურების განვითარების მიზნით შესაბამისი რგოლები ჩამოყალიბება. ყოველივე ზემოაღნიშნული დიდ როლს ასრულებს თავსებადობისა და პროფესიონალ ოფიცერთა კორპუსის ჩამოყალიბების საქმეში.

2.4 თავდაცვის ეკონომიკური საკითხები

საქართველო მოწოდებულია გააუმჯობესოს თავდაცვის ხარჯების მართვისა და ბიუჯეტების პროცესის ეფექტიანობა და მონიტორინგი ფინანსური თვალსაზრისით მდგრადი თავდაცვითი შესაძლებლობების ჩამოყალიბების მიზნით.

საქართველოს დაგეგმილი აქვს შეიმუშაოს შეირაღებული ძალების რიცხოვნობის შემცირებასა და სამხედრო ბაზების კონვერსიის შედეგებთან დაკავშირებული გრძელვადიანი ეკონომიკური გეგმა.

2.1. თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს რეფორმა

2.1.1. თავდაცვის სისტემის სტრატეგიული მიმოხილვის (თსსმ) ჩატარება

მოქმედება 1 მიზნების განსაზღვრა და თავდაცვის სისტემის სტრატეგიული მიმოხილვის ჩატარებისათვის სათანადოდ მომზადება

მოქმედება 2 საფრთხეების შეფასების შემუშავება

მოქმედება 3 სასიცოცხლო ციკლის ხარჯთაღრიცხვის შესაძლებლობათა განვითარება

მოქმედება 4 თსსმ-ს შემუშავება

მოქმედება 5 თსსმ-ის განხორციელებელი გეგმის შემუშავება

2.1.2. თავდაცვისა და ძალების დაგეგმვის სისტემის შექმნა

მოქმედება 1 შესაბამისი პერსონალისათვის სწავლების ჩატარება თავდაცვის დაგეგმვის სფეროში (თავდაცვის სამინისტრო/ჟ5)

მოქმედება 2 ძირითადი დოკუმენტების შემუშავება

2.2. თავდაცვის დაგეგმვის საკითხები

2.2.1. თავდაცვის სფეროს რესტრუქტურირება

მოქმედება 1 საჭირო კანონმდებლობის ამოქმედება თავდაცვის მართვის, სახელმწიფო შესყიდვების, სამხედრო სამსახურის და სამხედრო მოსამსახურეთა სტატუსის სფეროებში.

მოქმედება 2 სახმელეთო ძალების რეორგანიზაცია და რესტრუქტურირება; თსსმ-ის განხილვის საგანი

მოქმედება 3 საზღვაო ძალების სამხედრო შესაძლებლობების ოპტიმიზაცია/საზღვაო და სანაპირო ძალების რეორგანიზაცია და რესტრუქტურირება; თსსმ-ის განხილვის საგანი.

მოქმედება 4 საჰაერო ძალების რეორგანიზაცია და რესტრუქტურირება; თსსმ-ის განხილვის საგანი

მოქმედება 5 ნატო-ს საჰაერო ვითარების მონაცემთა გაცვლის პროგრამაში ჩართვა

მოქმედება 6 საჰაერო კონტროლის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება

მოქმედება 7 ხმელეთზე განლაგებული საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობათა განვითარება; თსსმ-ის განხილვის საგანი

მოქმედება 8 ეროვნული გვარდიის ახალი ფუნქციის და მისიის განსაზღვრა; თსსმ-ის განხილვის საგანი
მოქმედება 9 მობილიზაციისა და რეზერვის ახალი სისტემის ჩამოყალიბება
მოქმედება 10 უსაფრთხოების სფეროს სხვა სექტორების (სხვა გასამხედროებული ძალები) შესწავლა და რეორგანიზაცია; თსსმ-ის განხილვის საგანი

2.2.2. თავდაცვის სამინისტროს სათანადო პერსონალით უზრუნველყოფა

მოქმედება 1 სამოქალაქო პერსონალის მართვის სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება

მოქმედება 2 თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პერსონალის სწავლება მათ ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებულ საკითხებზე გრძელვადიანი სასწავლო პროგრამის შემუშავება;

მოქმედება 3 სამხედრო პერსონალის მართვის სისტემის ჩამოყალიბება

მოქმედება 4 სამოქალაქო და სამხედრო პერსონალისათვის თანაბარი სახელფასო სისტემის ჩამოყალიბება

2.3. სამხედრო და ურთიერთთავსებადობის საკითხები

2.3.1. სამხედრო განათლებისა და წვრთნის სისტემის შემუშავება

მოქმედება 1 ინდივიდუალური და მცირე დანაყოფების წვრთნის სტანდარტების შემუშავება

პარალელურად ნატო-ს დოქტრინების, ტაქტიკის, ტექნიკისა და პროცედურების განხილვა მათი სშმ-ში შესაძლო გამოყენებისათვის

მოქმედება 2 ოფიცრების, სერჟანტებისა და კაპრალების პროფესიული განვითარებისა და განათლების პროგრამების შემუშავება

მოქმედება 3 უცხო ენის სწავლების სისტემის მართვის გაუმჯობესება

2.3.2. მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის (მქმ) შესაძლებლობის უზრუნველყოფა ნატო-ს ეგიდით სწავლებებისა და ოპერაციების ჩასატარებლად

მოქმედება 1 მქმ-ს ეროვნული კატალოგის მონაცემთა ბაზის განვითარება

მოქმედება 2 ნატო-თან ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ მოლაპარაკება

2.4. თავდაცვის ეკონომიკური საკითხები

2.4.1. რესურსების მართვა

მოქმედება 1 რესურსების მართვის სისტემის ჩამოყალიბება

მოქმედება 2 თავდაცვის სამინისტროს საფინანსო დეპარტამენტის რეორგანიზაცია

მოქმედება 3 საფინანსო დეპარტამენტის პერსონალის სწავლება ბუღალტრული აღრიცხვისა და შესყიდვების პროცედურების სფეროში

მოქმედება 4 თავდაცვითი რესურსების მართვის ახალი მეთოდის შემუშავება

2.4.2. სამხედრო ბაზების კონვერსია და მართვა

მოქმედება 1 ლოგისტიკისა და ინფრასტრუქტურის მართვის სისტემის ჩამოყალიბება

მოქმედება 2 თავდაცვის ინფრასტრუქტურის კატალოგიზაცია და შეფასება (დასრულებულია აქტივების შესწავლა, საჭიროა შეფასება და თსსმ-ის შემდგომ გადაწყვეტილების მიღება მათი გამოყენების შესახებ)

მოქმედება 3 სამხედრო ბაზების მდგომარეობის გაუმჯობესება ან ლიკვიდაცია დროებითი საჭიროებებიდან გამომდინარე

მოქმედება 4 დახურვისათვის გამიზნული ბაზების ეკონომიკური განვითარების პოტენციალის შესწავლის დაწყება

მოქმედება 5 დარჩენილი სამხედრო ბაზების შენარჩუნება და განვითარება

2.4.3. სამხედრო მოსამსახურეთა გადამზადების პროექტები

მოქმედება 1 მიმდინარე გადამზადების პროექტის გაფართოება

2.4.4. თავდაცვის სისტემის მდგრადობისა და ფინანსური უზრუნველყოფის შესაძლებლობა

მოქმედება 1 თავდაცვისათვის ხელმისაწვდომი ეკონომიკური რესურსების შეფასებისათვის საჭირო პროგნოზირების მექანიზმების ჩამოყალიბება

2.5. თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში ინვესტირების საკითხები

2.5.1. თანამშრომლობა შეიარაღების სფეროში

მოქმედება 1 საბრძოლო მასალებისა და აღჭურვილობის სრული ინვენტარიზაციის ჩატარება

მოქმედება 2 გამოყენებადი საბრძოლო მასალების უსაფრთხო შენახვის გეგმის შემუშავება და განხორციელება; ჭარბი და არაუსაფრთხო საბრძოლო მასალების ლიკვიდაცია

მოქმედება 3 აღჭურვილობის სტანდარტიზაციისა და კატეგორიზაციის გეგმის განხორციელება

მოქმედება 4 შეიარაღების შესყიდვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება.

2.6 ლოგისტიკა

2.6.1. საქართველოს შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური თავსებადობის გაზრდა ნატო-ს ძალებთან

მოქმედება 1 ლოგისტიკის სისტემის რესტრუქტურულიზაცია

მოქმედება 2 თავსებადობის ეროვნული კონცეფციის შემუშავება

მოქმედება 3 ლოგისტიკის პირადი შემადგენლობიდან ლოგისტიკის მეკავშირე ოფიცერთა წვრთნა

2.6.2. ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის შესაძლებლობების მიღწევა

მოქმედება 1 მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის კონცეფციის შემუშავება და განხორციელება

მოქმედება 2 მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის ეროვნული კატალოგის მონაცემთა ბაზის შექმნა

მოქმედება 3 ნატო-სთან მოლაპარაკება ურთიერთგაგების მემორანდუმის შესახებ

2.6.3. ლოგისტიკის კოდიფიკაციის სტანდარტიზებული და კოორდინირებული სისტემის ჩამოყალიბება

მოქმედება 1 კოდიფიკაციის სახელმწიფო ბიუროს ჩამოყალიბება

2.6.4. დონაციის სახით მიღებული აღჭურვილობის გამოყენების გეგმის შემუშავება და განხორციელება (ლოგისტიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით)

მოქმედება 1 პარტნიორი ქვეყნების ლოგისტიკის ექსპერტთა მუდმივი ჯგუფის (SGPLE) აღჭურვილობის დონაციის საკონტროლო სიის წარმოება

3. საზოგადოების ინფორმირების, მეცნიერების, გარემოს დაცვისა და საგანგებო სიტუაციების მართვის საკითხები

3.1 საზოგადოების ინფორმირება უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე

საქართველოს გამიზნული აქვს საზოგადოების ინფორმირების სტრატეგიის აქტიურად და კოორდინირებულად შემუშავება, რომლის მიზანს წარმოადგენს უსაფრთხოების სფეროს, თავდაცვის სექტორის მოდერნიზაციასა და ტრანსფორმაციაზე, მათ შორის შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული და სამოქალაქო კონტროლის განხორციელებაზე საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება და მათი მხარდაჭერის მოპოვება.

3.2. თანამშრომლობა მეცნიერების სფეროში / თანამედროვე საზოგადოების გამოწვევები

საქართველოს სურს მჭიდრო თანამშრომლობა ნატო-სთან მეცნიერების სფეროში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების განხორციელებას და ამ რეფორმების სოციალურ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ შედეგებზე სათანადოდ რეაგირებას. საქართველო, ხელს შეუწყობს ქვეყნის სამეცნიერო, აკადემიური და სამთავრობო ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერებისათვის, რათა მათ სათანადო წვლილი შეიტანონ საფრთხეების, მათ შორის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

3.3. სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების მართვა და მზადყოფნა

საქართველო მოწოდებულია, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების მართვის სისტემა და ფოკუსირება მოახდინოს უფრო ეფექტიან მექანიზმებზე, ქვეყნის მოთხოვნების შესაბამისი სტრუქტურებისა და პერსონალის მომზადებაზე.

3.1 საზოგადოების ინფორმირება უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებზე

3.1.1. სახელმწიფო რეფორმების მხარდასაჭერად ეროვნული საინფორმაციო სტრატეგიის შემუშავება

მოქმედება 1. საგანგებო სამუშაო ჯგუფის შექმნა უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების და მასმედიის წარმომადგენელთა მონაწილეობით ეროვნული სტრატეგიის შესამუშავებლად და განსახორციელებლად

3.1.2. ნატოს შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაუმჯობესება

მოქმედება 1. ნატო-ს შესახებ ეროვნული საინფორმაციო ცენტრის ჩამოყალიბება

მოქმედება 2. საინფორმაციო კამპანიის შემუშავება

3.2. თანამშრომლობა მეცნიერების სფეროში და თანამედროვე საზოგადოების გამოწვევები

3.2.1. ნატოსთან სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება ეროვნული პრიორიტეტების, პოლიტიკისა და რეფორმის მიზნების მხარდასაჭერად

მოქმედება 1. ვირტუალური აბრეშუმის გზის ინტერნეტ სისტემასთან კავშირების გაფართოება

მოქმედება 2. მეცნიერების ეროვნული სტრუქტურებისა და სამეცნიერო პოლიტიკის მოდერნიზაცია, იხ. ასევე მიზნები 1.2.4. და 1.3.2.

3.2.2. სამხედრო ღონისძიებების გარემოზე ზემოქმედების შემცირება

მოქმედება 1. გარემოს დაცვის მენეჯმენტის დანერგვა სამხედრო სექტორში თავდაცვის სისტემის სტრატეგიული მიმოხილვის გათვალისწინებით, იხ. ასევე მიზნები 1.2.2. და 1.3.3.

3.3. თანამშრომლობა სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების მართვისა და მზადყოფნის საკითხებში

3.3.1. სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების ეროვნული სისტემის სრულყოფა

მოქმედება 1. საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დეპარტამენტის (შსს) რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების მართვისა და სტიქიური უბედურებებისთვის მზადყოფნის საქმეში

მოქმედება 2. ეროვნული სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების მართვის და სტიქიურ უბედურებებზე რეაგირების და კრიზისების მართვის სტრუქტურების სრულყოფა

მოქმედება 3. სპეციალისტთა და ექსპერტთა ტრენინგის გაუმჯობესება

4. ადმინისტრაციული, საინფორმაციო უსაფრთხოებასთან და რესურსებთან დაკავშირებული საკითხები

4.1. ადმინისტრაციული საკითხები

საქართველომ უკვე ჩამოაყალიბა სახელმწიფო დონეზე ის ორგანოები და მექანიზმები, რომლებიც წარმართავენ და კოორდინაციას გაუწევენ ნატო-სთან და პარტნიორობა მშვიდობისათვის პროგრამის ფარგლებში ურთიერთობის პოლიტიკას და შესაბამის ღონისძიებებს. ჩამოყალიბებულმა სტრუქტურამ უნდა შეიმძინოს სათანადო უფლებამოსილება, რათა სახელმწიფო უწყებებს გაუწიოს ეფექტური კოორდინაცია და მისცეს სათანადო რეკომენდაციები.

4.2. რესურსები

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული ღონისძიებები და პროგრამები სათანადოდ უნდა დაფინანსდეს, რათა შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები და მათი წარმომადგენლები სრულად ჩაერთონ ნატო-სთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ ღონისძიებებში.

4.3. საინფორმაციო უსაფრთხოება

საქართველოს გამიზნული აქვს უზრუნველყოს ნატო-სთან კლასიფიცირებული ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობების ჩამოყალიბება შეძლებისდაგვარად მოკლე დროში.

4.1. ადმინისტრაციული საკითხები

4.1.1. ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ეფექტურობის უზრუნველყოფა დამხმარე პროგრამების კოორდინაციისა და თანმიმდევრული მენეჯმენტის გზით

მოქმედება 1 სათანადო კავშირების დამყარება ნატო-სთან სხვადასხვა დონეზე, მათ შორის ნატო-ს საკონტაქტო საელჩოსთან და ნატო-ს მეკავშირე ოფიცრისთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა.

4.1.2. სამეკავშირეო სტრუქტურების გაუმჯობესება

მოქმედება 1 საქართველოდან პარტნიორობის შტაბის ოფიცრის გაგზავნა ნატო-ს შტაბბინაში, საერთაშორისო სამხედრო სამსახურში

4.2. რესურსები

4.2.1. ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის მხარდამჭერი პროგრამების და ღონისძიებების სათანადო დაფინანსების უზრუნველყოფა

მოქმედება 1 თანამშრომლობის აღნიშნული პროგრამის განხორციელებისთვის სარესურსო მოთხოვნების განსაზღვრა და გამოყოფა

4.3. საინფორმაციო უსაფრთხოება

4.3.1. ნატოსა და საქართველოს შორის კლასიფიცირებული ინფორმაციის გაცვლის ნატო-ს მოთხოვნების შესაბამისი შიდა უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბება

მოქმედება 1 კლასიფიცირებული ინფორმაციის ცენტრალური რეგისტრის გადატანა საპარლამენტო კომიტეტის ოფისიდან ეროვნული უშიშროების საბჭო-ს აპარატში

4.3.2. ნატო-სთან უსაფრთხო ელექტრონული კავშირის საშუალებების აღდგენა

მოქმედება 1 თავდაცვის სამინისტროს პერსონალის გადამზადება შY71-ის გამოყენებაში, რომელიც საქართველოს მიეწოდა, თუმცა დღეისათვის არ ფუნქციონირებს.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება

ვაშინგტონი, კოლუმბიის ფედერალური ოლქი,
1949 წლის 4 აპრილი

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ადასტურებენ გაერთიანებული ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და პრინციპებისადმი თავიანთ ნდობას და სურვილს, იქონიონ მშვიდობიანი ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ხალხსა და სახელმწიფოსთან.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მზად არიან, მტკიცედ დაიცვან დემოკრატიის, პიროვნების თავისუფლებისა და კანონიერების პრინციპებზე დამყარებული თავისუფლება, საზოგადო მემკვიდრეობა და ცივილიზაცია თავიანთი ხალხებისა.

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები მზად არიან, გააერთიანონ თავიანთი ძალისხმევა კოლექტიური თავდაცვის შესაქმნელად და მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას ქვემოთ წარმოდგენილი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების თაობაზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ვალდებულიებას იღებენ, რომ, გაეროს წესდების შესაბამისად, ყველა საერთაშორისო ხასიათის დავა, რომელშიც ისინი შესაძლოა აღმოჩნდნენ ჩართული, მშვიდობიანად მოაგვარონ ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნან საერთაშორისო მშვიდობას, უშიშროებას და სამართლიანობას; ასევე საერთაშორისო ურთიერთობისას მოერიდონ ძალის ნებისმიერ გამოყენებას და მისი გამოყენების მუქარას, თუ ეს ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებს.

მუხლი 2

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ხელს შეუწყობენ მშვიდობიანი და მეგობრული საერთაშორისო ურთიერთობების შემდგომ განვითარებას, თავიანთი დამოუკიდებელი ინსტიტუტების განმტკიცების, ამ ინსტიტუტების ფუძემდებლური პრინციპების უკეთ წვდომის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის პირობებისათვის ხელშეწყობის გზით. მხარეები ადასტურებენ სწრაფვას, აღმოფხვრან წინააღმდეგობები თავიანთ საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაში და გააღრმავონ ეკონომიკური თანამშრომლობა ერთმანეთთან ზოგადად და ასევე ნებისმიერ მონაწილე მხარესთან.

მუხლი 3

ამ ხელშეკრულების მიზნები რომ უკეთ განახორციელონ, მონაწილე მხარეები ცალ-ცალკე და ერთად, მუდმივი ურთიერთდახმარებითა და დამოუკიდებელი ძალისხმევით, შეინარჩუნებენ და უფრო განავითარებენ შეიარაღებულ თავდასხმასთან ბრძოლის ინდივიდუალურ და კოლექტიურ პოტენციალს.

მუხლი 4

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ისარგებლებენ ერთმანეთის კონსულტაციებით მაშინ თუ, რომელიმე მათგანის აზრით, ნებისმიერი მხარის ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ან უშიშროებას საფრთხე დაემუქრება.

მუხლი 5

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები იზიარებენ იმ აზრს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში განიხილება როგორც სამხედრო აგრესია ყველას წინააღმდეგ. შესაბამისად, ასეთი შეიარაღებული თავდასხმის დროს, თითოეული მათგანი გაეროს წესდების 51-ე მუხლით აღიარებული ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის უფლების გამოყენებით უნდა დაეხმაროს დაზარალებულ მხარეს ან მხარეებს ისეთი ინდივიდუალური ან ერთობლივი მოქმედებებით, რომლებიც, საჭიროების მიხედვით, გულისხმობენ შეიარაღებული ძალის გამოყენებას ჩრდილოატლანტიკურ რეგიონში უშიშროების აღდგენისა და შემდგომი შენარჩუნების მიზნით.

ნებისმიერი ასეთი შეიარაღებული თავდასხმისა და მის გამო მიღებული ყველა ზომის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. მოქმედებები შეწყდება მაშინ, როდესაც უშიშროების საბჭო მიიღებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების აღდგენა-შენარჩუნებისათვის საჭირო ზომებს.

მუხლი 6

მე-5 მუხლის განხორციელება გულისხმობს, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ ან რამდენიმე მონაწილე მხარეზე ნიშნავს შეიარაღებულ თავდასხმას:

- ხელშეკრულებაში მონაწილე ნებისმიერი მხარის ტერიტორიაზე ევროპასა თუ ჩრდილო ამერიკაში, საფრანგეთის ალჟირის დეპარტამენტებზე, თურქეთის ტერიტორიასა თუ ჩრდილოატლანტიკურ ზონაში კიბოს ტროპიკის ჩრდილოეთით ან ნებისმიერი მხარის იურისდიქციაში მყოფ კუნძულებზე.
- ნებისმიერი მონაწილე მხარის შეიარაღებულ ძალებზე, სამხედრო გემებსა და ავიაციაზე, თუ ეს შეიარაღებული ძალები, სამხედრო გემები ან ავიაცია განლაგებული იყო ამ ტერიტორიებსა და მის შემოგარენში, ევროპის სხვა რაიონსა თუ მის შემოგარენში და თუ ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროს ამ ტერიტორიებსა და მის შემოგარენში ან ხმელთაშუა ზღვასა და მის შემოგარენში, ან ჩრდილოატლანტიკურ ზონაში კიბოს ტროპიკის ჩრდილოეთით თუ მის ახლომახლო იმყოფებოდა ნებისმიერი მონაწილე მხარის საოკუპაციო ძალები.

მუხლი 7

ეს ხელშეკრულება არ ეხება და არც შეიძლება იყოს ამგვარად გაგებული, გაეროს წევრი მხარეების გაეროს წესდებით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს ან უშიშროების საბჭოს უპირატეს პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

მუხლი 8

ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე განაცხადებს, რომ არც ერთი მის მიერ სხვა მხარის ან სხვა სახელმწიფოს მიმართ ნაკისრი მოქმედი ვალდებულება არ ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულების დებულებებს და არც იკისრებს ამ ხელშეკრულების საწინააღმდეგო ვალდებულებებს.

მუხლი 9

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები აცხადებენ საბჭოს, რომელშიც ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად მონაწილეობს თითოეული მათგანი. საბჭო ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ შეძლოს ნებისმიერ დროს და რაც შეიძლება სწრაფად შეკრება. საბჭო ვალდებულია, საჭიროებისას, სასწრაფოდ შექმნას დამხმარე ორგანოები, კერძოდ თავდაცვის კომიტეტი, რომელმაც უნდა გასცეს რეკომენდაციები ამ ხელშეკრულების მესამე და მეხუთე მუხლებით გათვალისწინებული ზომების შესასრულებლად.

მუხლი 10

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეუძლიათ ამ ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიონ ნებისმიერი ევროპული სახელმწიფო, რომელსაც ძალუძს განავითაროს ხელშეკრულების პრინციპები და თავისი წვლილი შეიტანოს ჩრდილოატლანტიკური ზონის უსაფრთხოებაში. ასეთი წესით მიწვეული ნებისმიერი სახელმწიფო შეიძლება გახდეს ხელშეკრულების მხარე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისათვის ხელშეკრულებასთან მიერთების დოკუმენტების დეპონირებით. აშშ-ის მთავრობამ ყოველი ასეთი შემთხვევის შესახებ უნდა აცნობოს ხელშეკრულების მონაწილე თითოეულ მხარეს.

მუხლი 11

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა უნდა მოახდინონ ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხოლო მისი დებულებები გაატარონ ცხოვრებაში თავიანთი სახელმწიფოების კონსტიტუციური პროცედურის შესაბამისად. სარატიფიკაციო სიგელები დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს დასაცავად აშშ-ის მთავრობას, რომელიც დოკუმენტის გადაცემის შესახებ აცნობებს ხელშეკრულების ხელმომწერ სხვა სახელმწიფოებს. იმ სახელმწიფოსთვის, რომელმაც უკვე მოახდინა რატიფიკაცია, ხელშეკრულება ძალაში შედის ხელისმომწერ სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ სარატიფიკაციო სიგელების

გადაცემისთანავე ბელგიის, კანადის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოსა, აშშ-ის და საფრანგეთის სარატიფიკაციო სიგელების ჩათვლით. სხვა სახელმწიფოებისთვის ხელშეკრულება ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების დეკონირებისთანავე.

მუხლი 12

ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის ათი და მეტი წლის შემდეგ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, რომ ნებისმიერი მათგანის მოთხოვნით ჩაატარონ ამ ხელშეკრულების გადასასინჯი კონსულტაციები და ამავე დროს, აუცილებლად გაითვალისწინონ იმ პერიოდში ჩრდილოატლანტიკური რეგიონის მშვიდობისა და უშიშროების ფაქტორები საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების შესანარჩუნებლად გაეროს წესდებით გათვალისწინებული გლობალური და რეგიონული ღონისძიებების დამუშავების ჩათვლით.

მუხლი 13

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ოცი წლის შემდეგ ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეაჩეროს თავისი წევრობა აშშ-ის მთავრობისათვის ხელშეკრულების დენონსაციის შეტყობინებიდან ერთი წლის შემდეგ. აშშ-ის მთავრობამ უნდა აცნობოს ხელშეკრულების მონაწილე ყველა მხარეს მის მიერ დენონსაციის ყოველი დოკუმენტის მიღების შესახებ.

მუხლი 14

ეს ხელშეკრულება, ასევე მისი ავთენტური ფრანგული და ინგლისური ტექსტები, დასაცავად უნდა გადაეცეს აშშ-ის მთავრობის არქივს. ამ ხელშეკრულების ავთენტური ტექსტის სათანადოდ დადასტურებული ასლები აშშ-ის მთავრობამ უნდა დაუგზავნოს ამ ხელშეკრულების ხელმომწერი ყველა სახელმწიფოს მთავრობას.

